K 204 146
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთიშვილი
ციელი

• ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი პაპოიშვილი

ფოლადული ციალი

თბილისი „მერანი“ 1988

8СГИ-39

84 Гр 7—44
З 189

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი პაპუაშვილის რომანი „შორეული ციალი“ საქართველოს ისტორიის შეტად მღელვარე და საინტერესო ხანას ეძღვნება. მასში ასახულია ერეკლე მეორისა და თეიმურაზ მეორის სამეფო კარი, ქართველი ხალხის გმირული ყოფა...

რომანის პირველი წიგნი მკითხველმა 1984 წელს მიიღო.

К 204-146
3

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სპეც-2[illegible]00
ფეიოფეგეგლია

4702017200—27
З————————48—88
Э 604 (68) — 88

© გამომცემლობა „მერანი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვთისმგმობელი

წითელი ჩოხა ეცვა ერეკლეს, წითელი წაღები, წითელ ცხენზე იჯდა და მხიარულად საუბრობდა თავის ამალასთან. ამალაში თავადაზნაურთა გარდა გლეხებიც ერივნენ, რომლებმაც სხვადასხვა დროს თავი გამოიჩინეს მის ერთგულებაში.

თუმცა გივი ჩოლოყაშვილის სიკვდილის შემდეგ სახლთუხუცესობა ჯიმშერს დაეკისრა და თელავის სასახლის ყველა საზრუნავი მის კისერზე გადადიოდა, დღეს უკვე მისთვისაც დაეტოვებინათ კახეთის სატახტო. მოდიან და მოაქვთ თეიმურაზის ძვირფასეულობა: ნოხები და ხალიჩები, ტახტი და სავარძლები, სანადირო და სახმარი იარაღი, საჭურჭლე ყოველივე — ქართლის სამეფო ტახტისათვის.

საზეიმო ამალა საგარეჯოს მოუახლოვდა. მის დანახვაზე ხალისით ტოვებდნენ კერას და გზისპირებზე გამოდიოდნენ დიდები და პატარები. ჟრიამულობდნენ ვოგო-ბიჭები, ბაჩზე ადიოდნენ მანდილოსნები: დედაბრები და ქალ-რძალნი. როცა იგებდნენ ამალის ცენტრში კახთ ბატონიშვილი პატარა კახი — ამჟამად კახეთის მეფე ერეკლე მობრძანდებაო, ბანებსაც ტოვებდნენ და გზისკენ მიეშურებოდნენ, სულმოუთქმელად.

— შენ გაუმრავლდი დედას, რა მშვენიერია! — წარბებს ჭიმავდა და ტუჩებს პლურწავდა გამხდარი დედაბერი, — ნახეთ, რა კოხტადაზის ცხენზე, უი, შე გასახარელო, შენა!

„ჩემი ხვთისავარი მაგაზე ნაკლები ლამაზი არ არისო“, გულში გაივლო მეორე დედაკაცმა მაგრამ თქმით რა ათქმევინებდა.

— გოგოებო, დაინახეთ, გოგოებო, რა საყვარელი ბიჭი ყოფილა მეფე ერეკლე!

— მართლა ლამაზი ბიჭი ყოფილა, გოგო, მეფე კი არა!

— ნეტავი მაგის ცოლსა!

— ჯერ არ ეყოლება!

— შენ ესე გგონია, მაგრამ მესამე ცოლი ჰყავსო!

— მესამე არა?!

— ძმას გეფიცები! პირველად ყაფლანიშვილის ქალი ჰყავდაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორედ — მხეიძისა და ეხლა კიდევ აბაშიძეების ქალი მოუყვანია იმერეთიდან.

— უი, თვალები გამიშავდეს, ბოზი ყოფილა.

— არა, გოგო, პირველი არა ჰყვარებია და იმიტომ გაუშვიაო, მეორე უშვილო ყოფილაო და უშვილო დედოფალი ქვეყანას ხეირს ვერ მოუტანსო...

— იმერელი შინ რატომ შემოუშვა? — ითქვა სხვა მიმართულებით..

— შენსავით კვრინჩხაშუბლა იქნებოდა და იმიტომ. ახა, ხა, ხა!..

— მესამე? — იკითხა ვიღაცამ ისევ პირველი მიმართულებით.

— მესამე ისეთი ჰყავსო, რომა ავ თვალს არ დაენახვებაო.

— ეგრე, რად შემოუშვაო, შე მატრაკვეცავ?!

— ნეტავი ის მესამეც მოუკვდეს და მეოთხე ცოლად მე მიმიყვანოს! — ინატრა მედუქნე ვანუას ენაკვიმატმა ქალიშვილმა.

— იი, მეხი კი დაგეცეს და თვალი კი გამოგძვრეს, შე ვაჭრუკანას შვილო, რაც ამ მზესავით ბატონიშვილმა შენ არ გიკადროს!

— ვითომ ჩემზე კარგები რით იქნებიან, ვინც აქამდე იკადრა?! — ტუჩების წმაწუნით თქვა მედუქნის ქალიშვილმა და მაღალი მკერდი თავმომწონედ შეათამაშა.

— იმერლები ძაან ლამაზები არიანო, მაგრამ ესეც რა ლამაზი ყოფილა, ეს დასაწველი! — ლოყაზე უჩქმიტა ვანუას ქალიშვილს ხმადარხეულმა შინაბერამ. ნეტავი მე ვიყო მეფე ერეკლე და ეხლავე წაგიყვანდი.

— შენ თვითონ ჩასაყვანი ხარ და მე რას მპირდები, შე საცოდავო?!

— ბიჭი რო ვიყო, მარტო შენ კი არა, ყველა კაი გოგოს მოვიტაცებდი, — უჩურჩულა დედაკაცებისგან დაფარვით და კიდევ ერთხელ უჩქმიტა გვერდში, — შვილი თუ ჰყავსო მეფე ერეკლეს?

— პირველი ცოლისგანა ჰყავსო. მესამესგან ჯერ არა ჰყოლიაო. ოხ, რა ვაჟკაცია, წვერი რომ არ ჰქონდეს?!

— წვერი ამშვენებს, გოგო, ხომ არ გადაირიე?! მაგის წვერულვაშზე ლოყის მოცაცუნება ერთ რამედ ეღირება.

— უი, შენ კი დაიწვი, როგორ წაუტლეკია ენა! — დატუქსა სხვა ქალმა.

— ვითომ შენ კი უარს იტყვი?!

— უყურე ამ მეხდასაცემსა?!. ახა, ხა, ხა!..

ერეკლეს ამალა კი მეფური ნაბიჯით მიემართებოდა თბილისისკენ.

— მაგისთანა მეფე-ხელმწიფეებს ჩაუვლიათ ამ გზაზე ეგრეკვე მორთულ-მოკაზმულებსა, მაგრამ ჩვენთვის ხეირი არავის მოუტანია! — ამოიხვნეშა კეტზე დაყრდნობილმა ბერიკაცმა და რუმბივით გასიებული ფეხები ძლივს მოინაცვლა.

— მაგას რად ამბობ, სონკა ძიავ, განა ვისაც გვირგვინს დაადგამენ, ყველაყა მეფეა, შე კაი კაცო?! — შეეკამათა შუახნის საფეთქლებშეჭირხლული კაცი, — შენ თუ აბდულა ბეგი და ალიხანიც ხელმწიფეებად ჩათვალე და სულმნათი ვახტანგ მეფეცა, კაი დახლი დაგვჯდომია.

— ეე, შვილო, ჩემთვინა არც ალხანას ურგია რამე და არც — ჩალხანასა.

— აბა, რუები ვინ გამაიყვანა, სტამბა ვინ ააშენა, თუ არა მეფე ვახტანგმა?

— რუები, იცოცხლე, კარგი რამაა, მაგრამ სტამბა რა თავში ვიხალო? საეშმაკო წიგნები ვის რაში სჭირდება? შენ ეგ მითხარი, პური ვინ მოგვიტანა, ან მტერი ვინ მოგვაშორა, ანდა ბატონის უღელი ვინ აგვხსნა კისრიდანა?

— ახალგაზრდები ამბობენ, ყველაფერს გაგვიკეთებსო ერეკლე მეფე.

— თხას თხა ურჩევიაო ათას სულ ცხვარსა. ერეკლეს კბილა ბიჭები ერეკლეს აქებენ, ვახტანგ მეფისანი — ვახტანგსა, მაგრამ კარგი დღე ჯერ არ დაგვდგომია.

— ჯერ ხო ეხლა გაამეფეს, შე კაი კაცო, რიდის უნდა დაეყენებინა კაი დღე?

— ხანიც გავა და მაშინაც გამოჩნდება. ალილო და — ხვალაო, ნეტა თხა იყოს, ტყუპი მოიგოს.

— ამბობენ, უბრძანებიაო, ერთიო ქართლის საქმეებიდან მოვიცლიო და ლეკებსაო იგეთ დღეში ჩავყრიო, რომა კუდით ქვას ვასროლინებო. ყველაფერს ხალხისთვი გავაკეთებო.

— შენს პირს შაქარი! მეც ეგ გამიხარდება. თავის პაპასავით თუ შუაგზაზე არ მიგვატოვა და სპარსეთში ანდა სარუსეთოში არ გაიქცა?

— რომელ პაპაზე ამბობ?

— რომელიც გაგიხარდება. ვინდა, მაგისი სეხნია ერეკლე და გი-

ნდაც — ვახტანგი. არც მაგათი პეპერა თეიმურაზი გვაკლებდა ხელსა.

— არა, სონკა ძიავ, ეს სულ სხვა ჯურის კაციაო.

— დათვმა თქვა, შვილო, პანტა მიმწიფსო. ვიმწიფს და ... სხვა ჯურისაა და ჩვენც ეგ გაგვიხარდება. ჩვენ თუ არსად წავალთ, დრო მოვა თავისთავად და ყველაფერს მოგვახსენებს.

და მიდიოდა მეფე ერეკლეს მრავალრიცხოვანი ამალა, ფეხაწყობილი.

— ხედავ, მეფეო, როგორი სიყვარულით გიყურებენ ყველანი?! — უჩურჩულა ჯიმშერმა.

— ვინ ყველანი, ჯიმშერ?

— დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

— პატარებს ჩვენი ამალის ზიზილ-პიპილები მოსწონთ და იმიტომ გვიყურებენ აღტაცებით, ეოგოები ლამაზ ბიჭებს უთვალთვალებენ და ასე იმიტომ კეკლუცობენ, ბიჭებს ცხენები და იარაღი ეხარბებათ, ეს ბერიკაცები კი... არავინ იცის, რას ფიქრობენ.

— ყველანი გვიღიმიან.

— მაგ ღიმილში ხშირად გლეხური ქირქილი ურევია და ქირქილს კი ლანძღვა-გინება უნდა გერჩიოს.

— აი, იმ გლეხს პირდაპირ ჩვენკენ მოჰყავს ცხენი, მეფეო, ხომ არაფერს მიბრძანებ?

— მოვიდეს!

შუახნის გლეხი ცხენდაცხენ დაუპირდაპირდათ, თექის ქუდი მოიშალიპა და გაბმით წარმოთქვა:

— სალამი და გამარჯობა, მეფეო!

— ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგიშალოს შენცა და შენს სოფელსაც!

— აი, ეს ხურჯინი, მეფეო, გარეჯულა პურით არის სავსე და დიდ ბატონ თეიმურაზს აახლა მამაჩემმა, — ხურჯინის ჭრელ უღელს შეეხო თითებით, — ეგრე მითხრა, რომა გარეჯული პურის იქით საძეფო სუფრას ლაზათი არ ექნებაო. ეს ის პურია, შვილო, ქინძარა ... ურევია. მანავში გაჭმევდით ხოლმე.

— ვისი შვილი ხარ?

— ესაიასი.

— ესაია!.. ჩვენი ყოფილი შინაყმა... მოხარული ვარ, რომ მამაჩემი არ დავიწყებია.

— დავიწყებია კი არა, სუ თქვენს გონებაშია, მაგრამ ლოგინს

არი მიჯაჭვული და წელს ვეღარ იღებს. ცოტაოდენიც, აგე, ჩვენი ვენახის ღვინო გამამატანა, — ხელი გაიშვირა თავის უკან მდგარი ცხენისაკენ, რომელზეც პატარა ბიჭი წამოსკუპებულიყო, — მამა-თქვენსა ჰყვარებია.

— ვისი ბიჭია?

— ჩემია, მეფეო, მაგასაც ესაიას ვეძახით.

— ღმერთმა გიიმრავლოს!.. მის უკან ვინღა დგას?

— ჩემი ძმის ბალღია. მაგისი მამა ლეკებმა მოგვიკლეს ცივის მთაზე. წამოვიყვანე, მეფეს გავაცნობ-მეთქი. შოშიტას ვეძახით.

— ძაგის ცხენს რაღა ჰკიდია?

— ერთი პატარა ჭედილა არი და ოციოდე ქათამი. თუ ნებას მოგვცემთ, გეახლებით და დიდ ბატონს მივართმევთ.

— იმ შენი ძმისშვილის უკანაც რომ ცხენოსნები ჩანან?

— ჩვენებურები არიან, მეფეო. გაიგეს, ბატონი თეიმურაზი ქართლის ტეფედ უნდა აკურთხონო და თავიანთი ღარიბული ხარჯი მოგართვეს. საგარეჯოული წესი ეგეთია და ნუ გაგვიწყრები!

ერეკლეს გაეღიმა:

— იცი, რას გეტყვი, ესაიას შვილო? შენს ერთგულებას მამაჩემს გადავცემ და დიდადაც ვასიამოვნებ... ხარჯი კი ბევრი გავგზავნე თბილისში. გარეჯულ პურსაც დაგვახვედრებენ და მანავურ ღვინოსაც ჩაიტანენ. ეგ ხორაგი კი, აი, აქვე, გზაზე გაშალეთ და მამა-პაპურად მოილხინეთ! გამვლელ-გამომვლელიც მიიპატიჟეთ, დაე, გაიგონ, რომ მამაჩემის მეფედ კურთხევა ასერიგად უხარია ერს.

— გმადლობთ, მეფეო! თქვენს სადიდებელს უფრო მეტს ვიტყვით და ნუ გეწყინებათ!.

* * *

ერეკლეს ამალა ავლაბარში რომ შევიდა, საიდანღაც დიდძალი ხალხი გამოცვივდა და მტკვრისკენ გაექანა. სამეფო ამალის დანახვაზე ყველანი შეჩერდნენ, ერთ ადგილზე გაქვავდნენ და ერეკლეს ბრძანებას დაელოდნენ.

— რა მოხდა? — იკითხა ერეკლემ.

— მოკლეს, დიდი ბატონო, — გაბედა ვიღაცამ.

— ვინ მოკლეს?

— კათალიკოსი მოკლეს, ნიკოლოზი.

მგელიას შუბლი გაუნათლდა, მაგრამ, რაკი ერეკლეს თვალებში ვერაფერი ამოიკითხა, დადუმება არჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკვლელი ვინ არის? — იკითხა ერეკლემ.

— ტარიელ თამაზაშვილი — ვიღაც ღვთისმგმობელი.

— როგორ მოკლა?

— ეკლესიიდან გამოვიდა კათალიკოსი, ორი ბერის თანხლებით და აქეთ მოდიოდა, ამ დროს მიეპარა თურმე, თავში დაარტყა და... გაგვექცა, მაგრამ სად წაგვივა?!

მგელია მოელოდა, ახლა მაინც შეაჩერებსო აზავთებულ ბრბოს, მაგრამ ერეკლემ თვალები მოჭუტა, შავნაბადას მთისკენ გაიხედა და თითქოს თავისთვის იკითხა:

— რას უპირებთ?

— უნდა ჩავაქვავოთ!

— დაეწიეთ და ჩააქვავეთ ის ულმრთო, ისა! — ბრძანა ერეკლემ და ცხენს ქუსლი ამოჰკრა.

აზვირთებული ბრბოს ნაკადმა მტკვარს მიაშურა, ვიწრო ხიდი გაირბინა და გეზი საყინულეებისაკენ აიღო ველური ყიჟინით.

— ულმობელია ხალხის სამსჯავრო. ვაი, მას ვინც ამ სამსჯავროს მსხვერპლი გახდება! — თქვა ერეკლემ.

— მეფეო, რატომ მიეცი ხალხს ჩაქვავების უფლება? — გაბედა მგელიამ, — თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, როგორი წაწყმენდილი კათალიკოსიც გვყავდა?

— მე და შენ კარგად ვიცით, რა ძაღლიც იყო ნიკოლოზ ხერხეულიძე და როგორ სიკვდილსაც იმსახურებდა, მაგრამ ხალხი ღვთისმსახურს იცავს და წინ ვერ აღვუდგებით.

— იტყოდი, მეფეო, რომ ღირსი იყო კათალიკოსი. რომ ის მართლაც გარეწარი იყო და სიკვდილს იმსახურებდა.

— მაშინ უკვე ღმერთზე შეერყეოდა ხალხს რწმენა და ეს უარესი იქნებოდა. ასე სჯობია. ველარც ჩვენი საძულველი კათალიკოსი გაცოცხლდება და კაცისმკვლელი თამაზაშვილიც ქვეყანას მოსცილდება. ვინც კათალიკოსს ადვილად გაიმეტებს, მეფესაც არ დაინდობს.

— თეიმურაზ ბატონს ვინღა აკურთხებს ქართლის მეფედ სვეტიცხოველში? — იკითხა ჯიმშერმა.

— ვინ? ეგ ახლავ ვიცი. ყოველივე ღვთის ნებაა და იგი განაგებს ჩვენს ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფისეული სასახლის მცირე დარბაზში ოთხნი საუბრობდნენ: თეიმურაზ მეფე, ერეკლე კახთბატონი, სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და მათი ერთგული ანტონი, რომელიც ორი დღის წინათ აკურთხეს კათალიკოსად და სისხლისფერი ბისონი შვენოდა.

დინჯად და აუღელვებლად იჯდა ახალგაზრდა კათალიკოსი. თითქოს მისი ახოვანებისთვის შესაფერისი, საგანგებოდ გამზადებული სავარძლის საზურგეს ფართო ბეჭებით მიჰყრდნობოდა და ღია სარკმლიდან მტკვარს გაჰყურებდა. მნახველს ეგონებოდა, არც ისმენსო საუბარს, დროდადრო რომ ძლივსშესანიშნავად არ გატოკებულიყო მისი ლამაზი თავი ხან ზევიდან ქვევით და ხანაც მარჯვნიდან მარცხნივ. ამით ამოიცნობდით მის აზრს და დამოკიდებულებას საუბრის შინაარსთან.

ქაიხოსრო ორბელიანს ჩვეული სიდინჯე დაეკარგა და გაცხარებით საუბრობდა:

— სანამ გივი ამილახვარი სურამის ციხეში გვეგულება, არხეინად ვერ ამოვისუნთქებთ, მეფეო. არც თქვენი მეფობა იქნება სრულყოფილი, რაკიღა ჯერ კიდევ მრავალი მომხრე ჰყავს ამ დაუცხრომელ კაცს. თქვენ ამბობთ, განჯა, ყარაბაღი, შამშადილი თუ ბამბაკიც უნდა შემოვიერთოთო, ჭარ-ბელაქანზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აქ კი, შუაგულ ქართლში, ისეთი ბზარი გვაქვს გაჩენილი, რომელიც მალე ნაპრალად გადაიქცევა, თუ ახლავე არ ამოვქოლავთ.

— გეირჩევ, გადავდოთ ჩემი მეფედ კურთხევა გივი ამილახვრის შემორიგებამდე? — ფეხზე წამოდგა თეიმურაზი და დინჯად გაიარა დარბაზში.

გრძელი სამეფო პორფირი ესხა თეიმურაზს, მაგრამ გვირგვინი არ ედგა და გაშლილი, ჯერ ისევ ხშირი თმა ლომის ფაფარივით გადმოჰფენოდა მხრებზე.

— დიახ, ჯერ გივი ამილახვარი უნდა დავაჩოქოთ და მას შემდეგ ვიფიქროთ ქრისტიანული წესით სამეფო გვირგვინის დადგმაზე, — წამოდგა ქაიხოსრო და ერეკლემ ნათლად შენიშნა, რომ სარდალი თითქმის მთელი თავით დაბალი იყო თეიმურაზზე. სამაგიეროდ ორჯერ განიერი ბეჭები ჰქონდა ქაიხოსროს, — თქვენი მეფედ კურთხევა ეროვნულ დღესასწაულად უნდა ვაქციოთ. ერს კი მხოლოდ მაშინ ედღესასწაულება, როცა დიდ ომში საბოლოოდ გაიმარჯვებს.

— სარდალი მართალს ბრძანებს, — ხანდაზმული კაცის გამომეტყველებით დაადასტურა ანტონ კათალიკოსმა, თუმცა სულ ახლახანს შეუსრულდა ოცდაოთხი წელი, — გამარჯვება ბოლომდე უნდა ვიზეიმოთ, — თქვა ეს სიტყვები და ისევ დადუმდა ქანდაკებასავით. ეტყობოდა, უფრო მეტს ფიქრობდა, მაგრამ ამჯერად ეს ამჯობინა სათქმელად.

ძალიან მოეწონა ერეკლეს თავისი ბიძაშვილის შესაშური სიდინჯე და სავარძლიდან არ წამოუწევია, ისე ჩაურთო გადამჭრელი სიტყვა:

— კათალიკოსი და სარდალი მართალს მოგახსენებენ: ჯერ შინამტერი უნდა მოვთოკოთ და მერმე ვიდღესასწაულოთ!

ერეკლემ იგრძნო, რომ, რაც ყაფლანიანთ ქალი გაუშვა, ახლაღა შეჰხედა თვალებში სარდალმა, თანაც სათნო და კეთილი მზერით. თუმცა მაინც არ ენდობა ერეკლე ამ გამოხედვას. არა, მისი სარდლობა შეუძლებელია. უნდა მოხდეს რამე.

— კაცებს მივუგზავნი და შემორიგებას ვთხოვ, — საკუთრად სარდალს მიართვა პასუხად თეიმურაზმა, და მთლიანად მისკენ შემობრუნდა.

— მერამდენედ, მეფეო? გივი ამილახვარი მეტისმეტად ეჭვიანი და უნდობელია. აკი ორჯერაც მივუგზავნეთ კათალიკოსი ნიკოლოზი?

— კათალიკოსი!.. მწარედ ჩაეცინა თეიმურაზს, — სად გარეწარი, გულით ყიზილბაში ნიკოლოზ ხერხეულიძე და სად ივსიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანი კათალიკოსი?

— ეგ მართალია, მეფეო, — შენიშნა ერეკლემ, — მაგრამ ამილახვარი არც ანტონს დაუჯერებს, რაკიღა განაწყენებულია, კახთ ბატონს რატომ დაუჭირაო მხარი ქართლში გამეფებაზე.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— უმჯობესია, ჯერ სარდალმა მოგვახსენოს. — თქვა ერეკლემ.

— თუ პირველ სათქმელს თქვენ ინებებთ, დიდად დამავალებთ, — კეთილად გაუღიმა ქაიხოსრომ თავის ნასიძარს, ესოდენი პატივისათვის.

— ბრძანე და, თუ თქვენს ნათქვამს რაიმეს შევმატებ, მერმე მოგახსენებთ.

— სურამის ციხე ახლა ესრეა გაშიშვლებული, — ჯიბიდან გასაღები ამოიღო და უსწორმასწორო წრე შემოავლო მაღალ ტაბლა-

ზე, — აქ შემაღლებულია, — განაგრძო ქაიხოსრომ, — აქ ველიანი, აქ-ეთ მეჩხერი ტყე აქვს. აი, აქ სანგარი შემოევლება და ჯარი გამა-გრდება. ისე, რომ ციხიდან სროლითაც ვერა გვავნოს რა ამილახ-ვარმა. სურსათი შეუწყდება და მალე დაგვნებდება. თოფს არ გავის-ვრით, ისე ავიღებთ სურამის ციხეს.

— გონივრული აზრია, — დაეთანხმა ერეკლე, — სანგარი შემოვა-ვლოთ და ვაშიმშილოთ. გარედან დახმარებას თუ შეეცდებიან, მე გავცემ პასუხს. რამდენ ხანში შევძლებთ ციხის აღებას?

— ვფიქრობ, ორ თვეში. ციხეში შეტანილი სასმელ-საჭმელი მეტს ვერ გაუძლებთ, რაც უნდა გაუფრთხილდნენ.

— იქნებ ისევ მოციქულის მიგზავნამ აჯობოს? — იკითხა ანტონ-მა..

— მეც ამ აზრისა ვარ, — შუბლი გაეხსნა თეიმურაზს, — ერთხელ კიდევ შევეცდები შემორიგებას. ბოლოსდაბოლოს, შევეეედრები, ნადირ-შაჰთან შუამავლობასაც შევპირდები და ეგებ გამოვიყვანოთ ციხიდან?

— ვის შეეეედრები, გივი ამილახვარს? — იწყინა ქაიხოსრომ, — არა, მეფეო, შენს სახელს დაამცირებს ეს შეეედრება. დაე, დავაჩო-ქოთ და თავად შემოგვეეედროს. განა მაგისმა კაცებმა არ ააოხრეს სამაჩაბლო თუ საციციანო, მთელი ზემო თუ შუა ქართლი? საბარა-თაშვილო-საყაფლანიშვილოზე არას ვამბობ, რომ არ იფიქრონ, ორ-ბელიანთა ჯავრის ამოყრა აწუხებსო. უნდა მოვტეხოთ, დავაჩოქოთ და...

— ეგ ისეთი სისხლის კაცია, ეგებ არც დაიჩოქოს, გაგვიჯიუტ-დეს და ციხეში ამოგვაწვევინოს თავი, — დაიხვნეშა თეიმურაზმა.

— თუნდაც ამოვწვათ, ღმერთი არ გვიწყენს: მაგისი ხელიც ურ-ევია არაგვის ერისთავის სახლობის ამობუგვაში.

— უფალი დაგვსჯის მოძმეთა სისხლის ყოველი წვეთისთვის. — ჩაილაპარაკა კათალიკოსმა და მტკვარს გაავლო მზერა.

— ამილახვარი მოძმე არ არის, — ორბელიანმა მაღალ ტაბლაზე ისევ უსწორმასწორო წრე შემოავლო სურამის ციხეს, გასაღები ერთ წერტილს დააბჯინა და განაგრძო: — სანგარში გავმაგრდები და დაველოდები. მასაც დრო დარჩება მოფიქრებისთვის და ჩვენც მო-ვიფიქრებთ, როგორც უფრო უმჯობესი იქნება.

— იქნებ აჯობოს, ბოჭორმული ზარბაზანი ჩამოვატანინოთ? — თქვა ერეკლემ, მერე თითი დაადო ქაიხოსრო ორბელიანის გასაღე-

ბით ნანიშნებელ გორაკს და განაგრძო: — დავდგათ ამ გორაკზე და ვანიშნოთ, თუ არ დაგვნებდები, არ დაგინდობთ-თქო? თუ დაგვნებდა, ხომ უმჯობესი იქნება, თუ არა და ერთხელ გავისროლოთ ბომბი ჭორმული და კედელი გავარღვევინოთ. რაკი სიმაგრე გაიბზარება, გულშიც ბზარი შეეპარებათ და დაგვმორჩილდებიან.

— მაგ ფანდით ამილახვარს ვერ შევაშინებთ, — რჩევა არ მიიღო ორბელიანმა, და თუ ერთ სროლას მეორეს მივაყოლებთ, შიგ ამოვხოცავთ და ამოწვაზე უკეთესი არც ეგ იქნება.

— ამოწვა არ ახსენოთ! — ხელი გაასავსავა თეიმურაზმა, — მთლიანად ვემხრობი სარდლის პირველ ნათქვამს: სანგარი შემოვაელოთ და დაველოდოთ!

— ქალი იხრჩვება — ფეხზე წამოიჭრა კათალიკოსი.

ყველანი სარკმელთან მიიჭრნენ.

სასახლიდან ერთი ისრის გასროლაზე მტკვრის მღვრიე ტალღებიდან დროდადრო რაღაც საგანი ამოჩნდებოდა ხოლმე და ისევ ჩაიმალებოდა. ამოჩნდებოდა და ჩაიმალებოდა.

— წამის წინათ მთლიანად ამოტივტივდა და ნათლად დავინახე ქალის ტან-ფეხი. ღმერთმანი ქალია! — თქვა გაფითრებულმა კათალიკოსმა და ერეკლესთან ერთად კარში გავარდა.

ლილეი

ნოსტედან დაბრუნებისას ილიკოს სახლი იკითხა ერეკლემ ახალქალაქში. ბალღებმა ასწავლეს, თავად წარუძღვნენ და ლოგინადჩავარდნილი ბერიკაცი აჩვენეს თავის ბუჩუნტოში.

— შვილები სადა ეყავს? ლილე მაინც რად არ გპატრონობს? — არ მოელოდა ერეკლე, თუ ამ ყოფაში ნახავდა ერთ დროს მხნე ვაჟკაცს.

— ბიჭები ლეკის მდევარში დამიხოცეს... — დაიხვნეშა ბერიკაცმა, — ჩემი ლილე კი... ლილეი გათხოვდა და დაწვრილშვილდა. ყურისმგდებელი იქით სჭირდება. მაინც ხშირად მოდის. მაგასღა აქვს ჩემი ცოდო-მადლი...

— შორს ცხოვრობს?

— არც ისე შორს არი. გარიყულაზეა.

დაწვრილშვილდაო? ერეკლე ძალიან დააინტერესა დაწვრილ-

შვილებული ლილეს ნახვამ, თანაც იფიქრა, ფულს დავუტოვებ და ვეტყვი, ზრუნვა არ მოაკლოსო მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკიღა იმ დღისით კასპში უნდა დარჩენილიყვნენ, თავის რაზმს კასპში დალოდება უბრძანა, პირადი მცველები გაიყოლია და ილიკოს მინიშნებული გზით გაემართა ლილეს სანახავად.

ეზოში ბებერი კაკლის ხე დგასო და მალე ინიშნა.

— ოჯახის შვილებო! — შეეხმიანა წინმავალი მცველი.

— ბატონო! — სწრაფად გამოიხედა ხელცოცხიანმა სახენათელმა ქალმა.

— სტუმარს თუ მიიღებთ? — იცნო ერეკლემ ლილეს ნაპერწკლიანი თვალები.

— სტუმარი ღვთისაა! —დაიბნა ქალი და გულისპირი მომუჭა, მერე რალაც დაეჭვებისა თუ უნდობლობის ღიმილი გაუჩნდა, მოიბოდიშა და უკან გაბრუნდა, — ცოტა ხანს მოითმინეთ, ბატონო, და ახლავე დავბრუნდები.

ერეკლე მიხვდა, ლილემ რომ ვერ იცნო და ღიმილით დაელოდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ოთახიდან კამათის ხმა გამოიჭრა:

— ადექი, კაცო, ვიღაც საპატიო სტუმარი მოგვაყენა ღმერთმა!

— საპატიო სტუმარი არა, ჩემი ფეხები!

— ადე, შე გულზემიწადასაყრელო! როგო მოვიპატიჟო, შენ თუ არ გამოხვალ?

— ცოტა ეზოა, მიიყვანე კაკლი ვრილოში და რაც უნდა, ისაქმოს!

— გამოდი, კაცო, სირცხვილია!

— ჰო, კარგი, მიდი და გამოვალ, რა გული შამიღონე?!

დიასახლისი ისეთი ღიმილით გამოვიდა, ვითომც აქ არაფერიაო, და მოკრძალებით გაემართა ერეკლესკენ.

— შემობრძანდით, ბატონო! კაკლის ქვეშ დაბრძანდით და ჩემი კაციც ახლავე გეახლება!

ერეკლემ ცხენის სადავე მხლებელს გადასცა და ეზოში შევიდა:

— ლეკის მდევარში ხომ არ იყო წუხელ შენი ქმარი?

— არა, ბატონო! — გულწრფელად იუკადრისა დიასახლისმა.

— აბა, მაშ, რა აძინებს აქამდე?

— არა სძინავს, ბატონო, შინასაქმეს აკეთებს.

ერეკლემ დიასახლისს ხელი ჩამოართვა და ქალობა შეუქო, რაკიღა ქმრის აუგს ადვილად არ ამხელდა.

— გვაპატიეთ და... ვინ ბრძანდებით, ბატონო? — გაუბედა დიასახლისმა.

ერეკლეული

— გახსოვს, ვენახთან: „მეფენი ბევრი მინახავს, რომ მიდიოდეს ჯარითა, შენ ჩემს თავს, აბა, ვინ მოგცემს, და ვერც წამიყვან ძალითაო“, რომ მითხარი? აი, მოვედი, რომ წაგიყვანო.

— უი, მეფე ერეკლე! — ხელი გამოსტაცა და ისევ შინ შეავარდა, — ადე, კაცო მეფე ერეკლე გვეწვია!

— ერეკლე არა, ჩემი ფეხები! გადი აქედან, შე მამაძაღლო, უნა დავიძინო!

— უი, დაგიბრმავდა თვალები და დაგიყრუვდა ყურები, კარგი შენა ხარ! ადექი, სირცხვილია, კაცო!

— სირცხვილი არა, მირცხვილი!.. მეფე გვეწვიაო, რო მატყუებ, შენი მოსატყუებელი კბილი, რამდენი ხანია, მოვიცვალე.

— გამოდი, დაინახე და, თუ გატყუებდე, ისევ შებრუნდი!

— მემრედა, გცემო, თუ ტყუილია?

— გამოიხედე და გაიგებ, ვინც არი საცემი.

ისევ მალე გამოვიდა ლილე, მაგრამ კაცი იგვიანებდა. ამასობაში ერეკლემ ეზო და ბაღჩა მოათვალიერა და ღობეზე ასული დილის ყვავილები მოეწონა.

— ასეთი კეთილი ყვავილი გლეხის ეზოში არ მინახავს. — ღიმილით უთხრა დიასახლისს.

ქალმა ქარაგმულად გაიგო მეფის ნათქვამი.

— კეთილი ყვავილი გლეხის ეზოშიც იზრდება, მეფეო, რაკიღა ისიც ღვთის შვილია.

— თუ გლეხმა ყვავილის ყადრი არ იცის?

— თუ არ იცის, არც ექნებოდა.

— ეგებ ყვავილის თესლი აქ შემთხვევით გადმოაგდო ქარმა და მეფის ბაღს უფრო დაამშვენებდა?

— გამიგონია, მეფეებს ისედაც უთვალავი ყვავილნარი აქვთო.

— ამისთანა ყვავილი კი თვალით არ უნახავთ. — თვალები მოწკურა ერეკლემ, მერე უეცრად შუბლზე კოპები შეყარა და, — შენს ქმარს, აი, ამ მათრახით გვერდებს ავუჭრელებ!

— რადა, მეფეო?

— ყვავილს მოვლა უნდა.

— მაგ ყვავილს მე ვუვლი. — ეშმაკურად გაეღიმა დიასახლისს და ერთი ორად ლამაზი ეჩვენა ერეკლეს.

— ამ ყვავილს, ღვთის მადლით, მოვლა არ აკლია, მაგრამ...

— ისეთი კაი კაცია, ჩემი ქმარი... ცოტათი დილიძილი ეყვარს, თორემ...

— რაღა დროს დილაა, მზე შუბის ტარზეა. მერე ისევ გაიღიმა და: — ყვავილმა ხომ არ მიაჩვია დილიძილსა?

— არა, მეფეო, ყვავილები მაგას თვალის დასანახავად ეჯავრება... ცოტა ხანს დაბრძანდით და ჩემი ქმარიც ახლავე გეახლებათ.

— ლილე, შარვალი სად წაიღე, შე მამაძაღლო! — მოისმა სახლიდან.

ლილე ისევ შინისკენ გაიქცა და საჩეხიდანვე დაუტურტურა:

— თვალები გაახილე, შე დასაბრმავებელო!

— კუკუზნაქზე რო გარღვეული მქონდა, დააკერე?

— დავაკერე, ჰო, კაცო, ჩქარა გამოდი!

— მტყუნი დედას, რო არ დააკერებდი!.. ვიპოვე, ვიპოვე, დაკერებულია!

ცოტა ხნის შემდეგ დაბალ, თოქმა კაცს შარვლის ხონჯარი მაგრად ჩაებლუჯა... ეტყობოდა, შეკვრას არ აპირებდა, რაკიღა ისევ ლოგინში ჩაწოლა ჰქონდა განზრახული და ღია კარიდან იჭყიტებოდა. მერე, რაკი თავის ეზოში მართლა უცხო კაცი დაინახა, კარი მიხურა და აღარ გამოჩენილა.

ერეკლეს უსიამოვნება მოჰგვარა კაცის დანახვამ. ქალმა შეატყო და ბოდიშობა დაუწყო:

— ცოტათი გონჯია, მეფეო, მაგრამ ძალიან კარგი გულისაა.

— შეხედულებით ვაჟკაცს არ იწუნებენ, მაგრამ თუ საპყარია, რა თავში უნდა იცე მაგისთანა ქმარი?!

— რა ვქნა, ბატონო, ყველანი ესე მაწონებდნენ, ცოტა ტანდაბალია, თორე კარგიაო, და მე რაღა მექნა?

— ეე, დაულუპიხარ ილიკოს, ჩემო დაო! აბა, წამოდი, შინ ვეწვიოთ!

— არა, მეფეო, თვითონ გეახლებათ... გამოდი, კაცო დროით!

— ბავშვები თუ გყავს?

— ოთხი.

— ბიჭები?

— ყველანი ბიჭები არიან.

— მაგას თუ ჰგვანან?

— არა მგონია, მეფეო. პაპასა ჰგვანან.

ერეკლემ სახლისკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს კარი ხელახლა გაიღო და ჩამრგვალებული კაცი გამოვიდა:

— გამარჯობა! — უნდილი, მოკლე ხმით მიესალმა ერეკლეს.

— გაგიმარჯოს, მაგრამ... ქართველი კაცი რომ დილის ძილს გაჭიმავს, რის ნიშანია.

— არკი მეძინა საქმეს ვაკეთებდი... ეს კიდე მატყუებდა, მეფე მოვიდაო, და ამაყენა.

— უბრალო აზნაურიც რომ ვიყო და მასპინძელს ვკითხულობდე, ასე დაგვიანება გაგიგონია?

— გამიგონია, მაშა! ე, ჩემი დედაკაცი კიდე მატყუებდა, მეფე გვეწვიაო. მა, ნეკნები არ უნა ჩავუბრუნო?

— ნეკნების ჩაბრუნებაზე ნუ იქნება, თორემ... — მათრახი შეათამაშა ერეკლემ.

— ვა!..

— ღვთის ცეცხლი!.. შუადღემდე რომ ქვეშაგებში გდიხარ და დედაკაცი კიდევ მარტო იტანჯება?!.

კაცმა დატუქსული ლეკვივით კუდი ამოიძუა და ბალჩისკენ გაპარვას შეეცადა.

— სად მიდიხარ, კაცო, მეფეა, კაცო?

— მეფე არა, ჩემი ფეხები!

ერეკლეს მწარედ გაეცინა და ლილეს უთხრა, ბავშვები მაჩვენეო.

სახე აეტკრიცა ლილეს. კარგა ხანს ვერ მოახერხა, რა ეპასუხა. ბოლოს გაბედა და:

— ნუ ინებებთ, მეფეო!

— რატომ? — გაიკვირვა ერეკლემ, — შენი შვილები ჩემი შვილებიც არიან და უნდა ვიცოდე, ვინ მეზრდებიან.

— მაგაზე არ ვამბობ, მეფეო, ბალღები ჯერ ისევ წვანან და...

— მძინარე ბავშვებზე უკეთესი სანახავი არაფერია.

— არც მაგას მოგახსენებთ, — დაიმორცხვა ქალმა და სახეალეწილი გაუძღვა, — თან ქმარს გასძახა: — მოდი, კაცო, სად უკულმა მიდიხარ!

— მათრახით მემუქრება და...

— მოდი, მოდი, არას დაგიშავებ. — დაუყვავა ერეკლემ და ზღურბლზე გადააბიჯა. ოთახის ნახევარზე მატყლი ეფინა. ბავშვები არსად ჩანდნენ.

ცოლმა ქმარს რაღაც ანიშნა.

— მიდი, ორთითა შემომიტა, რომ მატყლი ავჩეჩო! პანღურით უთხრა ქმარმა და კარისკენ ანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ისევ ცოლი დაიხარა, მატყლი გადაქექა და ოფლიანი ცვარული სახე უჩინა თვითეულ ბავშვს.

— ღმერთო, დიდებულო, ნამდვილი ანგელოზები არიან! ადექი, ჩემო დაო, და ნუღარ იტირებ! — ერეკლემ უბიდან ქისა ამოიღო და უზომოდ დარცხვენილ ლილეს ძალით ჩასჩარა მუჭაში: — ამ ბიჭებს ყველაფერი უყიდე! ისეთები დაზარღე, მეფეს რომ გაუხარდება!.. შენ კი, ჩემო ძმაო, — მიუბრუნდა ლილეს ქმარს, ვხედავ ძალღონე არ გაკლია და ამ ყვავილს ნუ დამიჭკნობ, თორემ... სიმამრსაც ჩახედე!..

— თუ მართლა მეფე ხარ, ყველაფერს დაგიჯერებ, მაგრამ მეფეს ჩემს სახლში ვინ მოიყვანდა?

— თბილისში ჩამოდი და სასახლეში გამიცანი!

— იქ რაზე მამუშავებ, რო წამოვიდე?

— საჯინიბოებს დაგასუფთავებინებ.

— ჩემ ცოლ-შვილ ვინდა შეინახავს, თორე წამოვიდოდი.

— ერთი მჭამელი მოაკლდება და ცხოვრება გაუიოლდებათ. შენც ჯამაგირს გაგიჩენ და გამოუგზავნი.

— თუ ეგრეა, მართლა წამოვალ, მაგრამ მეფეები კახელები არიან და ქართლელებს უდივრად ექცევიანო.

— ძილში ხომ არ მოგახსენეს?

— არა, ცხადად ამბობენ ჩემი მეზობლები.

— არ დაუჯერო, მეფეო, ამისთანა უსაქმურები ვინც არიან, იმათ ნათქვამს იმეორებს! — მოუბოდიშა ლილემ ცრემლების წმენდით, მერე უეცრად ბრაზი წაეკიდა, ქმარს თმაში წასწვდა და ღონივრად შეანჯღრია.

ბერ-მონაზონი გაბრიელი

როგორც კი პაატა აბაშიძემ თავი სამშვიდობოს დაიგულა, ძილქუში დააწვა და რამდენიმე თვეს გაბმით ეძინა. მხოლოდ დედამისი შედიოდა დილა-საღამოს, გათენება-დაღამებას აგებინებდა და საყუათო საჭმელი შეჰქონდა.

როცა გემრიელად გამოიძინა, დაისვენა და ძალღონე მოიკ-

ქ. სსრ 17 კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

К 204.196

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიბა, მაშინდა ვამართა დედასთან საუბარი:

— ვინ გაიმარჯვა?

— რა თქმა უნდა, ერეკლემ და თეიმურაზმა.

— ნუთუ ვიეი ამილახვარი დაამარცხეს? — იდაყვზე წამოიწია და დედამ შენიშნა, რომ ხანგრძლივი წოლით როგორღაც გაჯირჯვლებულიყო და გასქელებულიყო, თუმცა აბაშიძეთათვის დამახასიათებელ სილამაზესა და ახოვანებას ამით არაფერი დაჰკლებოდა და შეშატებოდა კიდეც. ვახუშტისთან უზომო მსგავსება შენიშნა ანუკამ და ეამაყა კიდეც.

— შეუბმელად გაშორდა იქაურობას და ახალციხეში გადასვლა მოინდომა, მაგრამ ერეკლემ გზა შეუკრა.

— მერმე? — წამოჯდა პაატა და ფეხები მაშიებში ჩაყო.

— სპარსეთს განამწესეს.

მეც ეგ დღე მელოდა, თუ დროზე არ დავუსხლტებოდი, გაიფიქრა პაატამ და მაცდურად გაიღიმა. გაახსენდა, ვიეი ამილახვარი რომ დისშვილობით უხმობდა და აგულიანებდა.

— ერეკლემ შაჰობის მაძიებელი ტყვე გაგზავნა სპარსეთში და იქიდან კი ქართლ-კახეთის სამეფო რაყამი მოიტანა. ქართლი თეიმურაზს ებოძა და კახეთი — ერეკლეს.

შაჰობის მაძიებელზე ვორის ციხეშივე მოჰკრა ყური, მაგრამ ჭორი ეგონა, ახლა კი დარწმუნდა, რომ რაც იმ უცნაურ მამა-შვილზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ, სიმართლე ყოფილა.

— შანშეს ძე იოვანეც სპარსეთს გაქცეულა.

— ეგ რაღად?

— თეიმურაზს თვალებდათხრილი მამამისი გამოუთხოვია და მაგისი შეშინებია: დაუსჯელად არ გადავურჩებიო.

— ქართველი თავადები რას ამბობენ თეიმურაზის ბატონობაზე?

— უმეტესნი ემხრობიან, უმცირესნი ღელავენ, ვეეთნი კი ყოყმანობენ.

— უმეტესნი თუ ემხრობიან სხვანიც ვერას გახდებიან მაგ მგლებთან.

— მაგას ნუ იტყვი, შვილო! ხომ იცი, როგორი დაუნდობელია შენი ღვიდაშვილი?

პაატა აბაშიძემ ხალათი ჩაიცვა, წამოიმართა და დარბაზი გაავსო.

— ჩვენები სად არიან? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ.

— მოვიდა. ბავშვიც მოიყვანა, — მიხვდა ვისზეც ეკითხებოდა პაატა, — მაგრამ გეძინა და ვერაფერი შეგბედა. მოვაყვანინებ, თუ მეტყვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გურამი მომიყვანე! — თქვა და დარბაზში გაიარა.

— შენთვის იტანჯება და თავს არ განებებს. რამდენჯერმე შემოხვლა და გაღვიძება დაგიპირა, მაგრამ მე არ გავუშვი, — წამოდგა ანუკა და გარეთ გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ გურამი შემოვიდა. მოწყენით იღიმოდა.

— დდდ... დიდხანს გეძინა, ببب... ბატონო.

— ახლა მკითხე, გურამ, რაც გაგიხარდება. ჩემი ვონება ხმალივითა სჭრის.

— სსს... საქონელი მინდა.

— რომელი საქონელი?

— ორფეხი.

— ორფეხ საქონელს დედა მოუკვდა. დაივიწყე!

— ممم... მგელი ცხვრის دددد... დევნას როგორ დაივიწყებს?

— ერეკლესა და თეიმურაზს რაყამით მიულიათ ქართლ-კახეთი.

— ممم... მერე?

— ხმალზე აგვაგებენ.

— მაშ, არასოდეს აღარ ززز... გამატან?

— არა, — მკვეთრი მოძრაობით შებრუნდა პაატა და მღვრიე თვალებში ჩააცქერდა განუყრელ მეგობარს.

— ممم... მაშინ ززز... გამიშვი!

— დასავლეთში?

— იქ არ ممم... მიმესვლევინება.

— მაშ, სად წახვალ?

— ببب... ბერად ششش... შევდგები.

პაატა აბაშიძემ ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, რომ სათავსოში მიმავალი ანუკა ეზოში შეჩერდა. გამობრუნდა და კარი შეაღო:

— რა მოხდა, დედა გენაცვალოს?

— როგორ თუ რა მოხდა, ბერად შედგომას აპირებს გურამ კიკნაძე. ამას რომ ბერ-მონაზვნის ტანსაცმელი დამშვენდება, როგორი საქმეა?.. ხა-ხა-ხა-ხა!..

მის ხარხარზე ანუკასაც გაეღიმა და გურამმაც თავი ვეღარ შეიკავა. ბოლოს, როგორც იყო, სიცილი ჩამოისხიპა და:

— ررر... რად უკვირს, ققق... ქალბატონო? ززز... ვინდა მკვდარი

და გგგ... გინდა შინმიუსვლელიო. ხხხ... ხელობას ममम... მართმევს და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ხელობა წაართვი, შვილო?

— მე კი არ წავართვი, ერეკლე ბატონიშვილი გვიკრძალავს ტყვეების გაყიდვას.

ანუკას ღრუბელმა გადაუარა ჯერ ისევ მშვენივრად გატკეცილ შუბლზე:

— არ გინდა, დედა გენაცვალოს, მაგ საქმეს ნუ ემსხვერპლები!

პაატამ დედის შეგონებას ყურადღება არ მიაქცია და ისევ გურამს მიუბრუნდა, გაღიმებული:

— მერედა, იცი, ბერად შედგომას რა სჭირდება.

— ყველაფერი ვიცი.

— სად გაიგე?

— ममम... მცხეთაში. გგგ... გაბრიელი უნდა ददद... დამარქვან.

— მაშ, თუ ასეა, გზა დამილოცნია მონასტრისკენ, მამაო გაბრიელ!... ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

კათალიკოზის პირველი მისია

მთელი საქართველო მოაწყდა მცხეთას: კახთ ბატონი თეიმურაზი ძველ-ქართული წესით ქართლის მეფედ უნდა აკურთხონო. ისიც გაეგოთ, გივი ამილახვარი ციხიდან გამოიყვანეს და სპარსეთს გაგზავნესო, მაგრამ მეფედ კურთხევის ნახვის ცდუნება ისე დიდი იყო, გივის სასჯელი აღარ აგონდებოდათ. უმეტესობას არც ენაღვლებოდა და უხაროდა კიდეც: ქართლში მშვიდობა დამყარდებაო.

მდიდრულად მორთულ კარავთა შორის ოქსინოთი მოფარდაგული კარავი იქცევდა ყურადღებას, რომელიც ხალხის ვარაუდით მეფისთვის იყო განკუთვნილი. ყველას ყურადღება სწორედ ამ კარვისკენ და თბილისისკენ იყო მიპყრობილი, საიდანაც საზეიმოდ გამოწყობილი ჯარი უნდა შემოსულიყო მეფესთან ერთად.

ღვინობისთვის პირველი დღე იყო, მშვიდი და მზიანი. დრო ზანტად გადიოდა და ხალხი ღელავდა. ნაშუადღევსღა გამოჩნდა საუცხოოდ გამოწყობილი ცხენოსანთა ჯარი, რომელსაც ქაიხოსრო ორბელიანი მოუძღოდა. მარჯვნივ და მარცხნივ კონსტანტინე მუხრანბატონისა და დიმიტრი ამილახვრის სადროშონი მოდიოდნენ და ცენტრში კი — მეფე თეიმურაზი თავისი სადროშოთი.

— დიდება ქართლის მეფე თეიმურაზს! — დაიძახა ვიღაცამ, რომ-ცა თეიმურაზის სადროშო ხალხს დაუპირდაპირდა. ხალხმაც ხმა ამოსცა და ამ შეძახილით მიაცილეს კარვებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარავში მხოლოდ დარბაზის ერი შეჰყვა თეიმურაზს და ღირსების მიხედვით დაიკავეს დასაჯდომი თუ სადგომი ალაგი.

ხალხი ზიმზიმებდა, ფუტკარივით ზუზუნებდა და კარვისკენ იწევდა, მაგრამ, რაკი ჯარი ელობებოდა, ისევ უკან აწყდებოდა და მოუთმენლად ელოდა, მეფე კარვიდან როდის გამობრძანდებოდა და დიდებულებით გარშემორტყმული ტაძრისკენ როდის წაბრძანდებოდა.

კარვა ხანს ელოდნენ და, აი, დადგა ნანატრი წუთიც. ჯერ მეთოფენი გამოჩნდნენ და შემდეგ კი — მეფე თეიმურაზი. მისი მარჯვენა მკლავი მთავარსარდალ ქაიხოსრო ორბელიანს ეჭირა და მარცხენა — კონსტანტინე მუხრანბატონს. უკან კი ლამაზად შეჭურვილი ახალგაზრდები მიჰყვებოდნენ. როგორც კი ამალა ტაძრისკენ დაიძრა, ტაძრიდან მრავალრიცხოვანი სამღვდელოება გამოეგება, თაყვანითა და ხელზე ამბორით მიუახლოვდნენ და ტაძრისკენ წარუძღვნენ, სადაც მგალობელ დასთა გუგუნი ისმოდა.

ამბიონზე ორი მაღალი სელი იდგა. ერთზე თეიმურაზი დაბრძანდა, ხოლო მეორეზე — კათალიკოსი ანტონი. მათ გვერდით კი თექვსმეტი მღვდელმთავარი ჩამწკრივდა.

— რა რჯულისა ბრძანდებით, მეფეო? — დამარცვლით ჰკითხა კათალიკოსმა.

— ქრისტიანი. — გარკვევით უპასუხა თეიმურაზმა და გულში ნათელი ჩაუყენა დამსწრე საზოგადოებას.

ამის შემდეგ ანტონმა აღთქმის ეპისტოლე წაუკითხა და ბისონ-პორფირით შემოსა მეფე, თავზე გვირგვინი დაადგა, მარჯვენა ხელში სკიპტრა მისცა, ხოლო — მარცხენაში სამყაროს სფერო. შემდეგ სამეფო ტახტზე დააბრძანეს და ქაიხოსრო ორბელიანმა ხმალი შემოარტყა. ამის შემდეგ სათითაოდ მიდიოდა ყველა იქ დამსწრე და მის ხელსა, პორფირ-ბისონსა თუ ტახტის ფეხებს ეამბორებოდნენ.

ეკლესიის გარეთ კი კვლავ ზიმზიმებდა მილეთის ხალხი, ისევ ფუტკარივით ზუზუნებდა და მოუთმენლად ელოდა დედაფუტკრის გამოჩენას.

უცებ თოფებისა და ზარბაზნების გრიალი გაისმა. ამ ხმას კი სპილენძჭურთა და დაფდაფთა ცემის ხმა მოჰყვა.

— მეფე მობრძანდება!

— მეფე მობრძანდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა სისხლისფერი ბისონითა და სკიპტრა-გვირგვინით მშვენებული მეფე დაინახეს, რომელსაც გვერდით ახლა უკვე ერეკლე ბატონიშვილი მოჰყვებოდა, უფრო ძლიერად გაისმა ხალხის შეძახილი:

— დღეგრძელობა მეფე თეიმურაზს!

— სიცოცხლე და უკვდავება ხალხის ხელმწიფეს!

თეიმურაზი მადლობის ნიშნად აქეთ-იქით ესალმებოდა და ხალხის დერეფანში მიიკვლევდა გზას სამეფო კარვისკენ, სადაც დედოფალსა და დანარჩენ დიდებულებს უნდა მიელოცათ მეფობა. იქიდან კი უკიდეგანო სეფაში უნდა წაბრძანებულიყო, სადაც ოთხივე საფრიშოს ჯარი და ყიზილბაშთა დიდებულები ელოდნენ.

კარვისკენ მიმავალმა ანტონმა ტყაპუჭიანი ბერიკაცი შენიშნა და რაღაც გაახსენდა. იქვე სამი ყმაწვილი დაინახა, რომლებიც კუნძზე თუ ლოდზე შემდგარიყვნენ და მთელი თავით ასცდენოდნენ ხალხს. უნდოდა, ეთქვა, ძირს ჩამოდითო, მაგრამ ვერ მოახერხა. მინიშნებით კი ანიშნა, მაგრამ, ვერ მიუხვდნენ და ადგილიდანაც არ დაძრულან.

კარვიდან სეფაში გამოსვლისას ისევ შენიშნა ანტონმა ის ბერიკაცი, რომელმაც თითქოს მისი ყურადღება იგრძნო და უკან აედევნა.

— სადაური ხარ? — ჰკითხა ბერიკაცს.

— მოხუცი განაცვიფრა კათალიკოსის მოულოდნელმა შეკითხვამ და თითქოს დაიბნა კიდეც, მაგრამ ჩქარა გონს მოეგო:

— თიანელი ვარ.

— დროთეოზის პაპა ხარ, დათვიანი? — ამალას ოდნავ ჩამორჩა კათალიკოსი.

— საიდან იცნობ?

— გახსოვს, ერწოს გადასახეევზე პანტას რომ კრეფდი და ხმალი მაჩვენე?

— ესა? — ტყაპუჭი გადაიწია ბერიკაცმა და დანჯღრეულბუნიანი ხმალი დაანახვა. — მაშ, ის ბალღი ხარ? — გაკვირვებისაგან ყბა დაიღო ბერიკაცმა და უკბილო პირში ენა გამოუჩნდა, — შენი ოჯახი ააშენოს ღმერთმა, აკი მითხარი, პატრონი ვამოვიჩნდებაო?!.

— ქალაქში მნახე! — დააჩქარა კათალიკოსმა, — ოღონდ იმ ბიჭებს უთხარი, ძირს ჩამოვიდნენ.

— ვინ ბიჭებს? — გაიღიმა ჭრელომ სამი მკერდშემართული, ჯერ ისევ უწვერელი ყმაწვილის დანახვაზე, — ეგენი მაგ სიმაღლეებზე არიან და ფეხებიდან ხო ვერ ჩამოვლენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა

ხაზამთრის ქერქებსა და მტვერში ჩაკარგულ ნანგრევებში თვალებაშრეტილი კაცი იჯდა. დროდადრო ეღალ, ოდნავ გამეჩხერებულ წვერს აცანცარებდა და რაღაცას ბუტბუტებდა, როგორც კი იგრძნობდა, რომ მის ახლოს არავინ ტრიალებდა. უეცრად იგრძნო, რომ მის წინ ვიღაც შეჩერდა და დაჟინებით დააშტერდა. თვალებდაშრეტილმა კაცმა იუხერხულა, აიმრიზა და ზურგი შეაქცია.

— როგორ ბრძანდები, შანშე ბატონო? — შემოესმა ძალიან ნაცნობი ხმა.

ამ ხმის გაგონებამ უცნაური ტკივილი აუშალა შანშე ერისთავს, გული შეუკუმშა, მაგრამ შეკუმშული გულის რომელიღაც კუნჭულში ნათელი შუქი ჩაუყენა. ოდნავ შემობრუნდა, შუბლი გახსნა და დუმილი ამჯობინა.

— ჰაი დედასა! — დაიკვნესა ნაცნობმა ხმამ, და უმალ მიხვდა შანშე, მის წინაშე ვინც იდგა.

— ჩემზე უარეს დღეში სხვანი არიან, გივი ბატონო.

არ შეცდა შანშე. ბუნებისა და კაცთაგან ჯერ ისევ გაუტეხელ გივი ამილახვარს ელაპარაკებოდა, რომელსაც შანშეს ვარაუდით სახეზე ოდნავი სინანული გასჩენოდა, მაგრამ სინანული რით იყო გამოწვეული, ვერვინ გაიგებდა.

— რაო, შენც ვაგამწესეს? — იკითხა შანშემ დუმილის შემდეგ.

— ვამჯობინე, ჩემი ფეხით ვეახლო, — გივიმ ყელთან მოწოლილი ბოლმა ვაგლახით ჩაყლაპა და წელანდელი შანშეს მსგავსად გვერდზე გაიხედა.

— შენი სურვილით? არა მჯერა, ამილახვარო!

— დედოფალი მომყვებოდა, ხელმწიფეს მე თვითონ შევაგვედრებო, მაგრამ...

— კაცს როცა შესაგვედრებლად გაუხდება საქმე, ადარც მის სურვილს უწევენ ანგარიშს, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამოიხვნეშა შანშე ერისთავმა.

გივი მიხვდა, რომ რაღაც დააშავა შანშესთან გამოსაუბრებით, ჩიხში მოექცა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. უხერხულობის მოსალ ცილებლად მხცაშერეული წვერი ხელით ჩამოიწურა და ცნობისმოყ ყვარედ ჩააშტერდა ჩაშრეტილ თვალებში. შანშემ შეიგრძნო მისი დაჟინებული მზერა და ლოდზე გასწორდა:

— რაც ნადირ-შაჰმა თვალები ამომხადა, ხედვა და ალღო მო-მემატა, — ამოიოხრა ცნობისმოყვარე მზერის პასუხად და მცირე ხნის შემდეგ კი დაამატა: — რაო? შენ რაღად გიხიმანდრეს, რად დაგატყვევეს?

— არავის დავუტყვევებივარ, სურვილით მივდივარ ნადირ-შაჰის კარზე. — თვითონვე არ ირწმუნა გივიმ თავისი ნათქვამი, გულმოს-ვლის ნიშნად თვალები გადააბრიალა და თავადაც არ იცოდა, რად დაამატა: — კახთ ბატონის ცოლი რომ არა...

— შენი საყვარელი ბიძაშვილი?..

გივიმ ინანა, მოსიხლე მტერს რატომ ჩავყევი საუბარშიო და ისევ შეეცადა პირის არიდებას. მერე თითქოს გადაიფიქრა და:

— ხვდავ, დავშორდით მტრებად და შევხვდით...

— მოყვრებად?.. არა, ამილახვარო, მაგას მხოლოდ ის გათქმე-ვინებს, მე რომ საქართველოს ეუბრუნდები და შენ კი ისპაჰანს მი-გაცილებენ. ძალლისა კუდი არც გასწორებულა და არცა ოდესმე გა-სწორდება. ჩემი მამულის სიხარბე ნიადაგ გახრჩობდა და კულავაც დაგახრჩობს.

— მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობისთვის ვიღწოდი, შან-შე ერისთავო.

— საკუთარი მამულის გაფართოება გეწადა, გივი ამილახვარო.

— ნუ შემინდობს ღმერთი, თუ ეგ ცოდვა მქონდეს!

— შენ ღმერთი არა გწამს!

— არც შენ გწამდა, არაგვის ერისთავის ცოლ-შვილი რომ კოშ-კში ამობუგე.

— ყველას სანაცვლო მიეზღვება, ამილახვარო.

გივის გაახსენდა, სურამის ციხეში როგორ შევიდა თამარი — თე-იმურაზის მეუღლე და როგორ შეაცდინა, ოღონდაც გამოდი, ჩემს ქმარ-შვილს სიხლს ნუ დააღვრევინებ და შენი სიცოცხლის თავ-მდები ვიქნებიო, გივიმ დაუჯერა საყვარელ ბიძაშვილს და სანანე-ბელი გაუხდა. არ უნდა მინდობოდა და სანანებელი არ გაუხდებოდა. ახლა რა მიიღო სანაცვლოდ? თუნდაც სიცოცხლე შეუნარჩუნონ,

ვერაფერში გამოიყენებს. გალიაში ნამწყვდევი ლომი ლომი აღარ არის.

— ყოველმა კაცმა საკუთარ თავში უნდა ეძიოს ნაკლი, მაგრამ ვაი ის არის, რომ სხვის თვალში წკირსა ვხედავთ და საკუთარში დვირსაც არა. — ამილახვარს ჩაშრეტილ თვალებში უნდა ჩაეხედა შანშესთვის, მაგრამ მოულოდნელად უჩვეულო ზიზღი შეიგრძნო და წასვლა დააპირა.

ნუ წახვალ! — გუმანით მიხვდა შანშე ერისთავი და უსინათლო თვალები სივრცეს მიაპყრო იმ მიმართულებით, საითაც ძველი მეტოქე ეგულებოდა: — დაულუპიხარ შენს ბიძაშვილს, რაკიღა საისპაჰანიდ გაუწირიხარ.

— ვფიქრობ, არც შენ გელის უკეთესი დღე ერეკლეს ხელში.

— ერეკლე ვინ არის?

— კახთა ბატონი.

— კახთა ბატონმა კახეთს უბატონოს.

— საუბედუროდ ქართლსაც ბატონობს და მამას არ აცდის, — უნდოდა ეთქვა, ერეკლე რომ არა, სხვაგვარად წარიმართებოდაო ჩემი საქმე, მაგრამ დუმილი ამჯობინა, — მშვიდობის მგზავრობას გისურვებ, ერისთავო!

— დასათხრელი თვალები უკვე დამთხარეს და სხვას რას მიზამენ?

— სანამ კაცს თავი მხრებზე ადგია, ყოველი სასჯელი მიესადაგება.

შანშემ სივრცეს გაულიმა მწარედ:

— ყველაფერი უფლის ნებაა.

— კარგად იყავი!

— შენც მშვიდობით შემობრუნებულიყავი შენს მამულში, მაგრამ, ვაი, რომ იქით ჩავლილი ბევრი მინახავს და შემობრუნებული — არავინ. — შანშეს ისევ მწარედ გაეღიმა და გუმანით იგრძნო, თითქოს დამცინავად უყურებდა ამილახვარი. დედას ვიტირებო, გაიელო გულში და კბილები გააკრაჭუნა.

* * *

სპარსეთიდან დაბრუნებული შანშე ერისთავი თბილისის სახახლეში წარუდგინეს მეფე თეიმურაზს. ეს ის დრო იყო, როცა კახეთიდან ახლადდაბრუნებული ერეკლე ცხარედ ეკამათებოდა მამას და

ალლის უწუნებდა, ხშირად ტყუვდები ხოლმეო: რომ მოახსენებს, შანშე ერისთავი გეახლათო, კამათი შეწყვიტეს და ერთმანეთს შეხედეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოიყვანეთ! — ბრძანა თეიმურაზმა ყოყმანის შემდეგ.

გამყოლმა დარბაზისკენ წაიყვანა შანშე. ერისთავმა როგორც კი ივარაუდა, კარებში შეეედიო და მეფის ხმა გაიგო, გამყოლის ხელი იუხერხულა და თავად შეეცადა მეფემდე მისვლას. ნაბიჯის გამოთვლით რომ მიხვდა, მეფეს საკმაოდ მიეუახლოვდებიო, შეჩერდა და თავი დაუკრა:

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ქართლის უფალს, მეფე თეიმურაზს!

— მშვიდობა შენს დაბრუნებას, ერისთავო! — მიუახლოვდა თეიმურაზი, მარცხენა მხარზე ხელი შეახო და მარჯვენა ჩამოართვა. მერე სავარძლისკენ წაიყვანა და დააბრძანა.

— გმადლობთ, მეფეო! — ჩაშრეტილი თვალებით აჰხედა შანშემ და სავარძელში გასწორდა.

— როგორ გიკითხოთ, ერისთავო? — იცნო შანშემ პატარა კახის ხმა.

— ოჰ, ეს შენა ხარ, ბატონიშვილო? — გაეღიმა შანშე ერისთავს და ამილახვარის ნათქვამი გაახსენდა, მამას არ აცდისო, — შენი ემირობის ამბებს ყოველდღე ვგებულობდი ისპაჰანს და უზომოდ ვხარობდი: ერის სიკეთისთვის თავსა სწირავსო.

— ერისთვის თავგანწირვა ვალია მეფეთათვის. უკეთუ ყმა გასწირავს, ემირობა მას ეთქმის.

— ღმერთმა გაბედნიეროს, შვილო! — სახე მიაპყრო ბატონიშვილს, მაგრამ იფიქრა, შეეეზიზღებიო, და უმალ ჩალუნა თავი, — ღმერთს ვევედრები, ყველამ ისეთი კეთილი თვალით შემოგხედოს, როგორც საუკუნოდ დასჯილი ჭსნის ერისთავი შემოგყურებს! — დალოცვა რომ მოათავა, მაშინლა მიხვდა შანშე თავის შეცდომას. ერეკლესაც ეუხერხულა ასეთი დალოცვა, მამას შეხედა და მწარედ გაეღიმა.

— თუ ვინმე ფიქრობს, შანშე თვალებიდან ვერ იყურებაო, მოტყუებულა, — ნათქვამის გასწორებას შეეცადა ერისთავი, — ახლა დავრწმუნდი, რომ ღმერთს ადამიანისთვის თვალი კი არ მიუცია სახედველად, არამედ გონება და გუმანი. აი, თუნდ გუშინდელ შემთხვევას მოგახსენებთ: თქვენი სახლის ახლობელი გივი ამილახვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი შემხვდა და თვალდაშრეტილმაც კარგად ჩავიხედე მის სულში.

— არეულობა ხომ არ არის შაჰის კარზე? — თეიმურაზი შეეკითხა ... სხვა სადინარი მიეცა საუბრისთვის.

— არეულობა ჯერჯერობით არაფერია და წყალობით გიყურებთ ნადირ-შაჰი, გივი ამილახვარმა თუ ავად არ დაგასმინათ. ნადირი ენის ამყოლია და ეჭვიანი, არავინ იცის, რა განარისხებს.

— ნუთუ გივი ამილახვარს შენიშნე რამე ჩემდამი საორგულო?

—აკი გითხარით, თვალი კი არა, გული იხედება-მეთქი. სულში ისე ჩავხედე, კარგს არას გიპირებთ.

— რას გვემართლება? დედოფალი მიჰყვებოდა და არ ინდომა. სამაგიეროდ წერილი გაატანა ხელმწიფესთან, სიცოცხლის შენარჩუნებას ემუდარება.

— უმადური კაცი უმადური იმით არის, რომ ყოველ სიკეთეს სიბოროტითა და გესლით პასუხობს. თუ გაის ამ დროს შაჰის კარზე არ დაგიძახეს, ეჭვი ყოფილა ჩემი გუმანი, თუ არა და მაშინ დარწმუნდები, რომ თვალდავსებული შანშე კვლავაც შეუმცდარად ხედავს ყოველივეს და კვლავაც შენი სახლის ერთგულია.

— ამ ერთგულებისთვის მიბოძებია შენთვის სახელო — ქსნის ერისთავობა! — სიხარულით განუცხადა თეიმურაზმა, — გივი ამილახვარი კი... ამილახვარი უკვე დიმიტრია და ეგრეც დარჩება;

— მამი! — აღმოხდა ერეკლეს, მაგრამ ენა ველარ მოიბრუნა და დადუმება ამჯობინა.

ეწყინა ერეკლეს, ძალიან ეწყინა, განთავისუფლებული და მეფის ტახტს შემოერთებული ქსნის საერისთავო რომ ხელახლა ჩამოიშორეს.

— ერთგული კაცის შოვნა ძნელია, შანშე ბატონო, და ადვილად არ უნდა ჩამოიშორო, — თავისი საქციელის გასამართლებლად განაცხადა თეიმურაზმა და შვილს მიუბრუნდა: — რის თქმა გეწადა?

— არაფრის... კახეთში წავალ. — უხალისოდ უპასუხა ერეკლემ.

— წადი, მიჰხედე!

— ერეკლე ბატონიშვილმა ხალისი დაუკარგაო ლეკთა მარბიელს —ჭვრს, უთხრა გახარებულმა შანშე ერისთავმა, რაკიღა თავისი სამფლობელო ასე იოლად დაიბრუნა და გუმანით ხედავდა, განრისხებული თვალები რომ ჰქონდა ერეკლეს. კახეთში წასვლის გამო კი არ აღმოხდა მკვეთრი შეძახილი მამის მისამართით, არამედ შანშე ერისთავის ხელახლა აღზევების შიშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის ქართლის მეფედ კურთხევამ კიდევ უფრო გამოიცა ისედაც ორად გათიშული ქართლის თავად-აზნაურობა. ორად კი არა, მრავალგვარად იყო გათიშული, მაგრამ თეიმურაზის მიმართ ორად ითქმოდა, რაკიღა ერთი ნაწილი მის გამეფებას ემხრობოდა და მეორე ნაწილი ეწინააღმდეგებოდა. ისე კი ყველას თავისი გეგმა ჰქონდა: ზოგი ისევ ბაქარის დაბრუნებაზე ოცნებობდა, ზოგი აბდულა ბეგს ამხნევებდა, ზოგი ანტონ კათალიკოსს აგულიანებდა: კათალიკოსის მოსასხამი მოიძრე, გამოგყვებით და ტახტი დაიბრუნეო, ზოგი ისევ ამილახვრის აღზევებაზე ოცნებობდა და ეჩვენებოდათ, რომ სამყაროს მბრძანებელი უხვად დასაჩუქრებულს გამოისტუმრებდა და კვლავ ქართლის მოურავობას უწყალობებდა. სხვებს სხვა აზრი ჰქონდათ. მაგრამ ერთურთს არ უმხელდნენ და გულში ინახავდნენ. ელოდნენ, როცა დრო დადგებოდა და მხოლოდ მაშინ აიმაღლებდნენ ხმას. თვით ამილახვართა ბიძაშვილობაც გათიშული იყო. ერთნი გივის უჭერდნენ მხარსა და დიმიტრი ამილახვრის მტერთა ბანაკში მოექცნენ, მეორენი დიმიტრის მხარეზე აღმოჩნდნენ, მესამენი თავად ფიქრობდნენ ამილახვრის სახელის დაპატრონებას და ამითღა ამართლებდნენ თეიმურაზის ქართლში გამეფებას.

ქართლელ თავადებს, მათაც კი, ვინც თეიმურაზს ემხრობოდა, ერეკლეს პოლიტიკისა ეშინოდათ. ისინი ხედავდნენ, რომ ერეკლემ მოწინააღმდეგის დაზოგვა არ იცოდა და ერთგული ადამიანის მოწინააღმდეგედ მიჩნევა კი ძალიან ადვილი იყო. ამიტომაც გაურბოდნენ მასთან ურთიერთობას და ისევ თეიმურაზის მორჩილებას რჩეობდნენ. განსაკუთრებით ამილახვრები აიმრიზნენ ერეკლეზე, რაკიღა გაიგეს, რომ ერეკლე საამილახვროსთვის დროშის ჩამოყრას აპირებდა და თეიმურაზის მეფედ კურთხევის დრის მესამე სადროშო თურმე დიმიტრისთვის არ ემეტებოდა. ზოგიერთნი იმასაც ამბობდნენ, თავად უნდოდაო მისი სარდლობა, ამას კი აღარ ფიქრობდნენ, რომ კახეთი იყო მისი სარდლობით წარმოდგენილი, ის კახელი ვაჟკაცები, რომლებმაც გზაზე დახვედრილ ყაჩაღებს თავები წააცალეს, მახვილებზე ააგეს და დროშებივით შემოიტანეს თბილისში, საიდანაც მცხეთაში უნდა ხლებოდნენ თეიმურაზს ერეკლე ბატონიშვილის წინამძღოლობით.

ქართლის თავადებში ასეთი მითქმა-მოთქმა არა ცხრებოდა და ყველა თავისებურ გეგმას ადგენდა მომავლისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ხალხი დაცხრა თანდათანობით. ერთნი თუ დიდებულთა ნათქვამს ბრმად იმეორებდნენ და ახალს არაფერს ამატებდნენ, მეორენი, რომელთაც საღი გონება შემორჩენოდათ, ერთმანეთს ამშვიდებდნენ: არა უშავს რა, მართალია, კახელი კაცი გაგვიბატონდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეგეც ბაგრატოვანია, მეორეც — დიდი ვახტანგის სიძეა და მესამე კი, რაც მთავარია, გვირჩევია, კახელმა გვიბატონოს, ვიდრე ოსმალო — ყიზილბაშმაო. ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო, და ეშმაკების დაპატრონებას თეიმურაზის პატრონობა გვერჩიოსო, რაკიდა ისიც ჩვენი რჯულისაა და ჩვენივე ენაზე ლაპარაკობსო. ასე მსჯელობდნენ, მაგრამ ზოგიერთი ქართლელი თავადის სიტყვას თუ დაიჯერებდნენ, თეიმურაზის შემდეგ ერეკლეს ხელში ჩაცვივდებოდნენ და ერეკლე კი ეშმაკზე სამი დღით ადრე იყო დაბადებული. მხოლოდ გლეხობას მოსწონდა ერეკლეს პოლიტიკა, რაკიდა, შემწყალე იყო.

სწორედ ამ ხანებში თეიმურაზის მეუღლე თამარი გარდაიცვალა და თეიმურაზმა კი ორმოცი დღეც კი არ მოიცადა, ისე იქორწილა ანა ხანუმზე. ამან ძალიან განარისხა ერეკლე, კახეთს წაბრძანდა და არც ერთხელ აღარ ჩამოაკითხა მამას.

ერეკლეს წასვლამ ქართლელი თავადები სიამოვნებისთვის განაწყო, რადგან თეიმურაზი ადვილი დასათანხმებელი იყო, ხოლო გლეხობა დაამწუხრა, რაკიდა ლეკებმა ისევ თავი აიშვეს და სალეკო ბილიკებით კვლავ იტაცებდნენ ქართლელ ტყვეებს.

ამასობაში სპარსეთიდან ახალი გადასახადების ცნობა მოვიდა. ქართლიდან ორმოცდაათი ათას თუმანს მოითხოვდა ნადირ-შაჰი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ქართლის აოხრებით იმუქრებოდა.

ახლადა ჩამოვიდა ქართლში ერეკლე და მამასთან ერთად დიდებულთა თათბირი გამართა.

— ძაღლს თუ შეუშინდი, გამოგეკიდება, თუ შეუტიე, დაფაცურდება და უკან დაიწევს. თუ კიდევ ბიჯს წასდგამ და არ შეუშინდები, კუდს ამოიძუებს და ძუნძულით გაიქცევა, — თქვა ერეკლემ.

— ძაღლი თუ ეზოში შემოგივარდა და დაფლეთას გიპირებს, ჯოხი უნდა დააგდო, შვილო, და იქვე ჩაცუცქდე. როგორც კი განძრევას დააპირებ, მოგაფრინდება, — უპასუხა თეიმურაზმა.

— როგორ თუ ეზოში შემოგივარდა?

— აბა, სარკმელში გაიხედე!

ერეკლემ უწადინოდ გაიხედა და მეტეხის ციხის საგუშაგოზე ყიზილბაში მეციხოვნენი შენიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გგონია, გვაპატიებენ? — ჰკითხა თეიმურაზმა.

— ერეკლე არ იყოს, თუ ერთ წელიწადში ერთი ყიზილბაში მაინც ჭაჭანებდეს მაგ ციხეებში!.. მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ და ახლა კი არც ერთ უზალთუნს არ გავუგზავნით!

— ხელმწიფე ნადირ-შაჰი გაჭირვებაშია, — დინჯად განაცხადა შანშე ერისთავმა და უსინათლო თვალები ჭერისკენ აღაპყრო, — დალესტნის ლაშქრობამ გააღატაკა და ახლა ისევ დაპყრობილ ქვეყნებში ეძიებს შემწეობას. თუ ჩვენც გავმაგრდებით და არ გავუგზავნით...

— არც ერთ უზალთუნს არ გავუგზავნით! — მტკიცედ განაცხადა ერეკლემ.

— ომი მოხდება, — ამოიოხრა თეიმურაზმა.

— ნადირ შაჰის საზიანო იქნება ის ომი. კახეთიდან მამაცი ვაჟკაცების ჯარს გამოვიყვან, ქართლი ჩვენთან არის, იმერეთსაც მოვიხმარიებ და რისი უნდა გვეშინოდეს?

— ჩემი ყმანი ჯერაც დაქსაქსულნი არიან, მაგრამ ქუდზე კაცს გამოვიყვან, თუ გაჭირდება, — სივრცეს მიმართა შანშე ერისთავმა და სავარძელში ადგილი მოინაცვლა, — იმ წყეული თურქმანის ზიზღი ყელში ამოდის! — თქვა ნადირ შაჰზე.

ერეკლეს მოეწონა შანშეს ნათქვამი და ერთბაშად დარწმუნდა მის ერთგულებაში. ირწმუნა ის ეჭვიც, რაც შანშემ გივი ამილახვარზე გამოთქვა სპარსეთიდან დაბრუნებისას.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თეიმურაზმა.

— ჩაიწეროს წიგნში, რომ კახეთის მეფე ერეკლე ქართლ-კახეთის პირით უარს აცხადებს გადასახადზე და ისე მიართვით. თუ ვაჟკაცია, მობრძანდეს და წაიღოს, რაც ნებავს!

— მაგის ჩაწერა არ იქნება, შვილო! — იუარა თეიმურაზმა.

— ჩაწერეთ და პასუხს მე ვაგებ!

— მაგას არ ვიზამ! სჯობია, გავწუმდეთ და არა ვუპასუხოთ რა.

— და როცა მეორედ შემოგვითვლის?

— მაშინ ვუპასუხებ.

— რას უპასუხებ?

— დრო გვექნება და მოვიფიქრებთ.

— ვერ მოვიფიქრებთ. ჩაწერეთ, რომ ხალხი გალატაკებულია ყიზილბაშთა გადასახადებით, ხალხი დრტვინავს და სული ვერ მოუთქვამს, ახალი გადასახადი კი სულის ამოხდომაა. თუ ქართლ-კახეთის მოყვარეა, შემწედ უნდა გვექმნეს და არა — მახრჩობლად. ამიტომაც უარს ვაცხადებთ ყოველგვარ გადასახადზე.

სასახლეში გამართული თათბირის ამბავი სიტყვასიტყვით შეიტყო ხალხმა, ერეკლეს შემართებით გამხნევებულებს გული მოეცათ და იმედიანი ხმა მიაწვდინეს ახალი გადასახადის შიშით გაბნეულ გლეხობას. ერეკლეს სიყვარულმა ხალხის გულში ფესვი გაიდგა და თავადებისგან ტირანად მონათლული პატარა კახი სათაყვანო გმირად გადაიქცა.

— ეგრე უთქვამ, რომაო, დედას ეუტირებ ნადირ შაჰსაო, — ერეკლეს მაგივრად ტრაბახობდნენ ქართველი გლეხები.

— როგორც იმან თავის შვილს თვალები დასთხარა, მეც ეგრე დავთხრი მაგასაო.

— თუ ჩვენზე წამოსვლას გაბედავს, კუდით ქვას ვასროლინებო.

— განა კიდევ მარტონი ვართ, კახეთიც ჩვენთან არი და იმერეთიცო.

დიდებულთა ერთმა ნაწილმა კი ახალი ჭორი გაავრცელა: ერეკლე მამას არ უჯერებს და ტახტის წართმევას უპირებსო.

აბდულა ბეგი

ნადირ შაჰს არ ეამა ერეკლეს დიდგულობა, მაგრამ გულისწყრომა არ გაამყლავა, მამა-შვილს საალერსო წერილი მოსწერა და ერთ-ერთი მათგანი თავისთან დაიბარა.

დარბაზის ერთან ფორმალური საუბრის შემდეგ თეიმურაზ-ერეკლემ კათალიკოს ანტონთან ერთად საბოლოოდ გადაწყვიტეს თეიმურაზის სპარსეთს გამგზავრება. სწორედ იმ ხანებში ზემო ქართლს ოსები შემოესივნენ და ერეკლემ თავისი ერთგული ჯიმშერი გაგზავნა კახთა და თუშთა რაზმით.

— ჯერ არ წავსულვარ და მტერი აიშალა, — ამოიოხრა თეიმურაზმა.

— ყველას საკადრის პასუხს გავცემ, მაგაზე ნუ ინაღვლებ! — უპასუხა ერეკლემ.

— აქ თუ პასუხს გასცემ, კახეთში აიშლებიან, კახეთს წახვალ და აქ წამოჰყოფენ თავს.

— მაშ, როგორ უძღვებოდნენ ჩვენი წინაპრები საქართველოს?

— ისინი სრულიად საქართველოს მეფეთა მეფენი იყვნენ ძვილო, წოდება და სახელი მეტ ძალასა გმატებს მეფობაში. ჯერ-ჯერობით მეცა და შენც მხოლოდ ვალები ვართ სპარსეთისა, მე მხოლოდ ქართლში და შენ კი — კახეთში. ამიტომაც ქართლში შენ არვინ მოგისმენს და კახეთში — მე.

— ვაიძულებ, რომ მომისმინონ.

— ეგ არ იეარგებს, სანამ ქართლ-კახეთის მეფედ არ ითქმი. მანამდე კი...

— რას აპირებ?

— სპარსეთში ჩემი ყოფნისას ქართლის სამეფო შენს ბიძაშვილს — ჩემი ანტონის ღვიძლსა ძმასა აბდულა ბეგს უნდა მივანდო.

არ ესიამოვნა ერეკლეს. უნდოდა, ეთქვა, სტყუიო, მაგრამ ანტონ კათალიკოსის დამშვიდებულ და კმაყოფილ თვალებს რომ წააწყდა, თვითონაც დამშვიდდა.

— როგორც გენებოს. სამწყსო შენია და ვისაც გსურს, მას ჩააბარე. — მერე დალუმდა და მცირე ხნის შემდეგ კი ანტონის საყურადღებოდ ჩაილაპარაკა: — კათალიკოსსაც უნდა ვკითხოთ, ძმას აირჩევს თუ მამიდაშვილს?

— არჩევანი არ არის, შვილო, — კათალიკოსს დაასწრო თეიმურაზმა, — თუ მარტო დარჩი, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით აბდულა ბეგი არ მოგისვენებს. აშლის სხვებსაც და თავადაც აგიმტერდება. და თუ ქართლზე ზრუნვას მივანდობთ, ხომ გაგიგონია, ანაბარი მგელმაც იცისო.

— მე კი გამიგონია, მაგრამ მგელს თუ გაუგონია, ეგ მეეჭვება, — ისევ კათალიკოსს შეხედა ერეკლემ და, რაკი მის თვალებში ვერც თანაგრძნობა ამოიკითხა და ვერც — წინააღმდეგობა, საუბარს სხვა დინება მისცა: — მგელს შეგონება თუმცა არ უყვარს, ქართლის ტახტი კანონით მაინც იესეს ძეთ უფრო ეკუთვნით, ვიდრე მამაჩემს და მით უფრო ერეკლეს.

— არა, ძმაო! — დინჯად წამოდგა კათალიკოსი და ოთახში გაიარა, მერე ერთბაშად შემობრუნდა და აღგზნებით განაგრძო: — შენ შენ თუ ამას ფიქრობ, რამეთუ შენი ბიძაშვილი ანტონი თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯულგამოცვლილ ძმას უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე საქართველოს, რომლის მომავალ პატრონად შენ მესახები, მართალი არ ხარ. ქვეყნის მეფობა სურვილზე კი არა და კუთვნა-არკუთვნაზე კი არ უნდა იყოს, არამედ იმაზე, თუ ვის შეუძლია მისი გაძღოლა. ვერცა ჩემს გვამში და მით უფრო ვერც ჩემს ძმა არჩილში იმ ძალას ვერ ვხედავ, რომელიც საქართველოს გააერთიანებს. ასეთი ძალა მხოლოდ შენშია და მეც ამ ძალის მარად ერთგულად მიგულვებდე.

— ჭეშმარიტი ნათქვამია, შვილო, — მოუწონა თეიმურაზმა, — საქმე ისე უნდა წარვმართოთ, არც მწვადი დავწვათ და არც — შამფური. აბდულა ბეგს თუ შემოვირიგებთ, საბატონიშვილო მამულსაც ვუბოძებთ და ქვემო ქართლის მართვა-გამგეობასაც მივანდობთ, ჭკუას არ წავაგებთ.

— თუ მხოლოდ ქვემო ქართლს მივანდობთ, მაშინ შესაძლებელია, — დაეთანხმა ერეკლე, — ზემოურები მხარს არ დაუჭერენ, რადგან, დიდი ხანია, იქ საქმე წაიხდინა, და, ავს რასმე თუ განიზრახავს, ვერას გააწყობს. რას იტყვის ჩემი ბიძაშვილი?

— აღსრულდეს ნება ღვთისა და სურვილი მეფეთა!

* * *

თეიმურაზის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ერეკლე თბილისში დიდხანს აღარ დარჩენილა და კახეთს გაემგზავრა მთიულეთის გზით. მცხეთას რომ გასცდა, ერეკლემ ქსანში ავლა განიზრახა. ჯიმშერისაგან დამარცხებული ოსთა მდგომარეობის შეტყობაც ეწადა და ხალხის იმ გუნება-განწყობის შეცნობაც, რაც თეიმურაზის სპარსეთს გამგზავრებამ გამოიწვია. მან კარგად იცოდა, რომ სასახლეში მომხდარი ყოველი ამბავი ხალხზე მოქმედებდა და ქვეყნის შინაური მშვიდობიანობის ბარომეტრი ხალხი იყო. თუ ხალხი შენთან არის, შენი ხელისუფლება შეუვალია, თუ ხალხი დრტვინავს, უფრთხილდი ტახტსაც.

ერეკლემ შანშე ერისთავის მამულისკენ აიღო გეზი.

თუმცა თბილისსა და მცხეთაში ნუში უკვე დაყვავილებულიყო, მთაში მზე ჯერ ახლა იკრებდა ძალას.

ერეკლე შეეცადა, ამღვრეული გუნება როგორმე დაეწმინდა, მაგრამ ახლა გააახსენდა, რომ მამამისს არასოდეს გახსენებია აბდულა

ბეგის მმართველობა და ერთბაშად გაახსენდა. ეს გახსენება ანახანუმს გადააბრალა და უფრო აიმღვრა.

თანაგამყოლები გრძნობდნენ ერეკლეს არეულ განწყობას და დუმილს არჩევდნენ.

— ეეჰა, ეეჰა, ეეჰა! — შემოესმათ ვიღაცის ძახილი. ეტყობოდა, ღორებს ეძახდა.

ერეკლეს ტეტია და მისი შვილიშვილები გაახსენდნენ და, იფიქრა, ალბათ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იქნებაო ბერიკაცი. მერე ახალქალაქელი ილიკო გაახსენდა და ისიც უკვე მკვდრად მონათლა. ნეტავი რასა იქმს ლილე? ან მისი გოგო-ბიჭები როგორ იზრდებიან ლონდრე მამის ხელში? ერეკლემ სამიოდე წლის წინათ მეჯინიბედ წაიყვანა, ჯამაგირიც გაუჩინა, მაგრამ მუცლის გვრემა მოიმიზეზა და უკანვე ამობრუნდა. ალბათ ტახტზე წევს და დღედაღამ სძინავს.

ერეკლეს გაახსენდა, ლილემ ფიწლით რომ აბერტყა მატყლი და ტიტლიკანა ბალღები გამოაჩინა. რის ატანა აღარ შეუძლია ხალხს?

— ხალხი?.. ხალხი სად არის? — უმისამართოდ იკითხა ერეკლემ, რაკიღა ძველებურად გზებზე გამოფენილი ხალხი ველარსად შენიშნა.

— ეეჰა, ეეჰა, ეეჰა! — ისევ შემოესმა მეღორის ხმა და ტყაპუჭიანი მეღორეც შენიშნა: ხის ძირას მიმჯდარიყო და დროდადრო გაახსენდებოდა ხოლმე თავის სამწყსოზე. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა და უნებურად აღმოხდებოდა ხოლმე ეს ძახილი.

ცხენოსნების დანახვაზე მეღორე წამოხტა.

მოიცადეო, ხელის აწევით ანიშნა ერეკლემ.

მეღორემ ტყავის ქუდი მოიხადა და ისევ ცხენოსნებისკენ შებრუნდა.

— ამდენი ხანია, მოვდივარ და შენს მეტი არვინ შემხვედრია. ხალხი სად არის? — ჰკითხა ერეკლემ.

— ხალხი ციხეებში გაიხიზნა, ბატონო. ზოგიც აქედან გადაიხვეწა და ზემო მთას მიაშურა, — ქუდით ანიშნა ტყეებისკენ.

— რატომ?

— სპარსთა მხედრობა აპირებსო შემოსევას. თავდაპირველად კი შანშეს მამულში შემოვლენო.

— ეგ ვინ მოგახსენათ?

— თეიმურაზ მეფე უკვე სპარსეთს გაუწვევია, რაკიღა გადასახადზე უარი უთქვამს ერეკლე კახთა მეფესა. ჰოდა, იქ ჯერაო თვა-

ლებს დათხრიანო თეიმურაზსა და მერმელა შემოგვესევაო ის ურ-
ჯულო... ეეჰა, ეეჰა, ეეჰა!..

— შენ რადღა დარჩენილხარ? — გაეღიმა ერეკლეს.

— გასაქცევი აღარსაითა მაქვს, არც დასაკარგავი გამაჩნია. ათი-
ოდე ღორის მეტი არაფერი მაბადია და ღორის ხორცს კიდევ საწა-
მლავივით უფრთხიან ის წყეულები.

— შანშე ერისთავიც ხომ არ გახიზნულა?

— ამბობენ, აქ არიო. ან საით წავა თვალდათხრილი კაცი?

— გაფრინდი ზემომთაში და ყველას უთხარი, ერეკლე მეფემ გი-
ბრძანათ, კერას მოხედეთ-თქო!

— ერეკლე მეფე დასტურ ვუხსენო? — გაუხარდა მეღორეს.

— როგორც მე გითხარი.

— ქართლის ქვეყანა რო აბდულა ბეგისთვის ჩაუბარებია თეიმუ-
რაზ მეფესა? ერეკლეს როგორღა დაუჯერებენ?

— ასე უთხარი და, თუ არ დაუჯერებენ, ღირსი იქნება ერე-
კლე მეფე.

— ვეტყვი, ბატონო. იმასაც ვეტყვი, აბდულა ბეგს არ ვემონოთ
და ერეკლე მეფე იქნება-მეთქი ჩვენი ბატონი.

— როგორც გითხარი, ისე გაიმეორე!

ვეტყვი, ბატონო, როგორც მიბრძანე, ისე ვეტყვი ყველაფერს. —
ორი ხელით ჩამოიფხატა ტყავის ქუდი და ერთხელ კიდევ გაეხმიანა
თავის ღორებს, რომლებიც არსაით არ ჩანდნენ.

* * *

მზეს მიფიცხებოდა შანშე ერისთავი კოშკის თავზე. უსინათლო
თვალები სივრცისთვის მიეპყრო და თითქოს რაღაცას ბუტბუტებ-
და. როგორც კი გაიგო, ერეკლე მეფე მობრძანდაო, ფეხზე წამოდგა.
ერეკლეს შეებრალა თმაწვერგათეთრებული, ერთიანად მოტეხილი
და დამღიერებული შანშე ერისთავი რომ დაინახა. მივიდა, ხელი ჩა-
მოართვა, ჯანმრთელობა მოუკითხა და დაბრძანება შესთავაზა.

სელის სკამი მოართვეს მეფე ერეკლეს, შანშე კი ქვის სკამზე ჩა-
მოჯდა ისევ ძველ ადგილას.

— ხალხი სადა გყავს, შანშე ბატონო? — ამოიოხრა ერეკლემ.

— ხალხი აბდულა ბეგსა და სპარსთა მხედრობას დაემალა, თო-
რემ თქვენს ხმას რომ გაიგებს, ისევ მოგვნახავს... ნახე, რა გააკეთა
იმ სულკატიანმა? — დაამატა კბილთა ღრჭენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნადირ შაჰმა?

— არა, შვილო, ბიძაშენმა გივი ამილახვარმა.

— გივი ამილახვარმა რა გააკეთა? — გაიკვირვა ერეკლემ.

— მამათქვენი რომ სპარსეთში გაიწვია.

— გივიმ გაიწვია?

— აკი გითხარით, როცა სპარსეთიდან დავბრუნდი, ვნახოთ, რას მოიმოქმედებს-მეთქი?

— ერეკლეს ახსოვდა მისი ნათქვამი, მაგრამ ახლა ირწმუნა და ამოიოხრა:

— სიკეთის მეტი არაფერი გვიქნია მე და მამაჩემს და თუ ამ საქმეში მისი ხელი მართლა ურევია...

— მისი ხელიო?.. გადასახადიც მაგან შეაწერებინა ქართველობისთვის და მამათქვენიც მაგან გააწვევინა. მკითხავ, რადაო? იმად, ბატონო, რომ ხალხი შეაჭირვოს, მონასტერი არიოს და ისევ ბაქარი მოითხოვოს ქართლის ხელმწიფედ.

ერეკლემ იცოდა, რომ შანშე ერისთავიც ბაქარის გამეფების მომხრე იყო ერთ დროს და არაფერი უპასუხა.

— ნამდვილად იცი, შანშე ბატონო, რომ გივის ხელი ურევია ამ საქმეში?

— როგორც ის ვიცი, ორივე თვალი რომ სპარსთა ქვეყანაში დავტოვე, ისე ეგ ვიცი. უფრო მეტს გეტყვი: გივის უნდოდა, შენ გაეწვიე სპარსეთში ნადირ შაჰს, იქ როგორმე მოეშთე და კახეთი უპატრონოდ დარჩენილიყო. მერმე კახეთში თეიმურაზი გაემეფებინათ და ქართლში კი კვლავ გივის ვექილობა აღდგენილიყო.

ერეკლეს მთლიანად ენიშნა ეს ნათქვამი, რაკიღა შაჰის მიწვევაში პირველად ერეკლე იყო ნახსენები და შემდეგ — თეიმურაზი.

— მთლიანად მჯერა, შანშე ბატონო, შენი სიტყვები.

— ჩემი თვალებისთვის ხომ მზე ბნელია? — შესიებული უპეები აუცახცახდა შანშე ერისთავს, — ჩემი ძვალ-ხორცისთვისაც დაბნელებულიყოს, თუ ტყუილს მოგახსენებდე!— გუმანით იგრძნო ერეკლე მეფის ფეხზე წამოდგომა და თვითონაც წამოდგა. მარცხენა ხელი კედელს მოუცაცუნა და, რაკი მყარად და საიმედოდ ეჩვენა, მხრით ოდნავ მიეყრდნო: — მამათქვენს დიდხანს ვერ გაეგო, ვინ მართალი იყო და ვინ — მტყუანი. ახლა გაიგო და უკვე გვიანია. დაუსჯელი მაინც გადაურჩეს წყეულ ნადირ შაჰს.

— დედას ვუტირებ! — კედელს მუშტი შემოჰკრა ერეკლემ და შა-

ნშეს მოეჩვენა, რომ ციხე შეზანზარდა, — შევაგროვებ ქართლ-კახეთის ლაშქარს და მამაჩემს როგორც კი ხელს შეახებს, სპარსეთს ავიკლებ. გულიც მერჩის და ძალაც მომყვება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც შენთან მიგულვე! — ნიკაპი ასწია შანშე ერისთავმა, თავისი ნათქვამით კმაყოფილი, ასე გარინდდა.

ერეკლე შანშე ერისთავის მეჩხერწვერიან ნიკაპს მიაჩერდა, მერე მის ღუდუდებიან ყელზე გადაიტანა მზერა და მოეჩვენა, რომ მზაკვრობდა შანშე. ამის მიუხედავად მაინც ასეთი შეკითხვა მისცა:

— მაშ, შენი იმედიც ვიქონიო?

— დამეყრდენ, შვილო! შანშეს ბებერ ძვლებს ჯერაც არ დასდგომია სიბერის ხანა.

ერეკლემ არც ეს ნათქვამი ირწმუნა, მაგრამ მაინც მადლობა გადაუხადა. წასვლისას კი ეს გაიფიქრა: სათავადოებსა და საერისთაოებში თუ ჩემი ერთგული კაცები არ იქნებიან, ტყუილად მექნებაო გაერთიანების იმედი. მერე თავს არ დაუჯერა, ეჭვის კაკალი გატეხა და კვლავ ერთგულ კაცად წარმოიდგინა შანშე ერისთავი:

— ეს ციხე ხომ კიდევაც გაუძლებს მტრის შემოსევას?

— ციხეც გაუძლებს და შანშე ერისთავიც, მეფევ ბატონო... დარჩენილიყავით, საკადრისად გიმასპინძლებდით!

— გმადლობთ, შანშე ბატონო, საარაგვოში მიმეჩქარება.

— განდგომას ხომ არ გიპირებენ?

— ხალხი არა და დიდებულები ყოველ წუთს მზად არიან.

აბდულა ბეგის შემწეობა

როგორც კი აბდულა ბეგმა თეიმურაზი საქართველოს საზღვრიდან გაცილებულად დაიგულა, სამშვილდის ციხიდან გამობრძანდა და ორბელიანთა მამულს ესტუმრა: ქაიხოსრო სარდალი მეფე თეიმურაზს ეახლა და, სანამ იქიდან დაბრუნდებიან, ვინც მხარს ამიბამს, სარდლობა არ ასცილდებაო. მხარის აბმა ვერავინ ითავა და კუმისელმა მოხუცმა ორბელიანმა კი ალიყურივით გააწნა ასეთი სიტყვები:

— ჩვენი ქვეყანა შინაურმა წაკიდებამ უფრო დაანგრია, შვილო, ვიდრე გარემტრებმა. ყველას ბატონობა და მეფობა სწადია, ყველას — სარდლობა და მხედართუფროსობა. ვინც უმჯობესია, ის უნდა იყოს მეფედ და სარდლად.

ეს პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო აბდულა ბეგისთვის და დიდხანს ხმა ვეღარ ამოიღო. ბოლოს, როგორც იყო, სული მოიბრუნა და ასე ამოღერღა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ სიტყვები სიბერის ნიშანია, ორბელიანო!

— სამეფო კარის ერთგულების ნიშანია, ბატონიშვილო.

— თეიმურაზის მონურ ერთგულებაზე ხომ არ მიგვანიშნებ?

— მონურად ერთგული მამაჩემისა არა ვყოფილვარ, არა თუ მეფის.

— მამის ერთგული ჯერ არვინ ყოფილა ამ ქვეყნად.

— მეფე ერეკლე.

— მაშ, თუ ასეა... — სპარსული წესისამებრ გულზე ხელის მიდებითა და ირონიული ღიმილით დაემშვიდობა აბდულა ბეგი და ჭიშკარს მიაშურა. შემდეგ ერთბაშად შემობრუნდა და გადაჭრით განუცხადა: — მაინც დავიბრუნებ სამეფო ტახტს კახელ მოძალადეთაგან და მერმე რას მეტყვით ორბელიანები?!

* * *

წინააღმდეგობის მიუხედავად, აბდულა ბეგმა საბარათიანოში მაინც მოძებნა თანამოაზრენი, რომელთაც ჯარის გამოყვანა ივალდებულეს, თუკი თბილისის აღებასა და იქიდან ერეკლე მეფის განდევნას მოახერხებდნენ.

ტასტიც ბრძოლის ველია

უძრავად იჯდა მეფე თეიმურაზი ცხენზე. ფიქრში ჩაფლული, გრძნობადაცლილი და ზაფხულის სიცხისაგან გალუნგებულ-გაოჩნებული გარკვევით ვერაფერს ხედავდა თავის გარშემო. სული საქართველოში დარჩენოდა და ხორცი კი სადღაც სპარსეთში მიჰქონდა თავის უნებურად. ამალად და პროცესიად კი ორმოციოდე ქართველი და ორიოდე სპარსი მიჰყვებოდა. ყველანი აშკარად გრძნობდნენ მეფის გულჩათხრობას და დუმილს ამჯობინებდნენ. მეფეს, მართალია, საპატიო ამალად მიჰყვებოდნენ, მაგრამ გულში თავს იკიცხავდნენ, რაკიღა იცოდნენ, რომ სანებივრო სუფრაზე კი არა, სასაკლაოზე მიაცილებდნენ.

ხანდახან ისევ მეფე გადაიყრიდა ხოლმე გულის დარდს, ხალისდებოდა და სახუმარო სიტყვებსაც ურევდა. ცდილობდა, სხვაც გაემხიარულებინა და თავადაც გამხიარულებულიყო, მაგრამ ამ ძალდატანებითი მხნეობის შემდეგ კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა მისი წმუხარება. თავის მოკვეთა და თვალების დათხრა ისე არ აშინებდა, როგორც მგელ-ძაღლებში დარჩენილი ერეკლე და მტრის ალყაში მოქცეული ქართლ-კახეთის ქვეყანა ადარდებდა.

ვიღაცამ დაიძახა, თავრიზი გამოჩნდაო, და მაშინლა გამოფხიზლდა თეიმურაზი. აბრეშუმის ფართო ხელსახოცით დაცვარული შუბლი მოიწმინდა და ქალაქის გარეუბნის ქოხმახებს გაჰხედა.

— აქ გავათენოთ. მგზავრობა აღარ შემიძლია.

იმ ღამეს თავრიზში დაბანაკდნენ.

დაღლილ ამალას მალე დაეძინა. მეფეს კი ძილი გაუკრთა და გათენებამდე თვალი ვერ მოხუჭა. გათენებისასღა ჩაეძინა და არავინ იცის, როდის გაეღვიძებოდა, მოძალებული მზის მცხუნვარებასთან ერთად ვიღაცის ჩურჩულს რომ არ შეეღწია კარავში:

— მეფეს მოვახსენოთ!

— ჯერ ისევ სძინავს მეფეს!

— რა მოხდა? — გამოფხიზლდა თეიმურაზი.

— მეფევ ბატონო!

— მეფევ ბატონო!

— ვინ ხართ, შემოდით!

— მეფევ ბატონო, — კარავში შევიდა ორი მსახური, — ხელმწიფე... ნადირ შაჰი....

— ხელმწიფე ნადირ შაჰი... — ვეღარ მოეხერხებინათ სათქმელის დასრულება.

— მითხარით, რა მოხდა? — კუშტად იკითხა თეიმურაზმა.

— მოუკლავთ, ბატონო.

— ნადირ შაჰი მოუკლავთ.

— სტყუით, თქვე ეშმაკებო! — წამოიმართა თეიმურაზი.

— ზენაარს ვფიცავ, ნამდვილს მოგახსენებთ! — გაბედა ერთ-ერთმა გაღიმება, რაკიღა თეიმურაზის სახეზეც ღიმილი შენიშნა.

— როდის და ვის მოუკლავს იმ მამაცხონებულს? ან იქნებ სიცრუეს ლაყბობს ჭორის ამყოლი ბრბო?

— არა, მეფევ ბატონო. დალაბაშმა ილაპარაკა. თავადაც გახარე-

ბული იყო. რანი არიან ეს ხელმწიფენი: სიცოცხლეში ყველანი ადიდებენ, მოკვდება და ყველას უხარია.

კარავში მდივან-მწიგნობარი შემოვიდა. თეიმურაზს ეგონა, ეთქვა, ის დაღაბაში მომგვარეთო, მაგრამ მდივან-მწიგნობარს ნახვამ გადააფიქრებინა:

— შენ რაღა ამბავი მოიტანე?

მდივან-მწიგნობარმა უბიდან ქაღალდი ამოიღო და მკაფიოდ წაიკითხა:

— ნადირ შაჰი მოიკლა ივნისის დამდეგს ხელითა მაჰმად ხან ყაჯარისა, მუსა ბეგ იარილელისა და ყოჯა ბეგ გუნდუზელისაგან...

— უფლის ნებაა ყოველივე! — ხელები ზეცისკენ აღაპყრო თეიმურაზმა, — კაცს რომ აღაზევებს, თან უთვალთვალებს, უკეთუ გაამაყდა და ამპატავნობას მიეცა, თავადვე წარგზავნის თავის მოციქულს და შთააგონებს ვიეთნიმე კაცს, მახვილი აღიღოს. ამაყი კაცი არ უყვარს უფალს, არც უსამართლო.

— ყველანი კმაყოფილებით შეჰყურებდნენ თეიმურაზს.

— ახლა ხომ უკანვე გავბრუნდებით? — იკითხა ვიღაცამ, მაგრამ თეიმურაზმა ყურადღება არ მიაქცია, რადგან წეღანდელ ნათქვამზე ფიქრობდა: „რანი არიან ეს ხელმწიფენი: სიცოცხლეში ყველანი ადიდებენ, მოკვდება და ყველას უხარიაო“. აი, უბედურება რაშია? მეფეს რომ მოკლავენ და ეს მკვლელობა კი აღშფოთების ნაცვლად ხალხს აღაფრთოვანებს, რისი იმედი უნდა ჰქონდეს თეიმურაზს? მეფის მკვლელობა საყოველთაო გლოვას უნდა იწვევდეს ხალხში და არა — ლხენას.

— ხალხს რად უხარია მეფის სიკვდილი? — უანგარიშოდ იკითხა თეიმურაზმა.

— თუკი ეს მეფე ყველას სძულდა და არვის უყვარდა?

— საქმეც ეგ არის. მეფე თუ ხალხს არ უყვარს, თავადვე უნდა მოიკლას თავი. მეფე ხალხის მწყემსი უნდა იყოს. კეთილი მწყემსი კი ცხოვართათვის უმეტესს ფიქრობს.

— ხვალ ხომ უკანვე გავბრუნდებით? — იკითხა იგივე ხმამ.

— ჯერ აქ მოვიცდით. ვნახოთ, როგორ წარიმართება შემდგომი საქმეები და მერმე გადაწყვეტთ. — მაღლა აუხედავად ეანაცხადა თეიმურაზმა.

* * *

მთელ ზაფხულს მოუხდათ თავრიზს გაჩერება, ამასობაში ეფექტიანი წვრილებით შეიტყეს მკვლელობის ამბავი. ისიც გაიგეს, რომ მკვლელობის თაოსანი ნადირ შაჰის ძმისშვილი და თეიმურაზ მეფის სიძე ალი ყული ხანი ყოფილა, რომელმაც სპარსეთის ტახტი მიიკუთვნა და ადილ შაჰად გამოაცხადა თავი.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ თეიმურაზის ამალამ კვლავ ისპაჰანისკენ განაგრძო გზა.

* * *

— ყველა შეცოდებაზე უმეტესად ნადირ შაჰს იმაში ვადანაშაულებ, შენს ქალიშვილს რომ პატივი აპხადა და მერეღა დამწინდა, — უთხრა ადილ შაჰმა თეიმურაზს, როცა სიმამრი გულში ჩაიკრა, მოესიყვარულა, და მეფური სამყოფელი მიუჩინა, — მას ბევრი ცოდვა ჰქონდა ალაჰის წინაშე და დანარჩენი ალაჰმა განსაჯოს. სპარსეთის ტახტი ბრძოლის ველია. მეც შეიძლება თვალების დათხრა ან თავის მოკვეთა მელოდეს, მაგრამ ალაჰის წინაშე მართალი ვარ. სანამ ვიმეფებ, მართალ კაცს არ დავსჯი და ცოდვის ტვირთს არ ავიკიდებ. ამას ალაჰი ჩამაგონებს თქვენი შვილის პირით.

თეიმურაზი უზომოდ გაახარა სიძის ამგვარმა საუბარმა და იგრძნო, რომ მის სიძეს ყველაზე დიდ მხარდამჭერად მეუღლე ქეთევანი, სიმამრი თეიმურაზი და ცოლისძმა ერეკლე წარმოედგინა.

— მეც და ჩემს ვაჟსაც შენი ტახტის ერთგულად გვიგულებდე, შვილო. — განუცხადა თეიმურაზმა.

— მაშ, დარჩი ჩემთან, ქვეყნის მართვა-გამგებლობაში მომეხმარე და საქართველოს კი ერეკლე მოუელის ჩვენი შემწეობით.

— დიდად ბედნიერი ვიქნები თქვენს ახლოს ყოფნით. — უპასუხა თეიმურაზმა და არც ატყუებდა, რაკიღა სპარსეთის მხრიდან საქართველოს საშიშროება მთლიანად ქრებოდა და ათი წლის უნახავ ქეთევანთან ყოფნა სიცოცხლეს ერჩია.

საამშას ამბავი

თანამოაზრეთა ბებნით დაღლილი აბდულა ბეგი შეიარაღდა ბრუნდა, მზვერავებმა სასიამოვნო ამბავი დაახვედრეს: ერეკლე ვახეთშიაო იქაური ამბების მოსაწესრიგებლად. ლეკები აშლილან, მათ დამშვიდებას დრო სჭირდება და კარგა ხანს დაყოვნდებაო. ნადირშაჰის მკვლელობის ამბავიც მოახსენეს და თეიმურაზის სიძის აღზევებაც. ეგ კიდევ არაფერი: ერევანში შაჰის ტახტის მოცილე ჩამოსულა და საქართველოდან მხარის დაჭერას მოითხოვსო ადილ შაჰის ჩამოსაგდებად.

— ვინ ჩამოსულაო? — ყურს არ დაუჯერა აბდულა ბეგმა.

— ვინმე საამშა გამოჩენილა — შაჰობის მაძიებელი. საკმარისია, ერევნელებმა, განჯელებმა და თბილისელებმა მხარი დაუჭირონ, რომ სპარსეთის ტახტი დაისაკუთროს.

— მერმედა, ერეკლე მეფე მხარს როგორ დაუჭერს სიძის წინააღმდეგ? — თავის თავს შეეკითხა აბდულა ბეგი და ღრმად ჩაფიქრდა.

მთელ ღამეს აღარ დაეძინა. დიდხანს იფიქრა და დაადგინა, რომ ის ვიღაც საამშა განგებამ გამოუგზავნა. უკეთუ ბორჩალოში ჯარის შეგროვებას შესძლებს, საბარათიანოს მცირე ქართულ რაზმსაც მოიშველიებს და მხარში ამოუდგება, საამშა მის ერთგულებაში დარწმუნდება და, როგორც კი ტახტს მოიპოვებს, აბდულა ბეგსაც დაეხმარება ერეკლეს წინააღმდეგ. ეგებ ჯერ სულაც ერეკლე მოსპონ, ან თუნდაც ტახტიდან ჩამოაგდონ და კახეთს გააძევონ, როგორც ადილ შაჰის ცოლისძმა და თანამოაზრე და მერმეღა შეუტიონ სპარსთა სატახტოს?!

მეორე დილას ბრჭყვიალა ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ხანის ტანსაცმელში გამოწყობილი აბდულა ბეგი განჯისკენ დაიძრა მცირე ამალით. ერთგულ მსახურებს კი ჯარის შეგროვება და მზადყოფნა დაავალა.

* * *

უზომოდ გაახარა საამშა აბდულა ბეგის წარდგინებამ. როგორც კი მოახსენეს, ქართლის მმართველი გეახლათო, ხმამაღლა გაიცინა და ფეხზე წამოდგა.

— დიდ არს ალაჰი! — შუბლზე ხელი იტაცა სიამოვნებით, რაკი-ღა მის წინაშე ქედმოდრეკილი აბდულა ბეგი — ახოვანი და მშვენიერი ვაჟკაცი იატაკს ემთხვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქვეყნის ბედ-იღბალი ზეცაში წყდება, — დაიწყო საამშამ, როგორც კი აბდულა ბეგთან მისალმების ცერემონიები გამოათავა, — ვფიქრობ, ალაჰმა გამოგგზავნა ჩემთან და ალაჰივე ჩაგვაგონებს კეთილ საქმეთ.

— მოვსულვარ შენთან, მე, აბდულა ბეგი, ქართლის მმართველი და მონა მორჩილი ირანის კანონიერი შაჰისა, ფეხი ტახტისა მისისა.

— აღტაცებული ვარ შენი ენაწყლიანობით და გონიერებით, — გაიხარა საამშამ, — კიდევ რითი მახიამოვნებ, გურჯო ბატონო?

— რამდენადაც შევიტყე, შენ ბრძანებულხარ კანონიერი მეუფე სპარსეთისა, ადირბეჯანისა, გურჯისტანისა და სხვათა და სხვათა... — აბდულა ბეგს კიდევ უნდოდა, რაღაც დაემატებინა, მაგრამ, შენიშნა, რომ საამშას წვერზე ქონი ეცხო და შეყოყმანდა.

— ბრძანე, ბრძანე!.. ჭეშმარიტია ყოველივე.

აბდულა ბეგმა იფიქრა, წვერზე მოცხობილი ქონი არას დამაკლებს, თუ სურვილს შემისრულებსო, და სათქმელი განაგრძო:

— რადგან ალაჰი სამართლიანია და შენი დიდებულებაც სამართლიანობას ემსახურება, მე მხარს ვუჭერ შენს შაჰად კურთხევას, უკეთუ მოიღებ მოწყალებას და ჯარს დამახმარებ თბილისის დაპყრობაში. მოგეხსენებათ, ქართლი ახლა განსაცდელშია, რადგან არაკანონიერი მეფე განაგებს თეიმურაზ მეორის სახით. თვით თეიმურაზი ამჟამად სპარსეთშია მასავით არაკანონიერი შაჰის კარზე, რომელიც სიძეა მისი. სიძე, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს და...

— მერე, მერე?

აბდულა ბეგი შეეცადა დამშვიდებულიყო და უფრო დალაგებით მოეხსენებინა:

— თეიმურაზის დაბრუნებამდე ქართლიც და კახეთიც მის ძეს დარჩა — ირაკლი ხანს და მე მხოლოდ შემწეობა დამავალეს. ისინი არად აგდებენ ჩემს სამართლიან მოთხოვნას, რომ კანონიერი მეფე მე ვარ და არა — თეიმურაზი...

— ყოველივე ნათელია ჩემთვის ქართლის მეფეო! — კეთილად გაულიმა საამშამ.

— მაგას თუ ინებებთ, და ჯარს დამახმარებთ...

— საამშას როგორც ნებავს, ისე იქნება.

— მაშ, თუ ასეა, ახლავე მიწყალობე ჯარი და ორ დღეში თბილისს ავიღებ, სანამ ირაკლი ხანი კახეთშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა თუ ჯარს მოგცემ, თავად წაგიძღვები თბილისის დასაპყრობად, — აღტაცებას ველარ ფარავდა საამშა, მაგრამ ერთბაშად დაფიქრდა, — ჩემი ჯარი რომ არ გვეყოს?

— მაგაზე ნუ შეწუხდები! შემწეობა იყოს, თორემ ბორჩალოს ელნი ჩემს ხელთ არიან, საბარათიანო და ქვემო ქართლიც ჩემთან იქნება, დიმიტრი ამილახორიც მხარს მიჭერს და ლეკთა ჯარებიც მომეშველებიან.

— გეფარვიდეს ალაჰი, ქართლის მეფეო!

— გეფარვიდეს ალაჰი!

* * *

ერთგულმა მზვერავებმა აბდულა ბეგის ყოველი ნაბიჯი აცნობეს ერეკლეს. მანავის სამოურავოში იყო მეფე, როცა მოახსენეს, აბდულა ბეგი ორ დღეში უკვე თბილისს დაესხმისო. ერევნიდან უკვე დაიძრა საამშას ჯარი, რომელსაც ბოლნისელი თათრები შეუერთდებიანო. მათზე მეტად ერეკლეს ქაიხოსრო ორბელიანის პოზიცია აფიქრებდა. თუ ისიც აბდულა ბეგის მხარეზე აღმოჩნდებოდა, მდგომარეობა უფრო გართულდებოდა. თუმცა შიში მაინც არ უგრძნია, კახეთში ჯარი შეაგროვა და, სანამ აბდულა ბეგის ლაშქარი თბილისს მოადგებოდა, თვითონ ჩაასწრო.

ვარაუდით, ფონიჭალიდან უნდა შემოსულიყო აბდულას ჯარი, რაკიღა თაბორის ციხე სპარსელებს ეპყრათ და წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ. ერეკლემაც სწორედ ეს იფიქრა და კახეთიდან ჩამოყვანილი ჯარი თაბორის ციხის გარშემო განაწყო, იქაურობა გაამაგრა და უბრძანა, მტერი არ შემოუშვათ. თვითონ კი, დაღლილ-დაქანცული, სასახლეში ავიდა დედოფლისა და შვილის სანახავად. გიორგის უკვე „აღუ“ ესწავლა და ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ გადიები.

— დღედაღამ წასული ხარ, მომწყინდა უშენოდ. — უსაყვედურა დედოფალმა, როგორც კი ერეკლე მარტოდ დაიგულა.

— დაღლილი ვარ, დამასვენე! — გაუღიმა ერეკლემ და სავარძელს მიესვენა.

— სხვისთვის იღლები და შენი მშვენიერი ცოლ-შვილი კი უყურადღებოდ გრჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღედაღამ თქვენს გონებაში ვარ, თუ დამიჯერებ, ჩემს გიორგის კი შორიდან ვეტიტინები და ვეალერსები. ვშიშობ, ლაშქარმა არ შემიტყუოს და გიჟი არ ვეგონო. რომ შეიძლებოდეს, თან წაგიყვანდით.

— ბედნიერი ვიქნებოდი... ბიჭს რა ვუყო, თორემ ახალაც წამოვიდოდი. კაცურად ჩავიცვამდი და ვინ რას გაიგებდა.

ერეკლეს გაეღიმა და გაახსენდა, რომ დიდი ხნის დაუბანელი იყო.

— აბანო მინდა.

— იქ დაგეძინება!

— დამეძინოს.

— იბანავე და აქ დაიძინე!

— ასე ვიზამ. — წამოდგა ერეკლე.

* * *

— გესმის? — ჩასძახა დედოფალმა ნაბანავებელ და ღრმად ჩაძინებულ ერეკლეს.

— რა მოხდა? — უანგარიშოდ იკითხა ერეკლემ.

— აბდულა ბეგი შემოსულა სოლოლაკში, ყველაფერს მუსრს ავლებსო.

თუმცა ახლადჩაძინებული იყო ერეკლე და მისი გამოფხიზლება ისე მძიმე იყო, როგორც უზმოზე ღვინის დალევა, მაინც ერთბაშად გამოფხიზლდა:

— მაშ, კოჯრის გზით, არა?... ჩემი ჯარი ფონიჭალასთან დგას და ვერას გაიგებდა... თორ-მუზარადი!

— ჯარი რომ არ გახლავს, რა გეშველება?

— გალავანთან ხომ დაბანაკდნენ კახელი ბიჭები?

— გალავანთან ასი კაციც არ იქნება და რას გიშველიან?

— ასი ათასსა აჯობებს, თუ გაჭირდება. — თორ-მუზარადი მოირგო ერეკლემ, ხმალი შემოირტყა, თოფი აიღო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა, — ცხენებზე! — დაიძახა და თავის ვეჟან ცხენს გადაევლო, რომელიც უკვე მეჯინიბეს მოეგვარა და ელოდებოდა.

ჯერ აღმა აუყვნენ მტკვარს, მერე მამადავითის მიმართულებით

გააჭენებს და რამდენიმე წუთში უკვე ბავშვების კივილისა და ქალების შეცხადების ხმა გაიგონეს. აბდულა ბეგის ჯარები ღობურად მოსდებოდნენ ქალაქის ქუჩებს და ერთიანად ძარცვავდნენ მოსახლეობას.

— მედგრად, ბიჭებო, ჩვენს უკან მთელი ლაშქარია! — დაიძახა ვილაცამ.

— ხალხო, გამხნევდით, ერეკლე მეფე მოვიდა დასახმარებლად!

აქა-იქ მიმალული მოქალაქეები უმალ გამოენთნენ და ერეკლეს რაზმეულებს შეუერთდნენ. მერე ერთობლივი იერიში მიიტანეს შემოსულ ჯარზე და ნირი უცვალეს.

— პა-პა-პა-პა-პა-პა! რამოდენა ჯარი მოდის აქეთ, მთელ არე-მარეს მოაბნელებს! — დაიძახა ბანზე გასულმა ყმაწვილმა და სიხარულისაგან ისე შეიკუნტრუშა, ყველამ ირწმუნა მისი ნათქვამი. ფანჯრებიდან ცვივოდა როდინები და კეცები, ფილთაქვები და ზედადგრები, მაშები და აგურები.

— დასცხეთ, ბიჭებო, მაგ ძაღლიშვილებს! — ხმლით დაერია ერეკლე აბდულა ბეგის მეწინავე რაზმს, რომელიც ძირითადად დაქირავებელი იყო და სხვადასხვა ერისა და რჯულის ხალხისაგან შედგებოდა.

— ერეკლე ბატონი!.. ერეკლე ბატონი! — იცნეს საბარათიანოსაორბელიანოს ქართველებმა და თვითონვე დაუწყეს ხოცვა ალყაში მოქცეულ დაქირავებულ ჯარს.

შეშინებულმა აბდულა ბეგმა ერეკლე მეფეს ზურგი უჩვენა და ტაბახმელისკენ გააჭენა.

— ცოცხალი არ გაუშვათ არც ერთი!

— დაედევნენით! — ისმოდა თბილისელ მოქალაქეთა შეძახილი და ცხენიდან ძირს აგდებდნენ გაქცეულ მხედრებს.

ქუჩები მტრის სისხლით მოირწყა, სარდაფები დატყვევებული ყაჩაღებით აავსეს თბილისელებმა, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ტყვეთა შორის სპარსეთის ტახტის მაძიებელი საამშა აღმოჩნდა.

ძეძვას ამბავი

მცირე ხანს მიჩუმდა ყოველივე. მიჩუმდა გარეგნულად, თორემ შინაგანად კვლავ დაძაბულობა იყო და ეკალი ქორწინობდა. კვნესოდა და დრტვინავდა ქალაქი მოსალოდნელი შემოსევით. ერ-

ეკლე გრძნობდა, რომ სანამ თაბორის ციხე სპარსელებს ეპყრათ, ქალაქში მშვიდობიანი ცხოვრება ვერ დამყარდებოდა. საჭირო იყო თაბორის აღება და ციხეების სპარსთაგან გაწმენდა. საამისოდ კი საჭირო იყო ქართლის სამეფოს ხელახლა შემოვლა და მისი დარაზმვა. რაკი გაიგო, დიმიტრი ამილახვარი აბდულა ბეგს თანაუგრძნობსო, პირველ რიგში საამილახვრო უნდა დაეჩოქებინა.

ფონიჭალისა და კრწანისის შემოგარენში კვლავ კახთა რაზმები ჩააყენა და თავად კი ზემო ქართლისკენ გაემართა. სოფელ ალში რომ მიაღწია, ერთი თეთრადგადაპენტილ თმაწვერულვაშიანი ბერიკაცი შეხვდა, რომელიც ძალიან მოეწონა ერეკლეს.

— გამარჯობა, ბერიკაცო!

— ღმერთმა ნიადაგ გაგამარჯვებინოს ერეკლე მეფესავით! — გაუღიმა ბერიკაცმა და შეეტყო, რომ მასაც მოეწონა.

— განა ერეკლე ყოველთვის იმარჯვებს?

— ჯერ მარცხი არ იცის, იმის მკლავს ვენაცვალე! ამას წინათ რომ აბდულა ბეგი დაიფრინა, თურმე იქაც კი ველარ გაჩერდა, სადაც ციხედარბაზი ჰქონდა და განჯას შეეფარა.

— მართლა? — ისე გაუხარდა ერეკლეს, თითქოს პირველად გაიგოო.

— მართლა, მა!.. განჯიდან დაღესტანში გაქცეულა დახმარების სათხოვნელადა, მაგრამ ერეკლე რაღა ერეკლე იქნება, თუ განჯაყარაბაღი ვერ დააჩოქა.

— ძალიან ამბები გაგიგია, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ამბებიც გავიგე და ლექსიც გამოვუთქვი. ასე ძალიან რომ არ მიგეშურებოდეს, გეტყოდი კიდეც.

— არსად არ მიმეშურება, მითხარი, თუ ღმერთი გწამს.

— აბა, მაშ, კარგად მომისმინე! — საჩვენებელი თითი გაშალა ბერიკაცმა, თვალები ეშმაკურად მოიწკურა და სიმღერასავით წამოიწყო:

აბდულაი შეიკაზმა
ჯაჭვითა და ჯინჯილითა:
უნდა ქალაქს შემოვერტყა,
ამოვწყვიტო შიმშილითა,
ეს რომ ერეკლემ გაიგო,
გადაბრუნდა სიცილითა:
„ბიჭი ერეკლე მოგიკვდეს,
ვერ გაგხეთქოს სირბილითა,“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანჯა შამაარბეევინა,
დალესტანი ტირილითა,
ისე გაუწყვიტა ჯარი,
ერთი მორბის წინწილითა,
„დაჯე, აბდულ, პური ჭამე,
არ მოგვიკვდე შიმშილითა,“
,რა პურისა მენალვლება,
კუჭი მტკივა სირბილითაო“. მაშა!

ამ ლექსის მოსმენაზე იმდენი იხარხარა მეფე ერეკლემ, რომ სული ძლივსღა მოითქვა.

— თუ ესე გასიამოვნა ჩემმა შაირმა, კიდევაც გეტყვი, შვილო, სხვაც ვიცი აბდულაზე.

— აბა, თუ ღმერთი გწამს! — ცხენზე მოინაცვლა ერეკლემ.

ბერიკაცმა წევრ-ულვაშში ჩაკარგული ტუჩები მოიწმინდა, საჩვენებელი თითი ხელახლა გაჭიმა და ეშმაკუნები აათამაშა თვალებში:

აბდულას ყარაულები
ქალაქის ხიდზე მდგარიო,
მანდით აყრილა აბდულა,
სოკოლაკს გადმომდგარაო,
ერეკლეს კაცსა უგზავნის,
„ერეკლევ, ჩემო ლალაო,
გამომიგზავნე სურსათი,
ჩემი ქალაქის ღალაო!“
ეგ რომ ერეკლეს სმენია,
სიცილით გამაძღარაო,
რა ქნა მა წითელ მელამა,
ტყავი კარს მამიტანაო.“
აბდულას ჯარი აფრინა,
როგორც რო ღორის ფარაო
ვაჟები ტალიკ-ტალიკა
ჩაიჭრნენ კარავთანაო,
ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
ჩაყარეს ფარი-ფარაო.
ეუბნებოდნენ სპარსელნი
„კარგი, ქართველნო, კმარაო!“
გამოქცეული აბდულა
სამშვილდეს გადმომდგარაო,
გამოეგება დიაცი,
„ბიჭო, რამ აგაჩქარაო?!“

„სუ დამელუპა ჯარება,
რაც ლეკმა გამატანაო,
რად არ მითხარი დიაცო,
მანდ რომ ერეკლე მდგარაო? “

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ გულიანად იცინა ერეკლემ და ლექსიც ძალიან მოუწონა ბერიკაცს.

— ეს ლექსი რა სათქმელია, შვილო?! მოგეხსენებათ, ბერიკაცი ლექსის თქმაშიაც ძაბუნია და პურის ჭამაშიც. ლექსი ის იყო, ჩემი დავითი რომ ამბობდა სიყრმეშივე.

— რა გვარისა ხარ, ბერიკაცო?

— ხმალაშვილი ვარ, შვილო, ძეძვას მეძახიან.

— დავითი ვინდა იყო?

— ჩემი დისშვილი იყო, თავადი გურამიშვილისა. ეგ რო პატარაობითვე ლექსებს ჩალხავდა... მეორე რუსთველი უნდა დამდგარიყო, თუ დასცალდებოდა.

— რა დაემართა? — დაინანა ერეკლემ.

— უმეფობის დროს ლეკთ გაიტაცეს. იქიდან რუსეთს გაიპარაო. სულკურთხეულ ვახტანგ მეფესთან უმსახურია ერთხანს და ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ გავიგეთ.

— რაც ლეკთ საქართველოს ზარალი მიაყენეს, არც ერთ მტერს არ მიუყენებია! — ამოიოხრა ერეკლემ და მტერზე გულმოსულმა ცხენს დაუტყაპუნა მათრახი.

შესვედრა შუამთაში

ვახტანგისეულ სასახლესთან ცხენოსანთა გუნდი მოვარდა. ერეკლეს ატყობინებდნენ, ლეკები დაესხნენო კახეთსო.

— მერმედა თქვენ რას აკეთებთ იქ? — განრისხდა ერეკლე.

— ერთი რაზმი, ბატონო, თქვენი წამოსვლის მეორე დღესვე დაგვესხა, მაგრამ ჯიმშერმა მოუყარა თავი სასახლის მსედრობას და უმალ გაფანტა, მეორე რაზმის წინააღმდეგ კი მგელი ქართელი წაგეიძღვა და თავბედი ვაწყეევლინეთ, მაგრამ ერთ ადგილას კი არ ჩამოდიან ის წყეულები. ერთ წუთს რომ ომალოში გამოჩნდებიან, მეორე წუთს კოლოთში არიან, — მესამეს — იყალთოში და ვინ მოსთვლის მათ ვეზებს. ქიზიყისა და გაღმა მხარის სოფლებს ხომ ბუზივით ესევიან.

ერეკლემ ბრაზი ვერ დაიცხრო. ისე განრისხდა, კინალამ ხელა გააწნა ამბის მომტანს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქ ყრიხართ და არას აკეთებთ!

— უთქვენოდ ვერას გავაწყობთ, დიდო ბატონო. ზოგიერთ თავადს ხმა გაუვრცელებია, ერეკლე ბატონიცაო და თეიმურაზ მეფეცაო ნადირ-შაჰს გაუწვევიაო ისპაჰანში. ამიტომ აღარავისი ეკრძალვათ იმ რჯულძაღლებს.

— შესხედით ახლავე და უკან გაქუსლეთ!

ერეკლემ სათბილისო თადარიგი დაიჭირა და მერელა გაემგზავრა კახეთისკენ თავისი ამალით.

თელავის სასახლეში როცა ჩავიდა, შეიტყო, რომ კიდევ რამდენიმე რაზმი დასცემოდა კახეთის სოფლებს და, თუმცა დიდი ზიანი ვერ მიეყენებინათ, მოსახლეობა საგრძნობლად შეეფუცხუნებინათ, ქვრივ-ობოლ-მწირი შეეშინებინათ და ერეკლეს ხმა მოენატრებინათ.

— ყველას საკადრისი მივუზღეთ, დიდო ბატონო, — მოახსენა მგელმა ქართლელმა, მაგრამ ჩვენც ილაჯი გაგვიწყვიტეს ამ შობელ-ძაღლებმა. ერთი რაზმი ეხლა შუამთის მონასტერთან დასუნსულებს და იქით ვაპირებ წასვლას.

ერეკლე თუმცა საშინლად დაღლილი იყო და ჯერაც ცხენიდან არ ჩამოსულიყო, თავადაც ისურვა წასვლა. სამეფო ტანსაცმელი გაიხადა, რიგითი მოლაშქრის სამოსი ჩაიცვა და უბრალო მეომარივით გაჰყვა მგელიას.

— მაშ, სპარსეთში გაგვიწვიეს, არა, მე და მამაჩემი?

— ასე გვითხრა ერთმა ტყვემ, ერეკლე მეფეცა და თეიმურაზიც სპარსეთში გაიწვიეს, იქ თვალებს დასთხრიან და ისე გამოისტუმრებენო.

— მაშ, თვალებს დასთხრიანო, არა? დედას ვუტირებ! — დაიმუქრა ერეკლე, მაგრამ თვითონაც ვერ გეტყოდათ, ვისთვის უნდა ეტირებინა დედა, იმ ლეკისთვის, ვინც ეს სიტყვები თქვა, ასეთი ამბის გამავრცელებლისთვის თუ თავად ნადირ-შაჰისათვის, უთავბოლოდ და უმიზეზ-საბაბოდ რომ სთხრიდა თვალებს ბრალიანსა და უბრალოს, — ისე კი, როგორც ვხედავ, თვალების დათხრის ღირსი უფრო მეტია ამ ქვეყანაზე, — დაამატა მცირე ხნის შემდეგ.

— ჭეშმარიტი ბრძანებაა.

შუამთის ტყეში, წყაროსთან რომ მივიდნენ, ხევის მხრიდან ლაწალუწის ხმა შემოესმათ.

— ისინი არიან. — დაიჩურჩულა მგელიამ, — ალბათ უბრალო მწყემსები ვგონივართ ან ვიღაც მგზავრები და ამიტომ არ გვეკრძალიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადით, გააჭენეთ რამდენიმემ, დანარჩენები ხეებს ვიფარებთ და აქ ჩავსაფრდებით. თუ ისინი გზაზე გამოსვლას გაბედავენ და თქვენს გამოდევნებას, სწრაფად შემობრუნდით და ალყაში მოვაქციოთ! — გაახსენდა ერეკლეს ნადირ-შაჰის ნახმარი ფანდი.

— ბევრნი რომ იყვნენ?

— თუნდაც ერთ კაცზე ათი მოვიდეს?

— მაგდენი არა მგონია.

— აბა, მაშ, რა გაფიქრებს?! დროით გააჭენეთ და ჩვენ აქ ჩავსაფრდებით.

ერეკლემ ათიოდე მხედრით ხუთ ძმა რცხილასთან შეაჩერა ცხენი და მგელიას ანიშნა, რაღას უცდიო. მანაც აღარ დააყოვნა და შეშინებული კაცის ყიჟინით გააჭენა ცხენი თავის ამალასთან ერთად.

ყაჩაღები მართლაც გადმოხტნენ ტყიდან და იქით გაიხედეს, საითაც ცხენოსნები მიეფარნენ. მერე ერთმა ყაჩაღმა უკან მოიხედა, სხვებიც მოახედა და, როცა რცხილებთან მიყუჟული, თითქოს შეშინებული მხედრები დაინახეს, დიაცი ქართველებიო, თამამად დაიძახეს და ხმლები იშიშვლეს.

ყაჩაღთა თავხედურმა სითამამემ ბრაზი წაუკიდა ერეკლეს, წინწასული რაზმის უკან შემობრუნებას აღარ დაელოდა და ხმალაღმართულმა მიაგდო ცხენი.

— ხმალი მაგ წუნკლებს! — დაჭყივლა მთელი ხმით და პირველივე შემხვედრ ყაჩაღს მხარი ჩააცალა. გაიმართა ხელჩართული და ფიცხელი ბრძოლა. არც ერთი მხარე უკან არ იხევდა, რაკიღა ორივეს მტკიცედ სჯეროდა თავისი ძლიერებისა, მაგრამ ამასობაში უკან მობრუნებულმა მგელი ქართლელის რაზმმა რომ ყიჟინა დასცა, ალყაში მოქცეული ყაჩაღები ერთმანეთში აირივნენ და ისევ იმ ხევს მიაწყდნენ, დასისხლიანებულნი, საიდანაც წელან გამოცვივდნენ.

— ფეხდაფეხ მისდიეთ და არც ერთი არ გადაგრჩეთ! — ბრძანა ერეკლემ, ხმალი ხის ფოთლებს შეაწმინდა და ქარქაშში ჩააგო.

მხედრებმა დაიქვეითეს და ისე გაედევნენ უცხენო მტრებს. მხოლოდ პირადი მცველებიღა დარჩნენ მეფესთან, რომლებიც უკვე ბრძოლის აზარტში შესულიყვნენ და გაფაციცებით უსმენდნენ ტოტების ლაწალუწსა და ხმალთა ჩახაჩუხს. ერთი ორჯერ კაცთა შეკივ-

ლების ხმაც მისწვდა მათ ყურს, შემდეგ კი ყველაფერი მიჩუმდა და მხოლოდ წვიმის წვეთების ხმა ისმოდა, ფოთლიდან ფოთოლზე რომ ეცემოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლემ დაიქვეითა, და წყაროსთან მივიდა. ჯერ ცხენს დაალევინა წყალი, მერე თვითონ შეისხა შუბლზე, მაგრამ მოძალებული ძილი მაინც ვერ გაიფრთხო, მიიხედ-მოიხედა და, რაკი არავინ ჩანდა, შუბლზე გაირტყა ხელისგული.

გზაზე ბერიკაცი გამოჩნდა, ტყაპუჭი ეცვა და სალამური ეჭირა.

—საით გაგიწევია? — ჰკითხა ერეკლემ უფრო იმიტომ, ძილი გავიკრთოო.

— ჯაჰნაბისკენ, — უპასუხა გაგულისებით.

— მერმედა იცი კი საით არის ეგ რაღაც ჯაჰნაბა?

— არ ვიცი, მაგრამ მაინც მივდივარ.

— ვისაც სალამური უჭირავს, სიმღერისთვის უნდა იყოს შემზადებული.

— ან სიმღერისთვის და ან ტირილისთვის. სიმღერა და ტირილი ძმები არიან, შვილო, ისე, როგორც სიკვდილ-სიცოცხლე... დღე მშვიდობისა! — მიესალმა დაწეული კილოთი.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!.. როგორღაც გამწყრალი ჩანხარ, თუ არ ვცდები?

— გამწყრალი როგორ არ ვიქნები, ასეოდე ცხვარი მყავდა და ისიც ლეკებმა გამტაცეს. აემ გამხმარი სალამურის მეტი აღარაფერი დამირჩინეს იმ შეჩვენებულებმა, გუდა-ნაბადიც კი წამართვეს.

— გუდა-ნაბადიც? — ოდნავ გამოეფხიზლა ერეკლეს, მაგრამ სანამ ამ სიტყვებს მთლიანად გაიზრებდა, ისევ მიეძალა ძილი მის ქუთუთოებს, — რაო, უძაღლო სოფელი ხომ არა ნახეს?

— ნახეს და მეტიც არი. ძლივს წესიერი ბატონი გამოგვიჩნდა, ვიფიქრეთ, გვეშველაო, და ისევ დავკარგეთ.

— როგორ თუ დაჰკარგეთ?

— ამბობენ, სპარსეთში გაიწვიესო, ნადირ-შაჰის კარზე. იქიდან დაბრუნებული კი ცოტა ვინმე თუ გვინახავს... რაო, შენც სამწყსო ხომ არ დაგეფანტა? — შეათვალიერა ერეკლე.

— სამწყსო მე მეფანტება, ბერიკაცო, თორემ შენი სამწყსო რა სათქმელია?

— ბევრი გყავს?

— ათასჯერ შენზე მეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაგდენი არ გეყოლება! — უნდობლად შეათვალიერა ბერიკაცმა, წყალი რომ დალია და სველ ქვაზე ჩამოჯდა.

— მეტიცა მყავს, მაგრამ მოვლა ყოფილა ძნელი. ან უფრო მეტი უნდა ვყავდეს და ან სულ არ ვყავდეს.

— ეგ სადაური თაბაუთია? — მწარედ გაეღიმა ბერიკაცს.

— მართალს გეუბნები. უკრავ სალამურს?

— მაგის მეტი რა ვიცი?

— ალაპარაკებ?

— მეტსაც ვუშვრები.

— აბა, მაშ, ასე დაუკარი: ბიჭებო, მოეშვით ტყეში წანწალს და უკან დაბრუნდით-თქო!

ბერიკაცს ისევ გაეცინა და ეჭვით შეათვალიერა თავისი მოსაუბრე. მერე სერიოზული სახე მიიღო და:

— რაო? ცხვარს ხომ არ ეძებენ?

— დიახ, ცხვარს ეძებენ.

— როგორ დავუკრა? — სალამური ტუჩზე მიიდო ბერიკაცმა.

— წანწალს მოეშვით და წყაროსთან გამოდით-თქო! — საძილედ მორღვეულ თვალებზე ხელისზურგი მოისვა ერეკლემ.

ბერიკაცმა სალამურს ჩაჰბერა და აალაპარაკა:

— ბი-ჭე-ბო, და-ბრუნ-დით, დააბ-რუნდით წყაროსთან დააბ-რუნდით!..

— შენ აგაშენა ღმერთმა! — ჩაილაპარაკა ერეკლემ და თვალები მიღუნა. ბერიკაცმა იფიქრა, ჩაეძინაო, მაგრამ მოულოდნელად ასეთი კითხვა შემოესმა: — ამ ადგილებში რატომ დადიან ყაჩაღები?

— ამბობენ, შუამთის მონასტერს უპირებენო გაძარცვას.

— ბერ-მონაზონები თუ არიან მონასტერში?

— ერთხანს მომრავლდნენ, რაც შიშიანობა გაქრა. ბოლო ხანებში კი აღარაფერი გამიგია.

* * *

როცა მდევარი უკან დაბრუნდა, ერეკლემ შუამთის მონასტერში ისურვა წაბრძანება. რაზმი მოშორებით დატოვა და მგელიასთან ერთად მიადგა მონასტრის ჭიშკარს.

— ვინა ხართ? — იკითხა რამდენიმე ხმამ.

— მეფე ერეკლეს კაცები ვართ. საგანგებო დავალებით მოვედით, ჭიშკარი გაგვიღეთ! — უპასუხა მგელიამ.

— წინამძღვრის უნებართვოდ ჭიშკარს ვერ გაგიღებთ — ერეკლეს თვალებმა გამოიხედა სათვალთვალოში.

— წინამძღვარს სთხოვეთ!

მცირე ხნის შემდეგ რამდენიმე კაცი მოადგა ჭიშკარს:

— ვინა ხართ, შვილო, რისთვის მოსულხართ? — იკითხა ხელახლა.

— ერეკლეს კაცები ვართ, ნუ გეშინიათ.

როცა მძიმე ჭიშკარი ჭრიალით გაიღო, ერეკლემ შეიარაღებული ბერების ერთი რაზმი დაინახა ეზოში.

ერეკლე და მგელია ბერებს მიესალმნენ, ხელიც ჩამოართვეს და მოიკითხეს კიდეც:

— ყაჩაღები ხომ არ გაწუხებენ?

— გვაწუხებდნენ, სანამ შეიტყობდნენ, რომ ბერიც კაცია და ხმალი მასაც უჭრის.

— კარგია, იარაღი გქონიათ?

— არა გვქონდა, მაგრამ თელავიდან ამოვატანინეთ. ამბობენ, ერეკლე ბატონი სპარსეთს გაიწვიესო, და, სანამ დაბრუნდება, ხომ იცით, დიდად გაგვიჭირდება.

— თუ სპარსეთს გაიწვიეს, აბა, მაშ, ჩვენ ვინ გამოგვგზავნა? — იკითხა ერეკლემ.

— ნუთუ აქ არი?

— დიახ, აქ არი.

—ეგ კაი საქმე არა ყოფილა.

— რა?

— თუ ერეკლე თელავშია და მტერი ამდენს გვიბედავს?..

— გუშინდლამდე თელავს არ იყო, მამაო, და იმიტომ გვიბედავდნენ, — თქვა მგელიამ, — გუშინ ჩამობრძანდა და დღეს უკვე გაფანტა კიდეც ყაჩაღთა რაზმები.

— შენ პირს შაქარი, შვილო! რაო, რა დაგაბარათ?

— ბერ-მონაზონთა ადგილ-სამყოფელი დაათვალიერეთო და თუ რამ უჭირდეთ, ყოველივე მომახსენეთო.

— მობრძანდით, შვილო! — მეტი სიხარულისაგან ცრემლი მოადგა წინამძღოლს, — რაკი დიდ ბატონს ჩვენი შემწეობა უნებებია, ჩვენც დღედაღამ მისი სიცოცხლისთვის ვილოცებთ. — წინამძღოლი

საოსტიგნოსკენ წაუძღვა სტუმრებს და თან წუწუნს მოჰყვა, მშივრები და ჩაუცმელნი ვართო, ხვთისმოსავთ უფრო გულგრილად ექცევიან ადამის ძენი, ვიდრე ხმლის კაცსო. ქვეყნის აღორძინებაზე ბერ-მონაზონთა სახლების მშენებლობითა და შემწეობით იწყებდა, რომელი მეფეც სულის საქმეს გულგრილად მოექცევა, ვერაოდეს გაიმარჯვებსო. თუნდაც ამ ქვეყნად ძალით გაიტანოს ყოველივე, საიქიოს დაიტანჯებაო. ადამიანის სიცოცხლე იმითაც განსხვავდება პირუტყვის სიცოცხლისგან, რომ ადამიანს სული აქვს უკვდავი და, რასაც აქ ცოდვას ჩაიდენს, იმ ქვეყანაში გადაუხდისო უფალი. ყოველგვარ სიკეთეს კი ორმაგი სიკეთით პასუხობსო. თუ მეფე ერეკლე შემწეობას ინებებს, ღმერთი ეყოლებაო შემწედ ყოველგვარ ბრძოლაში.

ღარიბული საოსტიგნოს დათვალიერების შემდეგ სენაკებისკენ აიღეს გეზი.

— მგელია! — მოესმა უკანჩამორჩენილ მგელიას.

— მაყვალა! — დაიჩურჩულა მგელიამ, — როგორა ხარ, შე საცოდავო?

— შენ როგორა ხარ?.. თუმცა კითხვა რად გინდა, რაკი მეფეს დაჰყვები გვერდით.

— შენ საიდან იცი, რომ მეფეა? — უფრო დაუწია ხმასა და წინ წასულ ერეკლეს გაჰხედა, რომელიც ისე გულდასმით უსმენდა წინამძღვრის ჩივილს, რომ არავისთვის აღარ ეცალა.

— ამ ქალმა იცნო, — მიუთითა კუთხეში მინაბულ, სანთელივით მიმქრალ და ზეზეურად ჩამომდნარ მონაზონზე.

— ეგ ქალი ვინ არის?

— აბა, ბატონს შეეკითხე, ასმათის ნახვას რომ არ ინებებ-თქო და ის მოგახსენებს.

— აქ იყავით და ახლავე დავბრუნდები! — ნაბიჯი ააჩქარა მგელიამ და მოსაუბრეებს წამოეწია.

როცა ერეკლემ იქაურობა გულდასმით დაათვალიერა, წინამძღვარს შემწეობა აღუთქვა და შეჰპირდა, ერეკლე ბატონს მოვახსენებო ყოველივე თქვენს გაჭირვებას. ის იყო, დაემშვიდობნენ და წამოსვლას აპირებდნენ, მგელიამ რომ უჩურჩულა ერეკლეს, ვინმე ასმათი გთხოვთო.

— სად არის? — შუბლი გაუნათდა ერეკლეს.

მგელიამ მათი ადგილსამყოფელი ანიშნა და, მოგველიანო, ისიც დაამატა.

— აქ ჩემი ნათესავი მონაზონი ყოფილა, მამაო, და თუ ნებას დამრთავთ, გამოველაპარაკები.

— მეფე ერეკლეს წარმოგზავნილ კაცს წინ ვერ ეკამეცვალ, შვილო.

მცირე ხნის შემდეგ ასმათის სენაკში ასეთი საუბარი გაიმართა:

— დიდად ბედნიერი ვარ, კიდევ ერთხელ რომ გიხილე მე უღირსმა.

— აქ რატომ წამოსულხარ? რად მიგიტოვებია სახლი უპატრონოდ?

— შინ აღარავინ მყავდა და ვისთანლა დავრჩენილიყავი?

— გათხოვდებოდი და შვილებს დაზრდიდი. იცი, ჩვენს ქვეყანას ხალხი რა დიდად უჭირს?

— როცა გავთხოვდი, იმაზეც ვნანობ.

— აქ... საშიში ხომ არაფერია? თელავს გადაგიყვან, თუ გინდა?

— არა!.. — სწრაფად უპასუხა და ერთბაშად დაიბნა, რაკი შენიშნა, რომ განუზომელი სიყვარულითა და სიბრალულით უყურებდა ქვეყნის პატრონი. — არა ვარ, არა!.. ღირსი არა ვარ, მეფეო! — აქვითინდა და მუხლებზე დაეცა ერეკლეს ფეხთით.

ორი მხედარი

ჭართალთან ორი გოლიათი შეხვდა ერეკლეს, უბელო ცხენებზე ისხდნენ და თითქმის ძირს აბჯენდნენ ფეხებს. მეფის დანახვაზე ერთბაშად დაიქვეითეს და შეეცადნენ, დაბლები გამოჩენილიყვნენ.

— შუადღე მშვიდობისა! — მიესალმა ერეკლე და ღიმილიანი თვალებით შეჩერდა მათ წინაშე.

ორივენი დარცხვენით მიესალმნენ და შესაბრალისად მოიბუზნენ.

— საიდანლაც მახსოვხარ და ველარ გამიხსენებია?

— მამათქვენის მეფედ კურთხევას დავესწარით, — გაბედა შედარებით ბეჭებგანიერმა, რომელსაც ასაკითაც უფროსობა ეტყობოდა და ენა ბავშვივით ეჩლიქებოდა.

— გამახსენდა! — მათრახი შემართა ერეკლემ, — სამნი იდექით ერთად და კათალიკოსს ეგონა, ლოდზე რასმე აბლორტებულანო, არა?

— მართალი ბრძანებაა! — დაეთანხმნენ ორივენი და ბავშვებივით გაწითლდნენ.

— რა გქვიათ? — უზომოდ მოეწონა ერეკლეს ორივენი.

— მე ივანე მქვია, — უპასუხა ბეჭებგანიერმა ენის მოჩლექით და ძმაზე მიუთითა, — ამას კი შიოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიოლა ძმაზე ერთი ოთხი ოდენ მაღალი იქნებოდა და თასმაზე მოქნილი სხეული ჰქონდა. ასეთი ლაზათიანი სიმაღლის ვაჟკაცები ერეკლეს არსად ენახა. სიმაღლეცაა და სიმაღლეც. ანტონის შემდეგ ასე არავინ მოსწონებია ქართლსა თუ კახეთში.

— ვისები ხართ?

— გიორგისა, — გაუძნელდა ივანეს პასუხის გაცემა.

— რომელი გიორგის?

— უსინათლო გიორგისა, — უპასუხა ივანემ ყოყმანის შემდეგ.

— ეს ის გიორგია, არაგვის ხეველები რომ შემოგვარიგა, არა? — ინიშნა ერეკლემ.

— ასე ამბობენ, — და რაკი ერეკლემ მიანიშნა, აქ საით გივლიათო, დაამატა, — აქეთ ოსები აჯანყდნენ და მაჯაგანში მოვიყვანეთ.

— აბა, მაშ, ჩემს საქმეზე ყოფილხართ?

— საქვეყნო საქმე ყველას საქმეა, ბატონო.

— კარგი მამის შვილს სიტყვა-პასუხიც კარგი გქონია და, რაკი ასეა, — ერეკლემ სამი ცხენით უკან მდგარ მხედარს დაწინაურება ანიშნა და, როგორც კი დაუპირისპირდა, მის ცხენზე სიგრძივ გადაკიდული ხმლებიდან ორი ხმალი თავადვე გამოარჩია და ძმებს გაუწოდა: — ჩემგან გქონდეთ საჩუქრად, მოძმეთა სისხლში არ გასვაროთ და გარეშე მტერს კი სისხლი გაუშრეთ!

ვაჟკაცებს მეტი სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდათ და უფრო მეტად წამოენთოთ ისედაც თონესავით აელვარებული სახეები.

— კათალიკოსმა ქალაქს ხლება გეიბრძანა და ვერ გავბედეთ, ბატონო, როცა დაგჭირდეთ, დაგვიძახე და თავს შემოგევლებით, — გაბედა ივანემ.

— დაგიძახებთ, მაგრამ აქაც საჭირონი ყოფილან ტახტის ერთგულნი, — გაუღიმა ერეკლემ, — მამას გაუფრთხილდით!.. მესამე სადღა გყავთ, მცხეთას რომ გახლდათ?

— ის ჩვენი ბიძაშვილია. ოსის ქალი შეირთო და ეგრე თქვა, ოსის სისხლს ველარ დავღვრიო.

— მართალი უთქვამს: მოყვრიანთ სისხლი ძნელად დასაღვრე-

ლია, მაგრამ ჭკუა უნდა ასწავლოს და მაჯაგანში მოიყვანოს, — გაიცინა ერეკლემ, რაკიღა მათი ნათქვამი სიტყვა გაიმეორა.

დევკაცები ბავშვებივით დასცქეროდნენ ნაჩუქარ ხმლებს, თან თავიანთ დანჯღრეული ხმლებისკენ გაეპარებოდათ ხოლმე მზერა და მეტი სიხარულისაგან აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

* * *

ერეკლე ანანურს ეწვია. ციხის გამაგრება-შეკეთება მოეთავებინათ და უკვე საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანათ.

რაზმის ერთი ნაწილი სტეფანწმინდასა და თრუსოს ხეობაში გაგზავნა იქაური ამბების მოსაგვარებლად და თვითონ კი ციხის დათვალიერებას შეუდგა.

კედელზე აღმავალ ბილიკს აუყვა ერეკლე და პირველივე სათოფურში გაიხედა. არაგვს გაღმა ორი მხედარი შენიშნა და იფიქრა, ალბათ გიორგის ძენი იქნებიანო. აღმოსავლეთის კედლის ბილიკი რომ აათავა, უკანასკნელი სათოფურიდან გაიხედა. მხედრები არაგვში შემოსულიყვნენ და გამოღმა ლამობდნენ გამოსვლას. სხვები იქნებიანო, გაივლო გულში და ისევ სვლა განაგრძო.

სამსაფეხურიანი კიბე აიარა, მარცხნივ შემობრუნდა და მაღალ ქვის კიბეს აუყვა.

„როგორ გაიმეტა წყეულმა შანშემ ეს მშვენიერი კოშკი დასაწვავად", — გაიფიქრა ერეკლემ, როცა კოშკი გარედან შეათვალიერა და უკვე გალავნის ზემოდან გადაჰხედა საგაზაფხულო არაგვს. ცხენოსნებს მდინარის ერთი ტოტი გამოეტოპათ და მეორეს მოსდგომოდნენ.

ამ ციხეს ბევრი ცოდვა ადევს. ეგ იმიტომ, რომ ქართველთა ისტორია შურისა და მტრობის ისტორიაა, ვერაგობისა და გაუტანლობის. აქ ერთხელ სააკაძის სახლეულთა ამოწყვეტასაც ლამობდნენ, კაცისა, რომელმაც ყოველივე ანაცვალა საქართველოს გაერთიანების ცდას. ეგებ დრო დადგეს და ერეკლეზეც აღმართონ ხელი. უკვე დაბრუნდა ვერაგი შანშე, არაგვის ერისთავთა ნაშიერნიც სულს მოითქვამენ და აღარც ამილახვარნი მოისვენებენ. შინამტრები უთუოდ მეფის შესუსტებას შეეცდებიან და... თეიმურაზმაც თუ სიმტკიცე არ გამოიჩინა, მარტოდენ ერეკლე ვერას გახდება.

ერეკლემ თავი დაღუნა და შეუპოვარ კოშკში შევიდა.

პირველი სართულის თავსახური ძელისა იყო. ერეკლემ იფიქრა,

კვლავაც დაიწვებაო, მაგრამ გამოსავალს ვერ მიაგნო. შემდეგ აღმოსავლეთის კედელთან შეჭრილი მაღალი ბუხარი შეათვალიერა და მის ზემოთ გამოჭრილ სათვალთვალოში გაიხედა. აქედან უკვე არავი აღარ ჩანდა. მხოლოდ ტყით შემოსილი გაღმა ფერდა გამოიყურებოდა ნაღვლიანად. მერე ჩრდილოეთის კედლის სათოფურებში გაიხედა. აქედანაც მხოლოდ ბარდნარი ჩანდა ანანურის ტყისა. სათოფურებს შუა გამოჭრილ თახჩაში შანდლებს შეავლო თვალი და ხელი.

— ახლა რომ ოტია აქ იყოს!.. — რისთვის გაახსენდა ის წყეული? რაღა ოტია და რაღა ეშმაკი? თუმცა ამბობენ, ოტიას ქალიშვილი უმშვენიერესი იყოო მთელ საქართველოში. კარგი იქნება, უმშვენიერესი რომ უბედნიერესიც იყოს... ახ, გურამ, გურამ!.. გურამ კიკნაძე რაღამ გაახსენა შეუპოვარის კოშკში? მაგისთანა გონებაჩლუნგებმა გაყიდეს საქართველო და აბაშიძეებს გადააბრალეს. აბაშიძენი რომ მართლაც საქართველოს გამყიდველნი იყვნენ, მათ ასულს თანამეცხედრედ არ დაისვამდა ერეკლე. ალბათ, ვახუშტისაც ტყუილად სწამებდნენ ცილს და პაატასაც უბრალოდ გააწნა სილა. ვინ იცის, დღესაც ეწვის ლოყა?

ერეკლემ ფეხის წვერებზე აიწია და დასავლეთის სათოფურებში გაიხედა. მარჯვენა სათოფურიდან შორეული მთები მოჩანდა, შუალადან და მარცხენადან კი მთებიც მოჩანდა და ანანურის ციხის კედლებიც. თუ პირდაპირ გაიხედავდა კაცი, მთებს დაინახავდა და, თუ — ირიბად, ციხის კედელი აესვეტებოდა — დასავლეთის კოშკის კედელი. მერე დასავლეთის ღია კარიდან კლდეებს გახედა და სამხრეთის სათოფურს მიუახლოვდა. ამ სათოფურიდან გალავანში მდგარი მიძინების ტაძარი და ძველი ეკლესია მოჩანდა. თუ ერთი საფეხურით მაღლა ახვიდოდით და ახლოდან გახედავდით, არაგვის ხეობა გაიშლებოდა თქვენს თვალწინ. ხეობა კი არა, ხეობის შემოგარენი — დასავლეთისა და აღმოსავლეთის სანაპირონი, თვითონ ხეობას კი ტაძარი ფარავდა.

ერეკლემ კოშკის მეორე სართულზე ამავალ ქვის კიბეს მიაშურა, თანაც ესმოდა, გაღმა ფერდობში როგორი თავდავიწყებით გალობდნენ ჩიტები გაზაფხულის მობრძანებაზე. ეს ხმები სათოფურიდან და ღია კარიდან იჭრებოდნენ და უჩვეულო სიამოვნებას გვრიდნენ ახალგაზრდა მეფეს. მოეჩვენა, რომ ქალის ხმასა და ჩიტის გალობაში რაღაც საერთოა. ერთადერთი ჩიტი კი, თითქოსდა საგანგებოდ

მისთვის ამორჩეული, ზედ ციხის ბჭესთან გალობდა თავდავიწყებით.

ათიოდე საფეხური აიარა და მეორე სართულზე ავიდა. სათოფურიდან მღვრიე ზეცის ნაგლეჯი და ტყე დაინახა. სწორედ ამ ზეცასა და ტყეს გვედავებიან გარემომხდურნი. აქედან უფრო კარგად გამოჩნდა ძველი ეკლესიის გუმბათი და სახურავი, მიძინების ტაძარს კი ქიმი უჩანდა.

კოშკის მეორე სართულზე შევიდა. გავჯორკნილი ძელის იატაკი არ მოეწონა და ალმაცერად უყურა კარგა ხანს. მერე აქაც დასავლეთისა და ჩრდილოეთის სათოფურები დაზვერა, ბუხარი შეამოწმა და აღმოსავლეთის სათოფურში რომ გაიხედა, ისეთი ლამაზი ეჩვენა არაგვის ხეობა, რომ თვალი ველარ მოსწყვიტა. ცხენოსნები კი უკვე აღარ ჩანდნენ.

მესამე სართულის იატაკი უფრო მოეწონა. ეს უფრო სუფთად იყო გაკოპიტებული. ამ სართულის სათოფურებიდან ახლოშემოგარენილა ჩანდა. მხოლოდ სამხრეთის კიბესთან დატანებული სანათურიდან მოჩანდა არაგვის ხეობა, რომლის დიდ ნაწილს ისევ ძველი ეკლესიის გუმბათი და მიძინების ტაძარი ფარავდა.

მეოთხე სართულისკენ უკვე ხვეული კიბე მიდიოდა. ოთხი საფეხური აიარა და, როცა შემობრუნდა, აღმოსავლეთის სანათურიდან იმ ადგილს გაჰხედა, სადაც წელან ცხენოსნები შენიშნა. არაფერი ჩანდა, დატოტილი არაგვისა და ნისლიანი მთის გარდა. შემობრუნებული კიბის ბოლო სამი საფეხური ისეთ ვიწრო ხვრელში შედიოდა, ერეკლეს დაცერავებით მოუხდა შესვლა. აქ ალბათ გივი ამილახვარი და ვახუშტი აბაშიძე ვერც შეეტეოდნენო, გაიფიქრა, მაგრამ, უმალ გაახსენდა, რომ ძალა აღმართს ხნავს. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.

ამ სართულის ჭერი უფრო მოდაბლო ეჩვენა, იატაკად კი ისეთივე ძელები ეწყო, როგორიც პირველ სართულზე. სამაგიეროდ სანათურები და სათოფურები ჰქონდა უფრო ფართო და სასურველი. ყოველი სანათურიდან ისე მშვენივრად მოჩანდა ციხის შემოგარენიცა და შორეული მთა-ხეობაც, რომ მნახველი თვალს ველარ მოწყვეტდა. სამხრეთის სანათურით მაღლიდან დაჰყურებდა მონასტრებს თავის გუმბათებიანად, აღმოსავლეთიდან—არაგვის ტალღებს, ჩრდილოეთიდან — ანანურის ტყეს, ხოლო დასავლეთიდან შორეული სივრცე მოჩანდა.

ხვეული კიბით უკანასკნელ სართულზე ავიდა ერეკლე. აქ უკვე ცალი თვალითლა გაიხედა სათოფურებში და მალე გამოვიდა. კიბესთან გამოჭრილ სამხრეთის სანათურთან გაჩერდა და არაგვს გაჰხედა. ტაძრების ქონგურები უკვე აღარ უშლიდნენ ხეობის დანახვას და უფრო შორამდე ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან კოშკის თავზე ავიდა, რომელიც მეექვსე სართულად ჩაითვლებოდა, აქედან უკვე აღარაფერი ჩანდა გარესამყაროსი, სათოფურებს თუ ცხვირს არ მიადებდით. სამაგიეროდ მღვრიე, უკვე აცრემლებული ცა დაჰყურებდა კედლის კბილებიან გალავანს.

„კარგად გაუკეთებიათ ყოველივე", — გაიფიქრა ერეკლემ და უკანვე დაეშვა, თანაც რატომღაც კიბის საფეხურებს ითვლიდა.

როცა ძირს ჩავიდა და, ის იყო, გოდოლში შესვლას აპირებდა, მსახურმა აუწყა, უცხო სტუმრები გელიანო.

— მდაბიონი არიან თუ წარჩინებულნი?

— წარჩინებისა არა სცხიათ რა.

ერეკლემ გოდლის დათვალიერება გადაიფიქრა და სამყოფი კოშკისკენ აიღო გეზი.

— სად არიან? — იკითხა ერეკლემ.

— კარიბჭესთან დგანან და დაჟინებით ითხოვენ შემოშვებას.

— კარი გაულეთ!

და როცა მეციხოვნემ მძიმე ჭიშკარს ურდული აუყარა, კიბის დაბლა ორი ახალგაზრდა კაცი დაინახა დასადავებელ ცხენებთან ერთად. ერთს მოკლედ შეჭრილი ქერა თმა-წვერი ჰქონდა, მეორეს დაყირავებული ულვაში და ერეკლემ ვერც ერთი ვერ შეიცნო.

— ვერ გვიცნობ, მეფეო, და რა შენი ბრალია? — გაულიმა დაყირავებულულვაშიანმა.

— მამუკა!.. ძაღლიკა!.. — დაიძახა ერეკლემ და ხელები გაშალა.

ძველმა მეგობრებმა კიბე ამოიარეს და გახარებულები მკერდზე ემთხვივნენ ერეკლეს.

— ძალიან გამახარეთ, მე და ჩემმა ღმერთმა! რატომ ბერდიაც არ წამოგიყვანიათ?

— ბერდია მახკლეს.

— ვინ მოკლა?

— რჯულძაღლთა.

ერეკლე მიხვდა, რჯულძაღლებში ვისაც გულისხმობდნენ და მწარედ ამოიოხრა:

— ნეტავი ეგ არ გეთქვათ და თუნდაც ხანჯალი გაგეყარათ გულში. — ერეკლემ დავიწროებული თვალებით შეხედა ძაღლიკას, რომელსაც ჭორფლის ოდნავი ნასახიც აღარ ეტყობოდა თვალის ირგვლივ ბეწვთან, აღარც აქერცლილი ცხვირი ჰქონდა და სახე ისე დასუფთავებოდა, საპატარძლო ქალს შეშურდებოდა. მერე მამუკაზე გადაიტანა მზერა და ფშავ-ხევსურეთში გატარებული ბავშვობის დღეები გაახსენდა. ისე თვალნათლივ გაახსენდა, რომ ბერდიას სიტყვებიც ჩაესმა კანთიელად: „მართლა თუ დიდი ას ჩვენ საქართველო, ბატონიშვილო“? ვაი, რომ, რაც არის, დანაწილებულია და ეს ნაწილები ერთურთს ქიშპობენ. ამით სარგებლობს გარემტერი და... ეხ, ბერდია, ბერდია!.. ერეკლე მამუკას ვეება ცერს მიშტერებოდა და ეჩვენებოდა, რომ უკანკალებდა. ვინ იცის, ბრაზით, ვინ იცის — მორცხვობით.

— წავიდეთ! — წარუძღვა ციხისკენ.

მსახურმა ცხენები ჩაიბარა და ძველი მეგობრები შემოსასვლელის კოშკისკენ გაემართნენ, სადაც ერეკლე იყო დაბინავებული.

ორიოდე საფეხური რომ აიარეს, ერეკლემ ამოიოხრა:

— დღეის შემდეგ აღარსად გაგიშვებთ. არც თქვენ მიმატოვოთ, თუნდაც გაგირისხდეთ!

— არ მიგატოვებთ.

* * *

ანანურიდან ერწო-თიანეთს ესტუმრა ერეკლე და ძველი მეგობრებიც თან იახლა. თიანეთის მოურავს საბრძოლო მზადყოფნა უბრძანა ყოველშემთხვევისთვის და იქიდან კახეთს გაემგზავრა.

თელავის სასახლეში დარბაზის ბჭობა გამართა. ახლადშემორიგებულ თამაზ ენდრონიკაშვილს განსვენებული აბელ ენდრონიკაშვილის სახელო-ქიზიყის მოურავობა დაუმტკიცა. მანავის მოურავობა ივანე ჩერქეზიშვილს დაუტოვა, ახმეტის მოურავობა — სვიმონ მაყაშვილს, თუშეთი ჯიმშერს დაუმტკიცა, ჭიაურთ მოურავობა ჯიმშერის ძმა ომან ჩოლოყაშვილს ჩააბარა, ენისელთ მოურავობა — დათუნას, გრემისა, — მერაბ ჯავახიშვილს, ხოლო ფშავ-ხევსურეთისა — გრიგოლ ჩოლოყაშვილს. ჯანდიერის შვილებსაც საკადრისი მიაგო, ვაჩნაძეებსაც და ვახვახიშვილებსაც. ყველგან ერთგული კაცები დანიშნა და ყველას ჩააგონა, რომ ყველაზე უმეტესად დღეს ეჭირვებოდა მამულს ერთსულოვნება და თავდადება. ნადირ-შაჰის მკვლელო-

ბით დგებოდა ჟამი, როდესაც არა თუ ქართლ-კახეთის, მთლად საქართველოს აღდგენაზე ფიქრიც კი შეიძლებოდა.

ერეკლეს თათბირს ყველანი ერთნაირი სიხარულით არ ისმენდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ იმედი და მხნეობა უფრო მეტი იყო მათში, ვიდრე უნდობლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკადრისი ნობათი

მხცოვანმა გოლიათმა ქუდი მოუხადა და პატივით დაუკრა თავი მეფე თეიმურაზს. ღრმად დაფიქრებული თეიმურაზი საითღაც იცქირებოდა და ვერც კი შენიშნა ეს მოძრაობა.

— დღეგრძელობა და სამშობლო ქვეყანაში დაბრუნება მეფე თეიმურაზს! — გამოაფხიზლა ნაცნობმა ხმამ.

— გივი!.. ჩემი საყვარელი ცოლისძმა! — წამოიძახა თეიმურაზმა.

გივის გაეღიმა, რაკიღა პირველად გაიგო თეიმურაზის პირიდან სიტყვა ცოლისძმა.

— რასაც ამბობენ, მართალია? — თეიმურაზის სიტყვები მალამოდ მოეცხო უცხო ქვეყანაში გადახვეწილ ამილახვარს.

— აქედან გავშორდეთ, შეგვნიშნავს ვინმე.

ორმა ქართველმა დიდებულმა ვიწრო ქუჩაბანდში შეუხვია და ქვის ჭიშკართან შეჩერდნენ:

— აქაც საშიშია, რადგან ქვასაც ყურები ასხია.

— შენ მხოლოდ ის მითხარი, მართალია, და ამით დავამთავროთ ყოველივე.

— მართალია, რასაც მეკითხები. ადილ შაჰს თვალები დაშანთა თავისივე ძმა იბრეიმ ხანმა.

— რა პოლიტიკა გადაგვარჩენს?

— ადილ შაჰს არ ვახსენებ, როგორც ჩემს სიძეს. დიდება იბრეიმ შაჰს და მეტი არაფერი. ერეკლეს გამოგზავნილი თვითმარქვია საამშა ჩემს განკარგულებაშია, მივართმევ ნობათად და ერთგულებას ამით დავუმტკიცებ.

— ნახვამდის, მეფევ!

— ნახვამდის, ჩემო გივი!.. შენ რასღა აპირებ?

— ხმლით გავიკაფავ გზას, თუ გაჭირდება, და როგორმე გავაღწევ თავს წყეული ბუნაგიდან, რომელსაც მხოლოდ ლეშის სუნი

უდის. ჩემი ჭალარა თავი როგორმე საქართველოში უნდა ჩავიტანო, თუნდაც იქ მომკვეთონ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი მიხვდა, ამილახვარმა სათქმელი რომ არ დამთავრა და უცნაურად შეებრალა ეს გაუტეხელი კაცი. მიხვდა, თავის მომკვეთად რომ მეფე თეიმურაზსა და მის ძე ირაკლის გულისხმობდა და ასე შენიშნა:

საქართველოში ხელს ვერვინ გახლებს!

— თუნდაც მომკვეთონ, მეფეო, ჩემი ტანჯული ძელები მშობლიურ მიწას მიებარება.

— შინაურ მტრობაზე ხმა აღარ ამოვიღოთ! ყოველივე უნდა დავივიწყოთ.

— შანშე ისევ აღზევებულა, თქვენის წყალობით.

— არც შენ ჩამოგყრი პატივს, ოღონდაც საქართველოს ხილვა გვეღირსოს, ნახვამდის, ამილახვარო!

— ნახვამდის მეფეო! — ისე ღონივრად ჩამოართვა ხელი გივი ამილახვარმა, თეიმურაზის ძვლებმა შეიგრძნეს.

„მაინც არ იშლის, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — ცის ჩამონგრეული თაღის შეკავება უფრო იოლია, ვიდრე — ამილახვრის მოტეხვა. არც შაჰებისა ეშინია ამ დალოცვილს და არც — მეფეების. მარტოდენ ირაკლის ეკრძალება. მისი სახელის ხსენება ზარავს და ხალისს უკარგავს. მამა ზეციერო და დედაო ღვთისავ, თქვენ ექმენით მფარველად საქართველოს ერთადერთ იმედს, რათა დათრგუნოს ყოველივე ბოროტი და ორგული ქვეყნისა!..“

ამილახვრის განშორების შემდეგ კიდევ დიდხანს იდგა თეიმურაზი ერთ ადგილას გახევებული და მოყყანე ბრბოს ზიზზიმს უცქეროდა მთავარ ქუჩაზე. ყველანი იმაზე ყაყანებდნენ, თუ როგორ დაუშრიტეს თვალები „სამართლიანობის მაძიებელ“ ადილ შაჰს და როგორ გახელმწიფდა მასზე „უფრო სამართლიანი“ იბრეიმი. ხვალ ალბათ იბრეიმს დაახრჩობენ და ბრბო მასზეც ისევ სიამოვნებით იყბედებს. ბრბო მაინც ბრბოა და ყოველივე სულერთია მისთვის. კარგი ბატონი ხარ თუ ავი ბატონი, მცირედ განგასხვავებს ფიქრს მიუჩვეველი ბრბო. ეგებ ირაკლიც ამაოდ ირჯება და არვინ დაუფასოს?

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრეიმ შაჰს ძმის თვალებით გასისხლიანებული ხელები დაბანილიც არ ექნებოდა, ტახტზე რომ აბრძანდა და თეიმურაზი კი პატივით ეახლა: სპარსეთის ტახტის მაძიებელი, ერეკლესგან დატყვევებული საამშა წარუდგინა და მოახსენა:

— სპარსეთის შაჰის ვალი, გურჯისტანის მფლობელი თეიმურაზი და მისი ძე ირაკლი ნიადაგ ერთგულნი იქნებიან აღმოსავლეთის კანონიერი მბრძანებლისა! გილოცავთ შაჰინ შაჰობასა და დიდხანს სიცოცხლეს! დაე, მომავალშიც სამეგობრო გეზი გვქონდეს გურჯისტანის სამეფოსაკენ!

იბრეიმ შაჰი უზომოდ აღაფრთოვანა თეიმურაზის ამგვარმა სიტყვებმა და მანდატურს უბრძანა, ღირსეული პატივი მიეზღა. მეორე დღეს კი წყალობის სიგელებითა და საჩუქრებით დატვირთული თეიმურაზი საქართველოსკენ გამოემგზავრა.

ბეჭიტა და დათუნა

— სად იყავი, მამა? — შეეკითხა პატარა გიორგი, როგორც კი ლაშქრობიდან შინდაბრუნებულმა ერეკლემ ხელში აიტატა და გულიანად დაუკოცნა ყელი და ლოყები.

— მდევარში ვიყავი, შვილო. აქეთ-იქიდან ქურდბაცაცები გვეპარებიან და თუ არ გავდევნე, შენს თავსაც მომპარავენ, — უთხრა ერეკლემ, როგორც მოწიფულს.

— მეც წამიყვან? — მსხვილი თვალები ნეტარებით გადააბრიალა გიორგიმ და წვერზე მოეფერა მამას.

ერეკლემ გულიანად გადაიხარხარა და ნიკაპი მოარიდა, რაკიღა გიორგიმ პირველი მოფერების შემდეგ, დიდი სიყვარულის ნიშნად, წვერი მოუპოტნა.

— ამანაც თუ შენსავით მდევარში იარა, რაღა მეშველება?! — ამოიკვნესა დედოფალმა და ერეკლემ შენიშნა, რომ სახე ოდნავ დალაქავებოდა და შეშუპებოდა კიდეც. მუცელი საგრძნობლად დასტყობოდა და ადრინდელი სინორჩე ერთბაშად დაჰკარგოდა. შეებრალა და უნებურად ჩაილაპარაკა:

— ბევრი შვილის შობა მოგიწევს, დედოფალო, და გაგიჭირდება.

— დედისთვის შობა სიხარულია, მაგრამ გული მიგებს, რომ მეორის შობასაც ვერ შევესწრები.

— ეგ რამ გაფიქრებინა? — ერეკლემ გიორგი ძირს ჩამოსვა და თავის ოთახში შევიდა. სავარძელში ჩაეშვა და დედოფალს კი ტახტზე მიუთითა, წამოწექი, ჯდომა თუ გიჭირსო.

— ორსული ქალი უფიქრელად გრძნობს ყოველივეს, — წამოწოლა არ ისურვა დედოფალმა და მხრებზე მიეხუტა ერეკლეს, — ღვთითჩასახული სული აგრძნობინებს, რაც უნდა მოხდეს.

— ქალური შიშია და სხვა არაფერი! — დედოფლის ხელები მკერდზე მიიხუტა ერეკლემ, — ერთი კი იცოდე: უშენოდ ძალიან გამიჭირდება და სიკვდილზე საერთოდ არ უნდა იფიქრო.

—მაინც თვეობით გარეთა ხარ და რა ყრია ჩემს სიცოცხლეში? — ამოიკვნესა დედოფალმა, ხელები გაითავისუფლა და ტახტზე ჩამოჯდა: მეუღლისთვის რომ უკეთესად შეეხედა.

— მეფეთა ცხოვრება ასეთი ყოფილა, დედოფალო, — წვერი ჩამოისწორა ერეკლემ, საზურგეს მიეყრდნო და შარავანდედით მოსილ ქრისტეს დაემგვანა.

— მაშ, ჩემმა გიორგიმაც ასე უნდა იწანწალოს ტყე-ღრეში?

— მამამისი იმიტომ წანწალებს, რომ მას აღარ ერგოს ამდენი ტანჯვა. ომები კი... უომრად ცხოვრება არც ყოფილა და არც თუ ოდესმე იქნება.

— დაიძინე! — სთხოვა კი არა, შეემუდარა დედოფალი, რაკი შენიშნა, რომ კვლავაც უძილო იყო ერეკლე.

— დრო არა მაქვს. ანტონს უნდა ვეთათბირო. ისე, რა ისმის ახალი?..

— უნდა გავდევნოთო, შენზე უთქვამთ: კახეთის მემკვიდრეს ქართლის ტახტთან რა ხელი აქვსო?

— მეფეს თუ ერთგული დედოფალი ჰყავს, ვერას დააკლებენ... რაო, ვინ გვინდაო მეფედ?

— ბაქარს მოითხოვენ. თუ ბაქარი არ ჩამოვა, მაშინ — აბდულა ბეგიო ანდა — ანტონიო.

— ანტონიც მაგ აზრისა ხომ არ არის?

— კაცისას რას გაიგებ? — ჯდომით შეწუხდა დედოფალი და ფეხზე წამოდგა. ერეკლემ შენიშნა, რომ დედოფალი ზომაზე მეტად გასუქებულიყო და თითქოს გაზრდილიყო კიდეც.

— ჩვენ შეფიცულნი ვართ: ორთავ ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ და

უკეთუ მეფობას ანტონი ისურვებს, უარს არ ვეტყვი. არც ბიძაჩემ ბაქარს ავუმხედრდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ?

— იმად, რომ ტახტი მართლაც მაგათი კუთვნილებაა.

— მერე? — მიუახლოვდა დედოფალი და თმაზე დაუწყო ფერება.

— ბაქარი ვერ ჩამოდის და ანტონი კი თავად ამბობს უარს, — ერეკლეს ძალიან ესიამოვნა ქალის თითები და თვალები მინაბა, — ჯერ კიდევ ჭაბუკობისას შემომფიცა, რომ მეფობას არაოდეს ისურვებდა, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის ნიადაგ მხარში მედგებოდა.

— მერე? — მბზინავ თმაში მეორე ხელიც შეუცურა დედოფალმა.

— ვხედავ, ფიცს არ ტეხს და არც მიღალატებს ჩემი ერთგული მამიდაშვილი.

— აბდულა ბეგი და შენი ერთგული მამიდაშვილი რომ ერთმა დედამ შობა?

— აბდულა ბეგის შობისას ქაჯი ეჯდა მამიდას გვამში, ანტონის შობისას კი — კეთილი ანგელოზი.

— ახლა მე რა მიზის გვამში, თუ ამდენი იცი?

— უთუოდ ანგელოზი. თუ ქალი არის, თამარის ბადალი გამოვა და, თუ ვაჟია, — დავითისა.

— ჩემი გიორგი? — განზე გაიწია დედოფალმა და თვალებში შეხედა.

— პირველი მეფე, რა თქმა უნდა, გიორგი იქნება და მეფობას ვერც ვინ გამოჰბირავს...

— არ მინდა ვაჟი! ნეტავი ქალი გამიჩნდებოდეს, თამარს დავარქმევ. უჩვეულოდ კარგი იყო დედაშენი! — დედოფალი ისევ მიუახლოვდა მეფეს, შუბლზე აკოცა და სავარძლის საიდაყვეზე ჩამოუჯდა ცელქი გოგოსავით.

— რაც გსურს, ის ახდეს... ანტონს დამიძახონ!

დერეფანში გასული დედოფალი მალევე შემობრუნდა:

— მსახური მოგახსენებს, ორ ყმაწვილს სურსო მეფის ნახვა.

— შემოუშვან!

— აქ მიიღებ ასე ხალვათად ჩაცმული?

— არა უშავს. დაე, გაიგონ, რომ მეც მოკვდავი ვარ და ხალვათობას დანატრებული.

მცირე ხნის შემდეგ ორი თანატოლი ახალგაზრდა შემოვიდა. სიმაღლითაც და სახის წყობითაც ერთურთის მსგავსნი. ორივეს გა-

ყოფილი ნიკაპი ჰქონდა და საკმაოდ სქელი ზედატუჩი, რომელზეც ნორჩი ულვაში აბიბინებოდათ.

— რაში დაგჭირვებიათ მეფე? — ღიმილით წამოდგა ერეკლე და სპარსული ხალათის კალთები ერთურთზე გადაიდო, — ან ვისი ხართ?

— საბედოს შვილიშვილები ვართ, — გაბედა ერთმა და კარიანი კბილები გამოუჩნდა.

— საბედო რომ არ ვიცი?

— ეგრე უთხარით, პირველად რომ კახეთის ლაშქრით შემობრძანდი და საგურამოს ტყეში დედაბერმა ქოქოლა მოგაყარა, ის თუ გახსოვსო?

— აჰ, მახსოვს, მახსოვს!.. ახოვანი და მჭახე დედაკაცია ბაბოთქვენი!.. ახლაც რომ სპარსულ სამოსში ვარ, რა მეშველება, რომ დამინახოს?

— ბაბო აღარ არის... მიიცვალა.

— ღმერთმა გაანათლოს იმისი სული! — ღიმილი წაეშალა ერეკლეს, — ხომ არა გიჭირთ რა?

— არა. დავმარხეთ.

— მერმე?

— ანდერძად დაგვიტოვა, მეფეს ეახელითო, და ანდერძი შევუსრულეთ.

— ბალახის თესლით თქვენ დაგზარდათ?

— დიახ.

— რა გქვია? — ჰკითხა კარიანკბილებიანს.

— ბეჟიტა.

— შენა?

— დათუნა.

— ხმლის ქნევა თუ იცით?

— მეზობელმა გვასწავლა.

ერეკლემ ტაში შემოჰკრა.

ოთახში მსახურმა შემოიხედა.

— ეს ყმაწვილები ძაღლიკას ჩააბარე, ავარჯიშე-თქო! — მერე გახარებულ ყმაწვილებს მიუბრუნდა და: — ყოველივეს გასწავლიან და, თუ უნარს გამოიჩენთ, ეგების ჩემს ამალაშიც მოხვდეთ.

მათი გასვლიდან ათიოდე წუთის შემდეგ ანტონ კათალიკოსი შემობრძანდა.

— მომშივდა შენი ნახვა! — გაუღიმა ერეკლემ.

— მე კი მომწყურდი! — გულზე მიიხუტა ანტონმა.

— ამბობენ, შიმშილს უფრო დიდხანს უძლებს ადამიანი, ვიდრე წყურვილსო?

— ათჯერ მეტ ხანს უძლებს.

— ჩვენ კი, ინდოეთზე ლაშქრობისას უფრო მეტად მწყურვალნი ვიყავით, ვიდრე — მშიერნი.

— ორივ ჯოჯოხეთია და ორივ აშოროს ჩემს ქვეყანას!

— მოსკოვს რომ გაგგზავნე, იყავ ბაქართან? — მოულოდნელად კუშტად შეეკითხა ერეკლე და უცებ შეტრიალდა. სარკმელთან რომ მივიდა, როგორღაც შეგუნდავდა, შენივთდა, სეტყვის ღრუბელივით მოიქუფრა და დასაქუხებლად დაიტენა.

— როდის გამგზავნე? — შეკრთა ანტონი.

— შვიდი წლის წინათ.

— აკი ყოველივე მოგახსენე?

— ყოველივე მომახსენე და მეჭეშმარიტა, მაგრამ დღეს მაუწყებენ, სიცრუეაო.

— მრისხავდეს გამჩენი! — ჭერისკენ ხელები აღაპყრო ანტონმა, — ცა ჩამომექცეს, თუ ჩემს ძმასა და უფალს ერთი სიტყვა მოვატყუო ოდესმე!

— მაშ, არ მღალატობ? — თვალებში ჩააცქერდა ერეკლე.

— შენი მოღალატე ქრისტეს მოღალატეა და როგორ ვიტვირთებ იუდას ტვირთს?!

— ხმები ჩამესმის, გღალატობენო, — ოდნავ დაცხრა ერეკლე, რაკი ერთბაშად ირწმუნა კათალიკოსის სიმართლე და შეებრალა კიდეც, ეჭვი რად შეეიტანეო.

— ღალატს დიაღაც უნდა ვუფრთხილდეთ, — ღრმად ამოისუნთქა ანტონმა, — რაკიღა ყოველი მეფე ღალატის მსხვერპლია... — მერე სული მოითქვა, ნერწყვი ჩაყლაპა და ასე დაამატა: — ვიფრთხილოთ, ძმაო, მაგრამ იქ კი არა, სადაც სულიერი მამა ან ძმა გვიდგას მხარში? ღალატს იქიდან მოელოდე, საიდანაც შური იჭყიტება.

— რა გითხრა ბიძაჩემმა ბაქარმა?

— აკი გითხარი: მამაჩემის ტახტის მიტაცებას არავის ვაპატიებ, მაგრამ უკეთუ ქართლის ქვეყანა კახთ ბატონობას თავად სჯერდება, თეიმურაზის ვამეფებას წინ არ წავუვალო?

— ისიც ხომ უთხარი, თეიმურაზი არას გერჩის, თუ საქართველოში ჩამობრძანდები-თქო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე მოვახსენე.

— მან რა გიპასუხა?

— რომ ჩამოვიდე, შინააშლილობა დაიწყება და ქართლი დაზარალდებაო.

— თავად ხომ არ ინებებ მეფობას? — თვალებში შეხედა ერეკლემ.

— მაგისი პასუხიც კარგად მოგეხსენება.

— მაშ, სად ვეძიო იმ ჭორთა სათავე, ქართლში რომ დაწანწალებს და ხალხს მიორგულებს?

— მაგას ვერ გეტყვი. ის კი ვიცი, რომ აბდულა ბეგი ციხიდან გამოსულა, ქართლის თავადთა ერთი ნაწილი მიუმხრია და ნარიყალა-მეტეხის ციხეებში მყოფი ყიზილბაშთა ჯარების დახმარებით თბილისის აღებას ექადნება. ამას წინათ კაცი მომიგზავნა და თანხმობა მთხოვა, კათალიკოსობას თუ ინებებ, ქართლში რომ გავმეფდეო.

— კიდევ? — სარკმელს ზურგი შეუქცია ერეკლემ და პასუხის მოლოდინში თვალები მინაბა.

— რუსეთს ქედხუდნი გაუგზავნია, ბაქარი მოაშთეთო.

ამ ცნობამ უზომოდ აღაშფოთა ერეკლე და კათალიკოსს მაჯაზე ისე წასტაცა ხელი, თითქოს ის ყოფილიყოს აბდულა ბეგი:

— აბა, მაშ, როგორ ვიწყინო, რაკი ბაქარიც ასე გაუწირავს?!

— უღვთოდ სწირავს ეგ შეჩვენებული. ბაქარი იქ საშვილიშვილო საქმეს აკეთებს და იმის გამო, რამეთუ საუფლისწულო მამულებში არ შემეცილოსო, თავის ქვეყანაში სიკვდილს უმზადებს.

— საუფლისწულო მამულები?

— დიახ. ბაქარი სხვას არას მოითხოვს, თუ ჩამოვიდა. სამაგიეროდ მრავალ ქარხანას და სტამბას გვპირდება.

ქართლის სანდეგრძელო

როცა აბდულა ბეგს სანდო კაცებმა აცნობეს, თქვენმა მიგზავნილმა ლეკებმა ქართლის სოფლები გაძარცვეს და ერეკლე მდევარშიაო, სამშვილდის ციხიდან გამოსვლა გაბედა, თავისი გალურწული

ჩალა ცხენი შეაკაზმვინა და მცირე ამალით ზემო ქართლისკენ აიღო გეზი. წინასწარ მალემსრბოლები დაგზავნა: თავადებიდან ვისაც ჩემი მხარი აქვს, დიმიტრი ამილახვართან შეგროვდნენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს მოელოდა აბდულა ბეგი, მაგრამ ცოტანი დახვდნენ ამილახვართან. მათ შორის იყვნენ: პაატა აბაშიძე, რომელსაც ჯერ ისევ ეწვოდა ერეკლეს გარტყმული, დეიდაშვილზე გული ვერ გაესწორებინა და აინტერესებდა, რას იტყოდნენ მისთვის საამოს; რევაზ ამილახვრის შვილი, რომელსაც თუმცა მამულზე დავა ჰქონდა თავის ბიძა დიმიტრისთან, მაინც ეწადა ადულა ბეგისთვის ერგულება გამოეჩინა, რაკიღა მამამისი „სპარსეთში გაასახლეს“ ერეკლე-თეიმურაზმა; ორი ძმა ავალიშვილი, ხუთიოდე წლის წინათ მაჰმადის რჯული რომ იწამეს და სახელებიც შეიცვალეს, სხვა ძმებთან რომ ჰქონდათ აშლილობა და აბდულა ბეგის ერთგულება მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის ეჭირვებოდათ; კონსტანტინე მუხრანბატონის ძმისშვილი სულხანი, თავის ბიძას რომ სადროშოში ეცილებოდა; შანშეს ძენი: ზურაბი და იოანე. პირველი იმით იყო განაწყენებული, ბაქარის ლოდინში რომ „კახელები გაბატონდნენ ქართლში“ და მეორე კი — შანშე ერისთავი რომ კვლავ დააბრუნა თეიმურაზმა და ერისთავობაც უწყალობა.

ხანის ტანსაცმლით დამშვენებულმა, თუმცა საკმაოდ გაღიზიანებულმა და წონასწორობადაკარგულმა აბდულა ბეგმა გაკრიალებულ წითელ ჩექმაზე გრძელი თითები ნაზად დაიტყაპუნა. სავარძელში როგორც კი ჩაჯდა, იქაურობა გულდასმით მოათვალიერა და გრძლად ამოიოხრა:

— ცილსა მწამებენ, სპარსნი გიყვარს, ვიდრე ქართველნიო... ვფიცავ, ჭორია, თუმცა ამისი ღირსნი არიან. მკითხავთ, რადაო? კაცს როცა გიჭირს, ყველანი მაშინ გაგირბიან. მართალია, ეს მარტო ქართველთა სენი არ არის და სხვანიც სცოდავენ ამ საქმეში, მაგრამ სპარსნი კი... — გააგრძელა ზეაწეული ტონით, — თუ მოძმეს გაუჭირდა, თავს გასწირავენ.

— ასე ხელაღებით ვერ გავკმარავთ ქართველებს, ბატონო! — ველარ მოითმინა ყველა ქართველის ერთ ტაფაში მოქცევა რევაზ ამილახვრის შვილმა, — ქართველთა ერთგულება უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ეგების ზოგჯერ ეშლებათ, ვის უერთგულონ და ვის — არა, მაგრამ... განა რუსთველმა არ ბრძანა, „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“?.. ხშირად ასეც ხდება: სხვა

ერის ხალხი გვღალატობს განსაცდელის ჟამს და ქართველს აბრალებს.

აბდულა ბეგს შუბლი გაეხსნა. რუსთველის აფორიზმი სათავისოდ ჩათვალა და რევაზის ნათქვამი — ერთგულების გამოხატულებად.

— დიდად მაამე, ამილახვრისშვილო, და გულს მომიფონე, მაგრამ ქართველი სპარსელს ვერ შეედრება ერთგულებასა და კაცის დაფასებაში. აი, ბატონი მამათქვენი ორჯერ გაიწვიეს, სიკვდილით დასჯას მოელოდით და...

— ერთხელ დაუსხლტათ, მეორედ კი ნაწყალობევი დაგვიბრუნდა. ახლა უკვე მესამედ არის.

— რომც არ დასხლტომოდა, წყალობას არ დააკლებდნენ. ახლაც უთუოდ საკადრის პატივს დაიმსახურებს. ეგ იმიტომ, რომ გონიერი კაცის ფასი სპარსეთში იციან... როგორც კი საამშა საქართველოს მოუახლოვდა, მაშინვე ჩემი კუთვნილი ქართლის ტახტი შემომთავაზა. ძაღლისშვილ ერეკლეს რომ არ დაეტყვევებინა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საქმე. ახლა კი ყოველივე თავიდან იწყება და სპარსეთის ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ მაჰმად ხანმა კვლავ მომანიჭა ქართლის მეფობა.

— ქვეყანა უპატრონოდ დაგდებული ნუვის ჰგონია! სიმართლე ღმერთსაც უყვარს! — თვალები გადააბრიალა დიმიტრი ამილახვარმა, მერე ისევ სითბო ჩაიგუბა თვალებში, და სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟა, — დიდი საქმეა, — განაგრძო თითების მტვრევით, როცა აბდულა ბეგი საგანგებოდ ამაღლებულ სკამზე დააბრძანა, სხვებსაც დაბრძანება შესთავაზა და თავად კი აბდულა ბეგის გვერდით გაისწორა შედარებით დაბალი სკამი, — ნათქვამია, თუ ქრისტეღმერთი გუთნისდედა გყავს, გუთანი არ მოგიცდებაო... თუ მაჰმად ხანი რაიმეს მოინდომებს, ნადირ-შაჰის მკვლელს არაფერი გაუჭირდება. — მასპინძელმა მერიქიფე არ მოიხმო და ფიალების შევსება თავად იკისრა. ჯერ აბდულა ბეგს შეუვსო, მერე — მუხრანბატონის ძმისშვილს, კალმახისკენ რომ გაურბოდა მუშტისოდენა თვალები, მერე — პაატა აბაშიძეს, მერე თავად შეივსო და სხვებსაც ანიშნა, შეავსეთო.

„მაინც რა აჯავრებს ბიძაჩემს? — გაიფიქრა რევაზმა, — მაგას ხომ თეიმურაზმა ამილახვრობა უწყალობა და სხვას რას დაეძებს?.. ვიცი, ვიცი... — თავადვე გასცა პასუხი, — ეშინია, გივი ამილახვარი

დაბრუნდება და ცხოვრების ჩარხს სხვაგვარად შეატრიალებსო“.

„პაატას რაღა უნდა, აქ რომ მოსულა? — გაიფიქრა სულხანმა, რაკიღა პაატას გვერდით იჯდა და სიმაღლეში იჩაგრებოდა. სიმაღლეში თორემ სისქით არა თუ ჩამოუვარდებოდა, აჭარბებდა კიდეც, მკერდი კი ისეთი მაღალი ჰქონდა, თითქმის ნიკაპზე ებჯინებოდა, — პაატას ძმა ნიკოლა და მეფე ერეკლე ჭადრაკის მღერაში ატარებენო თავისუფალ დროს. ალბათ პაატასთანაც ასეა და თვალმაქცობს.

ორიოდე ფიალა რომ გამოცალეს და ოდნავ შეხურდნენ, საუბრის სადავე უფრო თავისუფლად მიუშვეს.

— მოგახსენებენ, კაცი და სახედარი ერთურთს ჰგვანანო, — დაიწყო აბდულა ბეგმა უფრო იმიტომ, დაინახეთ, რომ ქართული კარგად ვიცი, — როგორც კი გაძღებიან, აიბლეჩავენ თავსა და საითღაც გარბიან. სახედარი ფიქრობს, მდელოზე დიდხანს იმიტომ გამიშვეს, ჩემს პატრონს ალბათ აღარ ვჭირდებიო, და იმიტომ გარბის.

— მართალი ბრძანებაა! — დაუდასტურეს სიცილ-ხარხარით.

— კაცმა იცის, რომ ვჭირდებიო, და მაინც გაგირბის. გამოდის, რომ სახედარს უფრო მეტი ერთგულება შესძლებია.

— ყველაზე არ ითქმის, — შეჰკადრა სულხანმა, როცა კალმახის ჭამა მოათავა.

— ყველაზე არა, მაგრამ ბიძაშენზე ხომ ითქმის?

— ბიძაჩემზე ზედგამოჭრილია, — სულხანმა მზერა ფიჩხულზე გადაიტანა და, როგორც კი აბდულა ბეგი ავალიშვილებს მიუბრუნდა, თქვენს ძმებზე ხომ ითქმისო, მაშინვე აიღო და მსხვილი ტუჩებით ტკვერა დაუწყო.

— ითქმის, ბატონო! — სწრაფად დაუდასტურა გიორგი ავალიშვილმა, თავადთა შორის ყველაზე მოკლე ფეხები რომ ჰქონდა და ყველაზე მსხვილი თავ-კისერი.

— მამათქვენზე ხომ ითქმის? — მზერა გადაიტანა შანშეს ვაჟებზე?

— თავად მოგეხსენებათ, — უპასუხა იოანემ, — ერთგულებაზე რა ვთქვა და ულმობელობა კი მაგისი წესია.

— დიახ, ბატონებო, არ ითქმის ჩვენზე, მაგრამ ჩვენს მამ-პაპაზე ითქმის, ჩვენს ძმებზე და ჩვენს ბიძაშვილებზე. რა განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის?.. ერთი სისხლი და ერთი ხორცი ვართ.

— სული, ბატონო, — ჩაილაპარაკა იოანემ, მაგრამ აბდულა ბეგს ყურადღება არ მიუქცევია.

— მამაჩემზე აუგი არ ითქმის. — ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ დაიხვნეშა რევაზმა.

— მამაშენს რომ ჩემთვის მხარი აება, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დავიპყრობდი ქართლის ტახტს.

— მხარს როგორ აგიბამდა, ბატონო, სხადასხვა აზრი რომ გქონდათ?

— სხვადასხვა?

— დიახ. ერთი სპარსს ებრძოდით და მეორე მოუძღოდით.

— ქართლის სიკეთისთვის მოვუძღოდი... არ გენებათ და კახნი გაგიბატონდნენ. ახლა რას იტყვით?

— ქართლის ტახტი რომ კახელებმა მიიტაცეს, ეს მართალია, მაგრამ სპარსნი რომ გაგვბატონებოდნენ, უარესი იქნებოდა, — უპასუხა რევაზმა და საბოლოოდ მიხვდა, რომ აბდულა ბეგს მხოლოდ ერეკლე-თეიმურაზის გაძევება ეწადა და სპარსთა ჯარს კი ხელუხლებლად უპირებდა დარჩენას. ეს არ მოეწონა ამილახვრის შვილს, ისიც გაახსენდა, გივი და თეიმურაზი რომ ისპაჰანში ერთად არიან და არავინ იცის, როგორ გარიგდებიან. გივი რომ ხელწამოსაკრავი და ადვილად დასაკარგავი კაცი არ არის, ეს სხვებზე უკეთ თეიმურაზს მოეხსენება და ეგების შინ დააბრუნოს შანშე ერისთავივით.

აბდულა ბეგმა ყანწი მოითხოვა, საკუთრივ ქართლის სადღეგრძელო შესვა, ალავერდი ფიქრში ჩაძირულ რევაზთან გადავიდა და, სანამ რევაზი წამოდგებოდა, პასუხი მოახსენა:

— სპარსთ ბატონობა არიდეს მდომებია, ამილახვრის შვილო! ჩემი სამკვიდრო მამული მე ჩემთვის მინდა და არა — სპარსთათვის. ამ საქმისთვის კი დამხმარე მიჭირს და თქვენში ვეძიებ.

— თუ ქართლი საქართველოსთვის გნებავს, ყველანი შენთან ვართ! — ყანწით ხელში წამოდგა რევაზი, წელში გაიმართა, მარცხენა წარბი ზეაჭიმა და თავის მამას დაემგვანა, — მახსოვს... როცა მამაჩემი შაჰის კარიდან ქართლის ვექილად დაბრუნდა, მთლად საქართველოზე ოცნებობდა...

— მთლად საქართველოზე? — გაიცინა აბდულა ბეგმა.

— დიახ, მთლიან საქართველოზე ოცნებობდა და მას შემდეგ აზრი არ შეუცვლია.

— მერედა, სად არის დავით აღმაშენებელი?

— დედაჩემმაც ეგ უთხრა, მაგრამ იცით, მამაჩემმა რა უპასუხა?

რაკი დავითი აღარა გვყავს, ჩვენ უნდა გავწიოთო დავითობა. — მოეწონა რევაზს თავისი ნათქვამი.

— მერედა, ვინ უნდა გასწიოს დავითობა თუ არა ბაგრატიონმა?

— მამაჩემმაც ეგ ბრძანა. ბაგრატიონი რომ ყოფილიყო, სააკაძე გაამთლიანებდაო საქართველოს...

— რევაზ ბატონო, შორს წაგიყვანს მაგაზე ფიქრი. ჩვენს ქართლს ვუპატრონოთ და საჭმელად გვეყოფა. კუთხეთა ერთობას ჩამოვეხსნათ და ყველამ თავისი მყუდრო სახლი ააგოს.

— მთლიანი საქართველო მტრებს შეგვიშინებს და მყუდროება მაშინ გვექნება.

— ნეტავი გივი ამილახვარი ცოცხალი დაბრუნდებოდეს, ბრძოლაში გამომყვებოდეს და მთლიან საქართველოსაც დავაჩოქებთ აბდულა ბეგის წინაშე. მანამდე კი ქართლს გაუმარჯოს, ჩემს სატახტოს?

რევაზმა კამათში გაყოლა აღარ ისურვა და ყანწი ასწია, მაგრამ ღვინოსთან ერთად ბოღმაც ეყლაპებოდა, რაკიღა მამის აზრი გაამჟღავნა და თანაგრძნობა კი ვერ გამოიწვია. ეგებ არცა ღირს ერეკლეს წინააღმდეგ თამაში: ეგებ სჯობია, სასახლეში ეახლოს და ყოველივე მოახსენოს? ვაჟკაცურ ფანდად არ ჩაითვლება, თორემ ასე აჯობებს. ახლა კი გივი ამილახვრის დაბრუნებას დაელოდება და ჯარს არ მიაწვდის ერეკლეს წინააღმდეგ.

თათბირი იმით მოათავეს, რომ სამი დღის შემდეგ, დილაადრიან, ვისაც კი რამდენი ჯარის გამოყვანა შეეძლო, აბდულა ბეგთან გამოცხადდებოდნენ და მეტეხ-ნარიყალას ციხეებში მდგარი ყიზილბაშთა ჯარის დახმარებით თბილისს აიღებდნენ. მეფის სასახლეს ააოხრებდნენ და, თუ ერეკლე კახეთიდან ჩამოუსწრებდათ, სასიკეთილოდ არ დაინდობდნენ. უკეთუ ცოცხლად დანებებას ისურვებდა, თვალებს დასთხრიდნენ და კახეთს გააძევებდნენ.

— ბაქარი? — შეახსენა ზურაბ შანშეს ძემ, — ამბობენ, კავკასიონის ქედს მოადგაო.

— ჯერ კახელები მოვიშოროთ და ბაქარზე მერმე ვთქვათ, — წამოდგა აბდულა ბეგი, — მამულს ვუწყალობებ, თუ დამჯერდება, თუ არა და... შემებრძოლოს და, ვინც ძლიერია, ის გაიმარჯვებს.

— მოძმის სისხლს ღმერთი არ გვაპატიებს. — მუდარით შეხედა შანშეს ძე იოანემ.

— რომელი ღმერთი, ქრისტიანთა, თუ მაჰმადიანთა? — გაიცინა აბდულა ბეგმა.

— რომელმა ღმერთმაც მამაჩემს თვალები ამოუღო, დიდო ბატონო, დიდ ცოდვას მამაზეციერი არ გვაპატიებს.

— კუთვნილი ტახტის დასაბრუნებლად მცირეოდენი შავი სისხლი რომ დაიღვაროს, განა ეგ ცოდვაა?

— მოძმის სისხლი მაინც სისხლია, დიდო ბატონო, მცირე თუ დიდი.

— საქვეყნო საქმე უსისხლოდ არ კეთდება.

— ზოგჯერ პირადი ზრახვა საქვეყნო გვგონია და ამაში ვცდებით.

— ლაჩარს უფლისა ეშინია, კაცს კი მხოლოდ — ძლიერებისა.

— უფალზე ძლიერი არა არის რა.

— უმჯობესია, მონაზვნად აღიკვეცო, ერისთავის ძევ!.. ჩემი ძმა თეიმურაზი, ივიეე არსენი, ივიეე ანტონი, მზად არის, გაკურთხოს.

— ღმერთმა შეგინდოს, მაგრამ ქართლის ქვეყანას კარგს არას უმზადებ! წავალ მონასტერში!

— მონასტერში წახვალ თუ ერეკლეს კარზე დამაბეზღებ?! — ხმალზე ხელი გაივლო აბდულა ბეგმა, რაკიღა იცოდა, რომ ზურაბი ძმის ქომაგობას არ გასწევდა, ისე იყვნენ დაუბრებულნი.

— განრისხებას ნუ ინებებთ, დიდო ბატონო! — ჩაერივნენ აქეთ-იქიდან.

პაატა აბაშიძე ახლალა გამოფხიზლდა, რომელიც დაჟინებით ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო: ერეკლე მეფესთან თავი მოეხარა, აბდულა ბეგის კუდში ეჩანჩალა თუ თავის მამულში ჩაკეტილიყო და ჭამა-სმაზე ეზრუნა. გაახსენდა, მამამისმა ვახუშტიმ როგორ დაიფრინა სპარსთა ჯარები ზემო ქართლიდან, მერე ის გაახსენდა, გივი ამილახვარს რომ გამოუსხლტა გორის ციხიდან და გუნება წაუხდა. და, აი, ახლა აბდულა ბეგის განრისხებამ გამოაფხიზლა, იოანეს მორწმუნე თვალებს შეეფეთა და ერთბაშად გადაწყვიტა, რომ ხალხთან ურთიერთობა ერთობ ძნელია. სჯობია, თავის ციხეში ჩაიკეტოს და გარეთ აღარ გამოიხედოს.

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, მეც თქვენთან ვიქნები დანიშნულ დროზე მთელი ჯარით და არაგვის ერისთავიც! — სხვების იდუმალ უჩურჩულა დიმიტრი ამილახვარმა.

თათბირი კათალიკოსთან

ქართული ბიბლიოთეკა

ქართლ-კახეთის ხელახალი შემოვლის შემდეგ ერეკლემ მტკიცედ გადაწყვიტა თაბორის ციხის აღება. საქმე ის იყო, სანამ ერეკლე ქართლ-კახეთის ქვეყნებში დადიოდა, სპარსელი მეციხოვნენი ზარბაზანს უშენდნენ ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას. ქალაქის სამხრეთის კართან მდგარი კახელთა ჯარი ერეკლე მეფის ბრძანების გარეთ ვერ ბედავდნენ ციხეზე იერიშის მიტანას. არადა ბოღმით იხრჩვებოდნენ ბრძოლისმოყვარე ქიზიყელები.

ერეკლე გორში იყო, როცა აცნობეს, სპარსი მეციხოვნენი არ ისვენებენ და ქალაქს აწიოკებენო, აბდულა ბეგისგან შეგულიანებულნი. ერეკლემ გორიდან დიდი ზარბაზნის წამოღება უბრძანა მხედრებს. თავად კი მცირე ამალით ჭენებით წამოვიდა თბილისისკენ.

თავდაპირველად სასახლეში მივიდა ერეკლე, სადაც შეშფოთებული მეუღლე და დედოფალი ანახანუმი შეეგებნენ.

— მთელ დღეს მოსვენება აღარა გვაქვს, ზარბაზანს გვესვრიან. წაგვიყვანე ისევ კახეთში! — შესჩივლა ანა დედოფალმა.

— აბდულა ბეგს შემოუთვლია, მარტოდენ თბილისი დაცალოს და სხვას არას ვედავებიო. დაცალე, თავს შემოგევლე! — შეემუდარა ანახანუმი.

— თუ ერეკლე ვარ, მწარედ ვანანებ აბდულა ბეგს! რაკიღა დავინდე, ამით მიხდის, არა, სანაცვლოს. საამშას ხომ მივუზღე საკადრისი?!

— საამშას მიუზღე, მაგრამ ახალი კაცი გამოჩენილა განჯაში და სპარსეთის შაჰობას ეპოტინებაო. აბდულა ბეგისთვის ქართლის მმართველობა დაუმტკიცებია და ჩვენ ისევ კახეთში გვერეკებიან. — შესჩიოდნენ ჯერ-ჯერით.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, მე გავცემ პასუხს.

— ზარბაზანს გვესვრიან, შვილო, ეროი ორჯერ სასახლის გალავანსაც მოარტყეს. — შეახსენა ანახანუმმა.

— მაგათი ზარბაზანი ჩვენს ციხე-გალავანს ვერას დააკლებს, დედოფალო, ჩვენი გორული ზარბაზანი კი... ხვალ დილით აქ იქნება.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე ღამეს მეტეხის გზაზე რაზმი ჩააყენა და უბრძანა, სურსათი არ მიეწოდებინათ სპარსი მეციხოვნეებისათვის. მერე სატივეებზე გაცურა, ისნიდან ჩავიდა ფონიჭალისკენ და კახელთა ჯარი შეაცაცხანა: სურსათს ნუ უშვებთო თბილისისაკენ. ამ საშუალებით გარესამყაროდან უნდა მოეწყვიტა თაბორის ციხე, რათა შიგგამომწყვდეული ყიზილბაშები დამშეულიყვნენ და თვითონვე აღემართათ ალამი დანებების ნიშნად.

— თუ საჭმელით დატვირთული აღალი შეგხვდათ, თქვენი კაცი გააყოლეთ და ქალაქში ჩაატანინეთ, მოსახლეობისთვის. თქვენც არ დაიკლოთ, ჯერ თქვენ დანაყრდით და მერმე ქალაქელებს გაუგზავნეთ.

— ახლა ჩვენ ვიცით, დიდო ბატონო! — დაიქადნეს კახელებმა, — თქვენი ბრძანება არა გვქონდა, თორე გუშინ-გუშინწინებშია მილი მილს ედო გამამცხვარი თუ გამოსაცხობი.

ფონიჭალიდან ამობრუნებულმა ერეკლემ ანტონთან გამართა თათბირი:

— ჩემს ყოფაში მტერი ჩავარდეს! ხედავ, ბიძაშვილო, რაგვარად შემოვრჩი ქვეყანას: კახეთში წავალ და ქართლს ესხმიან თავს, ქართლში გადმოვალ, კახეთზე მიაქვთ იერიში. გარემტერს შინაური ესართება და ეს უფრო გვლუპავს.

— ვერას დაგაკლებენ. ღმერთიც შენთან არის და შენი ძმა ანტონიც!

— ღვთის მადლით, კვირაში შვიდ დღეს შემიძლია, უძილოდ გავატარო და ყველას საკადრისი მივუზღა, მაგრამ, ვაი თუ ერთ ღამეს ჩამთვლიმოს და შინაურმა მტერმა გულზე მახვილი დამაბჯინოს?! — აუღელვებლად, დინჯად და დალაგებით ლაპარაკობდა ერეკლე.

— როგორც მიგაჩნია, ისე იმოქმედე, მეფეო! — მიხვდა ანტონი, რასაც ერეკლე ექარაგმებოდა, — არ იფიქრო, ძმა არის და მხარს დაუჭერსო. ვინც ხალხის სიკეთეზე არ ფიქრობს, ხალხის მტერია და შეწყალება აღარ სჭირდება.

— მომეცი ხელი!

— ჯოჯოხეთშიაც შენთან მიგულვე! — უშველებელი, მაგრამ საოცრად თეთრი და გასათუთებული, ფუნჩულა ხელი შემოაჭდო ერეკ-

ლეს ძარღვიან ხელს, — თუ მეტყვი, სიკვდილით დავსჯი და ხელის ჩამორთმევას განანებო, არც მაგაზე აგიმხედრდები. ერთი დედ-მამის შვილები ვართ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ხორცით ვართ ერთნი, სულით კი... სულით სხვადასხვანი ვართ, მამიდაშვილო.

— არამი ლუკმა არვის შერჩება! — კიდევ უფრო დადინჯდა ერეკლე, — ეგების ქართლი ჩემი სამკვიდრო უფრო არ იყოს, ვიდრე აბდულა ბეგისა, მაგრამ...

— მემკვიდრეობა მას ეკუთვნის, ვისაც ერის გაძღოლა შეუძლია! — აღარ დაამთავრებინა კათალიკოსმა.

— მაგას არ ვამბობ... შენ რომ ისურვო, ამაღამვე გადმოგაბარებ ქართლის სამეფოს, მამაჩემის დაუკითხავად, აბდულა ბეგს კი... ჯერაც არ დამცხრალა ის ზეიმი, რაც მამაჩემის ქრისტიანული წესით გამეფებამ გამოიწვია და ახლა ხალხს რომ ისევ გათათრებული მეფე მოვგვაროთ, არ გვაპატიებს.

— არც გვინდა და არცა გვჭირდება. არჩევანში შენ მეყოლები. ერთი დედ-მამის ნაშობნი არ ვართ, მაგრამ სულიერი ძმა შენა ხარ ჩემი.

ერეკლემ იგრძნო, რომ გულწრფელი იყო კათალიკოსის სიტყვები და თვალებზე მომდგარი ცრემლი ძლივს შეაჩერა.

— მეფე ქვეყნისა, საყვარელო ძმაო, კეთილი მწყემსია, — შთაგონებით დაიწყო ანტონმა, — ასეთი მწყემსობა შენ შეგიძლია, მეფემ პირადული ხალხს უნდა ანაცვალოს, ასეთი გულისა მხოლოდ შენა ხარ. მოსალოდნელი განსაცდელისგან მეფე არაოდეს არ უნდა დრკებოდეს, ასეთი მტკიცე მხოლოდ შენა ხარ. მეფეს უნდა შეეძლოს ათასგვარ ხლართში გზის გამოძებნა, ესეც შენ ძალგიძს. მეფეს ხმლის ქნევაში მაჯა არ უნდა ეღლებოდეს, ასეთი მაჯა მხოლოდ შენა გაქვს. თავის ქვეყანას დღენიადაგ თავს უნდა დასტრიალებდეს მეფე, არ იღლებოდეს და დღე-ღამ სწავლობდეს, ვის რა უჭირს, ეგეც შენ ძალგიძს. არც აბდულა ბეგს და არც შენს საყვარელ ბიძაშვილ ანტონს ეგ არ შეუძლია და არც მეფობას აკუთვნებს ღმერთი.

* * *

ძაღლიკა, მამუკა, მგელი ქართელი და ოთხი ერთგული ქიზიყელი იახლა მეფე ერეკლემ და თაბორის კოშკების მისადგომების დასაზვერად გაემგზავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკიღა მტკვრის ხეობა ყიზილბაშ მეციხოვნეთაგან ჩაკეტილი იყო, ამიტომაც სოლოლაკი აიარა და ტაბახმელის გზით დაეშვნენ კოშკები. მიხვდა, რომ ამ მხრიდან იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო და უფრო ღია მხრიდან — თელეთის შემოსასვლელიდან უნდა დაერტყათ.

მეორე დღეს გორიდან ჩამოტანილი ზარბაზანი საყინულეზე გაატანინა მტკვარსგაღმა, და ფონიჭალასთან ისევ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამოაგორებინა, იქიდან მთაზე აატანინა და თაბორის კოშკებისთვის დაამიზნებინა.

აბდულა ბეგს თავისი მზვერავები ჰყავდა ქალაქში და ამ მოძრაობის ყოველგვარი ცნობები მასთან მიჰქონდათ.

რამდენიმე დღეში სურსათმოკლებულმა ყიზილბაშებმა თაბორის ციხეში კვნესა დაიწყეს.

სამშვილდეში ჩაკეტილი აბდულა ბეგი გარეთ გამოსვლას ველარ ბედავდა და ველარც საიმედო სიტყვებს აწვდიდა ყიზილბაშ მეციხოვნეებს.

ფონიჭალიდან წაყვანილი ჯარი და თბილისელი მოქალაქენი ერეკლემ თაბორის კოშკის მისადგომებთან განაწყო და უბრძანა როგორც კი ზარბაზანი გავარდებოდა, კოშკზე იერიში მიეტანათ.

ზარბაზნის პირველი დაქუხებისთანავე ქართველებმა ყიჟინა დასცეს და პირდაპირი იერიში მიიტანეს თაბორის სათვალთვალო კოშკზე, რომლის აღებითაც ნარიყალას ციხე მთლიანად დაეცემოდა.

კოშკიდან შეუწყვეტლად ისროდნენ თოფებს და იერიშის საშუალებას არ იძლეოდნენ.

მოულოდნელად ვიღაც ყმაწვილი ჭინკასავით ავარდა კოშკზე და მეთოფეთა შორის ხმლით დატრიალდა. თოფის სროლა ერთბაშად მინელდა და ხმლის ჩახაჩუხის ხმაღა ისმოდა. ამ ამბავმა ერთბაშად გააგულდიდა ერეკლეს მეომრები და უშიშრად აცვივდნენ კოშკზე, საიდანაც ზედიზედ გადმოყარეს დახოცილი და დაჭრილი მეციხოვნენი. მერე კოშკის თავზე ქართული დროშა ააფრიალეს და ვიღაცამ ხავილით დაიძახა, თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოსო.

როცა ბრძოლის საშიშროებამ გაიარა და ერეკლე მეფე ციხესთან მიუშვეს, კოშკის ლიბოსთან ორი ქართველი ჭაბუკის გვამი შენიშნა. ერთს კარიანი კბილები უჩანდა და მაშინვე იცნო. იქვე უცნობი ყმაწვილი იწვა და სხეულის ყველა ნაკვთიდან სისხლი სდიოდა. დაჭრილი ძალიან ბევრი ენახა მეფეს, მაგრამ ამგვარად დაქარდული ვერ წარმოედგინა.

— დაულუპავარ იმ ურჯულოებს! — დაიკვნესა მეფის გულმა.

— პირველად ეს ჭაბუკები მიიჭრნენ ციხესთან, მაგრამ იქვე ჩაქანულნი ბიბლიოთეკა ხოცეს, — მოახსენა ერთ-ერთმა მოლაშქრემ, — ჩვენ ყველა შევკრიბეთ, მაგრამ ეს ყმაწვილი არ დაიბნა და მაინც ავარდა კოშკზე, — მიუთითა დაჭრილ მეომარზე, — შემდგომ ჩვენც ავცვივდით, მაგრამ გვიანღა იყო: ერთს ათი ურტყამდა დაშნას.

— ვისი ხარ და რა გქვია, შვილო? — ჩაიმუხლა ერეკლემ დაჭრილ მეომართან.

— შავერდა მღებრიშვილი ვარ, აქაური... შარშან სოლოლაკში ბანიდან რომ გავკიოდი აბდულა ბეგის გასაგონად... ჯარი მოდის-მეთქი, გეხსომება.

— მახსოვს, შვილო, სწორედ რომ მამაცი ჭაბუკი ყოფილხარ! — ერეკლე ათიოდე წლით უფროსი თუ იქნებოდა და სიტყვა „შვილო“ დღეს პირველად იხმარა უცხოს წინაშე, — სასახლეში წაიყვანეთ და დასტაქრები დააყენეთ!

— შინ წამიყვანონ, მეფეო, ობოლი და-ძმა მელოდება.

— მაშინ ეს ფულიც წაულეთ და ობლებს მოახმარეთ. დასტაქრებიც იქ მიჰგვარეთ!.. თქვენ კი... თქვენ რაღა გითხრათ, ბიჭო, მკლავის გაქნევაც რომ აღარ დაუცალებიათ იმ რჯულძაღლებს?! — ცრემლი მოადგა ერეკლეს ტყუპი ჭაბუკის ცხედრებთან, — ას წელს რომ ვიცოცხლო, არ დაგივიწყებთ. აბდულა ბეგს კი... — ეწადა, ჯარი გაესია და სამშვილდის ციხე ნაცარტუტად ექცია, მაგრამ მამის წინ გადავლა არ ინება და კბილებიღა გააკრაჭუნა.

სიზმარ-ცხადი და გუშინდელ-შარშანდელი

დაღლილი ერეკლე ტახტზე გულაღმა გაიშხლართა და ძილი ნებავდა, მაგრამ სიზმარ-ცხადი და გუშინდელ-შარშანდელი ამბები ერთურთში აირია. აი, მისი ერთგული მგელია და თავად ერეკლე დასადავებულ ცხენებს მოუძღვებიან შუამთის დაღმართზე.

— დღეს რამდენია? — იკითხა ერეკლემ.

— ცამეტი, ბატონო.

— გიორგობა ისე გამეპარა, ეკლესიაში არა ვყოფილვარ.

— ეკლესიისათვის ვინ გვაცლის, ბატონო?

— წმინდაო გიორგი, შენ დაგვიფარე და მოგვიტევე ცოდვანი ჩვენნი, რამეთუ მოუცლელობით ველარ ვიხილეთ ხატება ეკლესიისა! ვეაპატიე და შემწედ ეყოლე მარიამის წილხვედრ საქართველოს!

— ამინ!

— აბა, თუ იცი, მდაბიონი რითი სჯობიან მეფეს?

— არც რითი.

— მდაბიონი მას აკეთებენ, რაც მათ ესურვებათ, მეფენი კი — რაც ხალხს სჭირდება. გლეხკაცივით რომ თავისუფალი ვყოფილიყავი, ერთ რომელიმე ქიზიყელ გოგოს შევირთავდი და ყველგან თან წამყვებოდა, სადაც წავიდოდი.

— ღმერთს არ შევცოდოთ, დიდო ბატონო?

— ვისაც ღმერთის ეშინია, კვერცხივით ნაჭუჭშია გამომწყვდეული.

— ვისაც არა სწამს?

— ცოდვებით იმძიმებს სულს.

მერე უკვე თელავის სასახლეში იყო ერეკლე. აქ ვიღაც წვერიანი კაცი მივიდა და ვაჟიშვილი შეგეძინაო, ახარა.

— რომელ დღეს დაიბადა?

— გიორგობის ათში.

— რაო, მამაჩემმა?

— ჭიშკარი გახსნა და გამვლელ-გამომვლელს ეპატიჟება. ნადირ-შაჰთან კი დავით თურქესტანიშვილი და ბორჩალოელი იბრეიმ აღა გაგზავნა მახარობლებად.

ახლა სხვა დღეა. ვეჟანი ცხენი მოჰგვარეს ერეკლეს. ათ ურემს წინანდლის, ნაფარეულის, ქინძმარაულის, ყვარლის, მანავის ღვინოები დაუდეს და უკან გააყოლეს. სასახლეში დედის მაგივრად ანახანუმი დაფუსფუსებს და ეს ჰკლავს ერეკლეს. ბრაზი წაეკიდა, შარაბ ძაფს დაუწყო ძებნა, მაგრამ თვალახვეული ვეზირი მუსტაფა დაინახა და მისკენ შებრუნდა:

— რა ამბავია?

— ნადირ-შაჰის წყალობაა. მე და მირზა იბრეიმს თითო თვალი ამოგვთხარა და სხვებს კი — ორთავე.

— ერეკლე ნუ ვიქნები, თუ არ ვანანო!

მერე თეიმურაზი გამოეცხადა:

— ნადირ-შაჰი გიწვევს სპარსეთში.

— მერმედა რას იტყვი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე წავალ, შვილო, შენ არ გაგიშვებ.

— შენ წახვალ? — მხარზე დადებულ მამის მარჯვენას თრთოლვით შეეხო ერეკლე, — თუ ნადირ-შაჰი მე მიბარებს?

— მე თუნდ დამსაჯონ, საქართველო არ დაიღუპება, შენ თუ დაგსაჯეს კი...

— არც შენ წახვალ, ბიძაჩემო! — მიუბრუნდა ანტონ კათალიკოსი, — გარეშე და შინაური მტრები აგვეშლებიან.

— შენც მართალი ხარ! — ანტონის სიტყვა ეჭეშმარიტა თეიმურაზს, — მაგრამ როცა ორი ბოროტებიდან ერთ-ერთი უნდა ამოირჩიო, უმჯობესია უმცირესს დაადგა თვალი. ორი ჯამი ერთნაირი სამსალა თუ შემოგთავაზეს, უმცირე ჯამს უნდა წაეტანო.

— სამსალის გამომწვდელ მარჯვენას რომ ხელი მოკვეთოთ, ცარიელი ტაკვით რაღას გახდება?

— ტაკვზე ხელის მოჭრა ნადირ-შაჰს ემარჯვება, შვილო და არა შენს თეიმურაზს.

— უნდა გვემარჯვებოდეს. არც ერთი მეფე, რომელსაც ქვეყნად სახელი დარჩენია, ლმობიერი არა ყოფილა. თვით დავით აღმაშენებელი და გიორგი ბრწყინვალე. არაფერს ვამბობ ალექსანდრე მაკედონელზე და მკაცრ კეისრებზე.

თეიმურაზი ორ ნაგაზს შორის მოქცეული მგელივით შეტრიალდა კათალიკოსისკენ:

— მაგით რისი თქმა გსურთ?

— არ წახვალ. და თუ ნადირ-შაჰი კარს მოგვადგება, ვახსენებთ ღმერთს და ქართველ ერს წარვუძღვებით!

— ღმერთო მაღალო! — მაცხოვრის ხატს შეჰღაღადა თეიმურაზმა, — შენ ჩააგონე ქართველობას ერის სიყვარული და მოეც შეწევნა, რათა სიკვდილამდე ქვეყნის მონა იყოს!

— ჩემს ვაჟს რა ჰქვია, მამი?

— გიორგი. გიორგობის მეორე დღეს დაიბადა და ამიტომ დავარქვი. მაგის სეხნია მეფენიც ბევრნი იყვნენ სახელოვანნი.

— ვისა ჰგავს ჩემი შვილი?

— მე მგავს, შვილო.

— ვახტანგიც შენა გგავს, ჩემი პირმშო?

— არა ვახტანგი დავით აღმაშენებელსა ჰგავს.

— აბა, მაშ ეგ ააშენებს ქვეყანას?

— დიაღაც იმედი მაქვს.

— მე წავალ სპარსეთში. ჯერ შვილებს ვინახულებ და მერმე გავემგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ვერსად წახვალ, ბატონიშვილო! — განრისხდა ბებერი და ბატონიშვილობითაც ამიტომ მიმართა, — არადა, მეც მივატოვებ ჩემს სამსახურს და როგორც მამაჩემ-ბიძაჩემებმა აწეწეს ქვეყანა, ჩვეც ისე ავწეწავთ.

— სანამ ერეკლეს პირში სული უდგას, ქვეყნის აწეწვის ნებას არავის მისცემს!

— დარბაზის ერმა გადაწყვიტოს!

— დარბაზის ერიც ჩვენა ვართ და მთელი ქვეყანაც! — თქვა თეიმურაზმა, — მე წავალ შვილო: ჩათრევას ყოველთვის ჩაყოლა სჯობია.

— ოხ, მამი, მამი! — ამოიოხრა ერეკლემ და გვერდზე გადაბრუნდა. მერე ისევ შავერდა მღებრიშვილი გაახსენდა, თვალები მოიფშვნიტა, მსახურს უხმო და დაავალა, შეეტყო, როგორ არისო.

ალი ხანის ზრახვები

თაბორისა და სოლოლაკის ამბები ჯერაც არ დამცხრალიყო, ერეკლეს რომ ახალი ამბავი აცნობეს მზვერავებმა: განჯაში ალი ხანი შემოსულა და ქართლ-კახეთის დაპყრობას ლამობსო. მარტო ქართლ-კახეთი კი არ ეხატება გულზე, მთელ ამიერკავკასიაში სურსო გაბატონება.

როცა ერეკლეს ეს მოახსენეს, მეფე კარგად იყო გამოძინებული და გულიანად გადაიხარხარა:

— ახლა რომ ძეძვა ხმალაშვილი აქ მყავდეს, თავად იცის, რაც ეკადრება იმ თქვენს ალი ხანს.

ხელქვეითნი მეფის შეშფოთებას მოელოდნენ, რადგან სულ რაღაც გუშინ თუ გუშინწინ გადაიხადა ომი და დასვენებას აღარ აცდიდნენ, მაგრამ მეფე რომ სიცილის გუნებაზე დაინახეს, თავადაც გამხიარულდნენ.

— ძეძვა ვინ არის, მეფეო?

— ზემოქართლელი ბერიკაცია. ლექსს იტყვის იმისთანას, სიცილით დაგხოცავთ.

— ლექსს ჩვენც გამოვთქვამთ, ბატონო, მაგრამ წინასწარი დაქადნება არ გამოგვივიდეს. — თქვა ძაღლიკამ.

— ქადილი მაშინ გამოგივა, როცა ძალა არ შეგწევს, თქვენს მეფეს კი... ღმერთმა ბრძანოს და ნიადაგ ამ ხასიათზე ამყოფოს! ეგ ალი ხანი, ხომ იცით, ვინ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ არის, მეფეო?

— ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ თბილისს რომ განაგებდა. დიდი სასაცილო ვინმეა: ფართიფურთით შემოდის და ფხაჭაგლეჯით გარბის აქედან. ამიერკავკასიაში უნდა გავბატონდეო? ხა-ხა-ხა-ხა!.. ბიჭი მოგიკვდეს ერეკლე, ვერ შეგიცვალოს ფერია.

ერეკლეს სიცილმა ყველანი გაახალისა და კარგ გუნებაზე დააყენა.

— გამოვთქვათ ლექსი? — ხელახლა იკითხა ძაღლიკამ.

— ჯერ საქმე იყოს და მერმე ლექსზე ვიფიქროთ. შენ და მამუკა ბთაში წადით და ფშავ-ხევსურთა ჯარი გადმოიყვანეთ: ერეკლემ შემოგითვალათ, თავი დამჭირდა ყმისა-თქო. ანანურიდან ერთი კაცი თიანეთს აფრინეთ და ჩოლოყაშვილსაც შეატყობინეთ ეს ამბავი: ეგეგბა დიდი ჯარი მოჰყავს იმ ძაღლ ალი ხანს. ანანურიდან მლეთასაც გაგზავნეთ კაცი და გიორგის შვილებს შეატყობინეთ. ერეკლემ გიბრძანათ-თქო, მარტო ეს უთხრან, დანარჩენი თავად იციან. ყველამ თითო კვირის საგზალი წამოიღოს.

— კახეთში წასვლას ხომ არ მიბრძანებ? — ჰკითხა მგელიამ.

თბილისის კარიბჭესთან რომ კახთა რაზმებია, მაგას ვიკმარებ. კახეთს რომ მაგის მეტი ჯარი გამოვარიდო, ლეკნი გაგვითამამდებიან.

— ქართლი?

— ზემო ქართლს უბრძანეთ და იმერეთშიც გაგზავნეთ კაცი ჩემს მოყვრებთან, — მეფეს ღიმილი თანდათან უცივდებოდა და ყველანი ხვდებოდნენ, რომ სერიოზულად ემზადებოდა ახალი ლაშქრობისთვის, — მაგათი ჯარი ეგეგ არც დამჭირდეს, მაგრამ ვნახოთ, როგორ იმოქმედებენ.

— ქართლის ჯარს ვინ უსარდლებს? — ჰკითხა ანტონ კათალიკოსმა. ერეკლე დაფიქრდა:

— დიმიტრი ორბელიანი კარგად რომ მყავდეს...

— დიმიტრი ამილახვარი?

— ჰო, მართლა, მოზრდილი რაზმი გაფრინდეს საამილახვროში და სახელო ჩამოართვით დიმიტრი ამილახვარს. ისე იმოქმედეთ, მსხვერპლი არ იყოს. თუ გაჯიუტდა, თვალები ამოჰხადეთ. მიზეზს

თუ იკითხავს, აბდულა ბეგი გიპასუხებს-თქო... ქართლის ლაშქარს კი, უმჯობესია, რევაზ ორბელიანი ვუსარდლო. ეს ყმაწვილი ძალიან მომწონს და ვნახოთ, რას იზამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოუცდელობა ხომ არ დააბრკოლებს?

— გამოცდილი სარდალი არ მჭირდება. არ მიყვარს, როცა სარდალს სხვა აზრი აქვს და მე — ჩემი აზრი.

— მეც ხომ არ მიახლებ, ძმაო? — შეაპარა კათალიკოსმა, როცა ორნიღა დარჩნენ პირისპირ, — ნუ გამიფრთხილდები!

— საუნჯეს გაფრთხილება უნდა. შენი ლოცვა-კურთხევა თუ გამაცილებს, ეგეც მეყოფა.

— არა თუ ლოცვას გაგადევნებ, ჩემი სულიც შენთან იქნება. დაერჩები, რაკი ასე მიბრძანებ, აქაც საჭირო ვარ.

ერეკლეს ახლა გაახსენდა, რომ უკანასკნელ ხანს ანტონს გადაღლილი სახე ჰქონდა და რაღაც საზრუნავი აწუხებდა.

— შინასაქმეები მთლიანად შენ გაწევს და ველარ გეხმარები.

— ბევრი, ძალიან ბევრი საქმე მაქვს... გახსოვს, მტკვარმა რომ დამხრჩვალი ქალი ჩამოატარა?

— მაგას რა დამავიწყებს? მერე, მერე, ვინ იყო ის ქალი? მე მაშინვე კახეთს წავედი და ყურადღება ველარ მივაქციე.

— ეს ქალი კათოლიკე ყოფილა და ამად დაუხრჩვიათ. უკეთუ სპარსთა რჯულზე მოიქცევიან, ხელს აფარებენ, ქრისტიანებს კი კათოლიკობას სწამებენ და სიკვდილით უმასპინძლდებიან.

— ეგ ყოველივე შენ გევალება, ძმაო, და უნდა მოაგვარო.

— დიაღაც ვაგვარებ. საციციანოში ვიეთნი კაცნი მაჰმადის რჯულზე მონათლულან, მტკვარში ჩავლალე და ხელახლა გავნათლე ქრისტიანულად. სვეტიცხოვლის მკვიდრსა და ერთგულს ჩვენს ბანანაშვილს გიორგის და მის შვილთა: გოდერძის, დათუნას, ქიტას და იასეს წისქვილი და ვენახი ჩამოართვეს და კვლავ დავუბრუნე. ვიეთნი ქვრივნი და ობოლ-მწირნი შევიწყალე და გულს მოვუფონე...

— კვლავაც იმედი მაქვს შენი ერთგულებისა.

— რაც მთავარია, ეგ არ მითქვამს. ოსთა კომისიამ დაადგინა, რომ თხოვნა გაუგზავნონ რუსთა ხელმწიფეს, რათა სკოლა გაუხსნან.

— სწავლა ხომ ქართულ ენაზე იქნება?

— მაგის სახელმძღვანელოს ვადგენ.

— მაგის გარეშე საქმე ვერ მოგვარდება. თუ რუსეთთან კავშირი

გვინდა, პირიქით ოსებში ჩვენი კერა უნდა გვქონდეს. ყიზილბაშები არც ისვენებენ და არც თუ ოდესმე მოისვენებენ, — ერეკლე წამოდგა, გაიარ-გამოიარა და სავარძელში მჯდარ ანტონთან შეჩერდა, — ეს ერა უნდა თქვას, რუსეთთან კავშირი უცილობელია, რადგან ერთმორწმუნეა და რჯულს არ შეგიცვლის.

— რიცხვმცირე ქვეყანა იმით არის ბრალი, სხვა რომ სჭირდება მოკავშირედ, — წამოდგა ანტონი და თითქმის მთელი თავით ასცილდა ერეკლეს, — რიცხვჭარბი კი...

— დიდ ქვეყნებსაც ეჭირვება ძმა და მოკავშირე. ამიტომ არის, რომ რუსეთსაც ჩვენკენ მოუწევს გული. ოსმალსა და სპარსთან ბრძოლაში ჩვენ ვყავართ იმედად. უზომოდ სცდება, იმ ქვეყნის პატრონი, რომელიც ფიქრობს, ძლიერი ვარ და ძმა აღარ მჭირდებაო.

ანტონ კათალიკოსმა წვერი მოისრისა და იმ ფანჯრისაკენ გაემართა, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა:

— შენ მითხარ, ერთმოწრმუნეაო, და ამის პასუხად არა მეთქმის რა...

— ეგეც არ იყოს, სწავლა-განათლება გვინდა და ეგ ყოველივე რუსეთიდან მოდის.

— ევროპიიდან მოდის, მაგრამ რუსეთზე გამოვლით. კარგი იყო, პირდაპირ ზღვიდან შემოდიოდეს, მაგრამ ასე არ არის.

— ეგ აზრიც ნაცნობია. სულხან-საბა და პაპაჩემი ვახტანგი მაგ აზრს გადაჰყვნენ, მაგრამ ბოლოს ისევ რუსეთს მიაშურეს.

— იქაც რომ გაწბილდნენ?

—უკეთუ პეტრე ცოცხალი დახვდებოდათ, არ გაწბილდებოდნენ, მაგრამ... დიდი ქვეყნის ბედს უთუოდ დიდი კაცი უნდა განაგებდეს.

— პატარას უფრო სჭირდება დიდი კაცი. — ამოიოხრა კათალიკოსმა.

— პატარასაც სჭირდება, მაგრამ პატარა ქვეყნის მარცხი არვის გაუკვირდება, დიდ ქვეყანას კი სასაცილოდ ხდის ყოველი მარცხი.

— მართალი ბრძანებაა... რა გგონია, შენ რომ ახლა სპარსეთის შაჰი იყო ანდა რუსეთის იმპერატორი, რა მოხდებოდა?

ერეკლე არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და დიდხანს ვერა უპასუხა რა. ბოლოს კი მანაც ამოიოხრა და:

— თავსატეხი მომემატებოდა.

— არ მოგემატებოდა. დიდი ქვეყნის პატრონი თუ ეროვნულ პოლიტიკაში არას შესცოდავს, არაფერი გაუჭირდება. შენ კი ეგ საქმე ყველაზე უკეთ იცი და ერებს არ ზღუდავ.

— მაგრამ... — გაეღიმა ერეკლეს და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, — ჩვენ ხომ ვცდილობთ, რომ პირიქით ოსები ქრისტიანებად მოვაქციოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ ერთი, ოვსნი ქრისტიანნი იყვნენ ადრიდანვე, და ჭირველ რჯულს ვუბრუნებთ. მეორეც ის არის, ქრისტიანული რჯული ყველაზე უწმინდესია დედამიწაზე.

— აბა, მაჰმადიანს ჰკითხე, რას გეტყვის?

— მაგაშიც მართალი ხარ და სწორედ ამიტომაც შეგიძლია დიდი ქვეყნის გაძღოლა.

— ღიღი ქვეყნის მმართველთა ბედს არ ვეხარბები, — სიჩუმის შემდეგ თქვა ერეკლემ, — მხოლოდ ჩემი საქართველოსთვის მომავლეეანა და სხვას არას ვისურვებ, — მერე ისევ იყუჩა და ეს დაამატა: — მამაჩემი ცოცხალი დაბრუნდებოდეს და, ვიცი, რაგვარადაც წარემართავ საქმეს.

* * *

როცა ქართველებმა საალიხანო ლაშქარი შეაგროვეს, ალი ხანი უკვე თბილისს იყო მიახლოებული. ასეც ეწადა ერეკლეს. მისი ვარაუდით, ყველაზე უკეთესი თბილისთან შებმა იყო, რადგან ბრძოლა, მოსალოდნელი იყო, გაგრძელებულიყო და სურსათ-სანოვაგის ზიდვა, დატვირთული აღალების ჭაპანწყვეტა აღარ დასჭირდებოდათ. თანაც აქ, ზურგუკან, ერთგული თბილისელები ეგულებოდნენ და ვანჯა-ყარაბალთან კი მტერი უფრო მეტი იყო, ვიდრე — მოკეთე. ძით უფრო ახლა, სპარსეთში რომ შინააშლილობა იყო და შაჰობას ერთურთს ეცილებოდნენ.

— მტკვრის აღმოსავლეთით ჩამწკრივებულ სამიკიტნოებსა და ქულბაქებს ჩაუარა მეფე ერეკლემ დასადაებული ცხენით.

— ერეკლე ხანი!

— მეფე ერეკლე!

— კახი ბატონი! — გაისმა ჩურჩული და სირაჯ-მიკიტნები ქუჩებში გამოეფინენ.

— როგორ არის ვაჭრობის საქმე? — ჰკითხა ერეკლემ მოჩურჩულე ვაჭრებს.

— რაც უფალმა მეფე ერეკლე წყალობად მოგვივლინა, ვაჭრობა

ისე მიდის, რო, აჰა! — ცერა თითი გაჭიმა შუახნის მუცელგადმობრუ-
ნებულმა მიკიტანმა.

— თუ ვინმემ დაჩაგვრა მოვინდომოთ, ახსენეთ ერეკლე!

— ვახსენეთ და განა ერთხელა რო? სულ ელეთ-მელეთი ... ბათ, შენს სახელს რო იგებენ, დიდო ბატონო, — წინწახრით მიელაქუ-
ცა გამხდარი ვაჭარი, — აქეთ საით წაბრძანებულხართ, ჭირი მოგ-
ჭამეთ?

— მტერთან მივდივარ საბძოლველად.

— ვა, გესმის, არუთინ, ჩვენ აქ ვიყვნეთ და მარტო მეფე წაბრძან-
დეს ასე ცოტა ჯარით?

— თელეთის კართან კახეთის ჯარი მელოდება და მტრის ჯავრს
არ შევჭამთ.

— შენს ენა-პირს ვენაცვალე, მეფევ! დაგვიძახე, თუ გაგიჭირდეს
და თავს შემოგევლებით! — ხრინწიანი ხმით თქვა ტანდაბალმა, ჩა-
გოდრებულმა სირაჯმა, ვერცხლის ბალთიანი ქამარი მუხლს ქვემოთ
რომ ჩამოშვებოდა.

— თქვენი იმედი მაქვს! — გაუღიმათ ერეკლემ და როგორც კი მათ
გასცილდა, ცხენს გადაევლო.

— ვა, წავიდა, აი, ბრალი იმისი, ვისაც მაგისი ხმალი მოხვდება!

— შე მამაცხონებულო, რო ეხვეწები, დაგვიძახეო, მართლა რო
დაგიძახოს, მაშინ რას აპირებ? — უსაყვედურა გამხდარმა ვაჭარმა.

— წავალ, რა, ვერ წავალ?

— წახვალ, არა?!

— ტო, აკი დიდი ხმალი აქვსო, მე დავაკვირდი და სულაც არ იყო
დიდი, — თქვა ვილაცამ.

— ეი, ტუტუც!.. ხმლის სიდიდეზე კი არ არის საქმე, მაჯაა მთა-
ვარი.

— არც მაჯა ჰქონდა ძალიან მსხვილი. აი, იმ დაყირავებულულ-
ვაშიან ხევსურს ორი იმისისქე მაჯები უჩანდა.

— მაჯის სიმსხოზე კი არ არის?

— აბა, მაშ, რაზეა, შე ყურუმსაღო?

— ჭკუაზეა, ჭკუაზე, შე მართლა ყურუმსაღო!.. — საფეთქელზე
საჩვენებელი თითი დაიკაკუნა ჩია სირაჯმა.

— ვა, თუ მაჯა არა გაქვს და მარტო ჭკუა გაქვს, ხმალს როგორ
უნდა გააჭრევინო? — გაოცებით იკითხა მუცელგადმობრუნებულმა
მიკიტანმა.

— ეი, ტუტუც!.. აი, აქ შემოსაქნევ ხმალსა აი, აქ, შემოგიქნევს და თავს გაგაგდებინებს. აი, რაში სჭირდება ჭკუა?

მუცელგადმობრუნებულ მიკიტანს ეწადა, ეთქვა, თუ გინდად, ნამლევს ჩამოვალ, რომ ერეკლე მეფე მკლავს ვერ მომიხრისო, მაგრამ შეეშინდა, არა მცემონო, და გაჩუმება ამჯობინა.

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ კი, აი, როგორი საუბარი გაიმართა სირაჯხანებთან:

— ნახეთ, რა ყოფილა?

— რა?

— მეფე ერეკლემ რომ აქეთ ჩაიარა, იცით, სად მიდენილა?

— ვიცით. ალი ხანის დასამარცხებლად.

— ისიც თუ იცით, ის ალი ხანი ვინ არის?

— მაგან არ იყო, ერთი ხუთად რომ გაგვიზარდა გადასახადი?

— გსსომებია, აი. მაგრამ, აი, გეუას ბიჭსა არ ეხსომება.

— როდის იყო ეგა? — იწყინა გეუას ბიჭმა.

— ამ თუთხმეტიოდე წლის წინათა.

— ვა, თხუთმეტი წლის ამბავი როგორ მეხსომება, მაგდენისა ჯერაც არ გავმხდარვარ?

— ვართან, აი, თუ ახლა არ შემოვიდოდა ის შენი ალი ხანი, მაშინ უნდა დაგენახა გადასახადის გაზდაცა.

— როგორ შემოვიდოდა, ტო? ერეკლე მეფესა, იცი, რა უქნია?

— ვიცი, რაც უყო. კახეთისა და მთიელების ჯარითა სუ კუდით ქვა ასროლინა.

— შენ რა, იქ იყავი?

— იქ არ ვიყავი, მაგრამ ყველაფერი შევიტყე. ლექსიც მითხრეს იმ შენს ალი ხანზე.

— ალიხანი ისევ შენი იყოს და ლექსი კი მითხარი, თუ დაგახსომდა.

— დამახსომდა რომელია, დავთარშიც ჩავწერე. აი, როგორია:

> გადიღებულა ალიხან,
> ფიქრობს, დამიდგა ტაროსი,
> ჩემი იმედი სრულდება,
> უნათლე, უნეტაროსი,

განჯას ლეიბად დავიგებ,
ერევანს გავშლი საბნადა,
ერეკლეს ქართლსა და კახეთს
ზედ წავიხურავ ნაბდადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგ შენი მოგონილი იქნება, შე ბემურაზო!

— არა, ჩემი ნათქვამი არ არის. აი, თუნდა ვართანას ვკითხოთ!

— ვა, მე ვიცი, რო? — გაიკვირვა ვართანამ.

— ეგ უეჭველად მთიულების ნათქვამი იქნება, ცოტა მძიმე ლექსია.

— მთიულებისა არა, ის არ გინდა? ქართლელები იტყოდნენ.

— მართლა ქართლელებისა იქნება. ხედავთ, როგორი ლექსია, რუსთველს ეპაექრება?

— მართლა ამისი ნათქვამია, ამ ბემურაზისა, როგორ აქებს კიდეც?!

— მამისსული წამიწყდეს, თუ ჩემი მოგონილი იყოს! ჩემმა ვაჟმა მასწავლა და ცოტაც დამავიწყდა. უფრო კარგი იყო, რაღა, და რიგიანად ვერ ჩავიწერე. ეგ ნამდვილად კახელების მოგონილი იქნება.

— კახელებმა გალექსება არ იციან.

— ვაი, შე მართლა ჭკუის კოლოფო, აბა, მაშ, საიათნოვა არა გხსომებია?!

— საიათნოვა სომეხია, შე გიჟო, შენა!

— სომეხი შენა ხარ, საიათნოვა კი არა!

— ახლა მაგას დაიჟინებ, შე მამაცხონებულო! რუსთაველი რომ გეთქვა, სხვა საქმე იყო.

— რა? რუსთაველი კახელია?

— მოიტა ნიძლევი!

— მოდი!

— რაზე იყოს!

— რაზეც შენ გინდა! რუსთავი კახეთში არ არი და რუსთაველი საიდან იქნება.

— აბა, შენა ჰყოფილხარ ჭკუის კოლოფი აი! მარტყოფში ხომ იჯდა რუსთაველი ეპისკოპოსი? — ჩაერია ყველაფრისმცოდნე მიკიტანი და ყველანი გააჩუმა, — მაგრამ საქმე ეგ კი არ არი, საქმე ის არი, რო კახეთშიაც ამბობენ ლექსებსა.

— გინდაც ამბობდნენ, ეს ლექსი მაგისი მოგონილია.

— არა, მაგაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან ეგ უტვინო ესე ვერ შეაწყობდა ლექსსა.

მუცელგადმობრუნებული მიკიტანი გულისგარედან ისმენდა და უნდოდა, ეთქვა: ნიძლევი იყოს, ერეკლე მეფე მკლავს ვერ მომიბრუნებსო, მაგრამ შეეშინდა, არა მცემონო, და ესლა იკითხა:

— ერეკლე მეფესა ყოჩები არ ეყოლება?

— რომელი? შენსავით რქებიანი?

— თუნდაც შენსავით იყოს, მაგრამ მე ნამდვილს გეკითხებით?

— ცხვრისაა?

— აბა, თხისა, შე გამოჩერჩეტებულო?

— საბატონო ფარები ჰყავთო და რატომაც არ ეყოლებათ?

— ჰოდა, აი, იმ ფარებში გამორჩეული ყოჩი მოიყვანოს და, როცა ჩემს ყოჩს მოერიოს, მაშინ დაიკვეხოს!

— ეგ საიდან მოიფიქრე, შე ტუტუცო?! იმდენად გიჟი როგორა ხარ, რომ შენი ყოჩი ერეკლეს ყოჩს ვერ მოერევა.

— მოიტა ნიძლევი!

— რაზე იყოს?

— რაზეც შენ გინდა!

— თუ შენი ყოჩი ერეკლეს ყოჩს მოერიოოს, აი, აქედან იმ მტკვარში გადახტი და, თუ ვერ მოერიოს, იმ მტკვრიდან აქ ამოხტი!

— ეგრე იყოს!.. მაგრამ... ვა, მე რად უნდა ჩავხტე, თუ ჩემი მოერევა?

— აბა, მაშ, ვინ ჩახტეს?

— ვინც ყველაზე გიჟია.

— გიჟიც შენა ხარ და მაინც შენ მოგიწევს, შე ყურუმსაღო!

— გიჟი რადა ვარ?

— გიჟი იმიტომა ხარ, დღემდე რომ არ იცი, შენი ყოჩი მოერევა თუ — ერეკლესი.

— მე მაინც მგონია, რომ ჩემისთანა ყოჩი დედამიწის ზურგზე არავის ეყოლება.

— გიჟი იმიტომ არის გიჟი რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ჭკვიანი ჰგონია თავი. — დაასკვნა ყველაფრის მცოდნე მიკიტანმა, — ერთი შენ ეგ მითხარი, მთიულებს რა უთქვამთ?

— მთიულებს უთქვამთ, რაღა მთიულები ვიქნებით, ჩვენს დედაქალაქში რომ თათრებისა შეგვეშინდესო.

— აბა, ეგენი ყოფილან აი!

— გადმობრუნებულლიპიანს უნდოდა, ეთქვა: ნიძლევი იყოს, ერეკლე მეფე მკლავს ვერ მოიხრისო, მაგრამ, შეეშინდა არა, მცვმონო და ენას კბილები დააჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გადაარჩინა საქართველო

კათალიკოსი ანტონი ღიმილს ველარ იშორებდა, რაკიღა სტამბის გამართვას, როგორც იყო, საშველი დაადგა და პირველ ამონაბეჭდ გვერდებს დახედა.

ნუთუ კვლავ აღდგა მამა-პაპათა საქართველო, აღდგა მკვდრეთით და კვლავ იღორძინებს? ქართული სტაბბმა თბილისში! — რა დიდი სიხარულია და რა მღელვარება.

— პირველ ნაბეჭდს დალოცვა უხდება, — გაბრწყინებული თვალებით ჩაილაპარაკა ასოთამწყობმა ალექსიმ — საშუალოზე ოდნავ მაღალმა, გამხდარმა, ბეჭებში მოსულმა შავგვრემანმა ჭარმაგმა კაცმა. ალექსის პაპას ვახტანგ მეექვსის სტამბაში უმუშავია თბილისში და აქაურობის დარბევის შემდეგ კი მოსკოვს გახიზნულა ვახტანგთან ერთად. მესტამბე იოვანემ სწორედ აქ გაიცნო სტამბის საქმეში განსწავლული ბერიკაცი, რომელიც დღედაღამ ბეჭდვის აღორძინებაზე ოცნებობდა. ხშირად იგონებდა თბილისის სტამბაში გატარებულ დღეებს და იმასაც ამბობდა, იქ ერთი ხელკეთილი შვილიშვილი დამრჩა, რომლისგანაც კარგი მესტამბე უნდა გამოსულიყოო.

მოხუცი მესტამბის სიტყვები ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში ახალგაზრდა იოვანეს და, როცა რუსეთში მყოფმა ქართველმა კოლონისტებმა სტამბის ერთი დგანი თბილისისაკენ გამოგზავნეს ქრისტეფორე გურამიშვილის ინიციატივით და იოვანეც თან გამოაყოლეს, მაშინვე გაახსენდა „ხელკეთილი ყმაწვილი". მალე მიაგნო უკვე ჭარმაგობაში შესულ ალექსის და სტამბაში მოიწვია. სწორედ ამ ალექსიმ უთხრა ანტონ კათალიკოსს: პირველ ნაბეჭდს დალოცვა უნდაო.

— დაულოცავად ცა და მიწაც ვერ იარსებებს. — სტრიქონებიდან თავაუღებლად უპასუხა ანტონმა და ღიმილის შუქმა კიდევ უფრო გაუნათა სახე, რაკიღა მეტისმეტად მოეწონა პირველივე ანაბეჭდები.

— ჩემმა ასულმა მცრეოდენი სანოვაგე მოგვართვა, პურ-ღვინოს თუ იკადრებ ჩვენთან?

— რაო? პურ-ღვინოსო? — ანაბეჭდებიდან ახლაღა აიღო თავი კა-

თალიკოსმა და ზღვისფერი თვალები აღტაცებით შეანათა მორჩილი სახის ალექსის, — პურ-ღვინო აქ კი არა, ტივებზე უნდა გავამდგარ-ნოთ, ერეკლე როცა ჩამობრძანდება. იქ უნდა გამღეროთ დიდი ხა-ხარულის ნიშნად.

— ეგ სხვა იყოს, უწმინდესო და უნეტარესო, — მიუახლოვდა კა-თალიკოსზე უმეტესად გახარებული მესტამბე იოვანე — დაბალი, ჯმუ-ხი და ფუნჩულალოყებიანი კეთილი სახის კაცი, ალექსიზე რომ საკ-მაოდ ხნიერი იყო, მაგრამ ასაკი არ ეტყობოდა, — დღეს ეგრე იყოს და როცა „დავითნი" დაიბეჭდება, ვერხვის ჭალაში უნდა გავშალოთ სუფრა ჩემი საკუთარი ხარჯით.

ანტონს გაეღიმა და გაუხარდა მესტამბის ხელგაშლილობა, რად-გან იცოდა, რუსეთიდან იოვანეს სულის მეტი არა ჩამოჰყოლია რა და მესტამბის ღარიბული გასამრჯელოთი ცხოვრობდა. კათალიკოსს კი სათავნო მამულებიც ჰქონდა, საბატონიშვილოც და მრევლისაგან მიღებული შემოსავალიც. აი, რა არის ქართველი კაცის ბუნება? ერთი ჭეშმარიტი სიხარულისთვის სარჩო-საბადებელს გასწირავს.

— ხარჯი ჩემზე იყოს! — ღიმილით შეეპაექრა კათალიკოსი და იოვანეს მხარს იქით მერცხალივით დანაღვლიანებული ქალიშვილი შენიშნა, დინჯად რომ მიემართებოდა კარისკენ.

— ეს ვისი ასულია? — განაცვიფრა კათალიკოსი ასულის სილამა-ზემ.

— მაგან მოგვიტანა საჭმელი, ჩემია.

— რა ჰქვია?

— თამარი.

— ნუთუ ყველა ლამაზს თამარი ჰქვია საქართველოში, — თავის-თვის ჩაილაპარაკა და ხმამაღლა კი ეს იკითხა უნებურად: — რამდენი წლისაა?

— თოთხმეტისა გახდება მკათათვეში, მაგრამ... ჯერ ვერ გავათ-ხოვე, დედა გარდაეცვალა და...

„ერთი უჩნდეს სამიჯნუროდ, ერთსა ვისმე აშიკობდეს," — გაახ-სენდა რუსთველის ნათქვამი და არ ესიამოვნა. ამ შეგონებამ დაღუპა დღემდე. თამარის იქით ვერას ხედავდა და ყველა სილამაზეზე თვა-ლებს ხუჭავდა.

ოჰ, რუსთაველო! შენს სტრიქონებს ჯადო-თილისმა აქვს და სას-წაულებს ახდენს. შენი პოემა მთა არის თვალშეუდგამი და იქიდან დაქანებულ მოულოდნელ ზვავებს შეუძლია ქვეშ მოიტანოს სახარე-

ბაცა და დავითნიც, მონასტრები წალეკოს და ეკლესიები გაანიორწყლოს. შენს შემდეგ ქართველი კაცის ლექსი გაუფერულდა, ბრეშუმი ძალა დაეკარგა და ლექსს — სამკაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯერ მეტი ხნისა ყოფილა ანტონი ალექსის ქალიშვილზე. მაშინ კი თითქმის მაგის ხნისა იყო, როცა თამარი გასტაცეს ყიზილბაშებმა.

ანტონს მოეჩვენა, რომ მისი მღელვარება სხვებმაც შენიშნეს და თავი იმართლა:

— ჩემს დას მივამსგავსე, რუსეთს რომ არის, — მერე რატომღაც ოდნავ მარჯვნივ გაიხედა და კედელზე მხრით მიყრდნობილი ახალგაზრდა შეგირდი გურამი შენიშნა, რომელიც ალერსიანი თვალებით მიაცილებდა ქალიშვილს და თან თითქოს რაღაცას კინძავდა.

რატომ იცრუა კათალიკოსმა? მან ხომ თავის დას კი არა, ამილახვრის ასულს მიამსგავსა და ასე იმიტომ შესძრა გულ-გვამიანად? ან რად მიამსგავსა მდაბიო გოგო ყოვლად აღმატებულ ბანოვანს?.. ჰო, მართლა, გივი ამილახვარი დაბრუნებულაო და ვერ ინახულა. არც თვითონ ჩამობრძანდა სასახლეში.

კათალიკოსმა ხელები დაიბანა, ხამის პირსახოცზე გაიწმინდა და ალექსის მიუბრუნდა:

— მაშ, დავლოცოთ, არა, პირველი ნაბეჭდი?

ნეტავი მალე დაბრუნდებოდეს ერეკლე. თუ მართლა სკოლების გახსნას აპირებენ, სახელმძღვანელოს შედგენაც საშური საქმეა. უცხო წიგნებიც უნდა გადმოითარგმნოს და საეკლესიო საქმეებშიც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. ეს სტაბმა ჭეშმარიტად დიდი განძია და მრავალ საჭირო წიგნს დაბეჭდავს ქართველთათვის... სპეკალი, სპეკალი, სპეკალი...

— რა გგონიათ, საქართველო რამ გადაარჩინა? — იკითხა ანტონმა, როცა უკვე გაშლილ სუფრასთან დაჯდა.

— ამასაც თუ გადარჩენა ჰქვია? — დაიხვნეშა ალექსიმ, თავადაც ტაბლასთან დაჯდა და გამოცდილ იოვანეს გაუსწორა თვალი, რას იტყვისო.

— ხმალმა, — თქვა იოვანემ და ქათმის დაჭრა განაგრძო.

— მარტო ხმალი ვერას იზამდა, — უპასუხა ანტონმა და იმ კედლისაკენ გაიხედა, სადაც წელან გურამი ასვეტილიყო. გურამი იქ აღარ იყო, — ყივჩაღთა უმეტესად არ გვიჭრიდა ხმალი, მაგრამ დღეს მაგათი სახსენებელიც აღარ არის, — ანტონმა ყველის ნაჭერი აიღო და ნაზად მოაკვნიტა.

— მართალია, — გაფანჩული წარბები შეატოკა იოვანემ და ფაქიზად ამოჭრილი ქათმის ბეჭი გადაუდო ანტონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონმა ახლა შეამჩნია, რომ იოვანეს მარჯვენა ხელი ბინდოდა ლებდა. იოვანეს ასტრახანში გასტაცა დიდმა მდინარემ ყოველივე და ზღვას შეურია. სტამბა და ხელის კანკალიღა ჩამოიტანა თბილისში.

ანტონს ისევ ალექსის ქალიშვილი გაახსენდა და გულმა სიამოვნებით დაუკვნესა.

— შრომამ გადაარჩინა, გულმოდგინებამ, — დააზუსტა ალექსიმ.

— ეგეც მართალია, მაგრამ, — შავი ღვინის ჯამს თითები შეახო კათალიკოსმა, — მე ვიტყვი, რომ... სიყვარულმა გადაარჩინა. დედამიწაზე სიყვარულითაა ყოველივე. ღმერთიც და მეფეც, ერიც და ბერიც, ანტონმა ჯამი აიღო და თავისი ნათქვამი რომ განემტკიცებინა, ასე დაამატა: — შური და ღალატი ნიადაგ ღუპავდა და სიყვარული ინახავდა. სიყვარულს გაუმარჯოს სიტყვისას და საქმისას! — არასოდეს არ ეთქვა ანტონს ასეთი სადღეგრძელო.

— ღმერთო, შთააგონე ყველა მოკვდავს წრფელი სიყვარული! განარიდე სიძვას და ცთუნებას ეშმისას! შეუნდე ყოველ ადამიანს, რამეთუ სცოდავს ღვთისა და კაცთა წინაშე!

— ყიზლარს რომ მოვედით, თუ რამ გვებადა, აქ გაგვძარცვეს...— უადგილოდ თქვა იოვანემ და ანტონი მიხვდა, რომ ბერიკაცი მათ გვერდით არ იყო.

„ღმერთო, დალახვრე ყოველი მპარავი, რამეთუ ფიქრსაც გვპარავს!“

ნეტავ საით წავიდა გურამი? ალბათ, სხვა შეგირდებთან ერთად სადილობს.

პირველი სადღეგრძელო ყველამ რომ მიირთვა, ჯამები მეორედ შეავსო ალექსიმ.

— მეფეთ გაუმარჯოს! — ბრძანა ანტონმა და თვალი კიბისკენ გაექცა, რომელიც ორი ნახტომით ჩამოათავა გურამმა.

ალბათ ალექსის ქალიშვილი გააცილაო, გაიფიქრა ანტონმა და გული დაუმძიმდა. სატრფოს დაკარგვით თხუთმეტი წლის წინათ განცდილი მწუხარება ახლა გაუახლდა და ღვინის ჯამი ხელში შეეყინა.

— მეფე მობრძანდება, მეფე მობრძანდება! — დაიძახა გურამმა და საითღაც გავარდა.

ნეტავ რომელი მეფე?

სანამ მენადიმენი ამას გაიაზრებდნენ და ფეხზე წამოდგებოდნენ, იმ კარში, რომელშიც ანტონი მძაფრად დაიხრებოდა ხოლმე, მბრეში გამართული, თორ-მუზარადიანი მეფე ერეკლე გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერეკლე! — დაიჩურჩულა ტუჩებათრთოლებულმა ანტონმა და მოკლე ნაბიჯით გაეშურა ქვაფენილზე გაბოტვით მდგარი მეფისკენ, რომელსაც ღიმილი უმშვენებდა მარილიან სახეს. ალექსი და იოვანე მონუსხულებივით მისჩერებოდნენ და ელოდნენ, რას გვიბრძანებსო. ტანსაცმლის გასახდელი ფარდულიდან მუშები და შეგირდები იჭყიტებოდნენ და თვალს არ უჯერებდნენ.

— მომილოცია! — პირველად ანტონს მიულოცა ერეკლემ და გადაეხვია, შემდეგ წინ წადგა ბიჯი, ალექსისა და იოვანესაც ხელი ჩამოართვა და ხმამაღლა დაიძახა: — მომილოცია ქართული სტამბის გაცოცხლება თქვენს სასახელოდ!.. ნაბეჭდი მომიტანეთ!

და როცა იოვანემ „დავითნის“ საღებავშეუმშრალი გვერდები გაუწოდა, ერეკლე ჯერ დააცქერდა ნაბეჭდს, მერე გულზე მიიხუტა და ისევ ხმამაღლა განაცხადა:

— საქართველოს ეს გადაარჩენს!.. ხვალ ყველანი სასახლეში მეწვევით!

— გივი ამილახვარი დაბრუნდა, — აუწყა ანტონმა უკანგაბრუნებისას.

— იქვე შევიტყე... თბილისის მოურავობა გვიწყალობებია! — ნირშეუცვლელად უპასუხა ერეკლემ და ანტონმა ვერ იგრძნო, ეწყინა თუ გაუხარდა ერეკლეს ეს ამბავი.

სასწაული იორთან

მშენებლობის საკითხზე ბჭობდნენ სასახლეში. უჭირდათ ხუროონი და განსაკუთრებით კი ისეთი კირითხურონი, რომელთაც ციხეთა მშენებლობის საკითხი გაეგებოდათ. ერეკლე მეფემ თავისი კაცები ადრევე დაგზავნა სოფლებში ოსტატების საძებნელად, მაგრამ სულ რაღაც ხუთიოდე რიგიანი ოსტატი ჩამოიყვანეს კახელი ყრუი გიორგას წინამძღოლობით, ქართლშიც მაგდენივე მოიძევეს. ერთი მაგდენი კი თბილისში, დმანისსა და ბოლნისში მოაგროვეს, რომლებშიც სომხები და ბერძნებიც ერივნენ.

— თითო ხუროს ორი შეგირდი მიებაროს და არავითარი გადასახადი აღარ გადახდეს! — ბრძანა ერეკლემ.

თათბირი შუა ფაზაში იყო შესული, ჯერ არც დაედგინა, რომელი ახალი ციხეები უნდა აშენებულიყო და რომელი შეკეთებისა, ავჭალიდან რომ მაცნე მოვიდა, ლეკები დაგვესხნენ, ყველაფერი წაგვართვეს და გაიქცნენო.

— თქვენ რაღას აკეთებდით?! — განრისხდა ერეკლე.

— ისინი თოფ-იარაღით იყვნენ, მეფეო, და ჩვენ კი მარტო სატევრებითა და ხელკეტებით. მაინც ვაზარალეთ და უნიშნოდ არ გაგვიშვია.

— საით წავიდნენ, თუ შეიტყეთ?

— მარტყოფის თავზე მიდიოდნენო, ვიღაც ხაშმელმა კაცმა თქვა. ცხენით მოვდიოდი და გამოვექეცი. უთუოდ ისინი იქნებიან.

ერეკლემ თათბირის განგრძობა ანტონ კათალიკოსს დაავალა და საომრად აღიჭურვა.

სატევრებით და ხელკეტებითო? ამით შორს ვერ წავალთ. იარაღი გვინდა; თოფი და ზარბაზანი.

ცხენოსანთა რაზმით ისნის კარი გაიარა ერეკლემ.

„აქ უთუოდ ციხე უნდა აშენდეს, —გაიფიქრა, როცა ისანი უკან ჩამოიტოვა, — აქაც და ავჭალაშიც, ლიახვზეც, ქსანზეც, მეჯუდაზეც, — ყველგან ციხეები. ძველებსაც აღვადგენთ და ციხის კოშკებზე ცეცხლს დაანთებენ მეციხოვნენი, როგორც ეს ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ. ამასობაში მტრის თავდასხმას უმალ შევიტყობთ თბილისში და დროულად ვიზრუნებთ. ეს მაწანწალა ლეკები რომ წუწკი ძაღლებივით ქურდულად არ დაძვრებოდნენ, ამდენ ზიანს ვერ მოუტანდნენ. არავითარი დანდობა არ ეჭირვებათ მაგ ძაღლიშვილებს. ერთი ქურდბაცაცა კარის მეზობელი ათას შორეულ მტერზე მეტია. აქაც აბდულა ბეგის ხელი ურევია. რაც ქართლში ლეკთა რაზმები დაწანწალებდნენ, ყველანი მაგან მოისყიდა. ამას წინათ ოსმანა მიგზავნა ერეკლემ აბდულა ბეგთან სამშვილდის ციხეში, ლეკები დაათათბირებინა და ერთი ნაწილი თავისკენ გადმოაბირებინა. სხვანი ისევ მასთან დარჩნენ და ალბათ ისევ კავშირი გააბეს დაღესტანთან.

დამპალო რომ გაიარეს, მერეღა გადაიყვანეს ცხენები ნელ სიარულზე. ერეკლემ მხარმარცხნივ გაიხედა და ამოიოხრა:

აქ ოდესღაც სოფლები ყოფილა და ნანგრევებიღაა. ხელახლა უნდა დასახლდეს ეს ადგილები და ციხე-სიმაგრეც აუშენდეს. ათასი

კირითხურო რომ ჰყავდეს, არ ეყოფა. ამდენი ვაჟკაცი ომსა და ლეკებთან დევნაში რომ არ ბანდდებოდეს... მაგრამ დადგება ჟამი, როცა ყველას აგრძნობინებს ძალას. თარეშის ხალისს საბოლოოდ მოუსპობს და ათმაგი ენერგიით შეუდგება მშენებლობის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეზი სართიჭალისკენ აიღეს მდევრებმა. ერეკლემ ივარაუდა, რომ მარტყოფის თავზე გადავლით ლეკები იორზე გავიდოდნენ და იქიდან კი მდინარის ნაპირს დაუყვებოდნენ. მართალია, სართიჭალასთან დაწევნის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ გზას მაინც შეიმოკლებდა, სართიჭალაში ცხენებს შესცვლიდა და კვლავაც ჭენებით გამოედევნებოდა.

სართიჭალაში მისვლისას შეიტყეს, რომ ლეკებს დილაუთენია ჩაუვლიათ ივრის მარცხენა ნაპირზე.

ივრის ნაპირზე, ნიახურას ციხემდე არავინ სახლობდა, და ერეკლემ იფიქრა, სწორედ ამ გზით გაემართებიანო.

მხედრებმა მცირე ხანს დაისვენეს სართიჭალაში, ზოგიერთი ცხენი შეცვალეს, სხვებს ქერი აჭამეს და ივრის ნაპირებს დაუყვნენ იმ იმედით, რომ ყაჩაღები დღისით მგზავრობას მოერიდებოდნენ და ამასობაში წამოეწეოდნენ, თუ ესენი დღითაც ივლიდნენ და ღამითაც.

დიდვახშმობამდე იორმუღანლოში ჩავიდნენ. ერეკლემ ერთგული ყონაღებისკენ აიღო გეზი.

— აი, სოინ, აი, სოინ, აი, სოინ!.. — ბანზე გადმოდგა ახოვანი სარდალა, ცხენოსანთა რაზმის დანახვაზე.

— აი, აი, აი, აი! — გამოეხმაურა მეორე ბანიდან ვიღაცა.

როცა სარდალამ უცხო ცხენოსნებში მეფე და მისი რაზმი შეიცნო, სიხარულისაგან უფრო დიდი ხმით აყვირდა:

— აი, სოინ, აი, სოინ, აი, სოინ!..

— აი, ისა, აი, ისა, აი, ისა! — მოისმა ძახილი სოინას ბანიდან.

— აი, ჰამურულ, აი, ჰამურულ, აი, ჰამურულ! — ატყდა ძახილი ისას ბანიდანაც.

მცირე ხნის შემდეგ კი ოთხი ძმა აზერბაიჯანელი გაშლილი შუბლით იპატიჟებდნენ მეფეს და მის რაზმს.

— გვეჩქარება, ლეკებს მივყვებით, — უპასუხა ერეკლემ, ძაღლებს არ შეეპუა, ცხენდაცხენ შევიდა ეზოში და მათრახის ტარით ივრისკენ მიანიშნა, — აქეთ უნდა ჩაევლოთ ჩემი ვარაუდით.

— ჩაიარეს, ვალაჰ, ჩაიარეს, — გაგეკიდე, მაგრამ ძალიან ბევრი.

— სიბევრისა არ მეშინია. შენ ეგ მითხარი, დაღესტანში ხომ არ გამასწრებენ?

— არა. ეგენი დაღლილები... აქ სადმე დაგეყარნენ. თქვენ დაისვენე. სისხამზე გავეკიდეთ და დავეწიეთ. თქვენი ცხენებიც ეხლა დაღლილი.

ერეკლემ ერთბაშად დაიჯერა სარდალას ნათქვამი და გადაწყვიტა, ის ღამე იქ გაეთია, ცხენები დაესვენებინა, ციხკრის ხანს წამოეშალა თავისი ბიჭები, ჭენებით გამოსდევნებოდა და ისე უფრო მალე დაეწეოდა. ღამით სიარულს არც ბარაქა ექნებოდა და სახიფათოც იყო.

სარდალამ ერეკლეს ჩაფიქრება თანხმობად ჩათვალა და ისევ აყვირდა:

— აი, სოინ, აი, ისა, აი, ჰამურულ! — თუმცა იქვე ედგნენ ძმები: სარდალაზე უფრო დაბლები, კვერცხებივით ერთმანეთის მსგავსი სოინა და ჰამურულა და სარდალაზე კინაღამ მაღალი, მაგრამ მუგუზალივით შავად გამხმარი ისა, რომელსაც მეფის დანახვით გამოწვეული ღიმილი და აღტაცება სახიდან არ შორდებოდა, — ხუთი ზროხა დაკალი და ასი სხვარი, ბიჭებო!

— მაგდენი რად გინდა, შე კაი კაცო, ასიოდე კაცი ვართ? — გაეღიმა ერეკლეს, რაკი იცოდა, რომ სხვათა გასაგონად ბაქიაობდა სარდალა.

— კარგი, მაშინ ერთი ზროხა და ხუთი სხვარი დაგკალი, — დაეშვა სარდალა დედამიწაზე.

მეფემ დაიქვეითა და სხვებსაც უბრძანა, ჩამოსულიყვნენ.

ეზოში ნანთებ ცეცხლს ვერხვის ტოტები დააყარეს და იქაურობა განათდა.

— ჯარი სოტა გყავ, მეფევ, — უთხრა სარდალამ, როცა ძმებს თადარიგი მისცა.

— უკანაც მომყვებიან.

— მაშინ სარდალა და თავისი ზმები ასი კაი ყონაღით შენთან ვიქნებით.

— არ გინდა!

ცოტა ხნის შემდეგ ეზოსა და მინდორზე რამდენიმე ადგილას დაინთო კოცონი. ზოგან მოლაშქრენი შეგროვდნენ და ზოგგან კი სარდალას ძმებმა და სახელდახელოდ დაძახილმა მეზობლებმა საქონელი დახოცეს, ერთ-ერთ კოცონთან კი თავის მცველებთან ერთად ერეკლე იჯდა ნაბადგადაფარებულ კუნძზე, გაშლილი ხელები ცეცხლისთვის მიეფიცხებინა, თუმცა არ სციოდა, და ღრმად ჩაფიქრებულიყო.

— არ გვიღალატონ, მეფეო, ამ რჯულძაღლებმა? — უჩურჩულა ძაღლიკამ.

ერეკლემ ისე ხმამაღლა გაიცინა, ჭილყავები შეფთხრიალდნენ გალმა ვერხვებზე.

— ქართველი თავადი უმალ გამყიდის, ვიდრე სარდალა. ამათი რჯულის ხალხი ადვილად არ გითვისებს და არ გიძმობს, მაგრამ თუ ძმად მიგიღო ან ნათლიად, სიცოცხლეს განაცვალებს. ესენი საიმედო ყონაღები არიან. ამათ უნებურად კი ჩხირს ვერ გატეხენ ამ სოფელში.

* * *

უთენია წამოშალა ერეკლემ თავისი ჯარი და კარგად დასვენებული, ქერნაჭამი და მუხლმომაგრებული ცხენებით ჭენებით დაეშვნენ მაღაროსაკენ.

შუადღისას წამოეწივნენ. დიდი ჯარი იყო. იქაურობის მიაბნელებდა.

— აბა, ბიჭებო, ახლა გვმართებს ვაჟკაცობა! — თქვა ერეკლემ და ყაჩაღთა წინამძღოლი ნიშანში ამოიღო გრძელულა თოფით.

ცხენიანი კაცი ჯერ ხრამში გადაიჩეხა და მერეღა გაისმა თოფის ხმა. ამ ხმას სხვა თოფების ხმა მოჰყვა და რამდენიმე მხედარი კიდევ გამოაკლდა.

ყაჩაღები შეკრთნენ, აირივნენ და ერთმანეთის წინწასწრებას შეეცადნენ, ამასობაში ივრის მაღალი ნაპირი მოიმზვლა და ლაშქრის ნახევარი წყალში ჩაიტანა. დარჩენილები უზომოდ შეშინდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

— სასწაული!

— ივრის სასწაული!

— ჩანს, ჩვენთან არის წმინდა გიორგი! — ჰკვირობდნენ ქართველები, როცა დატოვილ ნაძარცვს მიუახლოვდნენ და ივრის მორევში მოფართხალე მხედრები დაინახეს, ნახევრადჩაფლული და წელში გაწყვეტილი ცხენები კი საბრალოდ ჭიხვინებდნენ!

— ნურც ერთს ნუ მოკლავთ! — ბრძანა ერეკლემ, — რაკი ღვთის სასწაულმა დასაჯა, დაე, მასვე მივანდოთ მაგათი ბედ-იღბალი!

დალაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთიდან თბილისში არ დაბრუნებულა მეფის ჯარი. ერეკლეს ომალოს აწუხებენო, და იქით გაემართა. ცხენები რომ დაიღალნენ, წყაროსთან ჩამოხდნენ, ისამხრეს, მოიხალვათეს და იშაირეს კიდეც.

ერთიმეორე გააქილიკეს, სიზარმაცე და ბედოვლათობა დააშაირეს. მერე — ქალები. ძველი ნაცნობები ერთურთს სოფლებს უხსენებდნენ და იქაურ ქვრივებზე იყრიდნენ ჯავრს. მუდმივი ლაშრობით დაქანცულ მეომრებს ქალის ალერსი მოსწყურებოდათ და სიტყვით იოხებდნენ გულს.

ამასობაში კარგად დაისვენეს და საძილედ მოითენთნენ.

— ყველამ დაიძინოს და ტალად მე დავდგები. — ბრძანა ერეკლემ.

— თქვენ დაიძინეთ, ბატონო, და ჩვენ ვიფხიზლებთ. — უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— მეფე გიბრძანებთ!

სხვა გზა არ იყო. ყველამ მაშინვე თვალები დახუჭა და ხვრინვა ამოუშვა.

— ერეკლე გრძნობდა, რომ ძაღლიკას არ ეძინა, მაგრამ არა უთქვამს რა. როცა ოცდაოდე წუთის შემდეგ, გაღვიძების ნიშნად, შუადღე მშვიდობისაო, დაიძახა, მაშინლა გაიღიმა ერეკლემ:

— აქ ერთ ძაღლს არ ეძინა და იკისროს, ვინც არის!

— ვისა, მეფეო? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— თავად უფრო კარგად იცის, — ნაბდიდან წამოიწია და ყველანი მოათვალიერა. ძაღლიკაზე უფრო დამნაშავედ სხვები გამოიყურებოდნენ.

— მე არ მეძინა, მეფეო, და მაპატიე! — იკისრა ალადაშვილმა.

— მეც მაპატიე, მეფეო! — გაუბედა მამუკამ.

— ვერ დავიზინე, მეფეო, — მოიბოდიშა ოსმანამ.

— არც მე დამეძინა, — ჩაიბურტყუნა მლეთელმა ივანემ და, სანამ ჯერი ძაღლიკაზე მივიდოდა, ათიოდე სხვამ იკისრა მეფის ურჩობა.

— რად არ გეძინათ? — იკითხა ერეკლემ.

— მეფეო, ჩვენა ვართ ყმანი თუ თქვენა ხართ ყმა? — უპასუხა მალალგიგოლამ და ყველანი გააცინა.

— მაშ, ვისაც არ გძინებიათ, არც ახლა დაიძინებთ! — ღიმილით განაცხადა ერეკლემ და ნაბადზე გულაღმა გაიშხლართა, — დანარჩენებმა კი, გნებავთ, დაიძინეთ და გნებავთ, იფხიზლეთ!

ჯერ არც ჩაეთვლიმა ერეკლეს, ვიღაცის ჩურჩული რომ შემოესმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლეკები, მეფეო!

ნაბდიდან წამოიწია ერეკლემ, თოფი აიღო და ნანიშნებელი ადგილისკენ გაღმა გაიხედა. ქვემოდან ლეკთა ჯარი მოაბნელებდა.

— მართალია, ისინი არიან. ეტყობა, ისევ კახეთზე მიდიან?.. ოსმან!

— გისმენ ბატონო!

— გაძვერი, ახლავე, ბუჩქები იფარე და ბელადი უნდა ჩამოაგდო. არ იფიქრო, ჩემიანიაო. ეგ რომ ლეკთა მტერი არ იყოს, მაგოდენა ლაშქარს აქ არ წამოიყვანდა და არ ჩამახოცინებდა.

— ახლავე მეფეო! — დავალება მიიღო ოსმანამ და კუზელ-კუზელა გაიპარა.

— მგელია, შენც გაჰყე! უფრო აქეთ ჩასაფრდი და თადარიგი დაიჭირე!

მერე რამდენიმე სხვა ჩაასაფრა და დანარჩენებს ადგილზე დარჩენა ანიშნა.

მტრის ჯარი უშიშრად მოდიოდა და აქეთ-იქითაც არ იყურებოდნენ. ეტყობოდა, სიჭარბის იმედი ჰქონდათ და არ ეშინოდათ.

— ყველამ თოფები! ნიშანში ამოიღეთ და, როგორც კი ოსმანას თოფი გავარდება, ჩვენც აღარ დავახანოთ. მერე ხმალი ვიძროთ და...

სადაც ერეკლეს მინიშნებით ოსმანა უნდა ჩასაფრებულიყო, უკვე იმ ბუქჩს გაუსწორდა ლაშქრის წინამძღოლი. ერეკლე წამიწამს ელოდა, ან ახლა ჩამოვარდება და ან ახლაო, მაგრამ თოფის ჩქამი არ ისმოდა. ალბათ, ფალიამ უმტყუნაო, იფიქრა ერეკლემ და თვითონვე ამოიღო ნიშანში.

ლეკებმა ჯერ ცხენები შეინიშნეს, მერე წყაროსთან მიყრილი კაცებიც დალანდეს და კი არ შეშინდნენ, თითქოს გაუხარდათ კიდეც. ალბათ, იფიქრეს, ნადავლს ჩავიგდებთო, და ბელადმა ცხენი წინ გამოაქანა.

ბუჩქებიდან თოფი ახლაღა გავარდა, მაგრამ ბელადი ცხენზე დარჩა. ერეკლე მიხვდა, რომ ოსმანამ კი არა, სხვამ ისროლა და ბელადი გადარჩა. მაშინ თვითონვე მოსწია სასხლეტს. ჯერ კაცი გადმოეკიდა ცხენებიდან და მერეღა გაისმა ერეკლეს თოფის ხმა. ამ ხმას რამდენიმე თოფმა უპასუხა ერეკლეს ჯარიდან და რამდენიმე ცხენოსანი ზედიზედ ჩამოვარდა.

ერეკლეს რაზმელები სწრაფად მოასხდნენ ცხენებს, რომლებიც ისე იყვნენ გაწვრთნილები, რომ თოფის ხმაზე კი არ ფრთხებოდნენ, პატრონთან მირბოდნენ და ზურგს უმარჯვებდნენ. ამიტომ იყო, ეფრ. მუღანლოელ სარდალას თხოვნაზე, დაღლილ ცხენებს შეგიცვლითო, უარი უთხრა ერეკლემ.

ლეკთა მხრიდანაც რამდენიმე თოფი გავარდა, მაგრამ ერეკლეს ვვერდით აირავინ დაზიანებულა.

— ერეკლე ხან!... ერეკლე ხან! — სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა ვიღაცამ და ერთბაშად შეკრთა უბელადოდ დარჩენილი წინა რიგები. რამდენიმემ ცხენი უკან შეაბრუნა, მაგრამ ერთმანეთში გაიხლართნენ და სწრაფად გაქცევა ვერ მოახერხეს. აირივნენ და ისე გაიქცნენ.

— ერეკლე ხან!.. ერეკლე ხან!.. იამან!.. — იძახდა ბუჩქებიდან სასოწარკვეთილი ხმა.

— ცოცხალი არც ერთი არ გაუშვათ! — უსაზღვროდ განრისხდა ერეკლე, რაკი შუაგზაზე გადმოვარდნილი მგელიას გვამი დაინახა. წუთით არ შეაჩერა ცხენი, თვითონაც მისდია გაქცეულებს და, რომელსაც მისწვდა, მხარი ან მკლავი ჩამოათალა. ზოგიერთნი, სხვა გზა რომ არ იყო, უკანმობრუნებასა და შეკენწლავებასაც უბედავდნენ, მაგრამ ნირწამხდრებს მეტი ღონე აღარ ჰქონდათ და მაინც ცვიოდნენ: ზოგი ხმლითა და ზოგი შიშისგან. ზოგს ცხენთა ფლოქვები კლავდა და ცოცხალი ვინც რჩებოდა, ტყისკენ გარბოდნენ.

დიდ მანძილზე სდიეს ყაჩაღებს და დიდძალი დახოცეს. იმდენი სისხლი აროდეს დაუღვრიათ და იმდენი კაცი არ ჩამოუგდიათ. ხუთასი კაცი მაინც დაეცა ერთი ეჯის მანძილზე და, ვინც გადარჩა, ისიც ხეიბარი.

უკანმობრუნებულმა ერეკლემ მგელია მოძებნა. ორ მხედარს გზიდან გადაეყვანა და ხის ძირას მიესვენებინათ. ამის დანახვაზე შუაფხოელი ბერუას სიკვდილი გაახსენდა ერეკლეს. რამდენი ერთგული მეგობარი დაკარგა მას შემდეგ, მაგრამ მგელია მაინც სულ სხვა იყო. მარტო სხეულის მცველი და ლუკმის მეგობარი კი არა, სულის მეგობარიც იყო. უშიშარი და ძლიერი, ვერვისგან დაჯაბნილი და ვერაფრისგან შეშინებული. ახლა კი... მკერდსისხლიანი იწვა და ძლივს-ღა ფეთქავდა.

როცა ერეკლე თავს წაადგა, შენიშნა, რომ ჭრილობაც თითქმის ისეთივე ჰქონდა, როგორც — ბერუას. იფიქრა, ვერ გადარჩებაო და ღრმად ამოიოხრა.

— მე რაღა ვქნა, ბიჭო, უშენოდ? — უანგარიშოდ იკითხა ერეკლემ.

მგელიამ თვალები გააბილა, მაყვალაო, ამოიდუდუნა, და ისევ დაბუჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე მიხვდა, რომ მომაკვდავს მაყვალას ბედი აწუხებდა, რომელსაც მგელიას მსგავსად არავინ აღარ გააჩნდა და უგულშემატკივროდ რჩებოდა ამქვეყნად.

— ვნახავ... მივხედავ... — ანუგეშა ერეკლემ, მაგრამ მგელია უკვე ცოცხალი აღარ იყო.

საიდანღაც ოსმანა მოვარდა და ფეხებში ჩაუვარდა მეფეს:

— მომკალი, დიდო ბატონო, ღირსი ვარ!

— რა დაგემართა? — ცრემლი შეიშრო ერეკლემ.

— ვერ ვესროლე, ბელი გამიშეშდა და სიკვდილის ღირსი ვარ. მომკალი!

— რატომ ვერ ესროლე?

— ხოჯა ბელადი ჩემთან გაზრდილი იყო და ვერ მოვკალ.

— მიპატიებია.

— მაგრამ... მგელია ხომ არ მოკვდებოდა, მე რომ მომეკლა? ჩემი ბრალია, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

— მაინც მიპატიებია! — დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა ერეკლემ.

ოსმანა წამოხტა და გიჟივით გაიქცა.

მეფეს არ გაჰკვირვებია, არც წარბი შეუხრია. მერელა გამოფხიზლდა, როცა გაახსენდა, რომ იმ მიმართულებით, საითაც ოსმანა გარბოდა, მხოლოდ ფრიალო კლდე იყო და არსად — ბილიკი. უნებურად იქით შებრუნდა და დაინახა, ფრიალოდან როგორ გადაეშვა უფსკრულში მისი ყონადი.

„არა, ღმერთს წილი არ უდევს კაცის დაბადებაში, გაიფიქრა ერეკლემ, მტყუანს და მართალს ერთგვარი ტანჯვით კლავს და ბედნიერებას კი არვის ანიჭებს. ოსმანა არ ტყუოდა, მაგრამ მაინც უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდეც. ღვთის განჩინებას ვერავინ შესცვლის“.

* * *

ერეკლემ მალემსრბოლი გაგზავნა ჯიმშერთან: თუშის მოტირალი ქალები წამოიყვანე და წყაროსთან ჩამოდითო.

მეორე დღეს ჩამოვიდა ჯიმშერი, მცირე ამალით და მოტირალი

დედაკაცებით. საკაცეზე დასვენებული, მკერდმაღალი მგელია რომ დაინახა, ნადირივით აბღავლდა ძველი მეგობარი:

— ბიჭო, სპარსეთში ვერა დაგაკლეს და აქ მოგკლეს ამ ჯუჯა ძაღლებმა?!. სტყუი, მგელიავ, მკვდარი არა ხარ, ცოცხალი ხარ და მე მიჩუმდები. ცისა და ქვეყნის დაქცევას დავიჯერებ და შენს სიკვდილს ვერა.

თუმცა მგელია მდუმარედ იწვა და მისი მოკუმული ტუჩები უცნაურად გალურჯებულიყო, მაინც ესმოდა ჯიმშერს მისი ბუბუნი, ადამიანის შემოქმედს რომ უკურთხებდა ისპაჰანისა და ინდოეთის უსასრულო გზებზე სიარულისას.

მართლაც არ ყოფილა გასაჩენი ულმობელი და გულბოროტი, კაცისმკვლელი ადამიანი. იბადება იმიტომ, რომ დედამიწაზე, რაც რამ არსებობს, ყველას და ყველაფერს მუსრი გაავლოს. რომც არ გინდოდეს, სხვა გიკიჟინებს და, კეთილიც რომ იყო, გაბოროტებენ.

— ეს გმირი მიტირეთ, დედი! — მიმართა ერეკლემ, ქალთა მარაქაში წინ მდგარ დედაბერს, — მშობლები და შვილები არ ჰყავდა და ქვეყნისთვის გაწირა სიცოცხლე!

— რა ერქვა, შვილო?

— მგელი ქართლელი.

დედაბერმა მხედრებს ანიშნა, საკაცის ერთ მხარეზე ჩამწკრივებულიყვნენ, მეორე მხარეს ქალებმა ჩადრები ჩამოიშალეს და მითითების მიუცემლად თვითონვე დაიკავეს მოხერხებული ადგილები.

დედაბერი ჩაკუნტდა, მგელიას შუბლზე გადაუსვა ხელი, მერე მკერდი გაუღელა, ჭრილობა უჩინა და შემზარავი კვნესა აღმოხდა, სევდიანი სიმღერასავით გაგრძელებული მოთქმით:

— დალაი თქვით, მხედრებო, დალაი!...

— დალაი, დალაი! — დაიკვნესა ყველამ ერთბაშად: ქალმაც და კაცმაც.

— ძნელია დალაობაო, დალაი!..

— დალაი, დალაი!..

— ბრალია, ქართველ ვაჟკაცოოოო,

შენი უღმერთოდ სიკვდილი, დალაი!..

— დალაი, დალაი!..

— თავს გადგა მეფე ბატონიიიი...

ცრემლით იბანავს პირსაო, დალაი!..

— დალაი, დალაი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მადლობას გწირავს გულითაااა,
შენდობას გეტყვის ბევრსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— მადლობას გწირავს ქვეყანაااა,
თავის ერთგულსა შვილსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— ბედნიერ დედა გყოლია, ბეჩავი,
ვერ ესწრო შენს სიკვდილსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— მამაის კაცი ვუგზავნეეეეთ,
ცრემლით ნუღარა სტირსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— სულეთის კარი გაუღოოოს
თავის დევ-გმირსა შვილსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— დედა თამარი დაგხვდებااااა,
სამოთხის კარის ძირსაო, დალაი!
— დალაი, დალაი!..
— დიდი დავითი გაკოცეეეებს,
არ მოგარიდებს პირსაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— დალაი თქვით, მხედრებო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..
— ძნელი არს დალაობაო, დალაი!..
— დალაი, დალაი!..

როცა დედაბერმა თავი აიღო, სახე ცრემლით ჰქონდა გაჟიებული. ისიც შენიშნეს, რომ ერეკლე მეფეს მის ტირილზე ცრემლი სცვიოდა, მისი შემყურე მოლაშქრენი კი მწარედ იმდუღრებოდნენ.

— გმადლობთ, დედი, ასეთი პატივისთვის! — დედაბერს შუბლზე ეამბორა ერეკლე, — მეც თუ მომკლავენ, ასე დამიტირე და არას ვინანებ.

— შენ ვერც ვინ მოგკლავს, შვილო. და თუ სიკვდილმა სიბერით შეგკადრა, აი, ახალგაზდები! — ხელი მიუშვირა ლამაზ თუშ ქალზე. ჯერ ოცი წლისაა, მაგრამ ქმარი და ძმები ლეკებმა დაუხოცეს და ჩემზე კარგად დალაობს.

როცა მგელია დამარხეს და მის საფლავზე კი ჩარდახისოდენა

ბორცვი წამომართეს, რათა არიდეს წაშლილიყო, როცა მიცვალებულის შესანდობარს თავი წაუქციეს და პური გატეხეს, ყველანი ერთ-ერთ ემშვიდობნენ საყვარელ მეგობარს, შესხდნენ ცხენებზე და ჩქარაქარ გაუყვნენ გზას.

მიდიოდნენ დაწალიკებით: თითონი, ორ-ორნი და სამ-სამნი.

— ახალი რა არის, ჯიმშერ! — ხმა ამოიღო ერეკლემ.

— თავადები ღრინავენ.

— რაო?

— ქართლისთვის მამაა და კახეთისთვის მამინაცვალიო.

— ღმერთი მოწამეა, არას ვიშურებ. ორივეს ერთგვარად ვეფერები, მაგრამ... დაბრუნდება მამაჩემი და...

— იქამდე აღარ იცდიან და ქედძალლი მოზვრებივით ტაბიკებს ამტვრევენ.

— ჯერ გარემტერს დავუკარგავ თავდასხმის ხალისს და მერმე შინაურებს მივდგები. — ბრაზი წაეკიდა ერეკლეს.

— მაგასაც გრძნობენ და ეგ აშფოთებთ. ამიტომ თესავენ ხალხში უნდობლობას. მეფეებს რომ ჩვენთვის გული შესტკიოდეთ, კახეთს ყველა მხრიდან შემოზღუდავდნენ და ბატონკაცურად გვაცხოვრებდნენო.

— კიდევ რას ამბობენ?

— კათალიკოსი ატყუებსო. კახელები გარემტერს უნდა შეალეწოს და მერმე აბდულა ბეგი ან ბაქარი უნდა დასვასო ქართლის მეფედ.

— ტყუილია, ჯიმშერ!

— თავიანთ საქმეზე თვითონ ქართველებმა იტეხონ თავი, ჩვენ რად ვეჩრებითო?

— ქართლი და კახეთი ძმები არიან და ეს უნდა შეიგნონ. ქართლიც და კახეთიც, ამერიც და იმერიც ერთიან ოჯახად თუ შეიკვრება და განჯა-ერევანსაც ძმად გაიყოლიებს, ვერცა ოსმალო და ვერც ყიზილბაში ვერას დაგვაკლებს.

— საქართველოს ერთობას დავითი უნდაო.

— რაკიღა დავითი არა გვყავს, ჩვენ უნდა ვითავოთ, ჯიმშერ! — მეფემ ბედაურს ქუსლი ამოჰკრა და დაწინაურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარბიელ რაზმებთან დევნით დაღლილი, რამდენიმე ყვარის უძილო ერეკლე ცხენდაცხენ შევიდა სასახლის ჭიშკარში. ერთი სული ჰქონდა, ცხენისთვის ლაგამი წაეყარა, ებანავა და ერთი მუხლი მაინც ჩაეთვლიმა როგორმე.

— ქალია! — ღიმილით შემოეგება ანახანუმი.

ერეკლემ მოჭარბებული ფერუმარილი შენიშნა ანახანუმს შუბლსა და ყელკისერზე.

— თამარი?! — იკითხა ერეკლემ, როგორც კი დაიქვეითა და სადავე მეუზანგეს გადასცა.

— რა თქმა უნდა?! — შესცინა ანახანუმმა და თავი შეაზიზღა.

საოცარია, ყველას უმშვენიერეს ქალად მიაჩნია ანახანუმი, ერეკლეს გარდა. ეგებ მართლაც მშვენიერად მოსჩვენებოდა, მისი საყვარელი დედის ადგილზე რომ არ ჩამდგარიყო და არასასურველი, ნაგვიანევი ძმა არ გაეჩინა ერეკლესთვის. არა თუ ერეკლეს უფროსი ვაჟი ვახტანგი, გიორგიც უფროსია ანახანუმის ვაჟზე და ეს ხდის საძულველად. ბოლოს და ბოლოს, ვინ უნდა იყოს ტახტის მემკვიდრე?

— სად არის დედოფალი? — დედოფლებით მოიხსენია ერეკლემ თავისი მეუღლე, რაკიღა ანახანუმს ძალიან სწყინდა მისი დედოფლობა. დედოფლად თვითონ მიაჩნდა თავი და ახალგაზრდა ანასთვის როგორღა გაიმეტებდა ამ პატივს?

— თავის სამყოფელში გადმოვიყვანეთ. თავად წაგიძღვები.

— წაძღოლა არ მინდა! — უკმეხად უპასუხა ერეკლემ და ჩქარი ნაბიჯით გაემართა დედოფლის სამყოფლისაკენ.

— შეუძლოდ არის... — ბატონიშვილოო, ასე უნდოდა, ეთქვა ანახანუმს, მაგრამ ერეკლეს განრისხებისა შეეშინდა და დაყოყმანდა. დაყოყმანდა და: — ძალიან მძიმე მშობიარობა ჰქონდა.

ერეკლე მკვეთრად შემობრუნდა და ანახანუმს თვალებში შეხედა, უფრო საშინელი ხომ არაფერია და ხომ არ მიმალავსო, მაგრამ, რაკი მის თვალებში ამის მსგავსი ვერა ამოიკითხა რა და სახეზე კი მხოლოდ ფერუმარილის სიჭარბე შენიშნა, ოჰ, ეს დედაკაცებიო, გაივლო გულში, და ესღა იკითხა:

— ეგებ ნახვაც არ შეიძლება?

— აქიმმა ბრძანა, მცირე ხანს შედით და საუბრით თავს ნუ შეაწყენთო.

ერეკლემ ღრმად ამოიოხრა და არეული ნაბიჯით გაემართა. რატომღაც ის დღე გაახსენდა, იმედიანად რომ პირდებოდა, შენთვისაც მოვიცლიო. მცირე ხანს ახლა თითქოს მოიცალა და ის კი ვერ დასწრებ-ოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი რომ შეაღო, დედოფალი იდაყვზე იყო წამობჯენილი და კარისკენ იყურებოდა, თითქოს ელოდაო.

— როგორ ხარ? — ჰკითხა ერეკლემ და ხმა გაებზარა.

ანას ბრილიანტებივით დასცვივდა ცრემლები, ვერა უპასუხა რა, ბალიშზე დაეშვა და ქვითინი აუვარდა.

— რა გემართება? — მოსასხამი მოიძრო ერეკლემ, სკამზე მიაგდო და სასთუმალს მიუახლოვდა; — შენ ხომ? — შუბლზე აკოცა და ნერწყვის ჩაყლაპვა გაუძნელდა.

ანამ თვალები გაიფართოვა და სასოებით მიაჩერდა ერეკლეს:

— მოხვედი?.. აკი მეუბნებოდნენ, არ მოვაო?

— ვინ გეუბნებოდა, თავს შემოგევლე?

— ვიღაც კაცები მოდიან, როგორც კი თვალს ჩავხუჭავ, მეღრიჯებიან და მაშინებენ, ერეკლე აღარ მოვაო. წავიდა და აღარ მოვაო... აქ დაჯექი და აღარ წახვიდე! — საოცრად გათეთრებული, თითქმის ცარცისფერი მკლავი ამოიღო დედოფალმა და ლოგინზე ჩამოჯდომა შესთავაზა ერეკლეს.

მკლავის სითეთრემ შეაკრთო და შეაშფოთა ერეკლე. ამ სითეთრეში რაღაც არაამქვეყნიური დაინახა და ეს არ ესიამოვნა.

— რა გჭირს, ჩემო დედოფალო? — ალერსიანი ხმით ჩაჰკითხა ერეკლემ, მითითებულ ადგილზე ჩამოჯდა და საბნის ზემოდან მოეფერა.

— ტრიალებს... სახლი ტრიალებს და ვერ შემიჩერებია, — ჭერს შესჩურჩულა დედოფალმა.

— ვაი, ჩემს თავს! — ქუდი მოიხადა ერეკლემ და სკამზე გადააგდო.

— არა, არა, არა!.. — უაზროდ დაიწყო დედოფალმა.

— რა არაო? — ისევ საბნის ზემოდან მოეფერა ერეკლე.

— არ მოვაო... ერეკლე არ მოვაო.

— აქა ვარ, თავს შემოგევლე, და როგორღა არ მოვალ?! — მეტი სიმწრისაგან ერეკლემ წვერი მოიპოტნა და თვალები ცრემლით აევსო. ჯერ მგელია გაახსენდა, მერე დედოფალი წარმოუდგა თვალწინ კუბოში მდებარე, გული ეტკინა, დაიხარა და სახე დაუკოცნა.

— მოხვედი, ჩემო სიცოცხლევ?... აღარ წახვალ?.. არასოდეს აღარ დამტოვებ? — აფაფრულ თმაში თითები შეუცურა ერეკლეს და ტირილს უმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღარ წავალ, თავს შემოგევლე, არაოდეს აღარ დაგტოვებ, — ონდაც კარგად მყავდე! — ხელახლა დაუკოცნა ერეკლემ თავ-პირი, — მაინც რა დაგემართა ისეთი, რომ აღარ მეუბნები?

— სისხლი... — დაიჩურჩულა დედოფალმა.

— რა სისხლი?

— სისხლისგან დავიცალე... — ცარცისფერ მკლავზე ანიშნა დედოფალმა.

— აქიმი რას ამბობს?

— აქიმი ამბობს, მოგარჩენო, მაგრამ, ისეთი შეგრძნება მაქვს, ვიცი, მოვკვდები.

— არა! — გაწყრა ერეკლე.

— ისე მოვკვდები, რომ ვერც ერთი დღე ჩემთვის ვერ მოიცალე.

— სულს ნუ შეუშფოთებ შენს ერეკლეს, დედოფალო, თუ კიდევ გიყვარს?.. შენ ხომ ვაჟკაცური ქალი ხარ და წუწუნი არ გიყვარს?!

— ალბათ, გშია და მე კიდევ გაწუხებ?! — მოუბოდიშა და ხელახლა გადმოსცვივდა ბრილიანტის მსგავსი ცრემლები.

— დღეს კი არა, ცხრა დღის შემდეგაც ველარას შევჭამ! — წამოდგა ერეკლე, თითები ერთურთს გადააწნა, თითქოს ამტვრევსო, და ნერვიული ნაბიჯით გაიარა ოთახში, მერე უეცრად შემობრუნდა და სადავო კილოთი შეეკითხა: — აბა, თუ იცი, ყველაზე დაწყევლილი ვინ არის ამ ქვეყნად?

— მე ვარ, — სწრაფად უპასუხა დედოფალმა.

— არა, მეფეა!.. მეფეა ყველაზე საცოდავი, — ოთახის შუაგულში გაჩერდა ერეკლე და ღრმადჩაფიქრებულმა განაგრძო, — გლეხკაცი თუთასა და ბალახს შეექცევა და მაინც ბედნიერია, რადგან თავისი სახლის იქით არაზე ფიქრობს, არა აწუხებს რა. მეფე კი...

— აკი მითხარი, შენთვის მოვიცლიო?

— აი, მოვიცალე და არაოდეს აღარ მოგცილდები. დაბრუნდება მამაჩემი...

ოთახში დედოფლის პირისფარეში შემოვიდა:

— მობრძანდებაო. ყაზახიდან დილას გამოსულა და მალე უკვე თბილისს მოუახლოვდებაო.

— ვინ მობრძანდებაო? — იკითხა ერეკლემ.

— მეფე თეიმურაზიო.

ერეკლე გახევდა. მის სახეს ამ სიტყვებმა არც სიხარული მოჰ-
გვარა და არც — მწუხარება. აღარ იცოდა, რა ემოქმედა. კარი ხელა-
ფად რომ არ გაეხურა, უნდოდა, ეკითხა ფარეშისთვის, რა სთქვიო,
რათა ამით ცოტაოდენი ხანი გაეყვანა და მანამდე კი მოეფიქრებინა
რამე. უნებურად ყანდაარში შეხვედრა გაახსენდა და გაუკვირდა, რა-
ტომ ახლა არ გამიხარდაო. მობრძანდებაო? ცხადია, შეხვედრა სჭირ-
დება და ეს შეხვედრა კი რატომღაც ეზარება ერეკლეს. ბოლოს და
ბოლოს, ორი წელიწადია, რაც მამა არ უნახავს და როგორ შეიძლე-
ბა ასეთი გულცივობა? ღმერთო მაღალო, მოწყალე თვალით გადმო-
იხედე, მიეც ძალა და მიეც შეძლება, რათა კეთილის წილ კეთილის,
ხოლო ბოროტის წილ ბოროტების გაკეთება შეეძლოს ნიადაგ. ადა-
მიანები მსახიობები არიან და განუწყვეტლივ როლს თამაშობენ. არა,
უთუოდ დააარსებს სამეფო კარის თეატრს. ოდნავ მოიცლის და ამ-
გვარი თეატრის დაარსების მოთავედ იქცევა. როლებს კი სწორედ
ისე გაითამაშებენ, როგორც ნადირ-შაჰი და ნასრულა თამაშობდნენ.
ახლა უკვე აღარ არიან ერთ დროს მძლეველნი ქვეყნიერებისა.

— ნუ გეშინია, დედოფალო! — მიუახლოვდა ერეკლე და შუბლზე
დაადო ხელი, — ხურვება არა გაქვს და ვგონებ, მოკლე ხანში გამო-
კეთდები. მამაჩემიც მალე გეახლება და საჩუქრებს მოგიტანს.

— შენთან არაფრისა მეშინია.... ისე, კი... — დედოფალმა უმწეოდ
ასწია ხელი, ეწადა, თმაზე მოფერებოდა ერეკლეს, მაგრამ ვერ შე-
სძლო და ისევ დაუშვა: — მე რომ მოვკვდები, ცოლს ხომ შეირთავ? —
ამოიოხრა და პასუხის მოლოდინში თვალები მილულა.

— ეგ აღარ მითხრა! — იწყინა ერეკლემ, — ისედაც ბედნაცვალი
ვარ და ღვთისგან დასჯილი. თანაც... ძალიან მეშინია უშენოდ.

— არ დაგიშლი... არც უფლება მაქვს, მაგრამ, მეშინია, გიორგი
არ დამიჩაგრონ.

— გიორგის დაჩაგვრას ვერავინ გაბედავს. არც ნებას მივცემ.

— მემკვიდრეობა არ შეხვდება და ეგ მადარდებს.

— მაშ, ვის შეხვდება.

— შენს უფროს ძეს და თეიმურაზის უმცროს ვაჟს... იოსებს.

ერეკლეს თითქოს აღარც ახსოვდა, რომ იოსები ერქვა ანახანუ-
მის ნაშობს და ისევ გაგულისდა:

— წესით ჩემს უფროს ძეს, ვახტანგს ეკუთვნის მეფობა და მაგის
უფლებას ვერც ჩამოვყრი, ანახანუმის ძეს კი... მამაჩემის მემკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრეობა ჩემზე გადადის და ჩემს შვილებს ვერავინ გამობირავს ტახტს. ერთს ქართლი შეხვდება და ერთს — კახეთი.

— მაშ, გიორგი?..

— კახეთის ტახტის მემკვიდრე იქნება. ვახტანგს კი ქართლის ტახტზე ავაყვანინებ მამაჩემს.

— მაგრამ... თუ გააერთიანებ?

ერეკლე ამ შეკითხვას არ მოელოდა და პასუხი ველარ მოახერხა. ეთქვა, გიორგის დავადგენო მემკვიდრედ? სიცრუე გამოუვიდოდა. არადა, ვახტანგს ეკუთვნოდა ყველა წესისამებრ.

— გინდ ასე იყოს, თვითეულს ცალკე მემკვიდრეობა ექნება და არას დავაკლებ. ოღონდ სიკვდილზე ფიქრს დაეხსენ და ყოველივეს ვიმოქმედებ.

— სიკვდილზე ფიქრი ჩვენ არას გვკითხავს. თავად გვეწვევა, როცა ჟამია.

— უჟამოდაც ხშირად გვაწუხებს და უნდა განვდევნოთ, — ერეკლე იმ სკამისაკენ წაიწია, სადაც მისი ქუდი და მოსასხამი ელაგა. დედოფალი მიხვდა, რომ სადღაც წასვლას აპირებდა მისი მეუფე და ეწყინა. წყენის ნიშნად კი საბანზე ხელი გაიკრა და გადაიხადა:

— ნუ წახვალ!

ერეკლემ ახლა უფრო ნათლად შენიშნა, რამდენიმე დღეში როგორ მიმქრალიყო და მინავლულიყო ანას მშვენიერი სხეული. უწინ თუ ჟრუანტლისმომგვრელ სიამოვნებას იწვევდა მისი დანახვა, ახლა მხოლოდ სიბრალულის გრძნობასღა აღძრავდა.

— ნუ გადაიხდი, გაცივდები! — მიუბრუნდა ერეკლე და საბანი გაუსწორა.

— მეფე თეიმურაზი თბილისს უახლოვდებაო. — მოისმა ვიღაცის ხმა.

ლოგინზედახრილმა ერეკლემ კარისკენ გაიხედა, მაგრამ იქ არვინ ჩანდა. მაინც ვინ იყო, რომ გაბედა? მეფე არის თუ?... არა, მეფე არ არის,უბრალო მეომარია, რომელიც ვალდებულია, მზად იყოს ყოველ დაძახნაზე, რათა შეიჭურვოს, ცხენზე ამხედრდეს და... ღმერთო, მიეცი ძალა და შეწევნა, რამეთუ უბრალო მეომრის ტვირთი იტვირთოს და სხვისი ბრძანების მორჩილი იყოს.

ერეკლე წელში უხალისოდ აიშალა და ისევ სკამისაკენ შებრუნდა, კარი რომ ხელახლა გაიღო და ანახანუმმა შემოიხედა:

— მეფე მობრძანდება, ბატონიშვილო!

ტყვიასავით მოხვდა ერეკლეს ანახანუმის ნათქვამი „ბატონიშვილო“, ის იყო, უნდა აფეთქებულიყო კიდეც, დედინაცვალს რომ დროზე არ გაეხურა კარი და იქაურობას არ გარიდებოდა.

„ოჰ, ეს წყეული დედაკაცები!“ — ასე უნდოდა, ეთქვა, მაგრამ გამგონი აღარავინ ჰყავდა და შმაგად აიღო ქუდი და მოსასხამი.

— არაფერზე არ იდარდო! მალე დავბრუნდები!

— ჩემი ირაკლი... ჩემი პატარა კახი!.. — ერეკლეს მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები დედამისი თამარის ხმით დაილაპარაკა ანამ.

წავა და დახვდება მამას, რომელიც ერეკლესი კი არა, ანახანუმისა და მისი ნასხლეტი ბავშვების სანახავად უფრო მოეშურება.

ცოტა ხნის შემდეგ სასახლის ეზოდან დაფ-საყვირის ხმა შემოიჭრა ანას ოთახში. ამ ხმას ებან-წინწილმა აუბა მხარი და უმოკლეს ხანში საზეიმოდ განეწყო თბილისი.

— წავიდა, — გაიფიქრა დედოფალმა, — ისე წავიდა, რომ ახალშობილიც არ დაინახა. წელან კი ატყუებდა, შენთვის მოვიცალეო.

მერე ერეკლეს სანუგეშებელი სიტყვები გაახსენდა: შენ ხომ ვაჟკაცური ქალი ხარო, და ამ სიტყვებმა კი — ქვიშხეთში გამართული კამათი გაახსენა თავის ბიძაშვილ პაატასთან. პაატა მაინც რომ აქ ყოფილიყო ანდა... მაგრამ წყეულმა აბდულა ბეგმა ისე გათიშა ერთურთისაგან მათი ღვიძლი ნათესავები, სიხარბისა და შურის ზღარბიღა დაცოცავს მათ შორის.

ღმერთო, უშველე!.. ღმერთო, შეაძლებინე!.. კიდევ ერთხელ აჩვენე პატარა კახი!..

დედოფალს თვალები მიელულა და ცოტა ხნის შემდეგ ჩასთვლიმა კიდეც.

რაღლა ვიცოცხლო უნეტარესო?!

სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე დაძაბულ პოლიტიკურ მუშაობას შეუდგა თეიმურაზი. აბდულა ბეგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მათთან თამაში ძვირად დაუჯდებოდა. განდგომილ თავადებს ციხეებში ესტუმრა და ზოგს ტკბილი სიტყვით, ზოგს მუქარით, ზოგს შეგონებით, ეული მოულბი და მოუბრუნა. მიახვედრა, რომ კახელნი არც ისეთი საშიშნი ყოფილან, როგორც ამას ქართველთა მტრები — უცხო თესლის ვვარ-ტომნი ავრცელებენ და უვიცებს ბრმად ამეორებინე-

ბენ. დაარწმუნა, რომ კახელნიც, ქართლელნიც, კოლხნიც და იმერ-
ნიც ერთი საშოდან არიან შობილნი და მარად ერთობას უნდა ესწ-
რაფოდნენ. გარემტერს ვერაოდეს დაამარცხებენ, თუ შიდა შუღლი
არ მოისპობა და ერთურთს დახმარების ხელს არ გაუწვდიან. მთავა-
რია ძმობაზე და სიკეთეზე ფიქრი და არა ქვეგამხედვარობა. თუ კა-
ცი პირად სიკეთეს ხალხის სიკეთეზე მაღლა დააყენებს, საქვეყნო
საქმე უკულმა დატრიალდება. მტრები ისარგებლებენ და ანდერძს აგი-
გებენ. დასძლიე პირადი დიდების ცდუნებას, უსმინე ერის ძახილს
და არ დამარცხდები! თუნდაც დამარცხდე, სახელი შენი უკვდავი და-
რჩება. სულისა და სახელის უკვდავება კი ბევრად მეტია, ვიდრე ხორ-
ციელ დიდებაზე ზრუნვა.

ცხადია, ყველას არ სჯეროდა მეფის სიტყვები და ყველას გონე-
ბასთან არ მიჰქონდა მისი ნააზრევი, მაგრამ საკუთარი ტყავის გაფ-
რთხილება ყველამ იცოდა და გარკვეული ხანით ჩაჩუმება ამჯობინეს.
ცალკეულმა თავადებმა კი უკვე ირწმუნეს ერეკლე-თეიმურაზის ქა-
ართლ-კახეთში გაბატონება და ნელ-ნელა შეურიგდნენ ამ აზრს.

ქართლ-კახეთში შექმნილმა ვითარებამ და ქართლის თავადთა
მიყუჩების ცნობამ მოზდოკსაც მიაღწია და ბაქარ ვახტანგის ძე ისევ
უკან, მოსკოვს გაემართა.

სპარსეთში ყოფნისას თეიმურაზი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ
საქართველოს ყველა უბედურება ურჯულოთაგან მოდიოდა. ეს აზრი
დაახვედრა აქ მისმა ძე ერეკლემაც და საბოლოოდ გადაწყდა მაჰმა-
დიანურ სამყაროსთან ჩამოცილება.

ეწყინა თეიმურაზს, როცა შეიტყო, ალექსანდრე იმერთა მეფემ
შემწედ ოსმალონი ჩამოიყვანაო, რადგან კარგად იცოდა, რას ნიშნავ-
და, ოსმალთა შემწეობა. შემწე და კეთილი მეზობელი კი უთუოდ სჭირ-
დებოდა, როგორც ქართლ-კახეთს, ისე იმერეთს. ქრისტიანულ საქარ-
თველოს ისევე ქრისტიანული ქვეყნების შემწეობა ეჭირვებოდა და
არა იმ ქვეყნებისა, რომელნიც ნიადაგ აიძულებდნენ ქართველებს უც-
ხო რჯულზე მოქცევას და ბოგო-ბიჭებს ართმევდნენ ძალით.

თეიმურაზმა ფულითა და ყოველივე საზრდოთი უზრუნველჰყო
და იოსებ ბერი რუსეთს გაამგზავრა: დაზვერე, როგორი ამინდიაო.
სცალიათ თუ არა იქაურ ხელისუფალთ, საქართველოსკენაც რომ გა-
მოიხედონო. და თუ ეცლებოდათ, მაშინ სხვაგვარად წარმართავდა
საელჩო საქმეებს.

ამასობაში ელჩები ჩამოვიდნენ ერევნიდან. ნადირ შაჰის-მკვლე-

ლის, მაჰმად ხანისაგან, შეწუხებას უჩირდა ერევნის ხანი. თეიმურაზსა და ერეკლეს ერთობლივი წერილით ატყობინებდა, რომ ფუ. შემწეობას არ გაუწევდნენ, უთუო დალუპვა და გადაგვარება ემუქრ ... ლოდა ქრისტიან სომეხ ხალხს.

წერილიდან ისიც შეიტყეს, რომ ხანი ლაშქრობის საზღაურს იძლეოდა და ყოველწლიური ხარკის გადახდასაც კისრულობდა. საზღაური კი უთუოდ სჭირდებოდა, რადგან ჯარის ერთ ნაწილს ჩრდილო კავკასიაში ქირაობდნენ ქართველები. ქართლ-კახეთში ჯარის შეგროვება და კარგა ხნით მამულს მოწყვეტაც ხარჯსა და ზარალს მოითხოვდა, მით უფრო ახლა, საშემოდგომო ხვნა-თესვა რომ უნდა გაჩალებულიყო.

მცირე თათბირის შემდეგ თანხმობის წერილი გაუგზავნეს ერევნელებს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ლაშქრის შეგროვებას.

ერთ კვირაში ერევნის კარიბჭესთან გამოჩნდა ქართველთა ჯარი. ერევნელებს უზომოდ გაუხარდათ ქართველთა დანახვა და ცხვარ-ბატკანივით დაერივნენ ერთმანეთში. ეხვევოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთურთს. ხანდაზმულნი კი ტიროდნენ კიდეც მეტი სიხარულისაგან.

— ჩვენ, შვილო, ძმანი ვართ, — განაცხადა სომეხთა კათალიკოსმა, როცა თეიმურაზს დროშა გადასცა და მოახსენა, რომ სომეხი ხალხი ქართლ-კახეთის მეფეებს თავის პატრონად სთვლიანო და მათ გარდა არვისგან ველითო შემწეობას, — ჰაოსი და ქართლოსი ძმანი იყვნენ და ჩვენ რადღა უნდა დავშორდეთ ერთურთს? წყეულიმც იყოს ის სომეხიც და ის ქართველიც, რომელიც ერთურთს უღალატებს!

— წყეულიმც იყოს! — მისცეს დასტური.

— ჩვენ, შვილო, ძმანი ვართ. ანისი ჩვენი დიდმა დავით აღმაშენებელმა განათავისუფლა და სამგზის ჩასძახა დედოფლის საფლავს, რამეთუ ვიხსენო შენი ქვეყანა ურჯულოთაგან.

— ახლაც მზადა ვარ ქრისტეს რჯულის სამსახურისთვის! — ცრემლი მოადგა თეიმურაზს.

— შეჭირვებული და დამშეული სომეხი ხალხი შენი ქვეყნისკენ ილტვის და უპატრონე, მეფეო! — მიმართა თეიმურაზს.

— ქართლ-კახეთის კარი ყოველთვის ღია იყო ლტოლვილთათვის და ახლაც ღიაა. მით უფრო სომეხ ძმებს გაუღებთ კარს, რომელთა შემწეობას წინაპართ სულნი გვავალებენ.

ამის შემდეგ ეჩმიაძინში მიიპატიჟეს მეფენი და დიდებულნი, პარაკლისი გამართეს და ლოცვანი აღავლინეს, სასწაულმოქმედი მა-

ცხოვრის ხატი გამოასვენეს და პირჯვარი გადასწერეს ბრძოლაში მიმავალთ.

ქართული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული სომეხ-ქართველთა ჯარის სარდლობა ერეკლეს არწმუნეს და გზა დაულოცეს.

* * *

ერეკლეს ბრძანებით დილაადრიან შეებნენ მაჰმად ხანის ჯარებს, ყიჟინა დასცეს, ნირი უცვალეს და ზურგი აბრუნებინეს. გათამამებულნი სროლით მიჰყვნენ და უკან მოხედვის საშუალება აღარ მისცეს. როცა სომხეთის საზღვრებს გააცილეს და მულანის ველზე ამოაყოფინეს თავი ამ ნახევრადველურ თარაქამებს, შეშინებულმა მაჰმად შაჰმა პატიება ითხოვა და იქაურობას გაერიდა. მაშინღა შემობრუნდნენ ზარ-ზეიმით და ერევანს მიაშურეს.

* * *

კარგა ხანს დარჩნენ თეიმურაზი და ერეკლე სომეხთა დედაქალაქში. ამასობაში ნახჩევანიდან მოციქული ეახლათ და იქაური ხანის ნებასურვილი აუწყა: თავიანთი ძლიერების მფარველობაში აეყვანათ ნახჩევანის სახანო.

— კავკასიაში ქართლ-კახეთის მძლევი სხვა არღა არის, მოიღეთ მოწყალება და გვიპატრონეთ! — წერდა იქაური ხანი ქართველ მეფეებს.

მეფენი მზად იყვნენ, მიელოთ, და მიიღეს კიდეც ეს წინადადება, მაგრამ ერთგვარად აფიქრებდათ მათი მუსლიმანური სარწმუნოება. ისინი სხვა ღმერთს ემსახურებოდნენ და ქართველნი — სხვა ღმერთს. შესძლებდნენ კი, რომ ერთურთისთვის სწორად გაეგოთ და ერთის ტკივილი მეორის ტკივილად მიეჩნიათ?

მალე შაევრდი ხანმაც გამოუგზავნა მოციქული განჯიდან: ფანა ხანი წალეკვით მემუქრება და შემწეობა აღმომიჩინეთო.

ამ მოციქულმაც დააფიქრა მეფენი. სიკეთე და დახმარების ხელის გაწვდა ურიგო საქმე არ იყო, მაგრამ ოდესმე მაჰმადიან მძლეველს მაჰმადიანი ძლეულის გამო რომ შეებრძოლები, შესაძლებელია, საერ-

თო ენა გამონახონ, შერიგდნენ და შენ მოგიბრუნდნენ, ვინაიდან ძალ-
ლი ძაღლის ძვალს მაინც არ გატეხს. სარწმუნოების ძალა უფრო
მძლავრია კაცის გულში, ვიდრე მეზობლობისა და სიკეთისა.

ამ საკითხზე ერთხანს ითათბირეს თეიმურაზმა და ერეკლემ. ბო-
ლოს დაადგინეს, რომ თბილისში დაბრუნებულიყვნენ და იქ გადაე-
წყვიტათ, როგორც უმჯობესი იყო. განსაკუთრებით ერეკლე ჩქარობ-
და თავის ქვეყანაში წამოსვლას, რაკიღა დედოფალი შეუძლოდ და-
ტოვა და ალბათ წუთი წუთს ელოდებოდა.

იჩქარა ერეკლემ, იჩქარა, მაგრამ... სანამ თბილისში ჩამოვიდო-
და, დედოფალი გარდაცვლილიყო.

— მაინც ვერ მოვუსწარი — დაიკვნესა ერეკლეს გულმა, — ეგებ
შავერდი ხანი რომ განსაცდელში დავტოვე, ამად დამსაჯა უფალ-
მა?!

თვირთვილიანი და სუსხიანი ზამთრის პირი იდგა თბილისში და
ერეკლეს გულშიც სუსხმა შეაღწია. გარედან შეაღწია თუ შიგნიდან
გაჩნდა ეს სუსხი, კაცი ვერ იტყოდა.

ერეკლემ ბავშვების ნახვა ისურვა.

— მამა! — დაიძახა გიორგიმ და ფეხებზე შემოეჭდო კარებში შე-
სულ ერეკლეს. ერეკლემ შენიშნა, რომ გიორგი საგრძნობლად გაზრ-
დილიყო, წლოვანის კვალობაზე მეტისმეტად დიდი ეჩვენა, თანაც
სასურველად საღი და ჯანმრთელი, — მდევარში როდის წამიყვან,
მამა?

— წაგიყვან, შვილო.

ძიძამ თამარი შემოიყვანა. ერეკლემ ახლაღა შეხედა თავის ქალი-
შვილს და მოეწონა. ლოყები გაპუტკუნებოდა და ერთი წლისას დამს-
გავსებოდა. თავის დედა თამარსაც მიამსგავსა ახალშობილი და ანა
დედოფალსაც. გულ-გონებითაც თუ მათ დაემგვანება, ეგებ გადაიტა-
ნოს ერეკლემ ეს მწუხარება. ერთბაშად უდიდესი სიყვარული და სიბ-
რალული იგრძნო შვილების მიმართ.

— დედასთან რატომ არ მიშვებენ, მამა? — ჰკითხა გიორგიმ და
ცრემლი მოჰგვარა ერეკლეს.

— დედასა სძინავს, ბატონიშვილო, და გაეღვიძება.

— არ გავაღვიძებ. ჩუმად შევალ და ვაკოცებ. წამიყვანე.

ერეკლემ ძიძას ბავშვი გამოართვა, გულთან მიიხუტა და წვერზე
ცრემლები ჩამოუგორდა.

— რატომ ტირი, მამა? — შეეკითხა გიორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვტირი, შვილო. — გული გაიმაგრა ერეკლემ და შეეცადა ისე ეპასუხა, ხმაში ბზარი არ შემჩნეოდა.

— შენც ტირი და სხვებიც ტირიან. რატომ ტირიან?

— ეს წუთისოფელი ტირილისაა, მამა შემოგევლოს. მე რომ მტრებს ვხოცავ, მათი დედებიც ასე ტირიან. გაიზრდები და მაშინ გაიგებ.

— მტრებმა ჯარი დაგვიხოცა და იმიტომ ტირიან?

— ჰო, მამა გენაცვალოს!

— რა ენა აქვს ამ გასამრავლებელს?! — ატირებული თამარი გამოართვა ძიძამ და სარკმელთან მიიყვანა, რომლის იქითაც თოვლის ფანტელები ცვიოდა ფარფატით.

ერეკლემ გიორგი აიყვანა, მეტისმეტად ემძიმა და კიდევ უფრო ედიდა ხელში. ცხონებულ დავით აღმაშენებელს დაემგვანებაო აბოვანებაზე, გაიფიქრა და თეთრ-წითლად გაფუებული ლოყები დაუკოცნა.

— მდევარში როდის წამიყვან, მამა?

— წაგიყვან, შვილო, წაგიყვან, მამა გენაცვალოს! — შუბლზე ჩამოშლილ თმაზე ეამბორა და მეტი ველარ შესძლო. ბავშვი ძირს დასვა, კარისკენ შეტრიალდა, სწრაფად გავიდა და არეული ნაბიჯით გაემართა იმ ოთახისკენ, სადაც მისი უსაყვარლესი ქალის გვამი ესვენა.

— რადღა ვიცოცხლო, უნეტარესო შენს იქით?! რისთვისღა ვზიდო ცხოვრების ჭაპანი?" — გაივლო გულში და ქვითინი აუვარდა.

* * *

დამარხეს ანა და საფლავის ქვაზე ასე დააწერეს: „ანნა აბაშიძის ასული, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა, არამედ ჩემთვის დიდება ესე ყოველივე აქა დაშრტა დეკემბ. : 3: ქ-ეს აქათ ჩღმთ"

ბებერი ცხენი

თუმცა თებერვალი იწურებოდა, თოვლი არსად ჩანდა და შუამთის ტყეში საამური სიგრილე ჩამდგარიყო. ფერდობში მგალობელი ჩიტები ჟღურტულებდნენ და გაზაფხულის მოახლოებას იუწყებოდნენ. უბრალო მოლაშქრის ტანსაცმლით მოსილი, ბებერ ცხენზე ამხედრე-

ბული ერეკლე ნელა მიუყვებოდა გზას და ფრინველთა გალობას უსმენდა. წელზე ხმალი ერტყა, თოფი კი უნაგირზე ჰქონდა ჩამოკიდული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა, ძალიან ნელა მიდიოდა ბებერი ცხენი და ხამუშხამუშ ლაგამს ლოღნიდა.

აი, ამ ადგილას აოტნეს ლეკნი. მას აქეთ დაეხსნენ ამ არემარეს. ახლა რომ გამოჩნდნენ და მარტოხელას დაესხნენ, რით შეუძლია გამკლავება? მარტოდენ ხმლით? თუ შორს დაინახავს, თოფსაც იხმარებს, მაგრამ, თუ თავს დაესხნენ, ხმალზე იკრავს ხელს.

ერეკლემ ნადირ-შაჰის ნაჩუქარ ხმალზე დაიხედა და შორეული ლაშქრობა გაახსენდა. თითქოს ნადირ-შაჰის ხმაც კი ჩაესმა ყურში. მერე რიზაყულის გაცნობა და ფალავანთა შერკინება გაიხსენა და მგელი ქართლელი წარმოუდგა თვალწინ. აღარც ის არის. ამას წინათ კი ანა დედოფალი დამარხა. რამდენის ატანა შეუძლია ადამიანს?

კარგი ქმნა, რომ წამოვიდა. ასმათსაც მოინახულებს და მაყვალასაც ანუგეშებს.

მეროჭიკე ბერს წამოეწია ერეკლე. ნაგროვები ნუზლი ზურგზე წამოეკიდა და, ეტყობოდა, მონასტრისაკენ მიდიოდა.

ერეკლემ შუადღემშვიდობისა უსურვა ბერსა და, თუმცა ყოველივეს უკითხავად მიხვდა, მაინც შეეკითხა, საით გივლიაო.

— იყალთო ჩამოვიარე კუჭის საქმეზე. — მაღლა აუხედავად უპასუხა ბერმა და გზა განაგრძო.

— ტვირთი მძიმეა?

— ცოდვაზე მძიმე მაინც არ არის. ვზიდავ როგორმე.

— ცხენზე ხომ არ ავიკიდო?

— კუვს დააქ თავის ტანი და ქერქი და მეც უნდა ვატარო.

რაკი მონასტერთან მიახლოებული იყო, ერეკლემაც დაიქვეითა და მხარდამხარ გაჰყვა.

მონაზონი თავის ფიქრებში იყო ჩაძირული და არც ესიამოვნა უცხო კაცთან სიარული. ამის მიუხედავად, წყენა არ შეიმჩნია და მხოლოდ ოდნავ უკან ჩამორჩენით აგრძნობინა თავისი სურვილი.

— ვიჭირთ მონასტერში? — ჰკითხა ერეკლემ.

— ამ დროში ვის არ უჭირს?! — დაიხვნეშა ბერიკაცმა და მხარზე ტვირთი მოინაცვლა, — მუშა ხარს უჭირს და ღვთის კრავს რომ უჭირდეს, რა საკითხავია?

— ცხენს გადაჰკიდე, ერთიანად გაოფლილხარ! — ურჩია ერეკლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გინდა, ვზიდავ. — ჯიუტად უპასუხა ბერმა და ერეკლემ ხელ-ფეხ-ში-ბა-ბ-ბ-ბ

ქვა, ცხენს აჰკიდეო, მაგრამ იცოდა, გაუჯიუტდებოდა და დუმილი ამჯობინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადაური კაცი ხარ?

— ქიზიყელი.

— აბა, მაშ, ქორთუკას შვილი გეცნობება?

— როგორ არა, დედათა მონასტერშია. დიდი ღვთისნიერი ქალია და ნიადაგ წიგნების გადაწერაშიაო.

— კიდევ რას მეტყვი, ბერიკაცო?

— აბა, რა ვიცი, შვილო, იქნებ ეგეც არ უნდა მეთქვა. ავიფურთხე, ულვაშს მოხვდა, დავიფურთხე, წვერსაო. რომელი თითიც უნდა მომაჭრან, თითი მაინც თითია.

ერეკლემ დედათა მონასტრისკენ გადაუხვია და, ბერიკაცს რომ გამოხედა, უფრო მეტად მიამსგავსა თავის ცხენს. მერე ჭიშკარს მიუახლოვდა, მეკარეს შეეხმიანა და, როცა მეკარემ გამოიხედა, ასე სთხოვა.

— წინამძღვარს გადაეცი, ერეკლე მეფის მსახური გეახლათ და თავისი ნათესავი მონაზვნის ნახვა ნებავს-თქო.

— ახლავე, ბატონო! — იცნო მეკარემ გასულ წლებში რომ ეწვივნენ მეფის გამოგზავნილი კაცები და მონასტერი დაათვალიერეს. მას შემდეგ ბევრი რამ აუშენდათ და ნებივრად მოეწყვნენ ბერ-მონაზვნები.

* * *

დასადავებული ცხენით კბოდესთან იდგა ერეკლე, ასმათი რომ გამოვიდა. უფრო დაილია და დაინავლა ისედაც დანავლული ქალი მეფის დანახვაზე. აიბუზა და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდა.

— არ მოგწყინდა მონასტერში? — ჰკითხა ერეკლემ, როცა ჯანმრთელობა მოუკითხა.

— არა, მეფეო, აქ იდუმალი სიამოვნებაა... შევიტყეთ, დედოფალი გარდაცვლილა და დიდად დავმწუხრდით.

— ასეთი ყოფილა ჩემი იღბალი და უნდა ავიტანო, — ამოიოხრა ერეკლემ. და ასმათის ხელებმა რატომღაც ავადმყოფი ანას ხელები გაახსენა.

— ეგ რა წიგნია? — ჰკითხა ერეკლემ, რაკიღა ასმათმა მეფის

თვალების მოძრაობას ალღო აუღო და ხელები უხერხულად აამოძრავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენთვის „ვეფხისტყაოსანი“ გადავწერე და ვერვის ვატანე, — იღლიიდან წიგნი გამოიღო და კრძალვით გაუწოდა.

ერეკლემ სიამოვნებით ჩამოართვა, პირველი ფურცელი გადაშალა და დახატული ასოები წაიკითხა: „მეფეს სრულიად საქართველოისას“.

— გმადლობთ, დაო, მაგრამ დიდ ტვირთსა მკიდებ! — თვალები გაუბრწყინდა ერეკლეს.

მე რასაც გისურვებ აგიცხადდება. იმიტომ, რომ დღედაღამ შენზე ვლოცულობ.

— გმადლობთ, დაო!

— გახსოვს, მეფეო, სპარსეთში მიმავალი რომ დაგლოცე, ასი ომი გადაგეხადოს-მეთქი და ასივეში გაგმარჯვებოდეს?

— მახსოვს და მარცხი არც მინახავს.

— ღმერთი შენთან არის და ყოველთვის გაგემარჯვება.

— ღმერთი რომ მარად ჩემთან იყოს, მგელიას მაინც შემარჩენდა ერთგულ მეგობართაგან. ახლა რა ვუთხრა მაყვალას? რით ვანუგეშო?

— მაყვალა აღარ არის, მეფეო, მგელიას სიკვდილი მაშინვე შეიტყო და მონასტრიდან გაიპარა. ამბობენ; მის საფლავზე უპოვიათო მკვდარი.

ერეკლემ კბოდეს გადახედა, ქვას ფეხი წაჰკრა და შიგ გადააგდო. ქვამ ჩქამი გაიღო:

— აი, ეს არის ჩვენი სიცოცხლე.

— არა, მეფეო, სულნი მარადჟამს ცოცხალნი არიან.

— თვალით არ ჩანს და რა ბედენაა?

— მოკვდავნი უკვდავს ვერ ვხედავთ, მეფეო. უკვდავი გვხედავს. ჩვენც დავინახავთ, თუ სულს განვიწმენდავთ.

— ეგ რომ მჯეროდეს, საქვეყნო საქმეს მივატოვებდი და ბერად შევდგებოდი. — ერეკლემ ყბებზე მიუალერსა თავის ბებერ ცხენს. ცხენი სიამოვნებით გაილურსა და იმ ბერს დაემგვანა, წელან რომ ტვირთის მოხსნა არ ისურვა.

— საქვეყნო საქმეს ვინც აკეთებს, ათასგზის უფრო დიდი საქმეა სულისთვის.

— გმადლობთ, დაო, ნუგეშისათვის! ჩემგან კი ეს ინუგეშეთ, რომ

კვლავ კახეთში ვარ და ძნებს ველარავინ დაუწვავს ჩვენს ხალხს. ვერც თქვენს ხელყოფას გაბედავს ვინმე.

— მაპაჩემის სული მესტუმრება ხოლმე და ნუგეშს მაძლევს — უჩურჩულა ასმათმა.

— თვალით თუ ხედავ?

— ვერ ვხედავ, მაგრამ აშკარად ვგრძნობ.. ხან მხარზე მაზის და ხან გულში მეხუტება.

— ნუგეშს არ მოგაკლებ და კვლავაც ბევრი წიგნი გადაწერე! — ერეკლემ ცხენი შეაბრუნა წასასვლელად და ხელჩამოურთმევლად დაემშვიდობა.

* * *

ბებერი ცხენი ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ერეკლეს და თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა, თუ რისთვის ამოვიდა შუამთის მონასტერში? რა ამოიტანა? ნუთუ ნუგეში? მცირეოდენი ნუგეში, რომლის თვალით ხილვა და მით უფრო შეხება ყოვლად შეუძლებელია. ჩრდილად ქცეულმა ქალმა „ვეფხისტყაოსანი“ უბოძა და ამან კი სამაგიეროდ რა დაუტოვა? ნუგეში? ნუგეში იმისა, რომ ძნებს ველარ დაუწვავენ და ხალხს პური ექნება. განა ეს ცოტა რამეა?.. ხალხი... ხალხი... ხალხი... ენდრონიკაშვილი ხალხს აქეზებსო? თუ ლეკები გადმოჰყავსო ხალხის საძარცვავად? ამასაც გამოიძიებს და მაგიერს მიუზღავს...

ერეკლეს ცხენი ოთხივე ფეხით ერთბაშად დაეცა და ველარ წამოდგა. მოულოდნელი იყო ასეთი დაცემა და უნებურად შეძრწუნდა მეფე. სწრაფად წამოდგა, იქაურობა ისე მოათვალიერა, თითქოს შეეშინდა, ვინმემ ხომ არ დამინახაო, და, რაკი ვერავინ შენიშნა, ყურებზე მოეფერა ცხენს. ცხენმა ღრმად ამოიოხრა, გვერდზე გადაბრუნდა და ფეხები გაჭიმა.

ბებერი ცხენი!.. საფეთქელთან ძარღვი აღარ უცემს... სანდო არ ყოფილა ბებერი ცხენი... ვაითუ საქართველოც უკვე დაბერდა და ძარღვილა ფეთქავს?!.

ერეკლე მდუმარედ დასცქეროდა ბებერ ცხენს, კანკალით რომ ჭიმავდა ფეხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში თეიმურაზის სახლის ერთგული ალექსი მიტროპოლიტი მიიცვალა და მის ნაცვლად თბილისის მიტროპოლიტად ათანასე ამილახვარი დანიშნეს. როცა სხვა ქართლელ თავადებთან ერთად ამლახვარნიც უკუდგნენ და აბდულა ბეგს მიემხრნენ, ათანასემ მაშინ დუმილი ამჯობინა და ამით დაიმსახურა ახლა ეს საპატიო ადგილი. ანტონ კათალიკოსსაც ასე ეწადა და თეიმურაზმაც ამის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. რაკიღა გივი ამილახვარს თბილისის მოურავობა უწყალობა და დიმიტრი ამილახვრის ჩამორთმეული სახელო კი რევაზ ამილახვარს გადასცა, ათანასეს დანიშვნით ამილახვართა ერთი ჯგუფი მტკიცედ შემოირიგა და სამეფო კართან მათი დაძაბული ურთიერთობა მთლიანად მოსპო, როგორც ამას თეიმურაზი ვარაუდობდა.

დედოფლის ორმოცი ახალი გადახდილი ჰქონდათ, შავერდი ხანისაგან ახალი თხოვნა რომ მოუვიდათ: განჯა მძიმე განსაცდელშია და, თუ გვიხსნით, ყმად გაგიხდებითო. აცნობა ისიც, რომ ყარაბაღელი ფანა ხანი იმდენად გაძლიერებულიყო, დაპყრობით ემუქრებოდა მეზობელ სახანოს. თვით შაქის მმართველ ძლიერ აჯიჩელებსაც ვერაფერი დაეკლო და შორიდან უყურებდა მის მოქმედებას.

თეიმურაზი და ერეკლე ხედავდნენ, რომ მაჰმადიანურ სამყაროში მაჰმადიანთა თავისუფლებისათვის უხდებოდათ ბრძოლა და ფრიად სერიოზულად ჩაფიქრდნენ. იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ ამ ბრძოლაში ქართლ-კახელთა გარდა, სხვადასხვა კუთხის ხალხიც უნდა ჩაებათ. განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც უფრო მეტად ენდობოდნენ და ვინც მოსალოდნელი განსაცდელის ჟამს არ უღალატებდნენ. ამიტომაც ერეკლემ იმერეთშიც გაგზავნა კაცები ჯარის გადმოსაყვანად, ოსეთშიც, კავკასიის წვრილ-წვრილი ტომებიც დაიქირავა და ლეკთა რაზმიც იახლა.

მეფეები მიხვდნენ, რომ ფანა ხანთან ბრძოლით სამხრეთის საზღვრის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, რომელიც თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ სულ უფრო და უფრო ჩრდილოეთისაკენ მოიწევდა. ეს ლაშქრობა არა მხოლოდ განჯის ხანის ინტერესებით უნდა შემოფარგლულიყო, არამედ ქრისტიანული საქართველოს ძლიერება უნდა დაემტკიცებინათ მაჰმადიანური სამყაროსათვის, რათა წვრილ-წვრილი თავდასხმების ხალისი დაჰკარგოდათ. ეს უკვე თავ-

დაცვითი ბრძოლა კი არ უნდა ყოფილიყო, ეს უნდა ყოფილიყო ლაშქრობა ჩაგრულთა დასახმარებლად და საკუთარი სამეფოს ძლევამოსილების განსამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვალი იწურებოდა. თბილისის ზოგიერთ უბანში გაზაფხული შემოპარულიყო.

განჯის კარით გადიოდა საქართველოს ძლევამოსილი ლაშქარი.

თავად ერეკლე ერთგულ მცველთა რაზმით უკან დარჩენილიყო და ქალაქს ისე გულდასმით ათვალიერებდა, თითქოს ემშვიდობებაო.

დედოფლის სიკვდილის შემდეგ ყველა თბილისელი გამტკნარებული ხვდებოდა სვეგამწარებულ ერეკლეს და ღიმილიან შეხედვას ველარ უბედავდნენ. ახლა კი, როცა მეფემ სხვათა დასახმარებლად დიდი ლაშქრობისათვის მოიცალა და წამხდარი გუნება-განწყობაც გამოისწორა, მედუქნეები და ქუჩაში გამოფენილი ხელოსნები ღიმილით შეეგებნენ:

— სიცოცხლე და ძლიერება ჩვენს მეფეს!

— ბედნიერად ევლოს და გამარჯვებით დაგვბრუნებოდეს!

— ჩვენი თავი შენი ჭირის ფეშქაში იყოს, დიდო მეფეო!

გამცილებელთა შორის ერეკლემ ერთი ტანლატანა და ლაზათიანი ახალგაზრდა კაცი შენიშნა. ერეკლეს ხნისა იქნებოდა, მაგრამ პირი სუფთად გაეპარსა და ყმაწვილად გამოიყურებოდა. საინტერესო ის იყო, რომ ზურგზე საზი და ჭიანური ეკიდა და ხელში კი ფანდური ეჭირა.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? — ჰკითხა ერეკლემ იმ ჩია ვაჭარს, ვერცხლის ბალთა რომ მუხლსქვემოთ სწვდებოდა.

— ჭირი მოგჭამე, ეს ჩვენი საიათნოვაა.

საიათნოვას ქება ბევრჯერ სმენოდა მეფეს და თვალით კი პირველად ხედავდა.

— რა ხელობის კაცია? — თუმცა იცოდა, მაინც იკითხა ერეკლემ.

— საზანდარია, მეფის კვნესა მე.

— ვა, იმისთანათ უკრავს ქართულს, სომხურს და აზებრაიჯანულს, გადაირევი. ბულბული შემირცხვენია.

— ეგ არი, აი! — წამოეშველნენ აქეთ-იქიდან

— სთხოვე, მოვიდეს!

— არუთინ, მეფე გეძახის!.. ღმერთის გამოგზავნილია, დედა არ მამიკვდება!

არუთინად მოხმობილ მესაზანდრეს სიწითლემ გადაურბინა სახეზე, მეფეს მოწიწებით მიეახლა და მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა:

— ბედნიერი ვარ სახელოვანი მეფის ყურადღებით. მზად ვარ, სანამ კვდილამდე გემსახურო.

— ადექი! — უბრძანა ერეკლემ და, როცა წამოდგა, შეეკითხა: — რა ერის კაცი ხარ?

— ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი.

— ეგ როგორ? — გაელიმა ერეკლეს.

— სანაინში ვარ დაბადებული, დიდო მეფეო, ქართულ მიწაზე მაქვს ჭიპი მოჭრილი და ქართველი ვარ. აზერბაიჯანელებში გავიზარდე, ენა და მათი ზნეობა მეც შემითვისებია და აზერბაიჯანელი ვარ. სომეხი კი სარწმუნოებითა ვარ და ჯიშ-ჯილაგობით ათაბაბიდან. დედით — ავლაბრელი, მამით — ალაბელი, აი, ვინ არის შენი ულირსი საიათნოვა.

— როგორლაც მომწონხარ, მაგრამ სამ ერს რომ იჩემებ, სამივეს ხომ არ ულალატებ განსაცდელის ჟამს? — წარბი შეხარა ერეკლემ.

— სამი ერის კაცი ვარ, მაგრამ ყველა კაცი არ მიყვარს. მე ის სომეხი მძულს, რჯულით რომ ვაჭრობს, ვერც იმ ქართველს ვგუობ, რჯულს რომ შეიცვლის საყდარში შესვლისთვინ. არც ის თათარი მიყვარს, ქრისტეს რომ ისლამზე წინ დააყენებს. ვინც რა რჯულისად გაჩენილა, ის უნდა იყოს.

— ჭეშმარიტებად მეჩვენება შენი ნათქვამი, საზანდარო. აბა, დაუკარი და უთხარი რამე!

— რაზე დავუკრა?

— რაზეც შეგიძლია.

— ყველაფერზე უკრავს, დიდო მეფეო.

— ყველაფერზე ამღერებს.

— სიტყვებს ამბობს იმისთანასა, რომა... — წაეშველნენ აქეთიქიდან.

— რომელიც უფრო მეტად გიყვარს, ის საკრავი დაუკარი! — უთხრა ერეკლემ.

— სამივე ერთგვარად მიყვარს, დიდო მეფეო, — ეს საქართველოა,— თქვა ჩონგურზე, ეს სასომხეთია, ანიშნა ჭიანურზე და ეს კი ჩემი აზერბაიჯანია, — მხარის ზეაწევით ანიშნა საზზე.

— ახლა რომელ მიწაზე ხარ? — ესიამოვნა ერეკლეს საზანდრის პასუხი.

— შენი ფეხთა მტვერი იყოს საწყალი საიათნოვა, ფანდურიც იმიტომ მიჭირავს ხელში, საქართველოში რო ვარ. მარტო დავუკრა თუ ლექსიც ვუთხრა რამე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლექსი უთხარი, თუ გემარჯვება!

— ვა, გემარჯვებაო?

— აბა, მაგას ემარჯვება, აი!

— ორთაჭალის ბაღში სალხინოდ განეწყნენ ერეკლეს ამალა და თბილისელი ამქარ-ხელოსნები. ბალღები ბანებზე გადმომდგარიყვნენ და ერეკლეს დანახვაში ერთურთს ეცილებოდნენ. მეტეხის მხრიდან კი თეიმურაზის ამალა ახლოვდებოდა.

საიათნოვამ ფანდურის სიმებს თითები ჩამოჰკრა და სასიამოვნო ხმა გამოაცემინა. სასიამოვნო კი არა, ფრიად უჩვეულო. ეს არც ფანდურის ხმად ეჩვენა მეფეს და არც — სხვა რამ საკრავისა. ეს სულ სხვა ხმა იყო — სევდიანი და ფიქრში ჩამძირავი. კახეთშიცა და ქართლშიც, მთაშიც და ბარშიც არა ერთი მეფანდურისთვის მოესმინა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო.

ხალხმა რომ სული გატვრინა და სმენად გადაიქცა, მაშინვე დაიწყო საიათნოვამ წამღერებით:

ზღვას ვით ვააშრობს ვარსკვლავის სხივი,
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აიწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვითკირის კლდესა,
თუ ვინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს?
თუ ვინდ ვაათეთრო სპილენძის თასი,
სპილენძი ერთია, ვერცხლი — ათასი,
ჭიქას არ ედება ალმასის ფასი,
თუ ვინდ ოქროს ბეჭედშიაც ვაიწყოს!
ზოვ-ზოვი კაცია ეშმაკის მუშა,
ეშმაკის მუშა ღმერთმა დაფუშა,..
გოგრა არ ვახდება შირაზის შუშა,
რა ვინდ მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს!
თუ ვინდ თევზი დაკლა, არ დაიყვირებს,
ფეხთ ჰინის დადება რად უნდათ ვირებს?
ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს,
თუ ვინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!
ნურვინ იტყვით, ეს ყმაწვილი ვინა ვარ?
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!

უზომოდ მოეწონა ერეკლეს საიათნოვას ნათქვამი ლექსი. მოეწონა იმით, რომ ყველა სიტყვა უბრალო იყო და სანიშნობელი. ლექსის დაწერის ჟინი ზოგჯერ თავადაც გახჩენია, მაგრამ ის ლექსი ზეაარის და საიათნოვას ნათქვამი კი სულ სხვაა. უბრალო, მართალი და გასაგები. აი, როგორი ლექსი უნდა იწერებოდეს ხალხისთვის. რატომღაც ძეძვა ხმალაშვილი გაახსენდა მეფეს და იფიქრა, ნეტავ თუ ისევ ცოცხალიაო.

— საზი დაუკრას, მეფეო! — გაბედა ვიღაცამ.

ამასობაში თეიმურაზის ამალაც მოუახლოვდა და ხალხს შეუერთდა, რაკი ნახეს, რომ ერეკლე მოლხენილიყო და უბრალო მოქალაქეებში ხალვას ეძლეოდა.

— რაკი განჯის დასახმარებლად მივდივართ, მართლაც საზი დაუკარი და იხე გაგვაცილე! — უბრძანა ერეკლემ.

— ბაშუსტა! — საიათნოვამ ფანდური მხარზე გადაიკიდა და საზი ჩამოიხსნა, საიდანაც მიზრაფი წამოაგდო, თითებში დაიჭირა, მოიმარჯვა, ჩამოჭრა და ამოიმღერა:

მტკვარო, ამღვრეულო, არაზიანო,
მე ძენ ვერ გაიძლებ, მიზეზიანო,
დიბისა ლობდანო, ბაზაზიანო,
სარმა-აბრეშუმო, ყაზაზიანო,
თვალები, წარბები, ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო?..
ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება,
ზოგი შეჯლიანის ზმას ეხვეწება,
ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება.
გული მას სტირის, მას ეხვეწება,
დავხსენ ჩემს ვარდსა, კრაზანიანო!
შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა,
ძენს შემხედავს თავში რალა ჭკვა უნდა?
ვანა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
გამოდი ღრუბლებიდან, მზევ, ნაზიანო!..
ეჰ, თუ ერთი რიგი ნარდი ვასწიო,
მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო,
ბულბული ატირო, ვარდი გასწირო,
ნეტა რომელი ერთის დარდი გასწიო,
ბეჩავ საიათნოვავ, თავაზიანო!

— სასახლეში დამხვდი, განჯიდან რომ დავბრუნდები! — უთხრა დიდად ნასიამოვნებმა ერეკლემ და წასასვლელად მოემზადა.

თეიმურაზსაც მოეწონა საიათნოვას დაკვრა-სიმღერა, მაგრამ ლექსწყობა დაუწუნა. სტრიქონებიც კოჭლობენო და ძალიან ეგონა ლოდაც ეჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თან წამიყვანე, მეფეო! — შეემუდარა საიათნოვა ერეკლეს.

— თანწაყვანისთვის მზადყოფნა გინდა. სახლობამაც უნდა იცოდეს, რომ ლაშქრად მოდიხარ.

— ამ საკრავების გარდა არც ვინ და არც რა გამაჩნია, მეფეო, არცა — სახლ-კარი, არც — დედ-მამა და არც — და-ძმანი.

— ყარიბი ყოფილხარ! — შეებრალა ერეკლეს.

— ყარიბი ვარ, მეფეო წამიყვანე, სადაც წაბრძანდები და თავს შემოგავლე! აზრებაიჯანლებსაც ვუმღერებ განჯაში და გულს მოვუობებ.

— წამოდი! — დასტური მისცა ერეკლემ და ამქარ-ხელოსნებს შეეხარბათ მისი ბედი.

* * *

ერეკლემ ერევანში წინასწარ გაგზავნა კაცი: მნიშვნელოვანი ჯარი გაამზადეთ და განჯისკენ იარეთო.

ყარაბაღში უმეტესობა ქრისტიანი იყო და ერევნელებს არც უხარიოდათ მათ წინააღმდეგ ბრძოლის გამართვა, მაგრამ, რაკიღა ქართველთა მხედრობას დიდი დამსახურება მიუძღვოდათ სომეხთა განთავისუფლებაში, უარი ვერ შეჰკადრეს და საკმაო მხედრობით მართლაც განჯის გზაზე შეეგებნენ. აქვე დახვდნენ განჯის ხანი თავისი ლაშქრით, გულისტანის მელიქი და ყარაბაღელ სომეხთა კათალიკოსი.

უსაზღვრო იყო განჯელთა სიხარული, მიიმე ქართველთა დანახვამ რომ გამოიწვია.

პირხმელმა, წელში მოხრილმა, მაგრამ მაინც საკმაოდ მალალა ბერიკაცმა ერთი ჯელვა შვილიშვილები ეზოში გამოაფარავა და ქართველ ჯარზე მიუთითა:

— აი, შვილო, ჩვენი მხსნელები ესენი არიან. ახლა ნურაფრისაღა ვეშინიათ!

— ვინ არიან, პაპავ, და საიდან მოვიდნენ?

— შორეული გურჯისტანიდან ჩამოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად.

— ვუყვარვართ?

— ვუყვარვართ, მაშ! მაგათ მამა-პაპასაც უყვარდა ჩვენი ქვეყანა და მაგათაც ვუყვარვართ.

ტიტლიკანა, ნახევრად ტიტლიკანა და ტანსაცმელშემოფხრეწილი ბალღები ცნობისმოყვარედ შეჰყურებდნენ უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ მშვენიერ სტუმრებს და მათ ჩალამებულ პირ-სახეზე ღიმილი იღვიძებდა:

— კარგები არიან და ქვები არ ვესროლოთ?

— არ უნდა ესროლოთ, მაშ!.. სალამ ალეი ქუმ! — ესალმებოდა ბერიკაცი გურჯისტანის ლაშქარს.

— ალეი ქუმ სალამ! — პასუხობდნენ, ვისაც აზერბაიჯანული გაეგებოდა, მაგრამ ქართველთა ჯარში ხომ აზერბაიჯანლებიც ერევნენ და ისინი უალერსებდნენ მშობლიურ ენაზე იქაურ ხალხს. ბალღებს ართმევდნენ, გულში იხუტებდნენ და ცრემლსაც კი ღვრიდნენ მათი სიხარულის გამო.

ერეკლემ საიათნოვას გაუღიმა და რაღაც ანიშნა. საიათნოვასაც მეტი არ უნდოდა, მხრიდან საზი ჩამოიღო, მიზრაფი, მოიმარჯვა, წელში მოხდენილად გაიზნიქა, ბეჭები თითქოს უფრო გაუგანივრდა და საზის ხმას დაახლოებით ასეთი შინაარსის ლექსი ააყოლა სიმღერით:

„ჩემო ადირბეჟანელებო, ჩემო ობოლო ადირბეჟანელებო, გურჯისტანიდან მოვსულვართ თქვენ დასახმარებლად! გახმაურებულია გურჯისტანის სახელი მთელ დედამიწაზე, გახმაურებულია მის მეფეთა შნო და მარიფათი, უყვართ ჩემი სომხეთი და უყვართ ჩემი ადირბეჟანი, მტერს არ დააჩაგვრინებენ და ერთხელაც არ დააკვნესებენ ტანჯვის ტვირთქვეშ. საიათნოვას სამშობლო მშვენიერი ადირბეჟანია, მაგრამ ცხოვრობს საქართველოში და რჯული აქვს სომხისა. შევაერთოთ ეს სამი ერი ძმური გრძნობებით, მომხვდურ მტერს შეებრძოლოთ, გავხდეთ თავისუფალი და ვადიდოთ სიყვარული! ადირბეჟანელებო, ჩემო ადირბეჟანელებო, ჩემო საყვარელო ადირბეჟანელებო, თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს თქვენი საწყალი საიათნოვა!..“

ამ სიმღერამ ყველანი გამოაფხიზლა და სასიხარულოდ განაწყო. ხალხით გავსილი ვანჯის შემოგარენი ზღვასავით ღელავდა, რომელშიც არა თუ იხრჩობოდა საქართველოდან ჩასული ჯარი, ნებივრობდა და თავისუფლად ცურავდა, რადგან განი ჰქონდათ მი-

ცემული და მოწიწებით ეთაყვანებოდნენ და ეამბორებოდნენ ნელი ნიავით დაძრული ტალღებივით. ვერხვებზე, წნორებზე და კატაწნორებზე გასული ბალღები მხიარულად გადმოჰყურებდნენ, საკვირველ ჩამოსულ შორეულ გურჯისტანელებს და მალმალე ალაჰს ახსნებდნენ აღტაცების გამოსახატავად.

ხალხის გრძელ დერეფანში საიათნოვამ გამარჯვებული ფალავანივით გაიარ-გამოიარა და ახლა ჭიანური მოიმარჯვა დასაკრავად.

— საღოლ, საიათნოვა! — მოწონებას გამოხატავდნენ საქართველოს აზერბაიჯანლები, რომლებიც ადრევე იცნობდნენ საიათნოვას, თავინთ კონაღად თვლიდნენ და საკუთარ გმარჯვებად მიაჩნდათ მისი გამარჯვება.

— ლავ ასუმ, დრუსკე, ასუმ, — ხარობდნენ სომხები.

— იახში ოლან! — გაიძახოდნენ აღტაცებული განჯელები.

— ავჯი ჩელები სად არის? — იკითხა ერეკლემ, როგორც კი სამხიარულო ცერემონიალმა ჩაიარა.

— შეუძლოდ გახლავს, მბრძანებელო! — უპასუხეს ავჯი ჩელების გამოგზავნილმა კაცებმა, რომლებიც მზირად გამოსულიყვნენ ამ მშვენიერ სანახაობაზე.

ავჯი ჩელები კი სულაც არ იყო შეუძლოდ, შორიახლოს მდებარე მიწურ სახლში ჩაკეტილიყო და ბრაზწაკიდებული უთვალთვალებდა საქართველოდან ჩამოსული მაშველი ჯარის ზეიმ-მხიარულობას. უთვალთვალებდა, ძალებს ამოწმებდა და წვერსა და ქილვაშებს იწიწკნიდა:

— ხედავთ, ქრისტიანები როგორ ზეიმობენ მაჰმადიანურ მიწაწყალზე?!. ავჯი ჩელები მოგიკვდეთ, თუ არ ჩაგამწარონ ეს დღეობა!

გომურ სახლში რეტდასხმული დაწრიალებდა ავჯი ჩელები. გაიელიდა, ერთ-ერთ კუთხეში მიაპურჭყებდა, მერე გამწარებული ზურგზე ხელებს შემოიწყობდა, სანათურს მიუახლოვდებოდა, წაიყინწებოდა, კუნძზე შედგებოდა, მოზეიმე ხალხისკენ თვალს გააპარებდა და ისევ გაბრზებით გაბრუნდებოდა უკან:

— მორჩა!.. შაჰ აბასის შემდეგ უკან წავიდა მაჰმადიანური რჯული!.. ნადირ-შაჰსაც ეჭირა კავკასია, მაგრამ შიში ვერ შეიტანა და ამიტომ ვერ მოტეხა. რა გამოვიდა, თუ დღეს გურჯს შევხედავთ მოწყალების მოლოდინით?.. რაო, რას ამბობენ, როდის დაიწყებაო

ომი? — ეკითხებოდა უკანშემობრუნებულ ახალ-ახალ მზირებს და კვლავ წვერ-ულვაშის პოტნას განაგრძობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამბობენ, ხვალ დილასაო. იმოდენა ჯარია, მბრძანებელიც ვერ დაითვლის. რის ფანა ხანი, სპარსეთიც ვერ გაუძლებს, ალაჰს გეფიცები!

აჯი ჩელები გრძნობდა, რომ საქმე მარტო ჯარის სიმრავლეში კი არა, სიმტკიცესა და შეუპოვრობაში იყო, გუნება-განწყობასა და რწმენა-შემართებაში. ასე მხიარულად ამიტომ განაწყო ერეკლე ხანმა თავისი ჯარი და ალბათ იგივე უსარდლებს ხვალ დილით ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ, შაქის ხანი კი... აჯი ჩელები მოკვდეს, თუ საფიცხი არ გაუჩინოს ერეკლე ხანის ჯარს.

გვიან ღამემდე ისმოდა სიმღერის, წინწილ-ებანისა და დაფ-საყვირის ხმა განჯის ქუჩებიდან.

* * *

ცისკრის ამოსვლისთანავე წამოშალა ჯარი ერეკლე მეფემ. მამამ ურჩია, ვათენდეს და დრო მაინც ჩვენს ხელთ იქნებაო, მაგრამ ერეკლეს მთელ ღამეს ძილი არ მიჰკარებია და ახლა რაღა დააძინებდა?

— დაუკარით და იმღერეთ სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად! სიმღერით უნდ შევესივნეთ ფანა ხანის ბანაკს! — ბრძანა ერეკლემ.

მუსიკოსთა ხმამ გააღვიძა განჯის მაშველთა ბანაკი: მედაფდაფეთა და მესაზანდრეთა ხელოვნებამ.

ლეკთა მიპარვებით შეწუხებულ ერეკლეს ქურდული ომი უზომოდ სძულდა და ამიტომაც ისურვა ჟრიამულითა და შეძახილით ომის დაწყება. ამასობაში კი დასაზვერად გაგზავნილი კაცები დაბრუნდნენ და მოახსენეს, ჯარის მრავალრიცხოვნებითა და შემართებით შეშფოთებული ფანა ხანი შებმის თადარიგს აღარ იჭერს, ისე გარბისო.

ერეკლემ კარგად იცოდა, მათი ცბიერული ფანდები: თავს რომ საწყალობლად მოიკატუნებდნენ და შეგაბრალებდნენ, ყურადღებას მოგიდუნებდნენ და მოულოდნელად კი ზურგში მახვილს ჩაგარყტამ-

დნენ, და არ დაიჯერა, ფანა ხანმა თუ მართლა დაყარა იარაღი. ჩაბი-
შლილსა და ფანა ხანის კვალდაკვალ მიმდევარ ჯარს უბრძანა, წუ-
თითაც არ შეჩერებულიყო, კვალზე ედევნათ და ყარაბაღში ძალუდი-
ვნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განჯის ხანის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მზად იყო, ერეკ-
ლეს ფეხებთან დამხობილიყო და მრავალგზის ეკოცნა მიწისთვის ამ
დიდებული გამარჯვების სამადლობელოდ. მას უკვე აღარ აინ-
ტერესებდა, ყარაბაღში შევიდოდნენ თუ არა გურჯისტანიდან
ჩამოსული მაშველი ჯარები. მთავარი ის იყო, რომ განჯა გაწ-
მინდეს აბეზარი მტრებისაგან და ყარაბაღში ჯარის შესვლას რაღას
დაეძებდა? თუმცა ამ განზრახვის აღსრულებით საბოლოოდ შეაში-
ნებდნენ ზვიად ფანა ხანს და შემოსევის ხალისს დაუკარგავდ-
ნენ.

განჯის სანახებიდან კუდამოძუებულმა ყარაბაღის ლაშქარმა ორ-
ჯერ შესძლო შეჩერება და შემობმა, მაგრამ ორჯერვე დიდძალი
მსხვერპლი დატოვა და პირი იბრუნა.

— ეგ არი შენი განთქმული ფანა ხანი?! — იცინოდნენ თბილისე-
ლები, — ვაი, იმისი თავი მომიკვდეს, ვინც ესე აქებდა!

— ნეტავი ქართველთა ბატონები ისეთი ჭკვიანები იყვნენ, ყარა-
ბაღელი სომხები ხელუხლებლად დატოვონ და სხვები დახოცონ! —
ნატრობდნენ ერევნელები.

— წყეული ფანა ხანო, დაბრუნდი, თუ ვაჟკაცი ხარ! იახში გურ-
ჯი! — აღტაცებას ველარ ფარავდნენ განჯელები.

— აი, ესეთი ვაჟკაცია ჩვენი მეფე ერეკლე! — ამაყობდნენ საქართ-
ველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები.

— ე რატო იგეთი გაქცევა სცოდნიათ ამ ჩემალალებს?! — ჭკვი-
რობდნენ ქიზიყელები.

— საღოლ, ერეკლე ხან! — გაიძახოდნენ აქეთ-იქიდან.

გომურ სახლში ჩაკეტილი ავჯი ჩელები კი გონების თვალით უყუ-
რებდა ყარაბაღისაკენ ბრძოლით და სიმღერით მიმავალ გურჯისტა-
ნის ჯარს და ვარაუდობდა, ჩემი ლაშქარი რომ უკანიდან გავადევნო,
ძვირად დამიჯდება თუ იაფადო. ასჯერ გაზომა-აწონა ეს აზრი, მაგ-
რამ ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ძვირად დაუჯდებოდა.
რაკი ასეა, დროს დავუცდი და მაგისი ჟამიც დამიდგებაო, გაიფიქრა
და ჟინი დაიცხრო.

ქართული ბიბლიოთეკა

— სამეგრელოს მთავარს უმშვენიერესი ასული ჰყოლია, შვილო, — გაბედა თეიმურაზმა, როცა განჯიდან მომავალნი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ ცხენდაცხენ.

— ჩემი გიორგი და თამარი!.. — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ამოიოხრა ერეკლემ.

— არვის დავაჩაგვრინებ, შვილო... გიორგი ტახტის მემკვიდრეა. როგორც კი მივალთ, მაგისი აღზრდის საქმეს გავარიგებ და მერმე ვაბრუნოთ დედოფლის მოყვანაზე.

— ტახტის მემკვიდრე?.. მერედა, ანახანუმის ვაჟს რას ემართლება?

— ანახანუმის ვაჟი ავადმყოფია. ბაქიმმა თქვა, მკურნალობა, ვერას უშველისო.

— ასე თქვა? — ეწყინა ერეკლეს.

თეიმურაზმა ამოიოხრა, რაკიღა შენიშნა, რომ ერეკლემ პირველად უთანაგრძნო თავის უსურველ ძმას:

— დიახ!.. ასე, რომ მემკვიდრენი ვახტანგი და გიორგი იქნებიან. ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო, მაინც არ შევაცილებდი შვილიშვილებს, რაკიღა ესენი არიან ჰასაკით უფროსნი.

— სამეგრელოს ასულის ქება ადრეც მსმენია, მამი, — შორეული ჰორიზონტისკენ გაიხედა თეიმურაზმა და მემკვიდრეებზე საუბარ სწრაფად შეწყვიტა, — ამითაც კარგია, საქართველოს უშორეს კუთხეს რომ დავუმოყვრდებით, მაგრამ...

— ვიცი, რაც გწადია... ჩემზეც ამბობდნენ, ანახანუმი იმ ქალის მოიყვანა, ჯერაც რომ განსვენებული დედოფლის წესი არ აესრულებინათ. აკი იმიტომაც შეიჯავრე ანახანუმი, მაგრამ... ახლა ზრდა მეფეს უდედოფლოდ არ შეუძლია.

— ხალხი რას იტყვის?

— იყბედებს და მოეწყინება.

— ორმოცი უკვე გადავუხადეთ... — თავის გასამართლებლად ჩაილაპარაკა ერეკლემ და თავი ჩალუნა.

ცხენები მიდიოდნენ დინჯად და ფეხაწყობით. ისეთი თავ-პირი ჰქონდათ, თითქოს ისინიც ერთურთს ესაუბრებოდნენ და მათაც საზრუნავი გასჩენოდათ.

— მეც მაგას ვფიქრობ, რაც შენ მითხარი, — დუმილის შემდეგ

თქვა თეიმურაზმა, — იმერეთი მოყვრობით შემოვიმტკიცეთ და სამეგრელოც მოყვრობამ უნდა დაგვაკავშიროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანა დღედაღამ თვალთაგან არ მშორდება, მამი...

— მეც ასე ვიყავი დედაშენზე... ყველა ჭრილობის მკურნალი დროეამი არის...

ერეკლეს ეწყინა მამის ნათქვამი და პასუხი ველარ გასცა. გაგულისებულმა ცხენს დეზი ამოჰკრა და ბედით კმაყოფილ მამას წინ გაასწრო.

ქვეშეცნეულად იგრძნო თეიმურზამა შვილის გაწყრომის მიზეზი და დამამშვიდებელ სიტყვებს დაუწყო ძებნა:

— ცხოვრება ესეა, შვილო. მართალია, ბევრი გამოსცადე, მაგრამ ბევრი ჯერაც არ გამოგიცდია.

რაკი ერეკლემ არც ამჯერად ამოიღო ხმა, ისევ თეიმურაზმა განაგრძო:

— უკვდავი არვინ არის, თვინიერ ღმერთის. რასაც უფალი გვიწყალობებს, უღრტვინველად უნდა მივიღოთ.

— უფალი ჩემთვის სასურველს არას იმეტებს.

— მაშ, ამდენი გამარჯვება საიდან მოდის?

— გამარჯვება ხალხის ერთობამ შემაძლებინა.

— ხალხის ერთობაც უფლის ნებაა, — თეიმურაზმა წინ გადაასწრო და ერეკლეს ერთიორად მოტეხილი და დაბერებული ეჩვენა მამა, ხმ იცი, ხალხის ენა როგორ აღრია ბაბილონის გოდოლზე. ღმერთს არ ნება კაცის სტუმრობა და ამად აღრია.

ერეკლეს არა ერთხელ მოესმინა და წაეკითხა ბაბილონის გოდლის შენებლობის ამბავი, მაგრამ არ სჯეროდა და ამიტომაც შეებრალა ამა. ბეჭებში მოხრილი და დაპატარავებული ეჩვენა და რომ არ ეცქინა, ისევ მხარი უსწორა.

ორივემეფის სხეულის მცველნი გაშლით მოდიოდნენ. ერთნი წინ უძღოდნენ ხუთიოდე ნაბიჯით, მეორენი მინდორ-მინდორ მოჰყვებოდნენ ისეთივ დაშორებით და სხვანი კი უკან ჩამორჩენილიყვნენ და ლაშქრის ავანგარდში მოქცეულიყვნენ.

ლაშქარი გაშლით და არეით მოდიოდა მთელ მინდორზე. მოდიოდა და იქაურობს მოაბნელებდა. სადაც ტალახი ან ჭაობი შეხვდებოდათ, მხოლოდ იქ შეგუნდავდებოდნენ ხოლმე ან დაწალიკდებოდნენ უსასურელი გორჯალის ძაფივით. მეომართა ხმამაღალი ყაყანი და ოხუნჯობანი ზოგჯერ აღწევდა ერეკლეს ყურამდე და ზოგჯერ კი სადღაც ლაქაშების იქით იკარგებოდა.

ის იყო, ბაბილონის გოდოლზე უნდა ეპასუხა ერეკლეს, მაგრამ მოულოდნელად ისევ მამამ წამოიწყო:

— ისე კი კოლხთა ასულნი უმშვენიერესნი არიან. ამქვეყნად.

— იმერნი?

— იმერნიც ფრიად პირმშვენიერნი არიან.

— ეგების ქართლელთა და კახთა ქალები არ მოგწონს?

— ეგენიც ტურფა ყვავილებად მიმაჩნია.

— თუშნი, ფშავნი და ხევსურნი?

— ეგენიც... — ყოყმანის შემდეგ უპასუხა თეიმურაზმა.

— მაშ, ვინ არ მიგაჩნია ტურფა ყვავილად? — გაიცინა ერეკლემ.

— ჩემი შეხედვით, ქალი ყველა მშვენიერია. სპარსნიც ხომ მინახავს, მაგრამ რუსთაც აქებენ უმეტესად.

ერეკლეს გაახსენდა, დედამისი რომ ნიადაგ ეჭვიანობდა საყვარელ ქმარზე და მისი დღევანდელი საუბრიდან მიზეზი ინიშნა. თუმცა თეიმურაზი სულაც არ იყო სიძვის მოყვარული და ლამაზი ქალის დანახვა მხოლოდ ლექსის საღერღელს აუშლიდა ხოლმე. ლექსის ხასიათზე ერეკლეც დგებოდა პირმშვენიერთა დანახვისას, მაგრამ მოფრენილ მუზას იძულებით იშორებდა, რაკი მიაჩნდა, რომ მუზებთან მოკამათე მეფე სახელმწიფოს ვერ გაუძღვებაო.

— როგორც გული მიგრძნობს, რუსი ქალების ნახვაც მოგიწევს, — იხუმრა ერეკლემ.

— ეგ როგორ?

— წასვლა მოგიწევს. ამათთან კაშირის იმედი არ უნდა ვიქონიოთ! — ზურგისკენ მიანიშნა ერეკლემ.

— მაგაზე მეც ვფიქრობ, მაგრამ ამ პირობაზე კი დიდად გვიერთგულეს.

— შეეშინდათ და იმად გვიერთგულეს. აჯი ჩელები მაინც უკუდგა.

— შეუძლოდ იყო?

— არავინ იცის. ეგების ჩუმად გვითვალთვალებდა კიდეც?

— არავინ იცის და ვერც ვერავინ გაიგებს ამათსას. ეშმაკმა დალახვროს ყველანი! — წყრომით ჩაილაპარაკა თეიმურაზმა და ისევ ოდნავ დაწინაურდა. ჯერ მაინც სხვანი გავგზავნოთ რუსეთს.

— ჯერ სხვანი გავგზავნოთ, მაგრამ თუ მაგათაც ვერა გაარიგეს რა, წასლა მოგიწევს.

თეიმურაზმა იფიქრა, სამეფო ტახტიდან ჩემი ჩამოცილება ხომ

არ ნებავსო, ცხენი ოდნავ ჩამოარჩინა და გვერდიდან ბეჯითად შეხედა შვილს, მაგრამ მის სახეს რომ დაუცხრომელი ზრუნვის შეტა ვერა შენიშნა რა, მაშინვე დარწმუნდა მის გულწრფელობაში. ბოლოს, ამოდენა ქვეყნის საქმე რომ მარტის დააწვებოდა ... ამოიოხრა:

— როგორც საჭირო იქნება, ისე ვიმოქმედოთ.

— წუხელის ავი სიზმარი ვნახე, მამი, — ჩამორჩა ერეკლე.

— როგორი?

— თავი მქონდა მოკვეთილი...

თეიმურაზმა განცვიფრებით შეხედა:

— ეგ როგორ?

— ჰო, რად გიკვირს?.. მოკვეთილი თავი ხელში მეჭირა და მაკრატლით წვერ-ულვაშს ვუკოხტავებდი.

— როგორ გგონია, ცუდს მოასწავებს? — სახე გაებადრა თეიმურაზს.

— ჩემი ფიქრით, ძალიან ცუდს.

— ჩემი ფიქრით კი... სულაც არა.

— თავის მოკვეთაზე უარესი რა უნდა იყოს?

— შენი თავი რომ ხელში გეჭირა, ეგ იმას ნიშნავს, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხარ. წვერს რომ უკოხტავებდი, ეგ კი იმის მანიშნებელია, შენს ნაკლს შენვე ხედავ და გამოასწორებ.

— ასე გგონია?

— ასრე მგონია... ჩემი სიზმარი კი უფრო ავი უნდა იყოს. თუმცა... აბა, მითხარი!

— სასახლე აგებშენებინა საკუთარი, — მათრახის ტარით ყურისძირი მოიქექა თეიმურაზმა, თვალები მოჭუტა, შორეულ ჰორიზონტს მიაჩერდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს სიზმრის გახსენებას ცდილობსო.

— მერმე? — ველარ მოითმინა ერეკლემ.

— აგებშენებინა და წყალი დიოდა მისი ბალავრიდან. გირჩია, თავს არ დაიჭერს და დაინგრევა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე. მერე დედაშენი გამოჩნდა საიდანღაც და იმანაც ვიშვიში დაიწყო: მაგ სახლის აშენება არ იქნებაო. არც იმას დაუჯერე და ცხონებული შენი დედოფალი ანა გამოჩნდა. ასეთ ყოფაში რომ დაგვინახა, შეიცხადა, იმერულად გაკაპასდა, როგორც ადროდეს გვინახავს სიცოცხლეში, რაც

ახლო რამ ხელთ მოიგდო, დასცხო სასახლის კედლებს და ერთბაშად დაანგრია.

— სად ჩავთვლიმეთ წუხელ? — ღიმილით იკითხა ერეკლემ.

— ჯაგებში.

— ჰოდა, ჯაგებში უკეთეს სიზმარს როგორ ვნახავდით?! — გაფახტა ეჭვი მამის სანუგეშოდ.

— ავი სიზმარი არც ეს უნდა იყოს, შვილო, ჩემი ჩახვდომით, — ანუგეშა თეიმურაზმაც, — სასახლე რომ დაუნგრეველი დაგრჩენოდა, მაშინ არ ივარგებდა.

— მაღალგიგოლამ იცის სიზმრების ახსნა, — გაახსენდა ერეკლეს.

— აბა, დავუძახოთ!

ერეკლემ ცხენი ოდნავ ჩამოარჩინა, კისერი მიიბრუნა და მაღალგიგოლას ანიშნა, წინ წამოდიო.

— რას მიბრძანებთ, მეფეო? — მიეახლათ მაღალგიგოლა.

— ერთ სიზმარს გიამბობ და ამიხსენი!

— მზად ვარ, მოგისმინო.

ერეკლემ დაწვრილებით უამბო თავისი სიზმარი.

— სულ ეგ იყო?

— მამაჩემსაც ავი სიზმარი უნახავს.

— ბარემ ეგეც მიამბეთ და ერთად აგიხსნით.

როცა სიზმარი თეიმურაზმაც უამბო, გიგოლამ გაიღიმა და რიყეიოდ მიახალა:

— თუ ძაღლიკას არ ემარჯვა, წუხელ ახდებოდა თქვენი სიზმრები?!

— რაში იმარჯვა ძაღლიკამ? — გაიკვირვეს მამაშვილმა.

— ერთი ურჯულო ხანჯლით გეპარებოდათ მძინარესა და ძაღლიკამ თავი წააგდებინა.

— რატომ აქამდე არ მითხარით?

— ვერ მოგახსენეთ იმიტომ, რომ გუნება წაგიხდებოდათ.

— ხედავ, შვილო, რა სასწაული ხდება? დედაშენის სულს დაუხსნიხარ წუხელ! ის სასახლეც ხომ მათვე დაგინგრიეს. თუ არ დაგინგრევდნენ, უთუოდ მოგკლავდა ის ურჯული.

— მაშ, ანას სულიც ჩემთან ყოფილა?

— რომელ მეუღლესაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი მეუფე, ყველგან თან დაჰყვება. მისი სულიც მარად შენთან იქნება.

— ხომ აღარაფერს მიბრძანებთ, მეფეო? — გიგოლამ ჟირაფივით

წაიგრძელა გრძელი კისერი იმის ნიშნად, რომ გულითადად გისმენთო.

— არაფერს, ჩემო გიგოლ, თავისუფალი ხარ! — უპასუხა ერეკლემ და ისევ მამას მიუბრუნდა, — მაშ, დედასავით ანაც თან დამდევს, არა?.. თუნდაც სამეგრელოს ასული შევირთო, ანას სათნოებას ვერ დავივიწყებ და ვერც ჩემს გიორგის შევაცილებ ვინმეს მეფობაში, თუნდაც უანგარიშოდ გამიმრავლდეს ძე-ნაშიერი.

— აკი გითხარი, მეც ეგ მწადს-მეთქი. სამეგრელოში კი... მალევე უნდა გავგზავნოთ კაცები.

— ვის უწინამძღვრებ?

— მღვდელი დავითი გამოდგება. სხვებსაც მოვნახავთ. ღვთის მადლით, ერთგულნი კვლავ გვეპოვებიან, — დაამატა ძაღლიკას ერთგულებით გათამამებულმა, მერე იყუჩა და ამოიოხრა: — დასახმარებლად მიდიოდე და მოკვლას გიპირებდნენ, როგორი საქმეა?

— სწორედ იმიტომ გვიქადიან მოკვლას, დაჩაგრულს რად ეხმარებითო.

— დახმარება დაჩაგრულს უნდა.

— დაჩაგრულს არვინ შეეწევა საიათნოვასთანა პოეტების გარდა.

— ჩვენი მამა-პაპანიც პოეტნი ყოფილან, ალბათ, იმიტომ გვეწვის ეული სხვის სიბრალულით?

— დიალაც ასეა. ხალხის ბელადი კი უფრო მკაცრი უნდა იყოს მტერთა მიმართ და დაუნდობელი. მტერი მაშინ გთხოვს დახმარებას, როცა მას უჭირს. დაემხარები, მოალონივრებ და აქეთ შემოგიტევს. ვისაც არ ვებრალებით, არც ჩვენ უნდა შეეიბრალოთ!

სამხრეთიდან აშლილი ღრუბლები ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ერეკლეს ლაშქარს.

გიგას თავგადასავალი

გიგამ გულდასმით გარეცხა ცხვრის ფაშვი, შიგ დაკუწული ხორცი ჩაყარა, მარილი მოაყარა, ფაშვს პირი მოაკრა და თურთქელში გახვია. მერე მის გვერდით ჩამწვარი ცეცხლი გადაქექა, კეცივით ამოჭრილი ორმო ამოასუფთავა და ცომი ჩადო შიგ, გააბრტყელა, ზემოდან ბორხვენის ფოთოლი დააფარა და მასაც თურთქელი წააყარა. მერე წამოდგა და ძაღლის ჯერი ჩაყარა ვეჯაში, ყურიანი ქვაბიდან მდუ-

ღარე წყალი დაასხა, ჯოხით მიურმოურია და ზემოდან ტყაპუჭი გადააფარა, რომ დაორთქლილიყო და გაფუებულიყო საღამოსთვის.

— ბინაზე შენ დაგაგდეს? — მოესმა ვიღაცის ხმა და ძაღლებმა ყეფა დაიწყეს.

— გადი! — დატუქსა გიგამ ძაღლები და ხმის მიმართულებით გაიხედა. გზაზე ჯოხდაბჯენილი ყოჩურა მიდიოდა. თავზე ტყავის ქუდი ეხურა და წელზე ხანჯალი ერტყა.

ძაღლები ერთბაშად დამშვიდდნენ, რაკიღა ყოჩურა შეიცნეს და პატრონის დატუქსვასაც ყურადღება მიაქციეს.

— დამაგდეს, მაშა!.. არ მინდა, ძმაო, სამ ფარას გავყვები, ოღონდაც ბინაზე ნუ დამარჩენენ. ეს ესაო, ეს ისაო და... თავქაჯი შემეყრება ხოლმე.

— შენსავით ჯეილი ვიყო და... — გაიღიმა ყოჩურამ.

— რაღა ჯეილი, კაცი როცა ორმოც გადასცდება, თურმე ყოველდღე უკანუკან მიდის... გადმოდი, ილაპარაკე!

— ცხენები გაღმა გაცვივდნენ და, მეშინია, არ დაიკარგნენ-მეთქი, იქ მივდივარ.

— აქეთ გადმოიარე!

— მეც ბინაში ვარ და ლავაში მაქვს გამოსაცხობი.

— საკლავი თუ არაფერი გიჭყავით, საღამოზე გადმოიარე, ჩობანყაურმა გავახვიე და ხმიადიც ჩავსვი.

— ვნახოთ! — ყოჩურა ჯოხის ბჯენით გაუყვა ღელისკენ მიმავალ ბილიკს. გიგამ ისევ გეჯას გადაჰხადა, დაცლილი საცალო შიგ ჩაბერტყა, ბოძს შემოუტყაპუნა და ჩანახევრებულ ვაშკარანებზე მიაგდო.

მოულოდნელად მერცხალი დაუტრიალდა თავზე და მერე ფარეხს მიაშურა, სადაც შარშან ჰქონდათ ბუდეები.

— ააა, მოხულხარ, ენაჭიკჭიკა?!.. დამძლიე და ეგ არი: ერთი კვირაა, ძმრიანი არა მიჭამია რა. შენ მეტი ნურა დამძლევს რა და ავიტან როგორმე! — გიგამ ბაკის კართან მიყუდებული ნიჩაბი აიღო, წამით გაღმა გაშლილი ცხვრის ფარისაკენ გაექცა მზერა და თავდახრით შევიდა ფარეხში.

ზამთარში ფარეხს არ ხვეტავდნენ მწყემსები: სითბო დატრიალდებაო, და დრემლა ისე იდო დატკეპნილი, კომპტონივით იმტვრეოდა. ამას იქით აღარ აცივა და უნდა დაიხვეტოს.

ხვეტავდა გიგა და სანათურიდან ისროდა ნაკელს. მისი ღონი-

ერი მკლავები ნიჩაბს ადვილად იარშიებდნენ და, თუმცა საძნელო საქმეს ედგნენ, ხალისიანად მოძრაობდნენ. ბეჯითი მუშაობისა ... ხელი მალე დაატყო, მაგრამ გაიოფლა კიდეც. ოფლს არ დაეშვებს, ... თი კაცია. რაკი საქმეს დაადგება, დასვენება აღარ იცის და საქმის შუაზე გაწყვეტა კი ბედოვლათობად მიაჩნია. ხმიადი? არ დაიწვება! არც ჩობანყაურმა გადაიხარშება. ნებივრად იჩუხჩუხებს და ისე გემრიელად მოიხარშება, საღამოზე თითებს ჩაიკვნეტენ ბიჭები. ყველაფერს ვერ ვასწრებთო, ბიჭები ჩივიან ხოლმე. არ უნდა დაიზარონ და ყველაფერს მოასწრებენ.

ძაღლების ყეფამ გამოაფხიზლა გიგა. მართალია, ბინაზე მხოლოდ ორი ძაღლი დარჩა, მაგრამ ისეთი აზავთებით აყეფდნენ, თითქოს მთელი ხროაო. გიგამ იფიქრა, სხვა ბინის ძაღლები ხომ არ მოუცვიედნენო, და ნიჩბიანად გარეთ გამოვიდა.

— ლეკები! — აღმოხდა ხავილი, რაკი დაინახა, რომ ერთი და ორი ლეკი კი არა, მთელი ლაშქარი იყო და თანაც ყველანი — ცხენოსნები. ცხენოსნები კი არა, მაჟარა-სიათასა და ხმალ-ხანჯალში ჩამჯდარი უშიშარი რაინდები — რჩეულ-რჩეული და ტალიკ-ტალიკა ლეკის ბიჭები.

ქოხურის წინ, ბაკის კართან მდგარი გიგა ალადაშვილი ნიჩბის ტარს ორივე ხელით ჩამოეყრდნო და ხელახლა შეათვალიერა ანაზდეულად მოვარდნილი ბრბო. ახალღა შენიშნა, რომ ისინი ყოჩურას ბინის ცხენთა რემას მოერეკებოდნენ და უკან კი... ღმერთო, მოათმენინე!.. ხელებგაკრული ყოჩურა მოჰყვებოდათ კოჭლობით.

გიგამ ყრუდ დაიკვნესა, ნაბიჯი წადგა, მაგრამ ვერაფრის თქმა მოახერხა და ისევ ნიჩბის ტარს ჩამოეყრდნო უმწეოდ.

— ყველი მოიტანე! — დაიძახა ლეკთა ბელადმა და ცხენდაცხენ შევიდა ბაკში.

— ყველი არ არი! — გიგამ თავი უმწეოდ გააქნია და ცხენებს გზა მისცა, რომ ზედ არ შესდგომოდნენ.

ბელადმა ლეკურად რაღაც უბრძანა მხედრებს. მხედრები გაიყვნენ. უმეტესნი გაღმა გაშლილი ცხვრის ფარისაკენ გაემართნენ ჭენებით, ზოგნი ცხენებს გაჰყვნენ და დანარჩენი კი ბინას შეესივნენ და ჩხრეკა დაიწყეს.

თავისი ბრძანებით კმაყოფილმა ბელადმა ნეკის ფრჩხილით უკანა კბილი გამოიქექა, დაჯირჯვლებული ხორცის ნაჭამი გადააპურჭყა და ღიმილით მიუბრუნდა გიგას:

— ჩემი ბიჭები კარგად გნახავენ და იქნება ყველი!

ყაჩაღებმა ქოხურის ჩხრეკა არ იკმარეს, რაკიღა ორი გუდა ყველისა და ორი ნაკრაული ფქვილის მეტი ვერა იპოვნეს რა, და ფარეხში შეცვივდნენ, ახალი ნადავლის იმედით. ერთმა კი წახვეულ თურთქელს გაქექვა დაუწყო და გიგას მიუბრუნდა:

— აქ რა ვარ?

— ეშმაკი და ქაჯი! — ჩაილაპარკა გიგამ და ყოჩურასკენ გააპარა უმწეო მზერა.

— ხმიადი!.. — წამოიძახა ცეცხლთან ჩაკუნტებულმა ლეკის ბიჭმა, — ჩვენი ბელადი ძალიან გიყვარს ხმიადი.

— ხედავ, ეს ძაღლები რას გვიშვრებიან?! — უმწეოდ შესჩივლა ყოჩურამ და სიმწრისაგან ცრემლები გადმოსცვივდა.

— ვაიმე, ძმაო! — დაიკვნესა გიგამ, რაკი შენიშნა, რომ ლეკთა დიდი რაზმი გულდაგულ მიაჭენებდა მათი ფარისაკენ და თავისი ძმის ჯიუტი ხასიათიც კარგად იცოდა, რომ ცოცხალი თავით ცხვარს არავის დაანებებდა.

ამასობაში ტუჩებდახეთქილმა ყაჩაღმა ხმიადი ამოიღო, შეუბერა, ნაცარი გააცალა და გვერდზე გადადო. მერე მეორე ცეცხლს დაუწყო გაქექვა და ცოტა ხანში აღტაცებით დაიძახა:

— ყაურმა!

გიგას ბრაზისაგან სული შეუგებდა და ლაჩრად ჩათვალა თავი. ხმის ამოღება დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა და ყრუდ დაიხვნეშა.

ტუჩებდახეთქილმა ყაჩაღმა ხელები დაითუთქა, მაგრამ ჩობანყაურმა მაინც ამოიღო, ფაშვს პირი მოხსნა, ამხანაგებს შეეხმიანა და ახლად ადუღებულ, გაჯირჯვლებულ ხორცს თქვლეფა დაუწყეს. ბელადმაც სწრაფად დაიქვეითა და სხვებზე ადრე თვითონ ჩატანტლა ხელი პირმოხსნილ ფაშვში.

— კაი მახპინძელი, ალაჰის მადლმა! — გაუღიმა გიგას და ცხელი ხორცით პირი გამოითანთქლა.

— ჰაიტ, თქვე ძაღლებო, თქვენა, მაშ, ერეკლესი არ გეშინიათ?! — დაიკვნესა ყოჩურამ და ზურგთან გათოკილი მაჯები რომ ვერაფრით აიწყვიტა, ფეხები დაბრაგუნა მიწაზე.

— შენი ერეკლე თათრებში ვარ, ბიძაჩემო. — გაუცინა ბელადმა, რიცა დაუღეჭავი ხორცი გადასანსლა.

— თამაზ მოურავმა ჩაგიკაკლათ, არა? — კბილები გააკრაჭუნა ყოჩურამ.

— შენ რად ახსენე თამაზ მოურავი, ძაღლო? — იწყინა ბელადმა.

— აჰა, ძაღლო, ხორცი არ გინდა?! — ხორცის ნაჭერი დაანახვა ტუჩებდახეთქილმა ყაჩაღმა და გიგას ძარღვებში უეცრად ... სისხლი. ნიჩაბი მოიორხელა, რაც კი შეეძლო, მაღლა ასწია და თავში ისე ძლიერად დაუშვა, დაყვირებაც ველარ შესძლო ყაჩაღმა, ისე გაერთხა მიწაზე. მერე მეორეს დასცხო თავში, მერე — მესამეს, მერე გიჟივით შემობრუნდა და წისქვილის ბორბალივით დაატრიალა ნიჩაბი.

— ალლაჰ, ალლაჰ!.. — დაიწყეს ძახილი, გაიფანტ-გამოიფანტნენ და ყველამ მაშინვე თოფი გადმოიღო.

თუმცა უზომოდ განრისხებული იყო, მაინც მიხვდა გიგა, თოფიან ყაჩაღებთან რომ ვერას გააწყობდა და ფარეხში შევარდნა გადაწყვიტა, საიდანაც ის იყო, სათითაოდ გამოიკრიბნენ ნადავლის იმედით მოცეცერაევნი და ჩობანყაურმის მთქვლეფავებს შეუერთდნენ. გადაწყვიტა, მაგრამ სწრაფად მიხვდა, ბეჭებში რომ ტყვიას მიაყოლებდნენ და მისი უმცროსი ძმა უმწეოდ დარჩებოდა ამდენ ყაჩაღთან.

— ვაიმე, ლადო! — დაიძახა ძმის სახელი და ფარისკენ გავარდა, რომელიც უკვე შეეგუნდაებინათ და საითღაც მიერეკებოდნენ.

ლეკთა ბელადმა გაიღიმა მის საქციელზე, თოფი დაუმიზნა და ბეჭის თავს მოარტყა.

გიგა არ წაქცეულა, არც შემდრკალა და ხირბილი განაგრძო.

ბელადმა რაკი შენიშნა, რომ გიგა დაიჭრა, სხვას ალარ ასროლინა, ჩემი ტყვიაც ეყოფაო, და ნიჩბით დასახიჩრებულ მოძმეებს მიუბრუნდა. ერთი მათგანი უსულოდ ცეცხლზე გადამხობილიყო და უკვე ბოლავდა. სხვებს სისხლი სდიოდათ და ილანძღებოდნენ. ერთს კი ლანძღვის თავი ალარ ჰქონდა და დედასლა ახსენებდა მოახლოებული სიკვდილის წინ.

— მხარში დაჭრილი გიგა უკანმოუხედავად გარბოდა ფარისკენ და თან გაბმით ხრიალებდა:

— ლადო!.. ლადო!..

გიგა დაიღალა, მუხლში ღონე გამოელია, მაგრამ მაინც არ დაეცა. პატარა ღელე ჩაირბინა, მაგრამ მეორე ნაპირზე ასვლა არ გინდა?!. ღმერთო, შეაძლებინე! ღმერთო, ძალ-ღონე მოუმატე, ლადოსთან მიიყვანე და იქ მოკალი! ლადოსთან, რომელიც არა თუ ძმასა, ყველას უყვარს თავისი ალალი გულის გამო და თუშები კი თუშ გიორგის ეძახიან, იმდენად კარგად მეტყველებს თუშურ კილოზე. ლადო უშიშარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცოცხალი თავით არ დაანებებს ფარას, ფარა კი უკვე შეუგუნდა-ვებიათ და საითღაც მიუდით.

გიგას უკვე ნიჩბის დაბჯენა დასჭირდა, სანამ ღელის ნაპირს ასწევდა. როგორც იყო, ააღწია კიდეც, მაგრამ, ჰოი, საშინელებავ!.. ღელის ნაპირას ლადოს თავი ეგდო, კბილებდაკრეჭილი, უფრო მოშორებით — მკლავი და ბარძაყი, იმის იქით კი სხვა ნაფლეთები და დახოცილი ყაჩაღები ეყარა.

— ძმაო, ლადოო! — დაიხრიალა გიგამ და თვალთ დაუბნელდა. ერთხანს მიწაც დატრიალდა მის თვალებში, მაგრამ, როგორც იყო, თავი შეიმაგრა წაქცევისაგან, ხანჯალი გაიძრო და გარეკილ ფარას გაედევნა.

ერთმა ყაჩაღმა ცხენი შემოაბრუნა, თოფი დაუმიზნა და, სანამ გიგა ხუთიოდე ნაბიჯის გარბენას მოასწრებდა, შუბლში უსწორა.

გიგა დაეცა, მაგრამ ყაჩაღებმა არ დაიჯერეს, თუ ასე ადვილად მოკვდებოდა. სამმა-ოთხმა დაიქვეითა და თავს წაადგნენ. გიგას უკვე მღვრიე თვალები გადაბრუნებოდა და პირიდან დუჟი სდიოდა. მაინც არ დაინდეს, ხანჯლები იშიშვლეს და ისიც თავისი ძმასავით აკუწეს, რათა არ წამომდგარიყო და უკან არ გაჰკიდებოდათ.

— ჰაი, ძაღლებო, დაბრუნდება მეფე ერეკლე და დედას გიტირებთ! — კბილები გააკრაჭუნა ხელებშებორკილმა ყოჩურამ, როცა ბინის გამძარცვავი ყაჩაღები ბაკის კარიდან გამოვიდნენ და გარეკილი ცხენთა რემისკენ აიღეს გეზი, — ყველაფერს ნიშანდობლივ მოვახსენებ და იმასაც ვეტყვი, თამაზ მოურავმა რომ გამოგგზავნათ!

ბელადმა თავისი აინალი შემოაბრუნა. დაუმიზნა და ესროლა:

— წადი და უთხარი შენს ერეკლეს!

ყოჩურა ჩოქზე დაეცა:

— სულ ერთია, მაინც ვერ გადაურჩებით ერეკლეს ხმალს, თქვენ ძაღლებო, თქვენა! — ამის თქმა ძლივს მოასწრო ყოჩურამ და მეორე ტყვია მოხვდა, მერე — მესამე და ძონძივით დაეცა ბერიკაცი.

მზის ჩასვლა

ჯერ თეიმურაზის სპარსეთს ყოფნამ, მერე ანა დედოფლის ავადმყოფობამ, და სიკვდილმა, ბოლოს კი სამხრეთის საზღვართან გამართულმა ბრძოლებმა ერეკლე ქართლში დააბანდა და ორგულ ფეოდალებს ჭორის საბაბი გაუჩინა.

— ერეკლე ქართლის მამაა და კახეთის მამინაცვალიო, — ასე გაა-ვრცელა თამაზ ენდრონიკაშვილმა და ახლაც ასე მოახსენა ლოგი-ნად ჩავარდნილ მოხუც ჯანდიერს.

— რაღა ერეკლე და რაღა თეიმურაზი? — ჭრილობა გააღრმა-ვა ვამეხ ვაჩნაძემ, რომელსაც ავადმყოფის სანახავად თავისი პირმშო ტარიელიც წამოეყვანა.

— დამშვიდდით, შვილო, საქვეყნო საქმეს აკეთებენ და უნდა და-ვუთმოთ! — ყელშიღა ხიხინებდა მოხუცი ჯანდიერი, მაგრამ მაინც ცდილობდა, გულის სახმილი ჩაექრო დაუდეგარი თავადებისთვის.

ჯანდიერის შვილ გიორგის, რომელსაც გლეხკაცივით გახუხული სახე და ღონიერი ქედი ჰქონდა და მარცხენა საფეთქლის ზემოთ თე-თრი თმის ნახევარმთვარე ყველასგან განასხვავებდა, სტუმართა სა-უბრის ტონი არ მოსწონდა და, რადგან თვითონ წამდაუწუმ გარეთ გა-სვლა უხდებოდა, დარბაზში თავისი შვილები — თორმეტი წლის და-ვითი და ათი წლის ლევანი შემოიყვანა, ეგების მაგათ მაინც მოერიდ-ნენო.

ისხდნენ დავითი და ლევანი და მოწონებით შეჰყურებდნენ უკვე ულვაშამომავალ, თეთრ ჩოხასა და ქამარ-ხანჯალში გამოწყობილ ბეჭებგანიერ და უკვე მოწიფულივით ნაადრევად ჩაფსკვნილ ტარი-ელს, რომელიც ხანდახან უფროსების საუბარში ჩაერეოდა ხოლმე და ჭმუნვასა თუ სიხარულს მრავალჭირნახადი კაცივით გამოხატავდა ხოლმე სახის მოძრაობით.

— ხალხი მოგახსენებს ასე, დიდო თავადო, მე კი არ ვამბობ, — წამწამებს აფახულებდა ენდრონიკაშვილი.

— ხალხი იმასაც ამბობს, ერეკლე შესცდა, ლეკეთში გაქცეული თამაზ ენდრონიკაშვილი რომ ერეკლემ კვლავ შემოირიგა და ქიზიყის მოურავობა უწყალობაო.

— ლეკეთში გაქცევაც მაგათ მაიძულეს, მე თუ მკითხავთ. მამაც და შვილიც ისეთ ბრალს მდებდნენ, მიკვირს, ცოცხალი ვარ.

— ყოველ ბრალს თავისი ბალავარი აქვს, შვილო. უმიზეზოდ არა ითქმის რა.

— კაცს ცხოვრებაში ბედიც უნდა, დიდო თავადო. ჩემი ყოველი ნაბიჯი თავადთა სიკეთეს ემსახურებოდა და მტრობა დამწამეს. სა-მოურავოები რომ ძველებურად სათავადოებად დანაწილებულიყო, ამით, მე მგონია, სიკეთე მეწადა თქვენთვის. არადა, დღეს ჩემია ქა-

ზიყის ქვეყანა და ხვალ ჩემს შვილებს აღარ ექნებათ, აბელის ვაჟბატონ ზაალს უბოძებენ, რომელსაც იმთავითვე წყალობის თვალით უყურებენ. ასე დაემართებათ ვაჩნაძეებსაც და ჯანდიერებსაც.

— დედას ვუტირებ, ვინც რამეს წამართმევს! — მოვერცხლილ ხანჯალზე ხელი მოხდენილად დაირტყა ტარიელ ვაჩნაძემ და უზომოდ განაცვიფრა ჯანდიერის შვილიშვილები: დავითი და ლევანი. მართალია, გაბედულება თვითონაც არ ეკლდათ, მაგრამ მაინც შეეხარბათ მათზე მოწიფული, ამაყი ვაჩნაძეების ახალგაზრდა ნაშიერის დიდგულობა და შეუპოვრობა.

ჯანდიერს ხველა აუვარდა. დიდხანს ახველა. ბოლოს, როცა სული მოითქვა და მიმჭკნარი ხელისზურგით ცრემლი მოიწმინდა, ყრუდ ამოილაპარაკა:

— მზე ჩავიდა?

დარბაზში გიორგი შემოვიდა. მიხვდა, რომ მამისთვის არასასიამოვნოდ საუბრობდნენ და კუშტად იკითხა:

— ხომ არაფერი გაწუხებს, მამაჩემო? — მერე დაუოკებული თვალების ბრიალით გადახედა ავადმყოფის სასთუმალთან მსხდარ თავადებს და ესლა აკადრათ: — ჰაერი უჭირს და დარბაზშიც ამიტომ გამოვიყვანე.

— მზე თუ ჩავიდა? — ისევ იკითხა ჯანდიერმა.

— არა, მამი, ჯერ არ ჩასულა, — უპასუხა გიორგიმ და სკამიანად უკან დაიწია, თითქოს ამით სამანი დაუდო ვაჩნაძესა და ენდრონიკაშვილს.

— სიბერე და ზამთარი ერთურთს ჰგვანებია, — დაიწყო ჯანდიერმა, — შემოგიტევს, ცოტათი აგიცივდება და ისევ დაგითბება... კიდევ შემოგიტევს და კიდევ ცოტათი დაგითბება... უფრო ძალუმად შემოგიტევს... გგონია, გამათავაო, მაგრამ ისევ დაგითბება ცოტახნობით... ახალი სუსხით შემოგიტევს... სულს ყელში მოგაბჯენინებს და... ისევ ცოტაოდენ შელავათს მოგცემს... უფრო საშინლად შემოგიტევს და აგიცივდება... აგიცივდება და გაბმით გაკანკალებს... ეგეც შენი ნალდი ზამთარი, თავისი სუსხითა და ქარ-თოშით!.. ჰაი, დედასა ახალგაზრდობავ!..

— არა, თავადო, ჯერ სიბერე ვერ მოგერევა! — გაამხნევა ვაჩნაძემ.

— სანამ მართლა სიბერე მოგერევა, უნდა გვისმინო, და საქვეყნო საქმეში გვიწინამძღრო! — თვალები დააბამხამა ენდრონიკაშვილმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაკი მიხვდა, რომ გიორგი გასვლას აღარ აპირებდა და უთქმელობა კი აღარ შეიძლებოდა.

— რას აიძულებთ მამაჩემს? — იკითხა გიორგიმ.

— კახეთის ჭირი გვაიძულებს და ეს გვალაპარაკებს. მამათქვენი თუ მხარს აგვიბამს და პირველი მოითხოვს სამოურავოების გაუქმებას, ყველაფერს ეშველება, არადა...

— სიკვდილის წინ მიუტევებელი ცოდვა ხომ არ გინდა ჩაადენინო, თამაზ ბატონო? — იწყინა გიორგიმ, — მამა სიკვდილამდე იმას იმოქმედებს, რაც მეფეებს გაახარებს.

— შენც მაგ აზრისა ხარ?

გიორგიმ შვილებს ანიშნა, გარეთ გასულიყვნენ და ჭაბუკ ტარიელსაც უსიამოდ გადახედა. ჩანდა ისეთი სიტყვის თქმა ეწადა, რაც ახალგაზრდებს არ უნდა მოესმინათ.

— თავადი სვიმონ მაყაშვილი მობრძანდა! — შემობრუნდა დავითი და ისევ გაიხურა კარი.

გიორგი წამოდგა და მაყაშვილს მიეგება:

— მობრძანდი, სვიმონ ბატონო!

— გამარჯვება ნუ მოაკლოს ამ სახლს! — ასაფრენად გამზადებული ქორის თვალები მიმოატარა სვიმონმა და პიველად ავადმყოფს ჩამოართვა ხელი, — როგორ ბრძანდებით, დიდო თავადო?

ჯანდიერს შუბლი გაეხსნა სვიმონის დანახვაზე და თითქოს მოიხედა კიდეც.

თუ ამ ყოფასაც ბრძანება ეთქმის?.. ეჰ!.. რაო, რა ისმის ბატონებისა? — შუბლზე ხელი იმგვარად მოისვა, თითქოს აბეზარი ბუზი უნდა მოიშოროსო.

— მეფეებმა თავი ისახელეს, დიდო ბატონო! — გამოცოცხლდა მაყაშვილი და თვალები გიორგის მიაპყრო, რომელიც მამის ფერხთით ჩამომჯდარიყო და ინტერესით უსმენდა, — რაც მაგათ ფანა ხანისთვის დღე დაუწევიათ...

— დიდება შენდა, ღმერთო, რა უნდათ ფანა ხანთან?! — ამოიოხრა ენდრონიკაშვილმა, — შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო. კახეთისთვის ვერ მოუვლიათ და განჯაში მიდიან?

— ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო, — დაამატა ვაჩნაძემ და გადაიხარხარა.

— სწორედაც განჯაში უნდა აგემოს მტერს მკლავის ძალა, რომ აქეთ წამოსვლის ხალისი დაეკარგოთ! — თქვა მაყაშვილმა, —

დღეს რომ განჯასა და ერევანში შემოვუშვათ, ხვალ აქ მოგვიხტებიან.

— თუ მოგვიხტებიან, აქ გავუმასპინძლდებით. როგორ გგონიათ, რამდენი ხარჯი უნდოდა მაგ ლაშქრობას?

ლაშქრობის ხარჯებსაც გვიფარავენ განჯელები და ერევნელები და წლიურ ხარკსაცა გვპირდებიან, ოღონდაც შემწეობას ნუ მოგვაკლებთო.

— ცოლი გაუშვა და ცოლის მამიდასა ჰყვარობდაო, ნათქვამია, — თქვა ვაჩნაძემ, — კახელებზე ხელი აუღიათ და სომეხ-თათარს ეხმარებიან. გაგონილა ესეთი ამბავი?

— მართალია, — დაუმატა ენდრონიკაშვილმა, — სჯობია, ყველანი ჩვენს ქერქში დავეტივნეთ და, ვისთვისაც რა მამული უწყალობებია მამაზეციერს, იმას დავჯერდეთ.

მაყაშვილმა შუბლი შეიჭმუხნა და ქედი მოისრისა, მერე ოდნავ ამოახველა და ამოღერღა:

— ამბობენ, მეფე ერეკლეს მეგრელი ქალი მოჰყავსო ცოლად.

— რაო, რაო, რაო? — აღშფოთება ველარ დაფარა ვამეხმა, — ეგლა გვაკლია, მეგრელი დედოფალი დავისვათ თავზე.

— ახლა რაღას იტყვით? — გამარჯვებული კაცის ხმით იკითხა ენდრონიკაშვილმა.

— რა უნდა ვთქვათ? — იკითხა მაყაშვილმა და თვითონაც დაფიქრდა.

— ისა, ძმაო, რო არც თეიმურაზი და არც ერეკლე კახელებზე არა ფიქრობენ. ჯერ იმერლები დაგვანათესავა და ეხლა მეგრელები უნდა ჩამოგვიყვანოს. აბა, იფიქრეთ, კახეთისათვის საკეთილო რა გააკეთეს დღემდე?

მოხუცმა ჯანდიერმა მკერდზე მიიდო ხელი:

— ნუ, შვილო, მაგას ნუ იტყვით!

— არ ვიტყოდი, დიდო თავადო, მაგრამ კახეთის მეფე აქეთ-იქით რას ეპოტინება. ეგ ხომ ღალატია ჩვენი ხალხის? იმიტომ არი, უპატრონოდ დარჩენილი ჩვენი ქვეყნიდან ცხვარ-ძროხას რომ ელალებიან და მწყემსებსაც ხოცავენ.

— ღმერთო, დიდებულო! — ამოიკვნესა ჯანდიერმა და პირი ღია დარჩა, ასე იყო კარგა ხანს, მერე, როგორც იყო, ტუჩები შეარხია და იკითხა: — მზე ჩავიდა?

არავის ესიამოვნა თავადის ნათქვამი. თვით ვამეხ ვაჩნაძემაც კი

ნიკაპი მოისრისა და საყვედურით გადახედა. მხოლოდ ახალგაზრდა ვაჩნაძისთვის იყო ეს ნათქვამი სულერთი.

— ჭკვიანი კაცი მეგობარს ეძებს და სულელი მტერს იძენს, — მოდგა გიორგი, მამის სასთუმალს მიუახლოვდა, რაკიღა მისი სიტყვა თქვა ეუცნაურა, გადაიწია, ვეება თავი ირიბად შეაბრუნა და ყური პირთან მიუტანა, ეგების მითხრას რამეო, მაგრამ ჯანდიერის ტუჩები აღარ შერხეულა და მხოლოდ საიდანღაც იკითხა ვიღაცამ ჯანდიერის ხმით.

— მზე ჩავიდა?..

— ჩავიდა, მამი ...მზე ჩავიდა...

ძნახველები დამნაშავესავით წამოდგნენ სკამების ოდნავი ხმაურით. გიორგიმ პირი მოუკუმა მამას, თვალები დაუხუჭა და ამოიოხრა:

— ვაი, რომ ერთიმეორის მზის ჩასვლას ვუყურებთ... გადით, გამშორდით აქედან! — იკივლა უეცრად და კედელზე დაკიდულ ხმლისკენ გაიწია. მერე გონს მოეგო და ქვითინი აუვარდა.

ქსნის ხეობაში

შუაციხეში ქვის სკამზე იჯდა შანშე ერისთავი ისევე ქვის ტაბლასთან. ტაბლის ბოლოში პაატა აბაშიძე იჯდა, რომლის მუხლისთავები თითო მტკავლით მაინც ასცდენოდა ტაბლას. ტაბლის ერთ მხარეზე დიმიტრი ამილახვარი იჯდა, ხოლო მეორეზე — არაგვის ერისთავი გიორგი ყულარაღასი. კოშკის კედელთან ქვის სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ ავალიშვილთა და ციციშვილთა თითო წარმომადგენელი, რომელთაც თავი ჩაეღუნათ და გულდასმით ისმენდნენ შანშეს თათბირს. ტაბლაზე არც საუზმის ნარჩენები მოჩანდა და არც — სადილისა. იყო მხოლოდ სისუფთავე და სიცარიელე.

შანშეს ერთთავად ათიოდე წლის წინათ ვახუშტი აბაშიძესთან გამართული თათბირი აგონდებოდა. მაშინ ორივე თვალი საიმედოდ გამოტვიფრულ ფოსოებში ესხდა და თვითონვე გრძნობდა მათ ელვარებას, რომელიც თილისმურ გავლენას ახდენდა მსმენელზე. ახლა თვალების ნაცვლად შავი წინფარები აქვს აკრული და წინფარებს კი ძალა არ გააჩნიათ. არც მისი შეშუპებული ლოყისთავებია სასიამოვნო დასანახავი. არა უშავს რა, ამ დანაკლისს სხვაფრივ შეავსებს: შუბლზე მეტ სიბრძნეს დაიფენს და მეჩხერ წვერსაც დიდებულად დაიტკეპნის მკერდზე.

— დიახ, ბატონებო, — შანშე გუმანით ხედავდა, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც მაშინ ვახუშტი იჯდა, მისი ძე პაატა აბაშიძე ბრძანდებოდა და სახეზე მისჩერებოდა ერისთავს. სახეზე თუ თვალსაფრებზე? ეგ სულერთია: თვალსაფრებმა და შეშუპებულმა ლოყებმა მეტი პატივისცემით უნდა განაწყოს. მთავარია, ახლა ისეთი სიტყვა თქვას, გული აუფორიაქოს და ბრძოლისთვის ააღელვოს, — სარწმუნო ცნობებით შევიტყე, თეიმურაზს და მის ვაჟბატონს ქართველი დიდებულების დაჩოქება სურთ. ამასწინანდელი თეიმურაზის ჩამოვლა მხოლოდ მოსინჯვა იყო ნიადაგისა. სინამდვილეში კი მოსპობა უნდა ჩვენი. ის კი არ იცის, რომ ჩვენი მოსპობა ქვეყნის მოსპობას უდრის.

— მართალია! — დასტური მისცა დიმიტრი ამილახვარმა, — სახელო ჩჩამომართვა და სიკვდილსაც მემუქრება, როგორ შემიძლია ამისი მოთმენა?!

შანშემ დიმიტრის განრისხებული სახე წარმოიდგინა და გული მოეცა.

— თუმცა რომელ ქვეყანაზე მოგახსენებთ, როცა ქართლი ფეხებზე ჰკიდიათ მამასაცა და შვილსაც. თეიმურაზი კახეთისთვის მამაა და ქართლისთვის მამინაცვალი.

— ერეკლე უარესია! — ჩაერია ყულარაღასი.

— ყველგან თავისი კაცები ჩააყენა და ერთგულ კახელებს გვერდიდან არ იშორებს. — დაამატა პაატა აბაშიძემ.

— მართალია! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან, რაკი ნათქვამი ყველას ენიშნა.

— ერეკლეს ქართლის დაპყრობა სურს! — განაცხადა შანშე ერისთავმა.

— ვერ მოესწრება! — სიტყვის გაგრძელება აღარ აცალა ყულარაღასმა.

— რა დარჩენია განჯა-ერევანში? — იკითხა დიმიტრი ამილახვარმა.

— ის დარჩენია, რომ ჩვენი ჯარები იქ ჩახოცოს და გასამრჯელოს თუ მიართმევენ, ის კი კახელ მოლაშქრეებს უწყალობოს. — აუხსნა შანშე ერისთავმა და ეს ნათქვამი ყველამ ირწმუნა.

— არა, რევაზისთვის რომ გადაეცა ჩემი სახელო, ისე არ ვიწყენდი, მაგრამ ცხვირმოუხოცავ მის ძმა ზურაბს მისცა, რაკილა ჩვენი თათბირი მაგან გასცა, როგორც მე ვიცი.

— მაგათი მამა ვივი ამილახვარიც კარგად მოიშინაურეს და ყმად გაიხადეს! — თქვა ერისთავმა.

— მართალია, გააბეჩავეს მაგოდენა ლომი.

— თბილისის მოურავობა უწყალობა და რაც ნებავთ, ამას აკეთებენ მამაცა და შვილიც, — განაგრძო შანშემ, — ამას წინათ ჩემთან იყო კახთა ბატონი და საეჭვოდ გაემგზავრა არაგვის საერისთავოსკენ. სარწმუნო ცნობებით ვიცი, რომ კარგს არას უმზადებს.

— დედას ვუტირებ! — აღელდა ყულარაღასი, — მაგან თავის კახეთს მოუაროს, ლეკებმა რომ განალაგეს?

— მუქარა უძლური კაცის იარაღია. ამა ქვეყნის ძლიერნი კი მუქარის გარეშე მოქმედებენ. ჯარი არ მივცეთ! — დაასკვნა ქსნის ერისთავმა.

— ჯარი არ მივცეთ! — გაისმა რამდენიმე ხმა, მაგრამ მაშინვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რად გაჩუმდით? — კარგა ხნის შემდეგ იკითხა შანშემ, რაკიღა ხმის ამოღებას არავინ აპირებდა.

— ჩვენ თუ არ მივცემთ, სხვა მისცემს ჯარს, — თქვა ავალიშვილმა და მოკლე ტანზე შემართული დიდი თავი, რომელიც თავკომბალას ამსგავსებდა, მრავალმნიშვნელოვნად გააცანცარა.

— შენი ძმები და ბიძაშვილები მისცემენ, არა?! — წყენით იკითხა შანშე ერისთავმა, — სხვა თავადები გამოუყვანენ და მიართმევენ.

— ჩრდილოეთში გადავა და იქიდან გადმოიყვანს დაქირავებულ ჯარს, — ჩაერია ციციშვილი, ოდნავ ჩაახველა, წარბი ასწია და თანამოსაუბრეებს თვალი გადაავლო, რა შთაბეჭდილება დატოვაო ჩემმა ნათქვამმა და, რაკი რამდენიმემ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია, მეტი სიბეჯითით განაგრძო: — ჩერქეზები და ოსები ძმებად გაიხადა.

— გარეშენი ძმებად გაიხადეს და ქართველები კი მტრად გადაიკიდეს, — დაადგინა ყულარაღასმა, მერე ხმაში უფრო მეტი რიხი მოიცა და: — ჩემს მამულზე არ გამოვატარებ მაგის დაქირავებულ ჯარს! — განაცხადა, მაგრამ თვითონაც არ დაიჯერა თავისი ნათქვამი, რაკიღა იცოდა, რომ დაქირავებულ ჯარს ერეკლე უწინამძღვრებდა და ერეკლეს კი ქრისტელმერთიც ვერ დაუდგებოდა წინ. შანშემაც იგრძნო ეს გასაჭირი და გამოსავალი მოძებნა:

— მიზეზად ის ვთქვათ, გადამთიელნი ჩვენს ხალხს აწიოკებენო და წინ აღვუდგეთ! — რაკი ამ ნათქვამსაც კანტიკუნტად დაეთანხმნენ, პირდაპირი მოწოდება უარყო და ისევ ბურჯების გამაგრებას შეეცა-

და: — თუ ერთურთს მტკიცედ დავეყრდნობით... — უნდოდა, ეთქვა, „თუ ზურგით ზურგს მივყუდებთო“, მაგრამ ვახუშტისთან ნათქვამი ეს სიტყვები გაახსენდა, მერე საკუთარი თვალების ამოხდა, და ვახუშტის ადგილზე მჯდარ პაატას მიმართა: — რას იტყვის თავადი აბაშიძე?

ამ შეკითხვაზე სწრაფად ვერ უპასუხა პაატამ, რადგან ახლა გივი ამილახვართან საუბარი აგონდებოდა, გორის ციხეში რომ შეხვდნენ ერთმანეთს. გივი მაშინ სპასალარობას პირდებოდა და თავად კი ქართლის ბატონ-პატრონობას ეპოტინებოდა, მაგრამ ყოველივე იმით დასრულდა, რომ გივი მაჯაგანში მოიყვანეს მამამ და შვილმა და მხოლოდ თბილისის მოურავობა ჩააბარეს. მართალია, ამილახვრობა მის ძე ზურაბს უწყალობეს, მაგრამ მაგაზე მეტი მაინც ვერ შესძლო და ამდენმა ბრძოლებმა მუქთად ჩაუარა. ისიც მაშინ ვახუშტი აბაშიძის მერყეობას უჩიოდა და, მგონი, არც შანშე ერისთავით იყო კმაყოფილი. როგორ მოიქცეს პაატა? მერყევი იყოს თუ მამაზე მეტი სიმტკიცე გამოიჩინოს? ყოველ შემთხვევაში პასუხს მოითხოვს შანშე ერისთავი და უნდა უპასუხოს.

— მართალი ბრძანებაა, შანშე ბატონო!

— მამაშენი თავისი სიტყვის ერთგული იყო. — პაატასათვის მოულოდნელად თქვა ერისთავმა, — მაგრამ გადამწყვეტ წუთებში მასაც სჩვეოდა ყოყმანი. შენ კი...

— არ მივცემ ჯარს! — მტკიცედ განაცხადა, მაგრამ თვითონაც არ დაიჯერა ეს სიმტკიცე და მის განსამტკიცებლად უფრო გონივრული აზრი წამოაყენა: — სანამ ქართლში ღირსეული არ გამეფდება...

— აი, რა უნდა ვიფიქროთ! — მოუწონა შანშე ერისთავმა, — რაკიღა ბაქარ მეფე მიიცვალა, ეგენი ფიქრობენ, ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩაო, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ ბაქარის ძე ალექსანდრე ტახტს არვის დაუთმობს.

— არც უნდა დასთმოს! — თვალები დააბრიალა დიმიტრი ამილახვარმა, ჩვენ მხარს დავუჭერთ და ტახტს ხელში ჩაიგდებს.

— ქართლის მეფობა ალექსანდრეს ეკუთვნის და არა — თეიმურაზს! — თქვა ციციშვილმა, კოხტად შეკრეჭილი ულვაში გაისწორა და მარჯვენა წარბი კვლავ შეათამაშა, — ალექსანდრემ რაც უნდა მიბრძანოს, დავემორჩილები, კახელებს კი არ გავიბატონებ!

— მარტო ჩვენ კი არა, თავადო, — გაეცინა ავალიშვილს და დიდი თავი გააცანცარა, — მთელ კავკასიაში აპირებენ გაბატონებას.

ამ სიტყვებმა ზოგიერთს მხოლოდ ახლა გაახსენა, რომ ჩრდილო

კავკასიაში, როგორც თელავში, ისე გადადიოდნენ ერეკლეს კაცები დამხმარე ძალების გამოსაყვანად. გაახსენდა და ისიც საცნაური გახდა, წელან რომ თქვეს, ჩვენ თუ არ მივცემთ, სხვა მისცემსო ალბათ.

— განჯასა და ერევანში მისი კაცები სხედან და ყარაბაღიც დუ ჩოქებია, — განაგრძო ავალიშვილმა, — მალე, ალბათ, შაქი-შირვანსა და კაკ-ენისელსაც დაიჩემებს. მერე დაღესტანსაც მისდგება და...

— რომელი დავით აღმაშენებელი ეგა მყავს, სხვათა საქმეებში რომ ერევა?! — იწყინა ციციშვილმა.

— რუსეთთანაც რომ კავშირი გაუბამთ, მაგ ძაღლიშვილებს? — ამოიოხრა დიმიტრი ამილახვარმა და თუმცა არ აპირებდა, მაინც თვალები გადააბრიალა.

— როგორ თუ კავშირი? — შეკრთა ერისთავი.

— კაცები გაუგზავნიათ და მისაკითხიც გაუტანებიათ რუსთ ხელმწიფესთან.

— დაუჯერებელია! — იწყინა შანშემ.

— ნამდვილს მოგახსენებთ. იოსებ სამებელი უწინამძღვრებიათ.

— ყოველივე საცნაურია! — ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ამოიოხრა ქსნის ერისთავმა, — რუსეთში კაცებს იმიტომ გზავნის, რომ სახელი შეურყიოს ბაქარის შთამომავლებს. ალექსანდრე ზღვენს ვერ გაიღებს, რადგან არა გააჩნია რა, ესენი კი დიდძალ საჩუქრებს გაუგზავნიან და იმპერატორის გულს მოიგებენ. წელიწადი არ გავა, ორი-სამი ბრძოლა არ მოიგონ და ნადავლით არ აივსნენ, რა ენაღველბათ?! — რაკი სიტყვებით რიგიანად ვერ გამოხატა გულისწყრომა, თვალსაფრების ქვეშ თითები შეიყო და დაშანთულ ხორცს სრესა დაუწყო, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო ეს ყოველივე. მერე ისევ თავი აიღო, თავისი ვარაუდით არაგვის ერისთავისკენ გაიხედა და გადაჭრით განაცხადა:

— დღეიდან ძეხორციელი აღარ გავატაროთ ჩვენს მამულებზე და, ვნახოთ, რუსეთში როგორ გაგზავნის კაცებს?!

— დარუბანდის გზით, — თქვა ვიღაცამ და შანშეს არც უცდია ეს ხმა გამოეცნო, იმდენად ეწყინა. ერთბაშად დადუმდა და გვიანღა მოითქვა სული:

— დარუბანდით გაუჭირდება!

— ფანა ხანზე გამარჯვების შემდეგ ყველა მუსლიმანი ჩოქზე დაუდგება ერეკლეს და არ გაუჭირდება.

არც ამ ხმის გამოცნობას შეეცადა შანშე ერისთავი, იმდენად ემ-

წვავა და ისევ დადუმდა, ოღონდ თითები თვალსაფრების ქვეშ აღარ შეუყვია. მარჯვენა ხელით მეჩხერი წვერი მომუჭა, სრესა დაუწყო და შემდეგ კი ახალაღმოჩენის თავშეკავებული სიხარულით დამარცვლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი დღესავით ნათელია: ერეკლეს რუსეთთთან კავშირი იმად სწადია, რომ მისი დახმარებით კავკასია დაიმორჩილოს!

ხმით ეს განაცხადა და გულში კი ასე გაიფიქრა: „ამას ვაცნობებ, სადაც რიგია, და ვნახავ, როგორ შეხვდებიანო მის ელჩებს. სახანოებსა და დაღესტანში კი კაცებს დავგზავნი და გავაგებინებ, რომ ქართველ მეფეებს თქვენი დაპყრობა სურთ და მათ წინააღმდეგ თუ არ შეერთდით, გვიანლა იქნება თითზე კბენანი. ვინ უფრო ეშმაკი და გონიერია, ახლა გამოჩნდება. ვახტანგ მეფის ძეთ ქართლსაც არ უტოვებენ და თავად კი კავკასიის დაპყრობას ლამობენ“.

ლანდი სორციელი

მესტამბე ალექსის ასულმა ახალგაზრდა კათალიკოსს ძილი გაუკრთო. მისმა დანახვამ, სახელმა თამარმა და თავისი საცოლის — თამარ ამილახვრისადმი უზომო მსგავსებამ სული აუფორიაქა და კვლავ გაუღვივა სიყვარულის მინავლული გრძნობა. აქამდე მხოლოდ ის სჯეროდა; ერთი და იგივე სული სხვადასხვა გვამში რომ განაგრძობდა არსებობას და ახლა კი ამქვეყნიური ორეულიც ირწმუნა. დაიჯერა, რომ ყოველი კაცის ასლი და მსგავსი არა მარტო იმ ქვეყნად არსებობს, არამედ აქაც — დედის ნაშობთა შორის. ამაზე სხვა დროსაც უფიქრია, შესაძლებლადაც მიაჩნდა, მაგრამ თუ ბრწყინვალე თავადის ასული და უბრალო მუშის გოგო მსგავსნი იქნებოდნენ, ამას ვერ დაიჯერებდა.

სამყაროს უკვდავებისა აქამდეც სჯეროდა ანტონს, მაგრამ მან იცოდა, რომ სული იყო უკვდავი კაცში, ხორცი კი — წარმავალი. ახლა დარწმუნდა, რომ ხორციც უკვდავია, რაკიღა ერთი და იგივე ადამიანი კვლავ შეიძლება განმეორდეს. ანდა ერთსა და იმავე დროს აქაც არსებობდეს და იქ, სადღაც ისპაჰანშიც. ალექსი მესტამბის თამარი აქ დარჩენილი თამარ ამილახვარია და მეტი არავინ. ანტონს სადარდელი აღარაფერი აქვს: თამარი იპოვა სრულიად უცვლელი და იმ ასაკისა, რა ასაკისაც ყიზილბაშებმა გაიტაცეს.

„ერთი უჩნდეს სამიჯნუროდ, ერთსა ვისმე აშიკობდეს“, — ტვინს

უბურღავდა ანტონს „ვეტხისტყაოსნის“ ეს შეგონება და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. იქნებ მესტამბის ქალიშვილთან ტრფიალი თამარის ღალატად ჩაითვალოს და ეს კი მისგან მიცემული [illegible] ფიცის გატეხვად? მაგრამ ის ხომ თამარის ორეულია?.. ორეულია, მაგრამ თამარი მაინც არ არის!.. არა, თამარია!.. „ერთი უჩნდეს სამიჯნურად, ერთსა ვისმეს აშიკობდეს“. იმ ერთს არ უღალატებს და მარად ეყვარება.

— მაინც სხვა არის, კათალიკოსო, მაინც სხვა არის! — ჩაესმოდა უხილავის ხმა ძილბურანში.

— ბოლოს და ბოლოს, რუსთაველი ღმერთი ხომ არ არის?

— ღმერთია, ღმერთი!

— მაპატიე, ღმერთო!.. შემინდე, ღმერთო! — პირჯვარი გადაიწერა კათალიკოსმა.

— არ გაპატიებ! არ შეგინდობ! ერის სიწმინდე შენ გაბარია, მიჯნურობის ნება არ გაგაჩნია და მარტოდენ „ღვაწლითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი!“

რუსთველის მსგავს ლექსებს ანტონიც დაწერს და სხვას იქადაგებს. რუსთველს კი ღმერთად არ გაიხდის. რუსთველი რომ არა, აქამდე უკვე შვილებიც ეყოლებოდა ერეკლესავით. მან კი რუსთველს დაუჯერა, „ერთი უჩნდეს სამიჯნუროდო“ და მაგან დალუპა!

დაწერს ანტონი, დაწერს, დაწერს და რუსთველს გადააჭარბებს!

— ვერ დაწერ, ვერა! — კვლავ შემოესმა უხილავის ხმა.

— მაშ, რა ქნას ანტონმა? ბრმად ირწმუნოს მისი შეგონება?

— მისი შეგონებანი ღვთის შეგონებაა!

— მაშ, ვირწმუნო და აღარ მაქვს ნება მიჯნურობისა?

— თუ წმინდანობა გსურს, უნდა ირწმუნო!

ირწმუნა, მაგრამ ეს თამარი ხომ ის თამარია, დიდი ხნის წინათ რომ სპარსეთს გაიტაცეს?!

— სხვა არის და შენს თავს ატყუებ!

მაშ, როგორ მოიქცეს? აფორიაქებული გულ-გონება როგორ დაიწყნაროს?!

— ხალხზე ზრუნვითა, ლოცვითა და ღვაწლითა, სიკეთითა და ქველი საქმითა! სიყვარულითა? სიყვარულიც ხომ წყალივით სწყურია ახალგაზრდა კაცს?

— ქალის სიყვარულის ნება ყველას არა აქვს! შენ მხოლოდ შრომა და რუდუნება გარგუნა ღმერთმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაც უყვარს, მაგრამ ქალის სიყვარულიც ეგზნება გულზე და როგორ გაინელოს?

— სკოლები გახსენ, წიგნი თარგმნე და ერი განანათლე!..

ყოველივეს გააკეთებს ოღონდაც სიყვარულის ნება უბოძოს ღმერთმა.

— ღმერთი კი არა, რუსთველი გიშლის! ტარიელს არ შეეძლო, მეორე ნესტანი გაეჩინა!

— მერედა, რუსთველი ღმერთზე მეტია?

— ღმერთზე მეტია!

თუ ღმერთზე მეტია, მის ქმნილებას ცეცხლი ვერას უზამს!

ანტონი ლოგინიდან წამოდგა, ქოშები მოირგო, ხალათი მოისხა და თაროზე ხელის ცეცებით დაძებნა „ვეფხისტყაოსანი". მალე იპოვნა და ეს ეწყინა. მერე წუმწუმა ჩამოიღო საშანდლედან და კარში გავიდა.

თუ რუსთველი ღმერთია და, მით უფრო, ღმერთზე მეტი, პატარა წუმწუმა ვერას იზამს და წიგნს ალი არ შემოეგზნება.

ანტონმა წიგნი გაშლილად დააპირქვავა და წუმწუმა მისცა. გასანთლულ ქაღალდს ალი სწრაფად შემოეგზნო და ერთბაშად ჩაიფერფლა.

რუსთველიც ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილა და ტყუილად უჯერებდა ანტონი. თუმცა „ერთი უჩნდეს სამიჯნურად..." მაინც გონებიდან არ სცილდებოდა და მოსვენებას უკარგავდა.

წიგნი დაიწვა, უხმოდ ჩაიფერფლა და ეზოში მხოლოდ წმინდა ნავლი დატოვა, რომელიც ნიავის ოდნავი შემობერვით ხილნარში გაჰქრა.

შინ ველარ შევიდა ანტონი. გული უარესად აუფორიაქდა და მარტოობის გრძნობამ დააცოტავა. სად წავიდეს და ვის უთხრას თავისი გასაჭირი? ვინ ანუგეშებს?

ქვემოთ კათოლიკე მისიონრები ცხოვრობდნენ და ახლა გაახსენდა ანტონს, გაახსენდა და იმ უდროობისას კაპუცინებთან სტუმრობა გადაწყვიტა. მივა, ჰკითხავს რამეს სულის სანუგეშებელს და ისინიც უმალ უპასუხებენ. მათებრ განსწავლული აღარვინ იპოვება საქართველოში.

— შოთა ბრძენ იყო ფრიად... მაგრამ... ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე! ჩაილაპარაკა ანტონმა და კაპუცინების სადგომისკენ აიღო გეზი.

ეგებ სჯობია, კათოლიკობა ირწმუნოს ანტონმა და მთელ თავის

მრევლსაც ეს ჩააგონოს. ოსმალო და ყიზილბაში მაინცადერ გადაარ ჩენს მის საქართველოს და ეგებ კაპუცინებმა უშველონ რამე? ცხო ნებულს სულხან-საბასაც ეს ეწადა და დიდმა ვახტანგმა შერისხა ფრიად. ეგების შესცდა პაპა ვახტანგი, სულხან-საბას რომ მხარი არ დაუჭირა და რუსეთი ირჩია? შეუმცდარი ხომ ამა ქვეყნად არვინ არსებობს? თუმცა, არა, ეს არ უნდა ეფიქრა! ვითარცა მამა-პაპას უწერია, ასევე სწერავს საქართველო მომავალშიაც. კაპუცინებთან კი ისე შეივლის და აფორიაქებულ სულს დაიმშვიდებს. გადაკრული შეკითხვებით შეიტყობს, სამძიმო საქმე ჩაიდინა თუ მისი მოქმედება უბრალოა და არად ჩასაგდები.

კაპუცინებთან დიდხანს არ დარჩენილა ანტონი. მცირე საუბრის შემდეგ მიხვდა, რომ მასზე გონივრულს ვერას ამბობდნენ, დაემშვიდობა და მალე გამობრუნდა. გზა დააგდო და რატომღაც ხილნარზე გადმოიარა. მოულოდნელად ლანდი შენიშნა ნუშის ხესთან. ანტონს ეშმაკეულად ეჩვენა უდროობისას მოჩვენებული ლანდი და ჩაახველა. ლანდი ისევ ნუშს მიეახლა და ზედ აეკრა. აეკრა თუ ანტონს მოეჩვენა ასე. ეგების თვალმა მოატყუა ანტონი? აბა, მიუახლოვდება და...

მიახლოებისას ლანდი უფრო გაუჩინარდა და ბოლოს კი გაშორდა ნუშს. ანტონი მიხვდა, რომ ლანდი კი არა, ძეხორციელი იყო და ემალებოდა. იფიქრა, ეგებ გაიქცეს კიდეცო, და დიდი ნაბიჯები ისე გადაყარა, გაქცევა ველარ მოეხერხებინა:

— თუ ეშმაკი ხარ, ვერ გადამირჩები, ვინ ხარ, მითხარი?!

— ცოდვილი ზაქარია მოძღვარი ვარ, თქვენო უწმინდესობავ.

კათალიკოსმა ზაქარია გაბაშვილის ხმა შეიცნო, გულში სამსჭვალავივით გაეყარა და ხმა ველარ ამოიღო კარგა ხანს.

— აქ რას დაეძებ? — ბოლმა ყელთან მოებჯინა კათალიკოსს.

— კითხვა რამ მქონდა და, რაკი შევნიშნე, კოცონს ანთებდით აქვე გავჩერდი. მერე კაპუცინების სახლისკენ წაბრძანება ინებეთ და აქ დაგელოდეთ.

— ასე, რომ შენ ისიც დაინახე, „ვეფხისტყაოსანი“ როგორ დავწვი?

— თუ „ვეფხისტყაოსანი“ იყო, ვერ წარმოვიდგენდი!.. ჩემთვის მოგეცა. პატარა ბესიკს აკვანში ჩავუდებდი და ეგების მისი ნიჭი გამოჰყოლოდა.

— მოკვდავი კაცი უკვდავ ღმერთს არ უნდა გაუტოლდეს! ვინც გაუტოლდება, უთუოდ დაისჯება! შემოდი შიგნით!

— უკვე გვიანია... კაპუცინებთან...

— დიახ, კაპუცინებთან გადავედი... რატომღაც სული ამიფორიაქდა და ვერ დავიმშვიდე. კითხვა რამ მქონდა.

— მეც კითხვა რამ მქონდა.

— შემოდი და ვიმუსაიფოთ!

— სხვა დროს გადმოვალ. ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა!.. ამაღამ მაინც ვერ დავიძინებ.

— ასეთი რა გითხრეს იმ ულმერთოებმა? — შემობრუნდა ზაქარია და ანტონმა შენიშნა, რომ კატის თვალებივით გაიელვა სიბნელეში მისმა თვალებმა.

— მათ არა უთქვამთ რა. მე მივეცი რამდენიმე კითხვა, მაგრამ ამანაც ვერ დამამშვიდა. ძილი ნებისა!

— ძილი ნებისა!

გულით მხედველი

— შენც მომკვდომიხარ, თუ იოანესავით მიღალატებ! — დაგესლა შანშემ თავისი უმცროსი ვაჟი ზურაბი.

— რას მერჩი, მამა ბატონო?

— შენს სიძეს ეახელ და აცნობე, რომ მეფე ერეკლე მთელი კავკასიის დაპყრობას ლამობს-თქო! რუსეთთან კავშირი გაუბამს და თქვენზე მოჰყავს-თქო! თუ აქედანვე თადარიგს არ დაიჭერთ და თქვენ არ დაასწრებთ, სანანებელი გაგიხდებათ-თქო.

— ვეტყვი.

— აჯი ჩელებსაც ასე მოახსენოს. მერყეობის დრო აღარ არის და თუ დროით არ გაერთიანდებით, გვიანლა იქნება-თქო!

— ვეტყვი.

— მამაჩემს, მართალია, თვალის ჩინი წაჰგვარეს, მაგრამ ბრმა არ გეგონოთ, რაკიღა მიწის გულში რაც ხდება, იმასაც ხედავს-თქო გუმანის თვალით.

— ვეტყვი.

— ჟამი და წელთა სვლა კაცს სიბრძნეს მატებს და გულით ხედვას უადვილებს-თქო. ერეკლემ თუ გაიმარჯვა, მთელ მაჰმადიანურ ქვეყნებს აესე მოსმურტლავს-თქო! ... შანშემ პირი ისე მოიღრიცა, თითქოს რაიმეს წურავსო, — მამაჩემს, მართალია, სპარსელები გულზე არ ახატია, მაგრამ თქვენი სიყვარული და ერთგულება ამო-

ქმედებს-თქო. უკეთუ ჭკუით მოიქცევით, რომელიმე ღირსეულთ, ეგებ ირანის შაჰის ტახტიც გერგუნოთ-თქო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვეტყვი.

— უბედურება იმაშია, კაცს მარტოოდენ ერთი სიცოცხლე რომ ეძლევა ამ ქვეყნად. ახლა რომ ცხოვრებას თავიდან ვიწყებდე, სულ სხვა რიგად წარიმართებოდა ჩვენი ცხოვრება. სანამ მარტოოდენ თვალი მიჭრიდა, მხოლოდ რუსეთზე ვამყარებდი იმედს, ახლა კი, როცა თვალი დამთხარეს, გულ-გონებას ავალა მიეცა და სხვაგვარად ვფიქრობ-თქო. ბაქარი მოსკოვს მიიცვალა და რუსის დახმარების იმედს ველარ ვიქონიებ-თქო. საქართველოს კეთილი მეზობლები კი თქვენს გარდა არვინ არის და კახთა ბატონობას თქვენი პატრონობა გვირჩევია-თქო, თუკი ღმერთი ინებებს და ირანის ტახტს დაეპატრონებით-თქო!

— ვეტყვი.

კარზე დააკაკუნეს.

— ვინ არის, მოვიდეს! — შავი თავსაფრები ვარაუდით მიაპყრო კარისკენ შანშე ერისთავმა და დამღიერებულ კისერზე უფრო ნათლად დაეტყო ღრმა ნაოჭები.

— ჩვენს გუშაგებს ოთხი კაცი დაუჭერიათ, უფალო, მთებისკენ მიმავალი, მოახსენა კარში შემოსულმა მსახურმა.

— მთებში რა გვინდაო?

— ორნი ამბობენ, ერეკლე მეფემ გაგვგზავნა ჩერქეზეთში ჯარის საქირავებლადო. მეორე ორს კი, ეტყობა უფრო შორი გზა უდევთ.

— ციხეში გამოკეტეთ და ჯერხნობით არ გაუშვათ. შანშე ბატონი მოგეთათბირებათ და მერმე ინებებს-თქო გაშვებას. ერეკლეს მტრები ჰგონიხართ და არ გენდობათ-თქო.

— ამბობენ, უკან კიდევ სხვანი მოჰყვებიანო.

— ისინიც დააპატიმრეთ! კიდევ ხომ არა გაქვთ რა სათქმელი?

— არა, ბატონო.

— ვეტყვი.

— აჩქარდი, ზურაბ! — როცა მსახურმა კარი გაიხურა, თვალსაფრები იმ მხარეზე მიმართა შანშემ, საითაც შვილი ეგულებოდა, მაგრამ ზურაბი უკვე კანკელს მიახლოებოდა და გარეთ იყურებოდა, — მოახსენე ჩემს სიძე ბაამან ხანს, რომ ახლა უკვე შენი წისქვილიც ამუშავდება-თქო, რაკიღა ყველანი მის ღარზე ასხამენ წყალს.

ერეკლე ჩრდილოეთიდან შემწეობას ველარ ელირსება და ხელსაყრელი ამინდი დაგიდგა-თქო!

— ვეტყვი! მოესმა შანშეს მოულოდნელი მხრიდან და ერთბაშად შეკრთა. იფიქრა, ეგეც იოანესავით ღალატს ხომ არ მიპირებსო, მაგრამ გულისწყრომა სამერმეოდ გადადო და საუბრის ექსტაზი ალარ წაიხდინა:

— გავიგე, ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობას აპირებს და, თუ გონივრულად უყელებთ, ხაფანგში გააბამთ-თქო!

— ვეტყვი.

— შენც ჭკუით მოიქეცი! თუ თათბირი გამართეს, კარგად მოიხმინე და, რაც საჩვენო არ იყოს, ყოველივე მომახსენე. გამარჯვებაში ჩვენც წილი უნდა ჩაგვიდონ და არა მხოლოდ თვითონ დაიჩემონ.

— ვეტყვი.

— რას ეტყვი, რასა?! — იჭექა შანშე ერისთავმა, წელანდელი ბრაზის ბურთი ახლა გახეთქა და ზეწამოიწია, — ყოველივეზე მპასუხობ, ვეტყვიო, და, რას გავალებ, ალბათ, არც მოისმენ?!

— გულდასმით გისმენ, მამა ბატონო, და ყოველივე კარგად გავიგე. ვეტყვი, რომ ჩვენც წილი გვინდა გამარჯვებაში, თუ შევატყვეთ, რომ გვლალატობენ. სიძე სიძეა, მაგრამ, თუ არად ჩამაგდებს, ფეხებზე მკიდია.

— მაგას ნუ ეტყვი, მე მაცნობე და ისეთ ფანდს ვისმარებ, მწარედ ინანოს. და კიდევ, იცი, რა? — ჩაფიქრდა შანშე.

— გისმენ!

— შენც მომკვდომიხარ და ალარ მინდიხარ, თუ იოანესავით მიღალატო!

— მოგიკვდე, თუ გიღალატო!

— აჩქარდი და დროს ნულარ დაკარგავ! იოანე თუ შეგხვდეს...

— ხმას არ გაიცემ, ვითომც ვერ ვიცნობ.

— ჰო, კარგი, ასე აჯობებს!

ᲓᲐᲜᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲐ

უზომოდ განრისხდა ერეკლე, როდესაც კახელი მწყემსების დაწიოკების ამბავი შეიტყო. მით უფრო გაწყრა, რაკი პირაქეთელეკნი თავის მოკავშირეებად მიაჩნდა და მათ ბელადებს მეგობრობის ფიცი ჰქონდათ დადებული, ერეკლეს აქ არყოფნისას კი ძვე-

ლებურად გათამამებულან და... არა, ცოცხალი თავით არ შეარჩენ ამ თავხედურ აბრაგობას და არაადამიანურ საქციელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის სასახლის დიდ დარბაზში მოუთმენლად წრიალებდა პატარა კახი და ჯიმშერ ჩოლოყაშვილს გარიგებას აძლევდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მომავალი ბრძოლისთვის.

— კინკლაობის დრომ ჭირი მოგვჭამა. ვინც ჩვენ არ გვზოგავს, არც ჩვენ დავზოგავთ. ახლავე თბილისში გავემართები, იქიდან ქართლსა და ფშავ-ხევსურეთში ვაფრენ შათირებს, ჩერქეზეთშიც გავგზავნი სანდო კაცებს და ერთ-ორ კვირაში ლაშქარს შევაგროვებ. აქაც თადარიგი დაიჭირე, დანლისში ჩადით და იქ დამელოდეთ!

— თუშეთი ფეხზეა... ქიზიყის ჯარზე ვერას მოგახსენებ... მაყაშვილი ყოველ წუთს მზად არის, თიანეთიდან კი თხოულობენ კიდეც ლაშქრად გაყვანას: ამბობენ, ზინათი ჩამოუტანიათო განჯაყარაბალიდან.

— თუ ჭარ-ბელაქანს საბოლოოდ არ დავაჩოქებ და ნუხას ღმერთისთვის არ შევახედებ, თარეშს არ მოიშლიან! ტკბილი სიტყვა და დათათბირება ფონს ვერ გაგვიყვანს. — წრიალებდა მეფე ერეკლე.

თბილისში ჩასულ ერეკლეს სხვა გეგმებით შეეგება თეიმურაზი. დიდებულთა ერთი ჯგუფი სადადიანოში გაეგზავნა და საქორწილოდ ემზადებოდა. ლაშქრობის სამზადისი შენ ითავე და ქორწილის საქმეს მე გავარიგებო.

მაინც ვერ შესძლო ლეკთა შემოსევებით გაშმაგებული პატარა კახის დამშვიდება. არც მაინცა და მაინც ცოლის შერთვა ახარებდა, რაკიღა დღედაღამ ცხენზე იჯდა და თვეობით შინ ვერ შემოდიოდა. მეორეც ის იყო, უკვე ორი ცოლიდან ჰყავდა შვილები და ახლა მესამედანაც უნდა მიმატებოდა. მართალია, ყოველ ქართველს ათი და ოცი შვილი უნდა ჰყავდეს, თუ საქართველოს გადარჩენა უწერია, მაგრამ ერთურთში აღრეული სხვადასხვა დედის შვილები კარგს არას მოუტანენ ქვეყანას.

— ჯერ ქვეყნის საქმე გავარიგოთ, მამაჩემო, და ქორწილზე ისე ვიფიქროთ!

— ყველაფერი რიგზეა, შვილო, — თეიმურაზს გაახსენდა, ერეკლე ანახანუმის შერთვას რომ უშლიდა. მან რა იცოდა, თავადაც თუ ეს დღე მოელოდა. მაგრამ თურმე ცხოვრება ასეა: რაც უზო-

მოდ გძულს, შენ არ აგცდება, — გიორგის გაზრდას სვიმონ შაყა-
ვილი იდებს კისრად და როინ ბარათაშვილიც დაეხმარება, რე-
გორც გითხარი, ვახტანგი კახეთს გამეფდა და გიორგი — ქართლ-
ში! — თამამად განაცხადა თეიმურაზმა, რაკიღა ლაშქრობიდან და-
ბრუნებამდე უკვე გარდაცვლილიყო ანახანუმის ნაშობი, განაცხა-
და, მაგრამ მოულოდნელად უცნაური გულისტკივილი იგრძნო და
მკერდზე ხელი იტაცა.

— რა მოგდის?

— არა, არაფერი! — თეიმურაზი სარკმელს მიუახლოვდა, გააღო
და ჰაერი შემოუშვა.

ერეკლე ღრმად ჩაჯდა მამის სავარძელში, თავი ჩაკიდა და
ფიქრს მიეცა.

აი, უკვე ოცდაათი წლისაა. აღარც ახალგაზრდობის გამოუც-
დელობა ეთქმის და არც — ხანდაზმულობა. მოსახდენი კი იმდენი
მოხდა მის თვალწინ, ას ჭაბუკს ერთად დააბერებდა. ომებზე რომ
არა იფიქროს რა, ჯერ ორბელიანებს დაამოყვრეს, ქვეყანას ასე
ეჭირვებაო, მერმე — იმერლებს და ახლა კი სამეგრელოსთან დამო-
ყვრებას უპირებენ. თუ მომავალშიც ბედმა უმუხთლა ალბათ, აფხა-
ზეთს გაგზავნიან კაცებს ანდა — ჩერქეზეთს. თვით მეფეს კი არ
ეკითხებიან, მოსწონს თუ არა ის, ვისაც ირთავს. ამ საცოდავი
გზებით ცდილობენ ქვეყნის გამთლიანებას. ეგებ მართლაც ეს არ-
ის სწორი გზა და თანაც ერთადერთი? აკი ამიტომაც უთქვამთ
წინაპართ: რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო?
მაგრამ, ვაი, რომ სიყვარული სულაც არ არის?

— დავწვები, შვილო! — შესჩივლა თეიმურაზმა.

— მიბრძანდი, მამი, მოისვენე! მე კი ვიფიქრებ და როგორც
უმჯობესია, ისე გადავწყვეტ.

ერეკლე რომ ვინმე გლეხი ყოფილიყო, თუნდაც მეღორე, სულ
სხვა ვინმეს შეირთავდა თავიდანვე და ასე აღარ გაძაღლდებოდა მი-
სი ქორწინების საქმე.

მეღორის გახსენებაზე გიორგი ნათელაშვილი გაახსენდა, რო-
მელზეც მოახსენებდნენ, ღორიც ბევრი ჰყავს და გმირობასაც უქე-
ბენო. ამას წინათ თავისი მეღორეებით ლეკთა ისეთი ლაშქარი
დაუმარცხებია, დიდ ჯარსაც გაუჭირდებოდა. როცა მოიცლის,
აივლის და ინახულებს.

რა ბედნიერია, ვისაც მარტოოდენ თავი ეკითხება და არა მთე-

ლი ქვეყანა! რატომ აჰკიდა ესოდენ მძიმე ტვირთი ერთ ადამიანს მამაზეციერმა? თუმცა ღმერთს უფრო დიდი საზრუნავი ექნა, ვიდრე მან რაღა გააწყოს? ლაშქრობა ალბათ მასაც უხდება ეშმაკებთან და ქაჯთა წინააღმდეგ? სიყვარული კი... სიყვარული ალბათ ღმერთსაც ეცოდინება! ან რის ღმერთია, თუ სიყვარული არ იცის?.. ღმერთო შეეწიე ერეკლეს, ჯვარი შეაგროვებინე და ჭარ-ბელაქარზე გაამარჯვებინე!.. ჰმ, ასეთ უბრალო რამეზე ღმერთს როგორ უბედავს შეწუხებას?!.

ჩერქეზეთში წასულმა კაცებმა დაიგვიანეს. ჯარს თუ ვერ ჩამოიყვანდნენ, პასუხი მაინც უნდა ჩამოეტანათ, მაგრამ არსად გამოჩნდნენ. ეს თავსატეხი აწუხებდა ერეკლეს, ოთახის კარი რომ გაიღო და ბავშვივით გახარებული თეიმურაზი შემოვიდა:

— ლაშქრობა მცირე ხნით შეფერხდება და ქორწილს გადავიხდით. დადიანს გაჰხარებია ჩვენი მოყვრობა და მზად არის, ახლავ დაგწინდოს თავისი ასული.

* * *

როცა ერეკლეს სადედოფლო წარუდგინეს, აღტაცება ველარ დაფარა და წამოიძახა:

— ნახევარ სამეფოდ ღირს, ღმერთს გეფიცებით!

მართლაც უღვთოდ ლამაზი იყო დადიანის ასული დარია, რომელსაც ქორწილის დღესვე დარეჯანი უწოდეს. ძვალმსხვილობასთან ახოვანება, სპილოს ძვლის ფერი და ქალური სინაზე იმგვარად შერწყმულიყო, რომ მნახველს განცვიფრებისაგან გული შეუქანდებოდა და თავბრუდამხვევ ოცნებაში გადატყორცნიდა.

ერეკლეს თუმცა აბაშიძის ასულის გახსენება გულს უსერავდა, თანდათან სევდა გაეფანტა და შეეძლო სიამოვნებით ეცქირა დარეჯანის ბროლის ყელისთვის, ცეცხლებრ მწველი თვალებისთვის და ვნებისამშლელი ტან-ფეხისათვის. აბაშიძის ასულის დანახვა ერთგვარად ამშვიდებდა, დარეჯანი კი რეტს ასხამდა.

ერეკლე თუმცა ჭარ-ბელაქანზე გალაშქრებას აპირებდა, დარეჯანმა აღარ გაუშვა და სთხოვა რამდენიმე დღე მასთან დარჩენილიყო. მამამაც ასე ურჩია. დარწმუნებული იყო, ჭარელები თავდასხმას ველარ გაბედავდნენ, რადგან მეფენი შინ ეგულებოდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაკიღა ლაშრობა გადაიდო, არაგველმა ძმებმა შიომ და ივანემ სთხოვეს, მთიულეთში გაგვიშვიო მოხუცი მამის სანახავად, და ერეკლემაც უარი ვეღარ უთხრა.

ერეკლემ დრო იპოვნა და თბილისის შემოგარენი შემოატარა თავის დედოფალს, ვომბორიც დაათვალიერებინა, საგარეჯო-მანავიც და შეპირდა, მალე მთელ საქართველოს შემოგატარებო.

მერე ანტონ კათალიკოსისთვის მოიცალა. სკოლების გახსნის ვეგმები შეიმუშავეს და წყალობის სიგელები გასცეს, ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა და შეკეთების სახსრები გამონახეს, ზოგიერთი ურჯულოთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის გზები დასახეს.

კათალიკოსი ფრთხილად და თბილად ელაპარაკა ფრანგი კაპუცინების კათოლიკურ სარწმუნოებაზე და მათ მიმართ შემწყნარებლობაზე.

— ჩემი წინაპრები არც ერთ სარწმუნოებას არ ზღუდავდნენ და არც მე შევზღუდავ, — უპასუხა ერეკლემ, — შეუძლიათ, ეკლესიაც ააშენონ, თუ კი შენ გონივრულად მიგაჩნია, — ამით აგრძნობინა, რომ კვლავაც უყოყმანოდ ენდობოდა ყველაფერში.

შემდეგ ხუროთმოძღვრებთან და მშენებლებთან ისაუბრეს. ახალი ციხეების აშენების გეგმა საბოლოოდ დაამტკიცეს და თანხებიც გამონახეს. მერე თეატრის მშენებლობა შეიტანეს გეგმაში. საამისოდ კი რამდენიმე ნიჭიერი ხუროთმოძღვრის რომში გაგზავნა გადაწყვიტეს, რათა იქაური თეატრის შენობას გასცნობოდნენ და მისი მიხედვით შეედგინათ პროექტი. ეს ისეთი ძნელი გეგმა იყო, რომლმაც ერთბაშად განაცვიფრა მშენებლები, მაგრამ აღტაცებაშიც მოიყვანა, რაკიღა გასაქანი ეძლეოდათ მშენებლობაში. თვითონ რომში ჯერ ახალი აშენებული იყო თეატრი და საქართველოში როგორ შესძლებდნენ, მაგრამ, რაკი მეფე ერეკლე ბრძანებდა, შეუბლებელი შესაძლებლად გადაიქცეოდა. თანხებიც? უსასყიდლოდ იმუშავებდნენ თბილისელი მოქალაქენი და ქართლ-კახეთის გლეხობა. მშენებლებისა, ხუროთმოძღვრებისა და მასალებისათვის კი მალე თეთრის მოჭრას დაიწყებდნენ თბილისის ზარაფხანაში.

ამ ხანებში სპეციალისტებმა ისიც აცნობეს, რომ ალავერდის მიდამოებში იმდენი სპილენძი მოიპოვება, მის დამუშავებას თუ შევძლებთ, სამეფო ხაზინა ფულით აივსებაო. ამან ისე გაახარა

ერეკლე და მისი თანამოაზრენი, ღამით რომ წვებოდნენ, ძილის ნაცვლად საოცნებო ფანტაზიებით ტკბობას ეძლეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი დააჩოქეს და დგება საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრების ხანა. სხვა რა ისურვოს მეფემ და ხალხმა? თავგანწირული ბრძოლის შემდეგ თავისუფალი ცხოვრება, ხვნა-თესვა და მშენებლობა!

სწორედ ამ დროს კი კახეთიდან ჩამოსულმა მაცნეებმა აუწყეს სამეფო კარს: დაღესტნიდან ათი ათასობით ლეკი გადმოსულა ჭარ-ბელაქანში, იქაური ბელადებიც აუმხედრებიათ და შემოსევისთვის ემზადებიანო.

ეს ცნობა შიშველ სხეულზე მდუღარე წყლის გადასხმას შეედრებოდა ერეკლესთვის.

რაკი ჯარი დათხოვნილი ჰყავდა და კახეთის ჯარზე კი მზადყოფნის ამბავი მოუტანეს, ერეკლე მაშინვე კახეთს გაეშურა. იფიქრა, სანამ ქართლში ჯარის შეგროვების თადარიგს დაიჭერენ, კახელებით შევებმები და ეგების გავიმარჯვო კიდეცო.

ერეკლე როცა თელავს ჩავიდა, შეიტყო, რომ ლეკთა ლაშქარი ორად გაყოფილა. ერთი ნაწილი ყაზახისკენ გამგზავრებულა და მეორე კი კახეთში თარეშობსო.

კახთა ლაშქარი თელავის ბოლოზე ელოდა ერეკლეს ჩამობრძანებას. აქ იყვნენ ჯიმშერის მამაცი თუშები და უშიშარი ფშავ-ხევსურები, დინჯი ახმეტელები და თადარიგიანი თიანელები. არ ჩანდნენ მხოლოდ ქიზიყელები, რომლებიც ერეკლეს ვარაუდით, არც უნდა ჩანებულიყვნენ და უკვე ლეკთა პირისპირ უნდა მდგარიყვნენ. ერეკლე ერთბაშად მოხიბლა ექვსი ლეკის მომკვლელმა ჭაბუკმა აბაი ბიტურაულმა, რომელსაც დაწნული კოპის ქამარზე ჩამოეკიდა გრძელი ხანჯალი. აქვე გაიცნო ბრძოლებში განთქმული ბლოელი მოლოდინა და ღერენა ნასოსისძე, ღულელი თვალიჯაისძე და შუაფხოელი ფშაველა, სუმბატა ლოხაურისძე და გუბაზი წამალაისძე.

აღტაცებით შეეგებნენ მეფეს ჭიელნი, ღულელნი და არხოტიონნი, ომალოელნი და შენაქოელნი, ოჟიოელები და იყალთოელები, მატნელები და მაღრანალები.

ისიც შეატყობინეს ერეკლეს, რომ ჯარის ერთი ნაწილი ყვარელთან და კაბალთან ილოდებაო.

ერეკლემ ლაშქარი გულდასმით დაათვალიერა და შეამჩნია,

რომ მასზე უფროსი არც ერთი მეომარი არ იქნებოდა. ასეც მოელოდა, რაკიღა მთასა და ძინდვრად საქმე უამრავი იყო და კაცები მოსავლის აღებაზე იქნებოდნენ. ახალგაზრდებს კი მინდვრად მუშაობა ეზარებათ და ბრძოლა კი ხევსურული ლუდივით სწყურიათ.

ერეკლემ ცხენდაცხენ ჩამოაუარა ლაშქარს და ღიმილით გაამხნევა. ზოგს ხმალი მოუწონა, ზოგს — ცხენი, ზოგს — ქამარ-ხანჯალი, ზოგს — ჩაუქად დგომა, და ბრძოლის წინ შემართება. მთავარი ის იყო, რომ თითქმის ყველა მოლაშქრის თვალებს შეხვდა ერეკლეს თვალები და უსიტყვოდ შეაქო, საკუთარი თავის რწმენა მისცა და ბრძოლისთვის დარაზმა. შიგა და შიგ კი გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავდათ:

— აბა, ძმებო, დღეს გამოჩნდება, ვინ არის მამაცი და ვინ — ჯაბანი!

— თქვენნაირ ვაჟკაცთ მტერი ვერ წაახდენს!

— მემსახურენით და მიმსახურეთ თქვენი ერთგული!

— ვინც საგანგებოდ თავს გამოიჩენს, გავააზატებ!

— შენი თავი გვიცოცხლოს ღმერთმა და აზატობას არვინ დაეძებს! — დაიძახა ვიღაცამ და უზომოდ გაახარა ერეკლე, რაკიღა ეს ნათქვამი ერეკლეს მოწოდებაზე მეტს ნიშნავდა სალაშქროდ მომზადებული ახალგაზრდობისთვის.

— მტერს თუ მოვიშორებთ, ყველანი აზატები გავხდებით! — დაიძახა მეორე ხმამ და ამან უფრო გაახარა. ველარ მოითმინა და ხმამაღლა დაიძახა:

— ერეკლე მოგიკვდეთ, თუ მტერს დააჩაგვრინოს თქვენი თავი! ვინც ჩვენ არ გვინდობს, არც ჩვენ დავინდოთ!

— არ დავინდოთ!.

* * *

დაწიოკებული, გაუბედურებული ქალ-რძალი და შეძრწუნებული მოხუცები კვნესა-ტირილით ხვდებოდნენ ერეკლეს ლაშქარს, შესჩიოდნენ მოთარეშეთა ულმობელობას და შურისძიებას მოითხოვდნენ. ერეკლე იმედიანი სიტყვებით გულს უფონებდათ და კვალდაკვალ მიჰყვებოდა მოთარეშეებს.

სიარულით დაქანცულები ივრისა და ალაზნის შესართავთან გადააწყდნენ მტრის ლაშქარს.

ჯგროდ მიდიოდა ლეკთა მხედრიონი და ქვეითნი, რიგ-რიგად ნადავლით წელჩადრეცილი ცხენები და სახედრები მიუდიოდათ. მიდიოდნენ.

და მიღიღინებდნენ ისე ხალისით, ისე მხიარულად და ისე არწეინად, თითქოს დღეობიდან ბრუნდებიანო.

ეს ყველაფერი ჭოგრიტით დაინახა მეფე ერეკლემ ვერხვნარიდან და ჯიმშერი იხმო:

— წაიყვანე შენი თუშები, უშიშრად ეკვეთე და გაეკენწლავე! ეცადეთ, მოუკლათ კიდეც რამდენიმე! და როცა გამწარებით შემოგიტეევენ, ზურგი უჩვენეთ და გამოიქეცით.

მიხვდა ჯიმშერი მეფის განზრახვას. გაახსენდა, ნადირ-შაჰმა რომ ექვსიოდე კაცით ინდოელთა მთელი რაზმი დაატყვევა ამგვარი ფანდით.

ვერხვნარი თუმცა ვრცელი არ იყო, სამაგიეროდ ბუწკნარი გაბშულიყო ალაზან-ივრის ნაპირზე. კაციც და ცხენიც ისე იყვნენ შეხამებულნი, შორიდან ვერც შენიშნავდნენ, სანამ ზედ არ წამოადგებოდნენ.

— ნუ გახვალთ, მეფეო, აქედან უსარდლე! — ურჩია მაღალგიგოლამ და ისეთი რისხვა დაიმსახურა, ენა ველარ მოიბრუნა.

— ხომ არ გეშინია, ჩემო გიგოლა? — შებრალების ნიშნად გაუღიმა ერეკლემ. ასეთი ღიმილი იყო ერეკლეს რისხვა.

— გიგოლა და შიში? — გაიოცა ხმაწართმეულმა.

— არ ვიცი, ივანე და შიო გვერდით არ გყვანან და შიშს კი, მოგეხსენება, დიდი თვალები აქვს. — ერეკლე ცხენზე გასწორდა და ისევ ჭოგრიტით გაჰხედა მიდამოს.

ცხენს თუმცა წინა მარჯვენა ფეხი ექავებოდა, თავი არ დახარა და კბილებით არ დაიფხანა, პატრონს ხელი არ შევუშალოო, მხოლოდ ოდნავ მაღლა ასწია ფეხი, ჰაერში გაასავსავა და ქვაზე დააბაკუნა ფრთხილად. ისე ფრთხილად, რომ ტანი არ შერხეოდა.

— შეიბნენ! — ჩაილაპარაკა ერეკლემ და მასაც ახლა ნადირ-შაჰი გაახსენდა.

კაცის ცხოვრება ურთიერთმტრობა და ტევება ყოფილა.

— გზაზე არც ერთი მხედარი არ გაჩერდეს! — ჭოგრიტიდან თვალმოუშორებლად ბრძანა ერეკლემ, — სანამ მტერი ზედ არ მოგვადგება, ბჭალი და თოფი არ იხმაროთ!

ერეკლეს ბრძანება ერთი კაცის პირიდან მეორეზე გადადიოდა, მეორიდან — მესამეზე და ყველანი თადარიგს იჭერდნენ.

— ვინა თქვა, ენამც გაუხმა, ჩათმას ბალახი კარგია?! — სამარხეულ-ბურ სიჩუმეში მოუთმენლად ამოიმღერა ვილაცამ სევდიანი ხმით, — გიგაიმ უთხრა გიორგის, ჩათმას ჩავრეკოთ ცხვარია!..

მართლაცდა, კაცის ცხოვრება ურთიერთმტრობა და ტევება ყოფილა. მერე ჯიმშერის ნათქვამი გაახსენდა, ღმერთი რომ ვყოფილიყავი, კაცის მაგივრად ჯოჯოებს გავაჩენდიო. ჯიმშერი იყო თუ მგელიამ განაცხადა ასე? სულერთია, სიმართლე კია და... კაცი იმისი ღირსი არ არის, რა უფლებითაც ქვეყნად სარგებლობს. იქ სპარსნი დაძრწოდნენ სხვათა ქვეყნებში და აქ ლეკნი დაძრწიან. რად არა ჰყოფნით თავიანთი ქვეყანა და რად აწიოკებენ საბრალო ხალხს? უფალს შენთვის რომელი ქვეყანაც მოუცია, ის უნდა იკმარო! ერეკლეს გაახსენდა, გუშინ რომ ქალ-რძალნი და მოხუცები ლეკთაგან აწიოკებასა და ულმობელობას უჩიოდნენ, გაახსენდა და უფრო აენთო შურისძიებისთვის, ლაშქრისკენ შებრუნდა, უზანგებზე შეიმართა და მკაფიოდ დაიძახა:

— არავითარი დანდობა მტრებს! სიკვდილი გადამთიელებს!

ერეკლემ კვლავ ჭოგრიტში ჩაიხედა.

— რა ხანია, შეიბნენ და თავგამეტებით იბრძვიან. ჯიმშერის რაზმი ვამოქცევას არ აპირებს და კვლავ გავეშებით ეტევება. აგერ, ლეკთა ლაშქარი დაგუბდა ალაზანივით და წინ ველარ მიდის, თანდათან სქელდება და ცხვრის ფარასავით გუნდავდება. სადინარი უნდა, მაგრამ სადინარი არსაიდან ჩანს. ქართველთა რაზმი თითქოს მათ ლაშქარს შეეხორცა და შეერწყა. თანდათან დაცოტავდა და ფლანგებიდან მტრის სიმრავლემ ჩამოფარა. ალყაში მოიქცევენ ის წყეულები და მთლიანად გაჟლეტავენ. ხომ არ აჯობებს, უბრძანოს ერეკლემ თავის ლაშქარს და ჯიქურად ეკვეთნენ?! მაგრამ მაშინ ხომ ჯარის სიმრავლეს შეიტყობენ ლეკნი და უკუიქცევიან? თუნდაც გაეკიდნენ, გაიფანტებიან და ხმალდახმალ ტევებითაც ვერას გააწყობენ. გაექცევიან და... არა, არც ერთი არ უნდა გაექცეს ცოცხალი. ისე უნდა გაჟლიტონ, რომ ამბის მიმტანი აღარ გაუშვან დაღესტანში. ყველა მოთარეშეს და სხვის ქვეყანაში მოწანწალეს ეს დღე უნდა ეწიოს, თუ სადმე ღვთის სამართალია!

მაინც არ იხევს ჯიმშერის რაზმი. არადა, შესჭამენ ცოცხლად! სული კბილით უჭირავს ერეკლეს. ძლივსლა ითმენს, რომ იერიშზე

არ გადავიდეს. და, როცა გვერდით მდგარი გიგოლასთვის უნდა ეთქვა, რაზმი მივაშველოთო, სწორედ ამ დროს მტრის ლაშქარი გაიწელა. იმ ლაშქარს ერთი გუნდი გამოეყო და ვერხვნარისაკენ გამოიქცა. ჯიმშერის ცხენოსანთა რაზმი იყო. გადარჩენილან და ეგ არის! აქეთ მოიჩქარიან! რა ეშმაკმა გადაარჩინა იმ ქაჯთა ბრბოში?

— მოემზადენით! — დაიძახა ერეკლემ.

— მოემზადენით! — კაციდან კაცს გადაეცა ერეკლეს ბრძანება.

— გფარვიდეთ წმინდა გიორგი და ღვთიშობელი!

— გფარვიდეთ წმინდა გიორგი და ღვთიშობელი!

— შემწედ გდევდეთ დავით აღმაშენებელი და დიდი თამარი!

— შემწედ გდევდეთ დავით აღმაშენებელი და დიდი თამარი!

ერეკლემ ჭოგრიტი ცხენის ტახტაზე ჩამოკიდებულ ბუდეში ჩადო და ხმალი იშიშვლა.

აი, ცხენთა ფლოქვების თქარათქურის ხმა შემოიჭრა ვერხვნარში. მალე ჯიმშერის თავქუდმოგლეჯილი რაზმი გამოჩნდა, უკანიდან კი ლეკთა ცხენოსანი მოსდევდა ჭენებით.

— დონლუზ!.. გიაურ!.. — ისმოდა მტრის შეძახილი და გამარჯვების მაუწყებელი ყიჟინა.

ერეკლეს ბრაზისაგან მხარი აუცახცახდა, მაგრამ გივი ჩოლოყაშვილის დარიგება გაახსენდა, ომში ისე უნდა შედიოდე, როგორც თამაშადო, და ნერვები დაიოკა. როგორც კი ჯიმშერის რაზმი მეფის მცველებს გასცილდა, ერეკლემ თავადვე დასცა ყიჟინა, დამიხვდი, წყეულო ურჯულოო, და აელვარებული ხმლით გზაზე გადაეკეთო. გადაეკეთო და კაფვა დაუწყო ყაჩაღებს.

— ჰაიტ, თქვე ძაღლებო! — გაისმა ქართული შეძახილები და ერთობლივად შეუტიეს ვერხვნარის საურმე გზაზეე შემოჭრილ მხედრებს.

მარჯვენა მხრიდან ძაღლიკა და მამუკა აეფარნენ ერეკლეს, რათა მტრის მოზღვავებული ჯარი ერთბაშად არ მიეშვათ და მეფეს გასაქანი ჰქონოდა ხმლის მოქნევისა. მარცხნიდან თუში თორღვა და ქიზიყელი გიგოლა ეტევებოდნენ მტერს ზედდაყიჟინებით.

ვერხვნარის გზაზე მხოლოდ ხმალთა ჩახაჩუხი, ყიჟინი, ცხენთა შეჭიხვინება და კვნესა ისმოდა.

— არც ერთი არ დაინდოთ, დაჰკარით ძაღლებს!

— დაჰკარით ძაღლებს! — მახვილთან ერთად სისინებდა ქართული შეძახილი.

— ბურჯი გიაურ!

— დონლუზ! — ჰაერში ელვარებდნენ ლეკთა ხმალ-ხანჯლები, დაბნეულ თავებს უპობდნენ ხან ცხენს და ხან — კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენ-კაცთა გვამებით გზა ჩაიხერგა და გაქცევის საღწეობა აღარ იყო.

— ზურგიდან დაუარეთ! — დაიძახა ერეკლემ, ცხენი გვამებზე გადაახტუნა და თავისი ერთგული რაზმით წინ გადაეღობა მტაცებელთა მოვარდნილ ნაკადს.

— მომყევით, ვაჟებო! — აბაი ბიტურაულის შეძახილი სათავისოდ მიიჩნიეს ფშაველ-ხევსურთა და ვერხვნარზე გაიჭრნენ ზურგიდან დასავლელად.

გიგოლამ მკლავი წაიგრძელა და ვისაც კი მისწვდა, ცხენიდან ჩამოაგდო. ნაკადი თანდათან გუბდებოდა და, თუმცა ქართველნი თავგამოდებით ხოცავდნენ მომხდურებს, ხმლის ტყე მაინც არ თხელდებოდა.

ორმხრივ სხეპავდა მტერს მეფე ერეკლე, მეტი გაშმაგებისაგან კბილებს აღრჭიალებდა და წაღმაუკუღმა ფანტავდა ხმლით დაკოდილებს. ამ ცხარე ბრძოლაში ისე გაერთო, რომ შუაგულ ლაშქარში შეერია, რაკიღა ლეკები უკან დახევას აღარ აპირებდნენ.

მოულოდნელად გიგოლამ ზურგთან ხმლის შხუილის ხმა გაიგონა. სანამ მიხედვას მოასწრებდა, იგრძნო, რომ მეფის თავზე დაუშვეს ხმალი. სხვა გზა რომ არ იყო, ცხენზე წაგრძელდა, გადაიწია და ძლიერად დაქნეული ხმალი ჭახანით დაეცა თავში.

— ვაიმე, დედავ! — დაიკვნესა და ცხენიდან გადმოეკიდა.

ერეკლემ იგრძნო, რომ გიგოლა დაეცა, სიკვდილის მიზეზსაც გუმანით მიხვდა და უფრო გამწარდა. ცხენი უკანა ფეხებზე დაატრიალა, სისხლიანი ხმალი ჰაერში გაასავსავა და საშინელი ხმით დაიკივლა:

— ვაი, თქვენს ერეკლეს!

— ერეკლე ხან!.. ერეკლე ხან!.. — ახლაღა იცნეს ერეკლე და ზურგი უჩვენეს, მაგრამ გაალმასებულ ცხენებს სადავეებს ვეღარ უჭერდნენ და თვითონვე ეხეთქებოდნენ გაშიშვლებულ ხმალს.

— სიკვდილი მომხდურთ და გადამთიელებს!

— სიკვდილი ურჯულოებს!

აბა ბიტურაულის ჯარმა მტრის ლაშქარს ზურგი ვერ უპოვნა და ფლანგიდან შეუტია.

— დასცხეთ, ვაჟებო!

— ჰკათ ურჯულოებს! — ისმოდა მთიელთა ხმა.

— დახოცეთ, მაგათი დედა კი ვატირე! — იგინებოდნენ ...

საურმე გზაზე შემოსული ჯარი რომ მთლიანად გაჟლიტეს, გვამებზე ხტომა-ბარბაცით ვერხვნარიდან გაცვივდნენ ქართველი მხედრები და გულდაგულ შეებნენ დანარჩენ ლაშქარს.

ახლადა იგრძნო მტრის ლაშქარმა, ვერხვნარში რაც მოხდა, და ნირი ეცვალა. აირია და გაქცევა დააპირა, მაგრამ ზურგიდან მატენლ-მაღრანელნი, იყალთო-რუისპირელნი და კოღოთო-ოჟიოელნი გადაეღობნენ და ჩეხვა დაუწყეს.

თუმცა მტრის ლაშქარი შესამჩნევად თხელდებოდა, ხმლის ჩაგებას მაინც არ აპირებდნენ ქართველები, მოულოდნელად რომ წვიმა არ წამოსულიყო. ერთბაშად ისეთი შხაპუნა დაუშვა, რომ მეომარნი თვალებს ვეღარ ახელდნენ და ხმლის ვადა ხელიდან უსხლტებოდათ.

გადარჩენილმა ყაჩაღებმა ამით ისარგებლეს და გაქცევა მოახერხეს.

როგორც წაკიდებულ ძაღლებს ნაცადი მწყემსი წყლის გადასხმით გააშველებს ხოლმე, სწორედ ისე გააშველა ღმერთმა მებრძოლი ჯარი.

— ე როგორი წვიმა სცოდნია აქაურ ქვეყანაში? — გაიკვირვა მანაველმა.

— ეგე მაგეთია, ეგე, დანღისის წვიმა!

მხედრებმა მაშინვე ცხენის ტახტასთან დახვეულად ჩაკრული ნაბდები ჩამოხსნეს და მუხლი ჩახარეს.

* * *

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს ერეკლეს. თუმცა კარვები გააშლევინა, თავის კარავში მკვდრები შეატანინა, სანთლები აუნთო და მთელ ღამეს უთია.

— ეგებ მე მოგკალ, გიგოლი?!. არ უნდა მომკვდარიყავი შენი მეფისთვის! დაე, დაეკრათ ჩემთვის იმ რჯულძაღლებს!.. თუ მომკლავდნენ და გამათავებდნენ, ტანჯვა მაინც მომეხსნებოდა! ახლა კი ტან-

ჯვა მომიმატე! მამაშენს რა ვუთხრა, შე საცოდავო? ჩემთვის მოკვდა-მეთქი?.. არა, მაგას ვერ ვეტყვი, ქვეყანამ მოითხოვა მაგისი მსხვერპლი და შეეწირა-მეთქი. უარის თქმის ნება არც ვის გაგვაჩნია და არც გიგოლა ისურვებდა-მეთქი ამას!.. მე მაინც ვერ შევხედავ თვალებში, ხვალ უთენია ურემზე დაგაბრძანებ და მეგობრებს გაგაყოლებ გამცილებლად... მე კი... ყაზახში უნდა წავიდე, გიგოლი, ხომ იცი, საშველი არ დამდგომია და არც დამადგება. ხომ გაიგე, ლეკის ლაშქარი იქითაც წავიდაო? ჩავლენ და გაანადგურებენ იქაურობას! მარტო მამაჩემი ვერას გახდება, თუ არ ჩავეშველე!..

თმაწვერგაწეწილი ერეკლე მღვიმეში მოწრიალე წმინდანს ჰგავდა სანთლის შუქზე. ყოველივე ამას გულში ფიქრობდა და ცრემლი სდიოდა.

— დედაზე ნუ იდარდებ, ნურც — ცოლზე, ნურც შვილებზე, სადაც ამდენი ქვრივ-ობოლი და ხიზანი მყავს, ეგენიც მიემატნენ... შენ კი წახვედი და მოისვენე, მაგრამ, მე რა ვქნა, ბიჭო, შენმა ერეკლემ?! ესრე თითოთითონი რომ მაკლდებით და მარტოსა მტოვებთ, განა ერთგულება მაგასა ჰქვია? რად მეფარებოდი, რომ მეფარებოდი, დაეკრათ ჩემთვის!.. გახსოვს, საგურამოსთან, არაგვში რომ მტერი ვაოტეთ და ოკმამდე ვდიეთ? მერე ნადავლი რომ ავკრიფეთ და გავიშაირენით? ის შენი მოუსვენარი, ღიმილიანი ტუჩები ახლა ასრე რამ გაგიყინა? რატომ ხმას არ ამოიღებ და არ მისაყვედურებ, გუშინ რომ გაწყენინე?! არ უნდა გწყენოდა! ჩვენ ხომ ძმებივით ვიყავით და ერთურთს ვპატიობდით, ასე არ უნდა გწყენოდა და დაუბრებით არ უნდა დაგესაჯა შენი მეფე!..

მეორე დილას დაჭრილ-დახოცილებს თადარიგი მისცა და ლაშქარს აუწყა, ყაზახში უნდა გავემგზავროთო.

— ყაზახში რაღა გვინდა, კაცო? — შეწუხებული ხმით იკითხა ვიღაცამ მეზობელი მოლაშქრის გასაგონად.

— თეიმურაზ მეფეს უნდა ჩავეშველნეთო.

— ჩვენ თუ ქართლი არ ჩამოგვეშველა, ჩვენ რაღად უნდა ჩავეშველნეთ? — განაყა მეორემ.

— ეი, ვირო, ისინიც ხო ჩვენი ძმები არიან და რატო არ უნდა მივეშველნეთ?!

— მივეშველებით და ეგ იქნება!

— ერთი პირის ჭირიმეო და მრავლი ხელისაო.

— ჰე, რა სალექსო ომი იყო, ბიჯო, გუშინ! — დაიძრა ლაშქარი.

— პაპუნა ორბელიანი უნდა ყოფილიყო აქა და ის დაწერდა ამ ბრძოლის ამბებს კარგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ რო სალექსო ომი იყო.

— იყო და გამოუთქვამენ კიდეც.

— ვინღა გამოუთქვამს და როდისა?

— შენ რა იცი, რო კიდევაც არ გამოუთქვეს?

— თავი ვერ მოვიფხანე და სალექსოდ ვის ეცალა?

— მითხარით რამე! — ველარ მოითმინა ერეკლემ თავის გარშემო გამეფებული დუმილი.

— გავიშაირნეთ თუ ლექსები ვთქვათ, მეფეო? — გამოცოცხლდნენ ერთბაშად.

— სავაჟკაცო ლექსს თუ მეტყვის ვინმე, დიდად გამახარებს!

— ჭრელოს შვილიშვილმა იცის კარგი ლექსები.

— ისეთი ლექსი მინდა, ჯერ რომ არ მსმენია.

— იტყვი, ვაჟო? — მიუბრუნდა ძაღლიკა ცხვირნისკარტა ყმაწვილს, რომელსაც ზედატუჩი მოკლე ჰქონდა და კბილები ისე უჩანდა, თითქოს იცინისო. ჭრელო ძაღლიკას ბიძა იყო, შუაფხოდან თიანეთს გადმოსახლებული და ეს ბიჭი კი ბიძაშვილიშვილად ეკუთვნოდა. ქება სმენოდა, მაგრამ ლაშქრად პირველად ხედავდა და ლექსობა კი ჯერ არ მოესმინა.

— იცის, მეფეო! — გაიცინა თორღვამ და ულვაშის ნახევარწრეს მოეფერა.

რაც მგელია დაიღუპა, თორღვა ერთგულ ამალაში იახლა მეფემ და ამ დილას კი მაღალ გიგოლას მაგივრად სხეულის მცველობა დააკისრა. წუხელ ჭრელოს შვილიშვილმა და თორღვამ გვერდიგვერდ გაათენეს და ესმოდა, მთელ ღამეს როგორ ბუტბუტებდა. იკითხა, რას ბუტბუტებს ეგ ფშაველიო, და — ლექსს რასმე ამბობს, ხელს ნუ შეუშლიო, გააფრთხილეს. სწორედ ამან გააბედვინა თორღვას ხმის ამოღება.

— მომგვარეთ ჭრელოს შვილიშვილი! — ბრძანა ერეკლემ და რატომღაც ნადირ-შაჰი გაახსენდა, მომღერალი ჭაბუკი რომ მიიხმო თავისთან, ჯერ ამღერა და მერე თავი მოჭკვეთა. გაახსენდა და უზომო ზიზღი იგრძნო. არა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში ისე ულმობლად არ ექცევიან კაცის სიცოცხლეს, როგორც — სპარსეთში.

ჭრელოს შვილიშვილმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა, ისე წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდგა მეფეს. ერეკლეს ერთბაშად მოეწონა შავგვრემანი, თითქოს ვიწრომხრება, მაგრამ მსხვილთვალება და მოკლეტუჩა ბიჭი.

— გაქებენ, ლექსები იცისო? — გაუღიმა ერეკლემ.

— ჩემთვისა ვთქვამ ხოლმე, მეფეო. კაფია უფრო მემარჯვება.

— ჯერ ლექსი მითხარი რამე და მერმე კაფიობაშიც გამოგსინჯავ.

— გუშინდელ ომზე გამოვთქვი, მეფეო.

— დიდად გამახარებ, თუ მაგას მეტყვის.

— ჯარს ეძახს ბატონიშვილი...
ერეკლე თავის ყმათაო:
„პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა,
თუშებიც მიდგას გზათაო,
გავიდეს ნაყვეჩაოსა,
მალალს თუშეთის მთასაო,
გახედვენ გარდმოსახედსა,
ლეკ რომელს მოვალს გზასაო,
ხუთშაბათ თენებაზედა,
ურჯულო ვარდმოხდ მთასაო,
ფარსმანს დამიდგის ციხენი,
ქავს გამიტეხენ კარსაო,
გადვიდნენ საკახეთოში
ატირნენ ქალს და რძალსაო,
იმედს აძლევენ ფშავლები,
თოფისას დავხვევთ კვამლსაო,
ხელი გაისვა აბამა,
ხევსურის შვილმა ხმალსაო,
ანათდა ბაწარაული,
ცადა უცემდა თვალსაო,
გვერდს უდგეს განაყოფები,
ფშაველა უჭერს მხარსაო,
ბლოელი მალოდინაი
მგელი მაღლალავს ცხვარსაო,
ომობენ ღულელთ შვილები,
ერთი ეძახდეს სხვასაო;
თითომ შევწიროთ ორ-ორი
ლეკთა ნახოცსა მკვდარსაო,
ნასოისძეთა ღერემა
ამაამღერებს ხმალსაო,
რომელიც მეეწონების,
იმას შასწირავს ძმასაო,
ღულელი თვალიჯაისძე
კარგა უჭერდა მხარსაო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლოელი მალოდინაი
წამააბემდეს თავსაო,
ცხენ თითოს ვადმოფრინდების,
მხედარ ორ-ორ ჭრის თავასაო...

— დასამთავრებელი მაქვს, მეფეო, როცა დავამთავრებ, მაშინ იქნება კარგი.

— ახლაც კარგია. დიდად გამახარე.

— მარტო მთის ხალხზე გაულექსებია, მეფეო, და ბარელები კიდევ დავიწყებია, — უსაყვედურა მანაველამ.

— მე რაც ვიხილე ისა ვთქვი. დანარჩენი შენ გალექსე!

— მართალია, ვინც რას იხილავს, ის უნდა გალექსოს! — დაადასტურა ვიღაცამ.

— ჰეი, ბიჭებო, გიგაის ლექსი როა, იმისთანა მაინც არა თქმულა რა! — ამოიოხრა მეორემ და მაშინღა გაახსენდა ერეკლეს, ბრძოლის მოლოდინში გატრუნული ლაშქრის შუაგულში სევდიანად რომ ამოიმღერა ვიღაცამ.

— ხომ ვერვინ მეტყვის? — იკითხა ერეკლემ.

— სიმღერით არს კარგი, — მიუგო თორღვამ, — თუშის ქალ ამღერს, გატირებს ვაჟკაც.

— ვინ არის ის ქალი?

— შეთეს რძალია, — დაასწრო მცნობმა, — ერთი პატარა ქალია ტანად, გულო ჰქვია.

— უეჭველად მაჩვენეთ და მიმღერეთ ის ქალი.

— აქეთობას როცა მოვბრუნდებით, უეჭველად გაახლებთ.

— კაცის უკვდავებას ლექსი და სიმღერა ინახავს, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ამოიოხრა ერეკლემ, — ჩალის ფასია იმ კაცის სიცოცხლე, ვინც მოკვდება და აღარ ახსენებენ.

— ავ კაცზეც რომ ამბობენ ლექსებს? — იკითხა ვიღაცამ.

— დიაღაც... ოღონდ... ავ კაცს ხელახლა კლავენ ამ ლექსებით და კარგს აცოცხლებენ.

აჯი ჩელების მუსაიფი

ქართული ბიბლიოთეკა

ფეხმორთხმით იჯდა აჯი ჩელები თავის დარბაზში და თვალდაჭელმებით უთვალთვალებდა მოთათბირეებს. აქ მოსულიყვნენ ნახჩევნელი ბაამან ხანი თავისი ცოლისძმა ზურაბით, ყარაბაღელი ფანა ხანი, განჯელი შავერდი ხანი, ბარგუშეთის, შაისევანის, ყარადაღის ხანები და ერევნის ყოფილი ხანი მაჰმადი, რომელიც სულ ცოტახნის წინათ თეიმურაზმა და ერეკლემ გააძევეს და ძის ნაცვლად თავიანთი ერთგული კაცი დანიშნეს.

ყველანი მოწიწებით მისჩერებოდნენ გულზვიად აჯი ჩელებს და სახეზე ისეთი მორჩილება ეხატებოდათ, როგორც შაჰის წინაშე. აჯი ჩელები კი შემპარავი, მაგრამ დამაჯერებელი ხმით სისინებდა:

— ვინც ვერ მიმხვდარა გურჯთა განზრახვას, ვერც იმას მიხვდება, რა მოელის სიკვდილის შემდგომ. როგორ გგონიათ, რით უშველეს განჯის ხანს გურჯთა მეფეებმა? ფანა ხანი დაამარცხეს, განჯაში შესვლა აუკრძალეს, მაგრამ თავად გაძარცვეს განჯა-ყარაბაღი და ხარკი დაადეს.

— თვით მაჰმადი მეტყველებს აჯი ჩელების პირით, — ნათქვამი მოუწონა შაისევანის ხანმა.

— ღორი ქართველი მაჰმადიან კაცს ხეირს არ დააყრის, — განაგრძო აჯი ჩელებმა და ფეხზე წამოდგა, — წყეული გურჯი იმად გვეწვია, მონად გვაქციოს და დაგვიმორჩილოს!

ეს ნათქვამი ყველამ ირწმუნა და გულზე სახმილად შემოეგზნოთ.

— გურჯი გიაურ!

— დონღუზ!

— ღორივით დავკლავთ ქართველებს! — წამოიშალნენ არეულად.

აჯი ჩელები ტახტიდან ჩამოვიდა, მკერდი გამოიზნიქა, ერთურთში თითებჩახლართული ხელები წელზე დაიწყო და დაცერავებით გაიარა დარბაზი:

— ერეკლეს ირანში გამეფება სურს და ნება არ უნდა მივცეთ!

— ჭეშმარიტი ბრძანებაა! — თავი დაუქნია ზურაბ შანშეს ძემ.

— არ უნდა მივცეთ! — გამოეხმაურნენ აქეთ-იქიდან.

— ირანის შაჰს თუ ძალა არ ჰყოფნის, ჩვენ უნდა დავიფაროთ!

— უნდა დავიფაროთ!

— თუ დიდებული აჯი ჩელები გვიწინამძღვრებს, შაჰობა მას ეკუთვნის! — განაცხადა ბაამან ხანმა და ზურაბმაც დასტური მისცა.

— თეიმურაზ ხანი ირანის სპასალარია, ერეკლე ხანი კი — მისი ნაიბი, არ გვაპატიებენ! — გაბედა შავერდი ხანმა.

— ძაღლი მას ერჩის, ვისაც ეშინია, — შავერდი ხანისკენ შემობრუნდა აჯი ჩელები, ცალი წარბი მაღლა აჭიმა და წითელ გულისპირზე მიაჩერდა შავერდი ხანს, ღილი რომ გახსნოდა. მერე ღრმად ამოისუნთქა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მრავალმნიშვნელოვნად: — თუ მგლობას, ჩემობ, ძაღლებისა არ უნდა გეშინოდეს! — აჯი ჩელებმა განგებ ჩაიარა კედელთან ახლოს და ფეხზე ამდგარი ბარლუშეთის, შაისევანისა და ყარადაღის ხანები კედელს ააკრა, — თეიმურაზ ხანის სპასალარობა მე არ მაშინებს! არც შეიძლება, ეშინოდეს ნამდვილ მუსლიმანს ვიაურისა!

— შემწედ ალაჰი თუ გვეყოლება... — ღიმილით გაადევნა სიტყვა ბარლუშეთის ხანმა, რომელიც წითელი თმა-წვერით ოსმალოელს უფრო მიაგავდა.

— გამარჯვებულთან მუდამ ალაჰია და დამარცხებულთან კი — ცბიერი შაითანი! — შემობრუნდა აჯი ჩელები და მზერა ახლა შაისევანის ხანს გაუსწორა, რომელსაც ახოვანებისა და დიდი თავპირის მიუხედავად, მორჩილების იერი დაჰკრავდა და საუბრისას კი სიტყვებს აგორგლებდა. ახლა მან ბავშვივით ჩაღუნა თავი და მცირე ხნის შემდეგ კი ესლა უპასუხა:

— შაისევანი მზად იქნება!

აჯი ჩელებმა კედლიდან მოშორებით ჩაიარა და კედელთან ჩამწკრივებულ ხანებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. თუმცა ზოგიერთნი ყოყმანობდნენ, იგრძნო, რომ ყველას მისი პირი ჰქონდა და საჭირო შემთხვევაში მხარს აუბამდნენ ერეკლე-თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— მუპამედი გვიწყენს, ქრისტეს მოსავი რომ გაგვიკადნიერდეს და ულელი დაგვადგას! — თითის ქნევით განაცხადა აჯი ჩელებმა, როცა თავის საჯდომ ტახტს მიუახლოვდა და ხანებისკენ შემობრუნდა. მერე კუპრივით შავი ულვაშის ქიმი ორი თითით მოიწკმინტა, რის დროსაც ოდნავ მობრეცილი ტუჩი მარჯვენა მხარეზე შეუთამაშდა, და შეფარული კმაყოფილებით განაგრძო: — კავკასიაში მაჰმადიანი უნდა ბატონობდეს!

— ალაჰის პირით ღაღადებს აჯი ჩელები! — ბარლუშეთის ხანის სიტყვები გაიმეორა ფანა ხანმა და სხვებს გადაჰხედა, ჩემი ნათქვამი როგორ მოეწონათო. მერე დამცინავად გაეღიმა და დაამატა: — საქ-

რისტიანო ქვეყნები კავკასიის იქით ყოფილა და ჩვენთან რალა უნ-
დათ?!

აჯი ჩელებს ფანა ხანის ნათქვამი მოეწონა, მაგრამ მაინც შენიშ-
ნა:

— მაჰმადიანნი კავკასიის იქითაც არიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით
დუმილს ვამჯობინებთ. როცა გურჯისტანზე გავიმარჯვებთ, მაშინ
ვთქვათ სათქმელი. დღეს კი ამას ვაცხადებ:

— არც ერთ ხანი თეიმურაზ ხანს არ დაემორჩილება!

— არც ერეკლე ხანს! — მოესმა აჯი ჩელებს ძალიან მახლობელი
ხმა და ახლალა შენიშნა, რომ დარბაზის უკანა კარიდან მისი ვაჟი
ალა ქიში შემოსულიყო. მისმა ნათქვამმა უზომოდ გაახარა და გაამხ-
ნევა კიდეც. ამის თქმა მასაც ეწადა, მაგრამ ეეჭვებოდა, რომ ყველანი
მხარს დაუჭერდნენ, რაკიღა ერეკლესი შიში უფრო ჰქონდათ, ვიდ-
რე ხათრიჯამობა. ახლა კი, ალა ქიშიმ რომ ამდენი გაბედა, მამამისს
უფრო მეტის თქმის გასაქანი მიეცა.

— არც ერეკლე ხანს!.. — მერე ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხე
ისევ აუთრთოლდა, ოდნავ დაებრიცა და თითქმის კბილთა ღრჭია-
ლით დაამატა: — თუ აქ ჩამოსვლას არ დაიშლის, თავს მოვკვეთ, ხა-
ნჯალზე ავაგებ, ალამივით წინ გაგიმძღვარებთ და ისე შეგაბრძანებთ
თბილისში!

ნათქვამი ერთობ სასიამოვნო იყო და ყველას მოეწონა.

— ერეკლე ხანი არც ქართლში უყვართ! — დაამატა ბაამან ხან-
მა.

— გველივით სძულთ! — წაეშველა ზურაბ შანშეს ძე.

— ჰოდა, თუ ალაჰს არ განვარისხებთ, გურჯისტანშიც მაჰმადი
გაბატონდება! — სათქმელი დაამთავრა აჯი ჩელებმა, და ორივე ხე-
ლი მაღლა აღაპყრო: — დიდ არს ალლაჰი!

— დიდ არს ალლაჰი! — გაიმეორა ყველამ ერთსულოვნად.

მერე ალა ქიშის თხოვნით, უკანა კარიდან თითო-თითონი გა-
იკრიბნენ მეორე ოთახში, სადაც ცხელ-ცხელი ფათერი, ლულაქა-
ბაბი, ფითი, ჩანახი და, რაც მთავარია, სიტყვაზე ტკბილი და უნე-
ტარესი შაქარყინული ელოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანესა და შიოს არც გაუგიათ ერეკლეს ახალი ლაშქრობის ამბავი. იფიქრეს, ქვეყნად მშვიდობაა, და მამის წინადადებაზე, ივანემ ცოლი უნდა შეირთოსო, უარი ვეღარ თქვეს.

— დავბერდი, შვილო... სიბერეც არ იყოს, უსინათლო კაცის სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა? — არგანზე ხელი მოინაცვლა გიორგიმ და გადაუღებელი წვიმებით შეწუხებული ძვლები შუაცეცხლს მიუფიცხა, — თუ ისე გავალ ამ ქვეყნიდან, რო შვილიშვილი არ დამრჩება, რა ვუთხრა წინაპრებს?

— შენი შვილები მეფის მცველნი არიან და მეტს რასღა ითხოვ? — ჯარა შეაჩერა სოფიომ, მერე ქუშად მსხდარ შვილებს თვალი შეავლო და ქმრის წისქვილზე დაასხა წყალი, — ჰოი, როგორ მენატრება შვილიშვილები!.. ნეტაი ისინი კალთაში გამაგორებინა და... — ფეხზე წამოდგა, კალთიდან მატყლის მტვერი ჩამოიბერტყა და გარეთ გავიდა.

— ვინ შევირთო, მამი? — დაირცხვინა ივანემ და პირველად გაუხარდა, მამა რომ ვერ ხედავდა.

— ნინოს ჰკითხე და ის გეტყვის, ვინც უნდა შეირთო, — გიორგიმ გუმანით იგრძნო, სოფიო რომ გარეთ გავიდა და მის ნაცვლად ნინო შემოვიდა ოთახში — ბიჭების უმცროსი დაი. ბერიკაცს ჩამქრალი თვალის უპეები ღიმილმა გაუნათა.

— შენი ნინელი სულ იმის კითხვაში იყო, ივანე როდის ჩამოვაო, — გაიღიმა ნინომ და განიერ ბეჭებზე მიეფერა უფროს ძმას. თავადაც ტანმომავალი იზრდებოდა ნინო, ძმების შინარყოფნაში უკვე უზომოდ აშოლტილიყო, მაგრამ მაინც ბიჭს ჰგავდა, ვიდრე — ქალიშვილს, რაკიღა ძუძუ-მკერდი ჯერ არ დასტყობოდა.

— დასალევი რა გვექნება? — უხერხულობის გასაფანტავად იკითხა ვანომ.

— ჟიპიტაური ბლომად მაქვს, — გამოცოცხლდა გიორგი, — ლუდსაც გამოვხდი.

— ღვინო?

— თუ მეფეს მოვიპატიჟებთ, ღვინოც უნდა გვქონდეს.

— უმეფოდ ჩემს ქორწილს რა ფასი ექნება. მეფეც და დედოფალიც უეჭველად წამობრძანდებიან.

— ხვალვე კახეთში გავგზავნი კაცსა და გადმოვატანინებ. შენი დედიძმას დავავალებ მაგ საქმეს.

ნინოს უზომოდ სიამოვნებდა ეს საუბარი და მეტი სიხარულისგან ხან ერთ ძმას ეფერებოდა განიერ ბეჭებზე და ხან — მეორეს.

— საკლავი რა იქნება?

— ბერწი ძროხა რო გყავს...

— ეგ არ გვეყოფა, თუ მეფეს დავიპატიჟებთ.

— ღღანას დაკვლაც შეიძლება: სიბერეში წავიდა და რძეს უკლო... მოზვერსაც დავკლავ, თუ დაგვჭირდება.

— რომელ მოზვერსა? შავსა?

— ჰო, შავსა.

— მერედა, გუთანში არ დაგვჭირდება?

— მა როგო მოვიქცეთ? — ჩაფიქრდა გიორგი და თავადვე იპოვნა გამოსავალი, — ობოლა დეკეულს საბეწვური აქვს ძუძუში, მაგისი მოწველა ცოდოობაა და ხორცი კი კარგი ექნება. შენ ოღონდ მეფე მომიყვანე აქამდე და ყველაფერს მოვახერხებ.

— ცხვრები?

— ცხვარი ნათლიასთანა მყავს, ოსებში... გავგზავნი კაცსა და გადმოვარეკინებ.

როცა სოფიო შემობრუნდა და თავისი სახლეული საინტერესო საუბარში გართული ნახა, დიდად გაიხარა და უსაშველოდ გამხმარ, პირქუშ სახეზე ღიმილი გაუჩნდა:

— არ უნდა შევრცხვეთ, მაშა, არ უნდა შევრცხვეთ! — თავის ქნევით დაადასტურა ქმარ-შვილის საუბარი.

* * *

მეფესთან გაგზავნილი მოპატიჟე უკან აღარ გამობრუნებულა. ქორწილის დღეს ამაოდ ელოდნენ მეფის მობრძანებას და, რაკი აღარ გამოჩნდა, დეკანოზმა დიმიტრიმ უწადინოდ დალოცა ახალი შეუღლებულნი, სიკეთე და გამრავლება უსურვა, მეფისა და მშობლების ერთგულება.

ხალხი მეფის ამობრძანებით ამაყობდა და იმედი გაუცრუვდა. ბევრი ჩაუქი ფარიკაობისთვის ემზადებოდა: ეგების მეფეს თავი მოვაწონო და თან წამიყვანოსო, ბევრ მოხუცს სიტყვა რამ ჰქონდა სათქ-

მელი, რაც საქვეყნო საქმესაც გამოადგებოდა და თავად მეფესაც. ბევრს საჩივლელი არზა ჰქონდა მისართმევი და მეფე კი არ მობრძანდა. არაგვის ხეობაში სტუმრობის ხამი არ იყო, არც ბალხებიან სუფრა ეთაკილებოდა, მაგრამ მაინც არ ამობრძანდა. ან არად ჩააგდო თავისი ერთგული მცველები და ან არ ეცალა. თუ ლაშქრად არის, ივანესა და შიოსაც თან წაიყვანდა და თანაც მაცნეს გამოგზავნიდა მთიულეთში. ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ახლადმობრძანებული დედოფალი არ გამოუშვებდა. ამბობენ, მეგრელი ქალები ამპარტავანნი არიანო, მით უფრო, დადიანის ქალს არ ეკლდება ამპარტავნობა და სწორედ ის არ გამოუშვებდაო.

თავიანთი ნააზრევი ერთურთს გაანდეს მთიულებმა და ერთხმად დაადგინეს, რომ დედოფალი არ გამოუშვებდაო ერეკლეს. არც თვითონ წამოჰყვებოდა და არც მას გამოუშვებდაო. ეტყოდაო, რომა წვირიან მთიულებთან რა გექორწილებაო? ნეხვსა და ცხვარ-ძროხის ფსელში პურს როგორ შეეჭამო? ეს ფიქრი ერთი აზრის ხალხმა გაიტარა გულში, მეორენი კი — უფრო ხნიერნი ამტკიცებდნენ, რომ ერეკლე ბატონი ასე ადვილად არ დაუჯერებსო ვინმეს ახირებას და თავის საყვარელ მთიულებთან სტუმრობაზე უარს არ იტყვისო. ალბათ ლაშქრად არის და იმიტომ ვერ ამოვიდაო მთაში. აი, ამობრუნდება მოპატიჟე და სწორედ ასე მოგვახსენებსო: ან ლაშქრად იყოო და ანდა კახეთის შემოვლაზე წაბრძანებულაო... მაგრამ... რატომ აქამდე არ შემობრუნდა ორი კვირის წინ გაგზავნილი მოპატიჟე?

ივანემ და შიომ სხვაგვარად იგულისხმეს: რაკიღა წამოვედით და დავიგვიანეთ, ალბათ გაგვირისხდა მეფე და იმიტომ არ გვესტუმრაო. მაგრამ მოპატიჟე? მოპატიჟე რატომ აღარ ამობრუნდა?

ფიტულებივით ისხდნენ საგონებელში ჩავარდნილი ივანე და ნინელი. ვერც გრძნობდნენ ერთურთის სიახლოით მოგვრილ სიხარულს. ივანეს ფიქრები მეფე ერეკლესთან იყო და ნინელი კი ამას ფიქრობდა, ქალაქში ყოფნისას ჩემზე გული აუყრია და ალბათ დედამამის საამებლადღა თუ დამწინდაო. შიო უფრო მეტს დარდობდა და გაქცევასაც აპირებდა. ის თუ წავიდოდა, ივანეც უთუოდ უკან გაჰყვებოდა და საქორწილო სუფრა გაუგემურდებოდა.

ამ ფიქრთატეხაში და უგემურობაში გაიარა ქორწილმა. ქორწილის შემდეგ კი ერთ-ორ დღესღა დარჩნენ ძმები, ახალდანიშნულს დაემშვიდობნენ და გუდა-ნაბადი აიკრეს ქალაქში წასასვლელად.

— როდისღა ამოხვალ? — ცრემლებს ყლაპავდა პატარძალი.

— არ ვიცი, ვერას გიპასუხებ. თუ მეფე განრისხებულია, ეგების თავიც მომკვეთოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ნულარ წახვალ, ხევსურეთს გავიქცეთ და იქ ვიცხოვროთ, მამის ნათესავები მყავს.

— მეფის რისხვას ვერსად დავემალები... ანდა გაქცევა რა ვაჟკაცის საქმეა? უსახელოდ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. მე თუკი ვცოცხლობ, მხოლოდ მეფისთვის და ჩემი ქვეყნისთვის ვცოცხლობ. — უპასუხა ახალდანიშნულმა.

— ჩემთვის არ ცოცხლობ? — ცრემლებს ველარ იკავებდა პატარძალი.

— შენთვისაც, მაგრამ ჯერ მეფისათვის. შენ ჯერ არ იცი, ჩემი მეფე როგორია და იმიტომ მირჩევ მაგას.

ივანე და შიო ცხენებს მოევლნენ და თავქვე დაეშვნენ. ზედმეტი ლაპარაკი ისედაც ეჯავრებოდათ ღა ახლა ხომ დუმილის საბაბი მიეცათ? თვითოეულმა ცალკ-ცალკე ასე დაასკვნა, რომ ერეკლე გაწყრა მათი დაგვიანებით, მოპატიჟეს თავი მოჰკვეთა ანდა დილეგში ჩააგდო და ამათაც ალბათ კარგი დღე არ ელით. ყოველივე ახლა უფლის ნებაა, უფალს რაც ნებავს, ის მოხდება.

მწარე ფიქრებით ჩაიარეს ქვეშეთი, გასცდნენ ფასანაურს და ანანურს რომ მიუახლოვდნენ, ვიღაც ოსები გადაუდგნენ წინ:

— საით მიგდიხართ, შენი ჭირიმე?

— ქალაქში, — უკმეხად უპასუხა ივანემ, რაკიღა კარგად იცოდა მათი მრავალსიტყვაობა და, თუ პასუხს ტკბილად მისცემდა, ალარ ჩამოეხსნებოდნენ.

— ქალაქში რა გვინდა?

— სასახლეში მივდივართ, მეფესთან...

— მეფესთანაო? ხი-ხი-ხი-ხი!.. მეფესთან რა გინდა, შენი ჭირიმე?

— მეფის მცველნი ვართ! — განმარტების მიცემა სულაც არ ეწადა ივანეს, მაგრამ, მიხვდა, რომ ადვილად არ ჩამოეხსნებოდა და ჯაჯღანის ხასიათზე კი სულაც არ იყო.

— ჩვენ რო არ ვიცით, შენი ჭირიმე?

— არც უნდა იცოდეთ! — იწყინა ივანემ მათი უადგილო ღრეჯა და კინაღამ სილაც კი უთავაზა ერთ მათგანს, რომელსაც ჩამოფხატული წარბები ჰქონდა და ერთი წინა კბილი ეკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაო, როგორაო? შენი ჭირიმე? — არად ჩააგდო გოლიათის წყენა კბილ-ნაკლულმა.

— მეფის კარს გვეშურება და დროს ნულარ გვარჯიან! — დაუმატა შვიდდა ივანე, რაკიღა გაახსენდა, რომ მეფის მცველთ უფლება არ ჰქონდათ, სადმე ხხუბი აეტეხათ, მერე იქაურობა მოათვალიერა და შენიშნა, რომ მთელი ასი კაცი მაინც იდგა გზის გადაღმა — ღორღიანსა და ტყიანში. — ერისთავს მოახსენეთ, თუ არ გჯერათ და აქ დაგელოდებით!

— აქედან არ გაუშვათ! — მეფის მცველები კბილნაკლულმა სხვებს გადააბარა და თვითონ კი ერისთავის სასახლისაკენ წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ თვითონ არაგვის ერისთავი გიორგი ყულარაღასი გამობრძანდა. ვერცხლით მოჭედილ ჯამარში მარცხენა ხელის ცერი ჩაიყო, მარჯვენით ზემოთ აპრეხილი ულვაშის წვერები აიწკიპა და სიამოვნებით გაიღიმა:

— რომ დამეპატიჟნეთ, ხომ არ მომიხვიდოდით, თქვე ბედნიერებო?!. ჩამოართვა ხელი სათითაოდ, გადაეხვია კიდეც და ყოველგვარი საუბრის გარეშე წინ წაუძღვათ: — აბა, წამობრძანდით!.. ნათლობა მაქვს და ყანწი დამილიეთ!

— ყანწის დალევაზე უარს როგორ გეტყოდით, ძალიან რომ არ გვეშორებოდეს, — ფეხი მოიბოძიძკა ივანემ.

— არა, სახლი უნდა დამილოცოთ! თავად ნაწყენი ვარ, მეფე რომ არ მეწვია და...

— მეფე არ გეწვია? — გაუხარდა ივანეს, არაგვის ერისთავიც რომ მისგვარ დღეში ყოფილა და ერთბაშად მოუცლელობით ახსნა მეფის ამოუსვლელობა, — დაიპატიჟე და ვერ გეწვია?

— დავიპატიჟე რომელია, კაცი კაცზე ვაფრინე და მოპატიჟეც აღარ დამბრუნებია.

— მოპატიჟეც აღარ დაგბრუნებია? — ხელის ზურგი ხელის გულზე დაირტყა ივანემ, რაკი თვითონაც მსგავს გაჭირვებაში იყო და ორივე ძმა ერთბაშად დააშვიდა ამ ნათქვამმა. ერთმანეთს სიამოვნებით გაულიმეს და სტუმრობაზე უარი ვეღარ ჰკადრეს არაგვის ბატონს.

ნათლობისა არა ეტყობოდა რა არაგვის სასახლეს. მართალია, სუფრა იყო გაწყობილი, მაგრამ გარს არვინ ეჯდა, ორიოდე უცნობის გარდა. ერისთავმა მოუბოდიშა, სტუმრები ჯერაც არ მოსულანო, მაგრამ სუფრასთან მაინც ადგილები მიუჩინათ და ყანწები შეუვსოთ.

— ღმერთმა გიბედნიეროთ ნათლულიცა და ნათლიაც! ამ სახლსაც ბედნიერება არ მოაკლოს! — დალოცა ივანემ და მორჩილი ყანწი ადვილად ვილად გამოცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიოს რატომღაც არ ესიამოვნა ძმის საქციელი, დააპირა, ეთქვა, ვერ დავლევო, მაგრამ იცოდა, ერისთავი ადვილად არ მოეხსნებოდა, თანაც ყანწი ძალიან ეპატარავა ამდენი ხნის ნამგზავრს და სიამოვნებით გამოცალა. მერე მცირეოდენი წაიხემსეს, და, როცა წასასვლელად წამოიწიეს, ტანში ისეთი მოდუნება იგრძნეს, ჯდომა ამჯობინეს. მცირე ხნის შემდეგ კი გამოქვაბულის დეევებივით ხვრინვა ამოუშვეს.

— წაიყვანეთ დილეგში! — ანიშნა ერისთავმა იქვე მჯდარ კაცებს.

— უღელი ხარი ვერ დასძრავს თითოს! — იხუმრა ერთმა.

— ყევარი შეაბით! — იხუმრა ერისთავმაც.

სიმღერის ძალა

— აი, ეს არის შეთეს სახლი მეფეო!

— უხმეთ შეთეს!

— შეთე!

— რომელ ხარ?

— გამოიხედე, სასურველი სტუმარი გეწვია!

— სტუმარ ხვთისაა, — მიწური, განცალკევებით მდგარი, დაბალბანიანი სახლიდან ძლივს გამოხანხალდა თმაწვერგაბურძგნული ბერიკაცი.

— მეფე გეწვია, შეთე, თუ კი ისტუმრებ?!

— რომელ მეფე? — უნდობლად შეხედა ამ სიტყვების მთქმელს.

— კახეთს ვინა ჰყავს მეფე, შე კაი კაცო?! — უსაყვედურეს ხმადაბლა, — აბა, გაიხედე, ვინა დგას?!

— მეფე ერეკლე! — სასოწარკვეთით დაიძახა შეთემ და ჯოხს დაებჯინა, მეტი სიხარულისგან რომ არ წაქცეულიყო, — მობრძანდ, მეფეე!.. საკადრის ვერ დაგხვდება, მაგრამ ჯალაბ გაიხარებს!.. — ჯერ წინ წაქანდა და მერე უკან დააპირა გაბრუნება, მაგრამ ამასობაში ერეკლე მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა:

— შინ არ შემოვალ, სიტყვა რამ მაქვს სათქმელი.

— სიტყვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რძალს გიქებენ და...

— რძალსა? — იწყინა შეთემ.

— სიმღერა სცოდნია კარგი და, მინდა, მოვისმინო.

— სიმღერა?

— გიგა-გიორგის სიმღერის მოსმენა ნებავს, — აუხსნა თორღვამ.

— გიგას სიმღერ? — თვალები მოუწყლიანდა ბერიკაცს, — ჩემ შვილ იქ მოკლეს ძაღლებმ.

— გიგას და მის ძმას კარგად ვიცნობდი, კარგი ვაჟკაცები იყვნენ, — დანაღვლიანდა ერეკლე, — ალბათ, შენი შვილიც არ ჩამორჩებოდათ? თუ მომასმენინებთ, კარგს იზამთ!

— აბა, როგორ?

— განა შინ არ არის შენი რძალი?

— შინ არს ფარდაგ ქსოვს, მობძანდი!

— არა, აქვე ყორებზე ჩამოვსხდებით, ეზოში გამოიყვანე და გვიმღეროს, თუ არ შეწუხდება, — უთხრა ერეკლემ და პირველი გაემართა სიპზე ჩამოსაჯდომად. ისე იყო დაღლილი, ძილი თავს ართმევდა, მაგრამ სიმღერის მოსმენა ძალიან სწყუროდა.

— აქ როგორ გაკადრო? — მობრუნდა შეთე კართან მისვლისას.

— აქ გამიხარდება, — სიპზე ჩამოჯდა ერეკლე, ხმალი ლაჯებში მოიქცია, თავი იდაყვით მუხლსდაბჯენილ ხელს ჩამოაყრდნო და თვალები მილულა.

სახლიდან ბალღები გამოცვივდნენ. ბიჭი ექვსი წლისა იქნებოდა, გოგონა — ოთხისა. კვრინჩხივით თვალები ჰქონდათ და სახე უღიმოდათ.

— ოოო, რა გქვია, პატარა კაცო? — გამოცოცხლდა ერეკლე ბავშვების დანახვაზე.

— ირაკლი, — უპასუხა ბიჭმა და გაბედულად მიუახლოვდა.

— ალბათ პაპის სახელი? — გაეღიმა ერეკლეს და ხელები გამოუშვირა: მომიახლოვდიო.

— არა, მეფისა. — უპასუხა ირაკლიმ და მუხლებთან მიუდგა.

— მეფისა? მერედა, ვინ არის ის მეფე?

— შენ.

— საიდან იცი? — გადაიხარხარა ერეკლემ.

— პაპამ თქო, მეფე გვეწვიაო, და აბა, მაშ, ვინ არს?

— აი, ეს არის მეფე! — მიუთითა თორღვაზე.

—ეგ არ! — გადაჭრით უპასუხა პატარა ბიჭმა და კიდევ უფრო გულიანად გააცინა ერეკლე. ბავშვი მკერდზე მიიხუტა და შუბლზე აკოცა. ბიჭმა ერეკლეს წვერს სახე მოარიდა და მის გულზე ჩამოკიდებულ ჯვარს წაეპოტინა.

— შენა, პატარა ქალო?.. რატომ შენც არ მოხვალ ჩემთან?

გოგონას ფუნჩულა თითები გაეფარჩხა და საფანტივით მოძრავი თვალებით ხან იმ უცნაურ ძიას შესცქეროდა და ხან მის მუხლზე წამოსკუპებულ თავის ძმას.

ბიჭმა ჯვარს ხელი გაუშვა და ხმალს წაეტანა.

— გიყვარს? — ჰკითხა ერეკლემ და ბიჭი მაშინვე მიხვდა, რაზეც ეკითხებოდა. გაუხარდა და თავი დაუქნია.

— რად გინდა?

— მტერს მოვკლავ.

— არ გეცოდება?

— მამა რად მომიკლეს?

ერეკლემ ხელახლა მიიხუტა გულზე და ხელახლა ეამბორა:

— ომში რომ წაგიყვანო, წამოხვალ?

ბიჭმა თავი დაუქნია და თავის დაიკოს გადახედა ნიშნისმიგებით.

სახლიდან ჯერ შეთე, ხოლო შემდეგ სამკლოვიაროდ ჩაცმული პატარა ტანის, მტევანივით შეკრული ქალი გამოგოგმანდა. ქალი, რომელსაც უცხო თვალი ოც წელსაც არ მისცემდა, თავდახრით მოჰყვებოდა ბერიკაცს და ზოგჯერ თუ აიხედავდა.

ერეკლემ ბიჭი ძირს დასვა, წამოდგა და ქალისკენ გაემართა:

— გვეწყინა, ქალო, შენი ვაჟკაცი ქმრის სიკვდილი! — ხელი ჩამოართვა ერეკლემ.

— ეჰ! — ამოიკვნესა ქალმა და კვლავ თავი დახარა.

— რას ვიზამთ, შვილო?! — ანუგეშა ერეკლემ. „შვილოს“ თქმაზე ქალმა შეხედვა გაუბედა და ერეკლემ შენიშნა, რომ ბიჭსაც და გოგოსაც დედის თვალები ჰქონდათ, — სიმღერას გიქებენ და გადმოვუხვიე. ნუ დამამადლებ!

— გავუცინივარ ვიღაცას, სიმღერა სად ვიცი? — დაირცხვინა ქალმა და ერთიორად გალამაზდა.

— ჯერ არაყ შავსვათ და მემრე ვიმღეროთ! — გაიღიმა ბერიკაცმა, — ახლავ ცხვარ დავკლავ!

— ნუ შეწუხდებით, ახლა ვისამხრეთ! — სიმართლე უთხრა ერეკ-

ლემ, — თქვენ მხოლოდ სიმღერა მომასმენინეთ და დიდად დამავალებთ!

— აქა? — გაიკვირვა ქალმა და მამამთილს გადაჰხედა, რახ მეტყვისო.

— სწორედ აქ, ჩემო დაო, — წელანდელი „შვილოთი“ მიმართვა გამოასწორა ერეკლემ, — მაგ კუნძზე ჩამოჯექი, ჩვენ აქეთ ჩამოვსხდებით და გვიმღერე! სამაგიეროდ შენს შვილებს გავაზატებ.

აზატობის გაგონებაზე რძალსაც და მამამთილსაც შუბლი გაეხსნა, მაგრამ შეთე მაინც შეეკამათა:

— ეგრე თუ ყველა აზატ ყავ, მეფეე, ვინღა გემსახუროს? ლაშქრობას მაინც ნუ გამობირავ ჩემ ნაშიერთ!

— ლაშქრობას ვერ გამოვბირავ, რაკიღა ირაკლი ახლავ თხოულობს წაყვანას. — გაუცინა ერეკლემ.

გულომ ფანდური გამოიტანა, კუნძზე ჩამოჯდა, კაბა გაისწორა, კისერი კოხტად მოიღერა, ფანდური სევდიანად ჩამოაწკარუნა და ნაღვლის ამშლელი ხმით დაიწყო:

„ვინა თქვა, ენამც გაუხმეს,
ჩეთმას ბალახი კარგია,
გივაიმ უთხრა გიორგის,
ჩეთმას ჩავრეკოთ ცხვარია...
ლეკში გავარდა ამბავი:
ჩეთმაში მწყემსნი არიან,
ჩამოუარეს სოფლებსა,
ჯარს მოუყარეს თავია,
გათენებისას დაეცნენ,
შავად დახურეს ცანია,
ატეხეს თოფის ქუხილი,
ადინეს სისხლის ღვარია,
ცხვარი წაასხეს ლეკებმა,
ცრემლი იღვრება ცხარია,
გიორგი გივას ეძახის,
არ მომტეხოდე მხარია,
გივა მოგიკვდეს გიორგი,
თუ შეირცხვინოს თავია,
კაფეს და კაფეს ლეკები,
ადინეს სისხლის ღვარია,
გიორგის გივა მოუკლეს,
მოსწყვიტეს საწყალს მხარია,
დალონებულმა გიორგიმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხრებში მოიცა ძალია,
გადარწყო ტყვია-წამალი,
თოფს გაუსწორა ფალია,
ოცდათექვსმეტსა ბელადსა
მარტომ შაუკრა გზანია,
შვიდი შასწირა გიგასა:
— იყავით მაგის ყმანია!
იმ გრძელსა სოფელს გაჰყევით,
ლიტრით უზიდეთ წყალია!
თითო შასწირა მწყემსებსაც:
— უკან უბრუნეთ ცხვარია!
თითო შასწირა ფარეხსა,
— დახვეტეთ გომის კარია!
თითო ძაღლებსაც შასწირა:
— უკეთეთ სალაფავია!
შვიდი თვითონაც იმძღვარა:
— მეც მომიხდება ყმანია!
როცა მობეზრდა გიორგის,
იშიშვლა თავის ხმალია,
ხმალდახმალ გალაერია,
ლეკმა დაუვდო განია,
აბორიალა რჯულძაღლნი,
როგორც ნადირმა ცხვარია,
რო დაიღალა გიორგი,
ხელით დავარდა ხმალია,
დასჭრეს, დაკაფეს ლეკებმა,
როგორც საქადე მხალია,
თუშნში მიავარდა ამბავი,
წაასხეს თქვენი ცხვარია!
გიგა-გიორგი იქ არი,
როგორ წაასხეს ცხვარია?
გიგაც მოკლეს და გიორგიც,
არც ერთი ალარ არიან,
დასხდნენ, დალაგდნენ თუშები,
წავიდნენ, როგორც ქარია,
ალმოსაღლეთის მხარესა
ძალალი ლეკის მთანია,
აგრე გადადის იქ ცხვარი,
როგორც რომ ღარზე წყალია,
ერთმანეთს ეუბნებიან,
აგერა ჩვენი ცხვარია,
— სად მიხვალ, ვაცო, ტიალო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საითკენ მიგიხარია?!
გავარდა თუშის მაჟარა,
ვაცსა დასწყვიტა რქანია,
დაბრუნდა ვაცი უკანა,
ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია.
ე მაგის მამლექსებელი
გულო ვარ, თუშის ქალია,
გულდათუთქული დავტირი,
მეც იქ მომიკლეს ქმარია."

— ყოჩაღ, ქალო! — აღტაცება ველარ დაფარა ერეკლემ, როცა მომღერლის გულშიჩამწვდენი, ღრმადსევდიანი წკრიალა ხმა მიჩუმდა და თვალზე მომდგარი ცრემლი ხელისზურგით შეიმშრალა. ლექსი ხომ მოეწონა, მაგრამ ხმამ განსაკუთრებით მოაჯადოვა ერეკლე. ეს სიმღერა კი არა, გულის შემძვრელი კვნესა იყო და მოთქმით ტირილი. ტირილი ერთ გმირზე ან ორ, რომელიმე გიგა-გიორგიზე კი არა, ტირილი ყველა დალუპულ ვაჟკაცზე, ტირილი საქართველოზე.

„თუ ერეკლე ვარ, ყველას მაგივრად ვიძიებ შურს!" — გაიფიქრა მეფემ და მძიმედ წამოდგა, შუაეზოში მდგარ თვალცრემლიან გულოს მიუახლოვდა და შუბლზე ეამბორა. მერე უბიდან ქისა ამოიღო, მუჭაში ჩაუდო და ირაკლიზე ანიშნა:

— ეს ბიჭი კარგად გამიზარდე!

წყალს გატანებული იმედი

თოვლი ისე მოვიდა, რომ არავინ ჩამოუვიდა ერეკლეს ჩრდილო კავკასიიდან. ჩერქეზეთიდან ნაქირავებელი ჯარის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა, რაკიღა უღელტეხილსა და ხეობებში ზვავი გაჩნდებოდა და მოძრაობა გაძნელდებოდა. გაზაფხულამდე მოცდა კი შეუძლებელი იყო, რაკიღა დაღესტნელი ლეკები ჭარ-ბელაქნელთა მეთაურობით თავადვე გადმოვიდნენ იერიშზე. მართალია, დანღისში საკადრისად აოტა ერეკლემ და ძირითადი ლაშქარი თითქმის გაჟლიტა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ თარეშის ხალისს დაკარგავდნენ და აღარ შეეცდებოდნენ საქართველოს მიწა-წყლის დარბევას. გავიღოდა თოვლიანი ზამთარი, დაიწყებოდა გაზაფხული, დაღესტნიდან ახალი ჯარები ვადმოვიდოდნენ და ისევ ხელახალი ხოცვა-ჟლეტა გაიმართებოდა. ჭარ-ბელაქანს თუ საბოლოოდ არ დააჩოქებდა და კუთვნილ მამულად არ აქცევდა, როგორც ეს სამართლიანად ეკადრებოდა, ვერი არ იყო.

ერეკლემ ზამთრის გასვლა აღარ დაიცადა, იფიქრა, თოვლში დაღესტნიდან მაშველი ჯარი ველარ გადმოუვათო, და იანვრის გასვლისთანავე სალაშქროდ გაემზადა. მართალია, არც არაგვისა და არც ქსნის ხეობიდან ჯარი არ მოუვიდა, ეგ კი არა, მისი პირადი მცველნი ივანე და შიოც არსად ჩანდნენ, მაგრამ დახანება მაინც საჭიროდ არ ჩათვალა. ერევნის, განჯის, ყარაბაღის, შაქისა და ნახჭევანის ხანებთან მაცნენი გაგზავნა: სალაშქროდ გაემზადენით და განჯასთან მეახელითო. კახეთის ჯარმა წინასწარ იცოდა და ჭარ-ბელაქანთან ელოდა მეფეთა გამოჩენას.

შიოს და ივანეს აღარ შეეხმიანათ მეფე ერეკლე. იფიქრა, ალბათ კერა გაუტკბათ და ბრალია მათი შეწუხებაო. მათ მაგივრობას აბა და თორღვა გამიწევენო და ამით დაიშოშმინა გული.

სანამ ერეკლე ლაშქრობის სამზადისში იყო, პაატა ვახტანგის ძე ჩამობრძანდა რუსეთიდან. დიდად გაუხარდა ერეკლეს უცნობ ბიძასთან შეხვედრა. დიდად მოეფერა თავის დედის ძმას — თავისზე შვიდიოდე წლით უფროს ბიძას და რუსეთის ამბები წვრილად გამოჰკითხა. ევროპულად ჩაცმული და რუსულად განსწავლული პაატა ბატონიშვილი გულისხმიერად ისმენდა ერეკლეს მოჩივლებას ქართლელი თავადების განდგომასა და მუსლიმანთა მომძლავრებაზე.

რაკიღა პაატამ პირობა აღუთქვა, მუდმივად მხარში ამოგიდგებიო, ღამითაც აღარ დაიძინა ერეკლემ და ყოველივე გაანდო, რაც გულში ჰქონდა. ისიც უთხრა, რომ დენთის ქარხანას აკეთებდა და საქმის მცოდნენი ეჭირვებოდა. ახტალაში კი სპილენძის ქარხანას აამუშავებდა ამ დღეებში. მერე მოიცლიდა და მუდმივ ჯარსაც გააწყობდა საქართველოსთვის. მაშინ უკვე ადვილად მოთოკავდა როგორც შინაურ, ისე გარეშტერს. უამბო ისიც, უახლოეს ხანში რომ სემინარიას გახსნიდა თბილისში და მერე ალბათ თელავშიც, ამ საქმეში რომ დიდი ღვაწლი მიუძღოდა მის ბიძაშვილ ანტონ კათალიკოსს, რომელიც ახლა სახელმძღვანელოების შედგენაზე მუშაობდა.

პაატას არ ესიამოვნა ანტონის ხსენება, რაკიღა თავისი ბიძა იესე და მისი შვილები მოქიშპე მტრებად მიაჩნდათ ვახტანგის ჩამომავლებს. ისიც სმენოდა, აბდულა ბეგმა რა ამბები დააწია თბილისის მოსახლეობას და უსიამოდ შეიშმუშნა. იმიტომ კი არ შეიშმუშნა, აბდულა ბეგი რომ ერეკლეს ექიშპებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორ ბედავდა ის ვახტანგის სამემკვიდრეო მამულში ამბოხს?

ამინდი შეიცვალა და უსიამო ჭყაპი დაიწყო. ერეკლემ მამას ურჩია, ლაშქრობა გადავდოთო, მაგრამ მამამ იუარა და, დადიანის ქალმა ხომ არ გირჩიაო, იხუმრა. ასეთმა ხუმრობამ გუნება-გაუფუჭა და მეორე დღესვე გამგზავრება გადაწყვიტა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, ლაშქრობის გადადება შეუძლებელი იყო, რაკიღა ჯარის მზადყოფნა მოახსენეს და ამ ჯარში კი ქართველების გარდა იმერლები და მეგრელებიც ერივნენ. სხვა დროს მოახერხებდა თუ არა მათ გადმოყვანას, საკითხავი იყო. არადა, მთელ ზამთარს თბილისში ვერ დარჩებოდნენ და არც გაესაძლისებოდათ, რომც ესურვათ.

— ლაშქრად შენც ხომ წამობრძანდები, ბიძაჩემო? — ჰკითხა ერეკლემ პაატა ბატონიშვილს.

— ვერ წამოვალ. აი, აქ როგორღაც მჭვალი მადგას და...

— ექიმს მოვიწვევ. ახლავე გავასინჯებ! — იმედიანად ურჩია ერეკლემ, რაკიღა სამეფო კარზე ევროპაში განსწავლული ახალგაზრდა ექიმი ჰყავდა — ანტონ ყარაშვილი.

— არა, ექიმი არ მინდა... მჭვალიც რომ არ მქონდეს, ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილი ვარ და, მგონია, ვერ შევძლებ.

— შენ მაინც უბრძოლველად გიხდებოდა მგზავრობა და ჩვენ რა ვქნათ, დღედაღამ რომ ბრძოლაში ვართ.

— დავისვენებ და სხვა დროს წამოვალ. ნიადაგ მხარში გედგომები და მარტო არსად გაგიშვებ.

ერეკლე დაყოყმანდა, მაგრამ პაატას საუბარი ყურად იღო, კეთილად მოსვენება და გამომჯობინება უსურვა და სალაშქროდ გაემზადა.

მტკვრის ხეობას დაუყვა ერეკლე თავისი ლაშქრით. გზადაგზა რაზმებს იერთებდა და ძლიერდებოდა, მაგრამ მაინც ეცოტავებოდა, თუ განჯა-ყარაბაღი და სხვა მაჰმადიანური სახანოები არ გამოეშველებოდნენ. უეცრად რატომღაც პაატას უარი გაახსენდა და მოეჩვენა, რომ ცბიერად მოატყუა, ლაშქრობაზე რომ უარი განუცხადა. ეგების აბდულა ბეგივით მეფეთა შინარყოფნით ისარგებლოს და ახალი ამბოხი დაუხვედროს უკანდაბრუნებისას? მით უფრო შესაძლებელია, რაკიღა არაგვისა და ქსნის საერისთავო ჯერ არსადა ჩანს და მათი ჯარები, მოსალოდნელია, მის განკარგულებაში მოექცეს ერთბაშად.

ერეკლემ თავისი ეჭვი არავის გაანდო, მაგრამ რამდენიმე ერთგულ კაცს უბრძანა, უკან გამობრუნდით და ბატონიშვილი, რომელიც ამ დღეებში რუსეთიდან მეწვია, დილეგში ჩასვითო. იზნი რომ თვალს მიეფარნენ, რამდენიმე კაცი კიდევ გაადევნა: თუ ჩემი ბრძანება არ აღუსრულებიათ, თქვენ აღასრულეთ და ეგენიც დილეგში ჩაყარეთო.

* * *

ხოშკაკალას ურევდა ალაზნის ნაპირზე. თოლჭყაპისაგან მიწა ისე გაბუჟბუჟებულიყო ცხენებს ფეხები ეფლობოდათ. ამინდი არ მოეწონა ერეკლეს და კიდევ ერთხელ ინანა ნაადრევი ლაშქრობა, მაგრამ გადადება აღარ შეიძლებოდა. მდინარე მაინც რომ არ ჰქონდეთ გადასალახი, ყველაფერს მოევლებოდა. თანაც პაატა ბატონიშვილი რომ შინ დატოვა... მაგაზე მეტი ზარბაზანი რად უნდა სასახლეს? შემოაბრუნებს სასახლისაკენ და... ხომ შეიძლება, ვერ მიუსწრონ და უკვე ქართლის სოფლებში იყოს გაქცეული. იქ ახალ ჯარს თავი მოუყაროს და ომიდან შინმიბრუნებულ ერეკლეს შეაბრძოლოს? არ უნდა წამოსულიყო სალაშქროდ და, თუ წამოვიდა, ისიც თან უნდა წამოეყვანა. არ გამოჰყვებოდა? შებოჭავდა და ისე წამოიყვანდა. არა და ვინ იცის, რა მოხდება ქართლის სამეფოში.

— ლაშქრობა ცოტახნობით ხომ არ გადაგვედო? — გაუტყდა ერეკლე თავის მამას.

— ყოყმანს მე მიშლი, და შენგან მიკვირს, — მიუგო თეიმურაზმა, — თბილისიდან აქამდე ვიარეთ, ჯარს სიქა გავაცალეთ, ჭარბელაქნამდე შაბათის გზაღა დაგვრჩა და ახლა გავბრუნდეთ?

— იქაც ხომ გითხარი?

— მაშ, რაღად წამოიწყე?

— ამგვარ ამინდში ბრძოლა დიაღ ძნელი იქნება ჩვენთვის, რაკიღა მდინარე გვაქვს გადასალახი. რომ დავლოდებოდით...

— ამასობაში ისინი დიდ ჯარს შეაგროვებენ.

— ეგეც მართალია, მაგრამ არ მეშინია, რაკიღა განჯის ხანი ჩემს მხარეს იომებს და აჯი ჩელებიც მზადყოფნაშია.

— მაშ, რაღა გაფიქრებს, შე მამაცხონებულო?.. რომ არ დავიწყოთ, ხანებს ლოდინი მოეწყინებათ და ეგებ გაბრუნდნენ კიდეც.

— ხიდის გადება მოგვიწევს მდინარეზე. წყალი ყინულივით ცივია და ცხენ-კაცს დაგვიხოცს.

ლაშქრობა არ გადაიფიქრეს და გადაწყდა, რომ ალაზანზე ხიდი გაეკეთებინათ ჯარის გადასაყვანად, როგორც ამას სპარსელები აკეთებდნენ ინდოეთზე გალაშქრებისას. ჯერ ქართველთა ჯარი უნდა გადასულიყო და შემდეგ შაქის, განჯა-ყარაბაღისა და ნახჭევნის ჯარები მიშველებოდნენ, როცა გაჭირდებოდა.

ფანა ხანი, შავერდი ხანი, მაჰმად ხანი, ბაამან ხანი, მისი ცოლისძმა ზურაბი და, რაც მთავარია, შაქის ხანი აჯი ჩელები, თავისი ვაჟი აღა ქიშით კარვებში იდგნენ და ელოდნენ ჭარ-ბელაქანში ლეკ-ქართველთა ომის დასაწყისს.

„დღეს თუ არა, ხვალ დაიწყება გადამწყვეტი ბრძოლა მაჰმადიანთა და ქრისტიანთა, — ფიქრობდა აჯი ჩელები, და აშკარად ვერ გაემხილა: ერეკლეს მზირი არ მისმენდესო. თუმცა მაჰმადიან სახანოთა თავკაცებს ყველას ერთად და თვითეულს ცალკ-ცალკე ადრე უკვე მოეთათბირა, მაგრამ ახლა, გადამწყვეტი წუთები იყო და უნდოდა, სცოდნოდა, დანარჩენები როგორ ფიქრობდნენ. თავად კი ასე მიაჩნდა, რომ ეს ბრძოლა ლეკ-ქართველთა ბრძოლა კი არა, მაჰმადიან-ქრისტიანთა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა იყო და ერთერთის მხარეზე უნდა დარჩენილიყო ომის ღმერთი. საქართველო თუ ჭარ-ბელაქანს შეიერთებდა, შაქის სახანოსაც გადათელავდა და განჯასაც თავის კუთვნილებად გამოაცხადებდა. არც ერთ მაჰმადიანურ სახანოს აღარ დატოვებდა და თავის ხელქვეითად გაიხდიდა. უფრო მეტიც: ამ სახანოთა ხალხს ნახირად აქცევდა, სპარსეთზე საიერიშოდ გაიყოლიებდა და აწეწილი ირანის ქვეყანაში ქრისტიანთა ბატონობა გამოცხადდებოდა. ყოველნაირად გაძლიერებული მერე ალბათ თურქეთსაც შეებრძოლებოდა და... არა, ეგ არ უნდა მოხდეს!.. არადა, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს: ან მაჰმადიანი და ან ქრისტეს რჯული! ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოთავსებულა და ვერც მოთავსდება!

აჯი ჩელები იმაზეც ნაწყენი იყო, ერეკლემ რომ ბატონკაცურად შეუთვალა, ჭარ-ბელაქანზე გალაშქრებას ვაპირებ და ჯარი მზად გყავდესო. მართალია, თეიმურაზი სპარსეთის სპასალარად ითვლება და ერეკლე კი მისი ნაიბია, მაგრამ აჯი ჩელებთან რა ხელი აქვთ? სპარსეთის შაჰს ხომ აჯი ჩელები არ ემორჩილება და, როცა მოესურვება, ტახტიდან ჩამოაგდებს. გააერთიანებს ამ ჩალის-

ტვინიან ხანებს, ერეკლესი რომ ასე ეკრძალებათ, შეესევა სპარსეთს და შაჰის ტახტზე თვითონ დაბრძანდება, თუკი ისურვებს.

როცა ალაზანზე ხიდის გადება მოათავეს, ერეკლემ აჯი ჩელებთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა, პირველნი ჩვენ გავალთ ხიდზე და ბრძოლა როცა გაფიცხდება, მაშინ მოგვეშველენითო. აჯი ჩელებმა თანხმობა აცნობა და გაემზადა.

დილაადრიან გავიდა ერეკლეს ჯარი ალაზანზე. ჯერ იქაურობა ვერც მოეთვალიერებინათ, რომ ბუჩქებიდან და ალაზნის შენაკადი პატარა მდინარის ნაპირებიდან უთვალავი ჯარი გამოიშალა და სროლა გაუმართეს. ერეკლეს მოკავშირეთა იმედი ჰქონდა და შეუთვალა, დროზე შემოდითო, რაკიღა ამდენ ჯარს არ მოელოდა. აჯი ჩელებმაც არ დააყოვნა, ფეხდაფეხ მიჰყვა და სროლა გაუმართა, მაგრამ ლეკთა ჯარს კი არა, ერეკლეს ქართველებს. ერეკლე მაშინ-ღა მიხვდა ამ ღალატს, როცა მის გვერდით რამდენიმე მხედარი ჩამოვარდა და ველურმა ყიჟინამ კი სმენა წასტაცა:

— დონლუზ, გიაურ!..

— სიკვდილი ურჯულოებს! — გაცეცხლდა ერეკლე და აჯი ჩელების ლაშქარს ეკვეთა. ქართველთა ჯარმა ერთითალია შედრიკა მტრის ლაშქარი და დიდადაც ავნო, მაგრამ, რაკი ერეკლემ შენიშნა, რომ აღმოსავლეთიდან ლეკთა დიდძალი მხედრობა ახლოვდებოდა და მდინარეზე გადასასვლელი ხიდი კი უკვე წყალს მიჰქონდა, ალყაში მოქცევის საშიშროება სწრაფად წარმოიდგინა, ბრძანა, მომყევითო, და მდინარის ნაპირისკენ დაიწყეს ბრძოლით უკანდახევა. მამის ამალა წინ გაუშვა და გაარიდეთო, მხედრებს უბრძანა.

ალაზნის ნაპირი ჭყანტობიანი იყო და ფეხები ეფლობოდათ ცხენებს. ნახნავებში ნაწრთობნი მაინც არ დრკებოდნენ და ქოშინით მიიკვლევდნენ გზას.

პირველივე კვეთებაზე ერეკლეს ჯარმა იმდენად დააზარალა და შეაკრთო აჯი ჩელების ლაშქარი, რომ გაუხარდათ კიდეც ერეკლეს უკანდახევა და გამოდევნება დაახანეს. მერეღა დაედევნენ, როცა სოფლებიდან ათასობით მხედარი ჩამოქლოშინდა და ბრძოლა გააჩაღეს.

— შაითან, გურჯ!..

— დონლუზ, გიაურ!.. — ისმოდა ძახილი და ხმალთა ჩახაჩუხი.

მოულოდნელად ქიზიყელებმა მტერს ზურგი უჩვენეს და გაიქცნენ. ამან უფრო წაახდინა ერეკლეს ჯარი. ყველაფერს იფიქ-

რებდა და ქიზიყელთა გაქცევა ვერ წარმოედგინა. ერეკლე მიხვდა, რომ ბრძოლა უკვე შეუძლებელი იყო და ფონს მიაშურა, მაგრამ შენიშნა, რომ ფონზე მამამისის ამალა ახლა გადიოდა და ისევ შებრუნდა, ჯერ ქსნისა და არაგვის ერისთავებს შეუკურთხა გულში, ასე მცირე ჯარით რომ შეატოვეს მაჰმადიანებს და შემდეგ ყიჟანით მომყოლ მტრებს დაემუქრა.

— დედას გიტირებთ, თუ ერეკლე ვარ! — თოფი ისროლა და წინგამოჭრილი ლეკთა ბელადი ცხენიდან ჩამოაგდო.

კვლავ გულსრულად შეუტია ერეკლეს რაზმმა და, როცა ივარაუდეს, ჯარი ალაზანში გავიდოდაო, ისევ ფონს მიაშურეს. დროდადრო მაინც უკან ბრუნდებოდნენ და ზედდაკიჟინებით ისროდნენ, ვისაც კი ტყვია დარჩა. მათი ნატყორცნი ზოგჯერ თუ ჰაერში ამაოდ ზუზუნებდა, ზოგჯერ მიზანს აღწევდა: ხან მხედარს აგდებდა ცხენიდან, და ხანაც ცხენ-კაცს ერთად აკოტრიალებდა. ამ დროს კი თვალი ვერ არჩევდა, ცხენი კვდებოდა, კაცი თუ ორივ ერთად.

ალაზნის მღვრიე ტალღების გატოპვა ერთობ გაუჭირდათ უღვთოდ დაღლილ ცხენებს. ტალღები თუმცა მდორედ მოედინებოდნენ, ცხენებს ფეხებზე ბორკილად ედებოდნენ და სვლას უძნელებდნენ. წყალი მუცლამდე არ სწვდებოდათ და ეს იყო ძნელი: აღარც სიარული შეეძლოთ დაღლილ პირუტყვებს და არც ცურვა შეიძლებოდა. მაინც მიტოპავდნენ ხვნეშა-ქშიტინით და, როცა ერეკლეს ცხენმა ნაპირს მიაღწია, დადგა და გაჯიქდა. რამდენჯერაც ქუსლი ამოჰკრა, იმდენჯერ დაიხვნეშა.

ერეკლეს შეებრალა უზომოდ დაღლილი თავისი ერთგული ცხენი, რომელსაც წელანვე სისხლი სდიოდა ფეხიდან, დაქვეითება გადაწყვიტა, ნაპირზე გადახტა და დასადავებული გაიყვანა. იქ ხელი გაუშვა და ხმალშემართული დაელოდა ლეკთა რაზმების მოჯარებას. უკან არც ერთი ქართველი აღარ ეგულებოდა, რაკიღა თავისი ერთგული მცველებიც თეიმურაზთან გაგზავნა: გაიყვანეთო ფონადან. აი, გაიყვანეს და, მგონი, უკან ბრუნდებიან, ზედმეტია ახლა უკან შემობრუნება. მტერთა მრავალრიცხოვნებასთან ვერას გააწყობს რამდენიმე კაცი და მხოლოდ თავს შეაკლავს. მტრის მხრიდან თამაზ ენდრონიკაშვილი გამოჩნდა. ცხენს მოაჭენებდა. — სადა ყოფილა ეს გულძაღლი, — გაიფიქრა ერეკლემ და, მზად იყო ლეკთა მაგივრად მისთვის ესროლა, რაკიღა მისმა ქიზიყელთა ჯარმა დღეს უღალატა.

ენდრონიკაშვილის ცხენმა სწრაფად შემოტოპა მდინარეში, თავისი მხედარი მარჯვედ გაიყვანა ფონს და დაქვეითებულ ერეკლეს თან გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა მოგსვლია, ბატონო? — ჰკითხა ენდრონიკაშვილმა.

— ცხენი დამივარდა, თუ თვალი გიჭრის? — მიუგო ერეკლემ გაგულისებით.

— შემომიჯექი და გადაგარჩენ!

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ვინც შენ შემოგიჯდეს!

— არადა, მე ნურას დამაბრალებ, — ენდრონიკაშვილმა ცხენს მათრახი უჭირა და გააჭენა.

ენდრონიკაშვილი რომ თვალს მიეფარა, პირტიტველა ჭაბუკი მხედარი შემოვარდა წყალში, უკან კი აბა ბიტურაული, თორღვა, მამუკა და ძაღლიკა მოჰყვებოდნენ. ერეკლეს ახლა გაახსენდა, რომ მცველთა ერთი ნაწილი უკან მოჰყვებოდა და, როგორც თვითონ იცავდა მამის ამალას, ისე მას იფარავდნენ, მაგრამ შემდეგ სადღაც გაუჩინარდნენ და თვალი ველარ მოჰკრა. იფიქრა, ალბათ, ისინიც თეიმურაზს წაეშველნენო და ამაზე აღარ უფიქრია. ახლა კი...

სანამ ერეკლეს პირადი მცველნი მდინარეს გადმოლახავდნენ, პირტიტველა ჭაბუკმა ერეკლესთან შეაჩერა ცხენი, ჩამოხტა და მარჯვედ წაუყენა მეფეს:

— შებრძანდი, მეფეო!

უზომოდ გაახარა ერეკლე ჭაბუკის თავაზიანობამ, ცხენს გადაევლო და შეეკითხა:

— რა გვარისა ხარ?

— ბოსტაშვილი ვარ, დათუნა.

— თიფლისს ჩამოდი სასახლეში და იქ გადაგიხდი სამაგიეროს!

კიდეც გამოტოპეს ერეკლეს მცველებმა, კიდეც აღმართს აეფარნენ და კიდეც მოჯარდა ნაპირთან ლეკთა ლაშქარი, რომელსაც აჯი ჩელების ჯარი მოჰყვებოდა. მოჯარდნენ, მაგრამ წყალში შემოსვლა ველარ გაბედეს, რაკიღა ეს გაქცევა ერეკლეს საბრძოლო ხერხად ჩათვალეს და იფიქრეს, რომ სადმე ახლოს მხედრობა ეყოლებაო ჩასაფრებული.

— მაშ, ასე, არა, ენდრონიკაშვილო?! — კბილები გააღრჭიალა ერეკლემ, — განანებ მაგ თავხედობას თუ ვაჟკაცი ვარ.

„ცოცხალი თავით მეფის ცხენს არვის დავანებებ, — გაიფიქრა ბოსტაშვილმა, ერეკლეს ცხენი დაისადავა და გზიდან ბუწკნარისკენ გადაუხვია.

აღმართს რომ ავიდა, იქ შეჩერდა ერეკლე. იფიქრა, ეგების მდინარეში გამოტოპონ და შევებმებიო, მაგრამ მისი [illegible] აღარსად ჩანდა, ამოიოხრა. მდინარეს გადახედა და [illegible] ბული ხიდი გაახსენდა. მერე ლაშქრობაზე რომ ფეხს ითრევდა, ის გაახსენდა და ინანა: გულის ხმა უნდა მერწმუნაო.

კათალიკოსის სიზმარ-ცხადი

ანტონ კათალიკოსი უზომოდ დაღლილი დაბრუნდა თბილისში. ცხენითა და მცირე ამალით შემოიარა საბარათიანო, დაათვალიერა ხრამის, ალგეთისა და მაშავერის ხეობა. მოინახულა დანგრეული და გაპარტახებული ქვეყანა, სადაც თათარნი, ნათურქალი ბერძენნი და და სომეხნი მოსძალებოდნენ, რომელნიც ქართველ მეფეთა შემწეობას ითხოვდნენ. ბერძნებს, მართალია, რჯული ჰქონდათ შეცვლილი, მაგრამ ყოფილი მართლმადიდებულნი სწორედ ესენი იყვნენ და ქრისტიანულ ადათ-წესებზე მომავალში მათი მოქცევა ადვილშესაძლებელი იყო. სომხები, მართალია, გრიგორიანები არიან და ხშირად ცუდ სამსახურსაც უწევენ ქართველებს, რაკიღა თავიანთ რჯულს ახვევენ, მაგრამ მაინც ქრისტიანებად ითვლებიან და ისტორიულად ქართველთა ძმებად თქმულან. ამიტომაც მამა-პაპათა სულის საამებლად უნდა მიიღონ და შეიწყნარონ. თათარ-სპარსნი კი ანტონს არც ადრე ეხატნენ გულზე და არც ახლა ახატია. ამას მიუხედავად, ჯოხს მაინც ვერ ჰკრავ შემოხიზნულ ბოგანოს და კარში ვერ გააგდებ. ისინიც ადამის ჩამომავალნი არიან და დახმარების ხელი მათაც სჭირდებათ.

ჩანს ახალციხის ფაშა უდივრად ავიწროებთ და აქეთ გამორბიან. დღეს თუ ხვალ ახალციხეც უნდა შემოიერთონ და, სულერთია, ამ ხალხს მაინც პატრონობა უნდა. ქრისტეს სარწმუნოებამ მალე ამ კუთხეშიც ისევ ძველებურად ფესვი უნდა გაიდგას და საბოლოოდ დამკვიდრდეს.

ბერძნები!.. კონსტანტინეპოლი რომ თურქთ არ შეებილწათ, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ქვეყნიერების საქმე. ეს, ერთ დროს ქვეყნისთვის კულტურის მიმცემი ერი ბარბაროსებად გადააქციეს და მტრად მოუვლინეს ნათელი გონების სამყაროს. ქვეყნიერებაზე ბოროტებათა შორის უდიდესი ბოროტება კაცისთვის რჯულისა და ერის შეცვლაა. ერთი რწმენის დამსხვრევა და მეორის შეკოწიწება

უზომოდ ძნელია და მოუხერხებელიც. ერთი ენის დავიწყება და მეორის მიღება უღვთოობაა გონიერისთვის. ვინც ამას ადვილად ეშვებ მედებს, ბოროტის მთესველია და არვის მისანდო. დედასაც ადვილად გაჰყიდის და შვილსაც უღალატებს.

ქრისტიანობა ირყვნება და იბილწება! ამას წინალდგომა ეჭირვება და არა — შეწყნარება. კაპუცინების თქმისა არ იყოს, ყველაზე შეუბილწავი ახლა კათოლიკობაა. ფრანგები ერთგულად იცავენ მას და აკი ამიტომაც ყველაზე წმინდა ერია დედამიწაზე. კულტურაც ანკარა წყალივით სუფთა აქვთ, სულიც და გულიც. ჩვენსა და მათ შორის უშველებელი ზღვა რომ არ იღრინებოდეს, სულ სხვარიგად წარიმართებოდა საქართველოს ცხოვრება. საქმე ის არის, ყველა მეზობელი შენს ერს წალეკვას ემუქრება, კათოლიკობა კი ხელშეუვალობას და სიწმინდეს იცავს.

ქვეყნიერებისთვის ყველაზე დიდი საზრუნავი ერთა ურთიერთობის მოწესრიგებაა. დაე, დარჩეს ერი მხოლოდ იმ ერად, როგორადაც უფალს გაუჩენია. მოკვდავ კაცს არა ხელეწიფება ადამიანის სულში ხელის ფათური. გაწვრთენ, ასწავლე, მაგრამ ადამიანს ნუ გაუბედავ, დღეს ქართველი ხარ და ხვალ თათარი უნდა შეიქმნეო. ქრისტიანი ხარ, მაგრამ იუდეველობა უნდა იწამოო. შენ კაცო, ვინ ხარ? უფლება ვინ მოგცა, სხვის სულში ხელი აფათურო და წარსტაცო ყოველივე, რაც მას ახარებს?! მის ნაცვლად კი შენს სიხარულზე მიუთითო და ანუგეშო, სიხარულად ეგ გეყოფაო?! შენ რაც გახარებს, ჩემს ერს არ ახარებს და რას მედავები?! შენ შენი გქონდეს და მე ჩემი დამანებე!.. თუ მაინც არ დაიჯერებ და შენსას ეცდები, ნუ იქნები ურწმუნო: საიქიოს კუპრში ეწამება მწვალებლის სული!.. კუპრში ეწამება!.. კუპრში ეწამება!.. კუპრში ეწამება!..

ამასობაში ანტონს ჩაეძინა, მაგრამ მალევე გაელვიძა და ერთბაშად გამოეფხიზლა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა და სულს ძლივს ითქვამდა. ისეთი ავი სიზმარი ნახა, თქმაც კი ძნელია. თავისთვისაც არ უნდოდა, გაემხილა, მაგრამ ყოველივე ისევ თვალწინ ედგა და შეშფოთებას ვეღარ მალავდა: ხელხმლიანი ერეკლე შავ წყალში იდგა და არ იცოდა, როგორ გამოსულიყო. შემწეს ეძებდა, მაგრამ მწე არსად ჩანდა. მოულოდნელად მაყარი გამოჩნდა. ერეკლეს მაყარიო, დაიძახეს და თან საპატარძლო წარმოაჩინეს. ღმერთო, მოჰმადლე კაცს ძალა განვებისა, კაცი შავ წყალში იხრჩობა და რა ექორწილება? მიდით, გამოიყვანეთ, დაიხსენით განსაცდელისგან

და თქვენი არა უნდა რა. თუ არა, ახლა არ იქორწილა მაგ დალო-
ცვილმა?! ქრისტეღმერთი მარტოდენ მეორედ ქორწილებს ხებას
გრთავს და ამას კი მეოთხედ უპირებენ?! თუ კაცს მეორე ცოლი
მოგიკვდა, ჩანს ღმერთს არ სწადია. წადი ბერად და სულისთვის
იღვაწე! მეფეს სად წაესვლება? არადა იყავ შენთვის და იქნიე ხმა-
ლი ერის სახსნელად!

ასეთმა სიზმარმა ისე შეაძრწუნა კათალიკოსი, რომ იმ ღამეს
კი არა, თუ ოდესმე ძილი მიეკარებოდა, ისიც კი ვეღარ წარმოედ-
გინა. ღმერთო, თუ ურჯულოებმა ავნეს რამე მის საყვარელ ბიძა-
შვილს, ნუ გაუთენებ ცოდვილ ანტონს ხვალინდელ მზიან დღეს!
ერეკლეს ხმალში ჯადო-თილისმაა და არასოდეს გაიღუნება, არც
გადატყდება და არც დაბლაგვდება! ერეკლეს გონებაში სიბრძნეა
უშრეტი და აროდეს დაჩლუნგდება! მის გულში რვალის სიმტკიცეა
და არ მოლბება! ერეკლეს ვნება არ გაგონილა და ვერცა ოდესმე
ავნებენ მისი ორგულნი და მოღალატენი!.. ორგულნი და მოღალა-
ტენი!.. ასეთები ჯერ მრავალი ჰყავს, დიაღ მრავალი...

სწორედ იმ დღისით, ერეკლე რომ ჭარელებზე წავიდა, ანტონმა
მეჯუდისა და ფრონის ციხეთა მშენებლობის დათვალიერება ინება
და ისეთივე ამალით გაემართა, როგორითაც ახლა საბარათიანოში
იყო. დაათვალიერა და ნახა, რომ ყოველივე ნაყოფიერად მიდის.
ახალ ციხე-კოშკებს საიმედოდ აშენებენ და ძველს ამაგრებენ. იქი-
დან როცა ბრუნდებოდა, ორი ცხენოსანი შემოეყარა. რა ნახეს, კა-
თალიკოსი იყო, დაიქვეითეს და მიწას ემთხვივნენ. მერე კი, როცა
ადგნენ, ასე მოახსენეს: ნუ შეგვრისხავ, უფალო, და არაგვისხვევ-
ლებსაც ამოხედეთ, თორემ ჩვენს მეფეთ ლაშქარი მალე გამოუწყ-
დებათ და დაუმარცხდებათო. მაგას რად ამბობთო, ჰკითხა ანტონმა
და ერთ-ერთმა, აი, რა მოახსენა: ვიტყვი, ვაია, არა და — ვუიო...
არაგვის ბატონი მეფეთა რისხვას იმსახურებს, მაგრამ, გვეშინია,
ეს რისხვა ჩვენ არ დავიმსახუროთო.

ანტონმა უბრძანა, ყოველივე დაწვრილებით ეუწყებინათ, მაგ-
რამ — აქ უხერხულია, სასახლეში გეახლებით და იქ მოგახსენებთო.
დაეთანხმა ანტონი და გზას გამოუდგნენ. მცხეთას რომ მოვიდა,
სვეტიცხოველში, ანტონს აუწყეს, შენი ბიძაშვილი პაატა ბატონა-
შვილი დაუპატიმრებიათო, და, როცა ეს ამბავი იმ კაცებმა შეიტყეს,
ცხენები შეაბრუნეს და საითღაც გაქრნენ. ვინ იყვნენ ისინი? მტერნი
თუ მოყვარენი?

ამას წინათ ერთმა თავადმა იცით, რა უთხრა? რომელმა თავადმა? თავად ერეკლემ რომ ჩამოახრჩოს, მაინც არ იტყვის, მაგრამ... ასე უთხრა, რომაო... ქართლის მეფედ თეიმურაზი კი არა, შენ ჯდა იჯდეო. ამანაც გაიღიმა და განუმარტა, რომ დედოფალი თამარიც ვახტანგის სისხლისა იყო. ამით მაინც არ დამშვიდდა და გულისწყრომით მიუგო: თამარი დიდი ხანია, მიიცვალა და ქართლი კახელების ხელში მოექცაო. თუ გამეფებას შენ არ ინებებ, მართალია, ბაქარი მიიცვალა, მაგრამ სხვაც მოიძებნებაო კანონიერი მეპკვიდრე.

ვინ სხვა?.. კარგია, პაატა რომ დააპატიმრეს!..

ქართლ-კახეთისა და, შესაძლებელია, მთლად საქართველოს მეფედ ერეკლე დაბადებულა და სხვა არავინ. იმერეთში ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა, რაჭის ერისთავსა და სამეგრელოს მთავარს ახალგაზრდა სოლომონის გამეფება არ ნებავთ და, თუ იმარჯვებენ, სწორედ ახლა შეიძლება საქართველოს გაერთიანება. იქიდან ჭარ-ბელაქანს შემოიმტკიცებენ, აქედან — იმერთა ქვეყნებს, მერმე ახალციხესაც განათავისუფლებენ, ტრაპიზუნისკენაც გაიწევენ და აღდგება ერი, როგორც დავითისა და თამარის დროს იყო... მაგრამ... რას უნდა ნიშნავდეს შავ წყალში დგომა?. ეგებ ერეკლე?.. ღმერთო, დაიხსენ ამგვარი ფიქრისაგან!.. ფუი, ეშმაკს, ფუი ეშმაკს!..

მტერი მრავლად ჰყავს ერეკლეს... ის თავადი სხვათა აზრსაც მოახსენებდა, მაგრამ მაგას მაინც ვერ გაუმხელს ერეკლეს. იმ ორი ცხენოსნის ამბავს კი დაწვრილებით მოუყვება და თავად განსაჯოს. ისე კი ანტონსაც შეუძლია არაგვის ხეობა მოიკითხოს. იქ რაღაც ხდება. ერთ-ორ დღეს დაისვენებს, სააჯო საქმეებს გაარიგებს და, თუ ერეკლემ კიდევ დაიგვიანა, თავადვე მოიკითხავს არაგვის ერისთავს... ქვეყნიერებისას კი ვერას გაიგებ: ბატონს ხალხი არ მოსწონს და ხალხს — ბატონი.

გულში დაჭრილები

მხედრებს არეული ნაბიჯით მოჰყავდათ ცხენები. ჯაჭვგაუხდელი ერეკლეს მდუმარება თანამოლაშქრეებს ლოდივით აწვათ და სულს უხუთავდათ. ასე გაწბილებული ბატონი არასოდეს დაენახათ და ხმის ამოღებას ველარ ბედავდნენ. მართალია, ჭარ-ბელაქანში დახოცილ-დაჭრილი მრავლად დატოვეს, მაგრამ, ვინც გადარჩა,

ყველა მათგანს გულში ჰქონდა ჭრილობა და ეშინოდათ, ხმისამაღლებით არ გავაღიზიანოთო. უფრო კი მეფესა და მის გულს უფრო თხილდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი იქიდანვე თბილისს გაგზავნა ერეკლემ ქართლის ლაშქრით თუ მასაც ლაშქარი ეთქმოდა, თავად კი ჯიმშერთან და მის ჯართან ერთად ქიზიყს ავიდა. თამაზ ენდრონიკაშვილს სახელო ჩამოართვა და დილეგს ჩააგდო.

ერეკლეს მოულოდნელი და გაუგონარი მარცხის ამბავი უკვე მთელ კახეთს მოსდებოდა და დუმილით ხვდებოდნენ მის გამოჩენას. ველარც გზას ულოცავდნენ და ველარც ლაშქრად წასული მამებისა და ძმების, შვილებისა და ქმრების ამბავს ეკითხებოდნენ.

ქიზიყიდან თელავს მიმავალ ერეკლეს მძიმე ფიქრები შემოაწვა. დღედაღამ ცხენიდან არ ჩამოდის ხმალი ქარქაშში არ დაუსვენებია და მაინც ვერ ამოასუნთქა თავისი ხალხი. ქართველებს ზურგი არ ოდეს უჩვენებიათ მტრისთვის და ახლა აჩვენეს, ერეკლეს მეთაურობით. არადა, მთლიანად გაჟლეტავდნენ ორ წყალშუა მოქცეულ ქართველ მხედრობას. წინიდან ლეკნი, უკანიდან მუხანათი აჯი ჩელები და ერეკლეს „ყონაღები"... ფუი, ამისთანა ყონაღობას და სიტყვის კაცობას!.. ძაღლი ძაღლის ძვალს არ გატეხსო, უთქვამთ და ასეც ყოფილა მამა-პაპიდან. ვითომ რად უმეგობრებენ ერეკლეს ქართველებს მაჰმადიანი ლეკ-თათარნი? ან რად მოელის ერეკლე მათგან მეგობრობას? ის, ვინც ძმას უღალატებს მეზობელს უფრო გაჰყიდის. თუ მაჰმადიანი მაჰმადიანს არ გაიტანს, ქრისტიანს უფრო ადვილად შეადგება მტრად. მარტოდენ ერეკლე არ არჩევს სარწმუნოებას, რიგითი ხალხი კი... არა, რუსეთთან უნდა ეძიოს ძალა და მოკავშირე! რუსს თუ ძმად გაიხდის, ქურდბაცაცა მეზობლები ვერას დააკლებენ. ჩავა თბილისში და მაშინვე დესპანებს გაგზავნის იმპერატორთან. მართალია, იოსებ ბერმა სანუგეშო ვერა აუწყა რა, მაგრამ მას მხოლოდ იქაური ამინდის დაყნოსვა ჰქონდა დავალებული. ახლა კი გულდაგულ გაგზავნის საიმედო დესპანებს და შეუთვლის, რომ თეიმურაზიც და ერეკლეც რუსთა ერთგულნი არიან და მზად იქნებიან მათი სურვილისამებრ დაამხონ ირანი, უკეთუ გაწვრთნილი ჯარით დაეხმარება. ამით საბოლოოდ მოსპობს მაჰმადიანთა გავლენას კავკასიაში და ქრისტიანობა გაბატონდება. იმედია, რუსის მეფე ამ დიდ განზრახვას ყურად იღებს და ქართველთა თხოვნას არ გააწბილებს. ჩავა და დაწერს, მაშინვე დაწერს. დესპანებადაც გონიერ ხალხს შეარჩევს.

— თიფლისს თუ ჩამოხვალ, სიმონ ბატონო? — მოულოდნელად მიუბრუნდა ერეკლე სვიმონ მაყაშვილს, რომელსაც უძილობისა თუ გაუსაძლისი ბრაზისაგან თვალებში სისხლი მოსწოლოდა და ხმა-თქვის მაგივრად მძიმედ ხვნეშოდა. ეტყობოდა, რაღაცის თქმა ეწადა და ვერ ახერხებდა.

— როგორც მიბრძანებ... ოღონდ... ნუ წუხხარ, მეფეო, ჩვენი დროც დადგება, — ისარგებლა მაყაშვილმა მეფის თათბირით.

— წუხილს მოქმედება სჯობს, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ერეკლემ, მაგრამ მაყაშვილმა თავის პასუხად მიიჩნია და დასტური მისცა:

— ჭეშმარიტი ბრძანებაა... ავალ ახმეტაში, ჯარს შევაგროვებთ... — თავისი ნათქვამისთვის რომ მნიშვნელობა მიეცა და მეფეს აზრიც ამოეცნო, ცხენი ახლოს წაუყენა მაყაშვილმა და მზრუნველად შეათვალიერა ღრმად დაფიქრებული ერეკლე, — ფშავ-ხევსურეთშიც შევატყობინოთ, გარეკახეთშიც ქუდზე კაცი დავიძახოთ და...

ჭკუაში არ დაუჯდა ერეკლეს მაყაშვილის ნათქვამი. ახლა თებერვალი იწურება, ხვნა-თესვის ამინდები დაიწყება და ყველგან თუ ქუდზე კაცს დაიძახებს, შიმშილით ამოსწყდება ხალხი. დღეს დაგიმარცხდა, ხვალ გაგემარჯვება. მერმე ისევ ახალი ძალით შემოგესევიან და... ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ და თანდათან ამოსწყდება საქართველო რაკიღა გამარჯვებაშიც და დამარცხებაშიც ერი იხოცება. გონიერმა კაცმა ისეთი რამ უნდა იღონოს, ხალხი დაუკარგოს მტერს. დიდ რუსეთს საუკუნო მოყვრად გაიხდის, და ველარას გაუბედავენ ეს წუპაკები. მანამდე კი... არ უნდა გასულიყო გაღმა! რად ვერ იაზრა, რომ მაჰმადიანები ასე ადვილად არ დათმობდნენ მიტაცებულ ჭარ-ბელაქანს. უკვე თავის ადგილად თვლიან და თავის ადგილში კი ძაღლიც გულადია. გულის ხმისათვის უნდა დაეჯერებინა: არ უნდა აჩქარებულიყო, ჯარი დიდი შეეგროვებინა და ხელსაყრელ დროს დალოდებოდა. ძალით საქმე არ გაკეთებულა და და არც გაკეთდება. ნაყოფი ჯერ უნდა კარგად მომწიფდეს და ხე მერმე შეარხიო.

საარაგვო და ქსნის ხეობაც რომ ისევე გამოსულიყო, როგორც კახეთი.. თუმცა არც კახეთის გამოსვლით არის კმაყოფილი. ქიზიყელებმა სიმაგრე ვერ აჩვენეს, მალევე აირივნენ და... ეს ყოველივე თამაზ ენდრონიკაშვილის ბრალია. ძაღლის კუდი არც გასწორებუ-

ლა და არც გასწორდება. დილეგში ჩაჰკლავს, თუ სხვა რამ უარესი სასჯელი არ შეუფარდა...

ამ ბრძოლაში ომის ღმერთი მტრის მხარეს იყო. უსამართლო და ურიგო ხომ არა ჩაიდინა რა ერეკლემ? სიმართლე ისეთი ოქროა, რომელსაც ყველა ჩემობს. რომც მტყუანი იყოს, კაცს მართალი ჰგონია თავი. მაგრამ ვერ გაუგია. სად ტყუოდა ერეკლე? ეგებ ერთბაშად ბევრი რამ მოინდომა და სიხარბემ სძლია?.. ღმერთო, შეუნდე, თუ რამ ცოდვა აქვს!.. ეგებ განჯელებს დიდი ხარკი დაადო მაშინ?!. კიდევაც დალაშქრავს, თუ ერეკლეა და კიდევაც დახარკავს, რაკი ასე ურცხვად უღალატეს! ყველა მოღალატეს თვალებს დასთხრის და ამით ამოიყრის ჯავრს!.. მცირედ სულს მოითქვამს, შეჰყრის დიდ ლაშქარს და ყველას დააჩოქებს!

* * *

— ის რა ჯარი ჩანს, მეფეო? — შენიშნა ვიღაცამ.

მეფე ცხენზე შემოტრიალდა და გაიხედა. რაკი მართლა ლაშქარი შენიშნა, ცხენი შეაბრუნა, უზანგებზე აიწია და ჭოგრიტით გაჰხედა.

— ჩვენები ჩანან! — დაარხეინებით ჩაილაპარაკა და შუბლზე ვერმიხვედრის ღრუბლებმა გადაუარა, საიდან და როგორაო.

— მტერი არ იყოს?! — სიფრთხილე გამოხატა ვიღაცამ.

სვლა შეანელეს, რაკიღა სოფლის ბოლოს მიადგნენ, მერე შეჩერდნენ და ლაშქარს დაელოდნენ. ერეკლემ ერთხელ კიდევ გაჰხედა ჭოგრიტით და ამოიოხრა:

— შანშეს ძმისშვილი დავითია. გვიან გამოუგზავნია მაგ ღვთისგან შეჩვენებულს!

ლაშქარი სოფლის ბოლოს შემოგუნდავდა, დავითი და ორი სხვა მხედარი ცხენიდან ჩამოხდნენ, ერეკლეს წარუდგნენ და თაყვანი სცეს.

— რად დაგიგვიანია? — იკითხა ერეკლემ.

— გვიან შევიტყვე, მეფეო, და ამად ჩამოვრჩი, — მოიბოდიშა დავითმა და დამშვიდებული, ძალიან ნათელი, ზღვისფერი თვალები კრძალვით შეანათა.

ერეკლეს სიმაღლისა იქნებოდა დავითი. ჯმუხი, გაზიდულმხრებიანი და უფერულ, მოკლეულვაშიანი. მის გამოხედვაში ყოველ-

თვის ერთგულება და თაყვანი იხატებოდა და ამან მოულბო გული ერეკლეს.

— რაო, ხომ არ გავბრუნდეთ ჭარ-ბელაქნისაკენ? — ალბათ ერეკლემ.

— გავბრუნდეთ, მეფეო! — გულწრფელად მიუგო დავითმა და ნერწყვი ძლივს ჩაყლაპა.

— დროზე რომ გამოჩენილიყავი და აჯი ჩელების ლაშქარს ზურგიდან მოჰქცეოდი, ალბათ სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა იმდღევანდელი თამაში.

— ნუთუ დამარცხდით, მეფეო? — შეშფოთდა დავითი.

— ლაქაშებში მოგვიქციეს და კინალამ ტყვედ ჩავცვივდით. არა უშავს რა, ჟამი დადგება და ჯავრს არ შეგაჭმევ... მოციქული ადრე გამოვგზავნე და გვიან რად შეგიტყვია?

— მოციქული არ გვინახავს. ორმა უცნობმა მხედარმა შემთხვევით მაცნობა, ღართისკარს რომ მივდიოდი და მაშინვე უკან გამოვბრუნდი. ჯარს თავი მოვუყარე და ჭენებით წამოვედით.

ერეკლემ ღრმად ამოიოხრა, რაკიღა მოციქულის სიკეთეში ეჭვი შეეპარა. მერე პაპა ბერიშვილს, ჯიმშერ ჩოლოყაშვილსა და სიმონ მაყაშვილს მიუბრუნდა და გადაჭრით განუცხადა:

— ადით თელავში, იქაური საქმეები გაარიგეთ და თიფლიზს მიახელით!

— მტერი?

— მტერი გამოღმა ვერ გამობედავს. ვერ წარმოიდგენს, თუ ასე მცირე ლაშქარი გვყავდა და ჩასაფრებული ვეგულებოდით. ეგეც არ იყოს, ხიდი მოიშალა და ალაზანი კი დღითიდღე დიდდება. მალე ისე აყეფდება, ხერგებს მოიტანს და წყლის ჩამოჯდომას უნდა დაელოდნენ.

— თქვენ?

— ჩვენ აქედანვე თიფლიზს წავალთ, მანავზე გავლით.

— ჩვენ? — იკითხა დავითმა, რომელიც დაჟინებით შეჰყურებდა ერეკლეს, მაგრამ მის თვალებში ქრთილისოდენა შიშიც ვერ იპოვნა. მხოლოდ რისხვა, ძლევამოსილება და მომავალის რწმენა იხატებოდა.

— ამათთან დარჩით. სოფლებში პური აკრიფეთ ჩემი სახელით და ლაშქარს ის აჭამეთ. ძაღლისშვილი აჯი ჩელები გამოღმა გამო-

სვლას შეეცდება, რაკიღა სხვა გზა არ გააჩნია და, ვინძლო ქვეყანა არ ააოხრებინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც გვიბრძანებ.

— ალაზნისპირა ციხეებში ჩაემატენით და ისე დაელოდეთ. როცა შეიტყოთ თავის ქვეყანაში წავიდაო, მაშინღა დაიძარით ქართლისკენ. ჩვენ რომ მუდმივი ჯარი გვყავდეს...

— რუსებს ჰყოლიათ გაწყობილი ჯარი, — თქვა სვიმონ მაყაშვილმა.

— ჩვენც გვეყოლება.

— თურმე სუ დალაბანდის ბრახუნით დადიან ომში, — დაამატა მანავის მოურავმა ჩერქეზიშვილმა.

ლაშქრიანი სტუმარი

— მეფე მობრძანდება!

— მეფე მობრძანდება!!

— მეფე მობრძანდება!!! — ერთურთს გადასცეს ეს ორი სიტყვა თანდათან შემაღლებული ტონით, მაგრამ შემდეგ ისევ თანდათან ძირს დაეშვა და არაგვის ბატონამდე ჩურჩულმა მიაღწია.

— მეფე მობრძანდებაო?! — წამოიმართა მხართეძოზე წამოწოლილი არაგვის ერისთავი და ისე შეკრთა, რომ ვერ გაუგებდით, ეწყინა თუ გაუხარდა. მერე კი, როცა ღილ-კილოები გაისწორა და ქამარ-ხანჯალი შემოირტყა, შემკრთალი ხმით დაამატა: — მობრძანდეს, ბატონო, სტუმარი ღვთისაა!

— მეფე მობრძანდება!.. მეფე მობრძანდება!.. — გრძელდებოდა ჩურჩული და ურთიერთხარება.

— რომელი მეფე?

— ჰო, მართლა, რომელი მეფე? — იკითხა ერისთავმა.

— მეფე ერეკლე.

ოდნავ შეიჭმუხნა არაგვის ბატონი და გულში უსიამო გრძნობამ დაუარა, მაგრამ მალე ისევ მხიარული სახე მიიღო და ნელი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან ეზოში, ეზოდან კი ციხის კარიბჭისკენ.

რომ არ გაუღოს?.. მაგრამ რკინის ჭიშკარი უკვე ღია დახვდა და ამან განაცვიფრა, თუმცა განცვიფრებისთვის დრო აღარ იყო და იმის ნიშნად, რომ გახარებული ვარო, სახეზე ღიმილის მზე აითამაშა.

— ფიანდაზები დაუფინეთ მეფეს, ფიანდაზები!

მსახურნი დაფაცურდნენ, აჩურჩულდნენ, გამხიარულდნენ და უმალ საზეიმო ელფერი მიიღო არაგვის ერისთავის ციხე-სასახლეს.

— ფართოდ გახსენით ჭიშკარი! — ბრძანა ერისთავმა, თუმცა ჭიშკარი უკვე ფართოდ იყო გაღებული და მეფის შემობრძანებას ელოდა.

თორ-მუზარადით მოსილ ერეკლეს შავი ტაიჭი დინჯად მიჰყავდა, ქეშად შემართულ აღმართზე. ოდნავგაღიმებულ სახეზე დროდადრო უნდობლობის ღრუბელი გადაურბენდა ხოლმე, მაგრამ მალევე უქრებოდა, როგორც კი მარცხნივ წამომდგარ შვინდნარიანი ხეობისკენ მიაპყრობდა მზერას. შვინდები უკვე აყვავებულიყო და ხეობა აეფერადებინა.

წინ ორი ჭაბუკი მიუძღოდა ერეკლეს, მარჯვნივ მამუკა და ძაღლიკა მიჰყვებოდნენ, მარცხნივ — თორღვა და აბაი, უკანიდან კი ერთგული ამალა მიაცილებდა. მათ შორის საბრძოლოდ მოსილი პაპა ბებურიშვილი, ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, სვიმონ მაყაშვილი და რამდენიმე სხვა დიდებული.

მეფეს შვიდი პირადი მცველი უნდა ჰყავდეს და ექვსი ჰყავს, ორი უნდა ჰკლებოდა და ერთი აკლია. ამქვეყნად შეუცვლელი არავინ არის, მაგრამ სამაგიეროს მოძებნა ხშირად ძნელია.

— მობრძანდით, მეფეო, ღირსი არა ვარ თქვენი სტუმრობისა, მაგრამ მაინც მიკადრეთ! — თავი დახარა არაგვის ერისთავმა, ზემოთ აპრეხილ ულვაშზე ხელი აისვა და შეეცადა, მეფისთვის ცხენიდან ჩამოსვლისას უზანგი დაეჭირა, მაგრამ ერეკლე ისეთი სისწრაფით მოსხლტა ცხენიდან, რომ არაგვის ერისთავმა ხელის გაწვდაც კი ვერ მოასწრო.

კიბე აიარა ერეკლემ და ეზო გულდასმით მოათვალიერა.

— ყოველივე კარგად მოგიწყვია... ბევრი რამ დაგიმშვენებია, რაც აქ არ ვყოფილვარ.

— დარბაზში უკეთეს სურათს ნახავს დიდებული მეფე.

მეფემ არა უპასუხა რა, გულში კი ეს გაიფიქრა: ერეკლეს სადარბაზოდ არ სცალია, სასწრაფო საქმე აქვს და ორ დღეში ისევ სასახლეში უნდა გაჩნდესო.

წყალსაცავი ჭა რომ გულდასმით დაათვალიერა მეფემ, ციხის ზღუდესთან მივიდა, რომელიც არაგვის ხეობას გადასცქერდა. აქედან ჯერ ხეობა შეათვალიერა და შემდეგ კი შეუპოვარი კოშკის ჯერ ისევ შეკვამლულ კედლებს გაუსწორა მზერა.

ხალხის ცხოვრება ურთიერთქიშპი და ბრძოლა ყოფილა. არც დაუსვენია და არც დაისვენებს ადამის მოდგმა. რამდენს ეცადნენ ერეკლე და მამამისი, მაგრამ ხმალი ქარქაშში ვერ ჩააგეს. მამა ქართლის მეფე მეორე თეიმურაზი. ჭარში რომ ბრძოლის დაწყება არ დაეჩქარებინა, არ დამარცხდებოდნენ. ყოველი საქმის დასაწყისს თავისი ყავლი და ტაროსი სჭირდება. ძალითა და აჩქარებით არა კეთდება რა. ეს ყოველივე თეიმურაზმა ასწავლა, მარგამ ჭარში რა დაემართა, კაცი ვერ გაიგებს?.. თუმცა არა, ჭარის მარცხი ერისთავების ბრალია. ამათ რო ჯარი გამოეგზავნათ, მაჰმადიან ხანებს აღარ დაეყრდნობოდნენ, რა დღეც ამათ ეწიათ, იმათ უარეს დღეში ჩაგდებდნენ. სხვის სიკეთეს რატომ მოითხოვ, როცა შენი გღალატობს?

ერეკლეს თავისი განრისხებისა შეეშინდა და ბრაზი დაიცხრო. იქაურობა ერთხელ კიდევ მოათვალიერა და შეუპოვარ კოშკს მიაპყრო მზერა.

ეს კოშკი ერთხელ შანშემ ცეცხლს მისცა და ისევ ფეხზე დგას. კაცის გულს კი ერთი ნაპერწკალი ჰყოფნის, რომ აბედივით ჩაანავლოს. ნეტავი მაშინ შანშე ტყუოდა თუ ბარძიმ ერისთავი? ალბათ ორივე, რაკიღა ორნივ მძიმედ დასაჯა უფალმა.

— შანშე ხომ არ გმტრობს? — იკითხა ერეკლემ არაგვის ერისთავის გასაგონად.

— არა, მეფეო.

— მაშ, სიამტკბილობით ცხოვრობთ? — არაგვისკენ გაიხედა ერეკლემ და ისეთი სახე მიიღო, თითქოს პასუხს არც მოელოდა.

— ჰო... არც ისე... — დაებნა პასუხი, — დარბაზში მობრძანდით, მეფეო, ახლავე სადილის თადარიგს შევუდგებით!

— სადილად რას მიპირებ? — გაეღიმა ერეკლეს.

— ძროხას დავკლავ და ჭედილებსაც დავახოცინებ.

— ჩემი ლაშქრისთვის დიდძალი ხარჯი დაგჭირდება და არ მემეტები! — თვალებით გზისკენ მიანიშნა ერეკლემ და ამოიოხრა: — ციხის კლიტენი ჩააბარე! — ანიშნა ჯიმშერზე და ისევ არაგვის ხეობისკენ გაიხედა, სადაც უკვე ერეკლეს ჯარი შემოეფინა.

— კლიტენი? — ძლივს ამოღერღა ერისთავმა.

— დიახ, ყველა კლიტე და გასაღები ჯიმშერ ჩოლოყაშვილს ჩააბარე!.. ნუ აგვიანებ!.. შენი მზირები შეპყრობილნი არიან და შენც შეგიპყრობენ, თუ საჩქაროდ არ დაემორჩილები ბრძანებას!

— ყოველივეს შევასრულებ, მეფეო, მაგრამ, ხომ უნდა შევიტყო, რა დავაშავე?

— ახლავე შეიტყობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ერისთავის მსახურმა ყველა გასაღები გამოიტანა და ჯიმშერს ჩააბარა, შეკარითო, ბრძანა ერეკლემ ერისთავზე და სახლთუხუცესს კი ჯიმშერთან გაყოლა და ყველა კლიტეთა გაღება უბრძანა.

მცირე ხნის შემდეგ უმზეოდ გაყვითლებული და ჯდომისაგან დაჯირჯვლებული შიო და ივანე წარუდგინეს მეფეს. სხვა დილეგიდან კი ის შიკრიკები ამოიყვანეს, ამას წინათ რომ ჩრდილო კავკასიაში გაგზავნა ერეკლემ, ჯარის საქირავებლად.

— აი, ვინ ამარცხებს ქართველებს და ჩვენ კი გარეთ ვეძებთ საქართველოს მტრებს?! — განრისხდა ერეკლე, — ისე გათოკეთ, სისხლი სდიოდეს! თვალებს ამოუშანთავდი, მაგრამ შანთიც წაიბილწება მაგასთან შეხებით. გამარიდეთ!.. — ყრუდ თქვა მეფემ და ეზოში სიარულს მოუმატა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მრისხანების დაოკება უჭირდა, — თქვენ რაღა დარდუბალა შეგიდგათ და დამბლა დაგეცათ მაგ დევის ხელ-ფეხში?! — მიუბრუნდა შიოს და ივანეს, — როგორ შეგიპყროთ?!

ძმებმა მეფის მრისხანებას ვერა უპასუხეს რა, დამნაშავეებივით გახედეს ერთურთს და თავი ჩაღუნეს.

ერეკლეც დადუმდა და, აღარ იცოდა, ბრაზის ხანძარი როგორ ჩაექრო. რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ცხარე ნაბიჯით, ის იყო, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, რომ ღია ჭიშკარში თბილისელი მაცნე შემოვიდა. ერეკლეს მოწიწებით მიეახლა, თაყვანი სცა და მოახსენა:

— აზატ ხანი ერევანს შემოადგა, სომხის კათალიკოსი დახმარებას თხოულობს და თეიმურაზ მეფემ ამიტომ მაახლაო თქვენთან.

ერეკლეს ხმა არ ამოუღია. იგრძნო, რომ მარჯვენა მხარი აუკანკალდა და, შეეცადა, სხვებს არ შეემჩნიათ. საკმაოდ მოზრდილი, ხშირი წვერი მუჭით ჩამოიწურა, მზერა ისევ არაგვის ხეობას მიაპყრო და ქვის ქანდაკებას დაემსგავსა.

— ჩვენც გეახლებით, მეფეო! — გაბედა ივანემ.

— არა. შინ წადით, გამოკეთდით და თავად გიხმობთ, როცა დრო იქნება.

რკალი და ხოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრიოკ მიწაზე გულაღმა გაშხლართულიყო ერეკლეს ლაშქარი. შიგადაშიგ კარვები იდგა დიდებულთათვის. რიგით მოლაშქრეებს ჯერ ვერ მოესწროთ კარავთა დადგმა და ღია ცის ქვეშ ისვენებდნენ. ცა იყო ულრუბლო და ვარსკვლავებით მოჭედილი.

დროდადრო ცხენთა ფრუტუნი და კაცთა ჩახველება არღვევდა მყუდროებას. ვინც სმენას დაძაბავდა, ჩურჩულ-გადალაპარაკებასაც გაიგონებდა. დანარჩენ დროს კი ჭრიჭინობლების გაბმული ჭიჭინი ისმოდა, რომელსაც კუტკალიების ზრუნი უერთდებოდა. დღის ხვატი ღამითაც არ განელებულიყო და მგზავრობით დაღლილ მეომრებს სუნთქვას უძნელებდა. ნამგზავრებს მცირეოდენი ხემსი მოესწროთ და გულაღმა მწოლარენი ვარსკვლავებს შესცქეროდნენ ხვალის იმედად.

ერეკლე კარვის წინ ლოდზე ჩამომჯდარიყო და ფიქრს მისცემოდა.

ხვალ ალბათ სომხის კათალიკოსი გამობრძანდება და პირჯვარს გადასწერს... სულერთია, მაინც შეებმება აზატ ხანს. ამბობენ, ურიცხვი ლაშქარი ჰყავსო, მაგრამ ლაშქრის სიმრავლე ვერას გავნებს, თუ თავი გახლავს, გული არ გიკრთის და მკლავ-მუხლიც მოგყვება. ომში აფიცხება ფრიად საჭიროა, მაგრამ მღელვარება ავის მომტანია. ჭარ-ბელაქანში გამართული ბრძოლის დროს საშინელი მღელვარება დაეუფლა და ველარ დაიცხრო. ან კი როგორ არ აღელდებოდა, როცა მოკეთედ ვინც მიაჩნდა, მტრად შეუდგა და ზურგიდან დაუწყო სროლა. აქეთ-იქით ჩასაფრებული მტრებიც ჭინკებივით გამოცვივდნენ და ლაქაშებში მიმწყვდეული ქართველები კი ცხენებს ველარ იარშიებდნენ, ჭყანტობში ეფლობოდნენ და ხმლისმოუქნევლად იღუპებოდნენ. ო, აღარ უნდა იმ დღის გახსენება, მაგრამ თვალთაგან არ შორდება... არა, ომის ღმერთი მაშინ ერეკლეს მტრისკენ იყო. რაღაც აწყენინა ერეკლემ და ამიტომ განუდგა. არც ერთ ომში ასეთი გაუგონარი ღალატი და ლაშქრის დაბნეულობა არ მომხდარა.

ერეკლეს ბრაზისაგან მარჯვენა მხარი აუტოკდა. ბრაზისგან თუ ხმლის ქნევა მოშივდა ურჩი მტრების დასასჯელად? ღალატი მაინც საშნიელებაა. ღალატი რომ არა, არც ერთ ომში არ დაუმარცხდებოდა ქართველებს, მარტო ახლა კი არა, ოდითგან მოყოლებული.

სულ ერთია, მაინც არ შეარჩენს აჯი ჩელებს ამ მუხანათობას, განჯის ხანსაც საკადრისად დასჯის და სხვათაც მოაშთობს! ჯერ ერეკლეს მიეშველება, აზატ ხანის ალყისგან დაიხსნის და მერმე ... რებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზვერავნი დაბრუნდნენ, მეფეო, — მოახსენა მხლებელმა.

— მოვიდნენ.!

ორი მზვერავი ეახლა მეფეს.

ერეკლე სმენად გადაიქცა, მარცხენა მუჭით წვერი ჩაბლუჯა, ნიკაპი შეაბრუნა და ამომავალი მთვარის შუქზე ქანდაკებას დაემგვანა.

— ოცი ათასი ჯარი ჰყავს აზატ ხანს, მეფეო, ციხეს გარს შემოსდგომია და მეციხოვნე ჯარი შიმშილობს.

— ქალაქში შესვლა თუ შეიძლება?

— ქალაქში შესვლა შეიძლება, მაგრამ ჯარი ვერ შევა.

— ქალაქს თუ ეშოვება სანოვაგე?

— ქალაქსაც უჭირს. ყანას ვერ ვმკითო, ხვალ კათალიკოსი გეახლებათ და ყოველივეს მოგახსენებთ.

— შენ რაღას მეტყვი? — მიუბრუნდა ერეკლე მეორე მზვერავს, როცა პირველთან საუბარი მოთავებულად ჩათვალა.

— ორმოცი ათასი ჯარი ჰყავსო. ქალაქელებიცა და მეციხოვნენიც დიდად შიმშილობენ და მალე დაეცემა ციხეც და ქალაქიც. შიშველი ბალღები შიმშილით ღნავიან და ცოდვით დავიწვი.

— მდივან-მწიგნობარს დამიძახეთ!

მზვერავები წამსვე გაეცალნენ და მდივანბეგი ომან ხერხეულიძე ეახლა მეფეს.

— სამხედრო საბჭო!

მცირე ხანში ყველა თავადი და დიდებული ერეკლეს კარვის წინ შეგროვდა. ზოგნი ლოდებზე ჩამოსხდნენ და ზოგი ფეხზე დარჩა.

— ჯარის რიცხვი მაუწყე დოსტოღრივ!

— სამასი საარაგვოდან არის, ჯიმშერის მეთაურობით, — გაზეპირებით დაიწყო ომან ხერხეულიძემ, — ორასი — თიანეთიდან, ორასი — საციციანოდან. ასი პაატა აბაშიძეს გამოუგზავნია, მაგრამ თავად შეუძლოდ ყოფილა და ვერ გხლებია, ასორმოცდაათი საავალიშვილოდან არის, ასიოდე ამილახვრიანთი, ორასი — მუხრანბატონისა, ორასი — ორბელიან-ბარათაშვილებისა, ორასი — მაჩაბლისა,

ორასი — თარხნიშვილებისა, ასორმოცდაათი ქსნისხეველია დავითის სარდლობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შანშეს ძე ზურაბი თუ გამოჩენილა სადმე?

— არა.

— სხვა?

— ყაზახ-ბორჩალოდანაც რამდენიმე ასი კაცია, კახელნი და ფშავ-ხევსურნი კიდევ... თქვენ გიბრძანებიათ, რომ ყველა არ წამოსულიყო, ლეკს დაუდარაჯდესო. ყარაჩოხელებიც ქალაქში დარჩნენ ლეკთაგან დასაცავად... ორასი იმერელია და ასი მეგრელიც გამოგვყვა...

— მთლიანად ორი ათასი ხომ იქნება?

— სამი ათასამდეა, მაგრამ... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

— რაო?

— ვიეთნი ამბობენ, გაცლა სჯობსო.

— როგორ თუ გაცლა?! — ფეხზე წამოიჭრა ერეკლე და უმალ ყველას სუნთქვა შეეკრა, — ვინ ამბობს მაგას?

— მრავალნი გაიძახიან, მეფეო, ჩამოთვლა გაჭირდება... როგორც ჭარს წავხდით, აქაც თუ ისე დაგვიმარცხდა, თავი აღარ გამოგვეყოფაო.

— ვისაც ჩვენი გამარჯვებისა არ სჯერა, ამაღამვე გაერიდნენ ბრძოლის ველს! — ბრძანა ერეკლემ, როცა კარვის წინ გაიარ-გამოიარა და უეცრად შეჩერდა, — მირჩევია, ორასი ერთგული კაცი მყავდეს, ვიდრე ორგულთა ლაშქრის იმედად ვიყო. ვაჟკაცს მარტოდენ სირცხვილის შიში უნდა ჰქონდეს და არა — მარცხისა! ერთ დღეს თუ დაგიმარცხდა, მეორე დღეს გაგემარჯვება, თუ სიმტკიცემ არ გიღალატა! იცოდეთ, მე აზატ ხანის შეუბმელად არ დავდგები! ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან და უნამუსოდ სიკვდილს გადაგვყრიან. ქალაქში შემოგვიცვივიან და ოჯახებს აგვიწიოკებენ, ქალებს შეგვიბილწავენ და ჩვენს შვილებს თახსირებად წაიყვანენ!.. ეგეც არ იყოს, ნაზრახი სიცოცხლე რა თავში ვიხალოთ?! აქ ჩვენი მოძმე განსაცდელში იყოს, იმედად და მწედ შემოგვყურებდეს და ჩვენ კი უიმედოდ დავეყაროთ და ბრძოლის ველი მივატოვოთ? ეგ რაღა ქართველობა გამოგვივა?

— არ გავექცევით, მეფეო! — იმედიანად შეეპასუხა რევაზ ორბელიანი და თავის სასარდლოსკენ ხელი გაიშვირა, — იყავ დღეგრძელი და მოძმის თავს არვის დავაჩაგვრინებთ!

ამ ხმას ჯიმშერ ჩოლოყაშვილის, კონსტანტინე მუხრან-ბატონის და სხვათა ხმები მიემატა და ერთბაშად ყველა გამოცოცხლდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზად ვართ, შევებნეთ!

— უნამუსო სიცოცხლეს ნამუსიანი სიკვდილი გვიჯობს!

ერეკლეს ნადირ-შაჰის თათბირი გაახსენდა, მდინარე ქიზოს ნაპირზე, და უფრო გამხნევდა:

— თუ გაგვემარჯვება, ყოველივეს წავგვრით აზატ ხანს და გამდიდრებულნი დავბრუნდებით, თუ არა და... შთამომავალნი ვერ დაგვზრახავენ, ჩვენნი მამანი ჯაბანნი იყვნენ და მოძმენი განსაცდელს შეატოვესო.

— განსაცდელს არ დავანებოთ სომეხი ერი!

— ეგენიც ჩვენი ძმანი არიან!

— ბრალია, დაიღუპნენ!

— თუ სომეხი ერი დაიღუპება, — განაგრძო ერეკლემ, — კავკასიაში ქრისტიანობა გამოსწყდება და ჩვენც საფრთხე გველის!

— ჭეშმარიტებაა, მეფეო!

— მართალი ბრძანებაა!

მთვარემ შარავანდედი მოჰფინა ერეკლეს შუბლს და კარვის გასწვრივ ქრისტეს მსგავსი კაცის ჩრდილი გაართხო მიწას.

* * *

— ნეტავი გამაგებინა, რასა ფიქრობს ეხლა ჩვენი მეფე? — დააჩურჩულა ვიღაცამ კახელებში, რომლებიც სურვილით წამოსულიყვნენ ლაშქრად, ერეკლე არავინ მოგვიკლასო. ახლა ერთმანეთზე საცალოებივით მიყრილიყვნენ და ზოგნი თუ მთვარის ამოსვლას შეჰყურებდნენ, ზოგნი ვარსკვლავებს შესცქეროდნენ დანანებით, მთვარის შუქით რომ თანდათან მკრთალდებოდნენ.

— მეფე ალბათ ღმერთთან ლაპარაკობს და ჩვენ რას გავიგებთ?! — თქვა მეორემ.

— თუ ღმერთთან ლაპარაკობს, იმასთან რად დაგვიმარცხა ჯარი, ჩალაბულაა, რაღაცა?

— ვინ ჩალაბულაა?.. ჩალაბულა კი არა, აჩალაბულაა... ჰაჰაჰაჰა!..

— ეე, ვეტრაან, აჩალაბულა კი არა, აჯი ჩალაბულაა... — დააზუსტა მესამემ.

— ვინც არი, სუ ერთია... ჰოდა, რად დაგვამარცხა?

— ალყაში მოუქცევია და რაღას გახდებოდა?.. შენ თუ იცი, არც ერთი კაცი აღარ წამოუყვანია საომრად, ვინც კი იმ ომში იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, კაცო?

— იმიტომა, რომ წამხდრები იქნებიანო.

— წამხდრები არ იქნებიან, მაგრამ დაისვენონო. საერთოდაც მეფე ერეკლე ერთ ომში რო კაცს წაიყვანს, მეორეში დაასვენებს ხოლმე.

— თითონ რასა შვრება?

— თითონ რა დაასვენებს, შე ვეტრანავ?!. ერთხელაც რო დაისვენოს, მოგჭამა ჭირი!

— მამას დაასვენებს ხოლმეო?

— მამა სხვა არი და ეგ კიდევ სხვაა. ამბობენ, ომში წასვლა თუ დაუგვიანდა, მარჯვენა მკლავი აუტოკდება ხოლმეო ხმლის საქნევად.

— მარცხენითაც იქნევსო, მე გამიგონია.

— ეგ მეც გამიგონია. ის თუ იცი, ხმალი რო ეჩურჩულება ხოლმე რაღაცეებს?

— ხმალიც და თოფიც ემუსაიფებიანო, როცა მარტონი რჩებიან.

— ცხენი?

— ცხენმა ხო ყველაფერი იცის.

— ის მისანი ცხენი აღარა ჰყავსო? ჭარში მოჰკვდომიაო?

— როგორ არა ჰყავ? დათუნამ გადაარჩინა და ქალაქს ჩამოუყვანა. ჭრილობა მოუშუშდებაო და ისევ შაჯდებაო.

— ჰე, ბიჭო, რა მაგრა დაუსაჩუქრებია დათუნა!

— ვიცი. ერთი ქისა ოქრო აჩუქა და აზნაურობა მისცაო.

— ხალათ-შარვალიცაო და ქამარ-ხანჯალიცაო.

— დედოფალმა აკოცაო, კაცო?!

— თქვენ ეგრე გალაპარაკათ და მე კიდე ის გამაგებინა, ხვალ რანაირი დღე გაგვითენდება? — ამოიოხრა ქიზიყელმა ვანუამ, მუტრუკას ბიჭს რომ ეძახდნენ. ლოგინად ჩავარდნილი მამის უჩუმრა გამოპარულიყო ერეკლეს ჯარში, მერე ქოფაკივით გასიებული თავი მეზობლის ბარძაყიდან ძირს ჩააცურა, ორივე ხელი თავქვეშ ამოიდო და გულაღმა გაიშხლართა.

— შენ აგაშენა ღმერთმა! — თავისუფლად ამოისუნთქა დამსუბუქებული ბარძაყის პატრონმა, — სანამ მტერთან მიუშვებენ, კინაღამ მე არ მამკლა.

— აგე, ის მასკვლავი ჩემია, აგე! — დაიჩემა ვანუამ ყველაზე ბდღვრიალა ვარსკვლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ხო ხარიპარიაა, ვერან?! — დატუქსა ვიღაცამ.

— ხარიპარია იყოს რა! ეგ როცა ჩავარდება, მაშინ მოვკვდები.

— შენი მასკვლავი ეგ კი არ არი, აგე ის არი, აგე, წვრილშვილი რო შემოხვევია.

— მართლა ეგ არი, განა!... — გაეცინა ვანუას, — ეგ არი და მე კიდე ის მეგონა.

— არც ეგ არი! — ჩაერია მესამე, — შენი მასკვლავი ჯერ არ ამოსულა და არც ამოვა!

— ეგე, სიმართლე თუ გინდა! გლეხს ვინ მისცა მასკვლავი, შე უბედურო?! ეგ მასკვლავები თავადებისაა!

— კიდევაც რო! — დაუმოწმა მეზობელმა, — ის მთვარე მეფეა, მსხვილი მასკვლავები თავადები არიან და აის წვრილ-წვრილნი კიდე — აზნაურები. ჩვენი მასკვლავები არც ამოსულა და არც ამოვა.

— მეფისა მზე არი, ვეტრან! — შეუსწორა ვიღაც გონიერმა.

— დღისით მზეა და ღამით მთვარეა.

— ეგ როგორა, მზეცა და მთვარეც მეფისაა?

— მა, რა გგონია?

— რომელი მეფისა?

— ერეკლესი.

— თეიმურაზისა?

— ეგ აღარ ვიცი.

— შე მართლა ვეტრანავ, — გაეპასუხა იმ ვიღაც გონიერს, მხედრებს თავგზა რომ აუბნია ზეცის საიდუმლოების ამოცნობაში, — მზე თუ ერეკლესია, სხვა ქვეყნის მეფეებს რაღა დარჩებათ.

— სხვა ქვეყნებშიც ხო არი მზე და მთვარე, ისინი კიდე იმათი იქნება! — კამათში ჩაერია უფრო გონიერი.

— მზეცა და მთვარეც ერთია მთელ ქვეყანაზე, შე ბეჩავო!

— ბეჩავი შენა ხარ, ეგრე რო გგონებია!.. სხვისი ქვეყნიდან ჩვენი მზე და მთვარე როგო უნდა დაინახონ, შე მუდრეგო?!

— მუდრეგი რო არ იყო, მაგას იტყოდი?!

— ნეტა თქვენ მაგრე გაყატიყუტათ და, მაცოდინა, ეხლა ჩემი ბალღები რასა ჩადიან მშიერ-მწყურვალნი?! — გვერდი იცვალა ვანუამ, წელან რომ ვარსკვლავებზე ატეხა კამათი.

— განა არ ვიცი, რო იმათ გემეექეცი, შე სამგლევ, შენა! — შენიშნა მეორემ და ახლა სხვა არხში გადაინაცვლა საუბარმა.

მეორე ჯგუფში, რომელშიც უმეტესად ქართლელები [illegible] ასე საუბრობდნენ:

— მიხოს ბიჭო, აბა, თუ იცი, ჩვენი მეფე რატო არ წამოუყვანია ერეკლესა?

— რომელი ჩვენი მეფე?

— ჩვენი მეფე არ იცი?

— როგორ არ ვიცი? ის ხო იქ მოკვდა, რუსეთშია.

— მაგას კი არ გეუბნები, შე ტეტიავ?

— აბა, მა ვისა?

— თეიმურაზსა.

— ჰოო, რატომაო?

— ჭარში რო მაგითვი არ დამეჯერებინა, გავიმარჯვებდიო.

— მა?

— რა მაის გაიძახი, ეგრე კია და!

— მაგიტომ კი არაო, ქალაქიო ლეკებმა არ აიღონო. კახელებიც იმიტო ახლავს ცოტა, თელავი არ წაახდინონო.

— მაგიტო კი არაო, უფრთხილდებაო, რო ბევრი არ დაიხოცოს ომშიაო, — გამოიცნო ვიღაც ჭკვიანმა.

— ნეტაი მაცოდინა, ერეკლე მეტი ჭკვიანია თუ თეიმურაზ მეფე?

— ჭკვიანი შენა ხარ, მაგის გაგება რომ მოგინდომებია.

— შენზე ჭკვიანი მაინცა ვარ და, მეფედ რო დამსვან, თავს მოგკვეთავდი ემაგი თქმითვინა.

— იზამ, ისეთი მამაძაღლი ხარ და ამიტომაც არა გსვამენ მეფედა.

— თქვენ ეგრე გალაპარაკათ და მე კიდე ის მაცოდინა, ჩემ ნანინატრად მოვლილ ხოდაბუნს ლეკი გადამიწვამს თუ სამადლოდ მამიმკის ვინმე? — ამოიოხრა მესამემ.

— შინ რომ ყმაწვილსა შიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო? — იკითხა მეოთხემ, — ბალღები მშივრები გვეხოცებიან და აქ კიდე სომხებს ვეხმარებით.

— შენც ხო სომეხი ხარ და მაგას რად ამბობ, შე მამაძაღლო? — შენიშნა ვიღაცამ.

— თუ წავახდინეთ ეს ვინცხა აზატ ხანი, განძით ევივსებით, —

საუბრობდნენ მესამე ჯგუფში. — კი ღირს დაბრუნება იმერეთში.

— ამბობენ, ალექსანდრე მიიცვალა და სოლომონი გამეფდა. კი ღირს, თუ ივარგა იმ ვინცხა სოლომონმა!

— დადიანსა და რაჭის ერისთავს არ ნებავსო მისი გამეფება! — ჩაერია უფრო მცოდნე მეომარი.

— ამ ჩვენს ერეკლე მეფეს რომ რაცხა ჭკვა ჰქონდეს, გადევიდოდა ლიხთიმერეთში და შეიერთებდა.

— რას შეიერთებდა, შე უპატრონო? — იწყინა ვიღაცამ, — რავა?

— რავა და ერთი ქვეყანა იქნებოდა. მერე მოვდგებოდით და ვილაშქრებდით საცხა. სხვას წავახდენდით და განძით ევივსებოდით.

ფშავნი და თიანელნი კაფიობდნენ და ქვრივებს უხსენებდნენ ერთურთს. ხევსურნი იბოღმებოდნენ, ბრძოლა რომ გვიანდებოდა, მთიულნი დუმდნენ და სხვანი კი ოხუნჯობდნენ მომავალი ბრძოლის მოლოდინში.

მთვარე თანდათან მაღლდებოდა და მისი სხივები ღრიჭოდ დარჩენილ კარებიდან ერევნის დიდ-პატარას ეჩურჩულებოდა: ნუ გეშინიათ, საქართველოდან ჩამოსულან თქვენს დასახსნელად და მტერს არ გაახარებენ! ყანასაც მოგიმკიან, გაგილეწავენ, დაგიფქვავენ და შემოგაწვდიან!..

გამთენიისას კიდევ მოვიდნენ ახალი მაცნენი. მტრის განლაგება თვალნათლივ დახატეს და ალყაში მოქცეულ ერევნელთა მდგომარეობა დაწვრილებით მოახსენეს ერეკლეს. უბედურება ის იყო, რომ ხალხი შიმშილით იხოცებოდა და ყანები კი გადამწიფებულიყო და მარცვალი მიწაში ცვიოდა.

— დღეს ყანებს მოვმკით! — ბრძანა ერეკლემ და ყველა მოლაშქრე სახტად დარჩა.

* * *

როცა აზატ ხანი შებმას ელოდა, ქართველი მხედრები ყანასა მკიდნენ და კალოებს ტკეპნიდნენ. ერევნელებმა რომ ფქვილით სავსე ვაშკარანები დაინახეს, მეტი სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცვივდათ.

აზატ ხანი მიხვდა, ალყაშემორტყმულებმა რომ პურის მარაგი

მიიღეს და მის ჯარს კი გზები გადუღობეს, სურსათი არსაიდან მიაწოდონო, და ალყა დაშალა. არადა, თვითონ მოექცეოდა ორმხრივ ალყაში და მისი ჯარი შიმშილით ამოწყდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ახლა გვმართებს ვაჟკაცობა და შემართება! — განუცხადა ერეკლემ თავის სარდლებს და დიდებულებს, როცა ალყის მოხსნის ამბავი აცნობეს. მინდვრად გაგზავნილი ყველა ჯარისკაცი ისევ საომრად განაწყო და ლაშქარი განალაგა.

მეწინავედ ჯიმშერ ჩოლოყაშვილის ჯარი გაუშვა ერეკლემ, მარჯვენა ფრთაზე — კონსტანტინე მუხრან-ბატონი, მარცხენაზე — ახალგაზრდა რევაზ ორბელიანი, ცენტრი თვითონ დაიკავა და ავანგარდში კი ფშავ-ხევსურთა და კახთა რაზმები მოიტოვა, სვიმონ ჩოლოყაშვილის საერთო ხელმძღვანელობით. მათ უბრძანა: ვინც მტერს ზურგი უჩვენოს, მახვილი სცით და მახვილს თუ ვერ მიაწვდენთ, თოფი იხმარეთ, ეს იმიტომ, რომ ბრძოლის ველიდან გაქცეული ერთი მხედარი ათას მტერზე უარესიაო.

დაფ-საყვირისა და ებან-წინწილის ხმაზე აიშალა ერეკლეს ლაშქარი ყირბულახიდან. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მტერზე მიპარვით არ მიდიოდნენ და აფრთხილებდნენ: მოვდივართ და დაგვხვდითო.

გზადგზა წინა ღამეებში გაგზავნილი მზვერავები ხვდებოდნენ, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ თვითონ აზატ ხანი მოემართებოდა მათკენ დიდძალი ლაშქრით, ლაშქრის ოდენობას კი გარკვევითი ვერ ასახელებდნენ. ერთი რომ ამბობდა, ორი ბევრიაო მისი ლაშქარი, მეორე ამტკიცებდა, სამი ბევრიაო, მესამეს კი ოთხი ბევრიც ეცოტავებოდა.

გაბრუნება ხომ არ აჯობებსო, ეს სიტყვები ბევრს მოადგა ენაზე, მაგრამ თქმა ვერავინ გაბედა, რაკიღა ამგვარი შეკითხვით ერთხელ უკვე განარისხეს მეფე.

ისე დინჯად და ფეხარევით მიჰყავდათ ცხენები, უცხო იფიქრებდა, საარხეინო საქმეზე მიდიანო.

ერეკლემ ცხენი გორაკზე ააგდო და ჭოგრიტით გაჰხედა. ჯერ პირდაპირ იყურა, მერე მარჯვნივ და მარცხნივ შეათვალიერა და გაღიმებული დაბრუნდა. თვაკაცები მიიხმო და ძუნწი თათბირი გამართა:

— ალყაში გვიქცევენ, მაგრამ ვერ დაგვამარცხებენ. კულიჯარი აქ გაჩერდეს და ალყა თუ შეიკრა, ზურგიდან დაარტყას! დანარჩენი

სვლას გავაგრძელებთ არხეინად. როგორც დავიქვეითო, ყველანი დაიქვეითებთ! სანამ თოფს არ გავისვრი, არც ერთმა არ ისროლოს! როგორც მე ვიმოქმედებ, თქვენც ისე იმოქმედეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის ნახევარი იქვე ჩასაფრდა და ნახევარი კი კვლავ დინჯი ნაბიჯით განაგრძობდა სვლას. უკვე უჭოგრიტოდაც მოჩანდა აზატ ხანის ლაშქრის ცენტრი, ფრთები კი, დიდი ხანია, გასცილდნენ და მალე ალბათ რკალს შემოარტყამენ. მთავარია ზურგში დარჩენილმა კუდის ლაშქარმა იმარჯვოს და, როგორც კი ერეკლე თოფს გაისვრის, სროლა ატეხონ და მტრის მეწინავე მარჯვენა და მარცხენა ფრთებს ერთურთთან შეერთება არ მოასწრებინონ, რათა მოსალოდნელი განსაცდელის ჟამს, უკანდასახევი გზა არ გადაუკეტონ.

ერეკლემ დაიქვეითა და სხვებმაც მიბაძეს. ცხენები დაისადავეს და დინჯი ნაბიჯით გაემართნენ მტრისკენ.

„სოლი თუ რკალი? ვნახოთ, რა აჯობებს?“ ფიქრობდა ერეკლე და წინ მიიწევდა. აი, უკვე ერთი ისრის გასროლის მანძილზე მიუახლოვდნენ. მტერი არ ისვრის, რაკიღა აქ საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მოწინააღმდეგეს რკალში იქცევს და თანაც საოცრად მცირერიცხოვანს. ნუთუ სულ ეს არის ერეკლეს ჯარი? აკი ამიტომაც დაუმარცხებიათ ამას წინათ ჭარ-ბელაქანში?

და როცა აზატ ხანი დარწმუნდა, ქართველთა ჯარი ტყვედ ჩავიგდეო, ერეკლე ცხენზე გადაევლო და პირველივე სროლით ჩამოაგდო მეწინავე მხედარი. ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, ერეკლეს მსგავსად იმოქმედა და, როცა ერეკლემ ხმალი იშიშვლა, მომყევითო, უკვე არევდარევა შეიჭრა მტრის ლაშქარში.

განაწყენებული მიჯნური

ორივე ხელი თავქვეშ ამოედო ლოგინზე გულაღმა მწოლ ნახევრადშიშველ პაატა აბაშიძეს და ჭერს მიშტერებოდა. ტახტის კიდეზე აზნაურ ქვლივიძის ქვრივი იჯდა და სევდიანი ღიმილით დაჰყურებდა აბაშიძის გრძლად-გაშხლართულ სხეულს.

ქვრივს საკინძე გახსნილი ჰქონდა და საოცრად თეთრი ძუძუები მოუჩანდა. პაატას დროდადრო თვალი გაექცეოდა ხოლმე ქვრივის ათქვირებული მკერდისაკენ, მაგრამ მზერას ისევ ჭერზე გადაიტანდა ხოლმე.

— აღარ გიყვარვარ! — ამოიოხრა ქვრივმა და საკინძე შეიბნია.

— როგორ არა! — არხეინად უპასუხა აბაშიძემ და თავადაც ამოიოხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ მხოლოდ მაშინ გიყვარდი.

— როდის? — აბაშიძემ თვალები უხალისოდ გადმოატრიალა და ქალის მაღალ, ნაოჭგაუჩენელ, ბროლივით უზადო ყელს გაუშტერა უწადინო მზერა.

— აი, მაშინ, ახალგათხოვილი რომ ვიყავი და მეფე ერეკლეს ქორწილში აღარ მომასვენე. საითაც გადავჯექი, თან მომყვებოდი.

— ჰოო... მაშინ კი... ისეთი სურვილი მქონდა, რომ პირდაპირ კბილები მექავებოდა.

— ახლა აღარ გექავება?

— ახლაც მექავება ხოლმე.

— ცხენები რომ იქავებენ ხოლმე კბილებს ერთმანეთის კისერზე... — ღიმილით დაიწყო ქვრივმა.

— დაგინახავს?

— როგორ არ დამინახავს?

— მეც სწორედ ისე მექავება ხოლმე.

— ახლა?

— ახლა იმდენად არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამექავება.

— საზიზღარო!

— მე ვარ საზიზღარი?

— დიახ!

— აბა, მაშ, ტუჩებს რომ ამომიწოწნი ხოლმე?

— აბა, როდის? — შუბლი შეიკრა ღიმილით და ბავშვივით ტუჩი ჩამოაგდო, თითქოს უნდა ატირდესო.

— აი, თუნდაც წელან... ახლაც შეგიძლია!

— ელოდე!

— ლოდინი არ მინდა, ახლავე შეგიძლია!

— გიხარია?

— მიხარია.

აღარ გაკოცებ!

— შენ დაზარალდები!

— ვნახოთ, ვინც დაზარალდება... არა, მაშინ რომ ჩემი ქმარი შემოგვსწრებოდა, ხომ იცოდი, რომ ხანჯალზე აგვაგებდა?

— ფეხებსაც ვერ დამაჭამდა... ახლა შემომისწროს, თუ ბიჭია?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რასაც ამბობენ, მართალია? — სევდიანი სახე მიიღო ქვრივმა.

— რას ამბობენ?

— პაატა აბაშიძემ მოაკვლევინაო?

— მე არა. ბაზიერებმა თუ მოინადირეს, არ ვიცი.

— ვიცი, მართალია.

— ხომ არ გედარდება? — აბაშიძემ ყელზე წკიპურტი გაჰკრა და მერე დააკვირდა, კანმა როგორ თანდათან იცვალა ფერი, სადაც წკიპურტი მოხვდა.

მაინც ლამაზია ეს მამაძაღლი! ძალიან ლამაზი რომ არ იყოს, აქამდე ჩამოეხსნებოდა... თუმცა ლამაზიცა და მშვენიერიც ერეკლეს დარეჯანზე ითქმის. ძაღლის ბედი აქვს: სამი ცოლი ჰყავდა და სამივე მზეთუნახავი. ყაფლანიშვილის ქალისთანა ვნებიანი და მოხდენილი მეორე არ მოიძებნებოდა დედამიწაზე. ანა ხომ უმეტესი იყო, ეს კი, სამეგრელოს უმშვენიერესი ასული... დარია თუ დარეჯანი... ღმერთო, დაიხსენი კაცი მისი ხორცისგან და თითებისგან!.. მის თითებს რომ უცქერის, ჟრუანტელი უვლის.

— ცოლი მყავსო, ერეკლემ უნდა დაიტრაბახოს! — ამოიოხრა პაატა აბაშიძემ.

— ძალიან ლამაზიაო, ამბობენ.

— გადასარევია.

— ჩემზე ლამაზია? — მაცდურად გაიღიმა ქვრივმა და ნუშისებრ თვალებში იმდენი ვნება აათამაშა, ქალის უნახავს გახდიდა მნახველს. ჩანს, შეეჯიბრა სილამაზეში თავისი უბადლო ღიმილით.

— შენზე? — შეხედა პაატამ და იმდენად მოეწონა, რომ ენა დაებორკა, — უნდოდა, ეთქვა, რა თქმა უნდა, ლამაზიაო, მაგრამ თქმა ველარ მოახერხა და თავი გაიქნია. მერე კი... — არა, შენზე ლამაზი არ იქნება!

— მატყუებ... ვიცი, რომ მატყუებ... — თავი მოიმტირალა ქვლიეიძის ქვრივმა, — ქმარიც მომიკალი და აღარც მე გიყვარვარ...

— არ გატყუებ.

— მაშ, დედოფალი ჩემზე ლამაზი არ არის? ამბობენ თექვსმეტი წლისაოო და...

— შენზე ლამაზი არ არის, მაგრამ... ის მშობელძაღლი, რატომ ტოვებს?

— როგორ თუ ტოვებს?

— თავად ომშია და ქალი კი — სასახლეში.

— მაშ, თან ხომ არ წაიყვანს?

— არ ვიცი. მე კი იმისთანა ლამაზს თავს ვერ დავანებებდი და...
— შენს ცოლზე ლამაზი მაინც არ იქნება და... არაფრად აგდებ.
— ბებერია.
— რამდენი წლისაა?
— ოცდაშვიდის.
— მაშინ მე მთლად ბებერი ვყოფილვარ.
— ის მაინც არ უნდა ტოვებდეს... — ამოიოხრა პაატამ.
— რაო, ხომ არ გიყვარს? — გაულიმა ეშმაკურად.
— სიყვარული რა შუაშია?.. ეგ რომ ერეკლემ გაიგოს...
— გეშინია?
— მე და შიში შორიშორსა ვართ, მაგრამ... — პაატა აბაშიძეს ლოყა აეწვა და ხელი მოისვა.
— დედამიწაზე ერეკლესი ყველას ეშინიაო, — გაიღიმა ქვრივმა და საკინძეს დაუწყო წვალება.
— თორემ აჯი ჩელებმა კუდით ქვა არ ასროლინა.
— აჯი ჩელებზე რა მოგახსენო და აზატ ხანისთვის კი მართლაც კუდით ქვა უსროლინებია, როგორც მაცნეს ამბავი მოუტანია სასახლეში.
— მაგასავით რომ დღედაღამ ცხენზე ვიჯდე....
— ვერ გავძლებ უშენოდ, ღმერთმა დაგიფაროს!
— არც წავალ სადმე, — აბაშიძემ ყელზე უწადინოდ უჩქმიტა და მერე დააკვირდა, კანმა როგორ იცვალა ფერი.
— ნუ მჩქმენტ, დავლურჯდები!
— შენც ახლა ქმარი გაგიგებს და შინ აღარ შეგიშვებს.
— რომ ვიცოდე, ჩემი ქმარი მართლა შენი მოკლულია...
— რას მიზამდი?
— ხმას აღარ გაგცემდი.
— რატომ? ძალიან გიყვარდა?
— მე არ მიყვარდა, მაგრამ მას ვუყვარდი ძალიან და მებრალება. თუ დავრწმუნდი, რომ შენ მოაკვლევინე, მაშინ უფრო შემებრალება.
— მერე?
— გაგებუტები და ხმას აღარ გაგცემ.
— ნუ გამცემ, თუ გინდა.
— გაგიხარდება კიდეც, არა?
— არ გამიხარდება, მაგრამ...

— არც გეწყინება... ვიცი, რომ ასეა. არ გიყვარვარ და რატომ გეწყინება?!

— აი, თუ არ მიყვარხარ... — აბაშიძემ ქვრივის ლოყები ხელებში გულებში მოიქცია, ტუჩები გამოუბუსკა და უკბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ სიყვარულია, შე საზიზღარო?! — შუბლი შეიკრა ქვრივმა და ტახტიდან ქვემოთ ჩაინაცვლა, ველარ მომწვდესო.

— კბენა უფრო დიდ სიყვარულს ნიშნავს, ვიდრე კოცნა, — განუმარტა აბაშიძემ.

— არც კბენა და არც კოცნა. აკი რუსთველი ამბობს, „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუშიო...“

— რუსთველი იმასაც ამბობს, „ერთი უჩნდეს სამიჯნუროდო“, მაგრამ ეგ აბაშიძეებს არ ეხება.

— ყველას? — ნერწყვი ძლივს ჩაყლაპა ქვრივმა და ისევ საკინძეს დაუწყო წვალება.

— ყველას არა. აბაშიძეთა შორისაც განსხვავებაა. ზოგი გლეხია და შავსისხლიანი, ზოგი მხოლოდ აზანაურია, მხოლოდ ჩემი წინაპარია კათილშობილი სისხლისა.

— და თქვენ ყველაფერი გეპატიებათ?

— რა თქმა უნდა.

— კაცის მოკვლაც...

— კი.

— ქალის გაუბედურებაც...

— კი.

— სტამბოლისაკენ ტყვეების გაგზავნაც...

— ოხ, შე ძუკნავ, შენა! — წიხლი ჰკრა აბაშიძემ და მუხის იატაკზე ზღარბანი მოადინა ქვლივიძის ქვრივმა. დაცემისას საკინძე გაუსკდა და ისევ თეთრად გამოანათა ათქვირებულმა ძუძუებმა.

— რადა მკლავ, ტყუილს ხომ არ ვამბობ?

— ტყუილს რომ არ ამბობ, იმიტომ გკლავ, — წამოიწია აბაშიძემ და მკერდთან ერთად ბანჯგვლიანი მუცელიც გამოუჩნდა, — ორიოდე წყვილი ქალ-ვაჟი ძლივს გავაპარე და უკვე დამასმინე! — მუშტი დააბრაგუნა სწორედ იმ ადგილას, სადაც ქვილივიძის ქვრივი თავდაპირველად იჯდა.

— ეგ დასმენა არ არის, — გახსნილი ხალათიდან გამოჩენილი შიშველი ბარძაყების დაფარვას შეეცადა ქვრივი, მაგრამ მოხრილი ფეხები, იატაკზე იძულებით დამჯდარს, იმგვარად გათათხოდა, რომ

ვერ მოახერხა, — დასმენა ის არის, მეფესთან რომ მივიდე და მოვახსენო.

— რაო?.. მოახსენო?.. — განრისხდა აბაშიძე, — როგორ ბედავ?! — წამოხტა ფეხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას არ გეუბნები... — თავის მართლება დაიწყო ქვრივმა და, რაკი ადგომა ვერ მოეხერხებინა, უმწეოდ შეხედა განრისხებულ პაატას, დასჯას ხომ არ მიპირებსო, — სანამ ცოცხალი ვარ, შენი საღალატო არაფერი დამცდება, მაგრამ... ამაყენე! — ტირილი მოეჯერა უმწეო ქალს.

აბაშიძემ ხალათი ჩაიცვა და დინჯად გაიარა ოთახში. მისმა მიძრაობამ ქვრივს ბრაზი წაუკიდა, დახმარებას აღარ დაელოდა და თავადვე წამოდგა. თან საკინძის შებნევა დააპირა, მაგრამ, რაკი მიხვდა, გაწყვეტილი იყო, ნიკაპი მკერდზე მიიბჯინა, სქელი ქვედატუჩი ძირს ჩამოუშვა და გაწყვეტილ კილოს დაუწყო თვალიერება.

პაატა მიუახლოვდა, არეულ თმაზე ხელი გადაუსვა, მერე თავი გადაუწია, ქვედა ტუჩი ორი თითით წინ წამოუწია და შერიგების კილოთი გააფრთხილა:

— ამ ტუჩებს ნუ უყვარს ბევრი ტიტინი!

— თავი დამანებე! — თავი მოიმტირალა ქვრივმა, რაკიღა ტუჩიდან თითები ვერ მოიშორა.

აბაშიძემ ტუჩზე კოცნა დაუპირა, მაგრამ მერე რატომღაც გადაიფიქრა და თითები გაუშვა.

— ასეთი სიბრიყვე თუ მეორედ დაგცდენია... — ზურგზე ხელება შემოიწყო აბაშიძემ და მუხის იატაკზე გაიარ-გამოიარა, — ერეკლეცა და მისი კანონებიც ფეხებზე მკიდია, მაგრამ... მაინც არ მინდა, რომ ორიოდე ბალღის გაყიდვ› ქვეყნის დანგრევად მოაჩვენონ. ავი ყბისებმა. ყოველ ომში რომ ორმოცდაათი კაცი მივაშველო, მეტი რა უნდა ჩემგან? დანარჩენს, როგორც მესურვება, ისე მოვუვლი.

კრაზანები

კახეთიდანაც, თიანეთიდანაც და ქართლიდანაც ლეკთა შემოსევის ცნობები მოუვიდა თეიმურაზს. უნდოდა, ცხენზე შემჯდარიყო და თავადვე წასძღოლოდა მხედრობას, მაგრამ გული აწუხებდა და ისევ წერილების დაგზავნა ამჯობინა. ერთი წერილი ჯანდიერის შვილ გიორგის გაუგზავნა, მეორე ქიზიყის მოურავს — ახალგაზრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზაალ ენდრონიკაშვილს, მესამე თიანეთის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კი ქართლში დაგზავნა. აი, ერთი წერილი:

„ქ მესტუმრეს ჩვენს მაგიერად ჩვენს დიდს იმედს, დიდად იმედად მისაჩენელს, მისახედავს, არაოდეს დასავიწყებელს, დარბაზთ-ბატონს ციციშვილს დიმიტრის მოკითხვა მოხსენდეს. მერმე ჩვენი შვილის გამარჯვების ამბავი მოგვივიდა. თვითონ აზათხან მოსულა ოცი ათასის კაცით. შებმულან, გაუქცევიათ, ორი ათას ხუთასი კაცი ავლანი მოუკლავთ და დაუჭერიათ. იმათი ბინა სულ წმინდად ჩვენს ჯარს დარჩომია. ჯარი ნაშოვნით ყელამდის მოყრილა. ღვთის მოწყალებით ამისთანა გამარჯვება მოხდა. ერთი ეს მაგ საციციანოს მხარეს რომ ლეკი არის და ზემო ქართლს არბევს, ამილახორის შვილებს მივწერე და ზემოქართლელებსაც, მანდეთ წამოვლენ, ერთიანად შეიყარენით და ღვთით თამაშა უყავით, თავდასხმა იყოს თუ ისე ამჯობინოთ შებმა.“

ეს წერილი მკათათვის ოცდაცხრაში დაწერა თეიურაზმა და, როცა სანდო მალემსრბოლის ხელით ზემოქართლს გაგზავნა, ღრმად ამოიოხრა, მერე ეზოზე გავიდა და ყვავილნაში ძელსკამზე ჩამოჯდა.

მორწყვა უნდა ყვავილნარს, მოუწყენია. რუსხმულში წყალი დამშრალა და საიდან მორწყავს ახლა მებაღე? სათავის ხელახლა გაკეთება უნდა რუსხმულს. სათავემ უფრო მდინარისკენ უნდა ჩაიწიოს და ღრმადაც გაიჭრას. ეს ისეთი ტიალი გვალვაა, თუ ასე გაგრძელდა, მდინარეც დაშრება და როგორ გინდა, რომ ყვავილნარი გადაარჩინო?

რუსხმულში მუდმივად უნდა მოლიკლიკებდეს წყალი. გნებავს, მიუგდებ ყვავილნარში და გნებავს, გადაახევებ. წყალი სიცოცხლეა და სიცოცხლემ კი აროდეს არ უნდა შეწყვიტოს ჩუხჩუხი. ეს წყაროც მალე დაშრება, ისე მილეულა. მაჯისსიმსხოდ გადმოდიოდა და ნეკისისქედღა მოწანწკარებს. ვაი, თუ?..

თეიმურაზი წამოდგა, საზაფხულო, ვარდებიანი აბრეშუმის ხალათის ყურთმაჯები გადაიწია და ყვავილნარში გაკლაკნილ ფილაქანზე დინჯი ნაბიჯით დაიწყო წინ და უკან სიარული. გაივლიდა, აგურის გალავანს მიეახლებოდა და ისევ უკან შემობრუნდებოდა. გამოვიღოდა, გამოსცილდებოდა ყვავილნარს, ქვის კიბის ქვედა საფეხურს ფეხს ოდნავ წაჰკრავდა და ხელახლა ბრუნდებოდა უკან.

ყვავილნარი თუ დაჭკნა, მშვენება აღარ ექნება ეზოს ისევე, როგორც როსტომის სასახლეს უსარკეებოდ. დარბაზი სარკეებით, და ეზო ყვავილნარით მშვენდება. ხალხი — მოზარდი ბალღებიდან ... ცხოველ-ფრინველი — ბატკან-მართვეთი.

თეიმურაზი ლექსის წერის ხასიათზე დადგა, მაგრამ გალავნის თავზე, გამოტეხილ აგურთან, კრაზანები შენიშნა და თვალი ველარ მოაშორა. ნეტავ რა უნდათ ამ ტიალებს გალავნის თავზე? რა დარჩენიათ გამხმარ კედელზე? თუმცა წელან წყაროსთანაც შენიშნა და ყურადღება არ მიაქცია. ახლა გაახსენდა, რომ შენიშნა. წყაროსთან კი არა, ყველგან ყოფილა. ნახეთ, ყვავილნარს რამდენი კრაზანა ეხვევა? ფუტკარი ეგონა და კრაზანა ყოფილა. რუსხმულშიც სხედან და ფუთფუთებდნენ. წყალი რომ დიოდეს, ვერ ჩასხდებოდნენ. ასეა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო. სადაც სიკეთე მთავრდება, ბოროტება იწყებს აღორძინებას. ჯერ აღორძინდება და მერე აღზევდება. ასეა ქვეყნად: წალკოტს უდაბნო ენაცვლება და სიცოცხლეს — სიკვდილი. კაცი ღმერთს იმიტომ გაუჩენია, რომ ბოროტი მოსპოს და სიკეთე ააყვავოს... მაგრამ მაშინ ხომ ყველა ყვავილნარში იცხოვრებს და რაღა განსხვავება დარჩება მეფესა და ყმას შორის? მეფეს მეფობა უნდა ეტყობოდეს და გლეხკაცს — გლეხობა. დიდებულს? რა თქმა უნდა, დიდებულსაც თავისი რიგი უნდა ჰქონდეს. ქვეყნად მთა და ბარი არ გასწორებულა და არც უნდა გასწორდეს.

ეს კრაზანა კი... რა მურტლად მოსდებია ყოველივეს!.. აი, ასე ესევიან მტრები ბედკრულ საქართველოს. უვარგისი, უნაყოფო და ქვეყნისთვის გამოუსადეგარი კრაზანები მალე ალბათ მთელ ეზოყურეს დაიპყრობენ და ვინღა გაეკარება ამ ყვავილნარს სიახლოეზე? რუსხმულში რომ წყალი მუდმივ დიოდეს, კრაზანა ისერიგად ველარ მოიხელებდა თავს. რუს სათავე კი... დამშრალა... თუ... გველაშაპს დაუჭერია?

თეიმურაზი კრაზანებს არ შეეპუა და ისევ წინდაუკან დაიწყო სიარული.

აზათხანი დაუმარცხებია ერეკლეს — სპარსთა შაჰის ტოლი მხედარი და მაინც არ შინდებიან ლეკები, რაკიღა ჭარ-ბელაქანში წაიფორხილეს. თუნდაც გაემარჯვათ, მაინც არ დაიშლიდნენ შემოსევას და ქურდბაცაცობას. სწორედ ამ კრაზანებივით ესევიან და ამ კრაზანებივით იკბინებიან აქეთ-იქიდან. რა უნდა უშველოს მარტო-

დენ ერეკლეს სიმამაცემ? თეიმურაზს დღითიდღე ძალ-ღონე ელევა და მალე ალბათ მოხუცობაში დადებს თავს... მართალია, მალე ტანგი ამოუდგება ერეკლეს მხარში, გიორგიც უკვე მეექვსე წელშია მაგრამ... ჰო, მართლა, გიორგის უკვე მწიგნობრები უნდა მიუჩინოს განსასწავლად. მაგრამ მტერმა თუ ამ კრაზანასავით იმრავლა, ვეღარც ეგ შვილები უშველიან. რუსხმულში რომ წყალი დიოდეს... სათაეეს ზემოთ ანაცვლება უნდა, ღრმად და საშვილიშვილოდ გათხრა. მაშინ აღარც წყალი დაშრება ამ პატარა არხში და კრაზანაც ასე ძალუმად ვერ გამრავლდება.

რუსეთში ელჩები... თქმით კი თქვეს, მაგრამ დარბაზისთვის არ გაუმხელიათ, რომ რუსეთში ელჩთა გაგზავნა უცილობელია. ქართლისის ქვეყანა ფრიად დასუსტდა და მტერი აღურაცხელი ჰყავს. მარტოდენ მამაცური ბრძოლა და სასიკვდილოდ თავგამოდება საქმეს არ შველის. აი, ახლაც ერეკლეს ლაშქრელები მოსავლის აღებაში დახმარებიან სომხებს და ალყაში მოქცეულნი შიმშილით დახოცვისაგან გადაურჩენიათ, მაგრამ, სამაგიეროდ ლეკებს დაუწვიათ მომკილი ყანა ქართლსა და კახეთში. როდემდე გინდა, ამ ყოფით იცხოვრო? როდემდე გაუძლებ ამ შემოსევებს? წერილები კი ყველას დაუგზავნა, მაგრამ, ხომ შეიძლება, თვითონ მოურავებმა ულალატონ მეფეებს: ლეკთა ჯარს წამოუძღვნენ, მეზობელი საერისთავო თუ სამოურავო მოაოხრონ და ნადავლი გაინაწილონ, როგორც ამას თამაზ ენდრონიკაშვილი აკეთებდა? ადამიანი ხომ ხარბია და გაუძღომელი? რუსთან მეგობრობა გარემტერს შეგვიშინებს და ჩვენს ქვეყანაში ფეხს ამოუკვეთს. რუსეთი დიდია და ღონეც მეტი აქვს. მარტოდენ თეიმურაზისა და ერეკლეს თავდადება ქვეყანას ვერ იხსნის და საბოლოოდ ვერ გადაარჩენს, თუ შემწე არ ეყოლათ. იქ აზათხანის ავღანი დაამარცხა, მაგრამ აქ ლეკი მოდის ლეკს გაუსწორდები და სპარსი აიშლება, სპარსთან საერთო ენას გამონახავ და ოსმალოს განარისხებ. ხსნა არ ყოფილა და არც იქნება მცირე ქვეყნისთვის. შემწე და მოძმე... შემწე და მეგობარი... სხვარიგად კრაზანებს ვერ შეაჩერებ...

— მებაღეს დამიძახეთ! — ბრძანა თეიმურაზმა.

შავადგამხმარი და მხრებშიმოსული შუახნის მებაღე სწრაფად ეახლა თეიმურაზს.

— რას მიბრძანებ, მეფეო?

— ეს კრაზანა თუ არ დაგიხოცავს...

— როგორც მიბრძანებ, მაგრამ... ახლა უკვე ძნელია, მეფეო.

— რატომ?

მებალემ ტარიანი ცოცხი აიღო და ღიმილით მიუახლოვდა მურაზი მიხვდა, მებალე რასაც აპირებდა და ქვის კიბეზე ავიდა.

— აი, მეფეო... — რუსხმულს იმ ადგილას მოუსვა ცოცხი, სადაც უფრო ბევრი კრაზანა ესეოდა, და გალავნისაკენ გაიქცა.

აქ ცოცხი მოგვისვეო, აიშალნენ ბზუილით და აქეთ-იქით გაცვივდნენ გაალმასებულნი.

— შიგნით შებრძანდით, მეფეო, დაგკბენენ!

შიგნით არ შედიოდა თეიმურაზი. დაე, დამკბინონო, ასე იფიქრა, მაგრამ გაასპიტებულმა მწერებმა რომ ყურთან გაუზუზუნეს, მაშინდა იკადრა.

როდის როდისდა გამოიხედა და, ის იყო, კედელზე სახით მიხუტებული მებალეც წელში აიშალა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თეიმურაზმა.

— სანამ წყალს არ მოვიყვანთ, ვერ გავფანტავთ, — თქვა ხელებისშლით..

— მანამდე კი ჩვენი თვალით ვუცქიროთ, როგორ გვჭამენ?

— თუკი მტერს ვუძლებთ, ამათაც უნდა გავუძლოთ, — არხეინი ღიმილით მიუახლოვდა მებალე ცოცხით ხელში.

— რაღაც ვიღონოთ!

— ღამით მივალ და ბუდეებს მოვჟუჟავ. მართალია, დავიკბინები, მაგრამ...

— მოჟუჟე! — ეს სიტყვა ისე მოეწონა თეიმურაზს, რომ ბოლო სიტყვისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

მერე დაფიქრდა და... ეგების მტერთა ბუდეების მოჟუჟვაც შეიძლება? კი არ უნდა შეებრძოლო, კი არ უნდა დაამარცხო, უნდა მოჟუჟო დედაბუდიანად. რა ვუყოთ, რომ ადამის ძენი არიან?.. მაგრამ დავიკბინებიო, მგონი, ასე თქვა მებალემ? სჯობია, დაიკბინოს, ოღონდაც მოსპოს... მაგრამ რად უნდა მოსპოს ადამიანმა ადამიანი? ადამიანი ხომ მწერი არ არის? ნათქვამია, ლეკოსიც ქართლოსის განაყოფიაო და ერთურთს ჟლეტავენ... ჟუჟავენ, როგორც ამ მებალემ თქვა და... აი, ეს კაციც სომეხიაო, ამბობენ და როგორი კარგი ქართულით უბნობს. თანაც რა ერთგულია სამეფო კარისა. კაცი კაცია, რა ერისაც უნდა იყოს. თუ კაცად არ ვარგა, ვერას უშველის.

— მეფე ერეკლე ბრუნდება! — მოვარდა მაცნე.

თეიმურაზი ერთბაშად გამოფხიზლდა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— მეფე ერეკლე თბილისს უახლოვდება! — მოიჭრა მეორე მხედარი.

ირაკლი მოჟუჟავს!.. ირაკლი მოჟუჟავს!.. დაიკბინება, მაგრამ... მაგრამით რად დაამთავრა სათქმელი მებაღემ?

— ჩემო გურგენ, როგორ მითხარი, „ბუდეებს მოვჟუჟავ, მართალია, დავიკბინებიო, მაგრამ...

— მაგრამ ისა, რომ ისევ მომრავლდება, მეფეო, თუ წყალი დამრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაშვილობა

ციხის ეზოში, ვეებერთელა პანტის ჩრდილში იჯდა შანშე ერისთავი. გაყვითლებული ხელისმტევნები მაგიდაზე მოწყვეტილებივით დაეყარა და ხანგამოშვებით ასწევდა ხოლმე მაღლა. ისიც მაშინ, როდესაც დამღიერებულ სახეზე ჩამოისვამდა ხოლმე ან შავი თვალსაფრების ქვეშ რაღაცას ეფერებოდა ანდა მუშტს დაარტყამდა ქვის მაგიდაზე. ბოლო შემთხვევაში მუშტის ქვედა წითელ-ყვითლად აუჭრელდებოდა ხოლმე და გვიანღა უქრებოდა ეს სიჭრელე.

შანშეს წინაშე მარტოდენ მისი ძე ზურაბი იყო, რომელიც მაგიდასთან კი არ იჯდა, ბოლთას სცემდა ნერვიული ნაბიჯებით. მხოლოდ ზოგჯერ ჩერდებოდა ხოლმე, გაბანჯგლულ მამას თვალსაფრებზე აშტერდებოდა, ანდა გასიებულ ღაწვისთავებს უთვალიერებდა, რაღაცგვარი სიბრალულისა თუ ზიზღის გრძნობა უღვივდებოდა და მერე ისევ სიარულს განაგრძობდა.

ზურაბი არ ჰგავდა მამას. უფრო დაბალი იყო, წელში გამართვით მოსიარულე. წითლადდამკრახული ღაწვები ჰქონდა და მოხარშული თევზის თვალები. საუბრისას ხმა ხანდახან თითქოს უწყდებოდა, ზოგჯერ კი თითქოს დაგუბებულმა ნიაღვარმა გამოხეთქაო, ერთბაშად ამოიძახებდა ხოლმე ძლიერი ბანით. ეს იმით იყო გამოწვეული, თუ რაზე საუბრობდა ანდა როგორ უცქეროდა თავის სათქმელს.

— აბა, ერთი კიდევ გამახსენე, აჯი ჩელებმა როგორ დაჯაბნა ერეკლე? — ჰკითხა ერისთავმა და გულითადი მოსმენის ნიშნად კბილნაკლული პირი დააღო.

— ქართველებმა ხიდი გადეს და ალაზანზე გავიდნენ. იფიქრეს, შუშისა და განჯის ჯარები უკან მოგვყვებიან და მოგვეშველებიანო, ალბათ ჩვენი იმედიცა ჰქონდათ, თუმცა იმ დილით არ გამოვჩენილ ვართ... ჰოდა, დიდი რიხით გავიდნენ ხიდზე და უკანიდან [illegible] შველების მაგივრად ხოცვა დაუწყეს, მაშინლა შეცბუნდნენ, — მიხეთქილი ნიაღვრის ხმით ჰყვებოდა ზურაბი, — აქედან ჩვენა, იქიდან — ჩასაფრებული ლეკები და, გაგიხარია, ფერი ეცვალათ.

— შენ ხომ მითხარი, არ მიბრძოლიაო?

— მე არ მიბრძოლია. ჩვენ და განჯელები უკუვდექით და აჯი ჩელები მივუშვით. თუ ერეკლე გაიმარჯვებდა, მაშინ ჩავერეოდით ომში...

— ეგ კარგად გიქნიათ, მაგრამ, თუ აქეთ-იქიდანაც ლეკნი იყვნენ ჩასაფრებულნი, წინიდანაც ეკვეთნენ და უკანიდან კი აჯი ჩელებმა დაჰკრა, მაშ, როგორ დაუსხლტათ ის ძაღლიშვილი?! — ქვის მაგიდას მუშტი დაარტყა შანშე ერისთავმა.

— მეც ეგ მიკვირს. პირდაპირ ქაჯურად იქნეედაო ხმალსა და გზა ისე გაუკაფაო თავის მამას. ყველაზე ბოლოს თავად დარჩენილა და კინაღამ ტყვედაც ჩავარდნილა.

— რატომ ტყვიები არ დაადევნეს გაქცეულებს?

— ესროდნენ და ხოცავდნენ კიდეც. მეფეებს კი ზურგიდან მკერდით იფარავდნენო ერთგული მცველები.

— ყველაფერს სწორედ ეგ მონური ერთგულება აფუჭებს. მაგათ რომ ერთგული კაცები არ ჰყავდეთ, აქამდე მოეღებოდათ ბოლო. არა, იმეფონ კახეთში, ხომ არ ვეცილებით, მაგრამ ქართლში რას გვემართლებიან?

— ქართლში კი არა, თეიმურაზს უბრძანებია, საქართველო უნდა გავაერთიანოო.

— ეგ რაგვარადო?

— ალექსანდრე რომ მიიცვალა იმერეთში, რაჭის ერისთავსა და დადიანს სოლომონის გამეფება არ ნებავთო. დადიანი ჩემი კაცია, აბაშიძენიც მხარს დამიჭერენ, როგორც მოყვრები, რაჭის ერისთავსაც მივიმხრობ და იმერელ ხალხს თავადვე ვათხოვნინებ ქართლ-კახეთთან შეერთებასო.

— თურქეთს რაღას უპირებს?

— რაკი აზატ ხანზე გაიმარჯვეს, ახალციხეზეც უპირებიათ წასვლა. ფაშას მოვსპობთ, მესხეთ-ჯავახეთს შემოვიმტკიცებთ და ცი-

ხეებში ჩვენს ჯარს ჩავაყენებთო. მუდმივი ჯარის გაჩენა გადაუწყვეტიათ მამასა და შვილს.

— ჭარ-ბელაქანსა, განჯა-ყარაბაღსა და შაქის ხანს რაღაც ეჭაჭანურებენ. დაავიწყდათ ამ ზამთრის მარცხი?

— არ დავიწყებია. ამიტომაც ჯერ მაგათზე მიდენილა სალაშქროდ: ეგენი უნდა დავაჩოქოო. და ახალციხეზე მერმე წავალო.

— დავაჩოქოო?

— დავაჩოქოო კი არა, ისე მკაცრად უნდა დავსაჯო, რომ მაგათი ცოდვით ქვაცა ტიროდესო.

— მალე რუსეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილი ჩამობრძანდება და, ვნახოთ, ვინც ატირდება?!

— პაატაც ჩამოსულა, მაგრამ დილეგში ჩაუგდია. ახლა კი მითხრეს, საიდანაც მოსულა, ისევ იქით გაუძევებიაო.

— ალექანდრე ისეთი მამის შვილი არ არის, რომ ეგრე ადვილად გაებას მახეში. რუსეთთან...

— რუსეთთან კავშირს ეგეც აბამს,— მამისკენ შებრუნდა ზურაბი ხმისდაწევით.

— მაგის ელჩებს ამ გზაზე არ ავატარებ! ჩემი გაგზავნილი კაცები კი რუსეთს დაარწმუნებენ, რომ ერეკლე მათ ატყუებს და მარტოდენ ჯარის დაცანცვლა უნდა. თან სპარსეთთან მეგობრობაშია, თან ევროპასთან კავშირს ამყარებს და თანაც რუსეთში ელჩებსა გზავნის,— შანშე დადუმდა, გაბანჯგლული სახე რამდენჯერმე მოისრისა, კარგა ხანს იყუჩა და შემდეგღა იკითხა: — როგორ დაამარცხა აზატ ხანი?

— ვერც ერთი მემატიანე ვერ აღწერსო იმ ბრძოლის სირთულეს,— ხმამაღლა დაიწყო ზურაბმა, მაგრამ უეცრად დაუწია,— ათასი კაცით შესულა მტრის შუაგულში დაარხეინებული ნაბიჯით. უკან კი ჯარი ჩაუსაფრებია. აზატ ხანს ალყა დაურტყამს და, უფიქრია, ცოცხლად ჩავიგდებო ერეკლეს. უფრო ახლოს მიუშვია, და არ ესროლოთო, უბრძანებია. ამათ კი ერთბაშად თოფები დაუხლიათ, ცხენებზე ამხედრებულან და, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, მუსრი გაუვლიათ. ოთხი ათასზე მეტი მოკლესო და დაჭრილებს კი ვერ დაითვლიდითო.

— თუ ალყა დაარტყა, როგორღა ვადარჩა?

— ალყა ვერ შეუკრავს. ჩასაფრებული ჯარი ჩახტომია შუაში.

— ეს კაცი ქართლის ტახტს რომ არ გვეცილებოდეს, სწორედ

რომ ქების ღირსია, — ამოიოხრა შანშე ერისთავმა, — მაგრამ ქართველ-ში რა უნდა?! — ხელახლა დაჰკრა მუშტი ქვის მაგიდას და ხელახლა აუჭრელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპაჩემის სამკვიდროაო.

— ალექსანდრე ბაქარის ძე?

— არ ჩამოვუშვებო. ბაქარი რომ ჩამობრძანებულიყო ან მამამისი, გაშლილი ხელებით შეეგებებოდით, მაგრამ ალექსანდრე ქვეყნისთვის უცხოა და ქართველებზე ვერ გავაბატონებთო.

— შენც მაგას ხომ არ ფიქრობ? — იკითხა კარგა ხნის გაყუჩების შემდეგ.

— მე ჩემი საერისთავო დამანებოს და თავში ქვა უხლია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ზურაბმა.

— განებებს რო?.. თუ ყურს მომაპყრობ და იოანესავით არ...

— იოანეს ნულარ მიხსენებ! — შეემუდარა ზურაბი და საითღაც გაიხედა.

— რატომ?

— იოანე ისეთი გასაცოდავებული ვნახე შიო მღვიმის მონასტერში...

— აქ რა მინდაო?

— ღმერთს ვევედრები, რომ შენ და მამაჩემს ცოდვები გაპატიოთო.

— ბოროტის წილ ბოროტის ჩადენა ცოდვა არ არის. ჩემზე წმინდანი და მემარტვილე მეორე არ მეგულება დედამიწაზე. ცოდვა იმ პირქვედასამარხავთანა მაქვს, ცოცხალი რომ გავუშვი. თვალი მოიცა და შიო მღვიმეში ჩამიყვანა, ამ ცოდვასაც მოვინანიებ.

— რას ერჩი, მამი, გაუბედურებული კაცია? — შეეშინდა ზურაბს მამისა.

— გულს ვერ ამიჩუყებ!.. შენც თუ იმის ვზას დაადგები, ხელახლა ამომწვავენ თვალებს ერეკლე და თეიმურაზი. ხომ არ გგონია, რომ ნადირ-შაჰმა ამომწვა?

— მაგას ვერ ელირსებიან! — ჩამოვარდნილი ხმით თქვა ზურაბმა და ნახევრადსარწმუნოდ გაისმა მისი სიტყვები მამისთვის.

— თუ ერეკლეს ბანაკში აღმოჩნდები, ელირსებიან. — ქვის მაგიდაზე პანტის ფოთოლი იპოვნა შანშეს თითებმა და სრესა დაუწყო.

— როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი. ბაამან ხანმა აქ მხოლოდ რჩევისთვის გამომგზავნა.

— აჯი ჩელებთან კავშირს ნუ გაწყვეტთ! ძლიერი კაცია და ისევ მაგას შეუძლია ერეკლეს დამარცხება. რაკი აზატ სახზე გაიმარჯვა, გაგულდიდებული თქვენკენ გამოემართება და სიმტკიცე გაჩვენებთ. ჩემი თვალების შუქი მოგმატებოდეს და დედაშენის სული გფარავდეს, ვისი ცოდვაც თეიმურაზის სახლს ედება. კაცი ამ ქვეყნად ჯავრის ამომყრელად და მტრისთვის სამაგიეროს მზღვეველად იბადება. გახსოვდეს მუდამ! — საჩვენებელი თითი შემართა შანშე ერისთავმა, — დუმილი და მონური მორჩილება გლეხთა ხვედრია, ჩვენთვის კი მხოლოდ სიმამაცე და შეუპოვრობა დაუმადლებია უფალს. მამა-პაპის მტერს მკერდიდან რომ გული ამოსჭრა, ხელი არ უნდა აგიკანკალდეს!

ზურაბს უნდოდა, ეთქვა, არ ამიკანკალდებაო, მაგრამ შიო მღვიმეში მყოფი უფროსი ძმის თვინიერი სახე გაახსენდა და ხმა ვეღარ ამოიღო. თქვენთვის ვილოცებო... იქნებ მართლა ცოდვას ჩადიან, მაგრამ მამამისი ხომ ბრძენია და ბრძენს არა ესწავლება.

შუამთის ზარი

შუამთის მონასტერს ლეკნი შემოადგნენ. მცველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, დიდად ავნეს კიდეც, მაგრამ რიცხვმრავლობამ გაიმარჯვა. ლეკებმა იძალეს და ყველანი გაჟლიტეს.

ვილაცამ საგანგაშო ზარს ჩამოჰკრა, მაგრამ ზარის მრეკავი ბერიკაცი იქვე გააციეს.

მერე გალავნის ჭიშკართან თავიანთი გუშაგები დააყენეს და მონაზვნებს დაერივნენ. ახალგაზრდები თან წასაყვანად შეარჩიეს და ცალკე ჩაკეტეს, ხნიერები სხვა სენაკებში დააშწყვდიეს, წიოკობ და ფრიათი რომ არ აეტეხათ ეზოში, დანარჩენი თვალმისასვლელნი, რომელთაც არც ხანშიშესულობა ეთქმოდათ და არც მთლად ახალგაზრდობა, იქვე დაითითოეს. შედარებით ლამაზებზე კი ცილობაც გაიმართა. მათ რიცხვში ასმათიც მოჰყვა.

ერთხანს უსაშველოდ გაკაპასდა ასმათი, ჩახრინწული ხმით უფალს შემწეობას ევედრებოდა, ხელებს ასავსავებდა და ახლოს არავის იკარებდა, მაგრამ ტანსაცმელი რომ ზედ შემოახიეს და შიშველმა სხეულმა ღონიერი მკლავების მარწუხი იგრძნო, ერთბაშად დაუძლურდა.

ძარცვა გრძელდებოდა და სენაკებიდან წივილ-კივილის ხმა გამოდიოდა, შუამთის მონასტერს რომ გიორგი ჯანდიერის რაზმი მოადგა. იქ, ახლოს, ენადირათ და ნაუცბათევად შეწყვეტილ საკვ-გაშო ზარის ხმას საგონებელში ჩაეგდო.

ოფლში გახვითქულ, თვალებგაფართოებულ ცხენებს ნესტოები ებერებოდათ და ძლვისლა ქშინავდნენ.

ჭიშკართან მდგარმა გუშაგებმა განგაში შექმნეს, მაგრამ გიორგის რაზმელებმა, რომლებიც თავიანთ ცხენებზე უფრო მსხვილ თვალებს აბრიალებდნენ, ხმლებით ჩააჩუმეს, ჭიშკარში შეიჭრნენ და ეზოში მოყაყანე მოძალადეებს უშიშრად დაერივნენ.

ნადავლის გაყოფითა და წეწვა-გლეჯით გართული ყაჩაღები ახლაღა მოეგნენ გონს, მაგრამ უკვე გვიან იყო: მონასტრის ეზო ქართველი მხედრებით ავსილიყო, ჭიშკარი ჩაეკეტათ და უმოწყალოდ იღვრებოდა სისხლი.

— ამბის მიმტანი არ გაუშვათ! — დაიძახა გიორგიმ და ნადავლით სავსე ვაშკარანს ჩაბღაუჭებულ ლოყადაკერებულ ლეკს თავში ისეთი სიძლიერით ჩაარტყა ხმალი, სისხლმა ზედ შეასხა.

— გვიშველეთ!.. გვიშველეთ!.. — კიოდნენ სენაკებიდან, მაგრამ ჯერ მათ საშველად არვის ეცალა, რაკიღა ეზოში ხელჩართული ბრძოლა გრძელდებოდა.

მოულოდნელი თავდასხმით დაფეთებული ყაჩაღები თანდათან გონს მოდიოდნენ და ზოგი თუ სატევარს ეტანებოდა წინააღმდეგობის გასაწევად, ზოგი გაქცევით ცდილობდა თავის დახსნას.

რაკიღა ჭიშკარი დაგმანული იყო, ვიღაცამ საძრომი იპოვნა გალავნის ძირში და ძალლივით გაიწელა გასაძრომად. მას მეორე მიჰყვა, მეორეს — მესამე და, როცა მეოთხე მიძვრებოდა, მაშინღა შენიშნა გიორგიმ, ცხენიდან ჩამოხტა და ხერხემალში ხმალი უსწორა. დაჭრილმა წელი გაიტანა, მაგრამ თეძოები ვეღარ გააცილა ხვრელს.

— სენაკებს მიჰხედეთ! — ბრძანა გიორგიმ და ხმალშემართული ხვრელთან გაჩერდა იმ იმედით, რომ ცოცხალს არ გაუშვებდა გაძრომის მსურველს. ეზოში დარჩენილი ყაჩაღები კი იმდენად შეთხელებულიყვნენ, კბილის ქარადაც არ ეყოფოდათ სანადიროდ დაგეშილ მის ბიჭებს.

ბრძოლამ სენაკებშიც შეაღწია. ნახევრადშიშველი ყაჩაღები დედაკაცებივით კიოდნენ უმწეობისაგან და, სანამ თავიანთ სატევარს მიაგნებდნენ, მოწინააღმდეგის სატევარზე ეგებოდნენ.

— არ მომკლათ!.. არ მომკლათ! — ფრიალებდა ტანსაცმელშემოხეული ასმათი, — არც ესენი დამიხოცოთ!.. ყველანი ჩემები არიან! დამაცადეთ, კალთაში ჩავისხა და ძუძუ მოვაწოვო!.. არ დამიხოცოთ! არ დამიხოცოთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის რაზმელებმა სირცხვილს ველარ გაუძლებს, ორი მკვდარი ყაჩაღი სენაკიდან გამოათრიეს და გაურცხვებულ, შეშლილ შიშველ ქალს კარი გარედან გადაუკეტეს.

— გამიშვით!.. გამიშვით!. — კიოდა თმაგაწეწილი ასმათი და სარკმელს აწყდებოდა, — ვირებო, ღორებო, ძაღლებო!.. წიგნები რა უყავით, ჩემი მზითვის წიგნები?!. „ქილილა და დამანა“, „წამება დედოფლისა“, „სახარება“?! ვაიმე, ვაიმე, სად არის ჩემი „ვეფხისტყაოსანი“? მამაჩემი!..

ჟორწილში მოპატიჟე

აზატ ხანზე გამარჯვებული ერეკლე მეფე ხალვას მისცემოდა. შილიფად ჩაცმული საზურგემოჩუქურთმებულ სავარძელზე მიწოლილიყო და, გემრიელად დანაყრებული, მოშაირეთა და მთხზველთა პაექრობას უსმენდა ხეივანში გაშლილ სუფრასთან. აქ იყვნენ თეიმურაზ მეფე და ანტონ კათალიკოსი, თბილისის მოურავი გივი ამილახვარი და ახალი მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, გიორგი ბატონიშვილის აღმზრდელი სვიმონ მაყაშვილი და შანშეს ძმისშვილი — აზატ ხანთან ბრძოლაში ნასახელარი დავითი, სარდლები რევაზ და დიმიტრი ორბელიანები, თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და არაგვის მოურავი ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, გმირობით განთქმული კონსტანტინე მუხრან-ბატონი და ქიზიყის ახალგაზრდა მოურავი ზაალ ენდრონიკაშვილი. აქვე იყვნენ აზატ ხანთან ბრძოლაში სახელმოხვეჭილი ზოგიერთი მხედარი და მეფეთა პირადი მცველნი. განსაკუთრებით ბრწყინავდა წინა დღეს ტახტის მემკვიდრედ ნაკურთხი ვახტანგ ბატონიშვილი, რომელსაც წელზე სამეფო ხმალი ერტყა და საგანგებოდ ამაღლებულ ადგილზე იჯდა. მის ფეხებთან კი ბატონიშვილი გიორგი და თამარი დაცუნცულებდნენ. ისინი ხან მამას ეხუტებოდნენ მუხლებზე, ხან თეიმურაზს ეტიტინებოდნენ ხან ვახტანგს ეთამაშებოდნენ და ხანაც მოშაირე-მელექსეებს შეჰყურებდნენ თვალებში.

ჯერ საიათნოვამ თქვა ლექსი და ყველამ მოიწონა მზეჭაბუკ ორბელიანის გარდა, მერე თიანელმა, თუშმა და ფშაველმა მელექსეებმა თქვეს თითო ლექსი და მათი ნათქვამიც დიდად ქებულ-ბოლოს, ჯერი ქიზიყელებზე მიდგა. ქიზიყელები დადუმდნენ და ხმის ამოღება ვერ მოახერხეს. ამაზე დაცინვა დაუწყეს სხვებმა.

— მთავარი ლექსის თქმა კი არა, ხმლის ქნევაა, — ანუგეშა ვიღაცამ.

— ეგეც მართალია, მაგრამ ვისაც ტვინი უჭრის, სიტყვაც ხმალივით მოსაქნევია, — შეეპასუხა მეორე.

— კარგად მოქნეული სიტყვა ხმალზე უმეტესია: — წაეშველა მესამე.

— დაიცადეთ, კაცო, თედუა იტყვის.

— თედუა ლექსს იტყვის? — გაიკვირვა ვიღაცამ.

— იტყვის.

— ისეთი რა უნდა თქვას?

— აზატ ხანზე იტყვის.

— თუ აზატ ხანზე ლექსს იტყვის, მამულს ვაჩუქებ, — გაუხარდა ერეკლეს და ღიმილით გაამხნევა. მერე წვერთან შეზრდილ, დავიწროებულ, გრძლადგაწკეპილ ულვაშზე საჩვენებელი თითი გადაისვა, გულითადი მოსმენის ნიშნად ფეხი ფეხზე შემოიდო და წვერი მუჭაში ჩაბღუჯა.

— გაგარისხებ, მეფეო, საკადრისს ვერას მოგახსენებ! — მოიბოდიშა თავდიდა თედუამ.

— როგორიც უნდა იყოს, მაინც მეამება და არ გაგირისხდები.

— შენი სახელის დიდებას რუსთველი უნდა და მე როგორ გახსენო?

— თუ აზატ ხანზე იტყვი, მომეწონება, და, თუ ჩემზე აპირებ თქმას, არ გირჩევ! სალაღობო ლექსს მოველი შენგან და არა — „ვეფხისტყაოსანს“.

ანტონს გაახსენდა, იმ დამეს რომ ვახტანგ მეფის დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ დაწვა და ამოიოხრა. თუმცა სადარდელი სულაც არ არის, რაკიღა ამაოდ დაშვრა. ადამიანი რომ ისეთ წიგნს დაწერს, რომელიც კაცთა მოდგმის შეძლებას გადააჭარბებს, დასაწვავია. არც ფრიად ღონიერი კაცი უნდა იბადებოდეს დედამიწაზე და არც — ფრიად ნიჭიერი. თუ კაცი ჩვეულებრივი კაცის მზღვარს გასცილდა და აღმასვლა დაიწყო, ღმერთსაც მისწვდება და მის ყოვე-

ლივე საიდუმლოებას შეიტყობს. მერე უკვე აღარც კაცობას ეწინააღ-
ფასი და აღარც — ღმერთობას. კაცი კაცის საზღვარში უნდა დარჩეს
ტიოს და ღმერთი — ღმერთისა. ქრიტე რომ მიწას არ ჩამოსულიყო-
ყო, ვერ აწამებდნენ. თუ მართლა ხორციელი კაცი ხარ, ისეთი არა-
ფერი უნდა მოითხოვო მოკვდავთაგან, რის აღსრულებაც მის ღო-
ნეს აღემატება. „ერთი უჩნდეს სამეჯნურად, ერთსა ვისმეს ამი-
კობდესო“, „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრი-
დად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდადო“...
მართალია, ანტონი ერთ შეგონებასაც და მეორესაც სწორედ რუს-
თველისებრ ასრულებს — თამარის გარდა ვერვის შეემსჭვალება მისი
გული და თავის სულიერ მეგობარს კი აროდეს უღალატებს, მაგრამ
ერთობ ძნელია მისი ბოლომდე აღსრულება. ძალ-ღონე ელევა, ქანცი
უწყდება და ისე ასრულებს. როდემდე შესძლებს? მესტამბე ალექ-
სის ქალიშვილი ყოველღამ ეცხადება, ერეკლეს მეგობრობას კი...
რამდენი პატივსაცემი გვამი უკიჟინებს, ერეკლეს აღუდექი და
ქართლს უფრო გააბედნიერებო?.. ვინ უკიჟინებს?.. ამას ვერ იტყ-
ვის, რადგან ეგეც ღალატი გამოვა. ეგებ ქართლისთვის მართლაც
უკეთესი იყოს, მაგრამ ერეკლესთვის ფიცი მიუცია და...

— სწორედ სალაღობო ლექსია, მეფეო, — გაამხნევა თედუა მეო-
რე ქიზიყელმა, რომელმაც პირველად უკიჟინა ლექსის თქმა.

— თუნდა დამცინოთ, არ მეწყინება, — გამხიარულდა ერეკლე, —
თქვენა გგონიათ, აჯი ჩელებთან მარცხზე რომ ლექსი შემითხზეს,
ზეპირად არ ვიცი?

— მოგეხსენებათ, მეფეო?.. მაგ ლექსის მთქმელის დედა ვატი-
რე! — იწყინა გარეკახელმა შავგიორგამ.

— გამომითქვან ლექსი, არ მეწყინება, მაგრამ ცხენი ზარბაზნით
არ მოუკლავთ ჩემთვის, თოფით დამიჭრეს. მაინც იარა საწყალმა
და წყალშიღა გამიჩერდა. დათუნა ბოსტაშვილმა მაინც გადაარჩინა
და მერმელა მოკვდა. თქვი, გისმენ!

თედუამ ბომბორა ულვაში გაისწორა და ხაფი ხმით დაიწყო:

ისე ადიდა აზატ ხან,
თავი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლს — ხონთქარი,
ყეენი ჩემთან რა იყო?!

— ჰოო, ეგ კარგია! — მოუწონა ერეკლემ და უფრო გაამხნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განჯის ხანს შემოუტია,
სურსათი ბევრი წაიღო...

— დედა ეტირა! ეგ რომ ჭარ-ბელაქანში არ გამდგომოდა, აზატ ხანიც ველარას ჰკადრებდა.

საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო,

— ბრძენია მაგისი მთქმელი!

გოგჩის ტბაზე რომ ჩავიდა,
იქ ავღნის ჯარი მდგარიყო,
ავღნებმა შაქმნეს ჩოჩქოლი:
„გუშინ ერეკლეს თქმა იყო“,
ერთი ავღნების უზბაში
ოქროს უნაგირს მჯდარიყო:
„ამისთვის გურჯები მომკვლენ“,
ცხენიდან ჩამომხდარიყო.
რო გაათავა ეს სიტყვა,
ერეკლეც წამომდგარიყო.
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო ჩქაფანი,
სისხლისა შედგა მორევი,
ცხენს შეეღება ფაფარი,
უკრავად კაცსა მოკლავდა
იმისი ცხენის ქაქანი,
ისეთი გარბის აზატ ხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი,
უკან ერეკლე მისდევდა:
„მოსვლა და წასვლა რა არი?!“

ამ სიტყვებზე ყველამ გადაიხარხა.
— კარგია! — მოუწონა ერეკლემ.
გამხნევებულმა თედუამ უფრო მეტი ხალისით დაამატა:

რას დამდევ, გურჯო ერეკლევ,
რა მიმაქვს შენი დავლაო?
ყველა მანდ გამაშვებინე,
თოფი და ჯაბახანაო,
იმდენი არა მიმდევს რა,
სადილი ვჭამო ხვალაო.

— კარგია, კარგი! — გაიხარეს ამის გაგონებაზე.
— აბა, თუ ბიჭი ხარ, ეხლა ისიც მიაბი, ჩვენი მეფე რას ეტყო-

და? — წააქეზა იმ ქიზიყელმა, რომელმაც თავდაპირველად შეაგულიანა ლექსის სათქმელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა ხანს თუ ამამასუნთქებთ, მივაბამ!

— სანამ ქიზიყელი რამეს მაიფიქრებს? — იეჭვა ვიღაცამ.

— ზეპირად ეცოდინება, ეგ ისეთი სახეძაღლია!

— დაიცათ; დაიცათ! — ჩაფიქრდა თედუა, მაჯისსიმსხო ცერის ფრჩხილი კბილებში გაიჩარა და მცირე ხანს გარინდდა. მერე უეცრად წამოიძახა:

ეგრე მოგდევ თავრიზამდე,
როგორც ქორი გარიალსაო,
ცხენ-ჯორებ დაგაყრევინებ,
ძუანაღებ ინიანსაო,

— ერეკლეს გაუხარდა რაკიღა წვერ-ულვაში ინით არ ჰქონდა შეღებილი.

სუყველაში გაგაცურებ,
გაგისტუმრებ ცარიალსაო,

— მემრე, მემრე? კიდე მიაბი!

აზატ ხან ცხენსა მიმართა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კუდქვეშა სდებდა ლაგამსა,
თავი საღ დამემალაო?
ისე შეშინდა საწყალი,
ველარ ჩაიცვა ჩუსტური,
„მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური“..

— ეგ ლექსი რო მთლიანად შენი არ იყო, შე მუდრეგო? — შენიშნა იმ ქიზიყელმა, რომელმაც ლექსის სათქმელად ააგულიანა.

— მა ვისი იყო? — იწყინა თედუამ.

— საწყალი წვრილას ნათქვამი არ ჩაურიე?

— აბა, რომელი!

— „ერეკლემ რო ცხენი დაძრა, სისხლმა გაიღო ჩქაფანიო, სისხლისა შედგა მორევი, ცხენს შეეღება ფაფარიო, უკრავად კაცსა მოკლავდა იმისი ცხენის ქაქანიო“?

— მემრე რა არი, რო ჩავურიე! განა რუსთველი ვარ, ყველაფერი მე მოვიგონო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წვრილას სულს გაუხარდება, ბიჭებო, არა უშავ რა! — ანუგეშათ ვიღაცამ.

— კარგია, კარგი! — მოუწონა ერეკლემ.

— მელექსე ძეძვა ხმალაშვილი იყო, საწყალი! — თქვა ვიღაცამ.

— ძეძვა ჭეშმარიტი მოლექსე იყო, ცხონებული, — მოწონების ნიშნად თავი დაიქნია თეიმურაზმა და ერეკლეს გადახედა, რომელსაც უკვე სხვაგან გაჰქცეოდა ყურადღება. ხეივანში ორი ქუდჩამობღუჯული კაცი იდგა.

— რაო? — იკითხა ერეკლემ.

— შუამთის მონასტერი ლეკებმა იგრე ააოხრეს, რო მტერსაც ეეტირება. იმოდენა ბერ-მონაზონი დახოცეს, წარღვნა გეგონებათ! — მოახსენა ერთ-ერთმა.

— თქვენ სადღა იყავით?! — განრისხდა ერეკლე მაცნეს სიდინჯის გამო.

— ვიყავით კიდეცა და კაი დღეც ვაყარეთ! ისე გავჟუჟეთ, რო მარტო ორი კაცი გაგვექცა, ამბის წამღებად.

— კარგია! — მოუწონა ერეკლემ, მაგრამ კაცი ვერ გაიგებდა, რა იყო კარგი. ის რომ გაჟუჟეს თუ ორი კაცი რომ გაჰქცევიათ ამბის წამღებად.

— არავითარი დანდობა მტერს, უნდა გავჟუჟოთ! — მაგიდაზე მუშტი დაარტყა თეიმურაზმა, მერე მოულოდნელად ერეკლეს მიუბრუნდა და: — ჰო, მართლა, შენი ჩამოყვანილი ლეკი რომ არის, ქორწილში გეპატიჟება, — ლეკის ხსენებაზე გაახსენდა თეიმურაზს.

— რომელი ლეკი? — შეიცხადა ერეკლემ, რაკიღა იმ წუთში ყველა ლეკზე გამწყრალი იყო.

— მეტეხის უბანში რომ დაასახელე, დავითი ჰქვია თუ ანდრია.. ერეკლეს გაახსენდა, მაგრამ არ ეწადა, რომ გაეხსენებინა.

— ქრისტიანულად რომ გაანათვლინე და...

— მახსოვს, მამი, მაგრამ ნეტავი ლეკის ხმა არ გამაგონა.

— ის შენი დიდად ერთგულია და რას ერჩი?

— არა მცალია მაგისთვის!.. — მერე კახელ მაცნეებს მიუბრუნდა: — დაგანაყრებენ, კარგად დაისვენეთ, ცხენებსაც გამოგიცვლიან და ისევ უკან გაბრუნდით. ლაშქარი შეაგროვონ და მალე ჩამოვალ! — შუამთის აოხრებით აშლილმა ტკივილმა გულში იმგვარად დაუარა, რომ გაყუჩებას აღარ აპირებდა.

„უნდა მოჟუჟოს, უნდა მოჟუჟოს!.. — ფიქრობდა თეიმურაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ერეკლემ ქართლ-კახეთი რომ მიმოიარა და ყველაფერი ნულ წალეკილი დახვდა, აჯი ჩელების მიმართ ხელახლა შემოენიერა. ურისძიება. გადაწყვიტა, საშემოდგომო ხვნა-თესვას რომ გამოვათავებთ, დიდძალი ლაშქრით დავიძვრები და შაქის ხანს იმგვარად დავაჩოქებ, წამოდგომა გაუჭირდესო. საამისოდ კი თადარიგის დაჭერა იყო საჭირო: ყველა სათავადოდან თუ სამოურავოდან საკმაო რაოდენობის ჯარი უნდა გამოეყვანა და ჩერქეზეთიდანაც ექირავებინა. ამ მიზნით სტეფანწმინდას ავიდა ერეკლე. იქიდან ჩერქეზთა ბატონ გირეი ოძთან კაცი გაგზავნა და წერილი გაატანა, რითაც ორი ათას ჯარისკაცს მოითხოვდა.

შინდარჩენილ თეიმურაზს ფიქრის დრო მიეცა და მიხვდა, რომ გვალვისგან გამოფიტულ მიწაში თესლის ჩაგდება ხეირიან მოსავალს ვერ მისცემდა და მომავალ წელსაც შიმშილი ემუქრებოდა ქვეყანას.

— ცხონებული ვახტანგ მეფე ბრძენი იყო! — წამოიძახა თავის ოთახში ღრმადჩაფიქრებულმა.

— რით იყო ბრძენი? — შეეკითხა ვახტანგ ბატონიშვილი, რომლის იქყოფნა არც ახსოვდა თეიმურაზს, იმდენად იყო გამოთიშული გარესამყაროდან.

— რით იყო ბრძენი? — გაიკვირვა თეიმურაზმა ჭაბუკი ვახტანგის მოულოდნელი შეკითხვა თუ თავისი ნათქვამი.

— დიახ, რით იყო ბრძენი? ეგებ იმით, საქართველო რომ მიატოვა განსაცდელის ჟამს?

ერთბაშად გამოფხიზლდა თეიმურაზი, თავი აიღო და ფართოდ გახელილ თვალებში შეხედა შვილიშვილს. ახლაღა შენიშნა, რომ საულვაშოზე უკვე გინგლი დასტყობოდა და ბაქარს საოცრად დამსგავსებოდა. ბაქარი ხომ ჯიუტად უშლიდა მამას რუსეთს წაბრძანებას: სჯობია, ისევ ჩვენი ძალებით ვეომოთ შემოსეულ მტერს, ვიდრე გარეშე ძალის იმედად ლოგინსა ვშლიდეთო.

— მაგიტომ არ ვამბობ, შვილო, თუმცა, ვერც მაგ ნაბიჯს დავუწუნებთ, რაკიღა რუსთა გარდა დამხმარე ძალა დღესაც არსაით გვიჩანს... ვახტანგი იმით იყო ბრძენი, ურწყავში რუს გაყვანაზე რომ ზრუნავდა. ქართლი და კახეთი რომ ირწყვებოდეს, ესრეთ ვერ დაგვჩაგრავდა გვალვა.

— ჩვენც ვიზრუნოთ მაგ საქმეზე. სანამ მამა სალაშქროდ მზადებას მოათავებს, გავმართოთ ბჭობა და დავადგინოთ, სად გავიქცეთ და როგორ გავიყვანოთ რუები, — ვახტანგი ფეხზე წამოდგა და მამის ნაბიჯით გაიარ-გამოიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ გენაცვალე! — უზომოდ გაუხარდა თეიმურაზს და აღარ იცოდა, რა ექნა, — მე კი ახლა თავჩაქინდრული ვიჯექი და ვფიქრობდი, ერეკლე როდის ჩამომივა, ამ საქმეს რომ თავი მოვაბათმეთქი.

— მამა თუ ჩამობრძანდება, ლაშქრად წავა და ლოდინი არას გვიშველის... მომეცი ნება, მე წარვუძღვები მაგ საქმეს!

— შესძლებ? — გახარებული თეიმურაზი სავარძლიდან წამოიმართა და შვილიშვილისკენ გაემართა, რომელიც უკვე სარკმელთან იდგა და მტკვარს გადაჰყურებდა. ჩანდა, რომ უკვე საოცნებო გეგმებს აწყობდა, — თუმცა მამაშენი ერთი წლით თუ აღგემატებოდა, ნეიშნის ომი როცა მოიგო.

* * *

მეორე დღისთვის საბჭო გამართეს. შეიმუშავეს ახალი სარწყავი არხის გაყვანის პროექტი, გადაწყდა ძველების შეკეთება და დადგინდა ისიც, რომ, როგორც კი ხვნა-თესვა ჩათავდებოდა, ბეგარით გამოიყვანდნენ ხალხსა და მშენებლობას დაიწყებდნენ. ერეკლეს მომავალი ლაშქრობა მშენებლებს ხელს არ შეუშლიდა და თეიმურაზ-ვახტანგის ხელმძღვანელობით, ამ საშვილიშვილო საქმეს საფუძველს ჩაუყრიდნენ.

იმავე საღამოს ვახტანგ ბატონიშვილმა მესტუმრეთუხუცესის დიმიტრი ციციშვილის უმშვენიერესი ასული ქეთევანი ინახულა, ვერხვნარისაკენ გაასეირნა და მომავალი გეგმები გაუმხილა:

— სასახლეში თუ ხშირად ვეღარ მნახავ, არ მოიწყინო!

— რატომ ვერ გნახავ?

— სარწყავი რუების მშენებლობას უნდა ვუხელმძღვანელო. თავდაპირველად ყარაიის არხს შევაკეთებთ. მერმე იერიდან დავიწყებთ ახალი რუს გაყვანას, მანამდე მტკვრის არხზეც შეადგენენ პროექტს. ალგეთიდანაც შეიძლება რუს ამოყვანა, ხრამიდანაც, ლიახვიდანაც, ალაზნიდანაც...

— ასე ერთბაშად? — გაიკვირვა ქეთევანმა.

— ყველას ერთად ვერ გავაკეთებთ, — გაეღიმა ბატონიშვილს, — მაგრამ ორ-სამს კი ერთდროულად დავიწყებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხალხი?

— თითო კვირის ბეგარაზე უარს არავინ იტყვის ჯერჯერობით... მთავარია, დავიწყოთ და ყველაფერი გაკეთდება.

— ლეკთა მდევარში ვინლა წავა, ეგენი თუ აქ იმუშავებენ?

— აზატ ხანის დამარცხებით ლეკებს თავდასხმის ხასიათი წაუხდებათ. ახლა მოღალატე ხანებს ჩაუხდება მამა, საკადრისად დასჯის და ასე იოლად ველარას გაბედავენ... ამ ბილიკს დავუყვეთ!

— ბილიკისა მეშინია!.. მგელი იქნება.

— ჩემთან ნურაფრისა გეშინია! — ხმალი შეისწორა ბატონიშვილმა, შემდეგ გაწკეპილი ჩოხის სამასრეებზე ხელი გადაისვა და დაამატა, — ვეფხვიც რომ იყოს, ვერ გადამირჩება.

— მჯერა, — ღიმილით დახარა თავი ქეთევანმა, — მამამ თქვა, მეფე ერეკლესთანა უშიშარი მხედარი დედამიწაზე არ იქნებაო და შენ ხომ მისი შვილი ხარ.

— პაპაჩემი ქაიხოსრო უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა.

ბილიკი ვიწრო იყო. ორნი ვერ ეტეოდნენ. წინ ვახტანგი მიუძღოდა და უკან ქეთევანი მიჰყვებოდა.

ღიჭიანში შაშვები დაძვრებოდნენ და დურაჯები ფრთხიალებდნენ.

— მეშინია! — წამდაუწუმ კრთოდა ქეთევანი.

— ნუ გეშინია!.. ამას წინათ ხომ მამაშენმა ლეკებს მუსრი გაავლო და განა შეიძლება, მისი შვილი მშიშარა იყოს? — ვახტანგი ბილიკიდან გადადგა და ვერხვის ძირას გაჩერდა.

ქეთევანმა ვერხვს შეხედა და:

— რა მაღალიაააა!..

ბატონიშვილს იმგვარად აუჟუჟუნდა თვალები, ქალმა იფიქრა, საალერსო რამეს მეტყვისო და დაიმორცხვა, მაგრამ ვახტანგმა სულ სხვა რამ უთხრა: — ხუთასი ლეკიდან ერთი ვერ წასულა ცოცხალი.

— მამამ თქვა, მჭადიჯვარელმა დედაკაცმა იმამაცაო.

— მამამ მაჩვენა ის დედაკაცი. იცი, რა თქვა?.. ღმერთმა ერთ დღეს გაავლოს მუსრი გადამთიელსაც და ქართველ ბატონსაცაო.

— ქართველ ბატონს რას ერჩის?

— ქმარიც მაგათ მომიკლეს და შვილიცო. მამას ურჩია, ჯერ ქართველი ბატონები მოაშთე და გარემტერს ისე შეებიო.

— რადაო? — იწყინა ქეთევანმა.

— მებატონე უფრო დიდი მტერია, ვიდრე ლეკიო. ლეკი ისე ვერ შემოგვივა, რომელიმე მებატონე ხელს რომ არ უწყობდესო.

— მამაჩემზეც თქვა?

— მამაშენზე არ უთქვამს, მაგრამ... აქ ჩამოვსხდეთ! — გაქერქილ ვერხვის კუნძზე მიუთითა ვახტანგმა.

— დაჯდომა არ მინდა, ვიაროთ!

— სადამდე?

— დედამიწის დასასრულამდე... აქ აღარ მინდა, თუკი მამაჩემს მოკლავენ.

— მამაშენს ხელს ვერვინ ახლებს.

— სხვებს?

— არც სხვებს. ეგ მხოლოდ მჭადიჯვარელმა დედაკაცმა თქვა.

— ავი დედაკაცი ყოფილა.

— ავი არ არის, მაგრამ... მამამ თქვა, არ დავსცავო. მართალია, ჯარს დამაკლებენ ხოლმეო, მაგრამ ყველას ჭკუაზე მოვიყვანო.

— დილეგში ჩავყრიო?

— ზოგს დილეგიც მოუხდება.

— მამაჩემსაც?

— მამაშენს არა.

— უკან გავბრუნდეთ.

— რატომ?

— რაღაცას მიმალავ, — გაბრუნჩა ქვედა ტუჩი.

— არ გიმალავ, — ბილიკი გადაუღობა ბატონიშვილმა და თვალებში ჩააცქერდა, მერე ხელი დაუჭირა და თითებზე ეამბორა.

— მამაჩემს ხომ არ მოკლავთ? — ჰკითხა ცრემლმორეულმა.

— პაპა ამბობს, მაგისთანა ერთგული კაცი ასიოდე რომ მეპოვებოდეს, აშენდებოდა საქართველოო. თურმე მეგობრის შოვნა კი არა, ერთგული კაცის შოვნა ყოფილა ძნელი.

— არც სხვებს მოკლავს?

— არც სხვებს. მართალია, მამა მეტისმეტად განრისხებული იყო და პაპას უთხრა კიდეც, ყველა ურჩ თავადს თვალი უნდა ამოვხადოო, მაგრამ პაპამ უპასუხა, ერთს რომ თვალები ამოხადო, ათ

მტერს იჩენო. ეგეც არ იყოს, ისეც მცირეა ჩვენი საქართველო და დასჯა უფრო შეამცირებსო.

ქეთევანი ფართოდგახელილ თვალებში მისჩერებოდა ბატონიშვილს და აღარ უნდოდა, მზერა მოეწყვიტა.

— რას მიყურებ? არ გჯერა?

— შენი ნათქვამი მჯერა, მაგრამ... ის არ მჯერა, რომ ოდესმე ბედნიერნი შევიქმნებით.

— უნდა გჯეროდეს!. უნდა ირწმუნო!..

— შენ ხომ რუთა მშენებლობას უნდა უთავკაცო?

— შენც თან წაგიყვან.

— როგორ?

— ცხენს შეგიკაზმავ და ყველგან გაგიყოლიებ.

— მართლა? — ქეთევანმა ხელი მაღლა ასწია და თავის მუჭაზე შემოჭდობილ ვახტანგის თითებს ეამბორა, — შენც ხომ ოდესმე მეფედ დაგსვამენ?

— ქართლის მემკვიდრე მე გახლავარ.

— ჰოდა, სიკვდილით არვინ დასაჯო!

— როგორც მიბრძანებ, ისე ვიმოქმედებ.

— მბრძანებელი შენ უნდა იყო.

— მე ქვეყნის მბრძანებელი ვიქნები, შენ კი მარტოდენ ერთი კაცისა.

— გესმის, რაღაც მოდის!

ტყიდან ხმელი ტოტების ლაწალუწის ხმა მოისმა და მალევე მიყუჩდა.

— რაც უნდა იყოს, ვერ შემაშინებს! — დაიჩურჩულა ბატონიშვილმა.

— მაშ, ჩუმად რად ლაპარაკობ? — შენიშნა ღიმილით.

— არ მინდა, დაფრთხეს. დაე, მოგვიახლოვდეს! — მხარზე ხელი შემოაჭდო და მკერდზე მიიხუტა, — ნუ გეშინია!

— შენთან არაფრის მეშინია!.. გვიახლოვდება, გესმის?

— მესმის, — ბატონიშვილმა მარჯვენა ხელი ხმალზე დაიდო და მარცხენათი კი უფრო ახლოს მიიხუტა აკანკალებული ქალიშვილი, ოღონდ იმგვარად, რომ მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში ხმლის ამოღება არ შეეფერხებინა.

ორივენი დიდ ვერხვთან მივიდნენ ფეხაკრეფით. არ გაინძრეო, ბატონიშვილმა ქეთევანი იქ გააჩერა და თავად კი ვერხვის ტანი იფარა, წაიყინწა და:

— მიტროპოლიტის მსახურია, — დაიჩურჩულა ქეთევანის გასაგონად, მერე კი ვერხვს აერიდა და ხმამაღლა დაიძახა: — რომელია ხარ?!

ლაწალუწის ხმა ახლა უმეტესად გაისმა.

— შეეშინდა და გაიქცა, — გაიცინა ბატონიშვილმა. ქეთევანმაც გაიცინა, მაგრამ გაახსენდა, რომ ეს ლაწუნი ტყის დასაწყისიდანვე მოჰყვებოდა. უნდოდა ეთქვა, მაგრამ გახვრეტილ ვერხვში ნათელი სხივი დაინახა და ამან უფრო დააინტერესა:

— ნახე, ბატონიშვილო, რა ნათელი სხივი მოდის?!

— ყველა სხივი ნათელი არის, თავადის ასულო!

— არა, ეს უმეტესია, ეს მეტისმეტად ნათელია!

მოხევე — მთიულებთან

ივანემ და შიომ ავლაზევე სთხოვეს ერეკლეს, სტუმრად ვეწვიოთ მამაჩემსო, მაგრამ საამისო დრო არა ჰქონდა. თვითონ ივანე დანიშნულთან დატოვა, შიო ისევ თან გაიყოლია იმ პირობით, რომ, როგორც კი საჩერქეზო საქმეს გავარიგებ, სტეფანწმინდიდან თქვენთან ჩამოვბრუნდებიო.

პირობა არ დავიწყებია ერეკლეს. მან კარგად იცოდა, რომ საჩერქეზოდან ორიოდე კვირა მაინც დასჭირდებოდა შიკრიკის უკან შემობრუნებას, ერთი თვე თუ არა, რაკიღა ლაშქრის შეგროვებას ხანი სჭირდებოდა და იმ ხანში კი მოხევეთა, მთიულთა და ხევსურთა სოფლების შემოვლა შეეძლო. დაივლიდა და ნახავდა მათ გასაჭირს. შეამოწმებდა მათ საბრძოლო მზადყოფნას, იარაღსა და სულისკვეთებას. ერთია იარაღის ქონა და მეორეა განწყობა. ეს კარგად იცოდა ერეკლემ და ისიც იცოდა, განწყობას რომ გამხნევებაც ქმნის, მით უფრო — მეფისგან გამხნევება.

ქართლ-კახეთის ბარს ყოველწლიურად შემოივლიდა ხოლმე ერეკლე, რაც უნდა მოუცლელი ყოფილიყო და მთის სოფლები კი, მით უფრო, ხევი და ხევსურეთი, ზოგჯერ უყურადღებოდ რჩებოდა. მართალია, აქაურ ყმათა ერთგულებას არიდეს უჩიოდა და მუდამ იმედი ჰქონდა: როგორც კი წერილს გაუგზავნიდათ, ცხენხეთქით მოაწყდებოდნენ ხოლმე ბარს დასახმარებლად. მით უფრო ყურადღება და პატივი სჭირდებოდა ერთგულ ხალხს. ერთგულნი ხომ ეჭვიანნიც არიან დიდად?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გამარჯობა! — მიესალმა ერეკლე მკერდით ჯოხზედაყრდნობილ შუახნის თმაწვერგაბურძგნულ მეცხვარეს.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს!

— როგორა ხარ?

— აის ძაღლი მჯობს ბედში.

— რატომ?

— ნადირ ჩემი მტერია, ფრინველ ჩემი მტერია, ამინდ ჩემი მტერია, ქისტ ჩემი მტერია, ლეკ ჩემი მტერია, ყველა მეცხვარის მტერია და როგორ ვიქნები?

— კიდევ თუ გესხმიან ლეკნი და ქისტნი?

— რაც ჩვენ მეფეებ ჭარში დაუმარცხდათ, ისევ გვესხმიან.

— აზატ ხანი რომ დაამარცხა?

— ეგ ჯერ არ იციან.

— ხომ არ იცი, რად დამარცხდნენ ჭარში.

— რაისთვის არ მეცოდინება? ჯარი არ მიაწოდეს თავადებმა. ბევრი ეგონა და ცოტა კი მიუვიდა.

— მაშ, თავადები ტყუოდნენ?

— ცხო ვინ ეტყუებოდა?

— მეფეები.

— ჩვენ მეფეთ ვერც რაი დაამარცხებთ, წირვის მადლმა, თავადნი რომ არ ღალატობდნენ.

— ხშირად ღალატობენ?

— ნიადაგ ღალატობენ.

— როგორ მოიქცნენ, რომ არ უღალატონ?

— თავადებ ყელებ უნდა დასჭრას.

— არ გეცოდება?

— არა. ცხორი არას გვიშლის და ვკლავთ. ბატონი საით შემეცოდების?

— რა გვარის კაცი ხარ?

— ხეთაგთ გორისა ვარ.

— რა გქვია?

— შაველა.

ერეკლეს მოეწონა ხეთაგურის სიტყვა-პასუხი, ცხენიდან ჩამოვიდა, სადავე ტახტზე გადაგდო და მწვანე ფერდობი აიარა დინჯი ნაბიჯით. იქიდან ჯერ მოხვეთა სოფლებს გაჰხედა ჭმუნვით, მერე ამოიოხრა და ისევ ხეთაგურს მიუბრუნდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენი გვარის კაცები თუ იცი, ვინ იყვნენ?

— რად არ მეცოდინების? ბატონები იყვნენ.

— ახლა?

— პატივი ახხადეს და გლეხნი არიან. კარგადაც უქნიათ: ბატონი ცუდ რას თუ ჩაიდენს, უნდა წაართვან ბატონობა. არადა, მოკლან.

— შენ თუ იცი, რომ ძალიან ცოტანი ვართ ქართველები, ჩემო შაველა? — სიპზე ჩამოჯდა ერეკლე.

— ცოტანი საით ვიქნებით? აქ მოხევენი, ჩალმა — მთიულნი, იქით — ფშავ-ხევსურნი, ბარად კახნი და, ვინ აღარ ითქმის ქართველად.

— სახელად ბევრი ითქმის, მაგრამ ერი ცოტაა. ჩამოჯექ, ვისაუბროთ!

— ჯდომას მიეჩვევი. ვიდგები ესე, — შაველამ ფარულად შეათვალიერა ერეკლე და იყნოსა, რომ ძალიან დიდი კაცი იყო და თანაც — მეფის ერთგული, — ჩემი დღე შუა გაყოფილიყო და იქ დავსწრებოდი! — ამოიოხრა სიჩუმის შემდეგ.

— სადა?

— ჭარში. სადაც დიდ ბატონთ დაუმარცხდათ. შაველა მოუკვდეთ, რომ იქ არ შეესწრო!

ცხენი მადიანად შეექცეოდა მთის ბალახს და დროდადრო პატრონისკენ იყურებოდა.

— კარგი ცხენი გყავ, ხვთის მადლმა! მეფეს ეკადრების.

ერეკლე დაეჭვდა, ხომ არ მიცნოო და კაფია წაუმღერა.

— ჩვენი მხრელი არ ხარ, არაგვის ბატონ ხომ არ ბრძანდები, ახალი დანიშნაო ერეკლე მეფემ, თავის ერთგული კაცი.

— ძველს რად წაართვაო პატივი?

— ლაშქარ არ მიაწოდაო. ერეკლეს კაცებიც პატიმარ ჰყოლია.

— მაშ, ღირსი ყოფილა?

— ერეკლე მეფე უღირსად არვის დასჯის.

— შენ ასე გგონია?

— მენაც და ცხოსაც.

— აბა, მაშ, თვალები რომ დასთხაროს ყველა ურჩ თავადს, ხალხი არ გადაუდგება?

— რაისთვის გადაუდგება? ვინც რის ღირსია, ის ეკადრების.

ფერდობზე შეფენილი ცხვარი სულ უფრო მაღლა მიიწევდა და შაველასაც დროდადრო იქით გაექცეოდა ხოლმე თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ თუ გსმენია, რა უჭირს მეფე ერეკლეს? — ჰკითხა ცალ-ხნის დუმილის შემდეგ.

— ერთგული ხალხი უჭირს, — ამოიოხრა ერეკლემ.

— ვაჟი მყავს კარგი, რომ მეტყოდეს, გავუგზავნი და იმსახურის.

— მერედა, უერთგულებს?

— ხორცი რომ ააჭრას, მაინც უერთგულებს.

— რატომ?

— აზატს ყოფს მეფე, კეთილია.

ერეკლე ჩაფიქრდა და კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია. მიხვდა, რომ თავისუფლების საზღაურად აძლევდა შვილის ერთგულებას, მაგრამ მაინც მოეწონა ნათელი გონების მოხევე და, რაკი აზატობა ახსენა, უცნაური კითხვა დაებადა:

— მტერი რომ ჭილყვავით გვახვევია, რუსთან კავშირი ხეირს თუ მოგვიტანს, ჩემო შაველა?

— არამც და არამც! — თითქოს თავში დაჰკრესო შაველას. ერეკლეს ეგონა, ამ პასუხს იკმარებსო, მაგრამ მოხსნა გუდა და... — მტერი უწინაც გვეხვეოდა, მაგრამ ვიმარჯვებდით. რუსს რომ შენი დახმარება ეწადოს, ვახტანგ მეფეს იქ არ მოგიკლავდა. ვაჟკაცობა ის არი, ბევრ მტერს მოვერიოთ, ცოტას არ სჭირდების დაჯაბნა.

ერეკლეს გაეღიმა. წამოდგა და მთის მწვერვალები შეათვალიერა. მერე ისევ შაველას მიუბრუნდა:

— რა ჰქვია შენს შვილს?

— შვილი მრავალი მყავ, მოწიფულ ერთი.

— მოწიფულს რა ჰქვია, მეფისთვის რომ იმეტებ?

— ვაჟია. ცხენმალი და ფეხმალია, სამეპის მადლმა! კლდე-ჭიუხში ისე დავალს, როგორც გზაშარას.

— ამ დღეებში საჩერქეზოდან ლაშქარი ჩამოივლის და თან გამოჰყვეს, თუ მართლა მეფის ერთგულია!

— მეფე რას იტყვის?

— გაუხარდება.

— დავლა ხომ იქნება, ლაშქრად რომ წაიყვანს?

— რამდენიც ვინდა. მეფეს უერთგულოს და წყალობა არ მოაკლდება.

ერეკლემ ცხენს ხელისგული დაანახავა და ცხენი ქვირქვილით მიუახლოვდა.

— მეფეს უთხროდე, არ უნდა რუსთა ქვეყანა! მტერს ჩვენც ვე-ყოფით.

— ვეტყვი, — ღიმილით ამხედრდა ერეკლე.

— თუ ქართველნი ვართ, თავად მოვუაროთ ქვეყანას, არადა, დავიხოცნეთ! — მიჰყვა ფეხდაფეხ ერეკლეს ცხენს.

* * *

მეორე დღეს გიორგის ესტუმრა ერეკლე.

ჩარდახში იჯდა გიორგი და უსინათლოდ ქალამანს ასხამდა. რომ შეიტყო, ერეკლე მეფე გვეწვიაო, მაღლა აწეული კოპი ჰაერში შეაჩერა, ჩალიბრული თვალები სივრცეს მიაპყრო და:

— ხო, არ მატყუებ, ბალღო?

— არა, ღმისის მადლმა!

— გამარჯობა ძია გიორგი! — მიესალმა ერეკლე.

— ღმერთმა მუდამაც გაგამარჯვებინოს, შვილო! — ქალამანი ხელიდან გაუვარდა და ფეხზე წამოდგა.

— ნუ შეწუხდები; მამაჩემზე უხუცესი ხარ!

— ყმა მუდამაც უმცირესია, შვილო, თავის მეფეზე. — მეტი სიხარულისგან ტუჩები აუცახცახდა გიორგის და მეტის თქმა ველარ მოახერხა.

ერეკლემ ხელი ჩამოართვა და მადლობა უთხრა, კარგი ვაჟკაცები გაგიზრდიაო.

— კარგიიი?... — სიტყვა გაწელა გიორგიმ და ცრემლები ჩამოუგორდა, ლოყებზე, — ვერ იმამაცეს, თორემ... — მეჩხერი, ჭაღარა თმა-წვერით შემოსილი თავი ბრაზით გააქნია და ველარა თქვა რა.

ერეკლემ შენიშნა, რომ გიორგი ერთიორად მოტეხილიყო და დაპატარავებულიყო კიდეც. ახალგაზრდობაში კი, ალბათ, ივანეს ემგვანებოდა ტანით.

— საქონელი ხომ კარგი გყავს? — შეეკითხა ერეკლე.

— რაცა მყავს, კარგად არიან. ცხვარი ზემოთ მთაში მყავს ნათლიასთან მიბარებული, ძროხა კი ხუთიოდელა შევინახე, რაკი ბიჭები შენ იახელი.

— ბიჭებს ხომ არ ემდური?

— ვემდური. არაგვის ბატონს ვერ უნდა დაეჭირა.

— მოგვალორა, თორემ... — იწყინა ივანემ.

— ვერ უნდა მოგვალოროს. მეფესთან მიდიოდი და გზა არ უნდა გაგემრუდებინა... ახლა კი საქმეს მიხედეთ! ხბო დაკალით და გალმა რო ჭედილები გვყავ, გამოიყვანეთ! ქალებს უთხარი, მეფის საკადრისად მოემზადნენ.

— ნუ შეწუხდებით, გზად ვეშურებით!

— არა, მეფეო, რაკი გვიკადრე, დავილოცნეთ კიდეც... შიგნით შევიდეთ!

— არ გინდა, აქ ვისაუბროთ, — ერეკლემ ჯორკო მიითრია და მოხერხებულად ჩამოჯდა, — აი, დავჯექი კიდეც.

გიორგიც ჩამოჯდა, რაკი თადარიგი მისცა და გული დაიარხეინა.

ივანემ ხბო წამოაქცია. შიოლა ჭედილების მოსაყვანად გავიდა არაგვზე. დანარჩენები ცხენებთან დარჩნენ მეფის სიახლოეს.

— მართლა თუ ვარგანან ჩემი შვილები, მეფეო? — გაუბედა გიორგიმ მძიმე შეკითხვა.

— თითო ლაშქრად მიღირს.

— თუ გულს არ მიკეთებ მშვიდად მოვკვდები.

— სიკვდილს ნუ იჩქარი შენი შვილების პატრონი!

— სიკვდილის ყავლი, დიდი ხანია, რაც დამიდგა, მაგრამ სული ტკბილი ყოფილა, შვილო. თვალიდან ვერას ვხედავ, მაგრამ სიცოცხლე მაინც არ მეთმობა. მინდა, ჩემი ქვეყნის წაღმართობა გავიგო და ისე დავლიო სული.

— გვიჭირს, ძია გიორგი!

— არ გამაგონო! — იწყინა გიორგიმ, — როგორი გამარჯვების ხმებიც ჩემამდე აღწევს, გაჭირვება არ ეთქმის.

— ჭარში რომ დავმარცხდით?

— ერთი დამარცხება სათქმელი არ არის. ერთმა წაბორძიკებამ არ უნდა შეგვაშინოს.

— მაგ წაბორძიკებასაც გამოვასწორებ, მაგრამ... — ამოიოხრა ერეკლემ, — სისხლი იღვრება, ძია გიორგი. ყოველი მხრიდან მტერი გვესევა და ქართველობა სისხლიდან იცლება.

— კაცისთვის უფალს მარჯვენა იმიტომ მოუცია, შვილო, რომ ხმალი იქნიოს. ხმალი კი იმიტომ მოუგონიათ, რომ სისხლი დაიღვაროს.

— ხალხი მეცოდება, ძია გიორგი, შრომისთვის ველარ იცლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სხვა გზა არ არის.

— გვინდა, გამოვნახოთ.

— როგორ?

— რუს ხელმწიფესთან კავშირს ვაპირებთ. დიდი ქვეყანაა. მისი სახელი მტერს შეგვიშინებს.

გიორგი ჩაფიქრდა. არა თქვა რა.

— მამავ, გუდაში ამოვიღო? — გასძახა შიომ.

— გუდაში, შვილო, — უპასუხა და ისევ დუმილი განაგრძო. მერე კი, რაკი ერეკლემაც ხმა აღარ ამოიღო, ამოიოხრა, — ქვეყნის მომავალს მეფენი უკეთ ხედავენ. კი... უბრალო ხალხი გულისთქმას უფრო ავდევთ, — გიორგიმ დამჭკნარი ლოყები მოისრისა და უსინათლო თვალები იქით მიაპყრო, საიდანაც წელან შიოს ხმა მოესმა.

ჩარდახში სამარისებური სიჩუმე დამყარდა. მხოლოდ შიოსა და ივანეს ღრმა სუნთქვა ისმოდა და ერეკლეს მცველთა საუბარი აღწევდა კილოკავად.

— ჯარი რა ერთი გეყოლება, ლაშქრად რომ მიდიხართ? — საუბარი სხვა საქმეზე გადაიტანა გიორგიმ.

— ორი ათასს ჩერქეზეთში ვქირაობ. სამი ათასსაც აქედან გავიყვან. მგონი, მეყოფა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს! თუ ერთგულად გემსახურებიან, გეყოფა, შვილო, თუ არადა... მაინც გეყოფა.

— მესმის ნათქვამი. ხუთი ათასი მტრადაც კმარა და მოყვრადაც...

არაგვის ხეობაზე ბინდი ეშვებოდა. ეზოში დანთებულ ცეცხლს ალი დაეტყო, რომელიც მდინარიდან მონაბერ შემოდგომის სიოს ძალას უკარგავდა და ადამიანებს თავისკენ უხმობდა.

სახლიდან ბავშვის ღნავილი გამოისმა.

— ჩემზე დიდი კაცი გყოლია სახლში და მე რაღად მეპატიჟებოდი? — ღიმილით ჰკითხა ერეკლემ.

— ჩემი ივანეს ბიჭია, — სიხარულის შუქი მოეფინა გიორგის შუბლს, — გუშინწინ გახდა ორი თვისა. აბეზარი ბალღი არ არი, მალე დაჩუმდება.

— ბალღის ტირილის გარდა ნურა მოაბეზრებს რა ჩემს საქართველოს და მეტი არა გვინდა რა.

— გისმინოს, შვილო, მამაუფალმა და ჯარისკაცი არ შემოგკლებოდეს!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გრძელი ჭაპანი დაეჭიმა ათულელა ხარს. გუთანი პაპა ეჭირა. გუთნის თავში მისი უფროსი შვილი იოსები იდგა, საწრეს ხარებთან — მომდევნო შვილი გიორგი, საშუალში — მომდევნო ნიკა, სამოზვრეში — უმცროსი მიხო, წინა ხარებს კი თორმეტიოდე წლის შვილიშვილი, იოსების ერთადერთი საძევებელი გიგლა ერეკებოდა. გუთანს კვალდაკვალ მათი მეზობელი თანდილა მიჰყვებოდა ჯოხის მეხრედ, რომელიც ღამის მეხრედაც ითვლებოდა უბანში...

— გამაიში!.. ზედა!.. — იშვიათად, მაგრამ მაინც შესძახებდა ხოლმე გუთნისდედა და ღონიერად აწვებოდა გაცვეთილ ხელნებს. სახნისი ღრმად მიდიოდა ნაგვალ ყიმირში და ზაქისოდენა გოხები გადადიოდა კვალზე.

— აქ რო მართლა წყალი გამოვიდეს და ეს მიწა გაბუჟბუჟდეს, ამაზე ღონიერი არა იქნება რა!.. — სიამოვნებით ამოიხვნეშა გუთნისდედამ, — მამაუფალო, უსმინე კაცის გაჭირვებას!

— ყველგან არხები უნდა გავიყვანოთო, მამაჩემო, — ხმა ამოიღო იოსებმა, — სანამ საქართველოს არ გავასარწყავებთ, ჯერი არ არიო.

— ჩვენზე ბედნიერი აღარავინ იქნება, თანდილავ!.. გაუჯავრდი, შვილო!..

— თუ გაასარწყავეს, ბედნიერი ვიქნებით, მაგრამა...

— მინდორს — წყალიო და გლეხკაცს კიდე — პური და მშვიდობაო... როგო არ გააკეთებენ.

სახნავის ბოლო მუხიან ღელეს ურტყამდა, თავი პავლიას გოლგოთთან ედო. მიწა გრძელი იყო და ათულელა ხარს მუხლის გაშლა ჰყოფნიდა. ხარი ისე იყო მიჩვეული, კვალს რომ გაიტანდა, თვითონვე ბრუნდებოდა, კვალში ჩადგებოდა და თავდალუნული ეწეოდა ჭაპანს.

— იმღერეთ, ბიჭო!.. ოროველა უმღერეთ ხარებს, ცოდონი არიან! — მეხრეებს შეეხმიანა გუთნისდედა.

— იმღერე, გიგლავ!.. აბა, ერთი შენებურად დააკაკანე! — წააქეზეს ბიძებმა უფროსი ძმისშვილი.

— ცოდონი მაშინ იყვნენ, რვაულლივ რო ვხნავდით, — ამოიხვნეშა თანდილამ და ჯოხი წელთან გაიგარდიგარდმოვა.

— ექვსულლივ? — ცალი თვალით აჰხედა გუთნისდედამ, — ერთხანს კი, დარუბანდს რო ურმები გაგზავნეთ, საქმე ისე დაგვიდგა,

რომა... ოთხულლივ გავიტანეთ გუთანი. შენ აბა, არ გეხსომება...

— როგო არ მახსოვს, ათი წლისა მაინც ვიყავი, უფრო მეტი-ცა... ამბობდნენ კიდეც, რომაო... ეგ ყველაფერი ერეკლეს ბიჭონ. კი არ იყოო...

— მა, ვისიო?...

— აბა, რა ვი მე... ეხლაც ბევრ რამეს გაიძახიან...

საწინაოდან გამოტყორცნილმა ზარივით წკრიალა ხმამ გააწყვეტინა თანდილას თავისი სათქმელი.

— ჰა-რიიი, ჰა-რალიიი, ჰა-რა-ლოოოო...ოოოოოო... ჰა-რა-ლიიი, ჰარუუუ ჰა-რა-ლოოოო..

— სუ შენი ხმა აქ, ილია ძიავ, — ველარ მოითმინა თანდილამ.

— მაგას თავისი ხმა აქვს და ყველასგან განსხვავდება. მამამისი ხო მღერის და მღერის, მაგრამ ეგ სუ განსხვავდება ჩვენგან.

— გუ-თა-ნოოო, სახნის ნა-კურ-თხოოოო, მო-ჭრი-ლოო შვინდის ხი-საოოო, პა-პი-ჩე-მი-საა გათლი-ლოოო, მა-მი-ჩე-მი-სა ხნი-სა-ოოოო... — მღეროდა გიგლა გულში ჩამწვდენად, — გუთანო, პურის მამყვანო, საკვეთი არ გიძველდება, გაჰკვეთე მიწა ყამირი, გადააბრუნე ბელტებად!

ძველი, დაპატარავებული ახალუხი ეცვა გიგლას, მუხლებამოკერებულ შარვალზე, წელზე პატარა ხანჯალი ეკრა და გრძნობით მღეროდა ოროველას.:

გაიწით, ჩემო ხარებო,
თქვენი დედ-მამის მზესაო,
თუ გუშინ ტანჯვაში ვიყავ,
სიხარულში ვარ დღესაო.

სხვებსაც ძველი ახალუხები ეცვათ და ქამარ-ხანჯალი ერტყათ.

— ხარო, ციოა ხარ მოსული,
ხარო, ხარი რად გქვიანო?
თვალს არ მოვხუჭავ ღამითაც,
რომ არვინ დაგაზიანოს!

— ვის დეემგვანა ეგეთი ცქვიტო, კაცო?! — ველარ ისვენებდა თანდილა, — სიმღერაშიაცა და მუშაობაშიაც ბადალი არა ჰყავ. აბა, თუ ერთი ლექსი შეეშალოს?

— თითონ იგონებს ლექსებსა და რა შეეშლება?

— მართლა?

— მართლა, მაშა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხარო, მუხლს ნურსად ჩაიხრი,
გასწი, გაიტა კვალიო,
ცოტა თუ გადავიხადე,
კიდევ ბევრი მაქვს ვალიო.

— ვაცხონე ერეკლე მეფის გამჩენი! — ამოიძახა კმაყოფილმა გუთნისდედამ, — ეგ რო დედას არ გაეჩინა, ვალიდან კი არა, ვახშიდანაც ვერ ამოვიდოდი...

— გადააყენე, შვილო, დავისვენოთ და პური გავტეხოთ! — დაიძახა, როცა კვალი ბოლომდე გაიტანეს და ბოლოში კი სოსანა დაინახა, რომელსაც ჯერი ჩამოეტანა.

— ხვალ ხო ჩემთანა ვხნავთ? — შეაგება სოსანამ.

— მა რა იქნება? — დააიმედა გუთნიდედამ.

ხარი გამოუშვეს. თანდილამ ღელეში გადარეკა, წყალი დაალევინა, საძოვარზე მიუშვა და თვითონ ისევ მალე ამობრუნდა.

სოსანამ გახუნებული ბაღდადი გაშალა ყამირზე, მერე ხურჯინიდან მრგვალი პურები ამოყარა, ყველი და მწნილი ამოალაგა, სხვებთან ერთად თვითონაც ჩაიმუხლა, ტიკჭორას პირი წაუხსნა და ფიალა შეავსო.

— დაჯექი, შენც, თანდილავ, გემშიება!

პირველი ფიალა გუთნიდედას მიაწოდა.

— ღმერთს გაუმარჯოს! ბარაქიანი წლის მოსავალი და მშვიდობა მოგვცეს!

როცა სოსანამ თითო ფიალა ჩამოატარა და თვითონაც დაიღოცა, თხელ ულვაშზე შერჩენილი ღვინის წინწკლები ხელისზურგით მოიწმინდა და სიხარულით ამოთქვა:

— ათუღლივ, ჰა? — მერე მრგვალი პური შუაზე გატეხა, ჯამში ჩაიყარა, ხის კოვზი ერთი-ორჯერ ამოურია ლობიოს, ოდნავ ძლივს დაასველა და პირისკენ გააქანა, ნახევრად დაუღეჭავი ვაგლახით ჩაყლაპა და თვალები აიჟუჟუნა, — ჩემ ადგილში რო დაიჭიმება ჭაპანი!..

— ე, ბალღიც ძაან შემესწრო, მე და ჩემმა ღმერთმა! — ლუკმა გადაყლაპა გუთნიდედამ.

— ნელათ, კაცებო, უკან ხო არავინ მოგვდევს! — გაიღიმა იოსებმა.

— უკანაც მოგვდევენ და მეტიც არი... ამ ორიოდე კვირაში თუ

ხვნა ვერ მოვათავეთ, ბეგარააო, რუების გაყვანაზე და, ვინ გვისათ-
ნოებს, რო გავაცდინოთ.. ერთი კიდე დაასხი, თორე ლუკმა ყელში
არ გადადის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსანამ ხელახლა შეუვსო ფიალა გუთნიდედას.

— ხარის ქედსა და კაცის მარჯვენას გაუმარჯოს, ცის ნამსა და დედამიწის მოსავალს!.. თუ სარწყავი რუები გაიყვანეს, მაშინ დაინახამთ წლის მოსავალს!

ილიასაც და იოსებსაც ლომს მიუგავდათ თვალები და ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. გიორგიც ძვალმსხვილი იყო, მათსავით დაჯირჯველებული, ოღონდ შავგვრემანად ითქმოდა. ნიკა და მიხო კი შოლტივით ბიჭები იყვნენ, საცოლედ შეღერებულნი.

— ჩემს საკუთარ ძმისშვილს რატო არ ასმევთ? — ღიმილით იკითხა ნიკამ და გიგლაზე ანიშნა მწდეს.

— არა ვსვამ, ნიკა ძიავ! — გულწრფელად იუკადრისა გიგლამ და ჯამიდან მწნილის ნაჭერი დაითრია.

— ჯერ პატარაა, გაიზრდება და მაშინ გადაკრავს, — ჩაერია თანდილა, — იგრე კი, კარგი იქნება, პური ჭამა რო მაათაოს და ხარებს გადახედოს.

— აბა, ერთი კიდე დაასხი!

სოსანამ დაასხა.

— ჩვენს მეფეებსა და დედოფლებს გაუმარჯოს!

— დედოფლებს არა! — იწყინა ლოყებატკრეცილმა თანდილამ.

— რატო არაო?

— ეგრე ამბობენ, რომაო, ბალღებსაო ათვალწუნებით უყურებენო.

— რომელ ბალღებსაო?

— გიორგისაო და თამარსაო... ვახტანგსაცაო... ანახანუმი ხო სახსენებელი არ არი. თურმე ყველანი ეჯავრებიან.

— როგორც ღირსნი არიან, ისე გაუმარჯოთ! — შედრკა თამადა.

— მაგრე კი გაუმარჯოთ!

მესამე ფიალა რომ გამოცალეს, გიგლამ უკვე სადილობა მოათავა.

— ლექსი გვითხარი, გიგლავ! — სთხოვა ნიკა ძიამ.

— რომელი გვითხრას, აჯი ჩელებზე? — იკითხა თანდილამ და ლუკმა ყველას პირში გაუყინა.

— შე კაი მამის შვილო, რაღა ეგ ლექსი გაიხსენე?! — იწყინა ილიამ.

— მე მარტო კაი ლექსები ვიცი მეფე ერეკლეზე.

— შენ გირჩევნია, ბალღო, ხარებს გადახედო, ცოტა ხანს აძოო და მემრე გამაირეკოო, — უთხრა თანდილამ.

— ჰო, შვილო, ეგრე აჯობებს, — დაეთანხმა ილია, — შენ უკვე ჭამა მაათავე და ჩვენ კიდე ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

— ლექსი უნდა მეთქმევინებინა. — შენიშნა ნიკამ.

— ამოვა და მაშინ ათქმევინე! — მაშინვე უპასუხა თანდილამ.

— იმ ხალხის მოგონება იყოს, — ჯამი აიღო გუთნიდედამ, — რომელთაც ჩვენზე უწინ უხნავთ კიდეც, უთესიათ კიდეც, სადღეგრძელოც უთქვამთ, ხმალიც უქნევიათ და დღეს აღარ არიან. ჩვენ დიდხანს გვაცოცხლა იმათ სადიდებლად!

— ამინ, გაუმარჯოს!

— ნე-ტავი გა-მა-გე-ბი-ნაა მამა-პაპანი რა ქმნილაااან... — წამოიწყო სიმღერა იოსებმა.

— ჰეჰეე-ჰეეე... ჰეიდაااა!.. — აიტაცა ნიკამ გიგლასავით წკრიალა ხმით.

— აბა, ავდგეთ, ბიჭებო! — ხვნეშით წამოიმართა ილია და წინსაფარი ჩამოიბერტყა, როცა სიმღერა ჩამოთავდა და ნიკამ ისიც კი მიაბა, „ნურცა იხაროს მტერმა ჩვენზედა, ნურცა რა გაუხარიაო“.

— ჯერ ხომ ხარები არ მოურეკია, მამაჩემო, და რა გეჩქარება?! — გაულიმა ნიკამ და აგრძნობინა, რომ თითო კიდევ დაგვალევინეო, — ხვალე-ხვალზევით მეც ჩხუბში წამიყვანენ და ეგებ ვერც დავბრუნდე.

— მიქარვას თავი დაანებე! — დატუქსა ილიამ, — სანამ ავდგებით და მუხლში გავიმართებით, ხარებსაც მორეკავს. სიმღერა და ღვინის სმა კიდე ამალამ იყოს!.. აბა, სოსანავ, კაი ხარჯი გაამზადებინე ვახშმისთვისა... ოთხფეხი დაკალით რამე!

— დავკლამ.

— მიდი, მიეშველე ბალღს! — მიუბრუნდა ილია თანდილას, — იქნებ ხარები იბრიყვებენ და არ ეპუებიან?!

— რა ბიჭს დაიბრიყვებენ! — გაიღრიჭა თანდილა.

— მიდი, ჰო, ხო ხედავ, აღარა ვსვამთ?!

— ეხლავე, ძიავ, — თანდილამ შვინლარწის სახრე ბეჭებზე შემოიტმასნა და ღელისკენ წაიზლაზნა.

ცოტა ხნის შემდეგ ხარები ამორეკა თანდილამ.

— ბალღი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბალღი არა ჩანს. ალბათ, სიმინდებში გადავიდა.

— არ დაუძახე?

— ვეძახე, მაგრამ...

— რას ამბობ, ბიჯო?.. ხომ არსად დაეძინა?

ღელის თავიდან ცხენების ფეხთა თქარათქურის ხმა მოესმა. გაიხედეს და:

— ლეკები, ბიჭებო!

— ლეკები!

— ვაიმე, ვაიმე!

— გიგლავ!... ჰაი, გიგლავ!..

— გიგლავ! — ეძახეს სიმინდებისკენ, მაგრამ გიგლა არსაიდან გამოეხმაურათ.

— ვაიმე, შვილებო! — დაიღმუვლა ილიამ და მუხლებზე შემოიკრა.

— ვაიმე, მამაჩემო! — ამოიგმინა იოსებმა.

— დედას ვუტირებ ყველას! — დაიძახა გაასპიტებულმა ნიკამ, საძოვრებზე გაშვებულ სოსანას ცხენს სწრაფად მოევლო ზურგზე და იმ მიმართულებით გაქუსლა, საითაც ლეკები მიეფარნენ.

— ეგე თქვენი ერეკლე! — კბილებში გამოსცრა თანდილამ, — ეხლაც იტყვით, ძრიელი მეფე გვყავსო?! ღღისით-მზისით გვესხმიან თავსა!

ილიამ ვეღარ მოითმინა დაბოღმილ გულზე, ხელი გაშალა და ისეთი სილა გააწნა, რომ თანდილა ნახნავებში გადააგდო.

ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

— შემოდი, შვილო! — მიიპატიჟა მოხუცმა ქალბატონმა ზღურბლთან მდგარი ქვლივიძის ქვრივი ნინო.

ნინო ქალბატონის ოთახში შევიდა და ღრმად ამოიოხრა.

— დაჯექი, შვილო!

— არ მეჯდომება, ქალბატონო, — ჭილით დაწნული სკამის ქიმზე ჩამოჯდა ნინო, — მეშინია, არ დამინახოს. თუ გაიგო, რისთვისაც მოვედი, არ მაცოცხლებს.

— სანადიროდ არის. ორ-სამ დღეს მაინც შეაგვიანდება, — მიუხვდა, ვისიც ეშინოდა.

— აღარ შემიძლია, ქალბატონო, აღარ შემიძლია! — ატირდა ნინო და ქალბატონმა შენიშნა, რომ სილამაზე მომატებოდა კიდეც ამ ბოლო დროს, არა თუ დაჰკლებოდა. თითქოს შეშურდა კიდეც ამ ნაურის ნაცოლარი ასეთი მშვენიერი რატომ უნდა იყოსო, მაგრამ გულში გაუხარდა, ეს ლამაზი ქალი რომ მისი შვილიშვილის საყვარელი იყო.

— ჩემი ვახუშტი და ანუკა რომ ცოცხლები მყოლოდნენ... მე კი, მე რას დამიჯერებს, შვილო?.. რამდენი წლისა ხარ?

— ოცდამეთოთხმეტეში გადავდექი, — გაკვირვებული თვალები შეაფეთა ქვლივიძის ქვრივმა, — სიბერეში შევდივარ, — დაიმორცხვა.

— სიბერეში კი არა, სიცოცხლე ახლა შენშია, შვილო. ოც წელზე რამდენი წლითაც მეტისა ხარ, იმდენი წლის ქალწულის სისხლი ვიბურს. შენ ახლა თოთხმეტი წლის გოგოს განცდები გაქვს და ბედს ნუ ემდურები!

— მკლავს, ქალბატონო, მკბენს... ბიჭები უკვე მოზრდილები მყავს და თავს მომჭრიან.

— შვილები ვერას გიზამენ, შვილო. შენ თუ არ შესჩივლებ, მაწუხებსო, არც დაიჯერებენ, თუნდაც სხვამ დაგასმინოს.

ნინომ თავი უკან გადასწია და სასოებით შეხედა ქალბატონს. ყელზე ნაკბილარები ეტყობოდა, მაგრამ ქალბატონს ისე ძალიან მოეწონა მისი თეთრ-ყირმიზი ყელ-მკერდი, ოთხმოცი წლის სიმძიმის მიუხედავად, კინაღამ წამოხტა და თვითონ დაუკოცნა. მართალია, პაატას ცოლიც უსაშველოდ ლამაზი იყო, მაგრამ ქვლივიძის ქვრივთან სახსენებლადაც არ მოვიდოდა.

— მაინც რას უჩივი, შვილო, გამაგებინე!

— არ ვუყვარვარ, ქალბატონო, და ტყუილად მტანჯავს. რომ ვუყვარდე, სიყვარულისთვის ყოველივეს მოვიმოქმედებდი, მაგრამ არ ვუყვარვარ...

ნინოს უნდოდა, ეთქვა, წადილს რომ აისრულებს, ზედ აღარ მაყურებს და გულცივი ხდებაო, მაგრამ ქალბატონისა შერცხვა და გაწითლდა.

— კაცებმა ამგვარი სიყვარული იციან, შვილო, — უთქმელად მიუხვდა ქალბატონი, — ჟინს რომ მოიკლავენ, ჭიან ტყემლადაც აღარავინ მიაჩნიათ. მერე ისევ მოესურვები და მაგაზე ნუ იდარდებ!

შენი გულისთვის ცოლს აღარ ეკარება, დედულეთში ჰყავს გასინჯნული და მეტს რასღა ითხოვ?

— მიშველე რამე, ქალბატონო, ჩამომხსენი! — შეეხვეწა ნინო და ისევ გამოაჩინა ბროლის ყელი.

ოხ, ეს ქალები!... ასეთი ლამაზები რომ არ იყვნენ, კაცები არ გაგიჟდებოდნენ და ოჯახს არ გაამწარებდნენ. პაატა როგორ გაამტყუნოს, როცა თვითონ უკვე დაშრეტილი სისხლის მოხუცი ქალბატონია და აუღელვებლად ვერ უყურებს მის ყელ-მკერდს, წელ-მუხლსა და მაღალ თეძოებს.

— შენ ახლა გაფურჩქვნის ასაკში ხარ, შვილო, და დღეს რომ ასე მევედრები, ხვალ დამემდურები, რად ჩამომაშორაო.

— არ დაგემდურები, ქალბატონო, არ დავბერებულვარ, მაგრამ გული ჩაკლული მაქვს.

— ასე გეჩვენება. რამდენი ხნისაცა ხარ, შენი ქალობა და სისხლის ხმაური ჯერ კიდევ მაგდენ წელიწადს უნდა გაგრძელდეს, მეტი თუ არა.

ნინომ იფიქრა, ალბათ თავის თავზე აქვს გამოცდილიო, მაგრამ გაგონილი ჰქონდა, რომ ადრე დაქვრივებულა და საიდან იცისო. ამ კითხვამ დააეჭვა და უკვე სხვაგვარად შეხედა მოხუც ქალბატონს. ეგებ ახლაც არ სდებს თავს მოხუცობაში და ქალი ჰგონია. სილამაზით კი ჯერაც მშვენიერია.

— თქვენ დღესაც ახალგაზრდა ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ მე უკვე ჩემი გამოვათავე.

ქალბატონს შექება გაუხარდა და ტუჩებში გაეღიმა.

— მე უკვე ბებერი ვარ, შვილო, მაგრამ, სანამ შენც ჩემი ხნისა გახდები, კაცის ხელი რატომ უნდა დაიკლო?

— არ მინდა. პაატამ ისე დამამცირა, მეორედ ველარ შევხვდები. გულში ფიცი მივეცი ჩემს თავს და ფიცს ველარ გავტეხ.

— აკი გითხარი, კაცებმა ქალის დამცირების მეტი არა იციან რა-მეთქი. ქალი კი იმიტომ დაბადებულა, რომ ეს დამცირება გადაიტანოს.

ნინომ ხმა ველარ ამოიღო. ერთხანს გაჩუმებული იჯდა და მერეღა ამოიოხრა:

— მაშ, ჩემს ტანჯვას ბოლო არ ჰქონია...

— მამაკაცის ალერსი თუ ტანჯვაა, სიხარული რაღა ყოფილა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ალერსს არა ვგრძნობ, სიყვარულს არ ვგრძნობ და იმიტომ მომბეზრდა ყოველივე.

— მანამდე ხომ გიალერსებს, სანამ წადილს აისრულებს

ნინო გაწითლდა. ქალბატონმა ეს გაწითლება თანხმობად მიიჩნია და ალერსიანად გაუღიმა:

— პაპამაგისმაც ასე იცოდა.

— შეურაცხყოფას მაყენებს, ქალბატონო, ყოველ შეხვედრაზე.

— გამოდის, რომ გულით ვწადია ჩამოცილება?

— გულით მწადია.

— შემდეგში ხომ აღარ ინანებ?

— არა.

— რაკი ასეა, მონაზვნად უნდა აღიკვეთო.

— მონაზვნად? — მოულოდნელად ეჩვენა ქვლივიძის ქვრივს. ეძნელა, ასე სწრაფად ყოველივეს დაკარგვა და მუდარით შეხედა ქალბატონს. ქალბატონი მიუხვდა და გაუღიმა.

— მაშინ ჯერ-ჯერობით ისევ აქ მოიცადე. უფლისწულს ჩერქეზეთში ნიშნავენ და იქ გაგაყოლებ.

— ვახტანგ ბატონიშვილს?

— არა, შვილო, ჩვენსას — გიორგის.

— ის ხომ ჯერ ბავშვია?

— სწორედ ამიტომაც დაგვჭირდები. ერეკლე ამ ზამთარს ლაშქრობას აპირებს, დაბრუნდება და მაგისი დანიშვნის საქმეს მოაგვარებს, ვირეი ოძი საჭირო კაცია და ამიტომაც მოყვრობას უპირებენ. სადედოფლო ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა და მის გამზრდელად გაგგზავნი ჩერქეზეთში. ჰოდა, მანამდე კი, ვნებავს, აქ დარჩი და, ვნებავს, მონასტერში გაგამწესებ.

ნინომ იფიქრა, რაკი ჩერქეზეთში გამგზავნიან, პაატას ველარასოდეს ვიხილავო, და მონასტერში წასვლა ეძნელა. გაჩუმდა და არა უპასუხა რა.

— ვიცი, გეძნელება წასვლა. მაშინ აქ დარჩი!

— აქ დავრჩები, ქალბატონო, და ვეცდები, აღარ დავენახო, — თქმით კი ასე თქვა, მაგრამ...

— როგორც გინდოდეს... — დასტური მისცა ქალბატონმა და გულში კი ასე გაიფიქრა: „ოჰ, ეს ქალები! ასეთი სუსტნი რომ არ იყვნენ და მყარი აზრი გააჩნდეთ, ამქვეყნად ნახევარი ბოროტებაც არ იქნებოდა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალლებში ჩავარდნილი ნადირი

რაკი ჩერქეზეთიდან ჯარი იგვიანებდა და ავჯი ჩელებთან ქართველთა წინანდელი მარცხით გამხნევებული ლეკები კი საქართველოს ხან ერთ კუთხეში გამოჩნდებოდნენ და ხან — მეორეში, ერეკლე იძულებული გახდა, საკუთარი მცირე ჯარით გაელაშქრა შუშის ხანის წინააღმდეგ.

ბატონიშვილი ვახტანგი ისეთი მონდომებით და თავგამოდებით ხელმძღვანელობდა არხმშენებლებს, რომ ერეკლემ ვერც ერთი კაცი ვერ მოსთხოვა და დამატებით შეაგროვა ლაშქარი ქართლ-კახეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში. დანარჩენი იმედი განჯელებსა და ერევნელებზე დაამყარა, რომელთაც ასე დიდი ამაგი დასდო აზატ ხანის დამარცხებით. აზატ ხანი ხომ ერევნის დამარცხების შემდეგ განჯის აკლებასაც ვარაუდობდა და მისი საბოლოო დამონება ჰქონდა გადაწყვეტილი. მცირე დახმარებაც რომ გაეწიათ, მერე ჩერქეზეთიდან ჯარი ჩამოეშველებოდა და ყველაფერი მოგვარდებოდა.

1752 წლის იანვარში ერეკლეს ჯარი განჯაში ჩავიდა. მეფემ განჯის, ნახჩევნისა და ერევნის ხანები დაიბარა და თათბირის გამართვა გადაწყვიტა.

სანამ მოკავშირე ხანები ერეკლეს ბანაკში გამოცხადდებოდნენ, მზვერავებმა აუწყეს, რომ ყველანი ავჯი ჩელების კარზე იყვნენ და კვლავ შენს წინააღმდეგ აწყობენ ამბოხსო. ამ ამბავმა დიდად განარისხა ერეკლე და, როგორც კი ხანები მასთან გამოცხადდნენ, ყველანი დააპატიმრა ორგულობისათვის. ზოგს თვალების დათხრა ზოგს კი წყალში დახრჩობის განაჩენი გამოუტანა.

ასეთი მკაცრი განაჩენი არა თუ მათ ჯარს, ქართველთა ლაშქარსაც არ ესიამოვნა და ჩოჩქოლი შეიქმნა მეფის სისასტიკის გამო. ამას ისიც დაემატა, რომ მეფის ორგულებმა ხმა გაავრცელეს, განჯა-ყარაბაღი, შაქი-შირვანი, ნახჭევან-ერევანი ჩვენს წინააღმდეგ მოდიან და უზიანოდ ვერ გადავრჩებითო. ეს ხმები ქართველებმა მით უფრო ირწმუნეს, რაკი შეიტყეს, რომ მტრის ბანაკში შანშეს ვაჟი ზურაბიც ყოფილა თავისი ლაშქრით.

ერეკლე მიხვდა, რომ ასეთი განწყობის ლაშქრით ბრძოლას ვერ მოიგებდა და შეუბმელად გამობრუნება ამჯობინა. ავჯი ჩელებმა ამ მომენტით ისარგებლა, მაჰმადიანთა ჯარები ადვილად დაარწმუნა, რომ ერეკლე მარტოდენ ხანების დასჯით არ დაკმაყოფილ-

დება და გამარჯვების შემდეგ მთლიანად გაგჟლეტავთო. მერე აქედან სპარსეთს შეესევა, ტახტს დაიპყრობს და საბოლოოდ გურჯები გაგვიბატონდებიანო.

— ან ჩვენ გავიჟლიტნეთ და ან მთლიანად გავჟლიტოთ ერეკლეს ლაშქარი! — ასეთი მოწოდებით მიმართა აჯი ჩელებმა მაჰმადიანებს და სასურველ შედეგსაც მიაღწია. ერეკლეს წინააღმდეგ ყველანი ერთსულოვნად ააზავთა და ფეხდაფეხ გამოედევნენ. ასეთ ვითარებაში ერევნელებიც გაუდგნენ და კვლავ სასტიკად დამარცხდნენ ქრისტიანები.

* * *

წარუმატებელი ლაშქრობიდან უკანმობრუნებული ერეკლე სასახლის გრძელ დარბაზში ნერვიული ნაბიჯით მიმოდიოდა. ქუდი მოეძრო, თმა გასჩეჩოდა და თავი რომ წინ მიეჭონდა, ფეხები ვეღარ ასწრებდნენ ნაბიჯის გადადგმას.

მხოლოდ მიმოდიოდა ერეკლე და არას ამბობდა. ისე იყო განრისხებული, ნაპერწკლები სცვიოდა თვალთაგან. ორი დღის წინათ წაკიდებული ბრაზის ცეცხლი არა თუ ჩაუნელდა, თითქოს ქარმა დაუბერა და ახალი ძალით ააბრიალაო, სასახლეში შესვლისთანავე. ანდა, რა უნდა, სასახლეში? რა მიიტანა და რას გამოელის იქიდან?

— ეგების ღმერთმა მოგვიზღა, სანები რომ უდივრად დავსაჯეთ? — გაბედა სავარძელზე მისვენებულმა ღრმადდაფიქრებულმა თეიმურაზმა.

— დასჯა შემდგომში ნახონ! — ცერად მოხედა ერეკლემ, — მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელავებია, დარბაზის ბოლომდე მივიდა, შემობრუნდა და გადაჭრით განაცხადა: — გაიტანეთ სალაროდან რაც რამ განძია და ზარაფხანაში თეთრი მოაჭრევინეთ!

— განძი? — შეკრთა დარეჯანი.

— დიახ, განძი... რა თავში ვიცემ სალაროში დადებულ განძს, უკეთუ ქვეყანას ვერ შემოვიმტკიცებ?!

— თეთრი რად გვინდა? — ჰკადრა თეიმურაზმა, რომელიც იმითაც იყო შეცბუნებული, ამ ბოლოდროს ორჯერ რომ გაჰყვა სალაშქროდ და ორჯერვე დამარცხდნენ. აზატ ხანთან მხოლოდ ერეკ-

ლე წავიდა და საოცრად მცირე ჯარით სძლია მრავალრიცხოვან ლაშქარს. აქ კი... ეგებ თეიმურაზის ბრალია ეს ყოველივე? ეგებ თეიმურაზი უკვე ზედმეტია და ფეხებში ებლანდება შენ...

— ორი ათასის ნაცვლად ოთხი ათასი კაცი უნდა ვიქირავო ჩერქეზეთიდან. ხვალვე გაიგზავნოს ამ საქმეზე ჩვენი ერთგული ივანე ზედგინიძე. ვაჟია მოხევეც თან გაიყოლოს... ებრძანოს ჯიმშერს, თავისი ჯარით გადავიდეს ქსნის ხეობაში და შანშე ერისთავს პატივი აჰყაროს. ჩაშრეტილ თვალებში შანთები დაუტრიალოს და დილეგში ჩააგდოს!..

— თვალების მეორედ მოშანთვა ცოდოობაა, — გაბედა თეიმურაზმა.

— აგრე მოუხდება!.. ამიერიდან აღარასოდეს აღსდგება ქსნის საერისთავო.. განჯა-ყარაბაღს როგორ გავუწყრე, როცა ჩემივე ხალხს არ ვენანები და მახვილს ზურგში მცემს?!. ადრევე ვგრძნობდი, მაგისი სული რომ არ გასწორდებოდა, მაგრამ შენ შეიბრალე და თავისი სახელო კვლავ აღუდგინე...

— მხცოვანი კაცის ფიცი ვიწამე და ვერ ვირწმუნე, თუ მიღალატებდა.

— ფიცს ნუ ენდობი! სასჯელი კი ღმერთს ერთგვარად გაუჩენია მხცოვნისთვისაც და ყრმისთვისაც... — სარკმელთან გაჩერდა ერეკლე, გაშლილი ხელისგული შუბლზე მიიდო და ასე იდგა კარგა ხანს, მერე კი ღრმად ამოიოხრა და ძველი დანაშაული გაუხსენა, — რუსთა ელჩობისთვის რომ ზურგი არ შეგექცია...

— მრავალგზის გიპასუხე, მოვტყუვდი-მეთქი, მაგრამ არც რამე მაგით გამოვიდოდა. იოსებ ბერი რომ გავგზავნეთ, რა სანუგეშო ცნობა გვაუწყა? ახლაც გავგზავნოთ, როგორც მირჩია, მაგრამ რწმენა არა მაქვს.

— უნდა გავგზავნოთ... შენ რომ უპასუხოდ გაგზავნე მათი ელჩნი, ამიტომ გიწყრებიან. კაცი როცა გთხოვს, მაშინ უნდა შეეწინო, თორემ, როცა შენ დაგეჭირვება, ზედ აღარ მოგხედავს. ახლა ხვეწნა გვინდა, რომ გული მოვუბრუნოთ, მაშინ კი თავად გვეახლნენ და მეგობრობა შემოგვთავაზეს. ჩვენ რომ მიგველო ეს მეგობრობა, ალბათ სხვარიგად წარიმართებოდა საქვეყნო საქმე.

— განჯაც მეგობარი იყო, შვილო, ერევანსაც არნახული შემწეობა აღმოვუჩინეთ, მაგრამ რომელმა დაგვიფასა?

— განჯა-ყარაბაღსაც და შაქ-შირვანსაც ერთი კუდი აქვთ, —

შემობრუნდა ერეკლე, — ყველანი მაჰმადიანნი არიან და ერთურთს ქომაგობენ. ერევნელნი სწორედ ამათგან შეშინდნენ და ამიტომ გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. მათ რომ რუსის ჯარის დახმარებაც იმედი ჰქონოდათ...

— მერედა, გჯერა, რომ რუსი დაგეხმარება?

— მეგობრად რომ ითქმოდეს, მაგასაც ფასი აქვს... სხვა რჯულის ხალხი ამდენს ველარ გვკადრებს.

— ეგებ იმერეთისთვის მიგვემართა საძმოდ და სამეგობროდ? — ჩაერია აქამდე მდუმარედ მჯდარი ანტონ კათალიკოსი.

— იმერეთი არ დამვიწყებია, — ერეკლემ წვერი ჩაბლუჯა და ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ თეიმურაზსა და დარეჯან დედოფალს გადახედა და ამოიოხრა, — იმერეთიცა და სამეგრელოც დიაღაც ჩვენთან იქნებიან, მაგრამ მაჰმადიანურ სამყაროს მაინც არ ვეყოფით... ცალკ-ცალკე ვართ... იქნებ მირჩიოთ, გაერთიანდეთო, მაგრამ ამისი დრო ჯერ არ დამდგარა. ჯერ ქართლ-კახეთიც ვერ შეგუებია ერთმეფობას და ლიხს გადაღმა ქვეყნებთან ერთობას ვის შევასმენთ?.. ჩვენი ხალხის უბედურება იმაშია, უცხოსავით უყურებენ ერთურთს. ერთი კუთხე მეორეს ქიშპობს, ერთი სოფელი სხვა სოფელს.

— ხალხი კი არა, დიდებულები ვერ ითმენენ, შვილო, — ამოიოხრა თეიმურაზმა.

— მით უარესი. რაჭის ერისთავი და სამეგრელოს მთავარი იმერთა ახალ მეფეს ვერ ეგუებიან, რაკიღა ძალა იკრძნეს, და ჩვენ როგორღა დაგვემორჩილებიან უსისხლოდ? ან უნდა ყველა დიდებული ერთიანად გაჟლიტო ანდა გაერთიანებაზე ხელი აიღო... საქართველო ბაღლებში მომწყვდეული ნადირია, რომელსაც უთუო დახრჩობა ემუქრება. მარტოდენ ერთმორწმუნე ძლიერ მეგობარს შეუძლია გადაარჩინოს.

— მანამდე? — უმისამართოდ იკითხა ანტონმა.

— ჩერქეზეთიდან ოთხი ათას კაცს მოვიშველიებ და დედას ვუტირებ აჯი ჩელებს! იმის დამქაშებს კი... — ერეკლე გაჩუმდა და ესლა გაიფიქრა, ჩერქეზთა ბატონ გირეი ოძის ექვსი წლის ქალიშვილს ხვალვე დავანიშნინებო გიორგი ბატონიშვილისთვის და სამკვიდრო მოყვრობას დავამყარებო. იმერთა ახალგაზრდა მეფე სოლომონთან კი კავშირს გავაბამ და ერთობლივად ვიმოქმედებთო საერთო მტრის წინააღმდეგ.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ იმ დროს, როცა ვახტანგისეულ სასახლეში ალვარეს ბჭობა და ფიქრთა ტეხა იყო, გამარჯვებით კმაყოფილი აჯი ჩელები ულვაშის წიწკნით მიმოდიოდა მუღანის ველზე. გრძელთმაწვერიანი ხანები და დალაბაშები ცხენთა ჩონჩორიკის სუნს არ ეაურბოდნენ და პირდაღებულნი შეჰყურებდნენ საუცხოო გუნებაზე მყოფ ნიჭიერ მხედართმთავარს, რომელმაც ორჯერ აოტა ერეკლეს ჯარი. ბოლოს და ბოლოს, ვისლა შეუძლია აჯი ჩელების დამარცხება ალაჰის გარდა? ალაჰი კი მის მხარეზეა და რასაც ჩააგონებს, ისე მოქმედებს.

— გურჯთა მეფეები თუ გაიმარჯვებდნენ, შიდაირანსაც დაიპყრობდნენ და ღორიჭამია ქრისტიანი გაბატონდებოდა მაჰმადიანზე, — ულვაშის წიწკნა მიატოვა აჯი ჩელებმა და წვეტიან წვერს დაუწყო ალერსი, მაცდურად დაელმებული თვალი იქაურობას მოატარა და თავის ვაჟიშვილ ალაქიშზე შეაჩერა მზერა, მოსწონს თუ არა ჩემი ნაუბარიო, — ერანის ტახტი მაჰმადიანური სამყაროს პატრონად არის მოწოდებული და თუ ამჟამად ძალა არ შესწევს, ჩვენ ეუპატრონოთ.

— ჩვენ ეუპატრონოთ! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

— ღორიჭამიები მოვსპოთ კავკასიაში!

— მოვსპოთ, უფალო!

— გურჯებმა ერთურთის მხარდაჭერა არ იციან და სხვასთან უფრო იოლად გამონახავენ ხოლმე საერთო ენას. ქსნის ერისთავის შვილი ჩვენთან არის და შიგნითაც ბევრი მოქიშპე ჰყავთ ქართველ მეფეებს. აი, მათი ბარათები! — აჯი ჩელებმა უბიდან ქაღალდების ბღუჯა ამოიღო და მაღლა აღმართა, — ამ ბარათებით თიბლიზისკენ მეპატიჟებიან. აქედან რომ ჩვენ შევებმებით, იქიდან თავისიანები შემოებმებიან და, რაც უნდა ძლიერი ნადირი იყოს, ძაღლები მაინც მოახრჩობენ, ალყაში თუ მოაქციეს.

— ორ კვირაში დავაჩოქებ მთელ გურჯისტანს, მეუფეო, მასარდლე ჯარებს! — წინ წამოდგა აღა ქიში. ხონჯარში ცერა თითები ჩაიყო, წვეტიანი ნიკაპწვერი წინ გამოსწია და მამის პასუხს დაელოდა.

— მოწინავე ჯარს შენ გასარდლებ, ცენტრს მე დავიჭერ და ვისაც ქართული ნადავლი არად ულირს, ზურგში მოვიტოვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქართული ნადავლი ჩვენც გვინდა, მბრძანებელო, ჩემმა ცოლისძმამ კი ყველაფერი ხელისგულივით იცის, — შეჰკადრა ხანმა.

— მაჰმადს ხომ არ უღალატებ?

— რისხავდეს ალაჰი მაჰმადის მოღალატეს!

— ყველას გვწყურია გურჯთა სისხლი. ქართული ოქრო ყველას გვახარებს! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— ერეკლე ხანი ძაღლებში ჩავარდნილი ნადირია. ვერ გადაგვირჩება!

გადაწყდა: თვითეული სახანო დამატებით ლაშქარს გამოიყვანდა, გაერთიანდებოდნენ და გულდაგულ მიიტანდნენ იერიშს გურჯთა დედაქალაქზე, რათა დაეპყროთ და ძალით მოექციათ მაჰმადის რჯულზე. თუ ამას ვერ შესძლებდნენ, მთლიანად გაჟლეტდნენ და ქრისტიანული საშიშროებისგან მაინც დაიხსნიდნენ მუსლიმანურ სამყაროს.

წერილები

მეფე ერეკლემ გივი ამილახვარი და ჯიმშერ ჩოლოყაშვილი იახლა და ჩერქეზთა ჯარის შესახვედრად წარემართა. თეიმურაზ მეფე, კათალიკოსი ანტონი, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი და რამდენიმე სხვა განსწავლული პირნი რუსეთის იმპერატორისადმი გასაგზავნი წიგნის წერას შეუდგნენ, რომელმაც მრავალი შესწორებისა და გადაწერის შემდეგ ამგვარი სახე მიიღო:

„ყოვლად უბრწყინვალესსა თვითმპყრობელსა დიდსა ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრესსა სრულიად რუსეთისასა და სხვათა და სხვათა და სხვათა. მეფე სრულიად ქართლისა თეიმურაზ ნიკოლასი და მეფე კახეთისა ირაკლი თეიმურაზისი მოვახსენებთ ქ. ყოვლად დიდებულისა ღვთაებრივისა მოწყალებისა შენისა მომართ მოლტოლვილნი, მძვინვარეთა ღელვათა შინა მყოფნი მონანი შენნი, ძრწოლით მკადრონი უთმინოთა ჭირთა ჩვენთა ყოვლად დიდებულისა იმპერატორობისა შენისა წინაშე განვაცხადებთ და მიწასა ზედა დამმრდომნი მოვახსენებთ წმიდასა თვითმპყრობელობასა შენსა საღმრთო დედაო ყოველთა ქრისტიანეთაო! ჩვენ არარაი მსახურებაი რაიმე გვიქმნიეს ღუთივ დიდებულისა და

წმიდისა გვირგვინოსნობისა შენისა, გარნა მით, ვინათგან სახელი ქრისტესი წოდებულ არს ჩვენს ზედა და შენ დედა ხარ ყოველთა კეთილმსახურეთა და მოწყალე მზრუნველი შეღონებულთა, ესე არს მიზეზი კადნიერებისა ჩვენისა. ხოლო ჩვენ, უმრწემესი მონათა შენთა უთვალავნი ჭირნი და იწროებანი თვინიერ განცხადებისა ჩვენისა უზედმიწევნილისად უწყის სულისაგან წმიდისა ელვარემან და მადლითა საუსემან გონებამ შენმან, თუ რაბამნი ძვირნი და ტყვეობანი მრავლით ჟამითგან მოწვეულ არიან ჩვენზედა და სამეფოთა ჩვენთა ზედა წარმართთა მეფეთაგან, რომელთა მივეცენით მონებად ცოდვათა ჩვენთათვის სამართლად ბჭობითა ღთისათა და იგინი მძლავრებით მეფობდის ჩვენზედა.

ხოლო, ვინაითგან აწ მყოფსა ამას ჟამსა არღა ვინ არს ურჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა, ესე მოეხსენოს სიწმიდისა ცისა გონებასა შენსა. აწ არს ჟამი გამოხსნისა ჩვენისა. უკეთუ არა სრულიადსა განწირულებისა ჩვენისა, რამეთუ ესრეთნი მოუთმენელნი ჭირნი აროდეს მოვლენიეს ქვეყანასა ამას, რომელ თვით სავსებით უწყის ნათლად მბჭობელმან გონებამან შენმან, რამეთუ სამეფონი ჩვენნი მგვრგვლივ გარეშეცულ არიან უცხო თესლთა წარმათთაგან და დაუცადებლად ჰყოფენ ჩვენდა მომართ ზამთარ და ზაფხულ ბრძოლსა, ოხრებასა, კვალსა და ტყვეობასა და ფრიად უმრავლეს ჩვენსა ძალითა და ჰნებავსთ დარღვევად წმიდათა ეკლესიათა და აღხოცად სახელი ქრისტიანობისა. და ამასა ჟამსა შინა შეითქუნენ ვარემოსნი მტერნი ჩვენნი და შეკრბენ ერთად მთავარნი მათნი და განიფიცნენ თვისსა მას შეგინებულსა წიგნსა ზედა, რათა ერნი საქართველოსანი საშუალთაგან აღმოფხვრან და ნათესავნი მაჰმადიანთანი დაემკვიდრნენ და გაერთხმავდნენ ყოველნივე. ეს მწარე ამბავი რა მოიწია სასმენელთა ჩვენთა ქრისტეანთა გულებსა, მწუხარებისა ცეცხლი ააღელვა. ხოლო აწ ჩვენდა სასოება სხვა არა რაი არს, თვინიერ ცხოველმყოფელისა ჯვარისა შეწევნა და შენის ყოვლად დიდებულისა იმპერატრიცაობისა საღმრთოსა პორფირისა საფარველსა კიდე. ამისათვის მხურვალედ გევედრებით დედაო ყოველთა ქრისტიანეთაო, რათა ისმაიტელთა მიერ ჩვენზედა და სამეფოთა ჩვენთა ზედა მწარენი ესე ჭირნი და ტყვეობანი დააცხრონენ და ვითარცა ენებოს მრავალ მოწყალესა თვითმპყრობელობასა შენსა, დედობრივ იღვაწე შვილთა შენთათვის უმჯობესი. დათუ უხმარნი მონანი ვართ დიდებულებისა შე-

ნისანი, მაინც ქრისტეანენი ვართ, ხოლო ვინათგან მოვალე ხარ, ვითარცა დედა ქრისტეანეთათვის მოხედვით, მოხედვა ყავ შვილთა შენთათვის ჭირთა შინა მყოფთა და დაგვიფარენ ჩვენ საფარველითა წმიდისა პორფირისა შენისათა და დაგვიცავენ ჩვენ წარმართთაგან, ვითარცა ენებოს წმიდასა ნებასა შენსა. ხოლო ჩვენისა სიმდაბლისა მიერ მოიხსენებოდედ ესეცა: ოდესმე მის დიდებულებასა სანატრელისა პაპისა შენისა ალექსი თევდორისასა მიერ მამასა ჩემსა მეფის შვილსა ნიკოლას დავითისსა მოელო მრავალ მოწყალებისა მისისა მიერ წიგნი შეწყალებისა, ოქრობეჭდოვანი, რომლისა გარდაღებული პირიცა გვიწინამძღვრებიეს და რაიცა აღგვეთქვა ჟამსა მას მსახურება ყოვლად დიდებულებისა მათსა და თანამდებობისა ჩვენისაებრ მასვე ზედა ვგიეთ მტკიცედ, დაღაცათუ ცოდვათა ჩვენთაგან საქმენი არა ცხადჰყოფენ. წარმოივლინა ჩვენისა მიერ სიმდაბლისა მომრთმელად და საველრებლად ჩვენთა სიტყვათა ყოვლად დიდებულებისა თვითმპყრობელობისა შენისადა ყოვლად სამღვდელო ათანასი მიტროპოლიტი ტფილისისა, რომლისა მიერ მოერთმის შენსა ყოვლად მოწყალებასა ვედრება ჩვენი. თქვენი დიდებულების თაყვანისმცემელი მეფე ქართლისა თეიმურაზ პანკრატოვანი, მეფე კახეთისა ირაკლი პანკრატოვანი ჩლნბ...

— თვეს და რიცხვს ნუ დავაწერთ! — შენიშნა თეიმურაზმა და მაშინვე კარნახი შეწყვიტა ანტონ კათალიკოსმა, — სანამ ირაკლი არ წაიკითხავს, ვერც ვის გავგზავნით.

— მართალია! — დაუდასტურა ანტონმა წვერისშერხევით, მდივანბეგისკენ წინწახრილი წელში გასწორდა, შემდეგ წამოდგა, წამოიმართა და დარბაზში გაიარა. თეიმურაზმა თვალი გაადევნა და ყველაზე უშორეს წერტილთან რომ მივიდა, თვითონაც წამოდგა, „ვაი, ვაიო“ დაიძახა, რაკიღა წელში მტკივნეა იგრძნო და როცა ტკივილები მიუყუჩდა, კარისკენ გაემართა, რათა მათ შორის მანძილი კიდევ უფრო გაზრდილიყო.

თეიმურაზი კართან რომ მივიდა, შემოტრიალდა. ანტონი ფანჯარასთან იდგა ისე თამამად, როგორც ეს მხოლოდ მეფეებს შეშვენით. ან რატომ ადგა თეიმურაზზე ადრე? ეს ხომ მეფეა და ის კი — კათალიკოსი? ნუთუ ერთი ბიჯით მაინც არ აღემატება? იქნებ ეს წერილი ასე არც უნდა დაწერილიყო და ანტონი აცთუნებს? ამას წინათ ვიღაცამ უთხრა, კაპუცინებთან დადისო ღამ-ღამით. რატომ უნდა დადიოდეს, თუ კარგი სულია? ახოვანებითა და მშვენიერებით

კი თამარს წააგავს — თავის ბიძაშვილს, მაგრამ კაცის სულში დღემდე ვერვის ჩაუხედია და ვერც ვინ ჩაიხედავს.

თეიმურაზმა ჯერ ორი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ დარბაზის შუაგულამდე გაიარა და იქ შეჩერდა. ფანჯრისკენ ნახევრად მობრუნებულ ანტონს თვალი ალმაცერად გაშტერებოდა და თითქოს ვერვის ამჩნევდა.

— კიდევ რა გვინდა, შვილო? — იკითხა თეიმურაზმა ანტონის გასაგონად. — ორი წერილი. ერთი — კანცლერთან (უნდოდა, ეთქვა, ვიცეკანცლერთანო, მაგრამ ვერ მოახერხა), მეორე კი — ასტრახანის გენერალგუბერნატორთან.

— ასტრახანს რაღად?

— ვთხოვთ, არ დააბრკოლონ. დედის სანახავად რომ წავედი, დიდად გამაწვალეს.

რატომ თქვა „დედის სანახავადო"? სხვა მიზნით ხომ არ იყო ანტონი? თუმცა რა მიზნითაც უნდა ყოფილიყო, ერეკლეს აზრს წინ ვერ წაუვიდოდა. ამათ ხომ ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის წინათ გაგზავნეს თავადი როსები და რუსთა დედოფალს შეევედრნენ, ბაქარი ქართლის მეფედ გამოგზავნეთო? იმ წერილით მაშინ ანა ივანეს ასულს იმასაც ემუდარებოდნენ, რუსეთ-საქართველოს ძველი ურთიერთობა აღვადგინოთო. ერთი დამხმარე კორპუსი ჯარიც მოითხოვეს, ფულიც... ამასაც ევედრებოდნენ: თუ ვერ დამეხმარები, ის წყალობა მაინც მოიღე, რომ ირანის შაჰი ჩამოგვაშოროო, მაგრამ სასურველი პასუხი არ მიუღიათ. იქნებ არც ახლა უნდა ელოდოს რაიმე შედეგს?.. ბაქარი უკვე ცოცხალი აღარ არის. ვის გამეფებას მოისურვებენ, თეიმურაზს რომ განუდგნენ? ნუთუ ალექსანდრე ბაქარის ძისას?

— დავწეროთ! — გამოერკვა თეიმურაზი.

ანტონ კათალიკოსი ორი ნაბიჯით წინ წამოდგა და გაჩერდა.

ანტონს ვერვინ აწყენინებს ირაკლის შიშით და არც საჭიროა. გივი ამილახვარსაც უზომოდ უყვარს ანტონი. მათი ნათქვამი ყოველთვის ერთურთს ემთხვევა და ორივეს ქართლის კეთილდღეობისთვის შესტკივა გული. დაე, იღვაწონ ბედკრული ქართლისთვის. ობოლს რაც უფრო მეტი მზრუნველი ჰყავს... რატომ შეადარა ობოლს? თეიმურაზიცა და ერეკლეც დღენიადაგ თავს დასტრიალებენ ვახტანგის ქართლს. კახეთს უფრო აკლია მათი ხელი და... დამიწდეს თეიმურაზის გული, თუ ქართლი კახეთზე ნაკლებ უყვარ-

დეს! ეგ კი არა, ყოველი გოჯი, სადაც ქართველნი მოსახლეობენ, ისევე ძვირფასია, როგორც საკუთარი კერა სამოსახლო.

ანტონმა თეიმურაზს გვერდი აუარა, თავის სავარძელში ჩაჯდა და წერილების საკარნახოდ მოემზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზის ლოდთან

ჩერქეზეთიდან გადმოყვანილი ჯარი ორად გაყო მეფე ერეკლემ. ერთ ნაწილს ჯიმშერ ჩოლოყაშვილი და გივი ამილახვარი უსარდლა და ქართლის სოფლებისკენ გაამწესა, სადაც ლეკთა რაზმები გადმოსულიყვნენ მის აქარყოფნაში. მეორე თავად იახლა და კახეთისკენ გაემართა.

— არც ერთი ტყვე არ დამანახვოთო, — ბრძანა წასვლის წინ, — ისე გაჟლიტეთ, ამბის წამღები არვინ გაუშვათ! ვინც ჩვენ არ გვინდობს, არც ჩვენ დავინდოთ!

ერეკლემ ორი სარდალი იმიტომ წარუმძღვარა, რომ გივი ამილახვარს ბოლომდე მაინც არ ენდობოდა, თუმცა სამეფო კარის მოხელე იყო და დღედაღამ სასახლეში ტრიალებდა. ჯიმშერ ჩოლოყაშვილის ერთგულებაში კი, მართალია, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ქართლის კუთხე-კუნჭულს ამილახვრისებურად ვერ იცნობდა და არც მისოდენა გამოცდილება ჰქონდა სარდლობაში.

თავის მხრივ გივი კახელ ჩოლოყაშვილს ენდობოდა და არც ენდობოდა. ენდობოდა იმდენად, რამდენადაც იცოდა, რომ ერეკლე უყვარდა და არ უღალატებდა, მაგრამ არ ენდობოდა იმიტომ, რომ არ იცოდა, რას ფიქრობდა თვით გივი ამილახვარზე. ეგების მეთვალყურედ მიუჩინა პატარა კახმა ზვიად ფეოდალს და ხელსაყრელ მომენტში ზურგიდან მახვილის ჩაცემას უპირებს. ეს არ იცის და ამიტომაც მოსვენებით ვერ იმოქმედებს.

ერთობლივ სარდლობას თავი აარიდა გივი ამილახვარმა. ჯარი ორად გაყო. ერთ ნაწილს ჯიმშერი მიუჩინა და მეორე თავად იახლა. სარბიელიც გაიყვეს. შიდა ქართლი ჩოლოყაშვილს არგუნა და თვითონ კი მარჯვენა სანაპირო აირჩია, სადაც ლეკთა მეტი ჯარები ეგულებოდნენ, და საბოლოო შესახვედრ პუნქტად კი ვორის ციხე დათქვეს.

სამი დღე-ღამის მანძილზე ამილახვარ-ჩოლოყაშვილის ჯარებმა ისე გაწმინდეს ქართლის სანახები, რომ ლეკთა ნასახი აღარ და-

ტოვეს. ზოგი გაჟლიტეს და ზოგი კი იმგვარად აოტეს, უკანმორჩენების ხალისი დაუკარგეს. ბოლოს, გამარჯვებული და ძლევამოსილი გივი ამილახვარი გორში ჩამოვიდა და სწორედ იმ ქვასთან ჩახარა მუხლი, სადაც ერთ დროს თეიმურაზი თათბირობდა გივისთან შებმის წინ.

მაშინ ათიოდე წლით ახალგაზრდა იყო გივი ამილახვარი, გულიც ერჩოდა და მუხლიც მოსდევდა, თუმცა არც ახლა ეძაბუნება თავი. მართალია, ორმოცდაათს გადააბიჯა, მაგრამ ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცებს არ ჩამორჩება. რაში გაახსენდა ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი, ერეკლეს ხომ არ ეჯიბრება? ასეც რომ იყოს, რა დაშავდება? ერეკლე ოცდაათ წელზე იმდენით მეტია, რამდენითაც გივია — ორმოცდაათზე მეტი. მხოლოდ ოცი წლით უფროსია და ოცი წელი კი ანგარიშში ჩასაგდები არ არის დიდი სარდლისთვის. გიორგი სააკაძე რომ ღალატით არ მოეკლათ, ვერც ვინ დაამარცხებდა. ვერც გივი ამილახვარს დაამარცხებენ ასე იოლად.

კახნი ბატონობენ და მზვავობენ ქართლსა ზედა! დედასა, ქართლო! შენ უნდა იყო მთლად საქართველოს მეთაური და კახეთი ჩემულობს პირველობას! ხომ არ აჯობებს, ჯიმშერ ჩოლოყაშვილს აქ დაელოდოს, შეებას და უკუაქციოს, როგორც ეს ერთ დროს თეიმურაზს დაბართა? მერე მისდიოს თბილისამდე და, სანამ ერეკლე კახეთს შემოივლის, ქართლის ტახტი განათავისუფლოს კახელ დამპყრობთაგან. რუსეთს მიმავალ ელჩებს კი ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამობრძანება დაავალოს?

სწორედ კარგ დროს გზავნიან ელჩობას რუსეთში. ათანასე თბილელი გივის ერთგული ბიძაშვილია და ყოველივეს იმოქმედებს, რათა ქართლის ბედი კვლავ საწაღმართოდ შებრუნდებოდეს. მეფის ძე ანტონი ფრიად ერთგულია ერეკლე ბატონისა, მაგრამ იდუმალ ოხრავს და, ჩანს, ედარდება ქართლის სვე-ბედი. უეჭველია, ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფება უფრო ახარებს, ვიდრე ერეკლესი და მისი ძე ვახტანგისა, რომელიც უკვე ქართლ-კახეთის გაერთიანებული ტახტის მემკვიდრედ აკურთხეს. ვახტანგ ბატონიშვილზე მოგახსენებენ, ფხიანობით ერეკლეს წააგავს და გონიერებით თავის პეპერა ვახტანგ მეექვსესო. აკი საუფლისწულო საქმეებიც აღმშენებლობით დაიწყო?! ასე თუ გაგრძელდა, სამეფო დინასტიას ბაგრატიონთა კახეთის შტო დაეპატრონება. ეს არ მოხდება და არც უნდა მოხდეს!

თორ-მუზარადში ჩამჯდარი, ხაოსარ საჭურველიანი გივი ამილახვარი ქვიდან წამოდგა, მყარი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ოთახში, ერთ ადგილზე ერთხანს ... ერთ ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არ აჯობებს შებმა! სატყუარად თეთრი კბილი უკეთია. გულის სიღრმეში კი ადვილად ვერვინ ჩაიხედავს, როგორც ერის ძირში.

— რა ჰქენი? — იკითხა გივემ ჯიმშერის გასაგონად.

— სადაც კი შემხვდნენ, მუსრი გავავლე, — ჯიმშერმა მუზარადი მოიხადა და ხუჭუჭი თმა გამოუჩნდა, — არვინ დავინდე, როგორც ბატონმა მიბრძანა.

„როგორც ბატონმა მიბრძანაო"... იგრძნო, რომ ჯიმშერი კვლავაც უსაშველოდ ერთგული იყო ერეკლე ბატონისა და მისთვის სიცოცხლესაც გაწირავდა. ასეთი ერთგულება ჯერ არ უნახავს ამალახვარს. გაახსენდა, ერთ დროს პაატა აბაშიძე რომ ეფიცებოდა ერთგულებაზე, მაგრამ მერე ქვიშხეთისკენ ცხენხეთქით დაეშვა და სიტყვა გატეხა.

— ბევრნი იყვნენ?

— მაჯა დაგვედალა, — ჯიმშერი ცხენიდან ჩამოხტა, სადავე გამოუყულფა როკს გადააცვა — თითებდაჭრილ მკლავს რომ მიაგავდა, და ხალისიანი ნაბიჯით მიუახლოვდა თეიმურაზის ლოდს.

გივემ ხელი ჩამოართვა ჯიმშერს, გამარჯვება მიულოცა და კვლავ ლოდზე ჩამოჯდა. მერე ჯიმშერის თორზე იღლიის ქვეშ ცარიელი ადგილი შენიშნა და უნებურად გაიფიქრა, „ვცე, რა ვქნა"?

— ჩერქეზნი კარგი მეომარნი ყოფილან, — შეაქო ჯიმშერმა, — უშიშარნი და მოხერხებულნი.

— ჩერქეზი კარგია, მაგრამ... — გივის ჯიმშერის იღლიაზე გაუშტერდა თვალი და საგონებელს მიეცა.

— ეტყობა, ღალატი არ იციან.

— ნამდვილად არ იციან.

„ვცე, რა ვქნა"?.. მაგრამ ვაი, თუ მახვილმა ვერ შეაღწიოს და...

— ზოგჯერ ღალატიც საჭიროა, არაგვის ერისთავო. ბრძა ერთგულებით შორს ვერვინ წავა.

სიტყვა „არაგვის ერისთავო" არ ეპიტნავა ჯიმშერს, რაკილა იცოდა, ერისთავობა ერეკლეს კანონით გაუქმებული იყო და მოურავად იწოდებოდა. ეგეც არ იყოს, ცუდი ბოლო ჰქონდა ყველა ერისთავს და არც ეხარბებოდა ჯიმშერს ეს ტიტული.

— ბრძა ერთგულებაზე ვერას მოგახსენებთ და ერთგულება კი ფრიად კეთილი საქონელია, — თორის გახსნა დაიწყო ჯიმშერმა. ჩანდა, დაღლილიყო და ხუნოქვა უჭირდა.

აი, ახლაა კარგი მომენტი, მაგრამ ამალა თან ახლავს კახელებისა.

— ეჰ, შვილო, ამ ლოდს და იმ ციხეს იმდენი ორგულობა ახსოვს, ერთგულებაზე მიცემულ ფიცს არვინ დაგიჯერებს და არც დაგიფასებს. ერთი დღეც დადგება და ერთგულებისთვის გიანგარიშებენ.

— ეგ როგორ?

— როგორ ფიქრობ, ვისაც ქვეყნის მტრად აცხადებენ, ყველა ორგულია?

— მაშ, რა?

— ერთგული მეტი ისჯება და ორგულნი კი უმეტესწილად დაუსჯელნი რჩებიან.

ჯიმშერს არ მოეწონა ამილახვრის ნათქვამი, მაგრამ სიმართლის მსგავსი რაღაც ენიშნა და პასუხი ვეღარ მისცა. ბოლოს კი ესლა იკითხა:

— ეგების შანშეც ტყუილად დასაჯეს?

— მაგისი პასუხი ძნელია. ის კი ვიცი, რომ კაცის თავზე ხე არ იყო და ხე მოვიდაო. ჩემს თავზე ხეც მოსულა და წისქვილის ბორბალიც მობრუნებულა. შენც ბევრს გამოსცდი. თუმცა ნაცადი ხარ, მომავალი კვლავ ბევრს გვასწავლის.

საუბრის დროს გივი ამილახვარი სამჯერ ჩამოჯდა ლოდზე და ორჯერ წამოდგა. მესამედ რომ წამოდგა, ძლივს შესამჩნევად გაუღიმა:

— წავიდეთ!... რუსეთს მიმავალი ელჩები თუ არ გავაცილეთ, ჩვენც ორგულობას შეგვწამებენ და ვეღარა გვიშველის.

ვცე თუ არაო, თავში კიდევ ერთხელ გაუელვა გივი ამილახვარს და დინჯი ნაბიჯით გაემართა ცხენისკენ.

ჩამატებული ელჩი

არაგვის ხეობიდან დაძრულმა ერეკლეს ლაშქარმა ერწო გადასჭრა, გავიდა იალნოზე, სალეკო ბილიკებით ნორიოში დაეშვა, იქიდან მარტყოფში გადავიდა, დაჭრილების მინდორი გადაიარა, სართიჭალა და ხაშმი ლეკთაგან გაწმინდა და გომბორში ავიდა. აქაც მოჩხრიკა კუთხე-კუნჭული, ვაი და ვაება აყარა გადამთიელთ,

სადაც კი ლეკი მოთარეშე გადაეყარათ, ყველგან მუსრი გაავლეს და დედოფლის წყარისთან შეისვენეს.

ერეკლემ ცხენიდან ნაბადი ჩამოხსნა, წყარისთან გულაღმა გაიშხლართა. თუმცა უკვე მაისი იდგა, ჯერ ისევ ცივდა და სუსხიანი სიო უბერავდა. ერეკლე ვერ გრძნობდა სუსხსა და სიცივეს. ლეკებთან ხელჩართულ ბრძოლაში მაჯა ისე გახურებოდა, და ისე გახვითქულიყო, ესიამოვნებოდა კიდეც სუსხი და სიცივე.

ღმერთო, შენ მოჰმადლე ძალა და ენერგია, რათა განდევნოს ყველა მოთარეშე საქართველოდან. ვის რას უშლის ქართველი ხალხი, მშვიდად ლობიოსა და მწნილის ჭამასაც რომ აღარ ანებებენ. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ავჯი ჩელებთან რომ ქიზიყელები არ შემდრკალიყვნენ, მარცხს არ იგემებდნენ და ასე ძალიან არ გათავხედდებოდნენ გადამთიელნი. ყველა ქართველს რომ ერთი პირი ჰქონდეს, სულ სხვა რიგად წარიმართებოდა ქვეყნის საქმენი. ყველა თავის ტყავს უფრთხილდება და მეფესა და ხალხზე აღარავინ ფიქრობს. არათუ მთლად საქართველო, არათუ ქართლ-კახეთი, ერთი რომელიმე კუთხეც არ არის მთლიანი და განუყოფელი. ქიზიყი, რომ იმას ფიქრობდეს, რასაც გარეჯელნი, საახმეტოს რომ იგივე წყულული აწუხებდეს, რაც — თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთს, საარაგვოსაც რომ ის ჭირი სჭირდეს, რაც საბარათიანოს და ერთურთის ტკივილი აწუხებდეთ, მაშინ სხვარიგად იმოქმედებდა მათი ლაშქარი. საქართველო რომ მთლიანი იყოს... საქართველოს რომ მუდმივი ჯარი ჰყავდეს... მუდმივი ჯარი კი დიდ სახსრებს მოითხოვს, რაიც ქართველ ხალხს არ გააჩნია.

ეს შეჩვენებულები ერთ თვეს მაინც რომ მოაცლიდნენ დაფიქრებისთვის, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ჯარისაცა და საქვეყნო საქმეც. ეგებ იმიტომაც არ აცდიან ეს ძაღლისშვილები. დილით რომ ჩრდილოეთიდან შემოუტევენ, საღამოთი უკვე სამხრეთიდან ეტევებიან. ხან — აღმოსავლეთიდან და ხან — დასავლეთიდან. ზემოდან და ქვემოდან. დღისით და ღამით. დილას და საღამოს. ზამთარ და ზაფხულს... ჩავა და მზად იქნება რუსეთს გასაგზავნი ელჩობა. ერეკლე მხოლოდ ხელს მოაწერს და გაიგზავნება. გაიგზავნება, მაგრამ რა გაკეთდება ამ ელჩობით?.. ყოველივეს ისე ვერ მისწერს, როგორც საჭიროა, დანაბარებს კი ისე კარგად ვერ მოახსენებენ, როგოროც ერეკლეს სურს. იმ ელჩობაში რომ თვით ერეკლე იყოს ან მამამისი, მაშინ სხვა იყო. ანტონი რომ ანტონია,

ისიც ახხვევებს ქართლსა და კახეთს. ერეკლესთვის კი კუთხე კი არა, ხალხია მთავარი: ქართველი და სომეხი, თათარი და ბერძენი — ყველა ერთია, ვინც კი საქართველოში ცხოვრობს, ვინც ამ ქართველოს მიწა-წყალს იცავს. აზატ ხანთან ბრძოლაში მის გვერდით დაიხოცნენ იორმუღანლოელი სარდალა და სოინა, ისა და ჰასანა...

ღმერთო, შენ გადმოჰხედე ივერიის შვილთ, შთაბერე ძალა და მხნეობა სულისა! მოჰმადლე ნიჭი ერთობისა, ჟინი ბრძოლისა და გატანა მეგობრისა! ღმერთო, მაღალო!.. ღმერთო, ძლიერო!..

* * *

ერეკლეს ჯარმა მთლიანად გაწმინდა კახეთის სოფლები ლეკთა მარბიელთაგან და თბილისს ჩამოვიდა. ელჩობა უკვე მზად დახვდა და მის დასტურსლა ელოდა.

რუსეთს გასაგზავნი წერილები გულდასმით წაიკითხა, ტონი და მანერა არ მოეწონა, მაგრამ შესწორებისთვის დრო აღარ ჰქონდა, რაკიღა აღა ქიშის წინააღმდეგ უნდა წასულიყო. მხოლოდ იმ ადგილას, სადაც ეწერა, ელჩად ათანასე თბილელს ვგზავნითო, კნიაზი სვიმონ მაყაშვილიც ჩაამატებინა და ეს ახალი ელჩი მოულოდნელი აღმოჩნდა ყველასთვის.

ამის შემდეგ რუსეთს გასაგზავნი ელჩობა — თხუთმეტიოდე კაცი სამეფო დარბაზში შეკრიბა და მოკლე თათბირი გაუმართა. ათანასე თბილელსა და სვიმონ მაყაშვილს კი ცალკე დავალება მისცა:

— აბა, თქვენ იცით, საქართველოს დესპანნი ხართ და ჩვენი ქვეყანა არ შეარცხვინოთ. გადაეცით მეფეს და კანცლერს, რომ უკეთუ ჯარით დაგვეხმარებიან, მათ ფერხთა წინაშე დავაჩოქებ სპარსეთს და თურქეთს. ქართველი ხალხი საუკუნო მეგობრად გაიხდის ერთმორწმუნე რუსეთსა და არაოდეს შეუქცევს ზურგსა, თუკი რუსეთი არ ინებებს სიტყვის გატეხას. წიგნშიც წერია და აუწყეთ, რომ ჩვენი წინაპარნი უხსოვარი დროიდან მეგობრობდნენ და დახმარების ხელს მოელოდნენ ურთიერთთავან. დღეს კი ქართველი მეფენი ათჯერ მეტს ეცდებიან რუსთა საამებლად, უკეთუ რუსის მეფეც ჩვენთვის მცდელობაში იქნება. აქ მუსლიმანებს ქრის-

ტეანთა მოშთობა განუზრახავთ და, რუსეთი თუ ხმას არ ალიმაღ-
ლებს, შესძლებენ კიდეც. უკეთუ ქართველებსა და სომხებს
თქავენ, კავკასიაში ქრისტიანობა მოისპობა და რუსეთსაც
გაუჭირდება-თქო. გადაეცით, რომ თეიმურაზი და ერეკლე მარტო
თავისი ქვეყნისათვის არა ზრუნავენ და ქრისტეს რჯულის გაძ-
ლიერებისათვის იბრძვიან-თქო კავკასიაში, რამეთუ რჯული ქრის-
ტესი უპირველესია დედამიწაზე. აუწყეთ ისიც, რომ ქართველ მე-
ფეებს მარტოდენ გაჭირვება არ ალაპარაკებთ. ისინი მაშინაც ეს
მსჯელობენ, როცა გამარჯვებას გამარჯვებაზე იმკიან-თქო. ჩვიდ-
მეტი წლის მანძილზე რატომ ორჯერ ჩვიდმეტი ბრძოლა არ გადა-
ვიხადე და მხოლოდ ორჯერ დამიმარცხდა, მაგრამ არც ამას შე-
ვარჩენ. მოკავშირე კი... მაინც მჭირდება... — მერმე მარცხენა წარბი
მაღლა აზიდა, თვალი მაყაშვილს გაუშტერა, კიდევ რაღაცის თქმა
დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ესლა წარმოთქვა, — აბა, თქვენ
იცით!..

ამბავი ალა ქიშის მამაცობისა

განრისხებული ცალკე ლეკთა დევნითა და ცალკე იმით, რომ
რუსეთს გასაგზავნი წერილებიცა და სიტყვიერი შენათვალიც ხვეწ-
ნა-მუდარა გამოუვიდა, მეფე ერეკლე თავისი ლაშქრით ავჯი ჩელე-
ბის შესახვედრად წარემართა.

გივი ამილახვარი თბილისის დასაცავად დატოვა. ჯიმშერი,
სარდლები რევაზ და დიმიტრი ორბელიანები თან გაიყოლია და
საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაიძრა.

აბაი, ძაღლიკა, მამუკა, თორღვა, ივანე, შიო და ქიზიყელი არა-
დაშვილი მდუმარედ მიუყვებოდნენ საყაზახო გზას, რაკიღა მეტი
ხმას არ იღებდა და პირს მრისხანების კლიტე ედო. ერეკლეს
მცველნი გრძნობდნენ, რომ რუსეთს მიმავალმა ელჩებმა მეფისგან
რაღაც აუნაზღაურებელი წაიღეს, რომლის უკანდაბრუნებაც აღარ
შეიძლებოდა. მეფე გამუდმებით წუხდა იმ რაღაცაზე და ეს წუხი-
ლი კი მის ქვეშევრდომებს ედებოდათ კუდიანი ქარისგან დატრია-
ლებული ნეშო-მტვერივით.

— საიათნოვა მაინც ყოფილიყო, გაგვამხიარულებდა, — მოუ-
ლოდნელად თქვა ერეკლემ.

— საიათნოვა თათრებს ემხრობაო, — მიახალა ალადაშვილმა.

— როგორ?

— უთქვამს, მეფე ერეკლე უდიერად ბევრ სისხლსა ღვრის, ლმერთი არ აპატიებსო.

— მაშ, რა ქნასო?

— ქრისტე გვასწავლისო, რომ ერთ ლოყაში რო სილა გაგაწნან, მეორე უნდა მიუშვიროო, მეფე ერეკლე კი ორ სილას არტყამსო ერთის მაგივრად. სისხლი სისხლით არ დაიბანებაო და მეფე ერეკლე კი იმაზე მეტ სისხლსა ღვრის, ვიდრე ალაზანში წყალი მოედინებაო.

— მერედა, ურიგოდ იქცევაო?

— მე რო მკითხო, კიდევაც ყოჩაღად ვერ იქცევა ჩვენი მეფე, მაგრამ საიათნოვას უთქვამს, ულმობელიაო.

— ახლა რომ აქ იყოს, სიკვდილით დავსჯიდი.

— ეგეც უთქვამს.

— რა უთქვამს?

— ვიცი, მეფე ერეკლე სიკვდილით დამსჯის, მაგრამ არ მედარდებაო. პოეტი იმიტომ დაბადებულა, რომ ხალხის სიცოცხლეს უმღეროს და არა — სიკვდილსო.

— შაბაშ მის პოეტობას! ახლა რომ აქ იყოს, აკაზმულ ცხენს ვაჩუქებდი.

— ეგეც უთქვამს. ერეკლემ ჩემი გულის წუხილი რო შეიტყოს, ჯილდოს მამცემდაო, მაგრამ ბალა ის არი, კაცის გულში ვერვან ჩაიხედავსო.

— ვერც მეფეო?

— ვერც მეფეო და ვერც — მისი ყმაო.

— აბა, მაშ, სიკვდილით დასასჯელი ყოფილა, — გაიღიმა ერეკლემ და მოულოდნელად გამხიარულდა. ერთხანს იყუჩა და მერე დაამატა: — არა ტყუის საწყალი, მამით ჰალაბელი, დედით ავლაბრელი, სომეხი კაცი, აზერბაიჯანში დაბადებული და საქართველოში გაზრდილ-დავაჟკაცებული. სომეხიც უყვარს, ქართველიცა და თათარიც, რომლის სისხლი გაიმეტოს დასაღვრელად?

— ჯარი, მეფეო! — დაიძახა ოდნავ დაწინაურებულმა ივანემ და სამხრეთის ჰორიზონტს ხელმოჩრდილვით გაჰხედა.

— ნუთუ აქამდე ამოვიდნენ? — გაიკვირვა ერეკლემ, რაკიღა ჯერ ისევ ქართლის საზღვრებში იყვნენ და არ მოელოდა, თუ საზღვრის

გადმოლახვას გაბედავდნენ, — მერე ჭოგრიტი მოიმარჯვა, კარგ ხანს უცქირა და თავი გაიქნია, — აღა ქიშის ჯარია. დედაჭ[illegible]ტეულ[illegible]
რებ, თუ ერეკლე ვყოფილვარ! განჯა ერევანი კუთვნილად [illegible]
და ახლა საქართველოს დაპყრობა ნებავთ. არა, რჯულძაღლებო,
ეგ არ მოხდება! — ერეკლე თავის ჯარისკენ შებრუნდა, ყურადღე-
ბის მისაქცევად ხელი მაღლა შემართა და, როცა ყველანი შეჩერდ-
ნენ და გაინაბნენ, ხმამაღლა დაიძახა: — ძმებო და შვილებო! აქვეა
მტერი, რომელიც თიფლიზ ქალაქს შეჭმას უპირებს და ქრისტეს
რჯულს კი მოსპობით ემუქრება. დედა შეერთოს ცოლად, ვინც
დღეს შემინდეს და მტერს ზურგი უჩვენოს!

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც ზურგი უჩვენოს! — დაიძახეს
ლაშქრიდან.

— მიმყევით, ვისაც მკლავში ძალა გაქვთ და გულში მხნეობა! —
ხმალი გაიძრო ჰატარა კახმა და აღა ქიშის ჯარისკენ ჯიქურ გაა-
ჭრა. სხვა დროს ალბათ პირდაპირ იერიშს მოერიდებოდა, მაგრამ
მათგან ისე იყო გაბრაზებული, მოთმენა ველარ შესძლო.

აღა ქიში ამ დროს ჭოგრიტით უთვალთვალებდა ქართველთა
ლაშქარს. მას თავის ჯართან დატრაბახებული ჰქონდა, ერეკლე
ხმალდახმალ ბრძოლაში უნდა ჩამოვაგდოთ და ენატრებოდა კიდეც
გულდაგულ შეხვედრა, თუმცა მისკენ ისარივით სწრაფად გაჭრი-
ლი ლაშქარი რომ დაინახა და ავანგარდში კი მეფე ერეკლე შეიც-
ნო, ჭოგრიტი დაუშვა, მომყევითო, დაიძახა და უკან მოკურცხლა.

— დედას ვიტირებთ! — ბრაზი წაეკიდა ერეკლეს და გაახსენდა,
რუსთა იმპერატორს რომ ხვეწნა-მუდარის წერილი გაუგზავნეს:
ქრისტიანობა საფრთხეშია და გვიშველეთ რამეო. ვის ნებავს ქრის-
ტეს რჯულის მოსპობა თუ არა ავჯი ჩელებსა და მის ძე აღა ქიშს?!
მაშ, თუ ასეა, — ჰკარით მაგ ძაღლებს!

აბაი ბიტურაულმა ცხენის ხადავე მარცხენა ხელში გადაიტანა,
მარჯვენით თოფი გადმოიღო და, ჭენება არ შეუწყვეტია, ისე ეს-
როლა გაქცეულ აღა ქიშს. ყურთან ჩაესმა ტყვიის ზუზუნმა კი-
დევ უფრო შეაკრთო აღა ქიში და ცხენს გამეტებით უჭირა ქუსლი.
აბას სხვებმაც მიბაძეს და რამდენიმე მხედარი ჩამოვარდა მტრის
ლაშქრიდან. ამან უფრო გაამხნევა ქართველები, მტრის რიგები კი
არიე-დარიეა და უთანასწოროდ იწყეს გაქცევა.

ხშირ ბინდამდე ხდიეს აღა ქიშის ლაშქრელებს. ღამე ყაზახში
გაათენეს და გათენებისას ისევ მისდიეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თუ არ ვავნეთ და სისხლით არ ვანანეთ, მარტოდენ ოტეა არაფერიაო, — ბრძანა ერეკლემ და სადაც კი მისწვდნენ ალა ქიშიმ ჯარის ნარჩენებს, მუსრი გაავლეს.

სანამ ერეკლეს ჯარი ყაზახში გაითენებდა, ალა ქიშიმ სული მოითქვა და შამშადილში გამაგრდა. ქრისტიანთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ლაშქარს მაჰმადის სახელით მოუწოდა თავისი მამასავით, და საუკუნო სასუფეველი აღუთქვა, ვინც ამ დიდ საქმეს შეეწირებოდა.

ისე, როგორც ძალლი საკუთარ ეზოში დიდგული და უშიშარია, უშიშრად შეხვდნენ მუსლიმანი მოკავშირეებიც ერეკლეს ჯარის გამოჩენას, მაგრამ პირველი მედგარი შეტაკებისთანავე გაიშალნენ, რაკიდა ეს შეტაკება იმდენად მრისხანე იყო, რომ მათი ჯარისკაცები პანტაპუნტით ცვიოდნენ ცხენებიდან. ბრძოლის ჟინით დამუხტულ ქართველებს ასეთი გამძაფრებით არასოდეს უბრძოლიათ და ასე სასტიკნი არასოდეს ყოფილან მუსლიმანთათვის. მედგარი შეძახილი, ხმლების ჩახაჩუხი, კბილთა ღრჭიალი და ცხენთა ჭიხვანი ისე აირია მტრის ლაშქარში, რომ თავისიანებს ველარ იცნობდნენ და აუტანელი შიში გამეფდა. ალა ქიშს მხნეობა ალარ ეყო და „ალა, ალას“ ძახილით ნუხისკენ გააჭენა, სადაც მამა ეგულებოდა, დარჩენილი მცირე ჯარით.

ერეკლეს ჯარმა ეხლაღა შეწყვიტა დევნა. შამშადილში კარვები დასცეს და საიმედო გუშაგთა მეთვალყურეობით დაისვენეს.

* * *

ყველას ეძინა, რამდენიმე ტალა-გუშაგისა, მეფისა და მის მცველთა გარდა.

ერეკლემ სხვა დროს უზომო სიხარული იცოდა, გამარჯვების შემდეგ, მაგრამ ახლა სიხარულის ნაცვლად დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაეუფლა და სურვილი გაუჩნდა, რუსეთს გაგზავნილი ელჩებისთვის წერილი მიედევნებინა და რუსთა მეფისთვის შეეთვალა, უკეთუ ორიოდე პოლკ ჯარს მომაწვდი, სპარსთა ქვეყანას მთლად დავიპყრობ და მის ქალაქებს შენი დროშის ქვეშ დავაჩოქებო.

ერეკლე მიხვდა, რომ თუ საპოლიო გამარჯვება გსურს, მტერს

არ უნდა მისცე ამოსუთქვის დრო. სწორედ ასე უშვრებიან ბას ლეკნი და სპარსნი. ერთნი რომ სამხრეთიდან ესხმიან, [illegible] აღმოსავლეთიდან თუ ჩრდილოეთიდან ეტევებიან, ძილს [illegible], რომ გამოძინებულმა უკეთ იბრძოლოს. აქ კი ერეკლემ აღარ მისცა მოსვენება აღა ქიშსა და მის დამქაშებს...

ახლა რომ დასვენებული ჯარი ჰყავდეს ერეკლეს და სურსათი ეშოვებოდეს, სპარსეთს აიღებდა. და საბოლოოდ იხსნიდა საქართველოს გადაშენებისაგან... იხსნიდა კი?.. მერმე ისევ სულს მოითქვამენ ურჯულონი, შეერთდებიან და ახალი ძალით დაატყდებიან რისხვად. არა, რუსეთი... ისევ რუსეთი... რუსეთი მისცემს ჯარს, ფულითაც დაეხმარება (არადა, თავისი ხაზინიდან განძი მთლიანად ზარაფხანას ჩააბარა ფულის მოსაჭრელად), სპარსეთს შეესევა და ბეჭებზე დასცემს. დაე, რუსეთის დროშა ბატონობდეს, რაკიღა ერთმორწმუნეა და იმას მაინც არ შეეცდება, რომ რწმენა წაართვას ქართველს და სომეხს. ძმური ხელის გაწვდენა რუსეთმა შესძლოს, ბრძოლა და მამაცობა კი ერეკლეზე იყოს.

ფიქრობდა ერეკლე და მის ფიქრს მძინარეთა ხვრინვა, ცხენთა ფრუტუნი და ზაფხულის მაუწყებელი ჭრიჭინების ჭიჭინი ერთვოდა.

როგორც კი ჩავა, ახალ წერილს დაადევნებს ქართველთა ელჩიონს. მისწერს, რომ სხვათა დაუხმარებლად გაიმარჯვა და კვლავაც გაიმარჯვებს. მათი გამგზავრების წინ ახსენა, ორჯერ დავმარცხდიო, მაგრამ ქართული ჭიდაობისა არ იყოს, გამარჯვებული მხოლოდ ის არის, ვინც მოწინააღმდეგეს ბეჭებზე გაართხობს. აღა ქიში და განჯის ხანი კი ისე გაართხო, ადვილად ველარ წამოდგებიან... წამოდგომით კი... როცა იქნება, წამოდგებიან და კვლავაც კუდიკუდს გადაებამენ ქრისტიანთა წინააღმდეგ. ამიტომაც ცალკეული ბრძოლა და გამარჯვება არაფერია, ერს საბოლოო ნავსაყუდარი ეჭირვება, მოსვენებული ცხოვრებისა და თავისუფალი შრომის პირობა. მართალია, კაცი ტანჯვისთვის დაბადებულა, მაგრამ ტანჯვასაც თავისი საზღვარი აქვს.

მეორე დილას აზატ ხანმა მოულოცა ერეკლეს სახელოვანი გამარჯვება და ზავი შესთავაზა. შემდეგ განჯის ხანის მოციქული ეახლა ბოდიშებით, ამას ერევნელები მოჰყვნენ და, სანამ ერეკლე თბილისში გამობრუნდებოდა, ყველამ მოასწრო მასთან მუხლის მოყრა და მობოდიშება.

დადევნებული წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ელჩობა პირველ ივნისს გავიდა თბილისიდან. მისი ოდენობა თხუთმეტი კაცისგან შედგებოდა და მთავარ ხელმძღვანელად თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი ითვლებოდა. გარდა თბილელისა და სვიმონ მაყაშვილისა, ელჩობაში შედიოდნენ არქიმანდრიტი ქრისტეფორე, დეკანოზი ნიკოლოზი, მღვდელი სვიმონი, ფოდაკები იოსები და ივანე და სხვა მოსამსახურენი.

სიტყვიერი დავალების გარდა, ელჩებს მიჰქონდათ რამდენიმე წერილი. ამათგან ერთი ასტრახანის გუბერნატორის, გენერალ ბრილკინისადმი, რომელსაც სთხოვდნენ, რომ არ დაეყოვნებინათ და დროზე გაეშვათ სატახტოსკენ, მეორე ელისაბედ პირველის სახელზე და მესამე კანცლერის — ბესტუჟევ-რიუმინის სახელზე.

ყიზლარში რამდენიმე კვირას დაბრკოლდნენ და ამასობაში დადევნებული წერილი მიიღეს, რომელშიც ეწერა:

„ქ. წმიდისა და ყოვლად სამღვდელოს ტფილისის მიტროპოლიტს ათანასის. მეფე ქართლისა თეიმურაზ და მეფე კახეთისა ირაკლი ღვთით შემოსილს წმინდას მარჯვენას ამბორს მოვახსენებთ. აქაურს ამბავს იკითხავ, რაც შენ აქყოფნაში ამბავი იყო, ისევ ამბავი არის და უსჯულოთაგან დღე და ღამე მუდამ ბრძოლა დაუგებელი. და რაც წარმართთაგან შეთქმულება იყო, ისევ განზრახვა აქვთ და განმზადებულნი არიან, რათა აღხოცონ სახელი ქრისტიანობისა ქვეყანისა ამისაგან, ხოლო ჩვენდა სასოება და იმედი სხვა არა რაი არს, თვინიერ მღთისა ხელმწიფისა შებრალება და მოწყალებისა მოფენა და ქვეყნის ჩვენისა მცირენი და დიდნი, ქვრივნი და ობოლნი დიდებულისა ხელმწიფისა მსასოებელნი და მოწყალებისა მომლოდნენი ვართ. აგვისტოს ბ. კიდევ ეს ამბავი მოვიდა აქა რომ ხვანთქარს ტრაპიზონის ფაშასთან ფირმანი მიუწერია და ბრძანება ასრე მოსვლოდა, რომ იმას ალიფაშა ჰქვიან, რვა ათასი თარაყალი და ორი ათასი სუფაი ჯარად მიუცია და ის უნდა მოვიდეს და ყარსისა, ყიზილბაშისა და ქართველის საზღვარში დადგეს. და იმავ ფირმანში ესეც უბრძანებია, როდესაც რომ მეფემ ჯარი გთხოვოსთ, მაშინვე ჯარიცა და ჯაბახანაც გაუგზავნეთო. ახლა ისინი იმ საზღვარზე უნდა მოვიდნენ და არ ვიცით, საითკენ წავლენ. თავად აქეთ ლეკისაგან და უსჯულოთაგან შიში გვქონდა, ახლა მე-

ორე შიში და ფიქრი იმ ურუმისაგან გვაქვს. არ ვიცით, თუ ურუმი რას ფიქრში არის და ჯარი კი მოდის. ეს ამბავი ყოველად მეწყალის კარზედ უნდა გამოაცხადოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ქართლისა პანკრატოვანი თეიმურაზ,

მეფე კახეთისა ირაკლი პანკრატოვანი, „აგვისტოს ია"

ორიოდე თვის შემდეგ მეორე წერილი წამოეწია ქართველ ელჩობას, სადაც ერეკლე იწერებოდა იმ გამარჯვების შესახებ, რომელიც მან აღა ქიშთან ბრძოლისას მოიპოვა, მაგრამ ამის მიუხედავად იგივე დახმარებას ეეედრებოდა, რადგან იცოდა, ურჯულონი ამ დამარცხების შემდეგაც არ მოისვენებდნენ.

ელჩებმა დეკემბერში ჩააღწიეს პეტერბურგში. იქაური ქართველები დიდი ამბით შეეგებნენ მათ ჩაბრძანებას.

სვიმონ მაყაშვილი განცვიფრებული დარჩა, როცა დაინახა, რომ ათანასე მიტროპოლიტს სიყვარულით შემოეხვივნენ და მშვენიერ სასახლეში წააბრძანეს, სადაც ხანში შესული, მაგრამ უმშვენიერესი ბანოვანი ელოდა. ბანოვანმა დასხდომისთანავე სვიმონზე მიანიშნა, ვინ არისო, და როცა ათანასემ ხმამაღლა უპასუხა, კახეთის ელჩიაო, დამცინავად ჩაიღიმა:

— ნუთუ კახეთსაც უჭირს?

— კახეთს უმეტესად უჭირს, ქალბატონო, — გაიკვირვა სვიმონმა, — ლეკი და სპარსი აოხრებს და დახმარებას ვითხოვთ.

— ორი მეფე ჰყავს და როგორღა უჭირს?

— ორივე მეფე ქართლშია, ქალბატონო, და ქართლის საქმეებს უფრო მეტ დროს ახმარენ.

— აბა, მაშ, რად იწერებიან, ქართლი იჩაგრებაო?

— ბრიყვი ყოფილა, ვინც ეგ მოიწერა, — გულწრფელად გაიკვირვა მაყაშვილმა, მაგრამ მისმა გაკვირვებამ ღიმილის მეტი არა გამოიწვია რა.

— ორივ ქვეყანა იჩაგრება, — გულისტკივილით დაიწყო ათანასე თბილელმა და თავის ძმისშვილ იაგორ ამილახვარს გადაჰხედა, რომელსაც იქაური ქართველები ეგორს ეძახდნენ, მერე — ბანოვანს იმის ნიშნად, რომ კახელ თავადთან გადაჭარბებული გულახდილობა არ გამოდგებაო, და ისე განაგრძო, — ორივ ერთ წყალშია და მეფეთაც იმად გვაახლეს თქვენთან, — სიტყვა „თქვენთან" ზედმეტად მოუვიდა ათანასეს, ჩაახველა და შეასწორა, — რუსეთის სამეფო

კართან. ერთი წერილი დედოფალთან გამოგვატანეს და მეორე — კანცლერთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაჩვენე! — ფეხი ფეხზე შემოიდო ბანოვანმა.

— დიდი სიამოვნებით, ქალბატონო, თუკი წაკითხვას ინებებთ და არ შეწუხდებით, — ათანასემ არგანში ჩადებული გრაგნილები ამოიღო და მოწიწებით გაუწოდა.

ეგორმა მოუთმენელი ცნობისმოყვარეობით ვადახედა და ანა მიხვდა, რომ ხმამაღლა წაკითხვა იყო საჭირო.

— წაიკითხეთ, დასაფარავი არაფერია! — დასტური მისცა ათანასემ.

ბანოვანმა ჯერ ჩვეულებრივ დაიწყო და შემდეგ კი განაზებული, ხვეწნა-მუდარის გამომხატველი ხმით განაგრძო კითხვა. ზოგ დროს ჩერდებოდა, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი ანდა წუხილი ეხახებოდა სახეზე და ისევ განაგრძობდა. სვიმონ მაყაშვილს იმ მუდარაში რატომღაც ერეკლეს ხმა ჩაესმოდა და არ სიამოვნებდა. უფრო მეტიც: ებრაზებოდა ერეკლე მეფეზე.

— როცა ორივე წერილი ბოლომდე წაიკითხა, ბანოვანმა ამოიოხრა და დაამატა:

— ვფიქრობ, ვიცეკანცლერ ვორონცოვთან აჯობებს წერილის წარდგენა და არა — ბესტუჟევ-რიუმინთან. აქ, მართალია, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი, რომ ქართლის კანონიერი პატრონები რუსეთს არიან და მოგვეშველნენო, მაგრამ ქვეყანას მაინც ხსნა უნდა და დახმარება. ვორონცოვთან თუ გამოცხადდებით, ბევრად მოიგებთ.

— როგორც გვიბრძანებთ! — მორჩილების ნიშნად ხელები გაშალა ათანასემ.

— თავად წავყვები, — ჩაერია ეგორ ამილახვარი, — ვორონცოვი ქართველებს წყალობის თვალით გვიყურებს და ვფიქრობ, მოგვიბმენს... ქართული არაყი თუ წამოიღეთ?

— რამდენიც გნებავს.

— ხვალვე მოგიყვანთ.

— ჩემი საბელი ყელისა და არა მხოლოდ ჩემი... საბელი ყელისა საქართველოისა თქვენს ხელთ არის. როგორც გვიბრძანებთ, ისე ვიმოქმედებთ.

— მეფე ირაკლიმ დაგვაბარა მხოლოდ კანცლერს ეახელითო, — განაცხადა მაყაშვილმა.

— შინიდან დანაბარები ყოველთვის არ გამოგვადგება, — ამოიოხრა ათანასემ, — ესენი უკეთ იცნობენ აქაურობას და ჩვენზე კარგად ხედავენ, რაც საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ?.. მეფე ირაკლი... — ასაფრენად გამზადებულ ქორის თვალებში მოულოდნელი რისხვა ჩაუდგა მაყაშვილს.

— მეფე ირაკლი რაც უნდა დიდი გამჭრიახი იყოს, ორი ათასი ვერსის იქით რა ხდება, ვერას გაიგებს.

ათანასეს ნათქვამის მოწონების ნიშნად ბანოვანმა წამწამები დახარა და ეგორისკენ გააპარა მზერა.

— იქნებ არ გვენდობა კახელი თავადი? — წყრომით იკითხა ეგორმა, მერე, თითქოს ცეცხლი წაეკიდაო, ფეხზე წამოიჭრა და რიხით განაცხადა, — ჩემი გული დამიწდეს, თუ ქართლი თეიმურაზზე ანდა ერეკლეზე ნაკლებ მიყვარდეს!

მაყაშვილი დაამშვიდა ეგორის განრისხებამ და მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ესლა ჩაილაპარაკა:

— რა ვიცი, მეფეებმა ეგრე დაგვაბარეს და...

ეგორმა ოთახში გაიარ-გამოიარა და რაკი მიხვდა, მისმა ნათქვამმა მაყაშვილზე იმოქმედა, ბუზღუნი განაგრძო:

— თურმე მარტოდენ კახელებს სცოდნიათ ქვეყნის სიყვარული და ქართლელებს — არა. ვოტ ტებე!

მაყაშვილმა არ იცოდა „ვოტ ტებე" რა იყო და დამშვიდების ნაცვლად ისევ აემღვრა გული.

— მეფე ირაკლიმ ბრძანა, ვისაც ვნახავ, რომ კაცს კახელობით ან ქართლელობით დასცინებს, ტყავს გავაძრობ.

— როგორ? — განცვიფრებით შეჩერდა ეგორ ამილახვარი.

— კარგად უბრძანებია, — მაყაშვილის საამებლად დაადასტურა ბანოვანმა, — სწორედაც ქართლი და კახეთი ძმები არიან.

— დიახ, ეგრეაო, — ესიამოვნა მაყაშვილს.

— ეგლა მაკლია, — ჩაილაპარაკა ეგორ ამილახვარმა, მაგრამ, რაკილა ბანოვანის შეკრულ შუბლს წააწყდა, მეტის თქმა აღარ ინება.

— ყველა ქართველი ძმა არიო, მეფე ირაკლი ამბობს, — განაგრძო მაყაშვილმა, — არა თუ ქართლი და კახეთი, ლიხთიმერეთიც ჩვენიაო და ყველანი რო ერთადა ვყოფილიყავით, მტერი ვერას დაგვაკლებდაო.

— მართალი უბრძანებია, — ისეთი ღიმილით დაუდასტურა ბანო-

ვანმა, როგორც ეს გულუბრყვილოდ გამწყრალი ბავშვების დასამშ-
ვიდებლად იციან.

— მაგრამ ის არ უთქვამს, რომ მთავარი მაინც ქართლია, და
არა — კახეთი ანდა იმერეთი? — იკითხა ეგორ ამილახვარმა.

— არა, ეგ არ უთქვამს, — გულუბრყვილოდ უპასუხა მაყაშვილ-
მა, — ყველა ერთიაო. ვინც რა მარიფათს გამოიჩენს, იმით იქნებ-
საქებიო.

— კახელებმა ხომ გამოიჩინეს მარიფათი?

— გამოიჩინეს, როგორ არა.

მაყაშვილის გულუბრყვილო პასუხზე ყველას გაეცინა და კახე-
ლი თავადი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ აღარ იცოდა, საით
გაეხედა. იფიქრა, ესენი ჩემზე დიდად განათლებულნი ჩანანო და
ხმის ამოღება გაუძნელდა. უფრო მეტიც: ყელში რაღაც გაეხირა
და რამდენჯერმე რომ არ ამოეხველებინა, ალბათ დაიხრჩვებოდა.
ბოლმასთან ერთად უეცრად ეს სიტყვებიც მოეძალა „დედას გიტა-
რებთი", მაგრამ თავი შეიკავა და ერთხელ კიდევ ამოახველა.

ბანოვანმა შენიშნა, რომ ყურებამდე გაწითლდა კახელი თავადი
და, სადაც იყო, ბრაზის გუდას პირი წასკდებოდა. მერე უკვე არა-
ვინ იცოდა, ეს გაბრაზება ვის რას მოუტანდა და ამიტომაც დამშვი-
დება ამჯობინა:

— სულითა და გულით გვჯერა, ბრწყინვალე თავადო, რომ თეი-
მურაზ მეფეცა და ერეკლე მეფეც საქართველოს კეთილდღეობაზე
ოცნებობენ და არა მხოლოდ კახეთზე.

— დიახ, ქალბატონო! — დაუდასტურა მაყაშვილმა, და ახლადა
ეგრძნო, რომ ეს ბანოვანი საოცრად წააგავდა თეიმურაზის განსვე-
ნებულ მეულლე თამარ დედოფალს. რაც ამ დარბაზში შემოვიდა,
სულ იმის საგონებელში იყო, ვის მიაგავსო, და ახლადა ამოიცნო, —
მეფე ირაკლი მკლავით ებრძვის გადამთიელებს და ძილს იმწარებს.
აემ კედელივით გავხმე, თუ იმას კახეთი მეტად ადარდებდეს და ქართ-
ლი — ნაკლებად. ერეკლესათვის კაცი კაცია, რა ერისაც უნდა იყოს,
ოღონდაც საქართველოს არ ემტერებოდეს.

— აკი ცხონებული ვახტანგ მეფეც ასე იყო. ჩვენ ხალხი გვინ-
და; თავადი, კუთხეებს გარჩევა არ უნდა ჰქონდეს. ყველას რომ ასე
ესახებოდეს...

მაყაშვილმა ბანოვანს თვალზე ცრემლი შენიშნა და უეცრად
ირწმუნა მისი ნათქვამი.

„არა, არ შეიძლება ეს ქალბატონი ურიგოს ფიქრობდეს საქართველოზე!“ — გაიფიქრა მაყაშვილმა და ერთხელ კიდევ შეათვალიერა თუმცა უკვე ხანდაზმული, მაგრამ ჯერაც დაუჭკნობელი სახე მაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქართლი და კახეთი ძმები არიან, მაგრამ... — ფანჯრიდან შემობრუნდა ეგორ ამილახვარი და გაშლილი ხელი დააჩვენა მაყაშვილს, — აი, ეს ხელის თითებიც ძმები არიან და ერთურთს არ ეურჩებიან.

ძმებისა და თითების ხსენებაზე მაყაშვილს ბშვენიერი აზრი მოუვიდა და, რაკი ამ აზრის გამოსახატავად თავისი ავტორიტეტი ეპატარავა, ერეკლეს სახელი მოიშველია:

— მეფე ირაკლიც ამას მოგახსენებს: საქართველო ხელია და კუთხეები კი მისი თითებიო. ამ ხელს თუ მუშტად შეკვრა ეღირსა, ვაი, იმას, რომელსაც ყბებში მოხვდებაო.

მაყაშვილის სათქვამზე ყველას გაეცინა და საუბარი უფრო თავისუფლად წარიმართა. ასე რომ ცოტა ხნის შემდეგ მათ სიცილს მაყაშვილის როხროხიც უერთდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ მეორე დილიდან საქართველოს სვე-ბედი სხვაგვარად წარამართებოდა.

ყვარლის ციხესთან

ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ერეკლეს სასახლეში პირველად დარეჯან დედოფალი შეეგება. გილანური ვარდებიანი აბრეშუმის ფარფარა კაბა ეცვა დარეჯანს, გულამოღებული. დედოფალი იმ წამს ისეთი ლამაზი და მწველი იყო, მნახველი იფიქრებდა, მზის მცხუნვარება და მთვარის სითეთრე შერწყმიაო ერთურთს.

ერეკლე მთელი ორი კვირის უძილო იყო, უზომოდ ესიამოვნა საყვარელი ქალის სითბო და ალერსი. ორსულობისაგან ამ დღეებში კიდევ უფრო გავსილიყო და დამძიმებულიყო დარეჯანი. ერეკლეს მამის სიტყვები გაახსენდა დარეჯანზე: სამეგრელოს სილამაზე თან წამოუღია და კოლხთა ქვეყანას რაღა ეშველებაო. ეს რომ შვილს გაუჩენს... გიორგიზე უმეტესი ლამაზი მაინც არ იქნება.

— გიორგი სად არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ოსტატთან გახლავს.

— თამარი?

— კახეთშია.

— ვახტანგი რასა იქმს?

— ვახტანგი ალგეთს არის.

— ალგეთს რა უნდა? — მუზარადი მოიხადა ერეკლემ, ოთახში შესვლისთანავე, — აკი მტკვრისა და არაგვის არხებს აშენებდა.

— იქაც დაიწყო. ხალხის შორს წაყვანა ძნელდება და საცხოვრებელ ადგილთან ვამუშავებო. მართალია, დიდ ხანს მოვუნდები, მაგრამ რამდენიმე არხი რომ ერთად გაიხსნება, ხალხი ერთბაშად გაბედნიერდებაო.

ერეკლე უზომოდ გაახარა პირმშოს გონიერებამ.

— კიდევ რა არის ახალი? — თორი გაიხადა ერეკლემ.

— თეატრი შეიქმნა, როგორც შენ ბრძანე. წარმოდგენა მოამზადეს და შენს მობრძანებას ელოდებიან.

— რაკი უჩემოდ საქმე კეთდება, ქვეყანა აღარ დაიღუპება. კიდევ რით გამახარებ?

— ფული მოსჭრეს ზარაფხანაში, როგორც უბრძანე.

— ამაზეც დიდი მადლობა მომიხსენებია... კიდევ? — ხალათი ჩაიცვა ერეკლემ, საჩქაროდ აბანოში შევალ, თორემ საშინლად გაჭუჭყიანებული ვარ და, ვგონებ, გატილიანებულიც.

— უი, ჩემს თავს, აქ როგორ შემოგიშვი?! — გაიცინა დედოფალმა და შუბლზე აკოცა, — ალავერდში მადანი აღმოაჩინესო შენმა ბერძნებმა.

— მაგან უმეტესად გამახარა, — ლოყაზე აკოცა ერეკლემ.

— კიდევ ის არის ახალი...

— აბანოდან როცა გამოვალ, მაშინ მომახსენე. ეგ ყოველივე ხომ ანტონის წყალობაა?

— ანტონისა კი არა, ყოველივე ჩემი ქალობაა, მე ვადევნებ თვალყურს.

— შენ? — კისერი მოიბრუნა კარებში გამავალმა ერეკლემ, — ნუთუ ამდენი შეგიძლია?

— დარჩი ერთ დღეს, უკან ამედევნე და ნახავ, რამდენი შემიძლია.

— მერედა, ეგ არ გიშლის? — ანიშნა მუცელზე.

— არა.

ერეკლემ სიხარულის ნიშნად თვალები მოწკურა, წვერი მოიქაჟლა და სიამოვნებით წააქეზა:

— რაკი მეფე ნიადაგ ომშია, ქვეყნის შინაგან საქმეს დედოფალი უნდა განაგებდეს. წარმატებას გისურვებ! — თქვა და გასვლა დააპირა, მაგრამ დარეჯანის სიტყვებმა ისევ შეაფერხა:

— ანახანუმი მეურჩება, მაგრამ არას ვუჯერებ.

ერეკლემ გულიანად გადაიხარხარა:

— არ დაუჯერო!.. შემოვბრუნდები და სხვა დანარჩენი მერმე მომახსენე!

ერეკლე აბანოში შებრძანდა. დარეჯანი ერეკლეს ოთახში აწრიალდა და მოუთმენელ ლოდინში გაუგრძელდა წუთები. ამასობაში ანტონ კათალიკოსის მობრძანება მოახსენეს.

დედოფალს არ სიამოვნებდა ანტონის დანახვა, რაკიღა ერეკლეს უზომოდ უყვარდა, მაგრამ მაინც მშვენიერი ღიმილით შეეგება.

— შიომღვიმის მონასტერში ვიყავი, — შესვლისთანავე მოიბოდიშა ანტონმა, — ვითარცა მაუწყეს, ერეკლე მეფე მობრძანდებაო, ავშურდი, მაგრამ მაინც დამაგვიანდა. ხომ არ ვუკითხივარ?

— გიკითხა.

— ქართლში კვლავ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, — სავარძელში ჩაჯდომისთანავე განაგრძო კათალიკოსმა, — მეორე ომი აქ გაუმართავთ ამ დაწყევლილებს. ცალკერძ ლეკთა წინააღმდეგ იბრძვიან და ცალკერძ ურთიერთს ქიშპობენ.

— ბოროტი ენები მოგვახსენებენ, კათალიკოსი აქეზებთო, — მოულოდნელად მიახალა დედოფალმა.

— რაო? — შეცბუნდა ანტონი და მთელი ტანით შეტრიალდა სავარძელში, — მე ვაქეზებ, დედოფალო?

— ენას ძვალი არ გააჩნია, თქვენო უწმინდესობავ.

— რაკი არ გააჩნია, მსჯავრს იმადა მდებთ?!. ხომ არ გნებავთ, რომ ირაკლის ჩემი თავი მოაკვლევინოთ? — დაამატა დუმილის შემდეგ.

— ეგ რომ მესურვა, თქვენ არ გეტყოდით. მაგრამ... ვინც მეფეთ უღალატებს...

— წყეულიმც იყოს საუკუნოდ და შეჩვენებული!

— ამინ! გისმინოს უფალმა!

დარეჯანმა რომ სარკმელში გაიხედა, ანტონმა ისარგებლა შემ-

თხეევით, მისი მშვენიერი ტან-ფეხი გულდასმით შეათვალიერა და გაიფიქრა: ამ მშვენიერებაში ეგების გველი იმალება და არავინ უწყის. ასე ახალგაზრდა და ასე გაბედული, ასე ულმობელი ეგების შხამი შობოს კეთილი მემკვიდრის ნაცვლად? ანდა რალად ეჭირვებათ მემკვიდრე, როცა ქართლსაც და კახეთსაც უკვე გააჩნია? ვახტანგიცა და გიორგიც მეტად კეთილნი და მოყვასისმოყვარულნი არიან. ღმერთო, შენ დაიფარე კაცთა მოდგმა ბოროტისაგან და შხამ-სამსალისგან!.. ეგებ არც არის ბოროტი სული და დიდად კეთილია? ეგებ სიკეთე ამოქმედებს და ამად განმიცხადა?..

— მიბრძანე, დედოფალო, თუ რამ გსმენია ჩემს სიავეზე?

დედოფალს ზაქარია გაბაშვილისგან ბევრი რამ სმენოდა, მაგრამ არ გაამხილა და ნაზად ამოიოხრა:

— არ მსმენია, მაგრამ გუმანი მითხრობს.

— ჯერ მთლად ნორჩი ხარ და გუმანს ნუ ენდობი!

— ნუ გეშინია, თქვენო უწმინდესობავ, ირაკლის არას მოვახსენებ.

— უკეთუ ავი რამ შემატყო, ყოველივე მოახსენე, დედოფალო. მიწა გამისკდეს, როცა ირაკლის ვეცრუო სადმე. თეიმურაზ მეფეზე კი არას მოგახსენებ.

— კათალიკოსის ნათქვამი თეიმურაზთან მობოდიშებად ჩათვადა დედოფალმა და თავისი ეჭვიდან რაღაც ინიშნა.

— მგონი, მობრძანდება მეფე. მე არას ვამბობ და არც შენ გირჩევ უსიამო თათბირს.

„ესე ნორჩი და ასე ეშმაკი, — გაიფიქრა ანტონმა, — კოლხის ასულნი ასაკს უსწრებენ და საშიშნიც არიანო. მართალი ყოფილა. ქართლელი და კახელი ქალი ამდენს ვერ შესძლებს“.

ანტონი კარისკენ გაემართა, ერეკლეს შესახვედრად.

გაღიმებული შემოვიდა მეფე ერეკლე, თავზე დოლბანდით და ტანზე — სპარსული ხალათით. აბანოს ოფლის წვეთები ეტყობოდა სახეზე.

ანტონმა თავისი საყვარელი ბიძაშვილი გულში ჩაიხუტა და რატომღაც ცრემლები გადმოსცვივდა.

— აი, მოვედი და ახლა მიამბეთ, თუ რამ კარგი იცით? — დარეჯანის გასაგონად თქვა ერეკლემ და დაღლილ-დაქანცული ტახტზე წამოწვა.

ანტონმა იფიქრა, ყოველივე ნათქვამი ექნება და გულისხმაში

მაგდებსო, დამნაშავესავით აილეწა და აღარ იცოდა, საით გაეხედა.

ერეკლემ სპარსული ბალიში თავქვეშ გაისწორა და ხმენად გადაიქცა.

— აი, იქ, გაღმა შევარჩიე, ჩემი კოშკის ადგილი, — ფეხთით დაუჯდა დარეჯანი.

— მანდ რა ადგილას? — უადგილოდ ეჩვენა ერეკლეს დარეჯანის სიხარული.

— მეტეხის ასწვრივ. აქედან კარგად მოჩანს. აბა, წამოიწიე და გაიხედე!

— ახლა დაღლილი ვარ, ცოტა ხანს დამასვენე და, სადაც თითს დამიდებ, იქ აგიშენებ.

ანტონს თავისი ეჭვი გადაავიწყდა და ცოლ-ქმრის უზომო სიყვარულზე იეჭვიანა. ერეკლეს ნათქვამი არ მოეწონა, „სადაც თითს დამიდებ, იქ აგიშენებო“.

— მცდარიც რომ იყოს დედოფლის აზრი, ჩემი ბიძაშვილი ისეთია, მაინც დაუჯერებს, — თქვა ანტონმა.

— დედოფლის აზრი მცდარი აროდეს იქნება, მამიდაშვილო, — გაიღიმა ერეკლემ, — შენც ახლოს მოსწიე სავარძელი და მიამბეთ, რაც მოხდა ჩემს აქარყოფნაში! — თვალები მილულა ერეკლემ.

— უმჯობესია, მოისვენო და მერმე მოგახსენებთ, — უპასუხა ანტონმა.

— არა. თან დავიძინებ და თან მიამბეთ. ორივეს შევძლებ, — თქვა ღიმილით.

დარბაზში მსახურმა შემოიხედა, მეფის ნახვას თხულობენო სასწრაფოდ.

— სძინავს, — უპასუხა დარეჯანმა.

— არა მძინავს. მოვიდეს, თუ შინაურია!

— შიკრიკია კახეთიდან. პაპა ბებურიშვილს გამოუგზავნია.

— მოუთმენლად ველი! — წამოჯდა ერეკლე.

— ყვარლის ციხე ლეკებმა დაიპყრეს და თავად გამაგრდნენ, — მოახსენა შიკრიკმა შემოსვლისთანავე, — ხალხი დრტვინავს და მეფე ერეკლეს ჩამობრძანებას ელის.

— დაიპყრეს?! — ისე გამოფხიზლდა ერეკლე, რომ ბანგითაც ვეღარ დააძინებდნენ. კარგა ხანს იყუჩა და, მდივან-ბეგს მიხმეთო, ბრძანა მოულოდნელად. და როცა ოთახში მდივან-ბეგი შემოვიდა, ანტონისა და მის გასაგონად განაცხადა: — ახლავე მისწერეთ ელ-

ჩებს წერილი და აუწყეთ, რომ, რაც უნდა პირობა ითხოვოს რუსთა ქვეყანამ, ყოველივეს გავწირავ, ოღონდაც ორიოდე პოლკი ჯარი გამომიგზავნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თელავს რომ ჩავიდა, ყვარლის ციხის დაპყრობის წვრილმანი მოახსენეს მეფე ერეკლეს. ისიც აუწყეს, რომ ლეკებს ციხის აღება დიდად გასძნელებიათ, მაგრამ გარეჯის მონასტრიდან იმერი ბერი ვინმე დაყუდებული გამოქცეულა და მტრისთვის უსწავლებია, რომ ციხისთვის მიწაყრილი შემოეველოთ და იქიდან პირდაპირ ციხეში ჩაეხალებინათ თოფები. ასე გაუჟლეტიათ მეციხოვნენი და თვითონ დაპატრონებიან.

ქართლიდან წაყვანილი ჯარი კახელებს შეუერთა და ერეკლე ყვარლისკენ გაემართა. თათბირი გრემქალაქთან გაიმართა. თათბირზე იყვნენ აჯი ჩელებთან ბრძოლაში ნასახელარნი: პაპა ბებურიშვილი და დათუნა ბოსტაშვილი, მდივანი სოლომონ ქობულისძე და ფარემუზ თაყაშვილი, ბეჟან რატიშვილი და ერასტი ნამორაძე. აქვე იყვნენ ლეკებთან ბრძოლაში ნაცადი აზნაურნი და გლეხები, რომელთაც მეფის ერთგულება შუბლზე ეხატათ. მათ შეჰფიცეს ერეკლეს, რომ ყოველივეს იღონებდნენ ციხის გამოხსნისათვის, ოღონდაც ირაკლი ნუ ინებებდა ალაზანს გაღმა გახდომას და გრემთან დალოდებოდა გამარჯვებას. ჩანს, მწარედ ახსოვდათ აჯი ჩელებთან ნაწვნევი მარცხი.

* * *

ქართველებმა კიბეები მიიტანეს ციხესთან და, თუმცა თავადაც მრავლად იხოცებოდნენ, შიგ ამოჟლიტეს ყაჩაღები. გარემდგარ ლეკთა რაზმებს კი იქამდე სდიეს, სანამ ილაჯს გაუწყვეტდნენ.

ლევანი

მესამე ვაჟის დაბადება ერეკლე მეფესაც და თეიმურაზსაც ისე გაუხარდათ, თითქოს პირველი მემკვიდრე ყოფილიყო. სახელად უყოყმანოდ ლევანი დაარქვეს — კახეთის იმ მეფის სახელი, რომელიც პირველად შეეცადა მეგობრობის დამყარებას შორეულ რუსეთ-

თან. რუსეთში გაგზავნილი ელჩობის წარმატება ამ სახელს დაუკავშირეს და ამით გააღვიძეს კახეთის სახელოვანი მეფის მეფეობა მარე სული, რათა თავისი შნო და მარიფათი ახალგაზრდობაზე დაენათლებინა.

— გაგზავნეთ მაყარი ჩერქეზთ ბატონ გირეი ოძისთან, მისი ქალიშვილი დაწინდეთ ჩემს გიორგიზე და საკადრისი ალმზრდელებიც გაუგზავნეთ! — გაიხსენა ერეკლემ ადრინდელი გადაწყვეტილება, — არადა, ჯარი რომ დაგვჭირდეს, მეორედ ველარ შევთხოვთ. დაე, დარწმუნდეს, რომ მოყვრები ვართ.

— ელჩნი შერჩეულნი არიან, შვილო, — უპასუხა თეიმურაზმა, — ალმზრდელსაც ვეძებდით და შენს აქარყოფნაში მშვენიერი ქალი გამოგვიგზავნა აბაშიძეთა დიდმა ქალბატონმა.

— გლეხია თუ წარჩინებული?

— აზნაურ ქვლივიძის ქვრივია — ნინო, ალბათ გეხსომება.

ერეკლეს მაშინვე გაახსენდა ათიოდე წლის წინათ გაცნობილი მშვენიერი ქალი, რომლის ხატება დღემდე თვალიდან ვერ მოეშორებინა. ისიც გაახსენდა პაატა აბაშიძესთან რომ ნაზრახი იყო ვითომც მისი ქმარი პაატამ მოაკვლევინაო.

— გამოდგება სადედოფლოს ალმზრდელად?

— სათნო და სულით უბიწოაო, ქალბატონს უბრძანებია, — ქალების ქება ძალიან შვენოდა თეიმურაზს, რადგან მათი ქების დროს თითქოს ჩადნებოდა და ჩაინავლებოდა ხოლმე, — მართალია, ნაზრახია, მაგრამ... იმ მუტრუკის ბრალია ყოველივე! — კახური ეპითეტით შეამკო თეიმურაზმა თავისი ცოლის დისშვილი და ერეკლე უმალ მიხვდა, ვისაც ეს ხოტბა შეეხებოდა, — მამამისივით ვისაც კი თვალში ამოიღებს...

— მამამისი უკეთესი ვაჟკაცი იყო. იმან რომ სამასი კაცით რამდენმე ათასი მტერი დაიფრინა, — გაიხსენა ერეკლემ ვახუშტის გმირობა.

— შემართებით არ ვადრი. ტყვეებით ვაჭრობა და ქალების დევნა კი იმ ცხონებულს უმეტესად უყვარდა.

ოთახში ვახტანგ ბატონიშვილი შემოვიდა. თეთრი ჩოხა ეცვა, ცისფერი ახალუხით და შავი წაღებით. ჩოხა მუხლსქვემოთ სწვდებოდა და ისედაც ტანმაღალს, მოწიფული ვაჟკაცის თვალტანადობას აძლევდა.

— სწორედ შენზე ვფიქრობდი, შვილო, — წამოდგა ერეკლე, მიუ-

ახლოვდა და ისე გაუჩერდა, თითქოს დაეტოლაო, — კიდევ გაზრდილხარ. მალე სიმაღლეში დამაჭარბებ კიდეც... საქმეები კი, აბა, მითხარი, როგორ მიგყავს საქვეყნო საქმე?

— საქმეები კარგად მიდის, მამა-ბატონო, — გრძელი წამწამები მორჩილებით დახარა ბატონიშვილმა და ერეკლემ შენიშნა, რომ დედასაც ჰგვანებია ვახტანგი, — მართალია, მუშახელი მიჭირს და ომებიდან კი ბევრი ხეიბარი მიბრუნდება, მაგრამ ასეც რომ გაგრძელდეს, ორ წელიწადში ალგეთის არხს დავამთავრებ. მერმე იმ ხალხსაც ალაზანზე და მტკვარზე გავგზავნი მისაშველებლად და ხუთ წელიწადში კახეთსაც და ზემო ქართლსაც სარწყავი გაუჩნდება.

ერეკლემ შუბლზე აკოცა და მკერდზე მიიხუტა. თუმცა ორბელიანის ასულის სურნელება შეიგრძნო, მალე მაინც არ მოიშორა და ასე ჰყავდა ერთხანს.

— პაპაშენი ვახტანგიც შენსავით მეოცნებე იყო, შვილო, — ჩაერია თეიმურაზი მამა-შვილის საუბარში, — ეს იყო, ის ცხონებული ოც წელიწად მშვიდობიან ცხოვრებას ნატრულობდა არხების დასრულებისთვის, შენ კი ამ გაწამაწიასა და ხორცის გლეჯაში ხუთ-ექვს წელიწადს აპირებ საქმის დასრულებას. ძნელია, შვილო.

— ხუთი-ექვსი წელი არა და, ათი წელი მეყოფა, პაპა-ბატონო.

— უფალმა გისმინოს! შენმა მამა-ბატონმა თუ მტრის შეშინება შესძლო შენს ასაკში, შენ აღმშენებლობა გამშვენებს და ჩვენს წინაპართა სულები საფლავში აღარ შეწუხდებიან.

ერეკლე შვილს გაერიდა, სარკმელთან მივიდა, ჯერ გარეთ გაიხედა, შემდეგ შემობრუნდა და ფარულად შეათვალიერა ოთახის შუაში ასვეტილი ჭაბუკი. ძალიან მოეწონა და გული სიამის აევსო.

„ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა და ამოდენა ვაჟკაცია. ორიოდე წელიც გაივლის და... არა, ომში არაოდეს არ წაიყვანს. ისევ მამას გაიყოლიებს და მაგას კი... იტყვიან, მაგისი დედა არ უყვარდა და ამად გაიმეტაო საომრად. არც გიორგის წაიყვანს, მამა ენაცვალოს!.. გაიზრდება და ლევანს ატარებს ყველგან. თუ თავისი სეხნია მეფესავით მამაცი ვაჟკაცი დადგა... დადგება, უთუოდ დადგება და გადააჭარბებს კიდეც“.

მსახურმა წერილები შემოიტანა, რუსეთიდან არისო.

ერეკლეს გაუხარდა. ასეთ დროს მდივან-მწიგნობარს უხმობდა

ხოლმე, მაგრამ შვილს გაუწოდა წასაკითხად. თვითონ კი საკრძელი მამის სავარძელთან მიაცურა და ყურადღება დაჟაბა.

ვახტანგი წინ წამოდგა. ისეთი პოზიცია დაიკავა, [illegible] მამასაც თვალებში ეცქირათ, და კითხვა დაიწყო:

„მრავალს მოკითხვას მოგახსენებთ თქვენ იესიან, დავითიან, სოლომონიანთ პანკრატოვნებს, მეფეს ქართლისა თეიმურაზ ერეკლესძეს და მეფეს კახეთისას ერეკლე თეიმურაზისძეს.

დღედაღამ ღმერთს ვევედრები თქვენს ჯანმრთელობას და ნიადაგ ვაწუხებ უღირსი მონა თქვენი და მონა ღვთისა ათანასე თბილისის მიტროპოლიტი. მრცხვენის, რამეთუ ღირსვყოფ ჩემს თავს გაუბნებად თქვენდა და დიდად ვკადნიერდებდი, მაგრამ სხვა გზა არ არის.

მერმე ის იყო, გასული წლის დეკემბერში რომ ჩამოვედით სამეფო კარს, ვეახელ მის ბრწყინვალება ვორონცოვს და ვეაჯე, ვითარცა რიგი იყო. მან უთუო დახმარება აღმითქვა, ხელმწიფე იმპერატრიცასთან ხლებაც მიბრძანა და მხოლოდღა მოთმინება მჭიროდა მცირე, მაგრამ საწუხარი ის იყო, რომ თავადმა მაყაშვილმა შეურაცხყო სახელი თქვენი და თვითნებურად წარევლინა კანცლერ ბესტუჟევ-რიუმინთან, რომელიც დიდად განარისხა უღირსი ამბების მოყოლით. კანცლერი ვორონცოვს გაუწყრა დახმარების შეპირებისთვის და ვორონცოვმა კი მე დამამცირა. მართალია, მაყაშვილმა დაწერა მონანიება ვორონცოვთან და თქვა, რომ შეცდომაში შეიყვანეს აქაურმა ქართველებმა, მაგრამ ეს კვლავ საქმეს ვერ შველის. დესპანის უფლება ან მე ამყარეთ და ან — მაყაშვილს, უკეთუ საქმის სწორად წარმართვა გნებავთ.

თქვენი მონა-მორჩილი ათანასე მიტროპოლიტი ათი ათასჯერ გიკოცნით მუხლებს და გებოდიშებით ესოდენი შეწუხებისთვის“.

თეიმურაზიცა და ერეკლეც სახტად დარჩნენ ამ წერილის წაკითხვაზე.

— მისწერე ვორონცოვს, რომ მაყაშვილს დესპანობის უფლება აყრილი აქვს და მარტოდენ ათანასეს მოუსმინოს! — განაცხადა ერეკლემ.

— გითხარი, ნუ გაგზავნი-მეთქი და არ დამიჯერე! — უსაყვედურა თეიმურაზმა და ფეხზე წამოდგა. გაიარ-გამოიარა, ერეკლეს წინ გაჩერდა და ისე განაგრძო: — მაყაშვილს მტრობით არ მოუვიდოდა, მაგრამ... სამეფო კარზე უფრო ჩახედული კაცის გაგზავნა

იყო საჭირო. ათანასე ტფილელი ფრიად განსწავლულია და დამხმარე აღარ ეჭირვებოდა.

— ეგ მეორე წერილი რაღაა? — ყურადღება მიაქცია ერეკლემ შვილის ხელში ნაჭერ გაუხსნელ წერილს.

ვახტანგმა წერილი შეაბრუნა, დახედა და:

— მაყაშვილის წერილია.

— ცეცხლში დაიწვას!

— წაგვეკითხა, მამა — შეებრალა ბატონიშვილს თავისი ძმის ლალა და აღმზრდელი.

— არა. ბუხარში ახლავე!

ვახტანგმა უხალისოდ მომუჭა და მამის დავალება აღასრულა, მაგრამ, რაკი ბუხარში ცეცხლი არ ენთო და ბატონიშვილი კი ცეცხლის მოკიდებას არ აპირებდა, თავადვე წამოდგა ერეკლე, წუმწუმა აანთო და თვითონვე მოუკიდა. მერე მაგიდას მიუჯდა და ვორონცოვთან გასაგზავნი წერილი დაწერა, რომელშიც ათასჯერ ბოდიშობდა ვიცეკანცლერთან და ევედრებოდა, რომ მხოლოდ ათანასე ტფილელისათვის მოესმინა.

ORSAXIANI IANUSI

ქრისტეშობისას ათანასე თბილელი ვორონცოვს ეახლა და მეფეთა მოკითხვასთან ერთად ძვირფასი სპარსული ქსოვილი გადასცა, რომელიც კანცლერ ბესტიუჟევ-რიუმინისთვის იყო გამიზნული. კანცლერი და ვიცეკანცლერი ერთურთის მიმართ ნდობით არ იყვნენ და ისე მოქმედებდნენ, რომ ერთმანეთისთვის ავტორიტეტი შეელახათ.

ბესტუჟევ-რიუმინი ხალხისთვის ზრუნავდა და ფიქრის კაცი იყო. მისი ევროპული ტალავარის ქვეშ ნამდვილი რუსის გული ფეთქავდა, იმ რუსისა, რომლისთვისაც უცხო იყო შოვინიზმი და ეროვნული ყოყლოჩინობა. ვორონცოვი კი მსუბუქი ყოფაქცევის, ღვინო-არაყს და ქალებს გადაყოლილი მამაკაცი იყო, რომლისთვისაც რუსი ერის გარდა, სხვა ერი არ არსებობდა და ყველა ინორიდეცი ადამიანსა და ცხოველს შორის იდგა. იგი ქართველ ბანოვანს ანა პაატას ასულსაც შესტრფოდა ხანდახან და ეგორ ამილახვარი კი მისი განუყრელი მეგობარი იყო, რამდენადაც ქართვე-

ლი ემიგრანტი საქართველოდან გაგზავნილი მაგარი სასმელებით და ხილით უმასპინძლდებოდა.

ახლაც, როცა ეგორმა ათანასე თბილელი წარუდგინა, ... ზილპიპილებიანი საჩუქრებით წონასწორობა დააკარგვინა, ველარ მოითმინა, არ ეკითხა, მაგ შენს ბიძაშვილს ქართული არაყი თუ აქვს ჩამოტანილიო. ვორონცოვს თუმცა რუსული სამოსი ეცვა, რუსი კაცის ავტორიტეტი არად მიაჩნდა.

— არაყი ბევრი ჩამოიტანა, თქვენო მაღალმატებულებავ, გაახლებთ კიდეც, ოღონდ სათხოვარი აქვს და მალე აპირებს წასვლას, — უპასუხა ეგორმა.

ვორონცოვმა მხოლოდ გადაპხედა ათანასეს შედგენილ მოხსენებებს, რომლითაც საქართველოს გაჭირვებას იუწყებოდა და მეფეთათვის შემწეობას ითხოვდა. კმაყოფილებით ჩაახველა, რაკი მის ხელთ ყოფილა ქართველი მეფეების საბელი ყელისა და ათანასეს შეავლო თვალი.

— ბინას მოგცემ და აქ დასახლდი. ჩემი რუსეთი ვრცელია და მრავალ ლტოლვილს დაიტევს.

— სხვა გზა არ გააჩნია, — აზრი მოუწონა ეგორმა, — ქართლის ქვეყანაში ახლა კახნი ბატონობენ და, ვინც ქართლის სამეფოს ერთგულნი იყვნენ, სიცოცხლეს უმწარებენ.

— ოი, ოი, ოი... ქართლი, კახი... ეშმაკს წაუღია მაგათი თავი!.. ვინც ჩვენამდე მოაღწევს, კარგად იცხოვრებს, ვინც არადა, ჯანდაბას იმისი თავი!... ხალხი კი იმისი ღირსი არ არის, რომ მისთვის თუნდაც ერთმა კაცმა გაწიროს სიცოცხლე, — ვორონცოვმა მოკლე, ქერა წვერით შემოსილი განიერი ნიკაპი მოისრისა და მაცდურად მოჭუტა თვალები.

— ქართველებს გვიჭირს, თქვენო კეთილშობილებავ, და სასოებად რუსეთიდა დაგვრჩენია, — დამტვრეული რუსულით მოახსენა ათანასემ, რაკიდა კარგად ვერ გაიგონა ვორონცოვის ნათქვამი.

— დავაი, დავაი!.. — თავი დაუკრა ვორონცოვმა, — თუ უჭირთ, თავადვე გვეახლებიან. ჩვენ კი, რუსები, მზადა ვართ წვრილ-წვრილ ერებს ვუპატრონოთ და გულში ჩავიკრათ. იყავით ჩვენთან და, თუ მოგეწყინოს... თქვენი ანა პაატას ასულის საზოგადოება სწორედ რომ სამოთხეა. ეგორ დიმიტროვიჩ, ამ საღამოს მოვდივარ და კარგი ცეკვა გავუმართოთ თქვენებურს.

— ბიძაა.

— მით უკეთესი. ამან ალბათ არ იცის, რა არის პეტერბურგული ბალ-მასკარადები და აქაური ლამაზმანები. თუმცა მე ქართველები მირჩევნია. და რარიგად მიხარია, რომ დღეს თუ არა, ხვალ მთელი საზოგადოება მოსკოვსა და პეტერბურგში გადმოსახლდება.

ვორონცოვთან შეხვედრით თავბრუდახვეულმა ათანასემ თავისი მისია შესრულებულად მიიჩნია და სვიმონ მაყაშვილთან ერთად პეტერბურგს დაბინავდა ისე, რომ არც ხელმწიფისთვის და არც კანცლერისთვის საქართველოდან გაგზავნილი წერილები არ წარუდგენია.

ათანასე თბილელმა თუ დამტვრეული რუსული მაინც იცოდა, სვიმონს არც ერთი სიტყვა არ ესმოდა და უბრალო წერილის წასაკითხავად საგარეო საქმეთა კოლეგიაში დადიოდა, სადაც ქართულის თარჯიმანი დავით აბაზაძე გაიცნო.

დავითს მოეწონა მაყაშვილის გულითადობა, ვაჟკაცური, ნაღდი ქართული გარეგნობა და მამულიშვილობა. ადვილად შენიშნა, რომ სვიმონი თავისი ქვეყნისა და ქართველ მეფეთა ერთგული იყო. ამიტომაც ადვილად დაუმეგობრდა და შეიყვარა კიდეც. იგი ხედავდა, რომ ეს ხარივით ძლიერი ვაჟკაცი ყინვა-თოვას არ უშინდებოდა და დღენიადაგ მზრუნველი სახით, დაფიქრებული და გადარდიანებული, ხან ერთი უწყების კარზე იდგა და ხან — მეორისა. იმასაც გრძნობდა, რომ ათანასე თბილელიც და იქაური ქართველებიც დაცინვით უყურებდნენ მის ყოველ მოქმედებას.

დავითს უყვარდა საქართველო. გული სტკიოდა, როცა ქართველებს თავიანთ ბედზე მოჩივართ ხედავდა და ამიტომ უფრო ვერ ითმენდა ზოგიერთთა ორპირობასა და ქლესაობას.

— თავადო, თუ მართლა საქართველოს სიკეთე გნებავს, კანცლერს ეახელ! — ასეთი სიტყვა გადაუგდო სვიმონ მაყაშვილს, რომელიც იმ დილას ღრმად დაფიქრებული, შეწუხებული, და გაციებული ეჩვენა.

— კანცლერი პასუხს არ იძლევა წერილზე, — უპასუხა სვიმონმა.

— კანცლერს არავითარი არზა არ მიულია, თორემ წერილი ქართულად იქნებოდა დაწერილი და ჩვენ მიგვიხმობდნენ წასაკითხავად.

— ალბათ არც ხელმწიფეს?

— არც ხელმწიფეს.

— მაშ, როგორ მოვიქცე?

— ბესტიუჟევ-რიუმინს ეახელ. კაცური კაცია და კარგად მოგისმენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვმადლობთ, უფალო, და თუ კაცი ვარ, სამაგიეროს გადაგიხდი.

მეორე დღესვე ეახლა მაყაშვილი კანცლერ ბესტიუჟევ-რიუმინს. დავითი თან იახლა და ისე შევიდა. რაკი სვიმონმა შეიტყო, რომ კანცლერისათვის საქართველოს საქმეები უცნობი იყო, დაწვრილებით უამბო იქ შექმნილი ვითარება და მეფეთა სურვილიც აუწყა: ორიოდე პოლკი ჯარი მოგვეცი და არა თუ სპარსეთს, თურქეთსაც თქვენს წინაშე დავაჩოქებო.

კანცლერი გაახალისა და აღაფრთოვანა ასეთმა აზრმა. ერეკლეს ქება ადრეც სმენოდა, მაგრამ თუ ასეთი დიდი გეგმები ჰქონდა, ვერ წარმოიდგენდა. რუსეთს მთელი თავისი უზარმაზარი არმიით არ შეეძლო მარტოდენ თურქეთის დაჩოქება და თუ ერეკლე ორიოდე პოლკით ამას შესძლებდა, მართლაც ფანტასტიკური გმირი ყოფილა და რუსეთს არ აზარალებდა მასზე დაყრდნობა.

— გავითვალისწინებ ყველა თქვენს თხოვნას და ხელმწიფე დეღოფალსაც მოვახსენებ, — დაასკვნა კმაყოფილებით, — საქართველო რუსეთს უთუოდ სჭირდება და ამ ორი ქვეყნის მეგობრობა ქრისტეანულ ეკლესიას ბევრ სარგებელს მოუტანს.

მაყაშვილი სიხარულისაგან ფეხზე ძლივსღა იდგა და, როგორც კი კანცლერის მისაღებიდან გამოვიდა, ანა პაატას ასულის დარბაზისაკენ გასწია. უნდოდა ეხარებინა თავისი პირველი გამარჯვება და გაეგებინებინა, რომ ათანასე ჯეროვნად ვერ ასრულებს მეფეთა დავალებას და საქართველოს კეთილდღეობისთვის თავს არ იწუხებს. მართალია, ანას გაკრული ნათქვამი ქართლელ-კახელობაზე გულს უწიწკნიდა, მაგრამ სვიმონი გრძნობდა, რომ ამ მშვენიერ ქალს მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო და მისთვის ზრუნვა-თავდადება კახელ თავადს ერთიორად ამაღლებდა მის თვალში.

ყველანი ანას კარზე დახვდნენ: ათანასეც, ეგორ ამილახვარიც, ანტონ კათალიკოსის ნახევარი ძმა ალექსანდრეც და სხვა ემიგრანტებიც. სვიმონმა ველარ დაფარა თავისი აღტაცება და ანას ახარა:

— ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას თავისუფლება ეღირსება, ქალბატონო.

— რა შეიტყე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კანცლერი ჯარს გვაძლევს.

— ჯარსაო? — გაიკვირვეს აქეთ-იქიდან.

— კაცური სიტყვა მომცა, ხელმწიფე დედოფალს მოვახსენებ და ყოველივეს გავაკეთებ, თუკი ერეკლე მართლა შესძლებსო სპარსეთის დამორჩილებას.

— ვინ მიგიყვანა კანცლერთან?! — განრისხდა ათანასე და ფეხზე წამოიჭრა, — აქ მე ვარ, თუ შენ?

— მე თვითონ მივედი. ისიც შევიტყე, კანცლერთან მისართმევი წერილი დღესაც რომ უბით დაგქონებია, — თვალები გადაუბრიალა მაყაშვილმა.

— ეგ ვინლა მოგახსენა?

— ვინ და აბაზაძემ.

— აბაზაძემ?.. აჰაა!.. მაშ, აქ შენ და აბაზაძე ყოფილხართ და — არა ათანასე ამილახვარი?! რაკი ესეა, მივწერ ჩვენს მეფეებს, რომ ელჩობის უფლება ამყარონ და თქვენ გადმოგაბარონ.

— ძალიანაც კარგს იზამთ. მთელი ზამთარი ისე გავიდა, არაფერი მოგიხსენებია. შენ თუ აქ დარჩენა გსურს, ჩვენ ქვეყნის ბედი გვაწუხებს.

ყველანი სახტად დარჩნენ: ალექსანდრეც — ქერა თმა-წვერი და რძისფერ-ღვინისფერი სახე რომ ანტონს მიუგავდა, ეგორიც — კუპრივით შავი ულვაშითა და მსხვილი თვალებით, ანაც — თავისი თეთრი ხელთათმანებით და სხვა დამსწრე საზოგადოებაც. დიდად უკვირდათ კახელი თავადის გამბედაობა და მოხერხებულობა. მათ ეგონათ, სვიმონ მაყაშვილი მხოლოდ როყიო კაცი იყო და მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევდა. მოულოდნელად კი კანცლერთან შესულა და საქვეყნო საქმეები უტვირთია. თანაც ისე ამაყად ლაპარაკობს, როგორც საქართველოს მეპატრონე და ერთადერთი ჭირისუფალი.

„იქნებ ასეა, — გაიფიქრა ათანასემ და სკამზე დაეშვა, — ეგების ერეკლემ საიდუმლო დავალება მისცა და ათანასე კი მარტოდენ აახლა? ხვალვე მისწერს და ყოველივეს შეიტყობს.

— თუ იცი, რა დიდი საქმე წაახდინე? — ამოიოხრა ათანასემ.

— მე წავახდინე?

— დიახ, შენ.

— მე კი მგონია, გავაკეთე-მეთქი.

— ხელმწიფე დედოფალი ჯარს არ გაიმეტებს, — თვალები დაი-

ვიწროვა ანა პაატას ასულმა და ფეხი ფეხზე შემოიდო, მერე ღამაზი მუხლიდან დაწყებული ტერფამდე ჩაითვალიერა, წვივი და ნაზი ჩახველებით განაგრძო, — რუსეთის კარზე ყველა მოწყალე მსახიობია. ერთადერთ დიდსულოვან ვორონცოვს შეეძლო ჩვენი დახმარება და ისიც განვარისხეთ...

— მე განვარისხე? — დამნაშავედ შეიცნო თავი მაყაშვილმა.

— ვოტ ტებე! — ამოიოხრა ეგორ ამილახვარმა, — პატარძალი ტყუოდაო, ისევ თვითონ ბუოდაო. განარისხე და მეტიც მოიმოქმედე. ვორონცოვი ნელ-ნელა ყოველივეს აკეთებდა, მოთმინებას გვირჩევდა, გვთხოვდა, კანცლერს არ გააგებინოთ და მე თავად ვეახლებიო ხელმწიფე იმპერატორს. ახლა კი...

— მართლა ხომ არაფერი დავაშავე? — გულუბრყვილოდ შეშინდა მაყაშვილი და სასოწარკვეთილმა შეხედა ანა პაატას ასულს.

— დაბრძანდით და მოვიფიქროთ! — სთხოვა ქალბატონმა, — მართალია, საქმე უკვე წახდენილია, მაგრამ ეგების გამოსავალიც მოიძებნოს.

— უფრო განსწავლული და სიტყვა-პასუხიანი კაცი სჭირდება ხელმწიფის კარზე დესპანად, — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ, — პოლიტიკა, ჩემო ძმაო, სიჩუმე და სიტყვიერი თანხმობაა. სინამდვილეში კი აკეთებ იმას, რაც შენ გესურვება.

მაყაშვილი მიხვდა, რომ რაღაც დააშავა და მისი გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო. სიჩუმე და სიტყვიერი თანხმობა მას ერეკლე მეფის წინაშეც არ სჩვეოდა და რუსთა მეფის მოხელის წინაშე როგორ შესძლებდა? ეგების მართლაც განსწავლული და სიტყვა-პასუხიანი კაცი იყო საჭირო აქ გამოსაგზავნად? რა უნდოდა ერეკლეს? რად ჩადგა მის ცოდვაში და რად გამოგზავნა? თავისთვის იყო და ზრდიდა გიორგი უფლისწულს. ფარიკაობასა და ჯირითს ასწავლიდა. ზოგჯერ ლაშქრადაც მიჰყვებოდა მეფეებს და განსაცდელას ჟამს მზად იყო, თავგანწირვის მაგალითი ეჩვენებინა. აქ კი თავგანწირვად რაც მიაჩნია, თურმე ღალატის ტოლფასი ყოფილა. ნუთუ რუსეთში იმიტომ წამოვიდა, რომ საყვარელი ქვეყნისა და მეფეების მოღალატე გამხდარიყო?

— ნუთუ მართლა დავაშავე? — იკითხა უმისამართოდ.

— დავაშავეო?!. ხედავთ, რას კითხულობს — ხელახლა წამოხტა განრისხებული ათანასე.

— შენ არ გეკითხები. ქალბატონს ვეკითხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დააშავე, თავადო, — დინჯად უპასუხა ქალბატონმა, — დააშავე, მაგრამ...

— მიშველე რამე!

— გიშველი, თუ კიდევ არ ჩაიდენ მსგავს შეცდომას.

— არ ჩავიდენ, პატიოსან სიტყვას გაძლევ. უფლისწულ გიორგის სიყრმეს გეფიცები, რომ აღარ ჩავიდენ!

— რაკი ასეა, დაწერე მონანიება, რომ შეცდომაში შეგიყვანა საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანმა დავით აბაზაძემ და გაიძულა, შეგეწუხებინა კანცლერი ბესტიუჟევ-რიუმინი. აღნიშნე, წერილში, რომ იქ, რაც შენ მოახსენე, სიცრუეა, შენი შეთხზულია და არა მეფეთაგან მოცემული დავალება.

— ეგ როგორ დავწერო, როცა ვიცი, ყველაფერი მეფეებმა დამავალეს და ჩემით არაფერი მომიგონებია.

— საქმეს ასე სჭრიდება, — ფეხი ფეხზე მოინაცვლა ანა პაატას ასულმა.

— არ მესმის, ქალბატონო!

— რატომ არ გესმის, როცა საქმისთვის ასე უკეთესია. თუ მართლა საქართველოს კეთილდღეობა გსურს, მცირეოდენი სიცრუის თქმაც უნდა შეგეძლოს. დიპლომატია და პოლიტიკა გვასწავლის ამას. არადა, განრისხებული ვორონცოვი ყოველივეს ყირამალა დააყენებს.

— რას დააყენებს ყირამალა?

— მთელ ჩვენს ქვეყანას. მან ყოველივე დახმარება აღგვითქვა და ჩვენ კი უმადურად კანცლერთან ვუჩივით.

— აბაზაძემ თქვა, ვორონცოვს საქართველო ფეხებზე ჰკიდიაო.

— ეგეც აღნიშნე მონანიების წერილში და ვორონცოვი დიდსულოვნად გაპატიებს, — ფეხზე წამოდგა ანა პაატას ასული, და ისე ფრთხილად გაიარა, თითქოს მძინარის გაღვიძებისა ეშინიაო.

— დავწერ, ქალბატონო, თუკი ეგრე სჯობია ჩვენი ქვეყნისთვის.

— სჯობია-მეთქი, რომ გეუბნები, უნდა დაიჯერო. შენ ერთადერთი ხარ და ჩვენ კი ათნი ვართ. როგორ ფიქრობ, გული შენ უფრო მეტად შეგტკივა საქართველოსთვის, ვიდრე — ამდენ ხალხს? ჩემი მდგომარეობა რომ იცოდე, — ანა პაატას ასულს თვალები ცრემლით აევსო და მაყაშვილმა შეკამათება ველარ აკადრა.

— მაპატიე, ქალბატონო, გამოუცდელობით დამემართა!

— მიპატიებია, თავადო! ვიცი, რომ ეგ ყოველივე შენი ქვეყნის გულუბრყვილო სიყვარულით მოგიყვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი როგორც კი მოჩიტდა, დედოფალი კახეთში გადმოვიდა. რაკიდა ერეკლე საკახეთო საქმეებს შეუდგა და დღედაღამ ციხეთა მშენებლობას დასტრიალებდა. ბატონიშვილისა და ვახვახიშვილის ციხეებს ერთდროულად აკეთებდნენ და იმავე დროს ყვარლის ციხის აღდგენაზე ზრუნავდნენ, რომელსაც თვითონ ქართველებმა დაურღვიეს ბურჯები ლეკებთან ბრძოლის დროს.

მართალია, ციხეთა მშენებლობას ქართლშიც დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ აქ უმთავრესად ანტონ კათალიკოსი და მეფე თეიმურაზი ხელმძღვანელობდნენ, კახეთში კი მხოლოდ ერეკლე იყო ამ საქმის თავკაცი.

ციხეთა მშენებლობამ მუშახელი შეუმცირა არხის მშენებლებს, რაზეც დღედაღამ წუხდა ვახტანგ ბატონიშვილი და ცხენზე ამხედრებული აქეთ-იქით დადიოდა მუშის საშოვნელად.

ყვარლის ციხის გამაგრება გიორგი ჯანდიერის შვილს მიანდო ერეკლემ, თავად კი ბატონის ციხისა და ვახვახიშვილის კოშკის გამაგრება ითავა. როგორც კი თავისუფალ დროს იპოვნიდა, ჯვალოს ჩოხას ჩაიცვამდა ხოლმე, ქალამან-წინდა-პაჭიჭში გამოეწყობოდა, ბატკნის ტყავის ანდა თექის ქუდს დაიხურავდა, დანჯღრეულ-ბუნიკიან ხანჯალს შემოირტყამდა, ძველებურ თოფს აიკიდებდა და ტყე-ღრეში მიდიოდა სამოგზაუროდ. გზად ციხე ან მწყემსები თუ შეხვდებოდნენ სადმე, ფარადაკარგულ მწყემსად ასალებდა თავს და მეციხოვნესა თუ მართლა ფარადაკარგულ მეცხვარეს გულწრფელად ალაპარაკებდა საქართველოს მდგომარეობაზე. უმეტესად რუსეთ-საქართველოს კავშირზე ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს. ჯერ ერთი, ეწადა, გაეგო, ხალხი როგორ უყურებდა რუსეთთან ურთიერთობას და მეორეც: უნდოდა, ხმა გაევრცელებინა, თეიმურაზ-ერეკლე რუსეთთან მეგობრობას აპირებენო, რათა ეს ხმა ლეკთაც მისწვდენოდათ და შეშინებულიყვნენ.

— რუსთან მეგობრობა არას მოგვიტანს, — მიახალა ერთმა ბერიკაცმა სილოვანმა მატნის ციხეში, — მეფეებს ჰგონიათ, ახალი ხილიაო, მაგრამა მაგათმა პაპამაც იგემა და პაპის პაპამაც. რუსსაც და თათარსაც გემრიელ ლუკმად ეჩვენება საქართველო და ცდილობენ, ისე გადაყლაპონ, ყელში არ გაეჩხიროთ. ეგ რო არ აშინებდეთ აქამდე ჩაყლაპავდნენ.

— მაშ, მეფეთაგან გაგზავნილი ელჩობა სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს? — ამოიოხრა ერეკლემ და აგურის ფილაქანზე დანთებულ ცეცხლს ნამით დასველებული პაჭიჭ-წინდა მიაფიცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველა კაცი თავის თავზე ფიქრობს და ქვეყანა — უმეტესად. ეს იმიტომა, რომა ღმერთს ეგრე დაუწესებია.

— მაშ, მეფე ერეკლეც თავის თავზე ფიქრობს?

— ეგრეც რო არ იყოს, ეგ ერთი კაცი რა მკვდარს დაგვიმარხავს? კახელი დიდებულები სწორედ მაგითაცა სწუნობენ: აქაო კახეთისათვის ვერ მოუვლიაო და ქართლის საქმეებს ეპოტინებაო.

— ეპოტინება, ჰა? — მეორე ფეხი მიუშვირა ცეცხლს მეფე ერეკლემ, — არ ეშინიათ, ეგ რომ მეფე ერეკლემ გაუგოთ?

— მე არ ვეტყვი და შენ არ ეტყვი, როგორ გაუგებთ?

— ვეტყვი.

— ეგ არ გააკეთო!

— რადა?

— იმიტომა, რომა ის გკითხავს, საიდან იციო, და შენ კიდ; ადგები და ჩემ თავს დაუსახელებ.

— რა მოხდება, რომ დავუსახელო?

— მაღლა ჩამამკიდებს. არა კიდენა თავს მამაჭრის. იქნებ არ იცი, განჯისა და ყარაბაღის ხანებს რა უყო?

— არ ვიცი.

— ჰოდა, ადვილად იმიტომა ლაპარაკობ. ყელზე ქვები შაობა და წყალში გადაყარა.

— ეგებ ღირსნი იყვნენ?

— რაც უნდა ღირსი იყოს, ადამიანის შვილია.

— მე კი მგონია, ყველანი ადამის ჩამომავალნი არა ვართ. ზოგი თუ ადამიანის შვილია, ზოგი დათვისაა, ზოგი — ღორისა, ზოგი — სახედრისა... ჰო, ჰო, რას გეცინება?! ის ხანები კი ალბათ ქაჯთა ჩამომავალნი იყვნენ, ყოველ წუთს რომ ღალატობდნენ.

— ეგ კი კარგად გამოგივიდა, მე და ჩემმა ღმერთმა. მაგაზე მეც მიფიქრია. ერთი მეზობელი მყავს და ნამდვილად მუტრუკის ჩამომავალია.

ერეკლემ პაჭიჭი გაიხადა და წინდა მიუშვირა ცეცხლს:

— შენ ისიც მითხარი, რუსები არ დაგვეხმარებიანო, მაგრამ მე კი შევიტყე, რომ რუსთა მეფის უსტარი მოსულა თბილისში და იწერება, დახმარება მნებავს და ჯარს ვამზადებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალილო და ხვალაო. როგორც მოხვალ ჩვენსაო, ისე წახვალ თქვენსაო.

— ეგ პირველი ანდაზა კი გავიგე, მაგრამ მეორე რა შუაშია?

— შუაში როგო არ არი. რა გაატანეს აქედან იმ ელჩებს?

— ძვირფასი საჩუქრები.

— საჩუქრებს იქიდანაც ჩამოიტანენ. კიდევ რა გაატანეს?

— არაფერი.

— ჰოდა, ისინიც გამოატანენ არაფერს. ჩემი ხნის კაცსა სიზმარი დაეჯერება.

ერეკლეს მწარედ გაეცინა და გაბრაზებულმა წინდაც გაიძრო.

სილოვანმა დაძარღვულ, მორჩილ ფეხზე ფაფუკი თეთრი თითები შენიშნა და მიხვდა, რომ ის ფეხი ქალამანში არ იყო გაზრდილი და, ცხადია, არც მწყემსი იყო ეს კაცი. არადა, ვინ არის, ამდენი რომ ალაპარაკა ეს სიტყვაძუნწი ბერიკაცი?

ერეკლე მიხვდა, ბერიკაცმა რომ რაღაც ინიშნა, მაგრამ სიფრთხილე გვიანი იყო და გაგულისებული ხმით განაგრძო:

— რაკი ეგ ანდაზები კარგად გცოდნია, ისიც გეცოდინებათ, წინაპრებს რომ უთქვამთ: როგორც დამიკრავ, ისე დაგიტრიალდებიო.

— ვიცი, მაგრამ შენ ვინა ხარ? — მიახალა ბერიკაცმა.

— ვინცა ვარ, ერეკლე მეფეს მოვახსენებ, რომ რუსეთი თუ თავს არ გამოიდებს და არ დაგვეხმარება, ამიერკავკასია გააერთიანოს, დერბენტ-დარიალი გაამაგროს და ფეხი არავის შემოადგმევინოს.

— ვაცხონე შენი მამისული! — თავისუფლად ამოისუნთქა სილოვანმა, რაკი მიხვდა, რომ ეს უცხო კაცი ერეკლე არ იყო, ჩაყვითლებულ-ჩამღიერებული ღაწვები მოისრისა და განაგრძო: — როგორც ეს დავითისა და თამარის დროსა ყოფილა.

— სწორედ ისე ვამბობ.

— თუ შესძლებს, კარგია! — ამოიხვნეშა ბერიკაცმა.

— რატომ ვერ შესძლებს, ძაბუნი ხომ არ არის?

— ძაბუნი არ არის, მაგრამ დავითის დროს თვითონ ეხვეწებოდნენ, გაგვაერთიანეო და ეხლა კი ყველანი აქეთ-იქით ეწევიან და უხეირო მოზვრებივით ტაბიკებს ამტვრევენ.

ერეკლე მიხვდა, რომ ამ კაცის გლეხური სიბრძნე მისთვის დიდად ცნობილი აზრი იყო და ვერა უპასუხა რა.

— მემრე კიდევა, ერთი რა გვიშლის ხელსა, იცი? — სილოვანმა ფიქრს მეტი ავალა მისცა, რაკიდა მიხვდა, რომ ჭკვიან კაცთან ბრობდა, — მაშინ ჩვენს კავკასიაში მეტი ქრისტიანი ყოფილა ნაკლები მაჰმადიანი. ეხლა კი... აი, რა შეგვიშლის ხელსა? თუ გაერთიანდა, ქვეყნის პატრონიც მაჰმადიანი კაცი გახდება. არადა, თავს ვერ დაიჭერს.

— შენ, ძია კაცო, მეფის კარზე ხომ არ იზრდებოდი?

— მენა? — გაიცინა სილოვანმა და უფრო თავისუფლად იგრძნო თავი, — მე კი არადა შენ კი გეხარ მეფის კარზე გაზრდილსა.

— ვაი, რომ ვარ, — თავი დაუქნია ერეკლემ.

— მეფე ერეკლეს ხომ კარგად იცნობ?

— ვიცნობ.

— ჩვენს ნაუბარს ხო წვრილად მაახსენებ?

— მოვახსენებ.

— მაახსენებ და ჩამამახრჩობს კიდეც.

— რად უნდა ჩამოგახრჩოს?

— სიმართლის მთქმელსა ცხენი უნა ჰყავდეს შეკაზმულიო. და არც ის მამიკოცნის პირს.

— ვეტყვი, რომ ხელი არ გახლოს. — ერეკლემ მარჯვენა წინდა რომ კარგად გაიშრო, ჩაცმა დაიწყო, — თუნდაც არ ვუთხრა, ეგებ თავადაც არ დაგსაჯოს.

— რაც თამაზ ენდრონიკაშვილს დღე აყარა, მეც იმ დღეს დამაწვეს.

— ახლა სად არის თამაზ ენდრონიკაშვილი? — მარჯვენა წინდა რომ ჩაიცვა, მარცხენა ფეხზე დაიწყო გახდა.

— დილეგში ჰყავდა, მაგრამ შეწყალება სთხოვა და რუსეთს გაუშვაო.

— მეტი რა გინდა, შე კაი კაცო?

— ყველას ერთი ბედი არა აქვს. ზოგისთვის ბამბა ჩხრიალებს და ზოგისთვის — კაკალიც არაო. რაც თამაზ მოურავს ოინები ჩაუდენია, ათ კაცს ეყოფა ჩამოსახრჩობად, მაგრამ მაინც იპატია, რაკიდა დიდი კაცი იყო. მე კი...

— ჰაიტ! — მოულოდნელად წამოხტა ერეკლე, ხანჯალი გაიძრო, წინდა-ქალამნიან ფეხზე შემოტრიალდა და სანამ შემკრთალი ბერიკაცი თვალებს ააფახულებდა, ყაჩაღის თავი გაგორდა მის წინ. მერე გარეთ გავარდა ერეკლე, დაერია ერთ დასტა ლეკებს და ზედი-

ზედ წააქცია რამდენიმე. როცა სილოვანმა გონი მოიკრიბა და ხმალამოწვდილი გარეთ გამოვიდა, ცოცხლად დარჩენილი ოფიცერი ყაჩაღი ბარდებში გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა სასწაული იყო ჩემს თავსა?! — გაიკვირვა სილოვანმა, როცა სისხლით შესვრილი უცნაური მეომარი შეათვალიერა, — ან შენ ვინა ხარ ეგეთი გმირი, შვილო? შენ რომ მეფე ერეკლე მართლა გიცნობდეს, გვერდიდან აღარ მოგიშორებდა.

ცალფეხშიშველი მეფე ცეცხლთან შეეიდა და ციხის კარი არ უნდა დაგრჩენოდაო ღია, რბილად უსაყვედურა სილოვანს.

— სიბერემ მიწია, შვილო, და ეგ არი.

ᲐᲛᲐᲝ ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ვორონცოვის სახელზე დაწერილმა მონანიებამ და ერეკლეს გაგზავნილმა პასუხმა, რითაც დესპანის უფლება მთლიანად აჰყარეს მაყაშვილს, კახელი თავადის ავტორიტეტი ერთბაშად შეარყია როგორც იქაურ ქართველებში, ისე ხელმწიფისა და კანცლერის კარზე. თუ ბესტიუჟევ-რიუმინმა პირველ შეხვედრაზე მასში გულშემატკივარი მამულიშვილი დაინახა, ახლა უკვე გაიძვერა კაცად და ვირეშმაკად მოეჩვენა, რომელიც ცდილობდა, ერთდროულად მოეტყუებინა ვიცეკანცლერიც, კანცლერიცა და ალბათ ხელმწიფე იმპერატორიც.

სვიმონი მიხვდა, რა ადვილად მოატყუეს ათანახე თბილელნი და მისმა იქაურმა ნათესავებმა, რომელთაც არად მიაჩნდათ თეიმურაზ-ერეკლეს გაჭირვება და ამ გაჭირვების ჩვენებით მხოლოდ მათი უსუსურობა უნდა დაენახვებინათ რუსეთის მოხელეთათვის. მათ უფრო თავიანთი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესება და ქართლში ახალი მეფის დამტკიცება აინტერესებდათ, ვიდრე საქართველოს კეთილდღეობა. სვიმონი მიხვდა და ბოლმითაც აივსო, მაგრამ ხსნა აღარ ჩანდა და გამოსავლის ძებნა ზედმეტი იყო. ერთხანს მოდუნდა, ყოველივეს ხალისი დაკარგა და რამდენჯერმე გამოთვრა კიდეც დარდის გასაქარვებლად. შემდეგ კი ენერგია მოიკრიბა და ისევ ეახლა კანცლერს. შეემუდარა, ბოლომდე მომისმინეო, ისარგებლა ბესტიუჟევ-რიუმინის მოწყალე გულით და ბოლომდე უამბო, როგორ მოატყუეს იქაურმა ქართველებმა, რომლებიც გულ-

შემატკივარი მამულიშვილები ეგონა, მაგრამ თეიმურაზ-ერეკლეს მტრები ყოფილან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუმცა მეფე ერეკლემ შემრისხა და საუკუნოდ მომიძულებია, შემიძლია ვუღალატო ჩემს ხალხს და ჩემს ქვეყანას, — ცრემლისღვრით მოახსენა კანცლერს სვიმონმა, — გემუდარებით, მომეცით ერთი ოთახი საცხოვრებლად, რათა იმ ანტიქრისტესთან აღარ ვიცხოვრო (ანტიქრისტეთი ათანასე თბილელს იხსენიებდა) და ნება დამრთეთ, რომ თქვენთან სიტყვიერი ურთიერთობა ვიქონიო. მიწა გამისკდეს, თუ ოდესმე სიცრუე მოგახსენო!

კანცლერი ისევ მაყაშვილის რაინდულმა აღნაგობამ მოხიბლა და დაეთანხმა, მომახსენე ხოლმე, თუკი რაიმე სანუგეშო ცნობას მიიღებო საქართველოდანო.

სვიმონმა თავისი სიმართლე კანცლერის წინაშე იმით დაამტკიცა, რომ ათანასემ მასთან გადასაცემი წერილი ექვს თვეს შეინახა და არ გაამხილა. რატომ არ უნდა გაემხილა, თუ მართალი დესპანი იყოო? მან ისიც უთხრა, რომ ერეკლე მეფე ათანასემ შეიყვანა შეცდომაში და დესპანის უფლება იმიტომ აჰყარა სვიმონს. როცა ერეკლე ნამდვილ ვითარებას შეიტყობს, პირუკუ მოიქცევა და ათანასეს გაითხოვსო. მანამდე კი ირწმუნოს კანცლერმა სვიმონის პირველი მოხსენება და საქართველოსთვის ჯარით დახმარებაზე იზრუნოსო. როცა ერეკლე საქმის ნამდვილ ვითარებას შეიტყობს, თქვენს სიკეთეს ათმაგი სიკეთით გადაიხდის და თავისი ერთგული სვიმონ მაყაშვილის ღვაწლსაც დააფასებსო.

კანცლერმა თითქოს ყოველივე გულისყურით მოისმინა და დასტურიც მისცა, მაგრამ წერილობით პასუხს ამაოდ ელოდა მაყაშვილი. ამის შემდეგ მეორედაც ეახლა მის ბრწყინვალებას, მესამედაც და პასუხი რომ მაინც ვერ მიიღო, გულდაწყვეტილმა საქართველოში გაშვების ნებართვა ითხოვა.

ათანასე არაფერზე არ წუხდა, ანა პაატას ასულის საზოგადოებაში ერთობოდა, ვორონცოვთან და თავის ძმისშვილ ეგორ ამილახვართან ღრეობდა და საქართველოში დაბრუნებაზე კრინტსაც არ სძრავდა.

ამასობაში 1754 წლის ზამთარი მიიწურა და მარტის დამდეგს საგარეო საქმეთა კოლეგიაში უმისამართო და ხელმოუწერელი, გაუგებარი პასუხი დაიწერა ქართველი მეფეების ორი წლის წინანდელ თხოვნაზე. აი, ის პასუხიც:

„ქ იმპერატორის კარს არა მცირე სიბრალულით მოხსენდა მეფიდრობა და ოხრობა უსამართლოდ, რომელთაც მეფენი ...
რაზ და ერეკლე ქართლის ქვეყნებს შემდგომილი მათ ...
ქრისტიანოს მოსეენებას არ აძლევენ. და თუმცა რომ კიდეც სურებოდა ამ მხარეს იმათი მოხმარება ბველათ იქ ქრისტიანობის მართლმადიდებლობის გულისთვის, მაგრამ იმათ თითონ იციან, რომ დიდის სიშორითა და გაუვლელის ალაგებითა მთაზე იმათთვის არა ჯარი არ გაიგზავნება. და თუ რომ აქაური ჯარი შეა სპარსეთში ყოფილიყო, როგორც ამას წინათ, მაშინ უფრო სახმარი იქნებოდა. ჩერქეზები, რომელ არს ყაბარდოელნი, ისინი რუსეთის რაიათნი გინა ყმანი არ არიან, ვინათგან იმპერიამ და ურუმმა ერთმანეთის შერიგების წიგნში ნებისა ყვეს, ამიტომ შემძლე არ არის ეს მხარი, რომ ისინი ქართველების მოსახმარად გაგზავნოს. და თუ რომ ისინი იმათი ნების უფლობით მიწოდებას ინებებენ, ის სხვა არის.

„უცხო გვესმა, ვითარ რომ რუსეთის რაიათნი კუმუხნი ქართლს აოხრებდეს. ვინაიდან ამისი ამბავი არსით არ მოგვსვლია, მაგრამ ველრებისაებრ მათისა, ყიზლარის ციხის უფროსთან მიუწერელი არ დარჩება, რომ პირველ ბრწყინვალებისაებრ ყადაღა უყოს. და რომელიც მთის კაცნი, რომელნიც რუსეთის რაიათნი არ არიან, იმათი ყადაღის ქნა არ იქნება. ამიტომ, რომ ყმანი არ არიან, არც გამგონე იქნებიან. სხვებრ ქართლისა და კახეთის მეფენი მოიქედენი იყვნენ, რომ ისინი იმათის ქვეყნებითა და ხალხით დიდებულის რუსეთის იმპერატორის მხრიდამ დაფარულნი და მომავლის დროცემის მოხმარებით დაგდებული არ იქნებიან, თუმცა რომ თითონაც ისინი რუსეთის მხრისა ყოველთვინ ერთგულნი და იმ სახით იმყოფებიან, როგორითაც ნათესავნი მათნი პირველნი მეფენი ქართლისანი, რომელთაც საუკუნოთ რუსეთის ხელმწიფეებს ნეტარხსენებულთ აღუთქვეს და ფიცყვეს. სულ ეს არის ყველა პასუხი აქ მოწერილის წიგნისა ხსენებულის მეფეებისა თეიმურაზისა და ერეკლესი და აქ მორთმეულის მიტროპოლიტისა აფანასისი და კნიაზ სვიმონ მაყაშვილისა წიგნათ მორთმეულის სათხოვრის პასუხათ, რომლითაც ივინი ისტუმრებიან და ამ ხელით მოწყალებისა ნიშანი იმის იმპერატორობის დიდებულობისა თქვენი ხელით იგზავნება ორსავ მეფეებთან საჩუქარი თითო ტანი სიასამურის, ფასი ასოცდათხუთმეტი თუმანი და შვიდი რუბლი, ფარჩა ოქროსი და ვერცხლისა ასოცდათხუთმეტი თუმნისა და სამოცდახუთის კოპიკისა. ამას

გარდა იმის იმპერატორის დიდებულების წყალობა ეძლევათ, იმათ ახლა გასტუმრებაზე მიტროპოლიტსა და კნიაზ სვიმონს თავიანთის კრებულით თეთრით: მიტროპოლიტს ორმოცდაათი თუმანი, კნიაზს ოცდაათი თუმანი, იმათთან მყოფს არქიმანდრიტს ქრისტეფორეს ხუთი თუმანი, დეკანოზს ნიკოლოზს სამი თუმანი, მღვდელს სვიმონს ორი თუმანი, ორს ფოდიაკს იოსებსა და ივანეს და ოთხს მოსამსახურეს კაცისათვის ხუთ-ხუთი რუბლი, სულ იქმნა ოთხმოცდათხუთმეტი თუმანი. ამას გარდა მიტროპოლიტსა და კნიაზს სვიმონს მიეცემათ თავიანთის კრებულით სმისათვის ულუფა დღეში მიტროპოლიტს სამი აბაზი, კნიაზს სამი აბაზი, არქიმანდრიტსა და დეკანოზს დღეში თითო აბაზი, მღდელს ორი შაური, იერდიაკონს რვა კოპიკი, ორს ფოდიაკს და ოთხს მოსამსახურეს — ექსექსი კოპიკი. სულ ჯამი თვრამეტი თუმანი, ხუთი რუბლი და ორმოცი კოპიკი. სხვებრ იქიდან ცარიცინამდის იმასვე ცხენებით თავის ფროგონით ისინი გაისტუმრებენ. სამი კარისკაცი გზაზე გაჰყვებათ ცარიცინიდან ასტრახანამდის წყლითა, იქიდამ ყიზლარს, იქიდამ სამძღრამდის კაცები გაჰყვებიან გზის უშიშროებისათვის. ამების ბრძანება როცა მართებული იყოს, როგორც ცარიცინს, ისე ასტრახანს, ახლავ გაიგზავნება“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უმისამართო, ხელმოუწერელმა და აბნეულმა წერილმა მაყაშვილი საგონებელში ჩააგდო, მაინც გაუხარდა, რაკიღა სამშობლოში წასვლის ნებართვა მიიღო.

სვიმონი მაშინვე იმ სახლს ესტუმრა, სადაც მიტროპოლიტი ათანასე იმყოფებოდა, რათა დაეჩქარებინა გამგზავრება, მაგრამ სამწუხაროდ მიტროპოლიტი შინ არ აღმოჩნდა. იქიდან ანა პაატაძ ასულს ეახლა, შემდეგ ეგორ ამილახვრის ბინასაც ეწვია, მაგრამ ათანასე თბილელის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო. რამდენიმე კვირის ძებნისა და წანწალის შემდეგ მაყაშვილი იძულებული გახდა, საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის მიტროპოლიტის დაკარგვის ამბავი ეცნობებინა და დანარჩენი ქართველებითურთ სამშობლოში გამომგზავრებულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხომ არ გავასვენოთ?

— დეკანოსებმა თავად იციან. წესი უნდა აუგონ.

ყველანი გარეთ გამოვიდნენ, შინაური კაცების გარდა.

დიმიტრი დეკანოზმა სანთელს მოუკიდა. მერე მიცვალებულის თავთან მდგარი დოქიდან ჯამში არაყი ჩაასხა და რატომღაც დაეჭვდა, წყალი ხომ არ არისო.

— წყალი არ არის. არაყია, — ბეჯითად უპასუხა ივანემ.

დიმიტრიმ ყანწი პირთან მიიტანა, შეისუნთქა და დაასკვნა, არაყიაო. მერე ისევ განზე დაიჭირა ყანწი და ხმის გაგრძელებით წამოიწყო.

— მშვიდობით, გიორგი!.. ცხონდი სამარადჟამოდ!.. დარჩენილ ცოლ-შვილ გიცოცხლოს! ხიზანი გაგიმრავლოს უფალმა!.. ბედნიერ ხარ, გიორგი, კარგ შვილებ დაზარდნე! ივანეს წაღმართობას მაესწარ, მაგრამ ვერ მაესწარ შიოს წაღმართობას, ნინოისას და ლამარაისას. დარდს ნუ წაიყოლ, მაინც ბედნიერ ხარ!.. წინაპართ წაულე ამბავი, რომ არ ვართ ჯაბანნი, დუშმანთ საკადრის მიუზღავთ.

— ამინ! — კვერი დაუკრა გვერდით მდგარმა დეკანოზმა და სიტყვა ჩამოართვა:

— გახსოვსდა გიორგი, დიდ ველზე ლეკნი რო აოტნე?!

— ახსოვს, მარტიავ.

— მტერს რო არ მიეც საშველი, იხუვლეს და კლდე-ღრეს წაიღეს თქრიალი. ხადის ხევს, გახსოვს, რაგვარათ წაჰკვეთე თავები ურჯულოთ?!

— ეგეც ახსოვს, მარტიავ, და პაპებს მოუთხრობს ამბად.

— შაბაშ, რომ ვერ გნახა ძაბუნი მტერმან და ორგულმან. იძინე მშვიდად და იყავი უდარდელ!

— ამინ! — კვერი დაუკრა პირველმა დეკანოზმა და სიტყვა თვითონვე დაიბრუნა, — მეზობელ-მოკეთენი არ დაგივიწყებენ, გიორგი. სოფელი სალექსოდ გაიხდის შენს საქმეთ.

მერე დიმიტრიმ არაყი მოსვა.

ხელეჩოთი ნაკოპიტებული მოწითალო კუბო შვილებმა და ძმისშვილებმა ასწიეს, სამჯერ მიარტყეს კარებს და ციმციმ გაიტანეს.

— მიდიხარ, აღარ იშლი, გიორგი! — ხმა ამოიღო მეუღლემ, როგორც კი კუბო დაინახა, მაგრამ მალევე დადუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახე მიჰყვებოდა მდუმარედ ცხედარს, სანამ სასაფლაომდე მიიყვანდნენ. მერე კი, როცა სამარის პირას, მიწაყრილზე ჩამოდგა კუბო, მოუახლოვდა, ჩაიმუხლა და უსაყვედურა:

— მაშ, მტოვებ მარტოს, ძაღლუმადურად?! არ იშლი შენსას და მიდიხარ, გიორგი?! — მერე თავი შეაბრუნა და, — აუძრახეთ რამე ხალხო, თქვენიც ხომ არის, აღარ მოგვივა დამრიგებელი და გულთმისანი გიორგი!

— კეთილი!

— წყნარი!

— უწყინარი!

— მტერთან მამაცი და შეუპოვარი!

— ჰაი, დედასა, სოფლის სადარო გიორგი!

— მეფე მოდის! — დაიჩურჩულა ვიღაცამ და უმალ ჩოჩქოლი შეიქმნა.

თმაწვერმოშვებულ, ქუდმოხდილ ერეკლეს ზურგზე ხელები დაეწყო და მძიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა სასაფლაოს. უკან რამდენიმე კაცი მოჰყვებოდა დასადავებული ცხენებით.

— მადლობა უფალს, მიწაში ჩაშვებამდე მოვასწარი! — თქვა ერეკლემ როცა ჭირისუფლებს მიუსამძიმრა.

— უთხარი რამე, დიდო ბატონო, თქვენი ერთგული ყმა იყო და ეგებ გისმინოთ! — სთხოვა დეკანოზმა დიმიტრიმ.

ერეკლემ დიმიტრისაც ხელი ჩამოართვა და გიორგის მიუბრუნდა:

— აკი მომიცადე, გიორგი, და შენს ბატონს არ აწყენინე! მადლობელი ვარ, რაკი უბრად არ გამიშვი!.. სათქმელი ბევრი მაქვს და ბოლმა მეცა მკლავს, შენი შვილის ტოლს. აი, ახლაც მტრის დევნაში ამოვედით დიდველამდე. ბევრი ურჯულო ავკაფეთ და წინ გაგიმძღვარეთ. რაკი ვიცოდი, ჩვენგან მიბრძანდებოდი, აქეთ გამოვეშურე, ვნახო-მეთქი შავეთში წასვლამდე. წაბრძანდი, გიორგი, ნუ გენაღვლება, მსახურნი მრავლად გვყოლება. წყალსაც მოგიზიდავენ და ქალმანსაც გაგიბლანდავენ. — მერე განზე გადგა ერეკლე და ცრემლი შეიწმინდა.

— ჩაასვენეთ! — ბრძანა დიმიტრიმ.

ერეკლე რომ შეტრიალდა, ვიღაც ბალღი გაებლანდა ფეხებში. სახე სიამოვნებამ გაუხსნა, ოდნავ დაიხარა და უჩურჩულა:

— ვისი ვაჟკაცი ხარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ივანესი. გიორგის შვილიშვილი ვარ.

— რა გვქვია?

— უნგია.

— დაგენანა ჩემო უნგია, პაპაშენი.

— მამაიმ თქვა, სიბერით მოკვდაო. პაპაიმ თქვა, თვალები რო მქონოდა, მტერს შევაკვდებოდიო. სასთუმალზე სიკვდილი დიაცის ხელობააო.

ერეკლემ უნგიას აკოცა და გულზე მიიხუტა:

— წამოხვალ ჩემთან, როცა გაიზრდები?

— ახლავე წამოვალ, დედაი თუ გამამიშვებს.

ერეკლემ თვალსა და ყურს არ დაუჯერა, თუ ასე პატარა ბიჭი ეუბნებოდა ამ სიტყვებს. ხელის გაშლის მანძილზე დაიწია უკან და ისე შეხედა წელში გაზნექილ, ფართო მხარბეჭიან ბავშვს, მეომრის ტანი რომ ჰქონდა აქედანვე.

— შენისთანები რომ არ მეზრდებოდნენ, რა მეშველებოდა?! — ამოიოხრა, მერე რამდენიმე ვერცხლი ამოიღო ქისიდან, პატარა ჩოხის სამასრეებში ჩაუდო და უჩურჩულა:

— ბაბოს მიეცი, როცა შინ დაბრუნდეს.

— მივცემ... როდის წამიყვან? ხმალიცა მაქვს და ხანჯალიც. ომიც ვიცი.

— როცა დიდი ბიჭი გაიზრდები.

— ბევრჯერ რომ დაღამდება და გათენდება.

ერეკლეს გაეღიმა.

მესაფლავენი კი ქვა-ღორღიან მიწას აყრიდნენ გიორგის.

ნიღრეკმინდელი და ხუნძახის ბატონი

რაკი ერეკლემ დაიგვიანა, ანტონ კათალიკოსი თავად ეახლა თელავის სასახლეში და, რაც ქართლის ქვეყანაში ახალი ამბები იყო, წვრილად მოახსენა.

ერეკლე გაახარა იმ ამბის ცნობამ, რომ ანტონს უკვე მოეთავებინა ქართული გრამატიკის შედგენა და თბილისის სემინარიის გახსნისათვის კი ყველა პირობა შეექმნა. მარტოდენ ერეკლეს ჩაბრძანება და დასტურიღა იყო საჭირო.

ანტონმა ისიც აუწყა, რომ უახლოეს ხანში ვოლფის ფიზიკის თარგმანს დაამთავრებდა, რომელსაც შეეძლო, ქართველები გაანათლებულ ევროპის გვერდით დაეყენებინა. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი ახალი წიგნიც ჩამოუტანა და მშენებლობის მიმდინარეობის ამბებიც დაწვრილებით მოახსენა.

თავის მხრივ ერეკლემ კახეთის საშინაო და საგარეო ვითარება გააცნო, დაათვალიერებინა ციხე-სიმაგრეები, რომელთა მშენებლობისა თუ შეკეთების დამთავრება უახლოეს ხანში იყო აუცილებელი. გააცნო თელავის მომავალი გაშენების გეგმები და გაანდო, რომ თელავშიც უნდა გახსნილიყო სემინარია, როგორც კი მისთვის საჭირო შენობას ააგებდნენ.

კათალიკოსმა ქიზიყისა და გარეკახეთის ქვეყნების დათვალიერებაც ინება და ამასობაში საგარეჯომდე ჩამოაცილა ერეკლემ. ღამე აქ გაათიეს და დილით, როდესაც ერთურთის დასამშვიდობებლად ემზადებოდნენ, საბა ნინოწმინდელი ეწვიათ. მეფესა და კათალიკოსს წესისამებრ ეთაყვანა და გულით სთხოვა, რომ ტაძარი დაეთვალიერებინათ, რომლის შეკეთებაც იმ დღეებში დაამთავრა. მეფეს ძალიან გაუხარდა ტაძრის დათვალიერების შემთხვევა რომ მიეცა და უმალ დეთანხმა.

საშუალო ტანისა იყო საბა ნინოწმინდელი და უზომოდ დიდი თავი ჰქონდა. როცა გზად მიდიოდა, ან წირვას გამოათავებდა, თავს მარცხნივ გადააგდებდა ხოლმე და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ასვენებსო. უფრო მეტიც: თითქოს საბა დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და მის თავს კი ცალკე საუფლო ჰქონდა. ახლაც, როგორც კი ცხენზე შეჯდა, თავი გვერდზე გადააგდო და ისე წარუძღვა საპატიო სტუმრებს:

— მთელი ჩემი ღონე ამ ტაძარს შევალიე და, ვფიქრობ, ძალიან კარგი გამამივიდა, — ლაპარაკობდა აღტაცებით, მერე თავის საქმეზე სიტყვა შეწყვიტა და მეფეს მიუბრუნდა, — თუ ყოველივე მართალია, რასაც უფლისწულ ვახტანგიზე მოგვახსენებენ, საქართველოს დავით აღმაშენებლის დრო დადგომია და ეგ არი... ჩემი საქმე, აბა, თქვენთან რა გამოსაჩენია, მაგრამ მეც რო ერთ პატარა საქმეს ვაკეთებ, ეგ მიხარია.

მრავალსიტყვაობა უყვარდა საბა ნინოწმინდელს და ანგარიშს არ უწევდა, უსმენდნენ თუ არა.

ანტონმა კარგად იცოდა საბას ხასიათი. საკრებულოში რიგორც კი თავს მოუყრიდა ეპისკოპოსებსა და მღვდელთმთავრებს, საბას ხმა გაისმოდა. საკმარისი იყო, ერთი შეკითხვა მიეცა ვინმეს, რომ პასუხს ველარ გამოათავებდა. წინადადებებს ლამაზად აწყობდა და თვითონვე მოსწონდა თავისი საუბარი. ერთხელ თურმე სადღეგრძელო სალამითი დაიწყო და იმდენად გააჭიანურა, რომ თავზე დაათენდა.

ანტონს არ მოსწონდა საბა, მაგრამ არც საბას არ მოსწონდ ანტონი. გულიც დიდი ჰქონდა, რაკი ერეკლე წყალობის თვალით უყურებდა და ოდნავადაც არ ეკრძალებოდა ანტონს. ალბათ არც ახლა აუწყებდა, ტაძარი დამითვალიერეო, ერეკლე რომ იქ არ ყოფილიყო. მან ფაქტიურად ერეკლეს დასდო პატივი და არა — ანტონს.

— ლეკები იქაც ამოვიდნენ, — განაგრძობდა საბა ნინოწმინდელი, — საღამო იყო და გულგაღეღილი ვიჯექი ტაძრის ეზოში. ხმალი ვვერდით მედო და მშენებლობის საქმეს შავყურებდი. ამასობაში, ვაი, დედაო, დაიძახა ვიღაცამ და ალაყაფში ლეკები შამოცვივდნენ. მაშინვე წამოვხტი და რომელსაც დავკარი...

ერეკლემ იცოდა, საბა რომ უზომოდ ღონიერი და გამბედავი იყო. ამიტომაც ყოველივე დაუჯერა და ღიმილით წააქეზა:

— მერმე?

— მემრე მივდექი და მიჟმიჟელა გავავლე იმ რჯულძალლებს.

— არვინ დაგხმარებია?

— ცოტას დამეხმარნენ. სათქმელიც არ არი.

— რამდენი მოჰკალი?

— არვი, თორმეტი, არვი თვრამეტი.

— შემართებასა და მკლავ-ღონეს გიქებ!

— შენ რო ბალღი იყავი და მე რო შენოდენა ვიყავი... — დაიწყო ახალი ამბის მოყოლა.

— ჩემოდენა ვერ იქნებოდი, მე თუ ბალღი ვიყავი, — გაიცინა ერეკლემ, — შენ მხოლოდ რვა წლითა ხარ ჩემზე უფროსი.

— ზუზივ გზსომებია, — თავი გაისწორა საბა ნინოწმინდელმა, მაგრამ ისევ გადაუვარდა, — ჰოდა, რამოდენაც ვიყავი...

— ეგ არ მინდა, — ხუმრობის ხასიათზე დადგა ერეკლე, — შენ ეგ მითხარი, შენზე დიდი თავი თუ აქვს ვინმეს საგარეჯოში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ییი, — გაიცინა საბამ და შეეტყო, რომ თავის სიდიდე ეამაყებოდა, — ყურშიტაშვილი ამობს, შენზე დიდი თავი მაქვსო, მაგრამ არა მჯერა. ამას წინათ იმისი ქუდი დავიხურე და არ ჩამეტია.

ერეკლემ გულიანად გადაიხარხარა.

ნინოწმინდაში შევიდნენ. აი, უკვე ტაძარიც გამოჩნდა, მაგრამ ერეკლეს სახეს სიხარულის ნაცვლად ჭმუნვა დაეტყო.

— ხომ მოსაწონი გუმბათია, მეფეო?

— გუმბათი კი მოსაწონია, მაგრამ ეგ გუმბათი სხვა, უფრო დიდ ტაძარს დააშენებდა, მაგისთვის კი... ერთობ დაგიმძიმებია და თავკომბალისთვის დაგიმსგავსებია მშვენიერი ტაძარი.

— მსგავსი ყოველი მსგავსსა შობსო, — ჩაილაპარაკა ანტონ კათალიკოსმა, ეგონა, ვერავინ გაიგოო, მაგრამ, ერეკლემ ისე გულიანად გადაიხარხარა, კინაღამ ცხენის სადავე გაეშვა ხელიდან.

ნინოწმინდელმა თუმცა ვერ გაიგო, მაინც მიხვდა საკეთილო რომ არ თქვა კათალიკოსმა და აიმრიზა. ახლა გაახსენდა, გარეჯის წინამძღვრობა რომ შესთხოვა და უარი სტკიცა. მაშ, თუ ესეა, საბა ნინოწმინდელი ნუ იქნება, თუ შემოდგომის ბუზივით არ უკბინოს. როცა დრო გაივლის, ყოველივე გადაავიწყდება და უკვე აღარას ელის, სწორედ მაშინ უკბენს.

— მაშ, არ მოგეწონა, მეფეო? — გუნება წაუხდა ნინოწმინდელს.

— შორიდან ასეა. ახლოს ვნახოთ.

— ახლოდან უკეთესია, — გაუხარდა ნინოწმინდელს, — მაგრამ, როცა ახლოდანაც იგივე დასკვნა გამოიტანეს, ყველაფერი ანტონს გადააბრალა და გულში ინანა კიდეც, თავი რისთვის შევიწუხეო.

ნინოწმინდაში ერეკლე და ანტონი ერთურთს დაემშვიდობნენ. კათალიკოსი თავისი ამალით თბილისს წაბრძანდა და ერეკლე კი ისევ თელავს გაბრუნდა. მხოლოდ საბა ნინოწმინდელი დარჩა გაწბილებული.

* * *

სანამ ერეკლე საგარეჯოდან თელავს ჩავიდოდა ნელი სვლით: ხალხთან გასაუბრებითა და სვენებ-სვენებით, ხუნძახის მფლობელ ნურსალ ბეგს ავარიელი ლეკნი მიემხრო და დიდძალი ლაშქრით კახეთს შემოსდგომოდა.

ერეკლემ თელავს ჩასვლისთანავე მოსახლეობის ციხეებში დახიზვნა ბრძანა და ჯარის შეგროვებას შეუდგა. ნურსალ ბეგმა ვერ გაბედა ერეკლესთან პირისპირ შებმა, მის ჩასვლამდე რამდენიმე სოფლის გაძარცვა მოასწრო, ბარგი აიკრა და კახელებს რომ ეგონათ, გაგვერიდაო, არაგვის ხეობაში ამაყო თავი.

ამასობაში ერეკლეს გაგზავნილმა მალემსრბოლმა თეიმურაზ მეფეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მოახსენა, ხალხი დახიზნე, წვრილფეხობას რომ არა გვივნოს რა და კახეთის ჯარი მოგეშველებაო.

ერეკლეს არ ეწყინა, ნურსალ ბეგის ქართლისკენ გალაშქრება, გაუხარდა კიდეც, რაკიღა იფიქრა, ხაფანგში მოვიმწყვდევო. ჯარის ერთი ნაწილი გიორგი ჯანდიერსა და სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მამაც ზაალ ენდრონიკაშვილს ჩააბარა, რომელთაც კახეთის დაცვა დაავალა და მეორე ნაწილს კი თავად უსარდლა და ქართლისაკენ გაემართა გომბორის გზით.

გომბორთან სიონისკენ გადაუხვია ერეკლეს ჯარმა, რა გზითაც ნურსალ ბეგის ლაშქარს გაევლო, იქიდან ერწოში გადავიდა და და ერწოდან კი — არაგვის ხეობაში.

აოხრებული, გადამწვარი და წალეკილი სოფლების დანახვაზე ერეკლეს რისხვა სულ უფროდაუფრო იზრდებოდა და, როცა დუშეთში თავისი მამის ჯარს შეეყარა, უკვე მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ქართლელ-კახელები ერთმანეთს შეახვედრა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთის ლაშქარს თათბირი გაუმართა.

თათბირზე გაირკვა, რომ ლეკთა მრავალრიცხოვანი ჯარი მჭადიჯვარს შემოსდგომოდა და ციხის აღებას ლამობდა. ისიც შეიტყეს, რომ დაღესტნის სხვადასხვა აულებიდან ლეკთა რაზმები ნურსალი ბეგისკენ უწყვეტ ნაკადად მოედინებიანო, მაგრამ ერეკლე არ შეაკრთო ამ ცნობამ:

— იმერეთს უკვე საჩვენო პირი აქვს. მათი ახალგაზრდა მეფე სოლომონი ჩვენი წინაპრებისამებრ ლომურად იბრძვის და მზად არის მოსაშველებლად. დიდი რუსეთიც ჩვენთან არის: დღეს თუ არა, ხვალ, ჩვენი ელჩნი დაბრუნდებიან და ჯარს ჩამოგვიყვანენ. ამიტომაც არ უნდა გვეშინოდეს მტრის მრავალრიცხოვნებისა და მედგრად ვეკვეთნეთ!

— იმერეთს თავისი საქმე ვერ მოუგვარებია და ჩვენ რას დაგვეხმარება? — თქვა ვიღაცამ.

ერეკლემ ხმის მიძართულებით გაიხედა და ძალიან ნაცნობი კაცი დაინახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისი კაცი ხარ?

— პაატა აბაშიძის ჯარის სარდალი ვარ, ბატონო.

— რამდენი კაცი გყავს?

— ოცდაათი.

— შენცა და შენს ბატონსაც შეგირცხვეთ ნამუსი, ოცდაათი კაცით რომ ლაშქრად მოდიხართ! თავად სად არის, შენი ბატონი?

— შეუძლოდ იყო და მე მასარდლა.

— ნადირობისთვის შეუძლოდ არ არის და ახლა გახდა შეუძლოდ?

— გოგო-ბიჭების დაწიოკებაც კარგად ემარჯვება! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ვეტყვი, ბატონო, ყოველივეს.

— ისიც მოახსენე, ამ დღეებში სოლომონ მეფესთან შესახვედრად მოვიცლი და ყმებით ვაჭრობას ისე ჩავკეტავთ, წუწკ თავადებს რომ სული ამოხდეთ.

— ვეტყვი, ბატონო.

— ბატონი კი არა, მეფეა, — უჩურჩულა ვიღაცამ.

— ვიცი, ბატონო.

თათბირის დასასრულს ერეკლემ ბრძანა, რომ, ვინც ამ ბრძოლაში თავს გამოიჩენს, გავააზატებ და ლაშქრობას აღარ მოვთხოვო. ბოლოს კი დავალება მისცა, რამდენიმე ურემი ჯარჯით დაეტვირთათ და ლაშქრისთვის წინ წაემძღვარებინათ.

ჯარჯის ურმებით წინწამძღვარებული ქართველთა ლაშქარი მოულოდნელად წაადგა თავს ნურსალ ბეგის მოალყეებს, რომელთაც გაქცევა ვეღარ მოახერხეს და იძულებული გახდნენ, ხელჩართული ბრძოლა გაემართათ. ხელჩართულ ბრძოლაში კი ქართველების მხრიდან იმდენი რისკი და შეუპოვრობა დაინახა ნურსალ ბეგმა, იფიქრა, აქ სადღაც მეფე ერეკლე იქნებაო, და ცხენით მოკურცხლა. ქართველებმა თავი არ მიანებეს ოტებულ მტრებს და კაფვით მიჰყვნენ ცხენდაცხენ. იქამდე ჟლიტეს, სანამ საზღვარს გაიცილებდნენ. საზღვართან კი თითო-ოროლამ თუ გადაასწრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირში ჩალაგამოვლებული სვიმონ მაყაშვილისა და ბერ-ნი ელჩობის დაბრუნებამ, აბდაუბდა პასუხით, სამეფო კარი სახტად დაარჩინა. სხვაგვარ პასუხს არც მოელოდა ერეკლე თვით მაშინაც კი, როცა მჭადიჯვართან გამართულ თათბირზე თამამად განაცხადა, რუსეთი ჩვენთან არისო, მაგრამ ათანასე თბილელის იქ დარჩენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

„მტრობა შიგნიდან და მტრობა გარედან. რითი შეუძლია, საქართველომ იარსებოს?“ — გაიფიქრა ერეკლემ და მატნის ციხეში ნათქვამი ბერიკაცი სილოვანის ნათქვამი გაახსენდა: „საჩუქრები თუ გაატანე, საჩუქრებს ჩამოგიტანენო“, ასე თქვა თუ სხვაგვარად? სულ ერთია, ამისი ტოლფასი უთხრა ბებერმა მეციხოვნემ.

ნუთუ მართლა არ შეუძლია რუსეთს დახმარება? დახმარება კი შეუძლია, მაგრამ, ხედავს საქართველოს ლუკმა-ლუკმა დაქუცმაცებულს და ფიქრობს, შევჭამ და ძმობა რად მინდაო. უყურადღებოდ არ დაგაგდებთო... კარგი ნუგეშია!.. ქართველი ხალხი ათასი მტრისაგან ისრისება, მაგრამ არც სპარსეთს ემონება, არც — ოსმალეთს, არც — დაღესტნელებს და მხოლოდ და მხოლოდ რუსთან მეგობრობას რჩეობს, რაკიღა ერთმორწმუნეა, მისი მეფენი კი... დაღესტნელებსა და ჩეჩნებს ვერ ავუკრძალავთ თავდასხმასო. აი, როგორ იმედს იძლევიან?! ჩერქეზები კი... სჯობია, ჩერქეზებთან თვითონ ქართველებმა იქონიონ მეგობრული კავშირი და არა რუსეთის მეოხებით დაუკავშირდნენ.

— ჩერქეზეთს თუ გაიგზავნენ საპატარძლოს მოსაკითხავად? — თუმცა იცოდა, მაინც იკითხა ერეკლემ.

— დიახ, მეფეო, როგორც დავადგინეთ, ყოველივე იმგვარად გარიგდა, — უპასუხა ჯიმშერმა, რაკიღა პირადად მას ევალებოდა ამ საქმის მოგვარება, — ჩემმა კაცებმა ლარსამდე მიაცილეს და ისე შემობრუნდნენ.

„სხვისი იმედით ლოგინს ფართოდ ნუ გაშლიო“ — ერეკლეს ვიღაც გლეხკაცის ნათქვამი გაახსენდა და გულში მწარედ ეჩხვლიტა. თუმცა იმედიც კარგი საქონელია. მჭადიჯვართან რომ თავისი ჯარი რუსთან მეგობრობით არ გაემხნევებინა, შეიძლება, შემდგომ ალიყვნენ კიდეც ნურსალ ბეგის მრავალრიცხოვან ლაშქართან და ეს ისეთი შემართებით ვერ შეეტიათ. იმერეთს კი... იმერეთს მარ-

ლაც თავის მხარზე გადმოიბირებს და ერთობლივად შეებრძოლებიან გარემტერს. გარემტერს კი მოუვლის, მაგრამ შინამტერს რა მოევლება, გულის გულში რომ ხანჯალს გირჭვამენ? ერეკლე ველივეს იფიქრებდა, მაგრამ ათანასე თბილელის ღალატს წარმოიდგენდა, რაკიღა სიკეთის მეტი არა დაუშავებია რა თეიმურაზსა და ერეკლეს მის ოჯახთან. ალბათ მანვე დააწერინა სამეფო კარს საქართველოში გამოსაგზავნი წერილი და ამით საბოლოოდ მოუსპო ქართველ მეფეებს რუსთა იმედი. თუმცა იმედს მაინც არ წარიკვეთს და ბოლომდე იბრძოლებს საქართველოს ძლევამოსილებისთვის. მოღალატე დიდებულებს კი თვალებს ამოშანთავს, ყურებს დააჭრის, ცხვირს მოჭკვეთს და ათას სხვანაირ სასჯელს გამოუძებნის. რაკი ისინი უგულოდ ექცევიან თავიანთ სამშობლოს, ერეკლეც გულს გაიქვავებს და, ვისაც რა ეკადრება, იმას მიუზღავს.

— ევროპა!.. ევროპა!.. ევროპა!.. — დაიჩურჩულა ანტონ კათალიკოსმა.

— ჩუმად! — ჩურჩულითვე უპასუხა მეფე ერეკლემ, — ამ პასუხს არსად გავამხელთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ დახმარებას გვპირდებიან და ჯარი ამჯერად ვერ გამოუტანებიათ, არახელსაყრელ პირობათა გამო.

— მაგას ვიტყვით, მაგრამ... ევროპა!.. ევროპა!.. ევროპა!...

— ეგ გზაც ნაცადია... ჯერჯერობით ისევ ჩვენს ძალებს უნდა დავეყრდნოთ, შემდგომში კი... მეგობრად ისევ და ისევ რუსეთი უნდა ავირჩიოთ. უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩვენ მათ ვჭირდებით ისე, როგორც ისინი ჩვენ გვჭირდებიან.

— როდემდე გვქონდეს მათი იმედი? საუკუნეები გაილია და საქართველოს საქმეს არა ეშველა რა. ჩვენი წინაპრები ამ ოცნებას შეეწირნენ.

— ოდესმე დადგება ჟამი, როცა რუსთა სათავეში გონიერი კაცი მოექცევა: იგი ზრუნვით გადმოხედავს მცირე ერებს, რომლებიც ფარვანასაებრ ევლებიან. თავადაც გაძლიერდება და ჩვენც გაგვაძლიერებს.

— ეგეც ოცნებაა.

— ოცნებაა, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომლის ახდენაც უცილობელია.

— შესაძლებელია.

— თუნდაც ასე იყოს. მეგობრად ჩვენთვის რუსეთი სჯობია ყველას, ვინც კი ქართველთა მეზობლად ცხოვრობენ. აბა, იფიქრე: სპარსეთი, ურუმი თუ დაღესტანი? რომელს მიენდობი? რომელი დაგინდობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ევროპა!.. ევროპა!.. ევროპა!... — დაიჩურჩულა მესამედ და თვალები დახუჭა. ფიქრში ჩაიძირა და საგონებელს მიეცა.

— ჯერ შინაგანი მთლიანობის გრძნობა უნდა შევძინო ქართველ ხალხს. უნდა დავარწმუნო, რომ საქართველოს ყოველი კუთხე ერთი ქვეყნის ნაწილებია და არა — სხვადასხვა ქვეყანა, — ფეხზე წამოდგა ერეკლე და ოთახში გაიარ-გამოიარა, — რა გგონიათ, ათასასე რომ მარტოდენ ქართლზე არა ფიქრობდეს, ჩვენს მცნებას უღალატებდა? საქმე ის არის, მას მხოლოდ ქართლის წარმომადგენლად მიაჩნდა თავი და ქართლის ქვეყნის მესვეურნი კი იქ ეგულება.

— თუ ასეა, მივწეროთ ბაქარის შვილებს, დაბრუნდნენ და ქართლს უპატრონონ! — თვალებში შეაცქერდა თეიმურაზი და პასუხს დაელოდა, — ჩვენ კი ისევ კახეთში გადავიბარგნეთ!

— უარს არ ვიტყვი. ვნებავს, ახლავ მისწერე, მაგრამ, გჯერა, რომ ჩამოვლენ? თუნდაც ჩამოვიდნენ, ისე უპატრონებენ, როგორც საჭიროა?

— არ ვიცი, შვილო, როგორც მირჩევ, ისე გადავწყვიტოთ.

— შენ უნდა წახვიდე ელჩად რუსეთში.

— მე?

— დიახ, შენ.

თეიმურაზი ღრმად ჩაფიქრდა და პასუხი ველარ მოახერხა.

— ჩანს ერთგული არვინ ვეგულება?! — ამოიოხრა კარგა ხნის შემდეგ.

— ერთგულნი, ღვთის მადლით, მეგულვებიან, მაგრამ შენზე ერთგული არვინ მივის. და არც საქართველოს ჰყავს უფრო დიდი გულშემატკივარი.

— რაკი ასეა... — თვალები ცრემლით აევსო თეიმურაზს, სკიპტრა აიღო და გვიან განაგრძო, — ვშიშობ, მარტოკას არ გაგიძნელდეს ქართლ-კახეთის გაძღოლა.

— ხვალვე არ წახვალ. ჯერ აქაურ საქმეებს ჯეროვნად მოვაგვარებთ, სადესპანოდაც უკეთესად მოვემზადებით და მანამდე... — ერეკლემ თეთრ ჩოხაში გამოწყობილ ვახტანგ ბატონიშვილს გადა-

ხედა, რომელიც მაშინვე ფეხზე წამოდგა და თანხმობის ნიშნად მამას მიუახლოვდა, — დიახ, ვახტანგი ამომიდგება მხარში.

— ჰო, დავიცადოთ! — ენიშნა თეიმურაზს, — ხანი მივცეთ [illegible] თაც მოფიქრებისა. მანამდე სახელი კიდევ გავიკეთოთ და [illegible] წელიწადში ელჩობა განვაახლოთ. დაე, იფიქრონ, რომ ჩვენ მხოლოდ გაჭირვების ჟამს კი არ ვაწუხებთ, დალხინებულთაც გვჭირდება მათი მეგობრობა. ეს იმიტომ, რომ ორივე ხალხი ერთმორწმუნეა და ქრისტე გვავალებს ამას. ამასობაში ვახტანგიც მოიზრდება.

— მაგის უმეტესი არ ვიყავი ნეიშნის ომში.

— ასეთივე ჩოხის ჩაცმა გიყვარდა... ეს უფრო ახოვანია, პაპა ენაცვალოს!

— ახოვანია და არც სიმამაცე აკლია, მაგრამ ომისთვის მაინც ჯერ ვერ გავიმეტებ.

— რა საქმესაც ადგას, ეგეც ომია.

— ეგეც ომია. ხმლის ქნევა უფრო ბევრს ემარჯვება, ვიდრე გონიერი შრომა და საქვეყნო შენება.

— ჭეშმარიტებაა! — მოეწონა ანტონს ერეკლეს ნათქვამი, — ომებით სახელგანთქმული მეფე ბევრი ვიცით, შენებით — ცოტა.

— რასაც მიბრძანებთ, იმას გავაკეთებ. ომიც შემიძლია და შენებაც, — თავი დახარა ბატონიშვილმა და თეიმურაზის გულში უზომო სიხარული გააღვიძა.

— წავალ, შვილო... დაე, ისევ მე შევეწირო საქართველოს. უძველესი დროიდან მძევლად შვილებს გზავნიდნენ, მაგრამ ახლა მე წავალ.

— მძევლობა რა შუაშია? — იკითხა ერეკლემ.

— წავალ. ჯარს გამოვაგზავნინებ. რაც ჩვენ გვწადია, ყოველ დახმარებაზე დავიყოლიებ და მძევლად დავრჩები. უკეთუ ქართველთა მოქმედება არ მოეწონა, თავი მომკვეთოს.

— უარს ვერ შეგკადრებს ხელმწიფე იმპერატორი.

— ვნახოთ.

— ხვალ სემინარიის გახსნა იქნება, — თქვა ანტონ კათალიკოსმა და მძიმე საზრუნავი მოულოდნელი სიხარულით შეცვალა.

— მე თუ წავედი, ყველა წიგნს გამოვიგზავნით რუსეთიდან, რაზეც კი ხელი მიმიწვდება, — გამოცოცხლდა თეიმურაზი.

— ევროპიდანაც უნდა გამოვიწეროთ, ეგ არ გვეყოფა, — ჩაიღაპარაკა კათალიკოსმა.

— პეტერბურგიდამ უკეთესად გამოვიწერთ, ვიდრე [illegible]დამ, — შეუსწორა თეიმურაზმა.

— ეგ მართალია, მაგრამ... აღარას ვიტყვი... ღმერთო, გადმოგვხედე და ფარვიდე საქართველოს! — ანტონს რატომღაც ათიოდე წლის წინანდელი დღე გაახსენდა, როდესაც მტკვარმა დამხრჩვალი ქალი ჩამოატარა. მერე კაპუცინების გამხდარი სახეები დაუდგა თვალწინ და ღრმად ამოიოხრა.

„რუსეთს ახალი ელჩობის გაგზავნამდე დრო ჯერ დიდია და, ვინ იცის, ეს დრო რას მოიტანს?“ — გაიფიქრა ანტონმა და სევდიან სავსე ზღვისფერი თვალები სარკმელს მიაპყრო.

ცოდვანი მიუტევებელი

ოდნავ ჟინჟღლავდა. ანტონმა ქუჩაში ვიღაც ქალი შენიშნა. ჩვილი ბავშვი გულზე მიეხუტებინა და, ეტყობოდა, სახლისკენ გარბოდა. კათალიკოსს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელავა, თითქოს მიესალმა კიდეც და ისევ გაიქცა. ანტონი შეჩერდა, დააკვირდა და მესტამბე ალექსის ასული შეიცნო.

ყველაფერი გადაავიწყდა ანტონს: საერო საქმეც და სასულიეროც. ისიც გადაავიწყდა, ხვალ რომ სემინარია იხსნება და სიტყვა უნდა თქვას, სათქმელზე კი ჯერ არ უფიქრია. ისეთი უცნაური გრძნობა დაეუფლა, კინაღამ მიმართულება შეიცვალა და უკანიდან აედევნა. ერთხანს გაშტერებული იდგა ქუჩაში და ველარაფერს ახერხებდა. გაშლილ შავ ქოლგაზე კი წურწურით ჩამოსდიოდა წვიმა. მერეღა მოახერხა ადგილიდან დაძვრა, როცა ქუჩაში სხვანიც გამოჩნდნენ.

„ხვალ მაინც აღარ იწვიმოს, — გაიფიქრა ანტონმა, როცა თავისი სასახლის საწვეთურს ქოლგიანად აერიდა, კიბე აიარა, ქოლგა დაკეცა და წინწახრილმა კარი შეაღო.

დაკეცილი ქოლგა კუთხეში მიაყუდა, მაგრამ მალე გადაიფიქრა, ისევ გაშალა და ისე დადო შუა იატაკზე. მერე კათალიკოსის მოსასხამი მხრებიდან მოიძრო, კედელში შეჭრილ მაღალ განჯინაში

ჩამოჰკიდა, წვერ-ულვაში ჩამოიწურა, საიდანღაც დაცემული მბზინავი წვიმის წვეთები მოიცილა და ტახტზე ჩამოჯდა.

— ხომ არაფერს გვიბრძანებ, თქვენო უწმინდესობავ? — მუხლიხედა მსახურმა.

ანტონს გაახსენდა, რომ უსადილო იყო. მალე კი ალბათ ვახშმობის დროც დაიწყებოდა. ასეთმა შემოდგომისებურმა ჟინჟღლმა კი ძილი მოჰგვარა და მოადუნა. ჟიჟღლმა თუ დაღლილობამ?

— არაფერს, — უხალისოდ გაუქნია თავი და ბალიშებს მიესვენა.

ოთახში ბინდი შემოპარულიყო. ხატებს, თაროებზე წიგნებს და იატაკზე დგამ-ნივთებს სიმუქე დასტყობოდათ. ეთქვა მაინც სანთლები აანთეო. თუმცა ასე სჯობია. ცოტა ხნის შემდეგ მგლის ფერი დაისადგურებს ოთახში და ის ურჩევია. რატომ ურჩევია? თავადაც ვერ გეტყვით. ახლა ერთი ხელფეხგაუნძრევლად დააძინა და არას ინატრებს. სამუდამოდ რომ დააძინებდნენ კი ყოვლის უმჯობესი იქნება. ან რისთვისღა უნდა სიცოცხლე? მამამისმა იესემ თავი შეირცხვინა და საქართველოს გზა-კვალი აუწეწა. მისმა ძე არჩილმა, იგივე აბდულა ბეგმა, იმდენი სისხლი დაღვარა, ლეკი ვერ იზამდა ამას. დედა პეტერბურგს გარდაცვლილა სევდით დამძიმებული და სიკვდილის წუთებში თურმე მხოლოდ ანტონის სახელს იძახდა. ალექსანდრეღა დარჩა მისი დიდი ოჯახიდან და ისიც გასდგომიაო ქართველობას. მარტო ის კი არა, როგორც მაყაშვილმა ილაპარაკა, საკეთილო კი არა, უკულმართი საქმე უკეთებიათ საქართველოსთვის რუსეთს გადახვეწილ ქართველებს და მათ შორის ალექსანდრესაც. კაცი, რომელიც თავის ერს უღალატებს, ფრიად საშიშია. რჯულს ვინც განუდგება, ერსაც უარყოფს, ერის უარმყოფელს კი შვილი და მამაც არად მიაჩნია.

რჯული და ერი ანუ სარწმუნოება და წინაპარი, — აი, მცნებანი რასაც კაცთაგან არ ეღალატება! ღმერთო იხსენი ადამის ჩამომავალი ამ ცოდვათაგან! შთაჰბერე ძალა და მხნეობა, რათა ყოველგვარ ჭირს გაუძლოს და აზრი არ იცვალოს!.. აზრი არ იცვალოს!.. აზრი არ იცვალოს!..

წელან საშინლად ეძინებოდა და ახლა ერთბაშად გამოეფხიზლა. ისევ დამხრჩვალი ქალი გაახსენდა და გადაღმა მცხოვრები კათოლიკები. მათი ქვეყანა ფრიად შორს არის საქართველოდან, მაგრამ სულით იქ არიან. უხილავი ძაფი აქვთ გაბმული და ამ ძაფიდან სა-

სიცოცხლო ნექტარს ისუტავენ. მარტო თვითონ კი არა, სხვებსაც სწყალობენ ამ ნექტარს. უმეტესად კი ანტონისთვის არ იძურებენ. აი, თუნდაც ახლა, რამდენად დაეხმარნენ სემინარიის გახსნის საქმეში. რამდენი წიგნი ჩამოუტანეს და რამდენ საოცრებაში ჩაახედეს. ისინი რომ ანტონის და საერთოდ საქართველოს მტრები იყვნენ, თავს არ შეიწუხებდნენ.

— ქრისტეს მცნებას არც ეგენი უარყოფენ და კათოლიკობის მიღება ქრისტიანობის ღალატს არ ნიშნავს. რამდენჯერ უთხრეს, მიიღე კათოლიკობა და შენს ერს გადაარჩენო. რომის პაპს შევავედრებთ და ცივილიზებულ ევროპას მხარში ამოვუყენებთო მარიამის წილხვედრ საქართველოს.

ვინმე მაინც რომ გააჩნდეს, ეგებ სხვარიგად ეფიქრა. აი, ის თამარი და ის პაწია რომ მისნი იყვნენ, ალბათ სხვა აზრი ექნებოდა. ახლა კი, სარწმუნოებისა და ერის გარდა, არაფერი დარჩენია და ვისი იმედი ჰქონდეს კაცთა შორის? ნუთუ მხოლოდ ერეკლესი? დიახ, ერეკლესი! აკი აქვს კიდეც. ერეკლეა მისი ღვიძლი ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ძმა და მეგობარი. ერეკლეა მისი მამა, დედა, შვილი და მეუღლე. დიახ, მეუღლე: საქართველოს მძიმე უღელში ერთად აბიან და ერთად ჭიმავენ უმძიმეს ჭაპანს. ურემი ღრმად არის ჩაფლული საშინელ ტალახში, მორგვები აღარ უჩანს და ცდილობენ როგორმე ამოათრიონ, მერე კი მოკირწყლულ გზაზე უპირებენ გაყვანას. შესძლებენ კი? ჰა? შესძლებენ? ვაი, თუ ვერ შესძლონ? ვაი, თუ ან უღელი გაუტყდეთ ან ერთერთმა წაიბორძიკოს და... არა, ეს არ მოხდება! ეს არ უნდა მოხდეს!.. მარტო ესენი ხომ არ არიან. თეიმურაზიც ხომ უღელში აბია, ვახტანგ ბატონიშვილიც ხომ მათთან არის და ყევარითა თუ სამუღელით... ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ არც ჭაპანი გაუწყდეთ, არც უღელი გაუტყდეთ და ისე გაიყვანონ საქართველო სამშვიდობო გზაზე. რუსეთს თუ ქართველთათვის არა სცალია, სხვა უნდა მოძებნონ. ეს სხვა კი... კათოლიკები... კაპუცინები...

მსახური სანთლების ასანთებად შემოვიდა. სიბნელეში მჯდარი ანტონის დანახვა არ გაჰკვირვებია, რაკიღა იშვიათი ხილი არ იყო მისთვის სიბნელეში ჯდომა. იცოდა, სინათლე ფიქრში ხელს უშლიდა და, როცა მძიმე საფიქრალი ჰქონდა, სიბნელეს რჩეობდა. ნეტავ რა მძიმე საფიქრალი აქვს? ამბობენ, მისი ძმა ალექსანდრე

ქართველ მეფეთა მტერი ყოფილაო. დანარჩენი კი ალბათ ანტონმა უკეთესად იცის და მსახურნი ასე იოლად ვერ მიხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურმა ვერ გაბედა სანთლების მოკიდება და აღარც ფანრებ-ვით დაურღვია მყუდროება.

ხატები, წიგნები და დგამ-ნივთები თანდათან გამუქდნენ და ბოლოს კი სიბნელეში ჩაიძირნენ.

— აანთე! — უბრძანა ანტონმა. წამოდგა, ქოლგა აიღო და გარეთ გავიდა. თუმცა წვიმას უკვე გადაეღო, მაინც თან გაიყოლია და კიბეზე დაეშვა. ეზოს იმ ადგილას გაჩერდა, სადაც ერთხელ „ვეფხისტყაოსანი“ დაწვა, მერე ხილნარი გადასჭრა და ბილიკს დაუყვა.

* * *

მეორე დღეს ყველა განათლებული თბილისელი ქართული სემინარიის გახსნის ზეიმს დაესწრო. ბრწყინვალე სიტყვები თქვეს ანტონ კათალიკოსმა, სემინარიის რექტორმა ფილიპე ყაითმაზაშვილმა და მდივანბეგმა ჭაბუა ორბელიანმა, რომლის მეჯერმეტყველობამ ყველანი მოხიბლა.

პირველ ლექციებს ერეკლეც დაესწრო და ამან გამოიწვია ცხოველი ინტერესი. საღამოთი კი მთელი ქალაქი ახალ სემინარიასა და მის დამაარსებელ ანტონ კათალიკოსზე ლაპარაკობდა. თვითონ ერეკლემ აღარ იცოდა, აღტაცება როგორ დაეფარა და ზეიმისა და საერთო სერობის დამთავრების შემდეგ ანტონის სამუშაო ოთახში განმარტოვდნენ და იქ განაგრძეს საუბარი.

— ერი ჩემი ამიერიდან აღარ იქნება ბნელში და ავალა მიეცემა სწავლულ კაცთაგან ნათქვამ სიბრძნეს ჩვენს ქვეყანაშიც. მარტოდენ ხმლის ქნევა შორს ვერ წაგვიყვანს. ცოდნა სიბრძნისა ამოღებული ფარიც არის და შემართული ხმალიც.

მერე კათალიკოსმა თაროებიდან სათარგმნი წიგნები გადმოალაგა და თავის დაწერილ წიგნებთან ერთად წინ დაულაგა მეფეს:

— როცა ყოველივე ამათ თარგმნას ბოლომდე გავასრულებ, ქება მაშინ ხამს ჩვენი ღვაწლისა.

— რუსეთს დესპანად შენ გიპირებდი მომავალში მამაჩემის ნაცვლად, მაგრამ, ვიცოდი, წიგნების თხზვასა და გადმოღებაში ხელი შეგეშლებოდა და ამიტომ გადავიფიქრე. თუ კვლავაც ასეთი რუდუნებით გააგრძელებ შრომას, დიდად მაამებ.

— მეტი მცდელობით ჩვენთა წინაპრებს აკადემიები ჰქონიათ და ჩვენ კი, ახლა, როცა ევროპაში უნივერსიტეტები გაბნეულ თეატრები ყოველ ქვეყანაშია და ზოგგან კი ორი-სამიც, სემინარია გვაქვს კეირს.

— ფრიად გამახარა, წარმოდგენა რომ მოუმზადებიათ. ისიც მომხსენდა, მაჩაბლის შვილი სამეფო კარის დასს აყალიბებსო.

— აყალიბებს, მეფეო, მალე ნამდვილი თეატრი გვექნება საქართველოში.

— მაგრამ თუ იცი, ყველაზე უმეტესად რა სჭირდება საქართველოს?

— ვიცი, მეფეო. მშვიდობიანი ცხოვრება ეჭირვება.

— საამისოდ კი ქარხანა გვინდა, რომელშიც თოფებსა და ზარბაზნებს ჩამოასხამენ. დენთიც გვინდა საკუთარი.

— ლითონი?

— ყოველივეს ვიშოვნით, თუ თავს არ დავიშურებთ.

კიბეზე ხმაურით ამოვიდა ვილაცა. კარს ფეხი ჰკრა და ისე გააღო. ერეკლე და ანტონი სახტად დარჩნენ, როცა გვირგვინოსანი თეიმურაზის განრისხებული სახე დაინახეს. ორივემ გაკვირვებით შეხედეს ერთურთს და ისევ თეიმურაზ მეფეზე გადაიტანეს მზერა. წამოდგნენ და დამნაშავეებივით გაჩერდნენ მამისა და ბიძის წინაშე.

— რაო, ხატები ისევ გიკიდია? — კედლები შეათვალიერა თეიმურაზმა და მერეღა შეხედა ანტონს.

— არ მესმის, მეფეო, — ვერ გაუძლო კათალიკოსმა თეიმურაზის მრისხანე გამოხედვას და თავი დახარა.

— გადაუდეგ სარწმუნოებას?! — იჭექა თეიმურაზმა და ერეკლეც კი შეაკრთო მისმა ხმამ.

— სარწმუნოებას არ გადავდგომივარ... — გაბედა ანტონმა და ქვედა ტუჩი აუთრთოლდა, რომელიც ვარდისფრად მოუჩანდა ქერა წვერ-ულვაშში.

— წუხელ სად იყავი? — ოდნავ დაშვებული კილოთი შეეკითხა თეიმურაზი და თვალი არ მოუშორებია ანტონის სახისთვის, — ან საერთოდ ვისთან მიდიხარ, როცა მწუხარება შემოგაწვება?

— ზაქარია გაბაშვილმა მოგახსენათ?

— აკი არ გადავდგომივარო სარწმუნოებას? — ხელახლა იჭექა თეიმურაზმა და მზერა ერეკლეზე გადაიტანა: — ეგებ შენც თანაუგრძნობ?

— პირველად მესმის, მეფეო, — უკმეხად უპასუხა ერეკლემ და ფერდაკარგულ ანტონს შეხედა. უზომოდ შეებრალა და იფიქრა, ჩემი მკვლელობის მოსურნეც რომ იყოს, მაინც ვაპატიებ და დასჯას ვერ შევბედავო, — თუ მართლა სარწმუნოებას გადაუდგა, დასჯის ღირსია, მაგრამ ჯერ გამოვიძიოთ მამაჩემო, — თბილი კილოთი მიუბრუნდა თეიმურაზს, — და მერმე ვიმოქმედოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზს გაახსენდა, ერეკლე რომ ნიადაგ ფიცხობდა და დროს დაცდასა და საქმის აწონ-დაწონას თეიმურაზი უქადაგებდა. ახლა კი პირუკუ ხდება. ამიტომაც შვილის რჩევა ჭკუაში დაუჯდა და, თუმცა ახალი შეტევისთვის ემზადებოდა, ერთბაშად დაეშვა:

— გამოვიძიოთ... ასე ვქმნათ, მაგრამ ვაი, რომ... — მერე პირი მოარიღა ერეკლეს და თითქოს სხვათა გასაგონად განაცხადა: — კახეთს კვლავ ლეკი შემოსდგომია და იქით უნდა გაეშურო.

ძალიან ეწყინა ერეკლეს ლეკთა ახალი შემოსევის ამბავი. ეწყინა იმიტომ, რომ მძიმე მარცხის შემდეგ მაინც თავიანთსას არ იშლიან გადამთიელნი და თანაც ამ ყოფაში ანტონის მიტოვება ებრალებოდა. ეთქვა, ჯერ გამოვიძიოთ და მერმე წავალო, არ შეიძლებობდა. არადა, რა ბრალი ედებოდა, რომ არ იცოდა, როგორ უნდა მოესვენა დაბრუნებამდე?

ლაშქრულის ძალა

მამუკა თანდათან დაპატარავდა და დაჩიავდა. მგელიასაც ერთ დროს ასე დაემართა სპარსეთში ყოფნისას, მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ მგელია სიმსუბუქეს გრძნობდა ამ დაპატარავებით და მამუკა კი — სიმძიმეს. ერეკლემ კარის ექიმსაც გაასინჯა, მაგრამ ვერა გაუგო რა. ეს დევივით ვაჟკაცი, რომლის ნეკი ერთ დროს ერეკლეს ცერზე მსხვილი იყო, ისე ჩამოდნა, ზედ აღარ შეეხედებოდა. ერეკლე იძულებული გახდა, ისევ მთაში გაეშვა თავისი ერთგული მეგობარი და საიმედო სიტყვები დაედევნებინა: როცა მომჯობინდე, ისევ მეახელიო.

ივანეც მთიულეთში გაგზავნა, რაკიდა ცოლ-შვილი თბილისში ვერ ჩამოაყვანინა: ბალღები დაიხაშმებიანო. ისე, რომ, როცა თეიმურაზმა კახეთზე ლეკთა ახალი შემოსევის ამბავი აუწყა, ორი პირადი მცველი აკლდა მეფეს: ერეკლემ მაშინვე ტეტიას ობლები

მოიკითხა, რომლებიც პაპის გარდაცვალების დღიდანვე თბილისში გადმოვიდნენ და ერეკლეს ერთგულ ამალაში ირიცხებოდნენ. ... დეც თავი მრავალ ბრძოლაში გამოიჩინეს და ახლა ... შვიდეული შეავსეს სკვინჩამ და შოშიამ.

მეფე თეიმურაზს ეგონა, ამალამ აქ გაითენებს და დილაზე გავაო, მაგრამ, თუმცა ხარგამოშვება იყო, მაშინვე გავიდა სასახლიდან. გაიარა ნავთლუხი, ინახულა ირაკლის ციხე, იქაურ მეციხოვნეებს სიფხიზლისკენ მოუწოდა და ლილოს ბოლოზე გავლით, ვაზიანს უწია დიდვახშმობამდე. დასვენება აქ დააპირა, მაგრამ რაკი ცხენებს მუხლი უჭრიდათ და საქმეც საშური იყო, გზა გააგრძელეს. მამალმა რომ მეორედ იყივლა, სართიჭალას მიადგნენ და აქ მოატყუეს თვალი. დილაადრიან კი ნინოწმინდის მიმართულებით განაგრძეს გზა. ნინოწმინდაში საბა ნინოწმინდელის ნახვა ეწადა ერეკლეს. ანტონი უნდა შეეველრებინა. ქალაქს წადი და თეიმურაზ მეფეს რისხვა დაუცხრეო. თეიმურაზს დიდი ხათრი და პატივი ჰქონდა ნინოწმინდელისა და დაგიჯერებსო.

ასეც მოიქცა ერეკლე. სული ხელში ჩაჰბერა და დაავედრა:

— ახლავე თიფლიზს გაეშურე, ვითომც შემთხვევით ეახელ კათალიკოსს და, რაკი თეიმურაზ მეფე იქ დაგინახავს, როგორც ერთგულ მწყემსს, საქმეებში თავადვე ჩაგრევს.

საბამ ყოველივე პირობა აღუთქვა და დამშვიდებული ერეკლე ცივის მთის გზით დაიძრა კახეთისკენ.

ლეკთა ოციათასიანი ლაშქარი ნურსალი ბეგის ბელადობით ყვარლის ციხეს შემოსდგომოდა და, ერეკლეს რომ სულზე არ ჩავსწრო, მალე ალბათ, დანებდებოდნენ, თუმცა გიორგი ჯანდიერის სარდლობით ჯერ-ჯერობით მედგრად იბრძოდნენ კახელები.

ნურსალ ბეგი არ ელოდა ერეკლეს ასე სწრაფად დაბრუნებას და, როგორც კი შეიტყო, მართალია, უკან არ დაუხევია, მაგრამ მაშინვე შეწყვიტა ბრძოლა.

ერეკლემ თათბირი გამართა. გიორგი ჯანდიერის გარდა, აქ იყვნენ ზაალ ენდრონიკაშვილი და მისი ბიძაშვილები: ქაიხოსრო და ივანე თამაზის ძენი. მართალია, მათი მამა კარგა ხანს ჰყავდა ერეკლეს დილეგში და მკაცრი სასჯელითაც უნდა დასჯილიყო, მაგრამ შვილების თხოვნა შეისმინა, სიცოცხლე შეუნარჩუნა და რუსეთს გამგზავრების ნებართვა მისცა. ადგილ-მამული და სახელო კი მის შვილებს დაუტოვა. ეგებ მიხვდნენ კიდეც შვილები მამის შეცოდე-

ბას და თავგანწირული ბრძოლით აპირებენ მეფისთვის ერთგულების დამტკიცებას. ეს კი არის, რომ ქაოხოსრო თავის ბიძაშვილს ემსგავსება და ივანე კი გადაწურული მამამისია. აქვე იყო ვაჩე ვაჩნაძის უფროსი ვაჟი ტარიელი და სხვა დიდებულნი.

ერეკლე თითქმის ათი-თორმეტი წლით აღემატებოდა თვითეულ მათგანს და ამიტომ ძალიან უბრალოდ და თბილად დაიწყო საუბარი:

— ჩემო გიორგი, ჩემო ზაალ, ჩემო ქაიხოსრო, ჩემო ტარიელ, ჩემო ივანე, ჩემო მეგობრებო, ჩვენი ქვეყანა არა ერთხელ ყოფილა განსაცდელში, მაგრამ ჩვენი პირადი მამაცობით გადაგვირჩენია. ახლაც ასე უნდა იყოს. მართალია, ნურსალ ბეგს ოცი ათასი მოლაშქრე ჰყავსო, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაკრთოს. ყველამ იცით, რომ როგორცა ქუხს, ისე არა წვიმს. ჯერ ერთი, შეიძლება, მაგდენი არც ჰყავდეს და ტყუილად ბერავდნენ, მაგრამ თუნდაც ასე იყოს, სადაც სიმამაცეა, სიმრავლე უძლურია. ჩვენ ერთხელ უკვე ვაგემეთ ნურსალს მჭადიჯვართან და, რაკი არ იშლის, კვლავაც ჯეროვანს დავმართებთ მაგ ძაღლიშვილებს. თქვენისთანა ვაჟკაცებს მტერი ვერ გაუძლებს და მამათა სიმამაცეს ჩვენ უნდა ვადავაჭარბოთ!

ერეკლეს ნათქვამი ენდრონიკაშვილის ვაჟებსაც მოეწონა და ტარიელ ვაჩნაძესაც. გულში გაამტყუნეს თავიანთი მამები ურჩობისა და ფარული მტრობისთვის. ამბობენ, ერეკლეს თავადები სძულსო. ასე არ უნდა იყოს. ალბათ ურჩი თავადი სძულს და ერთგულისა კი სიყვარულიც იცის და დაფასებაც. რა უბრალოდ და რა კარგად თქვა ეს სიტყვები. როგორ შეიძლება, ასეთ მეფეს ორგული ექმნე? არა, იბრძოლებენ, კვლავაც თავგამოდებით იბრძოლებენ ყვარლის ციხის დასაცავად. ამ ბრძოლაში ისინიც ისე ისახელებენ თავს, როგორც ამას წინათ პაპა ბებურიშვილმა და ბერო სეფაშვილის ვაჟებმა ისახელეს. ისიც გაახსენდათ, რიგით მებრძოლებს რომ აზნაურობა უბოძა მეფემ, ვინც ყვარლის ციხის აღებაში ივაჟკაცა, აზნაურები თავადებად აღაზევა და თავადებს კი სხვა ნიჭი უწყალობა.

თათბირის შემდეგ, სარდლებმა ციხის გარშემო განაწყეს ჯარი და უბრძანეს, სანამ მტერი იერიშზე არ გადმოვიდოდა, თოფი არ გაესროლათ. ქართველების მხრიდან ხანგრძლივმა სიჩუმემ კი ნურსალ ბეგი დაარწმუნა, ერეკლეს ჩამოსვლის ხმები ჭორია, თორემ აქამდე შემოგვიტეედა, და გათენებისას თვითონ განაახლა იერა-

ში. კარგა მანძილზე დაუბრკოლებლად მოიწევდა წინ და არაფერი ელობებოდა ლეკთა ლაშქარს, მაგრამ მოულოდნელად სამი მხრიდან სროლა აუტეხეს და ზედიზედ წააქციეს მეწინავენი, ფლანგებიდან მოულოდნელმა სროლამ და ზედდაკიჟინებამ, წამოხტომამ და ხმლით მიტევებამ მოიერიშეებს თავზარი დასცა და, იმის შიშით, ალყაში არ მოვექცეთო, უკან დაიხიეს. მერე ვიღაცამ დაიძახა, ერეკლე ხანო, ამ ხმას სხვა შეძახილები შეუერთდა და, მიუხედავად იმისა, ნურსალი ბეგი გაიძახოდა, ცოცხალი არ გადამირჩება, ვინც უკან გაბრუნდებაო, აირივ-დაირივნენ და ზურგი უჩვენეს მეციხოვნეებს. გაქცეულებს ერთი მხრიდან გიორგი ჯანდიერის ჯარი მიესია, მეორედან — ზაალ და ქაიხოსრო ენდრონიკაშვილებისა და შეჩერება ველარსად შესძლეს.

— თუ მაგის მეტი თავი არა გქონდა, რაღას გვეტევებოდი, ნურსალ ბეგო?! — გაიცინა ერეკლემ.

— ამათ კი კუდი ამოვაძუებინეთ, მაგრამ, ვინ იცის, ჩემ სოფელში რა ამბავია? — ამოიოხრა ვიღაცამ.

— შენ ეგა თქვი და...

* * *

იმ დროს კი, სწორედ იმ დროს ლეკთა ერთი მარბიელი ქართლში მიდიოდა, რომელიც გზაზე მცირერიცხოვან ჯარს გადააწყდა. ჯარს იარაღში ჩამჯდარი ბოლიათი მიუძღოდა და მტრის დანახვაზე, „ჰკა მაგათო“, დაიძახა, ხმალი იშიშვლა და რომელსაც დაჰკრა, ცხენიდან ჩამოაგდო. ლეკები არ შეკრთნენ. სისხლის დანახვაზე უფრო გაავდნენ, მიესივნენ და ცხენიდან ჩამოაგდეს:

— მუხრანბატონი მოჰკლეს! — დაიძახა ვიღაცამ. ამ დაძახილს სხვა დაძახილი შეუერთდა და ცხვრებივით დაფრთხნენ მძლეთა-მძლე კონსტანტინე მუხრანბატონის სიკვდილით შეშინებული მისი რაზმელები.

— მუხრანბატონი მოჰკლეს!..

— მუხრანბატონი მოჰკლეს!..

— ლეკებმა მოჰკლეს!.. — ამ სიტყვებმა მთელი ქართლ-კახეთი შემოირბინეს და ქართველები ერთხელ კიდევ დაარწმუნეს, რომ წუნკალა ძაღლებივით შემოჩვეულ მტრებთან ბრძოლაში არც ისე იოლი იყო საბოლოო გამარჯვება.

როგორც კი ეს ხმა ერეკლემ გაიგო, ასიოდე კაცით გაედევნა, ლალისყურთან დაეწია მუხრანბატონის მკვლელებს და ისე აკვნა, ამბის წამღები აღარავინ დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხეების გარდა აღარავინ დაგვრჩა, მეფეო, და ხეებსაც ხომ არ ავკაფავთ? — იხუმრა ვიღაცამ, რაკიღა იცოდა, რომ მეფე ერეკლეს გარდასული განსაცდელის შემდეგ ხუმრობა და საღიმილო სიტყვები უყვარდა. ამით ცდილობდა, მოლაშქრეები გაემხნევებინა, რათა ისინიც ღრმად არ ჩაფიქრებულიყვნენ საქართველოს ბედუკულმართობაზე და გული არ გატეხოდათ.

— იმღერე, შოშიავ, ლაშქრული წამოიწყე! — უბრძანა ერეკლემ როცა გზაზე გამოვიდნენ და გაიმინდვრეს.

ერეკლეს ჯარის ნარჩენი ლაშქრულით ბრუნდებოდა კახეთიდან, მაგრამ ეს სიმღერა არ იყო: ეს კვნესა იყო, რომელშიც ქართველი ხალხის ბედუკულმართობა იხატებოდა. კეთილ და გულუბრყვილო ადამიანებს სიმღერად მიაჩნდათ და პირდაღებულნი გამორბოდნენ სახლებიდან ჯარის საყურებლად. გამოცდილებმა კი კარგად იცოდნენ, რომ ეს სიმღერა თავისებური გლოვა იყო ბრძოლის ველზე დარჩენილებისა და ჰაერში თუ სასიამოვნო ჰანგი იღვრებოდა, გული ნაღველით იფუფქებოდა.

თვალმინაბული ერეკლე, რომელიც ცხენის ნაბიჯს მიჰყვებოდა, კრინით ასდევდა სიმღერას და მის თვალწინ ცოცხლდებოდნენ საბრძოლო სცენები, სადაც მისი ჯარისკაცები ეცემოდნენ. ხნიერი არ არის, ჯერ მხოლოდ ოცდათექვსმეტი წლისაა, მაგრამ თითქმის გამოათავა თავისი ტოლები და თავისი შვილის თაობას მიჰყო ხელი. მისი უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი ვახტანგიც ხომ ახლა ომში უნდა ყოფილიყო, მოცალეობა რომ ჰქონოდა. თხუთმეტი წლიდან ხომ უკვე მეომრად ითვლება ქართველი კაცი. როდემდე? როდემდე შესძლებს ერთი მუჭა ერი მოზღვავებული მტრის შეჩერებას? ამ სადარდელს ლაშქარს არ გაუმხელს, მაგრამ თავად ხომ იცის და გამხელა რაღად უნდა? დედაო ღვთისავ, იხსენ საქართველო განსაცდელისგან!

როგორც კი ჩავა, დაიბარებს იმერთა მეფეს და ეგებ სხვა-რიგად წარიმართოს ქართველთა საქმე... მაგრამ რაგვარად? ყოველ გამარჯვებას ხოცვა-ჟლეტა მოსდევს და როდემდე გასძლებს ერთი მუჭა ქვეყანა? რამდენი მეგობარიც ამ ოცი წლის მანძილზე გვერდით მოჰკვდომია, ყველა რომ აღრიცხოს, გაუძ-

ნელდება. რამდენი სხვაგან მოკლეს, მისგან მოშორებით, ამის ანგარიში ხომ ჭკუაზე შეშლის ადამიანს. რამდენი გაიტაცეს, რამდენი გაყიდეს, რამდენი დაახეიბრეს? ასე თანდათანობით კლავენ საქართველოს და... შვილები?.. დიახ, შვილები უნდა ვიყოლიოთ, მაგრამ საზრდოს გვიწვავენ და რით უნდა გავზარდოთ? მტერი კი არა, შიმშილი და სიკვდილი ებრძვის საქართველოს. ფუი, ეშმაკს!.. ფუი, ეშმაკს, ეს რა იფიქრა!

— ერთი ოქრო იმას, ვინც გულიანად გაგვაცინებს, — ბრძანა ერეკლემ, რაკიღა სიმღერა გამოთავდა და სევდა უმეტესად შეესია მის გულს.

მსჯავრი უფლისა

— გავიგე, ეშმაკის ცხენზე გადამჯდარა ჩვენი კათალიკოსი, — მიახალა თბილისის სასახლეში ჩაბრძანებულმა საბა ნინოწმინდელმა მეფე თეიმურაზს, რომელთანაც თანშეზრდილი იყო და, როგორც ტოლი ტოლს, ყოველთვის ისე ეპაექრებოდა. ვერც გრძნობდა ხოლმე მეფის წინაშე თუ იყო.

— ვისგან შეიტყეთ? — განცვიფრდა თეიმურაზი, რაკიღა ანტონის ბინაზე გაბრაზების შემდეგ ხმა არ დაუძრავს ამ საკითხზე. ანტონი არ ეტყოდა და ერეკლე კი კახეთშია.

— ქვეყანა ამას ღაღადებს, მეფეო.

— ქვეყანა? — გაშრა თეიმურაზი, — მაშ იცის ხალხმა, მართლმადიდებლობას რომ განდგომია ეგ სატანა?

— მეტსაც ამბობენ. მარტო სარწმუნოებას კი არა, ქვეყანასა ღალატობსო.

— მაშ, თუ ასეა... — არ მინდა, ვირწმუნო, მაგრამ... — შუბლზე ხელი მიიდო თეიმურაზმა, ასე იყო კარგა ხანს. მერე წვერი მუჭაში ჩაბღუჯა და საბას შეხედა: — მოდი, მიგგზავნი და ესაუბრე. ეგებ შეაგონო რამე და მარტოდენ გადაყენება ვაკმაროთ.

— კათალიკოსის მკრეხელობას მარტო გადაყენება არ უშველის! — ხმას აუწია ნინოწმინდელმა.

— ჭეშმარიტი აზრია, მაგრამ... — ისევ თვალებში შეხედა თეიმურაზმა, თითქოს მისგან ელოდა რაიმე ხსნას, — ეგებ ჯერ მცირე ცოდვა აქვს და...

— მცირე ცოდვაზე ხალხი არ ამბოხდება.

— ზოგჯერ ხალხიც სცდება. ფეხის ხმას ასდევს.

— როცა ნიკოლოზივით ჩააქვავებენ, მაშინ გვიანლა იქნება, მეფეო. თუ სიცოცხლის შენარჩუნება გინდა, სჯობს შენ თვითონ შეაჩვენო.

— მართალი ხარ... შენზე განრისხებული მე ვიყავი და თავს ვინუგეშებდი. ვიცდიდი, ერეკლე ჩამოვა და ეგებ რაიმე შეაგნებინოს-მეთქი. ახლა კი, მე ვიცი, როგორც დავსჯი, — წამოდგა თეიმურაზი და წითელ ყურთმაჯგულისპირიანი ხალთის ფრიალით დარბაზში გაიარ-გამოიარა ნერვიული ნაბიჯებით. მერე უეცრად შემობრუნდა და საბას შეხედა: — ეახელ ახლავე და სცადე, გამოსტეხო. მე დამიმალა და ეგებ შენ გაგანდოს. ეგეც უთხარი, თეიმურაზი არ გიპირებს დასჯას, თუ ყოველივეს აღიარებ-თქო.

— ვეტყვი, — დაეთანხმა ნინოწმინდელი.

— გინდ ეგეც უთხარ, მეც კათოლიკობა მსურს და ეგებ მეფეც ჩვენს აზრზე მოვაქციოთ-თქო.

— მაგასაც ვეტყვი.

— თუ ყოველივეს ათქმევინებ, განდიდება გელის.

— ვიცი, მეფეო, — საბას გაახსენდა, ადრე რომ ურჩია მეფეს, ასე ახალგაზრდას კათალიკოსობა არ ეკუთვნისო, მაგრამ არ დაუჯერა. ახლა კი, თუმცა ისე ახალგაზრდა აღარ არის, სამაგიეროდ მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა, — დანაშაული ადრე ჩავიდინეთ, მეფეო, მაგრამ...

— ვიცი, — უპასუხა ფიქრში წასულმა თეიმურაზმა, — მაგრამ რაკიდა ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა, არ მინდოდა, გამენაწყენებინა. ახლა კი...

საბამ იცოდა, ანტონის კათედრა რომ არ შეხვდებოდა, მაგრამ იმედი ისეთი საფყუარაა... ეშმაკმა იცის ამ ქვეყნის თავი და ბოლო: ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნეტავ ვინ აცნობა მეფეს თავდაპირველად ეს ამბავი. აი, მას მოელის საჩუქარი და აღზევება, თუ კი ანტონი დაისჯება.

— ეს ამბავი ვინ გაგაგებინათ, მეფეო? — საბამ თავი მარჯვენა მხარზე დაისვენა და პასუხს დაელოდა.

— სამეფო კარს ერთგულნი არ დაელევიან.

— თუ რამ დასამალავია, ნუ მეტყვით!

— დასამალავი არაფერია. ჩემმა ერთგულმა ზაქარია მოძღვარ-

მა მაუწყა. როგორც მან მითხრა, შეჩვენების ღირსია, თუ ტყუილი არ მაკადრა.

— ტყუილს როგორ იკადრებს ჭეშმარიტად წმინდა ადამიანი.

— ახლავე წადი და წვრილად მაუწყე, რაც შეიტყო.

— წავალ და დღესვე გეახლები, თუ შინ დამხვდა.

— ვერსად წავიდოდა. მეთვალყურენი მის სასახლეს გარს უვლიან. მომახსენებენ, ხემსი არ უნახავს და საგონებელს მისცემიაო. ამად მებრალებოდა, მაგრამ, თუ მართლა ხალხმა იცის...

— ხალხმა კი იცის, მეფეო, მაგრამ... ნეტავი ტყუილი იქნებოდეს... — ქედმოხრილი გავიდა სასახლიდან საბა ნინოწმინდელი.

თეიმურაზმა არვის ნახვა არ ისურვა და მთელი დღე ნერვიულობაში გაატარა.

საღამოთი კი საბა ნინოწმინდელი ეახლა დამნაშავე კაცის სახით და მოახსენა, ყოველივე სიმართლე ყოფილაო. ეგ კი არა, კათალიკოსი თურმე დღისით თვალმაქცურად შიმშილობს და ღამით კი ჭინკებთან ერთად ვახშმობსო. კათოლიკობის ხსენებაზე კი გაეცინა და ასე მითხრა, რომ თეიმურაზი ბეცია, თორემ კათოლიკობა მთელი თავით მაღლა დგასო მართლმადიდებლობაზე.

— მაგას ვერ იტყოდა! — იჭექა თეიმურაზმა.

— სულს გეფიცები!.. უფრო მეტიც თქვა, მაგრამ ვერ შეგკადრებ.

— მაშ, თუ ასეა, — ტაში შემოჰკრა თეიმურაზმა და, როცა მსახურმა შემოიხედა, მღვდელთმთავრები და ზაქარია მოძღვარი მოგვარეთო...

* * *

მეორე დღეს თავფეხშიშველი, კათალიკოსის სამოსგაძარცული და თმაწვერშეკორტნილი ანტონი ქუჩებში დაჰყავდათ და ზედ აფურთხებდნენ, როგორც ერის მოღალატესა და ქრისტეს რჯულის უარმყოფელს. მიდიოდა ბრბო და მილასლასებდა სულიერად დაქანცული ნაკათალიკოსარი. ცდილობდა, თვალები დაეხუჭა, სურდა მის წინაშე ყოველივე ერთბაშად გამქრალიყო, მაგრამ იღლიებში გაყრილი თოკით ცხენის საკისურზე იყო გამობმული და ღონიერი ცხენი წინ ეწეოდა. წაქცევის საშუალება არ გააჩნდა და უკან მიხედვისა. ან უკან რა ჰქონდა მისახედავი. აი, თითქმის სიცოცხლის

ნახევარი გაიარა და წამების გარდა ვერა დაიმსახურა. ყოველივე დაიკლო, რაც კი რამ სიხარული არსებობს ადამიანისთვის, დღედაღამ რუდუნებდა, რათა ერისთვის რაიმე სიკეთე მოეტანა და ეგეც ერი პატივის ახდითა და წამებით უხდის სამაგიეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა რა დააშავა ანტონმა? მან მხოლოდ მამისა და ძისგან გამომავლობა და რომის ეკლესიის პირველობა აღიარა, თავისმა ხალხმა კი ფეხით გასრისა სიწმინდე და ესოდენ დაამცირა. რომელმა უფრო მეტი დააშავა: ხალხმა თუ ანტონმა? ეგებ არცა ღირს ხალხისთვის თავგანწირვა და ერთგული სამსახური? ეგებ იმიტომ იბადები, რომ ისაზრდოო, რათა იცოცხლო, შემდეგ კი მოჰკვდე? ანტონმა ხომ ყოველივე ეს ერის გადარჩენისთვის იმოქმედა? ის ხომ კათოლიკე-მისიონრებთან დაკავშირებით, რომთან და ევროპასთან კავშირს ცდილობდა, რითაც ქვეყანა უნდა გადაერჩინა მუსილმანური სარწმუნოების შემოსევისგან და განათლებული ევროპის გზაზე შეეყენებინა?

გული ყელში ებჯინებოდა ანტონს. უნდოდა, ამოეფურთხებინა და ბრბოსთვის შეეძახა, ფუი, თქვენს სამართალსო, მაგრამ ამის სანაცვლოდ ნერწყვი ეყლაპებოდა და მუხლში ძალა ერთმეოდა. ერთგან კი, როცა გულზემიხუტებულბავშვიანი ქალი შეიცნო, ფეხები აერია და თავი რომ არ შეემაგრებინა, ალბათ მორივით გაათრევდა ცხენი და მაშინ კი ალბათ სიცოცხლეს დაემშვიდობებოდა.

სიცოცხლე... ვითომ ღირს კი სიცოცხლე? ან კი ცოცხალია? სიცოცხლე მარტოდენ სუნთქვა კი არ არის, სიცოცხლე სულისდგმაა და სული კი უკვე გაუფრთხა. ვილაცის სულით ცოცხლობს და ვილაცის თვალებით იხედება. ის კი, ნამდვილი ანტონი დანარცხებულია და მიწასთან გასწორებული. არა, თავს აღარ იცოცხლებს, იუნდაც გადარჩეს ბრბოს სამსჯავროსგან. კაცი ერთხელ იბადება და ღირსეულად უნდა მოკვდეს. ისე მოკვდეს, რომ ხალხმა შეიგრძნოს დიდი რამ დანაკლისი. ვაი, რომ ზოგჯერ ხალხსაც არა ჰკითხავენ. ერთ რომელიღაც აღზევების მოსურნეს მეორის დამდაბლება სურს თავის საკეთილდღეოდ და განსჯის უნარმოკლებულ ბრბოს იყენებს ამ საქმეში. უღიმის ბრბოს, არწმუნებს თავის სიკეთეში და ბრბოც მას ტაშს უკრავს. სხვისი ნათქვამის გამეორება უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარი აზრის გამოთქმა. დამოუკიდებელი აზროვნება ასი ათასიდან ერთ კაცს შეუძლია. დანარჩენი ასი ათასი კი ბრმად იმეორებს ვილაცის ნააზრევს. ეს იმიტომ, რომ განსჯის უნარს

მოკლებულია. ჰგონია, თვალი მიხილიაო, მაგრამ ვერაფერს ხედავს. აი, ახლაც ერთი და ორი განდიდების მოყვარე, წამხდარი ორფეხისთვის მთელი ერი შეცდომას ჩადის და იმ ტოტს ხერხავენ, ადგილთან რომ სხედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონმა რაღაცას ფეხი წამოჰკრა, მაგრამ წაქცევისგან თავი შეიკავა, წელში გაიმართა და გადაწყვიტა, ძირს არ დაცემულიყო იმ რამდენიმეთა გულგასახარებლად, რომელნიც თავის ერს ამცარებენ და მშობლიურად მზრუნველ ადამიანს წამებით უკლავენ თვალწინ.

ნაკათალიკოსარმა ბრბოსკენ გაიხედა და ისევ ის გულზებავშვმიხუტებული ქალი შენიშნა, რომელიც ცრემლად იღვრებოდა. ეს ერთი ტიროდა საბრალობლად, რამდენიმეს დაღრეჯილი სახე ჰქონდა და სხვანი კი გაკვირვებით, დაცინვით ან სიამოვნების ღიმილით უყურებდნენ. ეწადა, ეყვირა ანტონს, ფუი, თქვენს სამართალსო, მაგრამ მუხლი მოეჭრა, თვალთ დაუბნელდა და ჩაიკრიფა. ცხენმა იგრძნო, რომ სულიერი მოეთრია და მაშინვე შეჩერდა.

* * *

როცა კახეთიდან დაბრუნებულმა ჯარმა ირაკლის ციხე გამოიარა, ქალაქი ერთმანეთს იყო ნაცემი.. ისევ კათალიკოსზე ლაპარაკობდნენ და გაკვირვებას ან გულისწყრომას გამოხატავდნენ.

— რა ამბავია? — ცხენი შეაჩერა ერეკლემ ურმის კოფოზე წამოსკუპებულ გაბურძგნულ ბერიკაცთან, რომელსაც გვერდით პატარა ბიჭი ეჯდა.

— კათალიკოსი შააჩვენეს, შვილო, და იმასა ყატიყუტობენ.

— როგორ თუ შეაჩვენეს?

— ძრიან შააჩვენეს. სირცხვილისაგან წაიქცა და, მგონია, მოკვდა კიდეც. გუშინწინ უნდა წავსულიყავი სოფელშია და აქ დავბანდდი მაგის გულისთვინა. ჰამო!..

თავზარდაცემულმა ერეკლემ კარგა ხანს ვერ მოახერხა ცხენის დაძვრა. მერე, როგორც იყო, ფეხები ოდნავ გაატოკა და სადავე შეარხია.

კახეთში რომ არ წასულიყო... რად მიატოვა სულიერი მეგობარი?.. თუ მართლა ანტონი აღარ არის, აღარც მამა უნდა და აღარც ქვეყანა. მივა, მოიხდის გვირგვინს, ძირს დაანარცხებს და ბერად

აღიკვეცება, როგორც ეს ერთხელ ანტონმა ჩაიდინა მისი გულისთვის. დიახ, მისი გულისთვის. ის რომ თელავის სასახლეში დახვედროდა, ანტონი გარეჯის უდაბნოში აღარ წავიდოდა. ანტონი თუ მართლა აღარ არის, მსმენელი აღარ ეყოლება ერეკლეს და სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს.

ერეკლეს ბაგე არ შეურხევია, ისე მივიდა სასახლეში, გამტკნარებული. აჯი ჩელებთან რომ მარცხი იწვნია, მაშინ არ დაბრუნებულა ასე განაწყენებული. მაშინ მხოლოდ განრისხებული იყო და ახლა კი სამარადისოდ გულდაწყვეტილია, თუ მართლა ცოცხალთა შორის აღარ არის ანტონ კათალიკოსი, ის მართლაც კეთილი კრავი და ერისთვის შეწირული ზვარაკი. აი, თურმე როგორ ფასდება კაცის ერთგულება. თავისი სიცოცხლის ნახევარი ერისთვის ზრუნვაში გაატარა და იგივე ერმა მადლობის ნაცვლად სული ამოჰხადა. ერმა თუ მამამისმა? ეგებ მხოლოდ თეიმურაზის ახირებაა და შაინ დასდო საუკუნო სასჯელი მზესავით ნათელი გონების ადამიანს?

ერეკლემ საომარი ტანსაცმელის გახდა ვერ მოახერხა და არც იცოდა, რა გაეკეთებინა, თეიმურაზ მეფე რომ მის ოთახში შემოვიდა:

— რა ჰქენი, როგორ გაარიგე კახეთის საქმეები?

ერეკლემ პირქუშად შეხედა. მერე თვალი აარიდა და ისე შეეკითხა:

— რა უყავ ანტონი?

— თავისთან არის.

ერეკლეს გულზე მოეშვა და ახლაღა შესძლო თორის გახდა.

— რა ვქნა, შვილო, მეც არ მემეტებოდა დასასჯელად, მაგრამ ხალხი ამბოხდებოდა, — ნერწყვი ჩაყლაპა თეიმურაზმა.

— განაჩენი როგორია?

— კათალიკოსობა ჩამოვყარეთ და თვრამეტ თვეს წირვა ავუკრძალეთ. სწორედ იმდენი, რამდენი ხანიც რწმენაშეცვლილი ყოფილა და არ ვიცოდით, — გვირგვინიანი თავი შეაბრუნა თეიმურაზმა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა, — აღარ შემიძლია, შვილო, აღარ შემიძლია გულის გაქვავება.

— გულს ნუ გაიქვავებდი და ნუ დასჯიდი!

— რომ არ დამესაჯა, არ შეიძლებოდა. კათალიკოსმა რომ რწმენა შეიცვალოს, ეს ხომ მთელი ერის დაღუპვას ნიშნავს. რიგით მღვდელს რაღა მოეთხოვება, მით უფრო — მრევლსა? — მერე ორი-

ოდე ნაბიჯით მიუახლოვდა და თითქმის უჩურჩულა, — საღამოს გადადი და ანუგეშე! ეგებ მოინანიოს და სასჯელი შევუმსუბუქოთ.

ახლოლა ამოისუნთქა ერეკლემ. თორის გახდა ველარ მოახერხა, ისე დაეშვა სკამზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როცა ანტონი გამომჯობინდა, მონანიების წიგნი დააწერინა ერეკლემ.

— რუსეთს თუ გამიშვებთ? — შესთხოვა ანტონმა.

— ყოველივეს აღგისრულებ, ოღონდ დაწერე.

— იცოდე, ერის სიკეთე მეწადა, როცა ამ დანაშაულს ჩავდიოდი.

— მჯერა, ჩემო საყვარელო ძმაო.

— თუ ერი ასე გამწირავდა, ვერ წარმომედგინა.

ერეკლეს გაახსენდა ათი-თორმეტი წლის წინათ დანით რომ მოკლეს ნიკოლოზ ხერხეულიძე, მაგრამ ის ღირსი იყო, ანტონი კი... მაინც რას წარმოადგენს ხალხი, თუ არა ერთი კაცის ნების აღმსრულებელს. რომც არ გეწადოს, მაინც მას გააკეთებ, რაც იმ ერთ კაცს სწადია. ეს იმიტომ, რომ მას სწადია. მაინც ვინა ხარ, ხალხო, რას წარმოადგენ? ერთი კაცის მონას? კარგია, თუ ეს ერთი კაცი ბრძენია, მაგრამ თუ რეგვენია, მაშინ რას იტყვი? შენთვის სულერთია, ვიღაცას უნდა ემსახურო და ემსახურები. უფრო დიდი სასჯელის ღირსი ხშირად სხვასა სჯის და ხალხი კი არხეინად უყურებს ამ დასჯას. ეს სიმხდალეა და მხდალი ხალხი კი ქვეყანას ვერაოდეს ააშენებს.

როცა ცოდვათა მონანიების წიგნი სააჯო კარზე განიხილეს, თეიმურაზ-ერეკლეს თავკაცობით ასეთი განჩინება დაიწერა:

„განჩინება კათალიკოზს ანტონის ზედა დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად, და კვალად შენდობად და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი.

წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 1755, თთუესა დეკემბერსა 16, ჩვენ, მეფემან ქართველთამან თეიმურაზ და ძემან ჩუენმან მეფემან კახთამან ირაკლიმ და ორთავე ამის სამეფოთა ეპისკოპოზმან მოგივლინენით არხიმანდრიტნი ორნი შენ, ანტონ კა-

თალიკოსსა ჩვენსა გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ.

ამისთვის, რომე გვესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოების მიმართ მიდრეკა შენი, და იღუწოდიცა შეძინებად მათდა იდუმალ ერისა.

მაშინ მოვლინებულთა ჩვენთა მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯმნოდ აღიარე წვალება ლათინთა, და საუწყებლად ჩვენდა გამოუცხადე.

და ვითარცა ესე ვჰსცანით, მყის დაგამხევით საყდრისგან შენისა, და შენთანა ერთხმანი სამღუდელონი დავსაჯენით და კაცნი უზიარებელ ვჰყუენით.

ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე ცნობად ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. და იწყე გოდებად და ტირილად და შევრდომად და თხოვნად შენდობისა; და უარჰყავ ბოროტი ცთომილება შენი; და განჰგმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა, რომელიცა შეგეწყნარა, და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არღარა მიდრეკად გმობათა მიმართ ლათინთასა.

ამასა ზედა ვითარ ჰშვენოდა პირველსა მახლობელობასა და ჩვენ მიერ სიყვარულსა შენსა, ფრიად საყუარელ ჩვენდა იქმენ; გარნა საყდარსავე აღსვლა შენი ცხოვრებასა შინა შენსა არღა რა იქნებოდა, რამეთუ ორთავე მეფეთა და კრებასა ფიცით ესრევ დაგვიმტკიცა.

ხოლო განგიწესეთ კანონად დაცადებად შეწირვისაგან უსისხლოსა მსხვერპლისა თთვეთა ათურვამეტთა და მერმელა შეწირვად სამღვდელოისა ლიტურღიისა, რამეთუ ესოდენნი თთუენი დაგვყვნეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა.

და კუალად შემდგომად თთუეთა განაცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უცხო ყოფა წვალებისაგან პაპის მოსავთა ლათინთასა და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიისა სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

და ფრიად წადიერ იქმენ ყოვლითურთ კაცთმსახურსა და ყოვლითურთ მართლმადიდებელსა იმპერიასა და რუსეთისასა წარსვლად, რომელიცა უმეტეს გულსავსე გვჰყოფდა მართლმადიდებლობასა შენსა.

ამას ზედა ყოველთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლენით კანონი, რომელნიცა განგვეწესნეს, რათა ღირს იქმნე უსი-

სხლოსა მსხერპლისა შეწირვად ყოვლად წმიდასა, საუფლოსა დღესა აღვსებისასა, რომელსა დღესა აღსდგა უფალ ჩუენი იესუ ქრისტე.

და ესრეთ პატივთა მღუდელთ-მთავრად მართლმადიდებლად და, სადაცა მიხვიდე, დაუყოვნებლად ხელყოფად საღმრთოსა ლიტურღიისა და ყოვლისა სამღუდელმთავროსა მოქმედებისა ვითარცა მღუდელთმთავარი, რამეთუ აქავე აღგისრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა, სამთავროსა ჩუენსა და მშვიდობით წარხველ.

ხოლო სამღუდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთხმად იყვნეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თვისნი და შენთანვე აღიარეს მართლმადიდებლობა; და მათცა შეეუნდევით მღუდელობად და მსახურებად საღმრთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა."

ბატონიშვილის საწუხარი

გიორგი ბატონიშვილზე დაწინდული ჩერქეზთ ბატონის ასული გარდაიცვალა და მის აღმზრდელად გაგზავნილი ამალა უკუიქცა. და მოხუცმა ქალბატონმა აზნაურ ქვლივიძის ქვრივი ნინო რუისში განამწესა მონაზვნად.

მას შემდეგ, რაც ანტონს კათალიკოსობის პატივი აჰყარეს, შეაჩვენეს და შემდეგ კი რუსეთს განამწესეს, ვახტანგ ბატონიშვილი სარეცელს მიეჯაჭვა. მეფე ერეკლეს ყოველი კუთხიდან მოჰყავდა დოსტაქარი თუ ექიმბაშები, მაგრამ მის დაავადებას ვერა გაუგეს რა. აი, სწორედ მესამედ ახლა ინატრა ევროპულად განსწავლული ექიმი.

ერეკლე როგორც კი თავისუფალ დროს ნახავდა, თავის პირმშოსთან შედიოდა, თავით უჯდებოდა და ცდილობდა, გაემხნევებინა. იგი გრძნობდა, რომ მას უფრო მეტად სევდა აწუხებდა, ვიდრე ტკივილი.

— ხმა გამეცი, შვილო, რად დუმხარ ასე და არას ეტყვი მამაშენს?! — ეჩიჩინებოდა ერეკლე, მაგრამ საუბარში ვერც ერთხელ ვერ ჩაითრია.

ერთხელ კი თავადვე დაიბარა მამა და როცა ერეკლე სიყვარულით ეახლა ასეთი შეკითხვა მისცა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მამა-ბატონო, თუ ღირს, კაცმა რომ ხალხისთვის თავი გაწიროს?

— ვინც ხალხისათვის თავს გაწირავს, ბედნიერია.

— ხალხი თუ არის ბედნიერი, ვისთვისაც კაცი თავსა სწირავს.

ამაზე არასოდეს დაფიქრებულა მეფე ერეკლე და, არც ახლა დაფიქრდა, ისე უპასუხა:

— ორმაგად ბედნიერია.

— არა. ხალხი უბედურია, ვისთვისაც თავსა სწირავენ.

— რატომ?

იმიტომ, რომ დაფასება არ იცის ამისა. ხშირად უღირსს უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ღირსეულს. განგებ კი არა, ბრმა არის და იმიტომ ჩადის.

— მაგაზე ბაასი შორს წაგვიყვანს, მაგრამ რატომ მეკითხები?

— რატომ შეაჩვენეს ძია ანტონი? იმიტომ, რომ ხალხისთვის იღწოდა?

— ტყუოდა და იმიტომ.

— ხალხთან ტყუოდა?

— არა. სარწმუნოებასთან.

— სარწმუნოება ხომ ხალხის კეთილდღეობას ემსახურება?

რა უნდა ეპასუხა?

— დიახ, ასეა.

— თუ ასეა, ძია ანტონმა ხომ კათოლიკობა იმად მიიღო, რომ ერი გადაერჩინა?

— ეს ხალხმა არ იცოდა.

— რატომ არ უთხარით?

— არ შეიძლებოდა. ეს უკვე ანტონის გამართლება გამოვიდოდა.

— რატომ არ უნდა გამართლებულიყო?

— თავადაც უღალატებდნენ სარწმუნოებას და ზოგი ალბათ მაჰმადის რჯულს მიიღებდა.

— ძია ანტონს ხომ ქრისტესთვის არ უღალატია?

— არა, მაგრამ მაინც ცოდვა ჩაიდინა. — ერეკლე ახლა თავისი მამის სიტყვებით პასუხობდა შვილს და არა — თავისი. მისი ნება რომ ყოფილიყო, ვახტანგს თავით ფეხამდე გადაჰკოცნიდა და ახლავე დააბრუნეთო ჩემი საყვარელი მამიდაშვილი, დაიძახებდა. მდევრებს დაადევნებდა, დააბრუნებდა და ისევ დიდებით შემოსავდა. ანტონი მოკვდავთა შორის ყველაზე გონიერია და ვის რა ხელი აქვს

მისი დასჯის ან შეწყალებისა? მაგრამ ზოგჯერ ასე ყოფილა: ყველაზე გონიერს ყველაზე მკაცრად სჯიან. არც ერთი უგუნური არ დასჯილა ამ ქვეყანაზე, — ყველაზე მკაცრად გონიერი კაცი ისჯება, შვილო. მის დანაშაულს დიდი ავალა აქვს. გონიერს ბევრი ბაძავს, უგუნურს — ცოტა.

— არა, პირიქით.

ერეკლემ ვერა უპასუხა რა ამ სიტყვაზე.

— მითხარი, — იდაყვს წამოეყრდნო ბატონიშვილი, — ყველა ისჯება, ვინც ჭეშმარიტად დასჯის ღირსია?

— ყველა რომ ისჯებოდეს, ქვეყნად საკაცეთი გადაშენდებოდა.

— გამოდის, რომ დაუსჯელად დადიან დასჯის ღირსნი?

— ზოვი, კი! — წამოდგა ერეკლე და ოთახში წინდაუკან გაიარა. დიდად განცვიფრდა, რაკი მისმა თხუთმეტიოდე წლის ჭაბუკმა ისეთი კითხვები დაუსვა, რომელზეც არა თუ პასუხის გაცემა შეეძლო, არც დაფიქრებულა არასოდეს, — დაუსჯელნი იმად დადიან, ღმერთს არ უყვარს დიდი სიმკაცრე.

— მე როგორც ვხედავ, ყველაზე დიდი დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან და ამაყად დააბიჯებენ.

— მითხარი და სასტიკად დავსჯი ყველას.

— ეგეც უმართებულობა იქნება, — ფიქრიანად გააგრძელა ბატონიშვილმა, — თუ ღმერთი ხალხს გააჩენს და ჩვენ მხოლოდ დავსჯით, დედამიწა ვერ იხეირებს. ერთ უმართებულობას მეორეს მივუმატებთ და სულს დავიმძიმებთ.

ერეკლეს თითქოს ხელ-ფეხი შეუკრა შვილის ნათქვამმა. უნდოდა, გაებრძოლა, მაგრამ ხელ-ფეხის გასაქნევი ასპარეზი აღარ ჰქონდა და მწარედ ჩაიცინა.

— დიდად გონიერი ხარ, ჩემო შვილო. კიდევ რას მიბრძანებ!

— ადამიანი იმიტომ გაუჩენია ღმერთს, რომ მხოლოდ იღვაწოს. მბრძანებელი ღმერთს არ მოუცია და არც გვეჭირვება. ომი და ხალხის მბრძანებელი ეშმაკის მოგონილია. ამიტომაც ეჯავრება ხალხს ერთიც და მეორეც.

ერეკლემ ვახტანგს შუბლზე დაადო ხელი და იგრძნო, რომ სიცხიანი იყო:

— დაწექი, შვილო, გაცივდები. მცირე სიცხეც გაქვს.

— მაგრამ არ იფიქრო, რომ სიცხე მაბოდებს, — ბალიშზე დადო თავი ბატონიშვილმა, — რაც ძია ანტონი შეაჩვენეს, მას შემდეგ ამას ვფიქრობ და დღეს გაგიმხილე. ხომ არ გაწყენინე?

— პირიქით: დიდად მასიამოვნე შენი საუბრით. სანამ ომებში დავდიოდი, შენ გიფიქრია და დაბრძენებულხარ. ოღონდ კარგად მყავდე და ჩემი ქვეყნის საქმეც კარგად იქნება.

— მაგრამ, ვაი, თუ ოდესმე ხალხმა დამსაჯოს?

— ხალხი ვერ დაგსჯის, მადლობას გეტყვის.

— მაშ, რატომ ძია ანტონს არ უთხრეს მადლობა?

— მაკმარე, შვილო, ამდენი ჩაძიება! ხალხს იგი მოღალატე ეგონა.

— რატომ ეგონა მოღალატე, როცა არ იყო?

— უმაღლესი კარის განაჩენს ენდნენ.

— აი, თურმე რა ყოფილა?! გამოდის, რომ ჩვენ ვართ დამნაშავე — უმაღლესი კარი. ჩვენ შეგვყავს შეცდომაში ამდენი ხალხი?

— ეგებ ასეც არის. ვსარგებლობთ იმით, რომ ხალხს განსჯა არ უყვარს და ხშირად ბრმად ენდობა თავისზე უფროსს. თუნდაც არ უყვარდეს, მაინც ტაშს უკრავს, რომ სული შეინარჩუნოს.

— ფუი მაგ ტაშის დამკვრელებს!

— დაწექი, შვილო, გაცივდები! — თავით დაუჯდა ერეკლე და მკლავების ამოყოფის ნება აღარ მისცა, — არ გინდა, გიამბო, როგორ ვაოტე ნურსალ ბეგი? — ნელ-ნელა დაამშვიდა ბატონიშვილი და ჩააძინა კიდეც.

როცა ერეკლე ავადმყოფის ოთახიდან გამოვიდა, თეიმურაზმა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიიდან დაბრუნებული პასუხი გადასცა, რომლითაც აუწყებდნენ, რომ მიტროპოლიტ ათანასე თბილელს საქართველოში დაბრუნება არ სურს და თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთო.

იულონი და ქართლელი ბიჭები

თელავის სასახლიდან ბიჭიანობის ხმა გავარდა. დარეჯან დედოფალს მეორე ვაჟი შეეძინა და იულონი დაარქვეს.

ერეკლე თბილისს იყო დაბანდებული და კახეთს ჩასვლა ვეღარ მოახერხა, ჯერ ვახტანგის მძიმე ავადმყოფობა უშლიდა ხელს, შემდეგ კი, როცა ბატონიშვილი ოდნავ მომჯობინდა, ზემო ქართლში ლეკთა ახალი მარბიელები გამოჩნდნენ და მამასთან ერთად ზემო ქართლში აიწია წეს-რიგის დასამყარებლად.

მართალია, ლეკთა რაზმები მალე გადარეკეს, მაგრამ უკან აღარ ჩამობრუნებულან. ალში ავიდნენ და იქიდან სოლომონ ძეფსიას გააბეს ურთიერთობა. სოლომონს დასავლეთ საქართველოდან თურქთა განდევნა დაესახა გეგმად და დახმარებას ითხოვდა. სამაგიეროდ განაპირა ქართლიდან ლეკთა განდევნაში დახმარებას პირდებოდა მამა-შვილს. მართალია, ამჯერად იოლად დაამარცხეს მათი რაზმები, მაგრამ მტრის მოხდომა ხშირი იყო და, როცა ერეკლე არახელსაყრელ ვითარებაში იქნებოდა ანდა კახეთს იქნებოდა წაბრძანებული, იმერთა ჯარი ლიხის მთიდან დაუყოვნებლად გადმოეშველებოდა ქართლელ ჯარს და უმსხვერპლოდ განდევნიდნენ მტრებს. ამით დასავლეთ საქართველოსაც შეუმცირდებოდა თავდასხმის საშიშროება და აღმოსავლეთშიც სიმშვიდე განმტკიცდებოდა.

ასეთ კავშირზე დიდი ხანია, ოცნებობდა ერეკლე და ამიტომაც შეაწია ხელი სოლომონს ლევან აბაშიძისა და რაჭის ერისთავის მოთოკვაში. დადიანმა კი, როგორც მოყვარემ, ერეკლეს თხოვნა ადვილად ირწმუნა და ერთგულებით შეემტკიცა სოლომონს.

რუსეთიდან გაწბილებით დაბრუნებული ელჩობისა და ანტონის განდევნით მიყენებული გულის ჭრილობის შემდეგ ერეკლესთვის ეს მოლაპარაკება იქცა მალამოდ, რომელიც უებარ წამლად მოეცხო და შვებით ამოისუნთქა.

ერეკლე კმაყოფილი იყო იმერთა ახალგაზრდა მეფის საქმიანობით და დახმარება აღუთქვა ყველგან და ყველაფერში. უკეთუ სოლომონი თურქთა განდევნას შეუდგებოდა, ერეკლე ჯარით დახმარებასაც შეჰპირდა და ისიც აღუთქვა, რომ არც ახალციხის მხრიდან და არც — ქართლ-კახეთიდან მტრის მაშველ ჯარსა და ლეკთა ბანდებს არ გაატარებდა და იმერთა ჯარს საშუალებას მისცემდა, გულდინჯი ბრძოლა ეწარმოებინა. და თუ ქუთაისიდან და შორაპნიდან თურქთა განდევნა მოხერხდებოდა, შემდგომ ერთობლივი ძალით შეუტევდნენ ახალციხის საფაშოს და იქიდან კი ეგებ სამხრეთ საქართველოც გაეთავისუფლებინათ საუკუნო მონობიდან.

გარიგების შემდეგ თეიმურაზი თბილისს დაბრუნდა ტახტის საპატრონოდ და ვახტანგ ბატონიშვილის მისახედავად, ერეკლემ კი ქართლის ჩამოვლა და ხალხისთვის სამართლის მიცემა ინება ადგილზევე. კასპში რომ ჩამოვიდა, გულმა უთხრა, ახალქალაქისაკენ გადაუხვიეო, რაკიღა თავად თარხნიშვილსა და მის ყმა ხანანაშვილს

შორის წლების წინათ ატეხილი დავა ჯერ ისევ გრძელდებოდა. მართალია, არა ერთგზის გააფრთხილა თარხნიშვილი, რომ ჩამ-ხსნოდა და უსამართლოდ ნუ ტანჯავდა თავის ყმას, მაგრამ თავადი თავისას არ იშლიდა და არზა არზაზე იგზავნებოდა თბილისის სასახლეში ხანანაშვილისგან.

ტყიდან ოთხი ყმაწვილი გამოვიდა. ოთხივეს გუდურები ეკიდათ. წინა ალბათ თორმეტი წლისა იქნებოდა, დანარჩენები კი — თითო წლით პატარები ერთიერთმანეთზე.

— ვაიმე, შვილო, ვაიმე, — გული დაეტანჯა ერეკლეს, რადგან ზამთრის სუსხი ჯერ ისევ საკმაოდ იკბინებოდა და ბავშვები ხელებს წამდაუწუმ იორთქლავდნენ, — ვისი ბიჭები ხართ? — ჰკითხა როცა მოუახლოვდნენ.

— ლილესი, — ყინჩად უპასუხა წინმომავალმა და სიამოვნებით შეჩერდა შეიარაღებულ ცხენოსნებთან, გუდურა ძირს დააგდო და ორივე ხელზე დაიორთქლა. მერე შავი, ბრიალა თვალებით უკან მიიხედა და ბიჭებს დაუჩქარა: — მოდით, ჰა, დროზე!

— მამაშენი სად არის? — გაახსენდა ერეკლეს ლილეცა და მისი ძილისგუდა ქმარიც, — რატომ გამოგიშვათ ამ სიცივეში?

— მოკვდა.

— რა დაემართა? — მოულოდნელი იყო ერეკლესთვის ასეთი პასუხი და გაახსენდა, ქალაქში რომ დაიბარა, მაგრამ არ ისურვა.

— ცხენმა ჩამააგდო და ნაშენობაში წისლი ჩასცა.

ერეკლემ დაინანა.

ამასობაში ბიჭებიც მოვიდნენ. მათაც გუდურები ძირს დაყარეს და ხელების დაორთქვლას მოჰყვნენ.

— უფრო გაგეყინებათ, შვილო, ერთურთზე გადაისვით, ეგ აჯობებს, — ურჩია ერეკლემ და გასამხნევებელი სიტყვები მოძებნა, — ცოტაც გაუძელით და უკვე ვაჟკაცები ხართ, მალე აღარაფერი გაგიჭირდებათ. დედა სად არის?

— აგე, ისიც მოდის, — დაანახვა უფროსმა ბიჭმა ტყიდან გამოსული დედაკაცი, რომელსაც აგრეთვე გუდურა ეკიდა, — გუდურები ჯერ ჩვენ შეგვიკრა და.

— რა გქვია?

— ტარიელი.

— მაგას?

— ამას — ავთანდილი, იმას — ფრიდონი, იმას კიდევ — ვეფხ-
ონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— კარგი სახელები გქვიათ, მე და ჩემმა ღმერთმა და არც უნდა შეარცხვინოთ!

დედაკაცი რომ მიუახლოვდათ, მოსაუბრე კაცი უმალ შეიცნო, გუდურა იქვე მიაგდო და თაყვანით მიესალმა, სახეატყარტყარებული.

— ბედნიერი ხარ, ჩემო დაო, ასეთი ვაჟკაცები რომ დაგიზრდია! — გაამხნევა ერეკლემ უზომოდ დარცხვენილი მანდილოსანი და გულში კი ტკივილი იგრძნო, ტუჩებზე აფარებული დახეთქილი ხელები და მიწით ჩაშავებული ფრჩხილები რომ დაუნახა. ეს ფრჩხილები რომ ქალბატონივით გაიპრიალოს, გრძელი თითები რომ ყოველდღე ვარდისწყალით დაიბანოს და სახეზე კი ნელსაცხებელი ესვას, ამ თვალებისა, ამ ტუჩებისა და ამ ყელ-ყურის პატრონი სწორედ რომ დედოფალს გააწბილებდა.

— ბედნიერი კი არა, ჩემზე უბედური არავინ არი, — კიდევ უფრო დაირცხვინა ლილემ და ერთიორად გალამაზდა, — ღმერთს ვევედრები, მომკალი-მეთქი, მაგრამ... იმ თავითვე უბედური დავბადებულვარ.

— ამ ბალღებს რაღას ეუბნები, ჩემო დაო, ან რა გაქვს საწუწუნო: ორიოდე წლის შემდეგ აი, იმ მთას მოგლეჯავენ და შენს ეზოზე გადმოიტანენ, თუკი ისურვებ. მანამდე კი... — ერეკლემ უბიდან ქისა ამოიღო, ცხენიდან გადმოიხარა და: — აიღე!

— არა, არა, ისედაც დიდად დავალებული ვარ, მეფეო, — ხელები გაასავსავა ლილემ და გუდურისკენ გაიწია.

— აიღე, ჩემო დაო, ნუ გერცხვინება, ოღონდაც ეს ბიჭები დამიზარდე კარგად!

— ვიშავდღევებ და დაგიზრდი, მეფეო, ქვრივ-ობოლი კი სხვაც ბევრია...

— სხვებსაც გავწვდები, ოღონდაც ეგ ბიჭები მდევარში გამომაყოლე, როცა შესძლებენ!

— შენი ჭირის სანაცვლო იყოს, მეფეო, — ატირდა დედაკაცი, რაკიღა ერეკლემ ხელზე ხელი წაავლო და ძალით ჩაუდო მუჭაში თბილისური თეთრით სავსე ქისა.

— ეგეც არ იყოს, მეოთხე ბიჭი მეყოლა და საბოძვრის გაცემა მეკუთვნის, — გაუღიმა ერეკლემ.

ლილეს ისე უცნაურად ესიამოვნა ერეკლეს ხელი, ყველაფერი დაავიწყდა წამით: სიცივეცა და გაჭირვებაც, ნაკაწრებიცა და დახეული ტანისამოსიც. და როცა მეფემ ცხენი შეაბრუნა, მარჯვენა ლილ ხელისგულზე უზომო სიმდიდრე და გულში უცნაური ტკივილი დაუტოვა, თავი ევლარ შეიკავა და ტირილი წასკდა.

ჩამჭრალი სხივი

თბილისის სასახლე მდუმარედ შეხვდა ერეკლეს ჩამობრძანებას. ვახტანგ ბატონიშვილი გარდაცვლილიყო. შავნაღვლიანობას ყვავილი დართოდა.

მდუმარედ დაჰყურებდა ერეკლე შვილის მცხედარს და ეჩვენებოდა, რომ მის ნაცვლად თვითონ იწვა, თეთრი ჩოხით.

ცოტაც რომ დასცალებოდა, ალგეთის არხს გახსნიდა. მტკვრისა და ალაზნის არხების მშენებლობაშიც რამდენი რამ გაკეთდა ამის გამოისობით. ახლა კი ყოველივე ისევ ერეკლეს დააწვა საზრუნავად. რომელი ერთი შესძლოს ერეკლემ? გარემტერს ეომოს თუ შინაური საქმეები აკეთოს? ანტონიც უდროოდ განდევნეს რუსეთს, თეიმურაზიც დაძაბუნდა, თანაც რუსეთში უპირებს დესპანად გაგზავნას. ერთგული კაცი კი... ასე ერთგული და ასე გონიერი... ვაიმე, შვილო!.. შენს მაგივრობას ვინ გამიწევს, შენს ადგილს ვინ დაიჭერს, ოცი ვაჟიც რომ ეყოლოს ბედკრულ მამაშენს?!. ჩემი შვილი კი არა, პაპაჩემი იყავი, უფრო გონიერი, უფრო მხნე და უფრო ჭკვიანი, — ფიქრობდა ერეკლე და ცრემლები გულში ელვრებოდა, — შენ ისეთ საფიქრალს ჩასწვდი, რასაც მოკვდავთა გონება ვერ ჩასწვდება. შენ რომ გეცოცხლა, ჩემს ქვეყანას დიდი ავალა მიეცემოდა. შენ ხომ ქართლ-კახეთის მომავალი მეფე და პატრონი იყავი! ნუთუ საქართველოს გადარჩენა არ უწერია და ამად დაგსაჯა უფალმა?!. მართალია, ხანდაზმული არა ვარ, მაგრამ იმდენი საყვარელი ადამიანი წარმტაცა ტიალმა წუთისოფელმა, რომ ვერც კი დავითვლი. შენ კი... შენ, შვილო, ეს რა მიყავი?!. გული ამომგლიჯე და როგორღა მართოს ქვეყანა უგულო კაცმა?!

იქნებ ანტონის შეჩვენებისთვის დაგვსაჯა უფალმა?! უმსგავსობა ჩაიდინაო? რა უმსგავსობა ჩაიდინა, ვახტანგივით ერთგულმა კრავმა, რომელიც საქართველოს რუდუნებით ეწირებოდა? ეგებ ერეკლე უმადურია კაცთა მიმართ? ეგებ უმადურობისა და სისას-

ტიკის გამო დასაჯა ღმერთმა? ეგებ სისასტიკეც ისევე ისჯება, რო-
გორც სიცრუე, სიძუნწე, სიხარბე? დიახ, მაგრამ ქვეყნის პატრონს
ხომ სისასტიკის იქით არ ძალუძს საქვეყნო სიკეთე?! საყოველთაო
სიკეთე ერთეულ ურჩ ადამიანთა სისასტიკით დათრგუნვას — საჭი-
როებს. ვისაც ხალხის სიკეთე არად უღირს, სისასტიკით უნდა მოარ-
ჯულო ანდა მოსპო კიდეც.

თეიმურაზმა იგრძნო, ერეკლე რომ მწარე საფიქრალს იყო ღა
ჯიმშერს უჩურჩულა, კუბოს მოარიდეთო, მაგრამ სიტყვის თქმა
ვერვინ შეჰკადრა ერეკლეს და ის კი გახევებული განაგრძობდა გუ-
ლის ტირილს:

მაგრამ ანტონი? სისასტიკის მსხვერპლნი ხშირად სიკეთის
მსურველნიც ხდებიან თურმე. ეს იმიტომ, რომ ქვეყნის მეთაურნი
ვერ ხედავენ მის კეთილშობილებას. რატომ ვერ ხედავენ? ნუთუ
ბეცნი არიან? ეგებ სიბეცეც უნდა ისჯებოდეს ღვთისგან? მაგრამ
ანტონი ხომ შეგნებულად დაისაჯა მხლოდ იმიტომ, რომ ხალხს
მოწიწება გაცხოველებოდა თავისი პირველი სარწმუნოებისადმი?
ეგეც არ იყოს, ეს სასჯელი ხომ თეიმურაზს უფრო ეკუთვნის, ვიდ-
რე ერეკლეს, რაკიღა უშუალოდ თეიმურაზმა დასაჯა ანტონი. ეგებ
უფალმაც სწორედ თეიმურაზი დასაჯა და არა — ერეკლე. ვახტან-
გი ხომ სწორედ თეიმურაზმა დაადგინა ქართლ-კახეთის მეფეთა
მემკვიდრედ. ახლა ვინ გასწევს მის მაგივრობას? გიორგი? ალბათ,
გიორგი. დიახ, გიორგი.

მოულოდნელად უზომო სიბრალული იგრძნო გიორგის მიმართ,
ნახვა მოესურვა და, ჯიმშერის პირველივე დაჩურჩულებაზე, გავი-
დეთ მეფეო, კუბო მიატოვა და გარეთ გავიდა. დერეფანი გაიარეს
და გიორგის ოთახში მარტოდ შევიდა.

მარტოდ დარჩენილი გიორგი „ქართლის ცხოვრებას" კითხუ-
ლობდა. მამის დანახვაზე სწრაფად წამოდგა და შესაგებებლად გა-
მართა. მამის თვალებზე ცრემლი რომ დაინახა, შეებრალა და გულ-
ზე მიადო თავი. ერეკლეს უჩვეულოდ დიდი ეჩვენა და ათი წლის
ბავშვის ასაკთან შეუფერებელი. ღმერთო, შენ მიანიჭე ჯანის სი-
მრთელე და სულის მხნეობა! თუმცა ყოველივე უხვად გააჩნიაო.
აღმზრდელები არწმუნებენ. ათი წლის ბალღს რომ რამდენიმე ენა
ეცოდინება და „სახარებასა" და „ქართლის ცხოვრებას" დამოუკი-
დებლად წაიკითხავს, სხვა რა უნდა მოითხოვო მისგან?

— ნუ სტირი, მამა!

— ვახტანგი მოგვიკვდა, შვილო, და როგორ არ ვიტირო.

— ვახტანგი მარტოდენ მიიცვალა და მალე მისი სული ზეცას ამაღლდება.

— საიდან იცი? — დიდად გაუკვირდა ერეკლეს და ამედ ჩაეკითხა.

— ჩემს ძმას ცოდვები არ ჰქონდა და სამოთხეში წავა. სამოთხე კი ცაშია.

ერეკლემ შუბლზე აკოცა გიორგის. უზომოდ ესიამოვნათ ეს კოცნა შვილსაც და მამასაც. გიორგი გამხნევდა და ერეკლეს კი გული აუჩუყდა, რაკიღა ვახტანგის სიკვდილს სხვა ჭირისუფალიც ჰყოლია დარდის მოწილედ.

— შენი იმედი აქვს მამაშენს, — მკერდზე მიიკრა ერეკლემ და მეტი სიმწარითა თუ ნეტარებით თვალები დახუჭა. რატომღაც ლევანი გაახსენდა, რომელიც უკვე დარბის და ტიკტიკებს, პატარა იულონი კი ჯერ არც უნახავს და ალბათ არც უყვარს. ცოტა გვიან რომ შობილიყო, ალბათ ვახტანგს დაარქმევდა და გულის ცეცხლს ამით გაინელებდა. ვახტანგი... ვახტანგი... ვახტანგი...

ერეკლე ტახტზე ჩამოჯდა, გიორგიც გვერდით მოისვა და თავზე აკოცა.

შეკრთა გიორგი. თავზე არავის უკოცნია და არც ხელი დაუდია, რაც წამოიზარდა. მამის ხელი კი ჯერ ისევ თავზე ჰქონდა და ჩამოღებას არც აპირებდა.

გიორგიმ ხელი გააპარა, მამის ხელს წაავლო, ჩამოაცურა და გრძნობით აკოცა.

ერეკლემ კუთხეში დაკიდულ ჯვარცმულ ქრისტეს ხატს მზერა მიაპყრო და გარინდდა. დედა თამარი, შვილი ვახტანგი, მეუღლე ანა... მათი სულები თუ მარად ერეკლესთან იქნებიან, აღარ იდარდებს, მაგრამ ვაი, რომ...

— ოთახში ჯიმშერი შემოვიდა:

— კახეთიდან გეახლნენ, მეფეო.

— ერეკლემ იფიქრა, დაკრძალვაზე ჩამოსულანო და წარბიც არ შეუხრია. ჯიმშერმა კი ამოიოხრა და მცირე ხნის შემდეგ განაგრძო:

— ავარიელნი კვლავ აშლილან საქართველოში შემოსასვლელად.

ერეკლემ ხელი გააშვებინა გიორგის. წამოდგა და მძიმე ნაბიჯით სარკმელს მიუახლოვდა.

გარეთ თოვდა. ფთილისოდენა ფანტელები რბილად ეშვებოდნენ მაღალი ციდან და ყორედ ეგებოდნენ დედამიწაზე. თუმცა თოვლი ვალი იწურებოდა, ზამთარი კვლავაც ბობოქრობდა. მტერს კი თოვლისა და ქარ-წვიმისა სულაც არ ეშინია.

გაგზავნის... უთუოდ გაგზავნის მამას რუსეთში. ეგებ რუსთა მეფეს შეასმინოს რამე...

გაუგზავნელი ბარათი

თეიმურაზმა ქართლი შემოიარა და ერეკლემ — კახეთი. ხალხი განიკითხეს და სამართალი ქმნეს. სარდლებთან ითათბირეს და თადარიგი მისცეს, უკეთუ მტერი შემოესეოდა. შემდეგ ერეკლემ დარეჯანი და ბავშვები, გომბორი გადაიარა და, არაგვის ციხეს აწვია ზაფხულის გასატარებლად.

თეიმურაზიც აქ ამოვიდა.

ახალი ის იყო, სოლომონ მეფე ციხეებიდან თურქთა განდევნას აპირებდა და დახმარებას საჭიროებდა. მეფეებს შეეძლოთ, ქართლ-კახეთში ჯარი შეეკრიბათ, წასძღოლოდნენ და ციხეებში ამოეხოცათ თურქები, მაგრამ გონივრულად არ ჩათვალეს, რაკი ამით ირანთან ერთად თურქებსაც აიმხედრებდნენ. ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ ახალციხიდან რაჭა-სურამის გადასასვლელებიდან გზები შეეკრათ, მაშველი ჯარები არ გაეშვათ და იმერთა ჯარისთვის სამოქმედოდ ხელ-ფეხი გაეხსნათ. ციხეში მოქცეული თურქები ვერას გააწყობდნენ, უკეთუ გარედან მაშველი ჯარი და სურსათი არ მიუვიდოდათ, ცოტა ხანს გაიბრძოლებდნენ და ადვილად დანებდებოდნენ.

გზების შეკვრა რევაზ სარდალს, ივანე მუხრანბატონის შვილს და დიმიტრი ამილახვარს დაევალა. დიმიტრის, მართალია, დიდხანს ორჭოფულად უყურებდა მამა-შვილი, რაკიღა თვითონაც ორჭოფულ პოლიტიკას ედგა „კახთ ბატონების“ მიმართ, მაგრამ, რაკიღა უკანასკნელ დროს დაიმოყვრეს და სახლთუხუცესობის სახელოც ხელახლა დაუბრუნეს, იფიქრეს, შემოვიმტკიცეთო. რევაზ ამილახვარსაც ებრძანა ამ საქმეში ჩარევა.

— კიდევ რა არის ახალი? — ჰკითხა ერეკლემ, როცა მამა-შვი-

ლი ანანურის ციხის ჩრდილოეთის კოშკის ბანზე ავიდნენ და არაგვის ხეობას გადაჰხედეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ფრიად საინტერესო კაცი გავიცანი, გამოსადეგი.

— ვინ არის? — გულგრილად იკითხა ერეკლემ, რაკიღა თეიმურაზი ხშირად იტყოდა ხოლმე კაცზე გამოსადეგიაო, მაგრამ, შემდეგ, როცა იმსჯელებდა და აწონ-დაწონიდა, თვითონვე განაცხადებდა, არა, არ გამოგვადგებაო.

— რუსეთის მოხელეა, კაპიტანი... თუმცა ქართველია. თუმასოვი.

— ისპაჰანში მითხრეს, გველი, რომელიც ქურქს ხშირად იცვლის, დიდად შხამიანიაო.

— შხამისა ვერა შევატყე რა. უფრო გულნატკენი კაცია, — ქვის სკამზე ჩამოჯდა თეიმურაზი და ერეკლეს თვალებში მიაჩერდა. უჩვეულოდ დაღლილად გამოიყურებოდა თეიმურაზი და თითქმის ერთბაშად მობერებულიყო კიდეც. ნუთუ ვახტანგ ბატონიშვილის სიკვდილმა და ანტონის შეჩვენებამ იმოქმედა მასზეც? თუ მაღალი კაბეების ამოვლამ დაღალა? დაღლა კი ხანდაზმულ კაცს ერთბაშად აბერებს. იქნებ ვერც შესძლოს რუსეთს გამგზავრება და ერეკლე მის ელჩობას ტყუილად იმედეულობს?

— გულნატკენი რად არის?

— ადამიანთა გაუტანლობისგან, — ფიქრიანად განაგრძო თეიმურაზმა, — საწყალ ბაქარზე მელაპარაკა. მერმე კიდევ — მის შვილებზე. საქართველოში ჩამოსვლა ეწადათო.

— ვინ დაუშალათ? ჩვენ ხომ ვეუბნეთ კიდეც?

— თავად რუსეთს არ სწადიაო მათი დაბრუნება.

— მერედა, ჩვენ ხომ არაფერ შუაში ვართ?

— რუსთა ხელმწიფემ კახთ ბატონთა საამებლად ქმნაო ეს ყოველივე.

— გამოდის, რომ ჩვენ გვიჭერს მხარს რუსთა ხელმწიფე?

თეიმურაზმა არა უპასუხა რა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები მილულა.

ერეკლეს ის დღე გაახსენდა, დედამისი აბაშიძის ასულზე დაქორწილებას რომ აშურებდა და გული ანაზდად ცუდად შეექმნა.

— თუ ასეა, რატომ ლაშქარი არ გამომიგზავნა?

არც ამაზე უპასუხა თეიმურაზმა, თუმცაღა თვალები გაახილა და ერთბაშად გამოფხიზლდა.

— იცი, იმ ლაშქრით რას ვიქმოდი? — გაიარ-გამოიარა ერეკლემ, — ქართლ-კახეთის ჯარსაც მათებურად გავწვრთნიდი, წარვუძღვებოდი და სპარსეთში შევიჭრებოდი. შაჰის ტახტზე ჩემს ხან სურველ კაცს დავაბრძანებდი და მერმე კი ლეკებს მოვუვანდი მაჯაგანში. ისეთ დღეს დავმართებდი, რომ ცალი თვალითაც აღარ გამოეხედათ საქართველოსკენ. მერმე ლიხთიმერეთს გადავიდოდი, სოლომონი გონიერი კაცია, აზრს გაგვიგებდა, იმერეთს ფეხზე დააყენებდა, თურქეთს შევუტევდით და არა თუ აჭარა, შავშეთ-კლარჯეთი და ჭან-ლაზეთიც ჩვენი შეიქმნებოდა ძველებურად.

— იმასაც ამბობენო, — განაგრძო თეიმურაზმა, — კახელები მზვაეობენო ქართლელებზე.

— ვინ ამბობსო?

— რუსეთში მყოფი ქართველები ამბობენო.

— იქაურებს რომ საქართველოზე გული შესტკიოდეთ, სადესპანოდ წასულ ათანასე თბილელს არ გადაიბირებდნენ.

— ათანასემ არ უღალატაო საქართველოს. დღედაღამ ქართველთა სასიკეთოდ რულუნებსო, წიგნებს ბეჭდავს და ხელისუფლებასაც ხშირად აწუხებსო საქართველოს შემწეობისთვის. მეც გული მტკივაო ჩემს ქვეყანაზე. როგორც დავბრუნდები, მის აღმატებულებას ვეახლები და ყოველივეს შევთხოვ, რასაც დამავალებო. გამოსადეგი კაცი ჩანს.

— არ ვიცნობ, მაგრამ რატომღაც არ მეჭაშნიკება ის ვიღაც თუმანოვი. კიდევ რა არის ახალი?

— ჰო, მართლა, ვახტანგის ბალიშქვეშ წერილი უპოვიათ.

— რა წერილია?

— ეგ იმას სწერს... — ნიკაპი არაგვის დინების საწინააღმდეგოდ გაიშვირა თეიმურაზმა და ერეკლეც მაშინვე მიხვდა, ვისზეც ეუბნებოდა.

— რატომ არ წამომიღე?

— წამოგიღე. ძირს არის.

— ახლავე მინდა წავიკითხო, — კიბეს მიაშურა ერეკლემ.

— ჯიმშერმა იცის. ცოტა ხანს ვიჯდები ჰაერზე.

— ივჯექი, — ერეკლე კიბეზე დაეშვა.

მცირე ხნის შემდეგ კი ციხის ეზოში ქვის მაგიდასთან თავწახრილი ერეკლე ცრემლიანი თვალებით კითხულობდა შვილის წერილს:

„წმინდას პატრიარქს ანტონს

ქ. ყოვლად უწმინდესს და ყოვლად უსამღვდელოესს და ყოვლად უნეტარესს, მაღალ მეუფეს და უფალთ უფალს და უუზენაესთად ქერობინებლისა მბაძესა სიწმინდითა და მზის შარავანდედისამებრ მადლითა სიწმიდისა, სხივთა მკრთოლვარედ განმფენსა, და ზენათა მადლთა მრჩობლად მიმთვალსა, ყოვლად წარწევნით ზედ მიწევნილსა, და ზეგარდმო ღვთივ ცხებულსა, და ყოვლად უაღრესს.

მათი მრჩობლკეცად შვილებრივისა სიყვარულის მრჩობლად მთვალველი, ბატონიშვილი ვახტანგ, მამას პატიოსანს, ბიძას სანატრელს, მათდა სიყვარულით თან შეკრული ფრიად და სულით მათგან თვისებით განუჭრელი და მათთან მგიები და მათის ბრწყინვალეს პირის მხილველი და იატაკგართხმით მთაყვანი, და წმინდა საუფლოს მარჯვენეს შემმთხვევი და მამბორებელი, მათი სიმაღლის დაშორვებისათვის დიდად უზომოდ შეწუხებული, მათს მრჩობლ ცხოვრებას გამოვიწვლილავ და, ოდეს თქვენს სიმაღლეს სწადოდეს, იმას ვეეედრები თქვენს მოწყალებას და საღთოს სიყვარულს, რომ არ დამივიწყოთ და თითოს ქართას სიყვარულს შენათხზს მიწარმოებდეთ. უფალო ჩემო, თქვენის მადლისგან რა კვებულ იქნეს ქალაქი და დაბანი ჩვენნი, ესე თქვენც გემცნებათ, ვითარმედ რა ვიქმნენით და რად ქმნად ვართ თქვენდა ამაოებისა სიტყვა-მლექსველნი არღარა სადა იპოვებიან, ამისა შემდგომად ავთრათისა თქვენისა ხილვასა ფრიად მხიარულ ვიქმენით და ესეცა გენაკადულად, ვითარმედ სულიერის მამობისაგან განგშორდიო. ვესავ ზედ გარდმო ნაწარმოებთა მადლთა თქვენთა, რომ არ ხმებულ მყოთ სულიერთა და ხორციელთა შემიტკბოთ და არ განმიტეოთ და არცა დამაგდოთ გულითადსა თქვენსა მასმინოთ და მახილვოთ თქვენთაგან მაგათ სიყვარულისაგან შენათზნი სიტყვანი. სიყვარულით თქვენ წმინდათაგან განუშორებელი გულწყლული ესე ძე მეფისა ვახტანგ".

ვახტანგის ხელწერა რომ არ ეცნო, ანტონის დაწერილი ეგონებოდა ერეკლეს, იმდენად მისი სიტყვებითა და გამოთქმებით იყო სავსე. ანტონი წვრთნიდა ვახტანგს და ყოველივე ისე აუთვისებია, როგორც მის დიდ მასწავლებელს სჩვეოდა: ენაც და სტილიც, სიტყვაც და გამოთქმაც.

ერეკლემ ღრმად ამოიოხრა და მინაწერის კითხვა განაგრძო:

„თინათინ მრავალნი სიწმინდისა თქვენისა შესაკრებნი მხურვალებანი განფინა და წმიდის მარჯვენისად ამბორება იყმია. თქვენს გამდელს მოკითხვა მოახსენა ჩემმა გამდელმა და ჩვენთა შიმუნვარ-

თა თაყვანი და წმიდას მარჯვენეს ამბორება. ჩემი გამდელი უსრ-
მოდ ცრემლეოდა თქვენი წასვლისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის ჩვენისა მეითარმა, ჩემის ძმის და ჩემმა ალალმეტა და
სრულად ყულახჩებმა თაყვანი და საუფლოს მარჯვენეს ამბორება
მოგახსენესთ".

ერეკლეს გაახსენდა, ანტონთან გასაგზავნი წერილი უბით რომ
დაჰქონდა და გაგზავნა ვერ მოეხერხებინა. იფიქრა, ორივეს ერთად
გავგზავნი და არც ვაუწყებო ვახტანგის გარდაცვალებას. დაე, ცო-
ცხალი ეგონოს, სანამ სხვისგან არ შეიტყობს და სამძიმარს არ შე-
მომითვლისო. მერე უბიდან თავისი დაწერილი წერილი ამოიღო
და გადაიკითხა:

„მეფის ძეო პატრიარქო წმინდავო ანტონ, ეს მოგსენდეთ:

ქ. მე შენს ჭირს შევეყრები ჩემი ცოდვით და უბედობით, ჩვენ,
შენთან თვისთა, ძმათა და საწყსოსაგან დაშორვებული, შენის კა-
დევ დანახვის და შენის განუყოფლის ტკბილი ძმობის სადაღა ვი-
ყო, ჩემის გულის ხელმწიფედ საესავო.

ჩემს ვინლა მაღირსებს სატრფიალოს და ჩემის გონების მიუწ-
თომლად სასურველს წვერს და ჩემს დამმარხველად სახალისოს
წმიდას მარჯვენას კადნიერებით გაკოცებ. რა წახველ და სიახლო-
ვისაგან მიგვეფარე, ღვთისგან ჩემს სიცოცხლეში მრჩობლად შენი
საფარველი ნუ მოგვაკლოს, მას აქეთ მეცა სიცოცხლისა და გონე-
ბისა სიხარული გაამრმებია. დამიჯერე, ახლოს ვერ მოგახსენებდი
ამას, მაგრამ ახლა მოგახსენებ: მე უშენოდ ვერ ვიქნები, თვარემ
ბოლოს გამოჩნდება. მე უშენოდ არა მიამება რა. სწორებით ვერ-
რა მართლა ვიხალისებ და, თუ სასიხარულო მჭირს, თუ უწინ შენ
არა ხარ, როგორ იქნება ჩემთვის სრული სიხარული. შენ საქართ-
ველოს ეკლესიის მარილი და მეფეების გვირგვინი გაგვეცალე და,
რადგან ეს დაგვემართა, არცარა საქები რამე დაგვრჩებოდა და თუ
საქები კი აღარ დაგვრჩომია რა, არც მრთელი სიხარული გვექნე-
ბა. ღმერთმან მრავალს წელს გაცოცხლოს და მეც შენის წმიდის
ლოცვით ამდენი მოწყალება მიბოძოს, რომ უშენოდ არ მოგკლას.
შენი ამ ქვეყნიდან დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა
აქვს, თვარემ ღვთისაგან ასეთი იმედი მაქვს, რომ საცა იქნები, შენი
პატივი, თუ მოინდომებ, არ დაგაკლდება, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ.

ყიზლარიდან თქვენი ორი წერილი მომივიდა, ჩემი ორი წიგნი
რომ მოგრთმეოდათ, იმისი პასუხი. იმდენი დღეგრძელობა გვქონდეს

და კარგად ყოფნა, რამდენის გზით ჩემმა გულმა ამ წიგნებით იხარა. ბევრჯერ ეჭვში ჩავვარდი, ვაი, თუ ჩემზე, ამ ავს და იმის გამოუყენებელს ერეკლეზე, ანტონს ის გული აღარ ჰქონდეს-მეფქი, და ახლა ეჭვის ქარების ქროლვა ველარას გააწყობს. თქვენი ცოტა რამ შეუძლებლობა ეწერა წიგნებში და, ღვთის შეწევნით, უკეთესობაცა. შეუძლებლობისათვის მწუხარება მმართებდა და კარგად ბრძანებისათვის სიხარული და მიამა თქვენი უკეთ ბრძანება.

ყიზლარს ქალაქში ზოგი რამ თავშესაქცევი და სანახავები გინახავთ. ვის უნდა მაგგვარების ხედვა და ვინ ხედავს... ვაი, რა ბევრს უცხო შესაქცევებსა ნახავთ და მე ამ განსაცდელიანს ქვეყანაში რაებსა ვხედავ და რაებს გავიგონებ ხოლმე. რა წაბრძანებულხართ, ბატონიშვილო, მას უკან ხუთჯერ და ექვსჯერ ლეკზე გამამარჯვებია და ბევრნიც იხოცებიან, მაგრამ კიდევ როგორც მოგეხსენებათ, კიდევ ჩვენზედ ხელს არ იღებენ. და თუ ვინმე ჩვენი კაცი მომკვდარა, შენი წმინდა ლოცვა ღმერთთან იმათი მეოხი იყოს. და უნდავ, რომ მოწყალებისათვის ენდრონიკაშვილი მამუკა გებრალებოდეს. ნაფარაელში გაგვემარჯვა, ორასამდინ მეტი ლეკი მოკვდა და იქ მოკლეს. შენი ჭირის სანაცვლო იყოს. სხვა აქაური ამბები რა მოგახსენო. როგორც მოგეხსენებათ, მშვიდობა მტრისგან დიაღ მოკლედ გასწევს ხოლმე...“

ერეკლეს გაახსენდა, რომ წერილი დაუმთავრებელი იყო, რაკიღა ლეკებს გაედევნა ამ წერილის წერისას. წამოდგა, თავის სამყოფ კოშკში შევიდა და იქ ეწადა წერილის დასრულება, მაგრამ იქ უკვე ახალი წერილი დახვდა. სიმონ მღვდელმა მოგართვათ, ქარავანი მუხრანს დგას და პასუხს თუ ინებებთ, წაიღებენო.

ერეკლემ გულდასმით გადაიკითხა ანტონის წერილი, მაგრამ წერილის დამთავრება მაინც ვერ შესძლო, ისე მოითენთა.

მეორე დღეს კი თავისი ამალით არაგვის ხეობა ჩაიარა და, რაკი ქარავანს გზად გადაეყარა, სახელდახელოდ აქ დაასრულა წიგნი:

„მე აქ ანანურს ამოველ, თქვენი რძალი ამოვიყვანე და ერთი თქვენი წიგნი სიმონ მღვდელმა აქ მომიტანა და ქარავანი საჩქაროდ მოდიოდა და ეს წიგნი აქ, მუხრანამდინ დავწერე და მიახლებია.

დიონისეს წიგნისა რომ გებრძანათ, მგონი, შენმა მზემ და მადლმაცა, რომ ნახევარი მეტი იყოს დაწერილი და ღვთით მალე გაახლებ, თუ სიცოცხლე არის.

გეკედრები და გეხვეწები, თუ რამ შემძლე ვიყო შენი სამსახურისთვის, არ დამზოგო. მე, შენი ძმა, მეფე კახეთისა ირაკლი“

მერე გაახსენდა ერეკლეს და არშიაზე მიაწერა:

„ერთს ამას მოგახსენებ, ღმერთი გადღეგრძელებს, ნეტარხსენებული მეფის ბაქარის ჯაჭვი რომ აქვს ჩემს ბიძაშვილებს, ღმერთმა თავისის მოწყალებით რომ მშვიდობით იქ მიგიყვანოსთ, რუსეთში ხომ ეგრე დიდად გამოსაყენებელი არ არის და ვერც ეწყობიან და თუ იქნებოდეს ის ჯაჭვი მიბოძონ ჩემმა რძალმა და ჩემმა ძმებმაც და რომელიც ჩემგან სამსახური ეპრიანებოდესთ, მეც მიმსახურონ.

ნიკოლოზ მღვდელი გორს გახლდათ და იმიტომ წიგნი ვერ გაახლათ.

ნოემბრის კვ ჩღნვ.“

ამბავი ჯაშარატისა

დაღონებულ-დაძმარებულნი გაჰყურებდნენ გრძელ მიწას გიორგი და იოსები. სეტყვას ყანა ისე გაენადგურებინა, თავთავი აღარსად ჩანდა. რაც გიგლა გაიტაცეს, ასეთი უხეირო წელიწადი არ დასდგომიათ. ჯერ იყო და გაუთავებელმა გვალვამ არ აქნევინა ტანი ნათესებს, შემდეგ მოულოდნელად სეტყვამ დაჰკრა და, რაც იყო, ისიც გაანადგურა. სეტყვამ ზოლებად იცის გადავლაო და ამ დასაწველმა კი არნადივით მოუსვა და ყველაფერი წალეკა.

წალეკვის გახსენებაზე ისევ ლეკები გაახსენდა იოსებს. რაც გიგლა გაიტაცეს და მისი კვალის ძებნამ ნიკაც იმსხვერპლა, სალეკეთი შესძულდა. ღმერთმა დასწყევლოს ქართველთა მტრები, რომლებიც კალიებივით ესევიან და აღარ იციან, რითი აწყინონ.

— წავიდეთ, იოსებ! — ამოიოხრა გიორგიმ.

„სადღა წავიდეთ? — გაიფიქრა იოსებმა, მაიტა, აექ ორმო გავთხაროთ, ჩავეყარნეთ და ვინმე ღვთისნიერი მიწას მოგვაყრისო. წავიდეს რა, გიგლა დახვდება? დახუნძლულ ვენახს დაინახავს თუ ტაროდაგრეხილ სიმინდს? რაღა დარჩენია ამ ქვეყანაზე?

ამას წინათ ერეკლეს ჩამოუვლია და სამართალი მიუცია ხალხისთვის. იოსები რომ გადაჰყროდა სადმე, საჩივარს მოახსენებდა, მაგრამ იმ ერთმა კაცმა რა გააწყოს ამოდენა ქვეყანაზე? ორგული მეტი ჰყავს, ვიდრე ერთგული და რით რას გახდება? ამბობენ, კახე-

ლი თავადები ისევ თავადობას მოითხოვენ და მოურავობას არ ჯერ-
დებიანო. ქართლში უფრო უკულმართული ამბებიაო. ტახტის
თმევას უპირებენო თეიმურაზს. იმასაც ამბობენ, ერეკლე
ძლიერია, ბუზსაც ვერ აუფრენენო, მაგრამ მტრობა რომ სწადიათ,
ეგეც საკმარისია უკულმართობისთვის. რუსეთში რომ ქართველები
არიან, ჩვენი სიკეთე კი არა, მტრობა უნდათო. მართალიც იქნება:
კარგი ქვა კედელს არ გამოსძვრება. კაცი, რომელიც თავის ხალხს
გაექცევა, სხვა ერსაც უღალატებს.

— წავიდეთ, იოსებ, ტყუილადღა დაჰყურებ! — კვლავ ამოიოხრა
გიორგიმ.

თუ მიწას არა, სხვა რას უყუროს მხვნელ-მთესველმა კაცმა. ამ-
ბობენ, ვახტანგ ბატონიშვილს რომ დასცლოდა, არხებს საშველი
დაადგებოდაო. იმასაც ამბობენ, ერეკლეს რომ ჩამოუვლია, უთქვამს,
ამ საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდაო. მოვიცლი და მე თვითონ ვითა-
ვებო. რუსეთში ელჩობის გაგზავნას აპირებს და მერე მოიცლისო.
ნეტავი რუსი მაინც თუ უშველის ჩვენს გაჭირვებას? არა მგონია.
სხვისა ჭირი — ღობეს ჩხირიო.

საიდანღაც ყვირილი მოისმა. იოსებმა ფერდობისკენ გაიხედა
მღვრიე თვალებით და ნათლად გაიგონა:

— გვიშველეთ, ხალხო, ნახირი გაგვტაცეს!

— გესმის, იოსებ?! — შესძახა გიორგიმ.

— ჩქარა ვუშველოთ!

— თოფები რო არა გვაქვს?

იოსებმა ხანჯალზე დაირტყა ხელი და ცხენებისკენ გაიქცა.
უბელო ცხენს მოეკვლო და ხანჯლით ვაეკიდა. მიჰყვა გიორ-
გიც.

ჯაგნარიან ფერდობს შეუყვნენ ძმები. შემდეგ ბუჩქნარი დაი-
წყო. წინ იოსები მიაჭენებდა და უკანიდან გიორგი მიჰყვებოდა.
შემდეგ დაწყვილდნენ. მერე და მერე კი ხან ერთი ასწრებდა და
ხან — მეორე.

მენახირის ყვირილი აღარ ისმოდა და ძმები მიხვდნენ, რომ
საქონელს უკვე ლეკი ჰყავდა დაპატრონებული და სალეკო ბილი-
კით მიერეკებოდნენ.

აღმართზე ნარბენ ცხენებს ქოშინი აუვარდათ და ერთბაშად
გაიოფლნენ. იოსებს ოდნავაც არ უგრძნია ცხენის სიბრალული,
ქუსლებით ფერდებზე ცემით მიერეკებოდა და ცდილობდა, წამოს-

წეოდა ყაჩაღებს, სანამ ქედს გადასცილდებოდნენ და ღრმა ტყეში შეასწრებდნენ.

— აგე, სოსიკო სადა გდია! — დაანახვა გიორგიმ მკვდარი შეჯ ნახირე და იოსებს ბრაზისაგან ცეცხლი წაეკიდა.

დამრეც, კლაკნილ ბილიკზე ბორძიკით მიხტოდნენ აქოშინებული ცხენები და სიფიცხისაგან ზოგჯერ ჩაიჩოქებდნენ ხოლმე.

სულ ახლოს ტყვიამ გაიწუწუნა.

„ეგ ერთი, — გაიფიქრა იოსებმა, — თუ იღბალი გვაქვს, გადავრჩებით, თუ არადა, თუნდა მკვდარი და თუნდა შინმოუსვლელიო."

მეორე ტყვიამ უფრო ახლოს გაუწუილა და ყურის წივილი დაუტოვა იოსებს.

— დაგვხოცავენ, ეგ მამაძაღლები! — გაწყრა გიორგი და შეეცადა, ძმისთვის გადაესწრო.

— წინ ნუ მიდგები! — გააფრთხილა იოსებმა და ისევ ამოჰკრა ქუსლი დაღლილ-გაოფლილ ცხენს, რომელიც უკვე კურდღლის თავგანწირვით გარბოდა.

ახლა თავსზემოთ გაიწუწუნა ტყვიამ.

— ყველას თოფები ჰქონიათ, მაგ მშობელძაღლებს! — შეუკურთხა იოსებმა.

— ყველას არ ექნება, მაგრამ... — გიორგიმ წინ გადაუსწრო და ბილიკზე მიუშვა ცხენი.

— ნუ გამასწარი! — ამის თქმა მოასწრო იოსებმა და გიორგი უნაგირზე გადმოეკიდა.

— ძმაო! — ცხენიდან ჩამოხტა იოსები და ძმას მიეშველა, ბუჩქთან გაჩერებული და დამნაშავესავით ატუზული ცხენიდან ძირს ჩამოიყვანა და ფრთხილად დააწვინა.

— აღარ გაჰყვე, ძმაო, მოგკლავენ, — დაილუღლუღა გიორგიმ.

— მაშ, შენი სისხლი ვაპატიო? დედას ვუტირებ, თუ კაცი ვარ!

— ნუ წახვალ, ძმაო! — კვლავ შეემუდარა გიორგი.

— ტკივილს გაუძელი და ახლავე დავბრუნდები. ჭრილობაზე ხელი მიიჭირე, რომ სისხლი შეგიჩერდეს! — ხელხანჯლიანი იოსები ფეხით გაიქცა. ბარდებს ეფარებოდა და ისე გარბოდა.

ლეკები დარწმუნდნენ, რომ ორივენი ცხენებიდან ჩამოყარეს და არხეინად გარეკეს ნახირი.

— ამასობაში იოსებმა მოკლეებზე გადარბენით გზა გადაუჭრათ და სანამ ტყეში შეასწრებდნენ, წინ გადაუდგათ:

— ჩამოდით ცხენებიდან, დედას გიტირებთ!

ხუთი ლეკიდან არც ერთს აღარ აღმოაჩნდა დატენილი ფოფი, მაგრამ მაინც არ შედრკნენ ერთი კაცის დანახვაზე და წინმავალ ყაჩაღს, რომელსაც ეტყობოდა, ბელადი იყო, გაეცინა კიდეც უცნაურად დაქანცული კაცის გულოვნებაზე. ცხენს ქუსლი ამოჰკრა, ზედ მიაგდო, მაგრამ ხმლის დაქნევის ნაცვლად თვითონ გადმოექანა ცხენიდან და იოსების წინ გაიშხლართა. იოსები მეორე ყაჩაღს მიუხტა და ხანჯლიან მკლავში სამღარიანი ხანჯალი ისეთი სიძლიერით დაჰკრა, მკლავიანად ჩამოაგდებინა სატევარი.

— დედას გიტირებთ! — გაეკიდა გაქცეულ ლეკებს, მაგრამ გვერდში უცნაური ძგერება იგრძნო და იქვე ჩაიკრიფა. შემობრუნდა და დაინახა, რომ მათი მეზობელი ჯაშარატი გადარბოდა კუზელ-კუზელა, — ვაი, ჩვენ თავსა! — ამოიგმინა და ფერდში იტაცა ხელი. მერე დატრიალდა ყველაფერი: ნახირიცა და გაქცეული ლეკებიც. ჯაშარატიც იმათთან აღმოჩნდა და კიდევ სხვა ნაცნობი სახეები დაინახა ტყის სიღრმეში. დაინახა თუ მოეჩვენა. ეს კი იყო, ერთ ადგილზე არაფერი ჩერდებოდა და ყველაფერი ერთურთში ირეოდა. ფერდში კი ცეცხლი ეკიდებოდა და ხელების სმით ვეღარას შველოდა, — ვაიმე, ძმაო! — უკანასკნელად აღმოხდა იოსებს და მიწაზე დაეცა, მობლუნძული.

შეხვედრა თუ განშორება

— წუხელის სიზმარში ერეკლემ ხორცზე მიმიპატიჟა, — როცა თვალები გაახილა, იქაურობა უღონოდ მოათვალიერა და მარტოდენ რევაზი შენიშნა, ძლივსგასაგონად დაიწყო გივი ამილახვარმა, — უმი იყო და ყელში ამომდიოდა. არ მსურდა, მეჭამა, მაგრამ ყოველ წუთს მეპატიჟებოდა. თავადაც სჭამდა ის დალოცვილიშვილი და მეც მაჭმევდა.

რევაზს გაუკვირდა, „დალოცვილიშვილის“ ნაცვლად „ძაღლისშვილი“ რომ არა თქვა მამამისმა.

— რას უნდა ნიშნავდეს, მამა-ბატონო?

— ალბათ, ქართლში ისევ ლეკნი შემოვლენ და ბრძოლა მოგვიხდება.

გაღეღილ მკერდზე რევაზმა შენიშნა, რომ ერთ ალაგას, ყელს

ქვემოთ რაღაც შეგუნდავებულიყო. ყელთან კი ძარღვები ისე გამობერვოდა, ცერზე მსხვილები დახდომოდა.

— ო, რამდენი უმი ხორცი ვჭამე, ყელში ამომდის, — ნერწყვის ჩაყლაპვა უჭირდა ამილახვარს და სულს ძლივს ითქვამდა, — კაცი რომ ცოცხლად იტანჯება, ეგ ყოფილა ძნელი, თორემ სიკვდილი დასვენებაა.

— ავს ხომ არას გვიპირებს, უმ ხორცს რომ გაჭმევდა? — იაზრა რევაზმა, რაკი მიხვდა, რომ მამამ ტყუილად ახსნა წელან, ლეკებთან ომი მოგვიხდებაო.

— არა, შვილო, ჩემი ბრალია ყოველივე.

— რა არის შენი ბრალი?

— ბევრი ავი ზრახვა გამივლია და იმიტომ ვწვალობ. ყოფილა წუთი, ხმლით მიტევებაც განმიზრახავს და ამიტომ მსჯის უფალი. ვისაც ხალხი უყვარს, ღმერთიც მის მხარეს ყოფილა თურმე.

— ეგ ვინ გითხრა? — იწყინა რევაზმა, რაკი თავის გულში ხალხის სიყვარულს ოდნავაც ვერ გრძნობდა.

— ახლა ვიგრძენ, მაგრამ უკვე გვიანია. ღმერთი ნიადაგ გვერდით ეყოლება ერეკლეს და მტრის მახვილი ვერას ავნებს.

— რატომ გგონია?

— არკი მგონია, ასე იქნება... ღალატად ნუ შეადგები, უერთგულკაცე!

— როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი, მამა-ბატონო, — შეებრალა რევაზს.

უფრო გაუძნელდა გივი ამილახვარს ნერწყვის ჩაყლაპვა. იწვალა. როგორც იყო, ჩაყლაპა და ძლივს ამოღერღა:

— ოთარი დამანახვე!

რევაზი ფეხაკრეფით მივიდა კართან. იქ ვიღაცას რაღაც უჩურჩულა და ისევ თავთით დაუჯდა მამას.

მცირე ხნის შემდეგ ჩოხა-ახალუხითა და ქამარ-ხანჯლით დამშვენებული მხარბეჭიანი ჭაბუკი შემოვიდა.

— მოდი, შვილო, პაპას დაენახვე! — სთხოვა რევაზმა.

ოთარი ავადმყოფის სასთუმალს მიუახლოვდა და ფიქრიანი თვალებით მიაჩერდა პაპას. გივიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ნერწყვის ჩაყლაპვა გაუჭირდა და რამდენჯერმე გაევსო და დაეფუკა ყელის ძარღვები. ოთარმა უცქირა მის ტანჯვას და, ჰოი, საკვირველებავ, სიცილი წასკდა.

გამშრალი და სახტად დარჩენილი რევაზი უაზროდ მიაჩერდა მამას.

— ნუ გწყინს, შვილო, მაგისი ბრალი არ არის, — ამოთქვა, რა გორც იყო.

— სხვა შვილიშვილები ხომ არ მოგიყვანო? — შვილის უმსგავს საქციელზე ბოდიშის მოხდა სცადა რევაზმა.

— არ გინდა! მაგან თუ ეგ გააკეთა, ვახუშტი აბაშიძის ნაშიერისა-გან უარესს ველი... ეს ვინ მოდიან?

რევაზმა გაჯახუნებული კარისკენ გაიხედა, მაგრამ მდუმარე-ბის მეტი ვერა შენიშნა რა.

— ჰო, შანშე მოდის!.. აქ რა გინდა, შე სულკატიანო?!. მამა-ჩემს წინ ნუ ელობები, მამაჩემი გამოატარე!.. აა, ვახუშტი ბატონიც მობრძანდება!.. სამტროდ მოდიხარ თუ სამოყვროდ, ახლა მაინც გამაგებინე?!. შენმა ასულმა მემკვიდრენი გამიმრავლა, მაგრამ არ მიხარია. ვაი, ჩემს თავსა!.. ვაი, ჩემს თავსა!..

შემკრთალი რევაზი ფეხზე წამოდგა, აწრიალდა და გარეთ გასვ-ლა დააპირა, მაგრამ გივი ამილახვარმა წამოიწია, ხელის ფათურს მოუმატა და თითქოს კარისკენ წაიწია:

— მანდ იყავი, მამი, მანდ იყავი!.. მე წამოვალ! — სარეცელზე წამოიწია, თითქმის ნახევრად წამოიმართა, მაგრამ პირქვე დაეცა და ერთბაშად დადუმდა.

— მიშველეთ! — უნებურად აღმოხდა რევაზს და მალე ოთახი ხალხით აივსო.

შემკრთალი რევაზი სარკმელთან იდგა და, ეჩვენებოდა, რომ სპარსეთიდან დაბრუნებული მამის ვეება ლანდი დატორტმანებდა ოთახში. ეს უთავბოლოდ შემოსული ხალხი კი მის ლანდს კუწავ-და, ამკრთალებდა და ძალას ართმევდა.

— ბევრი არ გვინდა, დაგვტოვეთ ზოგმა! — თქვა რევაზმა და პირველი ისევ თვითონ მიუახლოვდა მამის გვამს.

— თუ გაერთიანებაა, გაერთიანებაც ისევ ქართლიდან უნდა და-იწყოს, — მოესმა რევაზს მამის გასისხლიანებული ტუჩებიდან, თუმ-ცა ტუჩები გაქვავებულიყო და აღარ ირხეოდა, — ერეკლე მეფე და თეიმურაზი კი კახეთიდან იწყებენ...

ნეტავ რად უნდოდა მამას გაერთიანებული საქართველო? არ სჯობია, ყველას თავისი კუთხე ჰქონდეს და მისთვის იზრუნოს? თუ ზოგჯერ ლეკთა შემოყვანა დაგჭირდება, სამაგიეროდ მამულ-

ში ვერვინ შეგეცილება. ფუი, ეშმაკს, რამ გაახსენა ახლა ეს ყველივე?!

— სიხლი მოსწმინდეთ და მიჰხედეთ მიცვალებულს! — ბრძანა რევაზმა და გარეთ გავიდა. სჯობია, აბაშიძის ასული უკან გაუშვას და ცხრამუხა ისევ დაისაკუთროს! მამამ რაც ურჩია? ყველაფერს არეულად ლაპარაკობდა. ალბათ მოახლოებულმა სიკვდილმა აუბნია გონება.

ეჯვის ჯიუბი

თანაბარი ნაბიჯით მიჰყავდათ ცხენები. მარჯვნივ ქაიხოსრო წერეთელი მიჰყვებოდა, მარცხნივ — ქაიხოსრო აგიაშვილი, აქეთიქიდან — მცველნი და უკან — რაზმელები.

კმაყოფილი მიდიოდა მეფე სოლომონი ხრესილთან გამართული ბრძოლის შედეგით. კმაყოფილი იყო თეიმურაზ მეფისა და ერეკლეს ტაქტიკით. თურქებს ისე მოაჩვენეს, თითქოსდა ხელიც არ გაუნძრევიათ ქართლ-კახელებს იმერთა საკეთილდღეოდ, სინამდვილეში კი ყველა ხვრელი ამოკეტეს, საიდანაც თურქნი მაშველს მოელოდნენ და სოლომონის ლაშქარს საშუალება მისცეს, გულსრულად ჰკვეთებოდა მტრის გარნიზონებს, რომლებიც ხრესილს დაპატრონებოდნენ. სამწუხარო ის იყო, რომ ამ გარნიზონებში უმეტესობა გამაჰმადიანებული ქართველობა იყო და, სატევრისა თუ ტყვიის კვეთებისას „ვაი, ნენაც“ გაისმოდა. როდემდე უნდა ხოცონ ქართველებმა ქართველები? როდემდე მუსროს ერთმა კუთხემ — მეორე და მეორემ — მესამე? რაღა გამაჰმადიანებული და რაღა ქრისტიანი. კაცი თუ კაცად არ ვარგა, რჯული ვერ უშველის. სოლომონმა რომ თურქთა სარდალი ხმალდახმალ ჩამოაგდო, სარდლის ადგილი ლევან აბაშიძემ დაიკავა. განა აბაშიძე ან რაჭის ერისთავი ქრისტიანი ქართველები არ არიან? ღმერთმა დასწყევლოს მათი სახსენებელი. მართალია, ყოველი კაცი თავის ღირს სასჯელს მიიღებს ღვთისგან, მაგრამ ერთი კაცისგან პირის შერცხვენა მთელ ერს ჩირქსა სცხებს. ამგვარი არაკაცები საქმეს იქამდე მიიყვანენ, რომ ქართველობას საძრახის სათქმელად გადააქცევენ.

თეიმურაზმაც სწორედ ეს აზრი გაუზიარა სოლომონს, ამას წინათ ზემო ქართლიდან ლეკთა გადალალვაში რომ ეხმარებოდა. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელ ბაგრატიონებს იმერეთში ყოველთვის აუგად ახსენებდნენ, მაგრამ თეიმურაზის ახლოგაცნობით დარწმუნდა, რომ საქვეყნო საქმეები სწორედ ისინი ყოფილან. სულ ორიოდე სიტყვა უთხრა თეიმურაზმა, მეტი კი არა, მაგრამ იმ ორ სიტყვაში ერის კეთილდღეობა და მისთვის თავგანწირვის სურვილი იხატებოდა. ყველა ქართველს რომ ერთი პირი ჰქონდეს, გარეშე მტერი ვერას დაგვაკლებსო. ამაზე სოლომონსაც უფიქრია, მაგრამ რომელ ყველა ქართველზე ილაპარაკოს, როცა სამეგრელო ცალკე ეწევა, გურია — ცალკე, რაჭა-ლეჩხუმსაც საითღაც გაურბის თვალი და თვით იმერეთშიც ერთი აზრი კი არა, რამდენი დიდებულიც არის, იმდენი აზრია, უბრალო ხალხზე რომ არა ითქვას რა. და მარტო აქ კი არა, ლიხსაქეთ საქართველოშიც უარესი ყოფილა. მართალია, ქართლ-კახეთი შორიდან ერთიან ქვეყნად მოჩანს, მაგრამ იმდენი ურთიერთმტრული აზრი ყოფილა, რამდენ კაცსაც ფიქრი არ ეზარება საჭროდ და საერაგოდ. ამას წინათ ქართლელი თავადი პაატა აბაშიძე ეახლა სოლომონს და ერთგულება აღუთქვა. მზად იყო, ომშიც გაჰყოლოდა, თუ ამას მეფე სოლომონი მოისურვებდა, აღმოსავლეთში კი ერეკლეს ლაშქარს რამდენჯერმე დასხლტომია და განსაცდელის ჟამს უკუმდგარა. თუნდაც მაშინ, სოლომონი რომ თეიმურაზს გადაეშველა, არც აბაშიძენი იყვნენ სადმე და არც — ამილახვარნი. თუმცა ერთნიც და მეორენიც მკვიდრნი ნათესავნი არიან სამეფო კარისა.

— ვითომ დაგვეხმარნენ რამეს თეიმურაზი და ერეკლე? — იკითხა აგიაშვილმა და მეფის საამებლად ჩაიღიმა.

— დიდად დაგვეხმარნენ, — კუშტად უპასუხა სოლომონმა, — ორ მოჩხუბარ კაცში რომ ერთ-ერთს ხელები დაუჭირო და მეორეს უთხრა, ურტყი, რამდენიც გაგიხარდებაო, როგორი საქმეა?

— თუ ასეა, კი, ბატონო, მარა...

— რა მარა? — ვეღარ მოითმინა სოლომონმა აგიაშვილის დუმილი.

— ერეკლეზე თქვეს, ერთობ ეშმაკი კაციაო. ვინცხას რაცხას არ გაუკეთებს, თუ გამორჩენას არ მოელისო.

— რომელ გამორჩენაზე მომახსენებს ჩემი ერთგული აგიაშვილი? — სოლომონმა მკერდი აგიაშვილისკენ შეაბრუნა და ვიწროდგაზრდილი ულვაშის წვერები გადაიგრიხა.

— განჯას დაეხმარა და დაიპყროო, ერევანს დაეხმარა და დაი-

პყროო, ქართლს დაეხმარა და დაიპყროო... იმერეთს დაეხმარება და...

სოლომონმა ცხენი შეაჩერა და ღრმა, მსხვილქუთუფოიანი თვალებით მთებისკენ გაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ არ უფიქრია სოლომონს ამაზე. ალბათ არც ეცალა დაფიქრებისთვის. თავადის ნათქვამი, მართალია, არ მოეწონა, მაგრამ რაღაც ენიშნა. მაინც არ დაფიქრებულა, ცხენს ქუსლი წაუთათუნა და მთებთან თვალმოუშორებლად განაგრძო საუბარი:

— ქართლზე დაპყრობას ვერ იტყვიან, განჯა-ერევნის გადარჩენას კი ჯარი შეახოცეს და ხარკიც აღარ დაედოთ?

— აკი პაატა აბაშიძემ მოგვახსენა, ძალით დაგვიპყრესო ქართლელები?

ეგების მართლაც ძალით დაიპყრეს და სოლომონს არ უნდა ირწმუნოს. ეგების სოლომონი თავისი ხელით გაკეთებულ მარყუჟში ჰყოფს თავს, როცა ის ქართლ-კახეთთან დამეგობრებას ცდილობს? ეგების სჯობია, დაბრუნდეს და... დაე, ელოდნენ ერეკლე და თეიმურაზი გორსა თუ ხელთუბანს. როგორც თვითონ დარწმუნდა, თეიმურაზი მეტად კეთილი და სათნო კაცია, ურიგობას თითქოს არ იკისრებს, მაგრამ ერეკლეზე მოგვახსენებენ, მის სურვილს წინ რაც აღუდგება, არაფერს ინდობსო. შანშე ერისთავს დაშრეტილი თვალები ხელახლა ამოშანთაო, მაჰმადიან ხანებს კისერზე ქვები დაჰკიდა და მდინარეში ჩაყარაო, გივი ამილახვრის სიკვდილში ბრალი მიუძღვისო. ის მეფის ტოლი კაცი ისე დამარხეს, ვერც კი შევატყეთ. აბდულა ბეგიც მაგან მოაკვლევინაო... ბაქარის მკვლელობაშიც წილი აქვსო, ანტონ კათალიკოსი შეაგინა და განდევნაო... და კიდევ ვინ მოსთვლის, რაც მაგას ბოროტება ჩაუდენია? ეგებ სოლომონიც უნდა მიიტყუოს და თვალი ამოჰხადოს, ეს ვაგლახით ნახოხნიკევნაკოწიწევი იმერეთი კი... არა, ეს არ მოხდება!.. მეფე თეიმურაზი იმგვარი ზრუნვითა და სიყვარულით უცქეროდა, მაგის ნებას არ მისცემს. თანაც ამბობენ, მამის უზომოდ მოყვარული და ერთგულიაო. ასე რომ არ ყოფილიყო, აქამდე ხელახლა გაითიშებოდაო ქართლ-კახეთი.

— მეფისა და ხალხის ორგულნი დაპყრობას იტყვიან, ერთგულნი კი — მფარველობას, — აუღელვებლად უპასუხა სოლომონმა.

— კაი მფარველობაა, ჩემმა მზემ, ყველგან კახელი მოურავები დასხესო.

— მეც ყველგან ჩემი ერთგული კაცები დავსხი, რად გავიწყ-

დება, აგიაშვილო, — გაიღიმა სოლომონმა და ფართო შუბლი ისე გაუნათდა, თითქოს მზემ მიაშუქაო.

აგიაშვილსაც გაეღიმა და პასუხად ცხენი ააჩქარა მოკლე ფეიქრებების შემოკვრით, რათა წინგასულ სოლომონს წამოსწეოდა.

— ჩემს ადგილზე რომელი მეფეც უნდა ყოფილიყო, უკან გაბრუნდებოდა ამ შეგონების შემდეგ, — თქვა სოლომონმა მცირე ხნის მერე, — მე კი აროდეს არ გადავალ ჩემი სიტყვიდან. გადავალ ქართლში, ძმური და მამაშვილური პირობით შევეკვრები ერეკლე-თეიმურაზს და გავახსენებ, რომ ერთი სისხლისა და ხორცისანი ვართ, როგორც ეს თეიმურაზმაც ბრძანა... მათ მტერს მტრად ვექცევი და მოყვარეს კი სიკეთით შევეკვრები. ასე უნდა ვიმოქმედოთ, თუ საქართველოს გადარჩენა გვწადია.

— უფალმა გისმინოს მეფეო! — დასტური მისცა წერეთელმა.

— თუ ქართლ-კახეთის მეფეებსაც ასე სწადია? — წერეთლის სათქმელი დაამთავრა აგიაშვილმა.

— ასე სწადიათ. თეიმურაზის ნათქვამს ვიმეორებ. წინ დიდი გეგმებია, თქვენ რომ იცოდეთ.

— გეგმა კარგია, მარა მათი ჯარის იმერეთში გადმოსვლა მაინც საშიშია, — ამოიოხრა წერეთელმა.

— საშიშია და არც მოვითხოვ. ისინი გარედან დამეხმარონ და მეტი არ მინდა. მე კი საითაც დამიძახებენ, იქ ვეახლები.

თვითონვე შეკრთა სოლომონი თავის ნათქვამზე და ეჭვის ჭიები აფუთფუთდნენ. მართალია, ერთგული ბევრი ჰყავს, თვით მისი ცოლისძმა კაცია დადიანი სიცოცხლეს გასწირავს, სიძე რომ განსაცდელში ნახოს, მაგრამ ერეკლეც ხომ დადიანთა სიძეა და იმერეთშიც მრავლად მოეძევებიან ერთგულები. ეგების ყველამ ერეკლეს დაუჭიროს მხარი და იმერეთი დააპყრობინონ?.. ხომ არ აჯობებს, უკან გაბრუნდეს?.. არა!.. არა!.. არა კი არა, ვერ გაბრუნდება. ხრესილთან მარცხის შემდეგ თურქეთის ხონთქარი განრისხებულია და იმერეთს მოსწვავს და მოაოხრებს. იმერეთის გადარჩენა მხოლოდ ერეკლე-თეიმურაზის შემწეობას შეუძლია და მეორე გზა არ მოიძებნება. მეორე გზა უკვე რუსეთია, მაგრამ, დიდი ხანია, ამ გზას ტკეპნიან ქართლელ-კახელები და დღემდე არაფერი გამოვიდა რა. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღი გადმოიყვანა, ერეკლე-თეიმურაზს რუსის ჯარის შემოყვანა სწადია, მანამდე კი ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს. სჯობია, ქართლ-კახეთი დაეპა-

ტრონოს იმერთა ქვეყანას, ვიდრე თურქებმა იბატონონ და მეჩეთებით დაიპყრონ.

— ამბობენ, თურქის ბატონობა გვირჩევნიაო ქართლ-კახთა ბატონობასო, — თითქოს მიუხვდა ნაფიქრს აგიაშვილი.

— მაგას ისინი მოგვახსენებენ, რომლებიც ტყვეებს ველარ ჰყიდიან სტამბოლის ბაზარში. ჩამოსახრჩობია ასეთი კაცი! — ხმას აუწია სოლომონმა.

— მართალი ბრძანებაა, მეფეო, — მაშინვე დაეთანხმა აგიაშვილი.

— თუ მართალი ბრძანებაა, რად მიკიჟინებ, ეჭვით უყურეო აღმოსავლეთ საქართველოს?

— არ გიკიჟინებ. ჩემს თავს ვამოწმებ, — გაუღიმა აგიაშვილმა, — მაინტერესებს, მეფეც ჩემფრად ფიქრობს თუ უფრო სხვაფრადთქვა.

— მერედა, რა გაარკვიე მაგ შემოწმებით? — გაეღიმა სოლომონსაც.

— შენ უკეთ ფიქრობ მეფეო. აწი, ვინც რას მკითხავს, მაგ ლექსით ვუპასუხებ.

— ამ ლექსით უპასუხე. ორგული მეტია ჩვენს გარშემო, ვიდრე — ერთგული. თუ ორგულის თათბირს ვერწმუნებით, ვინც ერთგული გვყავს, მასაც დავკარგავთ.

— აწი მე ვიცი.

ცხენები კი თანაბარი ნაბიჯით, დაბარებულივით მოდიოდნენ ქართლისკენ.

კაცი კაცითა

ერეკლეს წერილმა ძალიან გაახარა ანტონი. ვახტანგ ბატონიშვილის წერილმა კი სულის მხნეობა ჩაჰბერა და გამოაცოცხლა. თუმცა ქუჩის ბრბოს ხმაური და შეურაცხმყოფელი სიტყვები სმენიდან არ ეკარგებოდა, მაინც ასატანი გახდა ყოველივე, რაკიღა საქართველოდან გასვლის შემდეგ ურვა და ჭმუნვა ეზრდებოდა და მომავალი მისი ყოფა წარმოუდგენლად ეხატებოდა. თითქოს მისი ბედის უკულმართობის დასამტკიცებლად, ჯერ იყო და ყიზლარში შეაჩერეს, ვითომცდა კარანტინიაო, დიდხანს აყურყუტეს და მოთმინების ფიალა აღუვსეს. მერე, როცა ყიზლარის კომენდანტ გენერალ-მაი-

ორ ფონ ფრაუენდოფს ათასი ჭირი მოსჭამა და თხოვნით თავი შეაბეზრა, როგორც იყო, ინება მისი მაინც საეჭვო ამალის რუსეთისკენ გაშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ისევ უვალ გზებზე ხეტიალი და ათასი დაბრკოლება და რის ვაივაგლახით მოსკოვს ჩაღწევა. აქ ოდნავი დასვენებისა და სულის მოთქმის შემდეგ, პეტერბურგს გამგზავრება და ალექსანდრე ბაქარის ძის დახმარებით სინოდში მიღება.

არც იმ ახსნა-განმარტების დაწერა იყო ადვილი, რომელიც სინოდმა მოსთხოვა საქართველოდან გამოძევების ნამდვილი მიზეზის დასადგენად. ეს ახსნა განმარტება ისე უნდა დაეწერა ანტონს, რომ არც თავისი საყვარელი მეფეები მოეხსენიებინა ურიგოდ და არც თავი დაედანაშაულებინა. ანტონის ნიჭმა ესეც შესძლო და ბოლოს კი იძულებული გახდა, ღამდაბლებულიყო და რუსეთის სასულიერო და საერო ხელისუფლებისათვის საფიცარი აღთქმა დაეწერა, რათა ამ აღთქმის შემდეგ ყოველივე ეპატიებინათ და ვლადიმირის ეპარქიის არქიეპისკოპოსად დაემტკიცებინათ, რითაც ალალი და უსაყვედურო ლუკმა პურის შოვნის საშუალება მიეცემოდა. წერილებმა კი ისეთი მალამო მოსცხეს ანტონის გულს, რომ მუდმივი კვნესა თითქმის შეუნელა.

პასუხის დაბრუნება კარგა ხანს ვერ მოახერხა, რაკიღა სიხარულით გაბრუებული სამადლიერო სიტყვებს ვერ პოულობდა. მართალია, მისმა ძმა ალექსანდრემ, ეგორ ამილახვარმა და ანა დედოფალმა ეს წერილები სხვარიგად ახსნეს და მათი გულწრფელობისადმი უნდობლობის შხამი ჩააწვეთეს, მაგრამ მის სულსა და ხორცში ერეკლეს სიყვარული ისე ღრმად გამჯდარიყო, არ შეეძლო მისი ალერსისთვის ანგარიში არ გაეწია. მით უფრო ვახტანგის სიტყვები არ ერწმუნა.

ეს სანეტარო წერილები გულის ჯიბით დაჰქონდა ანტონს, წამდაუწუმ კითხულობდა და ავონდებოდა საქართველოში გატარებული ტანჯვით აღსავსე, მაგრამ ბედნიერი დღეები.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შესძლო პასუხის მიწერა:

> „უბრწყინვალესსა და კეთილმსახურსა მეფესა კახეთისა და ძესა ქართველთა მეფისა ირაკლის, ძმასა ყოვლად საყუარელსა ჩემსა

მე, შენსა ანტონის, შენსა საკუთარსა ძმასა, შენისა ხედვისა ფასად არარავე არსთაგანი ქმნილი მოსაგებლად ჩემდა შემერაცხა,

ჰოი, საყუარელო, მაგრამ ვინათგან უკეთილობითა ჩემთა მიმართ კნინლა წარვსწმიდე ძეობისა მადლი სულითი შენისა ხედვისგანცა ვიექსორიე. ხოლო თუ საცნოდ ენებოს ვისმე, თუ რომელი არსებანი ქვეყნად უმჯობეს მიჩნდა თავისათვის ჩემისა, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, ესე აღმოიკითხენ და ამით სცანან, ვითარმედ გარდა მესამისა ცისა, არა რაიმე შეესწორებოდა ჩემთვის შენსა ახლოს ყოფასა. გარდა ხედვისა მის მოძღურისა შენისა ქრისტესა. აქა ხედვა არარავე განსაშვებლად მიჩნდა ხედვისა შენისა და გარდა წმიდათა ლოცვათა და კითხვისა საღმთოთა და წმიდათა წერილთასა არა რაიმე ზრახუა ვამსგავსი შენ თანა ზრახვასა.

ვინა სიტყვაცა კაცისა ვისმე საკვირველისა მეწამების, ვითარმედ მეგობარი სარწმუნო უმჯობეს არს ძვირფასისა ქვისა, და ამას ქვისმეტყველიცა გრიგორი მიეხმარა და შენ თანა უწყის წმიდამან გონებამან შენმან, ვითარმედ შენსა და ჩემსა ძმობასა ემყისთანა და მეგობრობაცა და ესე ორივე არა ორწილად გამყოფმან მიმიღო სიკვდილმან ჩემმან და მშვინველად დამიტოვა...

ამას გეუბდრები, ის რომ ჩემი მოწყალება გულიდამ არ განიშორე, ნუ დამიტევებ მოძულებად და ნურცა დამივიწყებ... ოთხი ათას ვერსზე მოშორებული გებრალებოდე. მე დია ჩემთვის ულირს მშვიდობაში მოველ, რომელსა აღრითგან გული მითქმიდა, მაგრამ მაინც უმშვიდობო ცხოვრება მაქვს ამაების მფიქრებელსა: ეგების ერეკლე ახლა ომში იყოს, ეგების უჭირდეს რამე, ეგების ავად იყოს. ასეთი მწუხარება დამეჩემა. ამას რომ ვფიქრობ ან დიდებულებთან ვიჯდე ვისთანმე სტოლზე, ან ეკლესიაში ვიყო, ან ჩემთვის ვილოცვიდე, სულ ცნობისაგან გავალ ხოლმე და მკითხვენ ხოლმე ჩემი ნათესავები, რას ფიქრობო. ჭეშმარიტად ერთი უცხო სენი დაგემართებაო. ამას არა თუ ვაყუედრებ, ჭეშმარიტად შემოგჩივი და სახეს გაჩვენებ. არც შენ დამიეიწყო, ღმერთი უფრო დაგიმადლებს.

დიონისეს წიგნისა იმედი გებძანა, შენ იცი. თუ გამომიგზავნი, ჩემი სიცოცხლის წამალი ეგ იქნება.

ჯაჭვი გებძანათ ბიძის თქვენისა. თქვენს რძალს ვუთხარ და ალექსანდრესაც, ლეონ ხომ მოსკოვს არს, აქ არ არის. მოგახსენესთ, ლეონც მოვა, შევიყრებით და პასუხს მოვახსენებთო.

ხელმწიფე რომ საზაფხულოს სასახლეში გაბრძანდა, ვინატრე, ნეტა მეფე ერეკლეს თავის უზიანოდ დაანახა-მეთქი. ასეთი დიდება იყო ჭეშმარიტად, რომ ქრისტეანენი ღმერთს ამას უნდა უმად-

ლოდეთ, რომ ჩვენის სარწმუნოებისა ასეთი დიდებულება განაცხადა.

თუ სადმე ჩემთა ამბავთა ცნობა სწადდეს მეგობარსა შენსა, მამისა დისა თქვენისა, მეფის ასულის ხვარაშნის მომართ ჩუენგანსა ვისმე მიერ მიწერილისაგან ეპისტოლსა მოიხსენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი უმცირესი ძმა ანტონი, სრულიად საქართველოს კათალიკოზი.

მისს ბრწყინვალებას კეთილმორწმუნეს დედოფალს, ჩემს რძალს ჯერეოვანს თაყვანისცემასა და ყოვლად შვენიერს პირს ამბორსყოფას მოვახსენებ."

ანტონი წამოდგა და კითხვის ნიშანს დამსგავსებულმა ოთახში გაიარა.

შესძლებს კი ერეკლე უანტონოდ ქვეყნის გაძღოლას? ეგების კვლავ იერიში მიიტანოს ლეკმაც და ყიზილბაშმაც, შინამტრებიც უმეტესად აეშლებიან, ვითომცდა ანტონს ვექომაგებითო, და ზიანს მოუტანენ ქვეყანას. თუ თეიმურაზიც რუსეთს წამობრძანდა, უშემწეოდ დარჩება ირაკლი და, ღმერთო, ჩააგონე ყოველ ქართველს მისი მორჩილება! მეფე ირაკლიმ ქარხნები აშენოს, იომოს თუ სწავლა-განათლებას უპატრონოს. შემწე სჭირდება. კაცი კაცითაა და ანტონი კი აქ, რუსეთშია გადმოხვეწილი.

გალაბმული და გაწყვეტილი საქმენი

წინა წელს საშინელი შიმშილი ჩამოვარდა ქართლ-კახეთში. ცალკე სეტყვამ და ცალკე ვაუსაძლისმა გვალვიანობამ წლის მოსავალი ისე გაანადგურა, გლეხკაცმა არა თუ ბეღელში ვერა შეიტანა რა, ოდოჟღერიც ველარ მოსრისა. დამშეული ხალხის ერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მეორე — ჩრდილოეთ კავკასიაში, მესამენი აიყარნენ და ისეთ ადგილებში გადასახლდნენ, სადაც სარწყავი წყალი უდგებოდა, ზოგიერთმა კი გუდა-ნაბადი აიკრა და, თავადაც არ იცოდა, საით გაუდგა გზას. დარჩენილები მინდორ-ტყეს მოედნენ და ხილ-კენკრითა და ბალახით ირჩენდნენ თავს.

თეიმურაზის ნათქვამი გაახსენდა ერეკლეს: იყო დრო, როცა ბალახის თესლს ფქვავდნენო. ყურისთვის ადვილი იყო გასაგონად, მაგრამ წარმოსადგენად იყო ძნელი. ახლა, კი, როცა თავისი თვა-

ლით ნახა, ისიც მძაფრად შეიგრძნო, რა დიდ საქმეს დავობდა ვახტანგ ბატონიშვილი და მისმა სიკვდილმა რა მძიმე ზიანი მოუტანა საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა წელს დაწყებული შიმშილის ნალი მეორე წელსაც გადაჰყვათ გლეხკაცებს, მაგრამ ერეკლეს თხოვნას, ბეგარაზე გამოდით და არხების მშენებლობა გავაგრძელოთო, უარი ვერ ჰკადრეს. მშიერი ხალხი ბეგარაზე გავიდა და ბატონიშვილის დაწყებული საქმე კვლავ გააგრძელეს.

ორმაგი მონდომებით ზრუნავდა ერეკლე. ჯერ ერთი, ამ საქმის განახლებით, ეჩვენებოდა, რომ ვახტანგი გამიცოცხლდაო და მეორეც ის იყო, საქმის ყოველდღიურმა წარმატებამ სამომავლო ნუგეში მისცა და მხნეობა შემატა.

— ცოტა კიდევ გავიჭირვოთ და... ამ მინდორზე რომ წყალი ჩაივლის, რაში ვინდა ჩაატიოთ ზღვა მოსავალი? — ამხნევებდა გაძვალტყავებულ გლეხებს და ისინიც თავს იმხნევებდნენ.

— მართალია, მეფეო, ეს არხი თუ ბოლომდე გავჭერით ჩვენ ბედს ძაღლი აღარ დაყეფს და ეგ არი!

ალგეთის არხის გაშვების შემდეგ ალაზანზე გააგრძელეს მუშაობა. ჭაბუკი გიორგიც თან იახლა და თვითონაც ერთთავად მშენებლებს დასტრიალებდა. აქ ბევრი ისეთი მახვილი გონების, ძლიერი, მაჯისა და შეუპოვარი გულის კაცი გაიცნო, რომ საქართველოს საბოლოო გამარჯვების იმედი გაუცხოველდა მეფეს. გულში უკვირდა, ქართველ კაცს რომ ამდენი შეეძლო, ოღონდ ეს იყო, ყველას უნდოდა, თავისი მეფე რომ გვერდით ჰყოლოდა. ერთხელ, საუფლოვამ მოიტანა და ამაზე უსაყვედურათ კიდეც მეფემ:

— მეფე როცა თქვენს გვერდით არის, ლომები ხართ და მიხარია კიდეც, მაგრამ უმეფოდ უნდა იმამაცოთ, თუ ვაჟკაცები ხართ.

— არც მაშინა ვართ ურიგო ბიჭები, — ღიმილით დაიქადნა რუხრუხა თევდორემ, სოფლის ექიმადაც რომ ითქმოდა და მამასახლისადაც, — აბა, ბიჭებო, ერთი იოსებასა და გიორგას გმირობაზე უამბეთ!

იოსებისა და გიორგის გმირობის ამბავს გიგლას მოტაცების ამბავი მოჰყვა და ნიკას გადევნების ამბავი. ათი ლეკი რომ მოკლა, მაგრამ თვითონაც უკან აღარ დაბრუნებულა.

— მთელი კომლობა ამოწყვეტილა, — დაინანა ერეკლემ, — ვინ იცის, რამდენი ესეთი ძლიერი კომლი მოსრისეს მაგ რჯულძაღლებ-

მა. ბევრი შვილი უნდა ვიყოლიოთ, თუ გვსურს, რომ ერი გადავარჩინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინცა მყავს, ლამის ისინიც გავყიდო ამ შიმშილობაში, — ხვნეშა ტანდაბალმა კაცმა, ბიჭები რომ ყარაულას ეძახდნენ ზედმეტ სახელად.

— თქვენგან გამიგონია, ხონჯარი ძალიან უნდა გავიჭიროთ, როცა მოგვშივაო, — გაიხსენა ერეკლემ ქართლელი ბერიკაცის ნათქვამი, — მუცელსა აქორებ, ქორია, აღორებ, ღორიაო.

— ეგ კი მართალია, მეფის კვნესა მე, მაგრამ უენო ბალღს თუ რძე და მჯადპურა მაინც არა აქ, ტანს არ აიყრის, — თქვა გალეულმა კაცმა, რომელიც ორმოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ უკვე ბებერსა ჰგავდა.

— ნეტავი თვითონ რამდენი ჰყავს? — დაიჩურჩულა ვიღაცამ.

— რაო? — მისწვდა ერეკლეს ყურს.

— მეფეს რამდენი შვილი ჰყავსო, — იმასა კითხულობენ? — გაუბედა ყარაულამ.

მეფემ ამოიოხრა და ყველანი მიხვდნენ ამის მიზეზს. ისე, რომ საყვედურითაც კი გადაჰხედეს შეკითხვის მიმცემს.

— ვახტანგ ბატონიშვილს თქვენც კარგად იცნობდით, მაგრამ ღმერთმა არ შემარჩინა. ესეც გიორგი! — მიუთითა ყინჩად მდგარი ბატონიშვილისკენ...

— ვაჟკაცია და ეგ არი! — მოიწონა ვიღაცამ.

— მესამე თამარ დედოფალი მყავს, მეოთხე — ლევანი, თვალებში სიხარული ჩაუდგა ერეკლეს, — მეხუთე — იულონი და მეექვსე კი ეხლა შემძენია და ჩემი ბრძანებისამებრ, განსვენებული ბატონიშვილის სახელი დაურქმევიათ... ვახტანგი.

— ღმერთმა გაგამრავლოს, მეფეო! — დალოცა რამდენიმემ.

— მეორე სახელიც უნა დაარქვა, თორე არ გაიზრდება. — ურჩია ვიღაცამ.

— ეგრეა, მეფეო, — დასტური მისცეს აქეთ-იქიდან, — ურჯულოს სახელი უნა დაარქვა.

— ალმასხანს დავარქმევ, — წინასწარმომზადებულივით განაცხადა ერეკლემ.

— ის ვინ მააჭენებს? — შენიშნა გრძელმა ყიასამ.

მშენებლებმა ვერ იცნეს.

— მალემსრბოლია, — იცნო ერეკლემ, როცა ცხენოსანი მიუახლოვდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალემსრბოლმა მოსვლისთანავე დაიქვეითა, ერეკლეს უთაყვანა და წერილი გადასცა:

„ლეკნი შემოვიდნენ ქართლს. ჩონჩოლ მუსა მოადგა ავნევს, ხოლო კოხტა ბელადი ზღუდარს დიდი ლაშქრითა. სოლომონ იმერთა მეფეც ვიხმე საშველად და შენც გელოდები. მეფე ქართლისა თეიმურაზი.“

* * *

ერეკლემ გიორგი უფლისწული თბილისში გაგზავნა, თუმცა ეხვეწა, მდევარში მეც წამიყვანეო, თვითონ მაშინვე ცხენზე ამხედრდა და საჭირო კაცების გასაგონად განაცხადა:

— შეატყობინეთ მოურავებს, ჯარი შეკრიბონ და ქართლში მომაშველონ! დედას ვუტირებ ჩონჩოლ მუსასაც და კოხტა ბელადსაც, თუ ერეკლე ეყოფილვარ!

— გვიახელ, მეფეო! — გაისმა რამდენიმე კაცის ხმა.

— გიახლებდით, მაგრამ, აი, ასე გვრჩება უკან საშვილიშვილო საქმე.

ერეკლეს ამალამ რომელ სოფელზეც გაიარა, ყველგან ჯარი შეემატა, მაგრამ სულაც არ უხაროდა მეფეს: ომს თუ მოიგებდა, სამაგიეროდ მინდვრის სამუშაო და მშენებლობა ჩამორჩებოდა. აი, უკვე მერამდენედ შემოვიდნენ ქართლ-კახეთში ჩონჩოლ მუსაცა და კოხტა ბელადიც. რამდენჯერ აოტეს და მაინც არ იშლიან. გამარჯვებულნი არასოდეს გაბრუნებულან, მაგრამ მაინც უზომოა მათგან მოტანილი ზიანი. რამდენჯერ დაწვეს არაგვის ხეობა, ქსანი და ლიახვი, იყალთო და რუისპირი, მატანი, შილდა და ენისელი. აღარ შეუძლია ხალხს. ამოიწურა მათი ძალ-ღონე. დღეს რომ იქ მშენებლობაზე მუშაობითა და შიმშილით გასავათებული, ტიტველი ხალხი ნახა, გული უტიროდა ერეკლეს. მართალია, არვის აგრძნობინა თავისი ნაღველი, არც ისინი აწუხებდნენ მეფეს თავიანთ გაჭირვებაზე წუწუნით, მაგრამ მოთმინებას მიჩვეული შვილიც არ აგრძნობინებს ხოლმე მამას, მშიაო, უკეთუ მამას უფრო მეტად შია და სწყურია.

სოლომონსაც შევატყობინეო. კარგი ჭაბუკია სოლომონი, დიდად

გონიერი. ნათლად ხედავს ჩვენი ერის საერთო ტკივილს და მზად არის, ენაცვალოს, მაგრამ სიკეთეს ვერც მასთან ერთობა მოუტანს. ამას წინათ რომ ქართლში ითათბირეს საერთო მტერთან ერთობლივ ბრძოლაზე, შეუმჩნეველი არ დარჩენია თურქეთის ხონთქარს. თურქი გარნიზონები რომ გაეყლიტა სოლომონმა და ამ საქმეში ქართველთა ზურგი ჰქონდა, არც ეს გამოჰპარვია. ამიტომაც ემზადებაო თურქეთი მთლიანი საქართველოს დასასჯელად. იმ ურჯულომ თუ ჯარი აშალა, ბლავანს აღარ დაარჩენს საქართველოში. რაც მას მეომრის გამოყვანა შეუძლია, იმდენი კაცი კი არა, ცხვარძროხაც არ იქნება ჩვენს ქვეყანაში. თურქეთს სპარსეთიც აუბამს მხარს და ლეკნიც შემოგვესევიან. ეგებ ეს შემოსევაც თურქთა წყალობაა?.. სანამ ყველანი აიშლებიან, რუსეთისგან უნდა გამოითხოვოს ჯარი, არადა სესხი მისცეს, ჩრდილო კავკასიიდან რომ საკმაო ჯარი იქირავოს, შეესიოს სპარსთა ქვეყანას და ზედიზედ დასცეს ქალაქები. რაკი სპარსეთს ჩამოიცილებს, თურქთა მრავალრიცხოვნებისაც აღარ შეეშინდება. უთუოდ გაგზავნის მამას რუსეთში. მართალია, ანტონი ეჭვით უყურებდა მათთან მეგობრობას, მაგრამ გაჭირვების ჟამს ისევ რუსეთს მიმართა. სხვა გზა არ არის და იმიტომ. არადა, რუსეთსაც ეჭირვება ძლიერი საქართველო თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ.

ცხენმა წაიბორძიკა და ფიქრი გაუწყდა ერეკლეს.

რუსულ ზავთარში

ყინვა ჭახჭახებდა. თოვლის ფანტელები სარკმელს ეყრებოდა და სევდიან ფიქრს აღვიძებდა. შიგნით კი შუახნის, სხარტი ტანის ლოყადაკერებული კაცი მაგიდას მისჯდომოდა და გულმოდგინედ წერდა.

კარი გაიღო და ოთახში შეჭირხლულქურქიანი ეგორ ამილახვარი შევიდა.

— რა ჰქენი? — იკითხა შესვლისთანავე, ვიდრე ქურქს გაიხდიდა.

— ძალიან ცივა? — შეკითხვითვე უპასუხა დამხვდურმა.

— ძალიან... დაწერე!

— ვწერ.

— ამბობენ, ოთარ თუმანოვი ჩვენი კი არა, მეფე თეიმურაზის

კაციაო, — თქვა ეგორმა, როცა ქურქი გაიხადა და სქელი ფარჩების ქვემოდან ლიძილი გამოუკრთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუმრობ... აბა, მომისმინე!

— გისმენ, — ღუმელს მიეყუდა ეგორ ამილახვარი და თვალები სიამოვნებით მილულა.

„ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტის მარტის ოცდასამის დაწერილს წიგნში მოვიწერე, რომ საქართველოს მეფეებმან მიბრძანეს რუსეთის ერთგულებაზე თავის დადება, მაგრამ სხვარიგადაც შინ-ჯვენ-მეთქი, მანდ მოვალ და ჯათებით მოგახსენებთ-მეთქი: ა) ეს ჯათი არის, რომელიც ახლა კახ მეფე თეიმურაზ ზის, იმას ეჭირა სამკვიდროდ ჩამომავლობით კახეთის სამეფო. ქართლის სამეფო კი მეფე ვახტანგის ნათესავთ ეჭირათ ხვალმე სამკვიდროდ. მეფე ვახტანგ რომე აქ რუსეთში მოვიდა, თამაზ ხანის დროს, ორივ სამეფო ამ მეფე თეიმურაზსა და მის შვილს ერეკლეს დარჩა. ახლაც უჭირავსთ, თუმცა კახეთი უფრო მდაბალი იყო. ახლა რადგან ორივე ერთად არის, კახეთს უფრო სამკვიდროდ ეჭიდებიან, ქართლი უფრო იჩაგრება...

თუმანოვმა კითხვა შეაჩერა და ამილახვარს შეხედა, რომელსაც უკვე თვალები დახუჭოდა.

— განაგრძე!.. აქამდე უნდა მოგეხსენებინა ეგ ყოველივე.

— ათასი საქმე მცემდა და ვერ მოვიცალე. არადა, ჩინის მიღება მეც მეშურება.

— თუ ჭკუით არ მოიქცევი, ჩინს კი არა, მე ვიცი, რასაც მოვაცემინებ.

„ამის გულისთვის ქართველნი წყინობენ, — განაგრძო თუმანოვმა, — დაჩაგვრას დაფარვით, მაგრამ არ შეუძლიათ რა, რომ გამოაცხადონ და არც ასეთი სიმაგრე უჭირავთ, რომ შეეძლოთ რამე კახელებზედ. რომელიც ქართლში პირველი სიმაგრეა, არაგვის საერისთაო, იმ სიმაგრეში კახი კაცი ჩოლაყასშვილი კნიაზ ჯიმშერ უზის... ბ) ყოველთვის იქ ჭორები გაიშლება, რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ მისი ჩამომავალნი მოდიანო. ამაში კი ბატონებს ეფიქრებათ, თუმც რუსეთმა დაიჭიროსო, იმათ მისცემენო თავიანთ სამკვიდროს. ამიტომ ბეჯითად უფრო არ ეჭიდებიან: კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის. ეგრე რომე აქედანაც ეფიქრებათ და იქიდანაც“.

— მეტი უნდა გეთქვა, — ოთახში გაიარ-გამოიარა ეგორ ამილახ-

ვარმა, — ხელმწიფე უნდა დაარწმუნო, რომ ქართლი სულის ამოხ-
დომაზეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ესრე რომ არ არის? რომ უფრო მეტს ზრუნვენ?

— ეგ სულერთია. რუსეთი უნდა დაარწმუნო, რომ ქართლს კა-
ნონიერი პატრონი ეჭირვება.

— აკი დავწერე.

— უნდა დაარწმუნო.

— მე კი ვარწმუნებ, მაგრამ თავად რომ არ რწმუნდება? ალექ-
სანდრე ბაქარის ძემ რამდენჯერ ითხოვა, მეფედ გამიშვითო, მაგ-
რამ ყურად არ იღეს.

— მაშ, რად გვინდა, მაგ მოხსენებებს რომ ვუწერთ? — სივრცეს
გაანდო ამილახვარმა და ფიქრებში ჩაიძირა. იცის, ვინც არის თუ-
მანოვი და რა ზრახვებიც ამოძრავებს. თავისი ამგვარი მოხსენებით
არც ერთი არ სურს განარისხოს. რუსეთის მთავრობას თავისი
ერთგულება დაუმტკიცოს და ქართლელ ემიგრანტებს კი გულს
მოუფონოს, ვითომდა ქართლის ჭირი მეც მაწუხებსო.

ჩინს უდიდებენ თუმანოვს. კიდევ გაგზავნიან და კიდევ გაუდი-
დებენ, უკეთუ საგულისხმო ცნობებს მოაწვდის. რუსეთს მარტო-
დენ იმის შეტყობა აინტერესებს, სხვა მხარეს ხომ არ იყურებიანო
თეიმურაზ-ერეკლე. თუ დაინახა, რომ სხვისკენ იყურებიან, მაშინ
მოიფხანს თავს, არადა იქნება დამშვიდებული და მათ გამოგზავნილ
ელჩებს საჩუქრების მეტს არას გაატანს.

ვახტანგ მეფემაც რუსთა დახმარების ლოდინში განუტევა
სული, ბაქარმაცა და ალექსანდრე ბაქარის ძეც ამ დახმარების ლო-
დინში ბერდება. ფრიად ეშმაკური მანევრია. არც თეიმურაზ-ერეკ-
ლეს ღალადისს ისმენენ და არც ალექსანდრეს ეხმარებიან. არადა,
რუსეთს რომ ქართლ-კახეთისთვის ჯარი გაეგზავნა, უთუოდ დაა-
პყრობდნენ სპარსთა ქვეყანას, თუმცა ისედაც იტყობინებიან უცხო-
ური გაზეთები: ერეკლემ სპარსეთი დაიპყროო და თურქეში შესვ-
ლას აპირებსო.

თუმანოვი ადგილიდან არ დაძრულა. სარკმლისკენ წახრილი
თოვლის ფანტელებს თვალს ადევნებდა და თეიმურაზთან ხელთუ-
ბანში გამართული საუბარი აგონდებოდა. სწორედ მეორე დღეს და-
წერა სამეფო კარისთვის გამოსაგზავნი მოხსენება, რომლის გამე-
ორება დღესაც დასჭირდა.

შუაიატაკზე გაყუჩებულ ამილახვარს ხელები რუსული ფრაკის

ჯიბეებში ჩაეწყო, თვალები სარკმლისთვის გაესწორებინა და ფიქრობდა იმაზე, ყოველ ქვეყანას რომ თავისი საზრუნავი და ბრძოლა აქვს და მეორე ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდია. ასე ერთან ადამიანებიც. ამაოდ ეფიცებიან ერთურთს სიყვარულსა და ერთგულებას. აი, თუნდაც თუმანოვი!.. თავისი ჩინის გადიდებისთვის კაცს კი არა, ქვეყანას გაჰყიდის. აბა, შეეკითხება, თუ დაუმალოს.

— საქართველოსკენ კიდევ ხომ არ აპირებ გამგზავრებას?

— რატომ?

— მეფე თეიმურაზი რუსეთისკენ აპირბესო გამომგზავრებას შემწეობისთვის.

— მერმე?

— შემწეობა თუ აღმოუჩინეს, ხომ იცი, საბოლოოდ დაიპყრობს ქართლსაც და მთელ საქართველოსაც. თეიმურაზს ისეთი ცნობები უნდა დასტყუო, რითაც სამეფო კარს დააეჭვებ მის მოქმედებაში.

— სიამოვნებით გავემგზავრები, თუ გამგზავნიან.

— ჩინსაც მოგიმატებენ.

თუმანოვი ფეხზე წამოდგა, ხალისიანად გაიარ-გამოიარა და განაცხადა:

— თუმცა რუსული ზამთარია, ხვალვე წავალ.

გარეთ კი კვლავ ბარდნიდა და რუსული ყინვა ჭახჭახებდა.

ლიახვის სათავესთან

კოხტა ბელადის სასტიკი დამარცხების შემდეგ ერეკლე ავნევს ავიდა ჩონჩოლ მუსაზე ჯავრის ამოსაყრელად. ჩონჩოლი ციხეში შეიკეტა. ერეკლემ იქვე დაიბანაკა და გათენებას დაელოდა, მაგრამ როცა გათენდა, ნახეს, რომ ლეკნი გაპარულიყვნენ ციხიდან. გაედევნენ და ველარ დაეწივნენ. ერეკლემ დასვენება ბრძანა და ლიახვის სათავესთან ჩამოხდნენ. მეფემ თავის მდივანთან გაიმარტოვა და ამას წინათ ნაპოვნი ჩანაწერების წაკითხვა უბრძანა.

„დაწვეს, აიკლეს, ააოხრეს, კითხვა განაგრძო ლოდზე მჯდარმა მდივან-მწიგნობარმა, — ანანურს აქეთ აღარსადრა გაუშვეს წაუხდენელი. მივიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთავთა, შებილწეს მონასტერი, ჩამოხდნენ აქ დიდის ნაშოვნით... ავიდნენ მჭადიჯვარს და ციხეს შემოადგნენ... — შემდეგ ოსტატურად გამოტოვა რამდენიმე სტრიქონი და კითხვა განაგრძო: — რა გაჭირდა ომი,

ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა. გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: — ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯულისაო. დაიქვეითეს ქართველთა და კახთა. შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარ ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზანი, გააქციეს ერთი ჯარი ლეკისა. ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორესა ჯარსა. აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა, გაიქცნენ. შეუტიეს ხმალდახმალ ქართველთა, დაერივნენ შიგ, რომ, ვითა კატა, ეგრე ხოცდნენ ლეკთა. თვითონ მეფე ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ. მიჰყვნენ ხოცნით არაგვამდის...

გაშლილ ნაბადზე ერეკლე გულაღმა გადაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და, ანიშნა, განაგრძეო.

„წალკასა და სომხით-საბარათიანოში დაბუდებული ლეკები მოედვნენ ქართლსა, ჭარელები კახეთსა. აგვისტოს ოცდაერთს ლეკები დაეცნენ წავკისს, მოკლეს ხუთი კაცი, წაიყვანეს ხუთი ტყვე. აგვისტოს ოცდასამს დაეცნენ ვერეს. აქ ერეკლე გავიდა მათ წინააღმდეგ. ლეკები გაიქცნენ. აგვისტოს ოცდაათს დაეცნენ სხალტბას. თოთხმეტი ტყვე მოიტაცეს...

— დიაღ ჭკვიანი კაცი ყოფილა მაგისი აღმწერი.

„სექტემბრის სამს დაეცნენ ტაბახმელას, ოთხი კაცი მოკლეს, ორი ტყვე იშოვეს. ამავე დღეს მტკვარზე ოთხი ტივი წაახდინეს. სექტემბრის ექვსს წყნეთს მიუხდნენ, ერთი ტყვე იშოვეს, ამავე დღეს ვერეს მიუხდნენ, ორი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს ხოვლეს მიუხდნენ, თოთხმეტი ტყვე იშოვეს. სექტემბრის თექვსმეტს წავკისს მიუხდნენ, ერთი ტყვე იშოვეს. ამავე დღეს მოხისს მიუხდნენ, ორი გუთნეული და ორი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცს საავალიშვილოს დაეცნენ, ბრძოლაში სამი ქართველი დაიჭრა, ხუთი მოიკლა, ვერაფერი წაიღეს.“ არა, წამოიღეს წერია.

— გასაგებია. განაგრძე!

— „სექტემბრის ოცდახუთს ხაშმზე ქარავანს დაეცნენ, სულ აიკლეს. ამავე დღეს ქოშა-ქილისას დაეცნენ, ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ხუთი ტყვე მოიტაცეს. სექტემბრის ოცდაექვსს მცხეთას დაეცნენ, პირუტყვი წაასხეს. სექტემბრის ოცდაშვიდს ბოლნისს მიუხდნენ, ბრძოლაში ერთი ლეკი მოიკლა, ხელცარიელი გაბრუნდნენ. ოქტომბრის პირველს წუნისს დაეცნენ და საბაშიოს სხვა

სოფლებსაც შეესივნენ, წუნისში ორი ტყვე აშოვეს, დანარჩენი სოფლებიდან კი ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს სოლანოულს მიუხდნენ, შვიდი ტყვე იშოვეს. ოქტომბრის ხუთს გორის მიდამოებიდან ერთი შებმა გუთნეული, ერთი ტყვე და ოცი ცხენი მოიტაცეს. ოქტომბრის შვიდს ღოუბანსა და მონასტერს დაეცნენ, მოკლეს ხუთი კაცი, მოიტაცეს სამი ტყვე. ოქტომბრის ათს ალგეთზე წისქვილებს დაეცნენ, ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ოთხი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საფალავანდიშვილოს შეესივნენ, აქედან ორმოცი ტყვე მოიტაცეს. ამავე დღეს საგარეჯოს დაეცნენ, სამოცი ტყვე იშოვეს, მაგრამ მტაცებლებს მარტყოფელები დაესივნენ და ტყვეები დააყრევინეს. ამავე დღეს მანავს დაეცნენ, ბრძოლაში ხუთი კაცი მოიკლა, ცარიელი წავიდნენ. ამავე დღეს ქისტაურს მიუხდნენ, ორი კაცი მოკლეს, ექვსი გუთნეული მოიტაცეს და ორი ტყვე. იმავე დღეს შილდას მიუხდნენ, სამი კაცი მოკლეს, ოთხი ტყვე მოიტაცეს...“

ერეკლე წამოჯდა, იქაურობა უხალისოდ მოათვალიერა და შუბლშეხვეული ძაღლიკა და თორღვა დაინახა. ჭმუნვა ოდნავ შეუმცირდა და მხნეობა შეემატა. განაგრძეო, უბრძანა მდივანს.

„ოქტომბრის ათს ლეკები კუმისს დაეცნენ, ბრძოლაში ერთი ლეკი მოკვდა, ოთხი ტყვე მოიტაცეს და ხუთასი ცხვარი. ოქტომბრის ხუთმეტს ისევ კუმისს დაეცნენ, ცხრა ტყვე მოიტაცეს. ოქტომბრის თექვსმეტს ვერეს მიუხდნენ, ბრძოლაში სამი ლეკი მოკვდა, ცარიელი წავიდნენ. ოქტომბრის ოცს წყნეთს დაეცნენ, სამი ტყვე და შებმული ურმები მოიტაცეს. იმავე დღეს კოდას მიუხდნენ, ორი ტყვე მოიტაცეს. ოქტომბრის ოცდარვას ქალაქელი მუშები მოიტაცეს სამი. ოქტომბრის ოცდაათს ქალაქს მიმავალი ოთხი მგზავრი მოიტაცეს. ოქტომბრის ოცდათერთმეტს ქალაქელი მეშეშები მოიტაცეს ხუთი და ორმოცი ვირი, ნოემბრის პირველს ბოლნისს დაეცნენ, ორი კაცი მოკლეს, ორმოცი ხარი მოიტაცეს. დეკემბრის ჩვიდმეტს მარნეულის გზიდან ოთხი მგზავრი მოიტაცეს. დეკემბრის ოცდაექვსს თხილოვანის გზიდან სამი მგზავრი მოიტაცეს. დეკემბრის ოცდაცხრას ვაყას დაეცნენ, თორმეტი ტყვე მოიტაცეს.

— ყოველივე სწორად აღუწერავს, — ამოიოხრა ერეკლემ და იდაყვებით გადაეყრდნო უკან. ეტყობოდა, ძალიან დაღლილიყო, უძილობაც სჭირდა და ვერ ისვენებდა., — მერმე რა სწერია?

„ქართლში ქურდის ლეკისაგან დიდი ძალა სჭირს. თუ დიდი

ჯარი გამოვა, პირდაპირ შეებმიან და ქართველები აჯობებენ, თუ არა, ქურდობით ძალას შვრებიან. ჩღნდ მკათათვის ლ ჩღნე მკათათვის გასვლამდის, ჩემის შეტყობით, დატყვევებულა და მოუკლავთ კაცით-ქალით შვიდას-რვაასამდის, აგრეთვე ლეკი, რომ თვითონ უთქვამთ, ექვსას-შვიდასამდის, მაგრამ მეტს იტყვიან ხოლმე."

— ვინ აღწერს მაგ წიგნს?

— ოთარ თუმანოვი.

— ვინც არის, ფრიად საჭირო კაცია, — წამოდგა ერეკლე, საყელო გაიხსნა და თითებით მოიქექა, ამოიოხრა და ნამძინარევივით გაიარ-გამოიარა. მერე ლიახვის ნაპირას წყაროსთან მივიდა, ჰეშვით წყალი აიღო და თვალებზე შეისხა. დასველებული წვერი ჩამოიწურა და ისევ თუმანოვის წიგნს მიუბრუნდა იმის ფიქრი. ეტყობა, ლეკთანაც კავშირი უნდა ჰქონდეს და მათ ნათქვამსაც იწერს.

ერეკლეს ქვა მოეწონა, დაჯდომა გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა. ლაშქარს თანდათან გაშორდა და ლიახვის ნაპირს აუყვა სათავისკენ.

„რუსეთისგან გამოგზავნილი მზვერავია თუმანოვი, გაიფიქრა ერეკლემ, უთუოდ მაყაშვილის ელჩობას გამოაყოლეს ფეხდაფეხ. ეგებ ქართლელმა თავადებმა და ერეკლეს ბიძაშვილებმაც დაავალეს ამ ცნობების აკრეფა.

ერეკლე თანდათანობით ლაშქარს გაშორდა და ფიქრმა წაიღო. თბილი მზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა თვალებზე და კვლავ ძილს ანდომებდა. მოულოდნელად უზუმოდ შეებრალა რუსეთს ვადახვეწილი ქართველები, რომელთაც, დიდი ხანია, ქართული მზე აღარ დაუნახავთ. ზოგიერთს კი სულაც არ უნახავს და მხოლოდ სმენია მის ცხოველმყოფელობაზე, იმ სხივთა ელვარებაზე, რომელსაც მხოლოდ საქართველოში აფრქვევს. ვისაც არ უნახავს, ალბათ არც ეყვარება. ვისაც უნახავს და ვინც აქ გაზრდილა, ისინი არიან ბრალში.

ლაიხვის ხეობაზე კარგა რომ აიმაღლაურა, სიპზე ჩამოჯდა, ხმალი მუხლებშუა ჩაიყუდა, შუბლი და თვალები ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა. ჯერ წინა დღეების ბრძოლები წარმოუდგა თვალწინ. მერე მეფე სოლომონი გაახსენდა, ყორნისთან რომ შეეგება თეთრი ცხენით. ერეკლეც თეთრ ცხენზე იჯდა, მაგრამ სოლომონისა უფრო თეთრი იყო, მუცელსრული და მკერდგანიერი. თეიმურაზი და სოლომონი ცხენდაცხენ ბჭობდნენ, ერეკლე როცა მიეახლათ

თავისი ჯარით. სოლომონმა დაიქვეითა პატარა კახის დანახვაზე. ერეკლემაც დაიქვეითა. ერთმანეთს აკოცეს. შემდეგ სოლომონმა მხარზე ხელის შეხება შეჰკადრა და მკერდზე აკოცა. ერთურთს რომ გაშორდნენ, ერეკლემ შენიშნა, რომ დიდი პატივით უცქეროდა სოლომონი. უზომოდ მოეწონა ერეკლეს იმერთა მეფე და მის მსხვილ თვალებში ენერგია და უტეხი ნებისყოფა შენიშნა. ასეც უნდა იყოს. მეფეს თუ პორფირის ქვეშ რკინის გული არ უცემს, თავისიანები დალუპავენ, სხვანი თუ არა. ეს იმიტომ, რომ მსდალი და ლაჩარი, რბილი და დამთმობი არავის უყვარს. ქართველებს შეუპოვრობა სჩვევიათ ოდითგან და მეფეშიც შეუპოვრობას აფასებენ.

მერე ატოცთან გამართული ფიცხელი ბრძოლა გაახსენდა, სადაც სოლომონის თითქოს მძიმე ცხენი სასწაულებრივ ტრიალებდა და, რაკი ქართლელ-კახელნი სოლომონს არ იცნობდნენ, წმინდა გიორგიაო, დაიძახეს და მაშინვე ჯარში ხმა გავარდა, ატოცის ეკლესიის სახატედან წმინდა გიორგი გადმოვიდა, ქართველთა ჯარს შეერია და ლეკთა წინააღმდეგ იწყოო ბრძოლა... ანტონი თუ დაკარგა, სოლომონს აღარ დაკარგავს ამიერიდან და გვერდით ეყოლება.

ერეკლემ იგრძნო, რომ ვიღაცის ჩრდილი დაეცა მის წინ. თვალი გაახილა და მის გარშემო ლეკები იღრიჭებოდნენ. ჯერ ეგონა, სიზმარში ვარო, თვალები ხელახლა დახუჭა, თავი გააქნია და ისე გაახილა, მაგრამ ნახა, რომ ლეკები ჯიქურ მოიწევდნენ მისკენ. მაჩაბლის ნაამბობი გაახსენდა, ფეხმორთხმით მჯდარს რომ დასხმოდნენ ლეკები, ხმალი იშიშვლა, კბილთა ღრჭიალით წამოიჭრა და ციბრუტივით შემოტრიალდა:

— ჰაიტ, თქვე რჯულმაღლებო!

— ერეკლე ხან!.. ერეკლე ხან! — იცნეს ლეკებმა და საოცარი სისწრაფით გაცვივდნენ აქეთ-იქით, მერე ერთ მხარეზე იხუვლეს და ხევს მიაშურეს.

არ შემკრთალა მეფე. არც ის უფიქრია, ეგების ვინმე ჩასაფრებულმა თოფი მესროლოსო, და იქაურობას ჩხრეკა დაუწყო. ამასობაში ხევიდან ხმალთა ჩახაჩუხი და კაცთა შეკივლების ხმები შემოესმა. თვითონაც მაშინვე ხევს მიაშურა, მაგრამ ორიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, თორღვას სახე შენიშნა. მერე მთლიანად ამოიმართა თორღვა, ჯაჭვიანად ჩასხეპილი ხელხმლიანი მარჯვენა მიწაზე მოსთრევდა, თოფაკიდებული მარცხენა მხარი მაღლა ასწეოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცერავებით წინ მოჰქონდა. მარჯვენა ფეხით დიდ ნაბიჯს ადგამდა, მარცხენით — მცირეს და ძახილით ამოდიოდა:

— მოგიკვდე, მეფევ!.. მოგიკვდე, მეფევ!..

თორღვას გადმოასწრეს და მეფისკენ გამოეშურნენ.

— მოგიკვდე, მეფევ!.. მოგიკვდე, მეფევ!.. — მოგუდული ხმით ერთსა და იმავეს იმეორებდა და ტოლმეტი ნაბიჯით ამოდიოდა, ჩაჭრილი მხრიდან სისხლის თქრიალით.

— მეფე უვნებელია, თორღვას მიჰხედეთ! — დაიძახა ერეკლემ.

ერეკლეს ხმის გაგონებაზე თორღვას გაეღიმა, თვალები გადაუბრუნდა, მარცხენა ფეხზე შემოტრიალდა და გულაღმა დაეცა.

დაცდა

გარეთ ხშირბინდი იყო.

ტახტზე დაგებულ ფარდაგზე შავად მოსილი შუახნის დედაკაცი საჩეჩელს ეჯდა და ფარო ფაროზე გამოჰქონდა. გაიწკრიალებდა საჩეჩლის კბილი და გაყუჩდებოდა დედაკაცი, გაიწკრიალებდა და — გაყუჩდებოდა. ნეტავი რის მაუწყებელია საჩეჩლის კბილის წკრიალი: კარგს რამეს გვიქადის თუ ცუდსა? სხვა დროს ასე არ უწკრიალია და ახლა რაღა დაემართა? მერე უკვე ყურადღება აღარ მიაქცია და საქმე განაგრძო. ან რად უნდა ამდენი მატყლი, მთელ დამეებს რომ ჩეჩავს და ჩეჩავს? მამამთილი აღარა ჰყავს და მაზლები, ქმარი და შვილი. თვითონ კი განა რამდენ წინდა-სამოსს გასცვეთს?

ნეტავი რამდენი ტანჯვის ატანა შეუძლია ადამიანს? აწყვა მაინც შეიძლებოდეს ან გაზომვა. აი, მაგალითად, ტიკში რომ ღვინოს ჩაასხამენ, იგებენ, როცა ივსება და მეტის ჩასხმას აღარ ცდილობენ. ადამიანი კი რამდენი შხამ-სამსალისა და ვარამის დამტევია, ვერვინ გაიგებს. რამდენი შიმშილი, რამდენი წყურვილი, რამდენი სატიტვლე?.. რამდენ რამეს იტევს ადამიანი? ღმერთი სარგებლობს ადამიანის გამძლეობით და კერძავს და კერძავს ახალ-ახალ სატანჯველს. ღმერთი თუ ეშმაკი? რა თქმა უნდა, ეშმაკი, რაკიღა კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია.

ახლა უფრო მკვეთრად გაიწკრიალა საჩეჩლის კბილმა და დიდ-

ხანს აღარ მიყუჩდა. დედაკაცმა ფთილები ხელისგულებით ფაფრად მიატყუპა და სანათურისკენ გაიხედა სიბნელეში. ეგებ სხვა დროსაც წივის და არ შეუმჩნევია. იქნებ სამარისებური. ხიხუნე, ღომ დგას იმისი ბრალია? ძაღლი მაინც ჰყოლოდა, ის გაახმიანებდა ეზოყურეს. ახლა კი ტურების ჩხავილიც კი ენატრება დედაკაცს, მაგრამ ისინიც თითქოს ამოწყვეტილანო, ხმას აღარ იღებენ.

მაინც რა ყოფილა სიცოცხლე?.. თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ და ხელში გიქრება. ილიას დიდი ოჯახის გადაქუხებას მაინც ვერ წარმოიდგენდნენ, ისეთი ჯანღონიერი ვაჟკაცებით იყო სავსე. ესე ერთბაშად, ესე უღმერთოდ...

— დედი! — გაიწკრიალა საჩეჩლის კბილმა გიგლას ხმით.

ეს რა მოაჩვენე უბედურ დედას, ღმერთო!

კარიც შეტოკდა. იქნებ ქარია?

— არ შეგეშინდეს, დედი, კარი გამიღე! — ნათლად მოესმა ხელახლა და კარი ნამდვილად დააკაკუნეს.

— ღმერთო, შენ მიშველე! — პირჯვარი გადაიწერა დედაკაცმა და ტახტიდან გადმოვიდა, აკანკალებული. მიხვდა, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა მის თავს. ვიღაც თუ რაღაც მოსდგომოდა კარს და გაღებას ელოდა.

— თუ ეშმაკია, ფუი, ეშმაკს! — აღმოხდა ხმისკანკალით, მაგრამ ურდულს მაინც ხელი წაატანა.

— ნუ გეშინია, დედი, მე ვარ!

დედაკაცმა ვერც იგრძნო, ურდული როგორ გამოუყარა და კარი როგორ გააღო. კარში კი, ღმერთო, იხსენი, ლეკურად ჩაცმული ჭაბუკი იდგა.

— გიგლა ვარ, დედი!

— შვილო! — იკივლა დედამ და მუხლი მოეკვეთა.

გიგლამ მაჯაზე ხელი სტაცა, რომ არ წაქცეულიყო და დარდვარამისაგან დალეული დედა გულში ჩაიკრა.

— შვილო!... შვილო!... შვილო!.. — იძახდა დედა და ქვითინებდა.

გიგლაც აქვითინდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. მერე, როგორც იყო, სული მოითქვა და ორივენი გასაწყენი მატყლით სავსე ტახტზე ჩამოსხდნენ.

— მამა სად არის?

— არ ვიცი, შვილო, შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

— ნიკა ძია და გიორგა ძია?

— ლეკებს გაედევნენ და დაიხოცნენ.

— პაპა და ბაბო?

— მაგათმა დარდმა გადაიყოლია... ნუ იდარდებ, შვილო, ...სები უნდა დაიხოცნენ. შენ იყავი კარგად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლამ დედას მოთახთახე მხრებზე ხელი მოეხვია და გულში ჩაიკრა, მობლუნძული. იგრძნო, რომ ძალიან დაპატარავებულიყო. თუ თვითონ გაზრდილა და იმიტომ ეპატარავა?

— წელან საჩეჩელის კბილმა რამდენჯერმე უცნაურად გაიწკრიალა და, აი, თურმე რაზე უნდა ამხდომოდა. რა ბედნიერი ვარ, შვილო, შენ რომ ცოცხალსა გხედავ! — შესძახა დედამ და ხელახლა ატირდა. მერე ტირილით რომ გული იჯერა, ლოყებზე მოუცაცუნა ხელი: ცხადია თუ სიზმარში ვარო, და, რაკი დარწმუნდა, რომ ნამდვილად გიგლა იყო, — გემშიება, დედა მოგიკვდეს?!

— დღეს არაფერი მიჭამია, მაგრამ შენ რალა გექნება?

— შენთვის ყველაფერი მაქვს, თავს შემოგევლე! — გიგლას თავი დედამ ხელახლა ჩაიკრა მკერდში, მერე შუბლი და თვალები დაუკოცნა და ძლივსღა მოახერხა წამოდგომა.

მცირე ხნის შემდეგ მომცრო ტაბლის აქეთ-იქით ისხდნენ დედა და შვილი. შვილი ჯამიდან პურჩაბუჟბუჟებულ ლობიოს სჭამდა პაპის გათლილი კოვზით და დედა კი ღიმილით შეჰყურებდა და კითხვებით აღარ ასვენებდა:

— გციოდა, შვილო? გწყუროდა?

— მციოდა კიდეც და მწყუროდა კიდეც, დედი, მაგრამ, მაგაზე არას ვინაღვლებდი, ოღონდაც მამაჩემი დამხვედროდა. ღვინო მომიტა, დედი, თუ გაქვს სადმე!

— როგორ არა მაქვს, შვილო. სულ გადამავიწყდა ეს ოხერტიალი.

დედამ თახჩიდან ხელადა და საფერავისფრად შეღებილი ჯამი გამოიღო. თვითონვე დაუსხა, მერე ჩამოჯდა და თვალებში მიაჩერდა შვილს, ხარბად რომ იყმიდებოდა.

გიგლამ ჯამი აიღო და დაღუპულთა შესანდობარი თქვა.

ისევ ცრემლები გადმოსცვივდა დედას, მოსახვევის ყურით შეიბერალა და სლუკუნით შეეკითხა, როცა გიგლამ ჯამი გამოცალა:

— მაინც როგორ გაეშვი, შვილო, იმ წყეულებს?

— ერეკლე მეფის კაცებმა გამომისყიდეს, — უპასუხა გიგლამ და ლუკმა როცა ჩაყლაპა, დაამატა: — ყარაბაღში გამყიდეს და იქ ჩა-

მოვიდნენ ერეკლე მეფის კაცები. ყველა სახანოში ჰყოლია დაგზავნილი და ქართველ ტყვეებს როგორც კი შეხვდებიან, მაშინვე ყიდულობენ. მარტო მე კი არა, ოცდაშვიდი სხვა გამოსყიდეს, რაც მე არ ვიცი, ის კიდევ სხვა არის.

ბიბლიოთეკა

— განა რამდენი დაგაფასეს, შვილო, გამოსყიდვისა რომ არ შეეშინდათ?

— ათი თუმანი გადაიხადეს.

— ფული რომ არა გვაქვს, საიდან მივცეთ?

— ფულს არავინ გვთხოვს. ახლა უკვე სამეფო ყმა ვარ და მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობა მევალება... შენცა ჭამე, დედი, თორემ გემოს ვერ ჩავატან.

— მე ისედაც მაძღარი ვარ, შენ რომ გიყურებ, მაგრამ ერეკლე მეფეს რა ეშველება, შვილო, მაგდენი ფულები რომ უხარჯია ტყვეების გამოსყიდვაში?

— ბედი ჩემი, სტამბოლში არ გამყიდეს, — განაგრძო გიგლამ და ჯამი შეავსო.

— ალბათ ღმერთმა გადმოგვხედა?!

— ღმერთმა კი არა, ერთი ქართველი ქალი იყო, ლეკთა ბელადის ცოლი, იმან მიშველა... ახმეტიდან გაუტაციათ, პატარა როცა ყოფილა. გაუზრდია ლეკთა ბელადს და ცოლად შეურთავს... იმან მიშველა და თანაც დამაბარა, თუ ღმერთმა საქართველოში დაგაბრუნა, ერეკლე მეფეს ეახელ და უთხარი, რომ ცუცამ გადამარჩინათქო. თვითონ ფატმა ერქვა და ესე რად დამაბარა, არ ვიცი.

— შვილები ჰყავს?

— ბევრი. ერთი ისეთი გოგო ჰყავს, სილამაზისგან თვალს ვერ გაუსწორებ... მეფეს გაუმარჯოს, დედი!.. ჩემი სიცოცხლე იმას ეკუთვნის და ნამუსი შემირცხვეს, თუ არ ვენაცვალო... ფატმამ მითხრა, ჩემი რჯულიცა და სალოცავი ხატიც მეფე ერეკლეაო. მართალია, ლეკებს ვამრავლებ, მაგრამ ჩემს შვილებსაც და შვილიშვილებსაც ჩავაგონებ, რომ ქართველები ძმასავით უყვარდეთო. ისინი თავიანთ შვილებს ჩააგონებენ და ისინი კიდევ — თავიანთ შვილებსო. ბევრი იტირა, როცა მაცილებდა. თვითონაც იტირა და მეც ამატირა. ჰოდა, აი, იმისთანა ერთგული ადამიანები უმრავლოს მეფეს!..

არც დედას და არც შვილს ძილი არ მიეკარათ იმ ღამეს.

ნერგი კეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეიდაბადში გორჯასპი მდივანმა, ერეკლე მეფის თანადგომით და მითითებით, ყაიბულას ნაქონ ნაბაღარში არნახული წალკოტი გააშენა. სარწყავი წყალი განჯის კარს ზემოთ, დაბახანის ხევიდან ჩამოიყვანა თიხის მილებით, კლდე გააჭრევინა და დიდძალი შრომა-ენერგია შეალია ამ საქმეს.

ბოლო ხანებში ერეკლემ ველარ მოიცალა მის მოსანახულებლად, ცალკე გამუდმებული ომებისა და ცალკე სახელმწიფო მშენებლობათა გამო. ამასობაში გორჯასპიმ მრავალი დასახარჯი დახარჯა და მშვენიერი სასახლეც ააშენა ბაღში. მერე თვითონვე ეახლა ერეკლეს და სთხოვა, დაეთვალიერებინა.

ერეკლე დაეთანხმა და წასვლა აღარ გადადო, რაკიღა ხვალინდელი დღის იმედი არ ჰქონდა.

ბაღის დათვალიერებისას დიდად გაიხარა მეფემ და საქები სიტყვებიც არ დაიშურა გორჯასპისათვის.

— მრავალი კეთილი ნერგი დაგირგავს, ჩემო, გორჯასპი, მაშინ უფრო დიდად შეგაქებ.

— გავახარებ, უთუოდ გავახარებ. ყოველი ნერგი მოვლას მოითხოვს. წყალი, საზრდო და მზრუნველობა თუ არ მოაკელ, ნაყოფს გამოიღებს. საამისოდ კი ათას სამასი მარტო მილი ვიყიდე, — უყვებოდა შექებით გამხნევებული გორჯასპი და მხარდამხარ მიჰყვებოდა კმაყოფილ ერეკლეს, — დიდი დასახარჯი დავხარჯე. აუარებელი კირი და ხე-ტყე დამჭირდა.

— დიდი თანხა დაგიჯდებოდა?

— ოცდათოთხმეტი თუმანი, ორი მინალთუნი და ორი აბაზი დამეხარჯა. უფასოდ რომ ხალხი დამეხმარა, ეგ კიდევ სხვა იყო... როგორც იყო, დავამთავრე, მეფეო, ეს დიდი სახათაბალო და თქვენი დალოცვაღა აკლია.

სეიდაბადის სასახლეში გემრიელად ინადიმა მეფე ერეკლემ. ისეთ კარგ გუნებაზე დადგა, რომ მეტეხის უბანში ამოვლისას ნალეკარ ანდრიასთან შეევლა მოისურვა, მთელი წლის მანძილზე რომ აღარ მოენახულებინა.

ანდრია შინ არ დახვდა. მისი მეუღლე, მშვენიერი ნინო აღტაცებით შეეგება მეფის მობრძანებას. ლოყები შეეფაკლა, ერთიორად განაზდა და გალამაზდა.

— ქმარ-შვილი სადა გყავს? — ჰკითხა ერეკლემ და ხელზე აკოცა. მერე უფრო ახლოს მიიზიდა და შუბლზე ეამბორა.

— ანდრია სართიჭალაშია, ურმებს აკეთებს, სოლომონი კი ბაღში თამაშობს — უპასუხა აღტაცებისაგან დაბნეულმა ქალმა და ბაღისკენ გასძახა შვილს.

— არა მცალია, დედა! — მოისმა ბაღიდან ბავშვის ხმა.

ერეკლეს გაეცინა ბავშვის პასუხზე და დააინტერესა, რას უნდა საქმიანობდესო ხუთიოდე წლის ყმაწვილი. ბაღში შევიდა და ძებნა დაუწყო. მალე იპოვა. აყვავებული ატმის ქვეშ იჯდა სოლომონი და რაღაცას ჩხირკედელაობდა.

მეფე თავს წაადგა, მაგრამ ბავშვს არაფერი გაუგია.

იდგა და იღიმოდა სახეგაბადრული ერეკლე. მერე დუმილი ვეღარ შესძლო და მკვეთრი ხმით მიესალმა:

— გამარჯობა, სოლომონ!

სოლომონმა კისერი მოიღრიცა და გაკვირვებით შეჰხედა. ერთხანს ვერ იცნო და ასე გაქანდაკდა.

— მეფის მობრძანებას რომ ყმა ვერ შეიტყობს, რას უნდა დავაბრალოთ, ჩემო სოლომონ?!. როგორა ხარ, კაცო?

ერეკლეს ხმის გაგონებაზე სოლომონი წამოხტა, ტალახიანი ხელები ძირს ჩამოუშვა და კაცის ტონით უპასუხა:

— კარგადა ვარ, მეფეო, თქვენი იმედი ნუ მომეშალოს!

ერეკლე განცვიფრდა ასეთი პასუხით, ბავშვთან ჩაიმუხლა, წვერით მიწას დაბჯენილი ხმალი ირიბად გააცურა და შუბლზე ეამბორა სოლომონს. მერე ატმისკენ გაიხედა და იქ კი ჩხირებითა და ლაფის გუნდებით გაკეთებული ფიგურები დაინახა.

— ეს რა არის? — შეეკითხა ერეკლე.

— ქვეყანაა.

— მართლა ქვეყანაა, მე და ჩემმა ღმერთმა! ეს ყოველივე შენ გააკეთე? — სოლომონმა თავი დაუქნია.

— ახლა რას აკეთებ?

— ქვეყანას ვუვლი.

ერეკლემ ისე გულიანად გაიცინა, რომ ბიჭსაც გაეცინა.

— აბა, როგორ უვლი?

— ეს საზღვარია და მტერი არ უნდა შემოვიდეს.

— ეგ ვინ გასწავლა?

— დედა მეტყვის ხოლმე, ერეკლე მეფე ქვეყანას უვლისო და მეც უნდა მოვუარო.

გახარებული ერეკლე ფეხზე წამოდგა და ბიჭიც ხელში აიყვანა, მაგრამ რაკი ხელშიჭერას თაკილობდა, ისევ ძირს ჩამოსვა და ნინოს მიუბრუნდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ბიჭმა უნდა გვასახელოს. მარტო ჩვენ კი არა, მთელ ერს ასახელებს, ეს ისეთი ნერგია.

ნინომ ღრმად ამოიოხრა და თვალები დახარა.

თიხის კაცებთან ჩაცუცქებულ სოლომონს მუქწაბლისფერი თმა ლომის ფაფარივით ჩამოშლოდა მხრებზე. ერეკლეს უზომოდ მოეწონა და მხრებზე მოუთათუნა ხელი, მერე ტუჩები ყურთან მიუტანა და თითქმის ჩასჩურჩულა:

— სოლომონ!

— რა? — ჩურჩულითვე უპასუხა სოლომონმა.

— შენა... ფაფარიანი ლომი ხარ?

— ჰოო, — გაუხარდა სოლომონს ასეთი შეკითხვა და ჩურჩულითვე განაგრძო: — შენა... ერეკლე მეფე ლომი ხარ?

სიხარულით გაოგნებული ნინო გულდასმით ისმენდა მათ თბილ საუბარს და ხმამაღლა გაეცინა ასეთ შეკითხვაზე. ბავშვმაც გულიანად გაიცინა. წამოხტა და მუხლებზე მოეხვია მეფეს.

სასიამოვნოდ დააბრკოლა სოლომონმა მეფე ერეკლე. ძლივსღა მოახერხა ბაღიდან გამოსვლა. დამშვიდობებისას ნინოს ისევ შუბლზე ეამბორა და სიტყვა დაუგდო:

ხვალ თუ მდევარში არ მიწია, ანდრია მეწვიოს სასახლეში: სახელო უნდა ვუწყალობო, რომ აქეთ-იქით წანწალი აღარ დასჭირდეს.

სანამ ეზოს გაივლიდა და ჭიშკარს მიაღწევდა, ყველაფერი გაახსენდა ერეკლეს. გაახსენდა ათიოდე წლის წინათ მამამ რომ უთხრა, შენმა ნალეკარმა, დავითო ჰქვია თუ ანდრია, ქორწილში დაგპატიჟაო. მაშინ ლეკის მდევარში მიდიოდა და ლეკებზე ისე იყო აღრენილი, გაგონება არ უნდოდა მათი სახელისა. მერე კი, როცა მოიცალა, თავადვე ინახულა, საჩუქარიც მიართვა და შეაქო კიდეც, უმშვენიერესი ქალი მოგიყვანიაო. აზატობა უბოძა და, როგორც გენებოს, ისე იცხოვრეო. ცხოვრობდა კიდეც, მაგრამ ხანი გავიდა და აღარ მოინახულა თავისი მეფე. მაშინ თვითონვე გადაწყვიტა ერეკლემ, სწვეოდა ანდრიას და მოენახულებინა მისი ახალმოსახლეობა. ანდრია შინ არ დახვდა. ერთიორად გამშვენიერებულმა ნინომ კი ტირილით გაანდო, ანდრია სტამბოლში ვაჭრებს გაჰყვა

და დაბრუნებას აღარ აპირებსო. იწყინა ერეკლემ და არდაბრუნების მიზეზი ჰკითხა. ნინო მეტისმეტად გულწრფელი გამოდგა და ტიტ-ტიკით განუმარტა, შვილი არ მიჩნდება და ამიტომ დამშვიდებულებში უშვილო ქალთან ცოლქმრობა სირცხვილად ითვლება და არ მინდა სირცხვილი ვჭამოო. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა მომიყვანა, თექვსმეტისა ჯერ ახლა გავხდი და მოთმინება აღარ ეყო, ეგების მეც გამჩენოდაო. ეს ისე ბავშვურად უამბო ნინომ და ისე მინდობით, ზღვარი ერთბაშად წაიშალა მეფეს და ყმას შორის. ერეკლე ერთბაშად ოცდაოდე წლის ჭაბუკად იქცა და ნინო კი ჰაეროვან ასმათად და მშვენიერ ლილედ გაერთიანდა, რომელთა ბავშვური სიყვარული სიბრალულად და ტკივილად ექცა.

ერეკლემ მაშინ ცთუნება დასძლია, წასვლა დააპირა, მაგრამ ქალი სავსე მკერდით მკერდზე მიეკრა და აჩურჩულდა: — მიშველე, მეფევ, გადამარჩინე!

სწორედ ისეთი ხმით ჩურჩულებდა, როგორც წელან სოლომონმა დაიჩურჩულა.

უშველა მეფემ, უშველა და გადაარჩინა. ეგებ დალუპა კიდეც, ჯერ არავინ იცის. ეგ კი არის, იმ დღის შემდეგ რამდენჯერმე კიდევ მოინახულა და ყოველი შეხვედრისას უზომო სიხარულს ანიჭებდა ახალგაზრდა ქალს. მერე სოლომონიც დაიბადა და ანდრიაც გამოჩნდა. ბიჭი თავისად მიიჩნია და გული დაიდო ოჯახზე. დღედაღამ ზრუნავს. ახლაც სართიჭალაში წასულა. ურმებს უწყობსო იქაურებს. ურმების კეთება ძნელი ხელობა არ არის და სხვებიც შესძლებენ. ამ მშვენიერი ქალის მარტოდ მიტოვება კი ბოროტებაა. ჯერ ოცდასამი წლისაც არ არის და უკაცოდ გაუჭირდება. სჯობია, გვერდით ჰყავდეს და აქ იმუშაოს სადმე. ცოტა იკმაროს და ნუ გახარბდება. არადა, წელან რომ ორი ჯამი კიდევ ჰქონოდა დალეული და არც სოლომონისა შეხათრებოდა... არა, ეგ არ მოხდება! კარგად ქმნა, რომ ანდრია დაიბარა. ჩარიცხავს თავის რჩეულ რაზმში და გვერდიდან აღარ მოიშორებს. ლაშქრად ერთად წავლენ და შინაც ერთად დაბრუნდებიან ეს თავის დარეჯანთან და ის თავის ნინოსთან.

ჭიშკართანღა იგრძნო ერეკლემ, სოლომონი რომ ფეხდაფეხ მისდევდა. მოუბრუნდა და ჰოი, საოცრებავ! ლევანია თუ სოლომონი? როგორც მაშინ ლილე და ასმათი ნინოში გამთლიანდა, ისე ახლა სოლომონი დაემგვანა ლევანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არა, წავიყვან, წავიყვან! — თითქმის დაიჩურჩულა ერეკლემ ანდრიაზე.

— წამიყვან? — გაუხარდა სოლომონს.

— არა, შენ არა, პატარა ხარ!

— წამიყვანე! — წინ გადაუდგა სოლომონი და ისევ საშინლად დაემსგავსა ლევანს.

— სად წაგიყვანო?

— ქვეყანას ერთად მოვუაროთ.

— როცა მოიზრდები, მაშინ წაგიყვან, — უზომოდ გაახარა ერეკლე სოლომონის გულითადობამ, ხელში აიტაცა და შუბლით რომ ველარ დაკმაყოფილდა, სახე დაუკოცნა, მერე დასვა და გაშლილ ბეჭებზე ხელი წაუთათუნა, — მანამდე მაგ შენს გაშენებულ ქვეყანას მოუარე!

ჭიშკართან გამოსულმა ნინომ მეფის ამალა შენიშნა მტკვრის პირას. თან გაამაყდა და თან დაირცხვინა.

— არ იდარდო! — უთხრა ერეკლემ ძლივსგასაგონად, — ანდრია გამომიგზავნე, როგორც კი გამოჩნდეს!

არა, აღარ ნახავს ნინოს! არასოდეს აღარ ნახავს! ანდრიას კი თავისთან იმსახურებს და ყოველდამ შინ გაუშვებს. ნინოსა და სოლომონს პატრონობა სჭირდება. სოლომონი კეთილ მიწაზე ამოსული კეთილი ნერგია და კეთილად აღზრდას მოითხოვს.

ნერგი კეთილი... ნერგი კეთილი.

* * *

თბილისის სასახლეში დაბრუნებულ ერეკლეს შერმაზან აფხაზი დახვდა თავისი ბიჭით. ლევანი და იულონიც იქვე დარბოდნენ წითელი ჩოხებით.

— ლევანს დავჭიდოთ! — გაუხარდა ერეკლეს მეგობართან შეხვედრა და მისი ლამაზი ბიჭის დანახვა.

— უფლისწულთან დაჭიდებას ჩემი შვილი ვერ იკადრებს, მეფეო, — მოკრძალებით გაუღიმა შერმაზანმა.

ერეკლე სამივე ბავშვს ერთნაირად მიესიყვარულა. ჩაკუნტდა და ერთხანს რაღაცას თათბირობდა მათთან და, როცა მათი სიყვარულით გული იჯერა, მაშინღა განმარტოვდა შერმაზან აფხაზთან. ბაღში გავიდნენ და სკამზე ჩამოსხდნენ.

— უსაქმოდ არ მიეხლებოდი. ალბათ კვლავ ლეკნი შემოგვმოვენ? — ჰკითხა ერეკლემ, როცა შინაური ამბების მოკითხვა დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლეკი ჯერ ყუჩობს, მაგრამ საეჭვო შეთქმულების სუნი მცემს, მეფეო.

— მაინც როგორი?

სათავადოების აღდგენას მოითხოვენ და მოურავობის გაუქმებას.

როცა ერეკლემ საპასუხოდ მაღლა აიხედა, ქვის კიბეზე ქანდაკებასავით მდგარი მეფე თეიმურაზი დაინახა, წვერდავარცხნილი და გვირგვინოსანი. ივი თითქოს ვერც ამჩნევდა მოსაუბრეებს და მტკვარს გაჰყურებდა.

გაგზავნის ელჩად. ჯარს გამოითხოვს. ურჩ თავადებს მოთოკავს, საქართველოს გააერთიანებს რუსთა დახმარებით... შეესევა სპარსეთს და თავდასხმის ხალისს დაუკარგავს კარგა ხნით. ამასობაში ერი მომრავლდება და ადვილად ველარას გაუბედავენ... ხალხი... ხალხი!.. მარტოდენ ქართველი კი არა, ხალხი უჭირს საერთოდ. როგორც კი შინაური საქმეებიდან მოიცლის, ჩაუხდება ყარაბალს და იქ გაქცეულ ბერძნებს, სომხებსა და თათრებს უკანვე ამოიყვანს.

უკეთუ გახვიდე ბრძოლად

აბდულა ბეგის ძე დავითი ქართლში ამოსულა და აბაშიძეებთან გიხმობსო, მოახსენეს რევაზ ამილახვარს.

რევაზი ავ გუნებაზე იყო და არაფრის გაგონება არ ეწადა. მით უფრო, აბაშიძეთა ხსენება არ გაუხარდა. მართალია, ნათიას დაღუპვის შემდეგ ვახუშტის ასული დაისვა მეუღლედ, მაგრამ იმდენი უსიამოვნება გადახდა, მოყვარედ კი არა მოსისხლე მტრად მიაჩნდა ვახუშტიცა და მისი სახლიკაცებიც. მით უფრო, საქვეყნო საქმეში არ გაერეოდა მათთან ერთად. პაატას სანდრობა გორის ციხეში გამომჟღავნდა. მისი ძმა ნიკოლოზი კი იმთავითვე ქვებუდანობდა და დასავლეთის აბაშიძეებთან დაძვრებოდა შემწეობისა და სახელოს საძიებლად. მხოლოდ მას შემდეგ შემობრუნდა, როცა მეფე სოლომონმა იმძლავრა თავადებზე და ხრესილთან კი ლევან

აბაშიძე მოკლა კიდეც. თანაც ქართლ-კახეთის მეფეებთან ურთიერთობა გააბა. შემობრუნდა, მაგრამ აქაც ეშმაკურ ფანდებს მიმართა და სხვისი ყმებით გამდიდრება მოინდომა. ამ დანაშაულზე რევაზი ადრევე წაასწრო და თეიმურაზის სპარსეთში ყოფნისას დაიჭირა კიდეც. ნიკოლოზმა დეიდაშვილი ადვილად დაარწმუნა, რომ ამილახვარმა სულ ტყულიად დამაპატიმრაო, და ერეკლე თავდებად დაუდგა: ახლა გაათავისუფლე და, როცა ხელმწიფე მამაჩემი სპარსეთიდან დაბრუნდება, სამართალს ის გააჩენსო.

მერე გივი ამილახვარმა შეარიგა: მაგისი მამის დიდი მეხათრე ვარ და ჩვენს შვილთა შორის შუღლი არ ეგებისო.

არა, არ წავა რევაზი აბაშიძეების სახლში. ეგეც არ იყოს, აბდულა ბეგის ვაჟბატონისა სუჯეროდეს თუ პაატა ბატონიშვილისა. აკი ამბობენ, ერეკლემ თვითონვე გამოითხოვაო პაატა ბატონიშვილი: ზარბაზნის მოხელე არა მყავს და მაგ საქმეში დამეხმარეო. აქედან წასვლის შემდეგ პაატას სამხედრო საქმე უსწავლია და ერეკლეს კი ძალიან ეჭირვება ასეთი კაცი. ჩამოვა, სამეფო კარს დაუახლოვდება და ვინ იცის, როგორ წარიმართება საქმე. სულაც რომ არაფერი იყოს, მაინც ხომ ეწყინება პაატას აბდულა ბეგის ძესთან რომ თანადგომაში ნახოს.

რევაზი იმ ოთახში შევიდა, სადაც ერთ დროს სპარსეთიდან დაბრუნებული მამამისის ვეება ლანდი დაბორიალებდა. ყოველთვის აქ ეგულებოდა გივი ამილახვრის უტეხი სული და მისგან მოელოდა რჩევა-დარიგებას..

ტახტის თავში ირანულ მაუდგადაკრული მუთაქა გაისწორა და თავი კი არა, ბეჭები დადო ზედ, თავი თითებითერთურთშიჩაწნული ხელისგულებით დაიკავა და ფიქრი ვანაგრძო:

ვერ გაუგია ვის მიენდოს და ვის — არა. დიმიტრი ამილახვარმა ისევ სალხთუხუცესობა მიიღო გივის სიკვდილის შემდეგ. ერეკლე-თეიმურაზს ამდენი აწყენინა და მაინც არ გაწირეს. დაუმოყვრდნენ კიდეც, მაგრამ დიმიტრის სულწასულობის ამბავი რომ იცის, მაინც არ მოისვენებს. ალბათ ახლა დიმიტრისაც მიიწვევდა დავითი. აბდულა ბეგმა რა მოუხერხა ერეკლეს და მისმა შვილმა რა უნდა შესძლოს, რიგიანი გულშემატკივარიც რომ არავინ ჰყავს. პაატა ბატონიშვილი კი დიდად განათლებული კაცია, თუ მართლა დაიახლოვეს სამეფო კარზე, ყველა საიდუმლოს გამოსტყუებს ერეკლეს, ზარბაზნებსაც ჩამოუსხამს და მისივე ქარხანაში ჩამოსხმულ ზარ-

ბაზანს მასვე შეუბრუნებს. თუმცა... რა ხეირს მოუტანს მისი გამეფება რევაზ ამილახვარს? სარდლობას მისცემს? სარდლობას ხომ ერეკლეც არ იშურებს. ხომ არ სჯობია, თავის კანში დუტიოს და მომავალს დაელოდოს?

რევაზი გულდაღმა დაბრუნდა, მუთაქა მკერდქვეშ ამოიდო, თაროდან „დაბადება" გადმოიღო და წინ გადაიშალა: ვნახოთ, რას ჩამაგონებსო:

„უკეთუ განხვიდე ბრძოლად მტერთა შენთა და მოგცნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან ხელთა შენთა, და წარმოსტყვევნო ნატყვენაი მათი. და იხილო შენ ნატყვენავსა მას შორის დედაკაცი კეთილქმნული, შეგინდეს შენ და გინდეს ცოლყოფა მისი..."

აბაშიძეებს ლამაზი ქალები ჰყავთ. რევაზის ცოლიც ლამაზია, მაგრამ... სჯობია, განუტევოს. სწორედ მაშინ შეუძლია, ყოველივე ისე იმოქმედოს, როგორც გაუხარდება.

გივი რომ კვდებოდა, რევაზს დაავედრა, არავის დაეჩაგვრინოო. შურით თუ ვინმე დედას შეგაგინებს, ეგ დალოცვაა, დაბრიყვებით არ უნდა შეაგინებინოო. ისიც თქვა გივიმ: ოდესმე ისევ აღმოვცენდები და სხვარიგად დავიწყებო ბრძოლას, შენ კი ერეკლეს ნუ განარისხებო. თუ უფრო მეტიც უთხრა. ბზარი აუბიო? მგონი, ასე ურჩია.

ხომ შეუძლია რევაზს, წამოდგეს ახლა, — რევაზმა ფეხები გადმოჰკიდა და ტახტზე ჩამოჯდა, — გასახლოს ჩოხა, შემოირტყას ქამარ-ხანჯალი, მოახტეს ბედაურს და ერეკლეს აცნობოს?: აბაშიძის დარბაზში აბდულა ბეგის დავითი შეთქმულებას გიწყობსო? ერეკლე განრისხდება და ერთიანად შემუსრავს ყველას, მაგრამ მაგით რას მოიგებს რევაზი? ერეკლე მეფობას განიმტკიცებს და ერს გააერთიანებს? რაში ეჭირვება რევაზს ერის გაერთიანება? ქართლ-კახეთის ერთად ყოფნამ რა მისცა და სხვა კუთხეების შემოერთებამ რა უნდა მოუტანოს? სჯობია, ყველამ თავისთვის იმოქმედოს და რევაზმა კი შორიდან უცქიროს. თანაც ერეკლე-თეიმურაზს ემსახუროს და ცხრამუხის მამულის წართმევაში დაიხმარიოს. აბაშიძეთა ქალს ხვალვე განუტევებს და ცრამუხას გამოითხოვს. ადრეც იყო ამაზე ლაპარაკი. ვახუშტი დაეთანხმა კიდეც მის მიცემაში, მაგრამ გივიმ არ ინდომა. ახლა კი...

რევაზი წამოდგა, წელში გასწორდა, ხალათი გაისწორა და ოთახში რომ გაიარა, ისევ მამა გაახსენდა, სპარსეთიდან როცა დაბრუნდა

ქართლის მოურავობის რაყამით. რა იქნებოდა, მამა რომ ნადირშაჰს არ გადასდგომოდა და ქართლი თეიმურაზისთვის არ დაენებებინა? ეგების საბოლოოდ ამილახვართა მეფობა დამკვიდრებულიყო ქართლის ქვეყანაში?

ოთახში ეკლესიის ზარის ხმა შემოიჭრა.

წირვაა, გაიფიქრა რევაზმა, ამას წინათ ცხინვალში შეყრილან სამივე ქართველი მეფენი. უბჭიათ და რუსეთთან ერთობლივი ელჩობა გადაუწყვეტიათ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სამივე მეფენი ერთდებიან და ერთ მიზანს ისახავენ? თუ ასეა, რუსეთისგან გადიდგულებულნი არა მარტო გარე მტრებს, თავადებსაც არაფრად ჩააგდებენ და უბრალო მოხელეებად გაიხდიან. ეს ელჩობა რომ ჭკვიანური საქმე იყოს, ათანასე ამილახვარს ვერვინ აჯობებდა. ისინი იქ უცდიან ხანსა და ჟამს და ჩვენ აქ უნდა დაველოდნეთ. მანამდე კი... იქნებ სჯობია, როცა ელჩობა რუსეთს გაემგზავრება, ლეკთა ბელადებს შეატყობინოს და... გასამრჯელოსაც არ დაიშურებენ.

რევაზმა ისევ „დაბადება“ აიღო. იგივე გვერდზე გადაიშალა და იგივე სტრიქონები მოხვდა თვალში:

არა, ცხრამუხას უთუოდ ხელში ჩაიგდებს. რაკი მოყვრები იყვნენ, აღარ იდავა. ახლა კი მოყვრობაზე ხელს აიღებს და ცხრამუხას უთუოდ დაისაკუთრებს, ცოლად კი უკეთესს იშოვის ვინმეს.

რბილ ფათებზე მოსიარულენი

უთენია გაეღვიძა ერეკლეს. დაესიზმრა, უცნაურად ბარდნიდა და ამან გააღვიძა. სარკმლიდან გარიჟრაჟის შუქი შემოჭრილიყო და ინდური, ვარდებიანი საბანი გაენათებინა. ერეკლემ მკლავები მაღლა ამოყო და ალისფერი, ფართოსახელოებიანი პერანგი გამოუჩნდა.

ხვალ თეიმურაზი უნდა გაემგზავროს რუსთა ქვეყანაში. დაიანგარიშეს და სამოცდაათზე მეტი მხლებელი გამოუვიდა. ეცადნენ, მაგრამ ვერ შეამცირეს. ორმოციოდე კაცი კიდევ სხვა იყრის თავს. ზოგი სავაჭროდ მიემგზავრება სხვადასხვა ქალაქებში, ზოგი — დაკარგული ძმისა თუ შვილის საძებნელად, ზოგი...

ერეკლემ ფიქრიანი თვალები სარკმელს მიაპყრო და ეზოში დაყვავილებული ნუშის ტოტი გაარჩია.

იმ გზით არ წავა თეიმურაზი, რომლითაც ვახტანგი წარემართა. ვახტანგს რაჭის გზით მოუხდა წასვლა, თეიმურაზი კი სტეფანწმინდას გადაივლის ლომისის ქედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულაც რომ არ წასულიყო, რა მოხდებოდა, მით უფრო, რომ ერეკლემ ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება ლეკებზე თუ თათრებზე? კიდევაც გაიმარჯვებს და კიდევაც დედას აუტირებს შემოსეულ მტერს, მაგრამ ყველა ურჯულომ თუ პირიპირს მისცა, ერთობლივად შეუტევენ და სამარადჟამოდ აღგვიან საქართველოს მიწას პირითგან. განა რამდენ კაცს შეუძლია იარაღის ტარება და დაჟინებითი ხმლის ქნევა დღითა თუ ღამით? ოცი ათასი? ორმოციც რომ იყოს, ყველას ომში ხომ ვერ გაიწვევ და ხვნა-თესვას ხომ ვერ მიატოვებ. არადა, რას შეაჭმევ იმდენ ჯარს, პური თუ არ გექნება? ორიოდე წლის წინათ რომ შიმშილი იყო, ერთი ასეთი შიმშილიანი წელიწადიც რომ დადგეს, უცხო ქვეყნებში განიბნევიან ქართველები. ცარიელ ქვეყანაში კი გინდ მეფე უწოდონ და გინდ — იმპერატორი.

ჰო, მართლა, როგორც კი თეიმურაზს რუსეთს გააცილებს, სოლომონ მეფეს დაიბარებს, განჯა-ყარაბაღს ჩაუხდება და იქ გაქცეულ ყმებს ამორეკავს. ეს ოხერი, ვერცხლის ფული მაინც საკმაოდ ჰქონდეს, აქეთ-იქით ნაპოვნი ტყვეები რომ მთლიანად გამოისყიდოს. ხაზინაში ფული აღარ არის და ხარჯი კი დიდია. რუსთა მეფე თუ თეიმურაზს ფულს არ გამოუყოფს, მშიერი დარჩება მისი ამალა.

ერეკლემ ყრუდ ჩაახველა, მკერდზე დაფენილი წვერი ოდნავ დაიტკეპნა, მერე ხელისმტევნები გადააჯვარედინა და მზერა ჭერს მიაპყრო.

რამდენი მეგობარი და ერეკლეს საყვარელი ადამიანი დაილუპა მის თვალწინ, ნათელი ეფინოთ მათ სულებს?! ზოგის სიკვდილს თვითონვე დაესწრო, ზოგისა აცნობეს, ზოგისამ კი კილოკავად მოაღწია მის ყურამდე.

ყვარლის ციხეს რომ ლეკნი შემოსდგომოდნენ, ერეკლე მაშინ ჯერ ქიზიყს ჩავიდა. ასიოდე გულადი ბიჭი გამოარჩია ციხეზე საიერიშოდ, ხუთასი კი ჭარში გაგზავნა სოფლების დასარბევად. ლეკნი რომ სოფლების დარბევის ხმას გაიგებენ, ციხეს მოეხსნებიან და დედა-წულს მიეშველებიანო. ჰოდა, ქიზიყიდან რომ ყვარელში ბრუნდებოდა, თუშთა რაზმი შეხვდათ, ერთი ტანდაბალი ბიჭის მე-

თაურობით. ერეკლეს რომ მიეახლა, ბიჭმა ჩაჩქანი მოიძრო და ახ-ლარბული თმა გამოუჩნდა. ვისი ხარო, ჰკითხა ერეკლემ და — გოდერძი სულაკაურისაო. ეს შეხვედრა ესე მწველად არ დაახსოვდებოდა, იმ ომში რომ ცოცხალი გადარჩენილიყო გოდერძის ბიჭი.

— ეგ კი არა, ფშაველი ბერუას ვაჟიც ლეკებთან ბრძოლაში დალუპულა და ორი პატარა ბიჭი დარჩენია. ამას წინათ ძაღლიკასთვის დაუბარებიათ, რად არ წაგვიყვანს მეფე ერეკლეო. რა უფლებით მოიკითხოს მეფემ, ძესახსენებელს ხომ არ გამოულევს საწყალ ბერუას?

უბედურება კიდევ ის არის, ვერ გაიგებ, ვინ მოყვარეა და ვინ — დუშმანი. გველი გარედან არის ჭრელი და ადამიანი — შიგნიდანო სიმართლე ყოფილა. ამას წინათ შერმაზან აფხაზმა რომ კახელ დიდებულთა შეთქმულების ამბავი აცნობა, ეგონა, საქმის შუაგულში ვამეხ ვაჩნაძე და თამაზ ენდრონიკაშვილის ვაჟები იქნებიანო, მაგრამ ენდრონიკაშვილების ნაცვლად საგინაშვილი და ვახვახიშვილები აღმოჩნდნენ. ადამიანები ისე არიან გასხვაპურებულნი, ვერას გაიგებ. ეგებ პაატა ბატონიშვილზეც ტყუილად იეჭვიანა, რუსეთს რომ გაუშვა. აქამდე ზარბაზნებს ჩამოუსხამდა და მტერი ველარას დააკლებდა. როგორც კი ჩამოვა, აღარსად გაუშვებს...

შუაკარიდან კატის ნაბიჯით შემოიპარა ლამაზმაქმანიანი და ნაქარგპერანგიანი დარეჯან დედოფალი.

— გღვიძავს? — დაიჩურჩულა და ფეხაკრეფით მიუახლოვდა მეუღლის საწოლს.

— უნდა წამოვმდგარიყავი და ფიქრმა გამიტაცა.

— სხვებზე ფიქრობ და მე გავიწყდები, — საბანი აუწია და გვერდით მიუწვა ერეკლეს.

— შენზეც ვფქირობ.

— არ ფიქრობ, — მკერდზე დააწვა დედოფალი, მერე თმა-წვერი დაუკოცნა და თვალებზე ეამბორა, — მაინც ბედნიერი ვარ, ყველაზე მამაცი ქმარი რომ მყავს.

— ყველა ქალს თავისი ქმარი ჰგონია მამაცი, — გაეღიმა ერეკლეს, — ხვალ მამაჩემი რუსეთს მიემგზავრება და ახლავე მინდა, ვეახლო, მრავალი საქმე გვაქვს, — შუბლზე აკოცა და წამოიწია.

— ნეტავი მამაშენი ანახანუმსაც თან წაიყვანდეს, — არ აუშვა დარეჯანმა ეშმაკური ღიმილით ჩახედა თვალებში.

— ქართლ-კახეთის დედოფლობა გსურს?

— რატომაც არა, — გულაღმა დაწვა დედოფალი, ერეკლეს მკლავი თავქვეშ აძოიდო და განაგრძო, — არ მიყვარს შენი დედინაცვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც მე მიყვარს, მაგრამ მეტი რა გზაა.

— არც მე ვუყვარვარ თამარსა და გიორგის. როდის უნდა გაათხოვო თამარი?

— დავით ყაფლანიშვილზე დავწინდავ ძალიან მალე. გიორგი კი...

— რა გიორგი?

— დღეს სამეფო ხმალი უნდა შემოვარტყათ გიორგის.

— როგორ თუ სამეფო ხმალი? — წამოჯდა დარეჯანი და უეცარმა გაბრაზებამ სახიდან კი არ შეშალა, გაალამაზა კიდეც. ისე გაალამაზა, რომ მეტი აღტაცებისაგან თვალები გაუფართოვდა ერეკლეს.

— ქართლის მეფობას აძლევს მამაჩემი. რად გაგიკვირდა?

— შენ ვინღა ხარ?

— კახეთის მეფე?

— ლევანი ვინღა იქნება.

— კახეთის მემკვიდრე.

— არ მინდა!

— ძმათა შორის შურს ნუ გააღვიძებ, ჩემო მშვენიერო.

სიტყვა „მშვენიერომ“ ოდნავ დაამშვიდა დარეჯანი და ისევ ქმრის მკლავზე დაუშვა ოდნავ ქერა და აბრეშუმის თმიანი თავი.

— ჩემს შვილებზე არ ფიქრობ. მე არ გიყვარვარ.

— ჩემი სანუგეშო ლევანის დედა რომ არ მიყვარდეს, არ შეიძლება.

— არც ლევანი გიყვარს.

— რატომ მაბრალებ მაგას?

— იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის მეფობას არ აძლევ.

— ჯერ მე ვარ მეფე. ანდა რვა წლის ბავშვს როგორ მივცემ მეფობას?

— თუკი გიორგის უნდა შემოარტყათ სამეფო ხმალი? — ხმამაღლა ეს თქვა დარეჯანმა და ბუტბუტით კი ეს დაამატა, — ვახტანგსაც შემოარტყით, მაგრამ...

— ეგ არ უნდა გეთქვა! — იწყინა ერეკლემ და თავქვეშიდან მკლავი გამოაცალა, რაკიღა ხმამაღლა ნათქვამზე მეტად ნაჩურჩულევი უფრო გაიგონა.

— არ ადგე! — მკერდით მიაწვა დარეჯანი და ისევ დააწვინა.

— რაც ძალიან მწყინს, ამას მაკადრებ? — უსაყვედურა ერეკლემ.

— შენც ხომ ამასვე აკეთებ. რატომ უნდა მისცე მეფობა გიორგის?

— ეგ ყოველივე თეიმურაზმა ინება ასე.

— თეიმურაზი წინ ვერ წაგივა. თუ მოინდომებ, ტახტსაც წაართმევ.

— მამას წავართვა? მეტი საუბრო კი არ გაუკეთებიათ რა კახთ ბატონიშვილებს: მამებსა და ძმებს ებრძოდნენ. მოყვარე გულშემატკივარი მოვიკვეთო და მტერს ჩავუვარდე?

— მტერს რად ჩაუვარდები, შვილებზე თუ იზრუნებ?

— შვილებიც მერმე მტრად მექცევიან. მამაჩემისთვის თუ ავს განვიზრახავ, ჩემი შვილები მეტს იქმნიან. ეგ არ უნდა გეთქვა! — მწარედ გააქნია თავი და დარეჯანის ფერხორციანობას თვალი აარიდა.

რა ბედნიერი იქნებოდა ერეკლე, ნალეკარ ანდრიას ცოლი რომ ჰყოლოდა მეუღლედ. რა ძალიან უყვარს იმ საბრალოს. სიტყვას თქმას ძლივს უბედავს და საყვედურს როგორ შეჰკადრებდა. ხელოსნის ქალიაო? საოუთი და უნაზესი სული ყველგან ყოფილა. მშვენიერი სოლომონი ხომ მთელ სოფლადა ღირს, ღმერთო, ხანი მიეცი და სასახლეში მალე გადმოიყვანს.

— ხომ ამიშენებ სასახლეს? — თითქოს ნაფიქრს მიუხვდაო დარეჯანი, რაკი მიხვდა, ერეკლე გავანაწყენეო, პერანგი გაუღელა და ფერება დაუწყო მკერდზე, — საქვეყნო საქმესა ხარ გადაყოლილი და ჩემთვის ნაკლებს ფიქრობ.

— ერეკლეს რაღაც ენიშნა დედოფლის ნათქვამში და ამოიოხრა.

— ხომ ამიშენებ, სადაც გითხარი. მეტეხითაც დაცული იქნება და აქედანაც პირდაპირ ეჩანება. აი, იქ! — წამოხტა პერანგიანი დედოფალი და სარკმლიდან გაიხედა.

ერეკლემ ისარგებლა დედოფლის ადგომით და ჩაცმა დაიწყო.

— არ ჩაიცვა. დაგანახვებ და ისევ დაწექი, — ისევ სარეცელთან მიიჭრა დარეჯანი, მაგრამ ერეკლემ იუარა: ალბათ, მეფე უკვე მელოდება, საქმეები გვაქვს გასარიგებელი და მერე კი ეკლესიაში უნდა წავიდეთო.

— დღეს საქეფო ხმალი უნდა შემოარტყას, არა, გიორგის.

— დიახ.

— ღმერთს შევთხოვ, რომ მამაშენი ცოცხალი აღარ დაბრუნდეს ბოდეს რუსეთიდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერეკლე გამტკნარდა. ხმა ველარ დასძრა და მარჯვენა მხარი აუტოკდა. დარეჯანმა იგრძნო, რომ ეს უკვე ერეკლეს დიდად გაბრაზების ნიშანი იყო და მაშინვე ფეხაკრეფით გაიპარა შუაკარიდან.

„ო, ეს რბილ თათებზე მოსიარულენი!" — გაიფიქრა ერეკლემ და ერთი რამ გაახსენდა: ეტყვის თეიმურაზს, რომ ვინც კი შეეკითხოს, რუსეთს გამგზავრების მიზეზად შვილთან ჩხუბი დაასახელოს. ეს უფრო ხელსაყრელი იქნება იმ შორეულ და უცნობ ქვეყანაში. მეფესაც უნდა ემარჯვებოდეს რბილ თათებზე სიარული, თუკი საჭიროა.

ყურმიდებით მოსმენილი ამბები

ამაოდ იარეს ალექსანდრე იესეს ძისა და დავით აბდულა ბეგის ძის კაცებმა. თანამზრახველნი ვერ გაიჩინეს და თათბირი არ შედგა. მოსმენით ყველამ მოისმინა, თითქოს შეპირდნენ კიდეც ხლებას, მაგრამ დათქმულ დღეს არვინ გამოცხადდა, თუმცა კახთ ბატონთა მოწინააღმდეგენი მრავლად იყვნენ ქართლში. თვით პაატა აბაშიძე, დიმიტრი ამილახვარი და ავალიშვილთა ერთი ჯგუფი, ზოგიერთი ციციშვილი, რომელნიც სარდალ ალექსანდრე ციციშვილის აღზევებით იყვნენ განაწყენებული. და თავიანთთვის ულირს სახელოს უჩიოდნენ. შანშე ერისთავის სახლიკაცებსა და ნაშიერებსაც მტრობა ჰქონდათ გულში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ხმის ამოღება. თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილოთა მოძებნა ამირეჯიბთა შორისაც შეიძლებოდა, თაქთაქიშვილებშიც და თარხნიშვილებშიც, მაგრამ მეფეთა უკანასკნელმა გამარჯვებებმა იმდენად შეაშინა ავისმზრახველი დიდებულები, მათ საწინააღმდეგო ენის დაძვრა ველარ გაბედეს.

საქმეს ისიც ართულებდა, იმ ხანებში საქართველოს სამივე მეფე ცხინვალს შეიკრიბა და ურთიერთდახმარების პირობა განაახლეს. თანაც სოლომონის ძმა არჩილს ერეკლეს ქალიშვილი ელენე შერთეს და ამით ნათესაური კავშირი დაამყარეს. ამიერიდან ერეკლეს მტრები სოლომონის მტრებიც უნდა ყოფილიყვნენ და ღალა-

ტის გამეფდავნების შემთხვევაში გასაქცევი გზა აღარ ჰქონდათ. მოღალატედ მიჩნეული თავადი მხოლოდ დაღესტანსა და სპარსეთ-თურქეთში უნდა გაქცეულიყო, რაკიღა რუსეთიც უკვე მამა-შვილს დაუჭერდა მხარს, როგორც კი თეიმურაზი საჩუქრებს ჩაუტანდა რუსთა ხელმწიფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარძელზე მიწოლილმა პაატა აბაშიძემ, რომელსაც ფეხი ფეხზე შემოედო და თვალი ჭერისთვის მიეშტერებინა, მოურიდებლად დაამთქნარა, დამწვეტებული, მოკლე ულვაშისწვერები აიგრიხა, რითაც თითქოს მიმინოს დაემგვანა და ფეხზე წამოდგა:

— არ მოიწყინოთ, სადილის თადარიგს დავაჭერინებ და დავბრუნდები.

დერეფანში თავის უმცროსი ძმა ნიკოლოზი დახვდა, ისიც ულვაშდამწვეტებული და სუფთად წვერგაპარსული. უფროს ძმაზე ერთი ციდით დაბალი და საადრეოდ მხცაშერეული.

— შედი დარბაზში და შუაკარს აეკარი! — უჩურჩულა პაატამ, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და თვითონვე შეიპარა დარბაზში. მცირე ხნის შემდეგ კი თელის კართან ჩაცუცქული ორივე ძმა გულდასმით იხმენდა ბიძა-ძმისშვილის საუბარს.

— რევაზის მოუსვლელობა არ გამკვირვებია, რაკიღა ამ სახლისგან განაწყენებულია, — ამოიოხრა ალექსანდრე იესეს ძემ.

— რით არის განაწყენებული?

— ვახუშტის სიცოცხლეშივე წაიკიდა ეს ორი სახლი. შემდეგ ვითომც დამოყვრდნენ და ამათი და შეირთა რევაზმა, მაგრამ ამ დამოყვრებას იმდენი უსიამოვნება მოჰყვა, დღესაც იმუქრებიან გულჯავრიანი ამილახვრები.

— თუ ასე იყო, არც უნდა დაგვებარებინა. — უპასუხა აბდულა ბეგის ძემ.

— დიმიტრიც აღარ მოგვემხრობა. მაგისი ვაჟი ანახანუმის ელისაბედზე დაწინდეს და მტკიცედ დამოყვრდნენ.

სიჩუმე დამყარდა კარგა ხანს. ის იყო, წასვლას აპირებდნენ, დარბაზიდან რომ ოხვრა მოისმა:

— ამბობენ, პაატა ბატონიშვილი მობრძანდებაო. ალექსანდრე ბაქარის ძესაც აქეთ მოუწევს გული და გიორგიც ცოცხალია.

— ქართლის ტახტი ერთია და რომელს ნებავს აბრძანება? — იკითხა აბდულა ბეგის ძემ.

ალექსანდრემ გაიცინა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ტახტი ერთია და მეფედაც ერთი აბრძანდება.

— წავალ, ბიძაჩემი.

— სად წახვალ?

— იოანე ირბელიანთან.

— ის უკვე მდივანბეგი აღარ არის და რა შეუძლია?

— აზატ ხანთან დაგვეხმარება.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. აბაშიძენი სმენად გადაიქცნენ, მაგრამ სუნთქვის გარდა ვერა გაიგეს რა. ბოლოს კი ალექსანდრე იესეს ძემ ამოიღო ხმა:

— აზატ ხანს თუ კარი გავუღეთ, თავად მიისაკუთრებს ქართლის ტახტს.

— აზატ ხანს მხოლოდ სპარსეთის ტახტი ნებავს. ქართლის ტახტს კი ერთ-ერთ ჩვენგანს დაუთმობს და შემწედ იგულვებს სპარსეთთან ბრძოლაში.

სულაც არ ესიამოვნა პაატა აბაშიძეს მათი ეს ნათქვამი. ხომ არ აჯობებს, მოახტეს ქურანს და ეს ყოველივე ერეკლეს აცნობოს. მაშინვე გულს გაისწორებს დეიდაშვილზე და საკადრის პატივსაც მიუზღავს. საქმე ის არის, რომ ერეკლეს პატივს არ საჭიროებს პაატა. მის დეიდაშვილს მთელი ქართლ-კახეთის მისაკუთრება სურს და თავადებს ყმებს არ ანებებს. არადა, რით შეუძლია ბატონს უჩრუნველი ცხოვრება: ლაშქრობით თუ მარტოდენ ხვნა-თესვით?

— ზოგჯერ ვიფიქრებ, შევურიგდე-მეთქი და ჩემს მამულში დავსახლდე... — დაიწყო ალექსანდრე იესეს ძემ, — მაგრამ ერეკლეს სმალი მისანდო არ არის. ჩემი ძმა ანტონი რომ ასე გაიმეტა, მე რა კარგს დამაყრის?!

აბაშიძე მიხვდა, რომ ალექსანდრე ფეხზე წამოდგა და ბრაზის დასაოკებლად გაიარ-გამოიარა, — ჩემი ძმაც სულელია!.. მას შეუძლია კახ ბატონებს სულაც წაუხდინოს საქმე რუსეთის კარზე, მაგრამ კვლავაც ერეკლეს სახელს მისტირის... ესრე როგორ დაიმონა ამ მამაძაღლმა?!

იქნებ სჯობია, პაატა აბაშიძემ ორივ შეიპყროს, მაგრად გათოკოს და ერეკლეს მიჰგვარის? მაგრამ, ვაი, თუ ერეკლემ მათი ღალატი არ ირწმუნოს და მახვილი აქეთ შემოუბრუნოს? ნიკოლოზი დაიმოწმოს? მელამ თავისი კუდი დაიმოწმაო. სხვა იხმოს ვინმე? ერთხელ ნათქვამს ხომ მეორედ აღარ გაიმეორებენ? თუნდაც ირწმუნოს ერეკლემ და ორივენი სიკვდილით დასაჯოს, პაატას რა შე-

ემატება? სამეფო კარზე მიიწვევს დიდვეზირად? პაატა აბაშიძეს თავის გემოზე გატარებული ორი დღე ურჩევია ერეკლე-თეიმურაზის დიდვეზირობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბდულა ბეგის ძემ რაღაც დაილაპარაკა, მაგრამ აბაშიძეთან სიტ-ნას ვერ მისწვდა. სამაგიეროდ ალექსანდრე იესეს ძის ნათქვამი გაიგონეს:

— ეგ შენი აზატ ხანი ერთხელ უკვე მაგრად მოჩეჩქვა ერეკლემ.

— მაშინ რომ მამაჩემი გვერდით ჰყოლოდა, ვერ მოჩეჩქვავდა.

— ვერც მამაშენი იქცეოდა გონივრულად. ამას ვერ ფიქრობდა, რომ უჩვენოდ ვერას გახდებოდა.

აბდულა ბეგის ძემ საპასუხოდ მხოლოდ ჩაახველა და იესეს ძემ კი ასე განაგრძო:

— ალბათ, იფიქრა, ქართლის ტახტში შეეცილებოდით? იმდენი კი ვიცი, რომ უფროსს ეკუთვნის მეფობა.

არ გაუხარდა აბდულა ბეგის ძეს ბიძის ნათქვამი: უფროსს ეკუთვნისო. გამოდის, რომ, თუნდაც აზატ ხანი დაიყოლიოს ერეკლეს წინააღმდეგ, მას არავინ დაანებებს ქართლის სამეფოს.

— რად დაიგვიანეს აბაშიძის ვაჟებმა? — კარგა ხნის დუმილის შემდეგ იკითხა აბდულა ბეგის ძემ.

— ეგების აქვე სხედან და გვზეერავენ?

— მაგას არ იკადრებენ: რაინდული ხალხია.

— ამ ცხოვრებაში ყოველივეს კადრულობენ. ჩვენ ახლა მხოლოდ ორნი ვართ, ხომ იცი?

— ალექსანდრე ბაქარის ძე?

— ეგ არ ითვლება.

პაატას გაეღიმა. იცოდა, რომ ბაქარის შემდეგ ალექსანდრე ბაქარის ძე იყო მეფედ ნაკურთხი. სჯობია, ისევ ბაქარის ძეს დაუჭიროს მხარი, ვიდრე გათათრებული იესეს ჩამომავლებს. ბაქარის ძე ხომ მისი ღვიძლი ბიძაშვილია და ესენი კი... ერეკლეც ხომ მისი ღვიძლი დეიდაშვილია და ესენი კი...

პაატამ ძმას ანიშნა, აქვე დარჩიო, და თავად კი ფეხაკრეფით გაიპარა.

ეგებ სჯობია, მოახდეს ცხენსა და... მაგრამ თბილისამდე დიდი გზაა და ბარე ათჯერ გადაიფიქრებს. მანამდე კი არც ესენი ისურვებენ გაჩერებას, რაკი მის გაუჩინარებას შეიტყობენ.

ეზოში გასვლამ და გაზაფხულის მზის დანახვამ რატომღაც

ტრფიალის ხასიათზე დააყენა პაატა აბაშიძე. კარგი იყო, ნინო რომ მონასტერში არ გაემწესებინათ. თუმცა ნინო ახლა უკვე მოტეხილი იქნება და მოახლე გოგოები კი... პაატა აბაშიძემ ლოხიერად გაიზმორა და შინამოსამსახურე გოგოების სამყოფელისკენ გაემართა.

ᲨᲘᲨᲘ

— მეშინია, — ცახცახით ეხუტებოდა ქალიშვილი.

— ნუ გეშინია, აქ არა ვარ?

— შენ რომ ხარ, მაგისი მეშინია. ლეკებმა არ მოგიტაცონ.

— ვერ მომიტაცებენ. მაშინ პატარა ვიყავი, როცა მომიტაცეს, — გიგლამ ხანჯლის ვადა შეათამაშა და მკლავთან ქალიშვილის თბილი მკერდის შეხება იგრძნო.

— არ გინდა, სულ ასე ვიაროთ?

— მინდა... ხვალ ხომ მიშველი კალოს გალეწვას?

— გადმოვალ. კევრი მზადა გაქვს?

— რაც კოხი ეკლდა, დღეს მოვკოხე. ზოგიც გამოეუცვალე. კალოს გალეწვა თუ იცი?

— მაგას რა უნდა. დილითვე ჩავუშლი ძნასა და, როცა მზე მოფიცხდება, კევრს მაშინ შევაბამ. ხარიგამოშვებამდე ვისრიალებ და მერე ცხენს გადავაყენებ.

— ქცევა არ უნდა?

— ვუქცევ კიდეც ხანდახან.

— მერე?

— მერე არნადით შევახვავებ და, როცა საღამოს ნიავი წამოვა, გავანიავებ, ცალკე ხვავი იქნება, ცალკე — ჩელხი, ცალკე — ბზე და ცალკე კიდე — ბრე.

— მამაჩემის ცხენი გამოვცადე და მშვენივრად იარა. დავსხდებით კევრზე და... როგორ გადმოხვალ, დედაჩემის რომ არ შეგრცხვეს?

— დედაშენს დავუძახებ, გამარჯობა-მეთქი, მეტყვის, გაგიმარჯოსო. ვკითხავ, როგორა ბრძანდები-მეთქი? მუხლები აღარ მომდევსო. ვეტყვი, კალოზე უნდა გიშველო-მეთქი და ის კიდევ მეტყვის, მაგაზე როგორ შეგაწუხოო. მაშინვე შემოვვარდები და ცხენის სადავეს გამოგართმევ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სადავეს არ მოგცემ. წელზე ხელები შემომხვიე და უკანიდან მომიდექი... მერე რას გეტყვის დედაჩემი?

— არ ვიცი.

— ჩვენთან დარჩიო, გეტყვის.

— მაგას არ მეტყვის. ვაიმე, ის რა მოდის?!

— ნუ გეშინია, შენთანა ვარ.

— ჩემთან რომ ხარ, იმიტომ მეშინია.

ის რაღაც შავი, რომელმაც ვარდო შეაკრთო, გვერდით გადახტა და ქვემოთ დაეშვა.

— ძაღლი ყოფილა, — თავისუფლად ამოისუნთქა გიგლამ და კვლავ თბილი და სასიამოვნო შეხება იგრძნო იდაყვთან. ერთხანს ენა დაება და ხმის ამოღება ვერ მოახერხა. მერე კი, როგორც იყო, ამოახველა და: — აგე, თქვენი სახლი!

ვარდო წასვლას არ აპირებდა. გიგლამ იყუჩა და:

— ვარდო!

— რა?

— რომ გითხრას, დარჩიო, დარჩები?

— არ ვიცი... მეშინია, მარტო როგორ უნდა წახვიდე. ლეკებმა რომ კიდევ მოგიტაცონ?

— ვერ მომიტაცებენ-მეთქი. აი, ხანჯალი.

ქალიშვილი სიბნელეში ხანჯალს ხედავდა, მაგრამ გიგლას სახეს ვერ უყურებდა და ეს აბედვინებდა ლაპარაკს.

სახლი გორაზე იდგა. სახლის გვერდით ტყემლისა და მსხალ-პანტის ხეები იყო. იმის იქით — ბუჩქნარი და ტყიანი. სახლიდან ოდნავი სინათლე მოპუტავდა და ეს აძლევდათ იმედს. უკანაც გიგლაანთ სახლი ჩანდა კარგა მანძილზე. იმის აქეთ — მაღალი ფშატისა და კაკლის ხეები. სახლში, მართალია, მხოლოდ გიგლას მუხლებქარიანი დედა იჯდა, მაგრამ მაინც უზომო იმედი იყო. ამ საღამოს თითისტარის სათხოვნელად გადავიდა ვარდო და, რაკი ბინდი იწყებოდა, დედამ უთხრა, გააცილეო. გიგლამ გააცილა, მაგრამ გოგოს სახლთან რომ მივიდნენ, ვარდომ უთხრა, მეშინია, ლეკებმა არ მოგიტაცონო, და უკანვე გამოაცილა. მერე გიგლამ გააცილა, მერე ისევ ვარდომ გამოაცილა და ამასობაში დავახშმდა კიდეც. ახლა, მგონი, უკვე მეხუთედ გამოაცილა გიგლამ.

— რამდენ შვილს გააჩენ, როცა გათხოვდები? — ჰკითხა გიგლამ მოულოდნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენსაც ჩემი ქმარი მეტყვის.

— ჩემმა ცოლმა ხუთი ბიჭი მაინც უნდა გამიჩინოს.

— ხუთი ბევრია.

— ერეკლე მეფეს უკვე შვიდი თუ რვა შვილი ჰყოლია. ერთი მოჰკვდომია და სულ იმაზე დარდობსო.

— მე რომ მომიკვდეს, თავს მოვიკლავ... ვაიმე, ის რა არის?! — გაახედა სოფლის ბოლოსკენ.

— ალბათ ნარიყია.

— ნარიყი დღისით არ იყო და საიდან გაჩნდა? ლეკი იქნება ან მგელი.

— მგლის თვალები ვარსკვლავივით ანათებენ ღამეში. ალბათ სახედარი წევს შუაგზაზე.

— ხუთი შვილი რად გინდა? — გულში ჩარჩა ვარდოს წელანდელი ნათქვამი.

— ხუთი ბიჭი მინდა. ჩემი პაპისა და მამა-ბიძების სახელებს დავარქმევ. მეხუთეს კიდევ... ერეკლე მინდა დავუძახო.

— ერთი ბიჭი რომ გეყოლოს?

— ილიას დავარქმევ. მერე ის გააჩენს ჩემს მამა-ბიძებს. მინდა, რომ ყველანი გავაცოცხლო.

— ეგ როგორ?

— იმათი სული ხომ ცოცხალია და სხეულიღა აკლია. მივლენ და ჩასხდებიან თავიანთ სხეულებში.

— ხომ შეიძლება, შენი ცოლი უშვილო გამოდგეს?

— ეგ არ მოხდება, — შეცბუნდა გიგლა.

— რომ მოხდეს?

— სხვა ცოლს მოვიყვან.

— იმ პირველს თავს დაანებებ?

— დავანებებ.

— მართლა?

— მართლა.

— არ მინდა!.. დამანებე თავი და ხმა აღარ გამცე! — აფშრუკუნდა ვარდო და გაქცევა დააპირა, მაგრამ გიგლამ მაჯაზე ხელი სტაცა და, რომ არ გასხლტომოდა, გულზე მიიკრა, — გამიშვი... გამიშვი!.. — გაიბრძოლა რამდენჯერმე, მაგრამ, რაკი ვერ გაეშვა, მინებდა და გაიტრუნა. მერე გიგლას ტუჩები მოძებნა, დაეწაფა და მუხლები მოეკვეთა.

— არ წაიქცე!.. არ წაიქცე!.. — გიგლამ აღარ იცოდა, ხელებზე მისვენებული ქალიშვილისთვის რა მოეხერხებინა, ვიდაცის მძლავრად დაქნეული მათრახი რომ ბეჭებზე მოხვდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ, შე ძაღლიშვილო!.. გახდი მეფის ყმა და ბატონისა აღარ გეშინია?!.

ქალიშვილი ერთბაშად გამოფხიზლდა და ფეხზე წამოხტა. გიგლას კი ერთხანს თვალთ დაუბნელდა და წელში ძლივსღა აიმართა. აიმართა და, სანამ მაღლა აშართული ხელი მათრახს მეორეულ დარტყამდა, ხანჯალი იშიშელა და მარჯვედ შეაგება, რათა არ დამკრასო, მაგრამ ბატონმა ღონიერად დარტყმის ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ხანჯალზე დაეგო.

— მომკალ, შე მამაძძ... აღღ... — უკანასკნელი ბგერა ხრიალად გადაექცა და ცხენიდან გადმოვშვა.

არ შეებრალა გიგლას, რაკიღა მამაც უხსენა, ხანჯალი გამოაძრო, განზე დაიჭირა და დაელოდა, როდის ჩამოვარდებოდა ცხენიდან.

— მოკვდა? — დაიჩურჩულა ვარდომ აკანკალებული ხმით.

— მგონი, მართლა მოკვდა, — შეშფოთდა გიგლა, მაგრამ გონს მალე მოეგო და: — უნდა გავიქცეთ!

პირველი სიცივე

მესამედ ეახლა მეფე თეიმურაზი ყიზლარის კომენდანტს. მანამდე ორჯერ წერილობით აცნობა და ორჯერ თავად მიბრძანდა კომენდატურაში, რათა გასაგებად მოეხსენებინა, რისთვისაც მიემგზავრებოდა იმპერატორის კარზე. ჩვენი წინაპრები ქრისტეანთა მეფედ და მბრძანებლად რუსთა იმპერატორს სახავდნენ და მის სათაყვანოდ თავიანთი ქვეყნიდან რუსეთს მიემგზავრებოდნენო, არწმუნებდა თეიმურაზი მეფის მოხელეებს, და მეც აღვძარ წადილი ჩემი, რომ ღირს ვიქმნა ხილვისა ყოვლად განათლებულისა სახისა მისის იმპერატორების დიდებულობისა, რათა თაყვან ვცე ღირსეულადო, მაგრამ კომენდანტმა გენერალ ფონ ფრაუენდორფმა და არც ფისი მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა დე ბოგსბერგმა ყურად არ ეღეს მცხოვანი მეფის თხოვნა და ღაღადისი, რაკიღა საიმპერატორო კარიდან და საგარეო საქმეთა კოლეგიიდან მიღებული ბრძა-

ნების თანახმად, თეიმურაზიცა და მისი ამალაც დროებით უნდა შეეჩერებინათ კარანტინისა და სხვადასხვა მიზეზთა მოშველიებით, რათა მთლიანად გაეგოთ ქართველი ელჩობის რუსეთს გამგზავრების ნამდვილი საბაბი. ამასობაში კი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ჯაშუშები ჩამოვიდოდნენ, ვითომცდა გამცილებლად და ყოველივე საიდუმლოს დასცანცლავდნენ ქართლ-კახეთის სამეფოთა წარმომადგენლებს.

— არა, დმერთი არა რევებულა ქართველი კაცის გაჩენაში, — ამოიოხრა თეიმურაზმა, როცა საკომენდანტოს კარიდან კვლავ ხელმოცარული დაბრუნდა მისთვის სამადლოდ მიცემულ მიწურ სადგომში, პირფირი მოიხსნა, გლეხურად გაჯორკნილ, გაბუნებულ-ხალიჩიან ტახტზე მიაგდო და თავადაც მოწყვეტით დაეშვა იქვე.

— სომხები ამბობენ, ჯერ კიდევ არ გაუშვებენო თქვენს მეფეს, — ამოიხვრითვე უპასუხა ალექსანდრე ციციშვილმა.

— ჩემი სარდალი, — თავი აიღო თეიმურაზმა და ფიქრიანი თვალები ალექსანდრეს მიაპყრო, — ეგების ჩვენც ისეთივე შეცდომას ჩავდივართ, რაიც სულმნათმა ვახტანგ მეფემ ჩაიდინა.

ციციშვილი საპირისპირო ტახტზე ჩამოჯდა, სადაც იესე მაჩაბელი იჯდა, მხრები არწივივით ჩამოყარა და არა უპასუხა რა. მცირე ხნის შემდეგ კი მარცხენა წარბი, ერთადერთი მხცა რომ ჰქონდა გამოჩრილი, მაღლა აზიდა და თავი გააქნია:

— არა...

— შენ რაღას მეტყვი, ჩემო გატანჯულო იესე?

— რასაც ციციშვილი მოგახსენებს, — ზღვისფერი თვალები მიაპყრო მაჩაბელმა, მაგრამ მალე დახარა.

— ვინც რომ პასუხის გაცემას იტვირთავს, დასაბუთებაც უნდა შეეძლოს, — ჩაფიქრებით და დამარცვლით განაცხადა თეიმურაზმა.

— მეფე ვახტანგმა ქართლის ქვეყანა უმწეოდ მიატოვა, მეფეო, — ხელების მტვრევით წამოდგა მაჩაბელი და, პასუხი რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო, მტკიცე ნაბიჯით გაიარა მიწურ ოთახში, — შენ კი ისეთი ლომი დატოვე, არა თუ ქართლ-კახეთი, განჯა-ყარაბაღი და ერევან-ყაზახიც თავს უკრავენ.

— მართალია, — დასტური მისცა ტახტის ბოლოში სკამად დაგდებულ კუნძზე მჯდარმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა და კომენდანტურის პასუხით მოწოლილი ბოღმა ძლივს გადაყლაპა. სალიუტით დახვედრა-გაცილებას მოელოდა და მეფეს კი, მესამე თვეა, აქ აყურ-

ყუტებენ და მიწურ სახლში ათენ-აღამებინებენ. თფუი, მაგათი სტუმართმოყვარეობა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს გამომგზავრების წინადღე გაახსენდა, კარის ეკლესიაში რომ მარტოდ შევიდა, ხვთიშობლის ხატს ეამბორა, ერეკლეს უვნებლობა შესთხოვა, მუხლი მოიყარა და ცრემლი დაღვარა. მერმე ყოვლისმძლე წმინდა გიორგის დაავედრა, მარად გვერდს ეახელ და შემწედ ექმენო მეფე ერეკლეს. გამგზავრების დღეს კი უთენია გაიპარა ანჩისხატის ეკლესიაში, მარტოს უნდოდა, სანთლები დაენთო და იქ კი პატარა კახი დახვდა, ღვთიშობლის ხატის წინ მუხლზე დაცემული. ისე იყო ლოცვით დაქანცული და გაოგნებული, რომ, ვერც კი გაიგო ხორციელის შესვლა და ბუტბუტს განაგრძობდა. მამის მშვიდობით წაბრძან-წამობრძანებას ავედრებდა ღვთიშობლის ხატს... ნეტავი რად უნდა მამას სიცოცხლე, უკეთუ შვილი უვნებლად არ ეყოლება. ღმერთო, წარსტაცე ულირს თეიმურაზს ღონე და სიცოცხლე, თუ თავისი პირმშო და თავისი ხალხი უვნებლად არ დახვდება!

— ვახტანგ მეფის შეცოდება ის იყო, ყველა სწავლული რომ რუსეთს წაიყვანა, — მდივანბეგის გამოტანილი განაჩენივით განაცხადა ალექსანდრე ციციშვილმა და ნახევრადბნელში მდგარი მაჩაბლისაკენ გაიხედა.

— მეც იგივე ვქმენი, როცა ანტონ კათალიკოსი წავართვი ერეკლეს და ახლა კი თქვენი თავი გამოვარიდე.

— ჩვენ სამი-ოთხი ვართ და...

— სამოცდაათი ვართ. ერთგული კაცი კი რატო ათას კაცს არ უდრის მეფისთვის.

— სხვა გზა არ იყო, მეფეო, — ამოიოხრა მაჩაბელმა.

— ბნელში ნუ დგეხარ, ნათელში გამოდი! — დაიხვნეშა თეიმურაზმა და, როცა მაჩაბელი ისევ ტახტზე ჩამოჯდა, დაამატა, — ეგებ ჩვენ ყველანი ბნელში ვართ და ნათელში კი მარტოდენ კათოლიკენი არიან?

— მაგას რად ბრძანებთ, მეფეო? მართლმადიდებლობა პირველია ციხქვეშეთში.

— როგორ ვირწმუნო, რამეთუ პირველი მართლმადიდებელი ვინც მეგონა, მცნება შეიცვალა? ვისიც მჯეროდა, იმან უარჰყო და, ვინც არ უარჰყო, ისინი არ აღმოჩნდნენ ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი.

— რატომ, მეფეო? — შეჰკადრა ციციშვილმა.

— როგორ გგონიათ, მართლმადიდებელნი არიან ეს წუპატები, გვირგვინოსან ქრისტეან მეფეს რომ დაპირებებით ამოვლებენ ყელში წაჭერილი ლოდინის საბელით ახრჩობენ ნელ-ნელა?.. მაინც მოვითმენ, მაგრამ...

— უაზრონი და უგონონი ყველგან არიან, მეფეო, — ანუგეშა მაჩაბელმა, — ეგების იმპერატორს ჯერაც არ გაუგია ჩვენი აქ დაბანდება. გავგზავნოთ ვინმე და შევატყობინოთ.

მეფეს ენიშნა ასეთი რჩევა და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ განაცხადა:

— შიო ტუსიისშვილს დამიძახეთ!

მაჩაბელმა კარი გააღო და მსახურს მოლარეთუხუცესი შიო ტუსიისშვილის მოხმობა დაავალა. მერე უფრო გამხნევდა და მეფეს მიუბრუნდა:

— მეფიქრება, რომ იგივე ქართველები გვიშლიან ხელს გამგზავრებაში.

— დიახ, მეფეო, ვახტანგ მეფის მომხრენი, — ბოლმა ამოხეთქა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა.

მართლაც ხომ შეიძლება, ასე იყოს. იმპერატორი კი არა, კანცლერი კი არა, გენერალ-გუბერნატორი კი არა, მოსალოდნელია, ვახტანგის შვილები და შვილიშვილები უშლიან ხელს და მათ არ სურთ თეიმურაზის რუსეთს ჩასვლა, რაკიღა ეშინიათ, ხელისუფლებას განიმტკიცებსო და ქართლის ტახტს საბოლოოდ ჩამოგვაცილებსო?.. ისინი ხომ თეიმურაზის მეფობას ჯერაც არ სცნობენ და ქართლის დედოფლად ბაქარის მეუღლე ანა მიაჩნიათ, ტახტის მემკვიდრედ კი — ალექსანდრე ბაქარის ძე? ეგებ სჯობია, თეიმურაზმა წერილი მისწეროს და ალექსანდრე ტახტზე მოიწვიოს? ამით ხომ ერთბაშად დაინტერესდება და ყოველ ღონეს იხმარს თეიმურაზის გზის გახსნისათვის. იქამდე თუ ჩააღწია კი... კანცლერსაც ეახლება, იმპერატორსაც წერილს შეუგზავნის და სათქმელს მიაწვდენს... მაგრამ, ვაი, თუ მისი წერილი ხელზე დაიჭვიონ და მაშინვე ქართლის დაპატრონება განიზრახონ? მაშინ რა პასუხი გასცეს ირაკლის?.. სხვას დააწერინებს წერილს. დიახ, დიახ, სანდო კაცს ვინმეს მიაწერინებს და მერმე იმ სხვის წერილს ადვილად უარჰყოფს თეიმურაზი. იტყვის, მე არ დამიწერინებია და ვერც შევასრულებო ამ დაპირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზმა დიდხანს იფიქრა და არჩევანი პაპუნა გაბაშვილზე შეაჩერა. პაპუნა ახლოსაა ბაქარიანთ ხალხთან და ყოველივეს ეცოდინება ჯერებენი.

— პაპუნა გაბაშვილი მიხმეთ! — ბრძანა თეიმურაზმა.

იმ საღამოს კი პაპუნა გაბაშვილს ასეთი წერილი დააწერინა ალექსანდრე ბაქარის ძესთან:

„ღმერთმა ჩემი ხელმწიფის ძის ჭირი და სატკივარი მათ ფეხთა მიწამტვერს მუდამ თქვენს მლოცველს პაპუნას მისცეს. მერმე ეს მოვახსენოთ ჩვენს მოწყალე ხელმწიფესა, ყიზლარის ყაზახში მეფე თეიმურაზ მობრძანდა. იქ ვიახელ და ადარ გამიშო, თან მიახლა. მეფეს თეიმურაზს და მეფეს ერეკლეს ასე ურჩევიათ, თუ ღვთის ნებაათ ან ალექსანდრესიო და ხელმწიფის დასტურსაც იშოვნისო, ხელი მოკიდეო და წამოიყვანეო. თავის ქართლს უპატრონოსო. იქავ წიგნი დაუწერიათ და დაუბეჭდავთ და თან მააქს. სარწმუნო იყავით. ახლა თქვენ იცით თქვენი მანდა.

ცოდვილი მონა პაპუნა გაბაშვილი ბედნიერს კალთას კოცნას მოგახსენებსთ და თავს გიკრავთ ჩემო ხელმწიფევ."

როცა პაპუნამ წერა მოათავა და წაუკითხა, თეიმურაზი ფიქრმა წაიღო.

და მერმე, როცა პეტერბურგს ჩავა, ვახტანგის ძენი და შვილიშვილნი ეახლებიან და დაელოდებიან, წიგნს გვიბოძებსო. რა წიგნი უბოძოს თეიმურაზმა? რით დაამტკიცოს პაპუნას წერილის სიმართლე? არადა, თვალებში როგორ შეხედოს ცოლის ნათესავთ?.. ძნელია მეფობა! კაცმა ყოველივე უნდა იტვირთოს. ეგებ სჯობდა, რუსეთს წასვლის მიზეზად ერეკლესთან ჩხუბი და ექსორიობა დაესახელებინა, როგორც ეს ერეკლემ ურჩია. მაშინ ალბათ გაუხარდებოდათ კიდეც რუს მოხელეებსაც და ვახტანგის ქართველებსაც. ახლა კი დიდებულთაც აეჭვებთ და წვრილ მოხელეთაც თეიმურაზის ამგვარი ელჩობა. წყალობის თხოვნა არც იმპერატორს გაახარებს და არც — კოლეგიას. ჰოი, რამდენი შეცდომა ემართება კაცს! გაფრენილ სიტყვას კი ველარ დაიჭერ. ახლა თუ ჰკითხვენ, რუსეთის რად მიდიხარო, ეტყვის, შვილმა ტახტიდან გადმომაგდო და იქ უნდა ვიცხოვროო.

— შიო ტუსიისშვილი წაიღებს ამ წიგნს, — ბრძანა თეიმურაზმა, — შენ კი ჩემთან დარჩები.

თეიმურაზმა იფიქრა, რომ მარტოდენ გაბაშვილის წერილი საკ-

მარისი არ იქნებოდა რუსეთში მცხოვრები ქართველების გულის მოსაგებად და ორი წერილი თავად დაწერა. ერთი ბაქარის ქვრივ ანა დედოფალს მისწერა და მეორე — ბაქარის ვაჟებს: ალექსანდრეს, რომელთაც სთხოვდა, დახმარებოდნენ ტუსისშვილს თეიმურაზის ელჩობის პეტერბურგში გაშვების საქმეში.

„თქვენი და მაგ ქვეყნის ხილვა გვსურსო, — სწერდა ანა დედოფალს მეფე თეიმურაზი, — ახლა ამჟამად ჩვენი კნიაზი მოლარეთ-უხუცესი შიოშ გამოგვიგზავნია, ვინცა ვინ დიდებულნი ქართველნი ბრძანდებიან მანდა და წიგნი გვიახლებია ყველასთვის. ამას მოველით თქვენის დიდებულებისაგან: მაგ ქვეყნის უცნობო არის და რომელიმე საქმით თქვენ და თქვენი ძენი და ძმანი და საყუარელნი ჩემნი ღვთის ყოვლად მოწყალის მადალის ხელმწიფის ხილვა ღ. თაყვანისცემა ადრე მეღირსოს...“

ამ წერილებს ერეკლეს მიერ თბილისიდან გამოგზავნილი წერილიც მიუმატა თეიმურაზმა და შიო ტუსისშვილს გაატანა რუსეთშ ,.

მერე კი, როცა მარტო დარჩენა ინება, გააჟრჟოლა და გულში უცნაური სიცივე იგრძნო.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲕᲚᲔᲑᲘ

გაფრინდი ქვიშხეთს და აბაშიძეებს აცნობე, ერეკლე მეფე მობრძანდება და თოფებით დახვდით-თქო! — ღიმილით დაავალა მეფე ერეკლემ თავის მალემსრბოლს, ცხრამუხას რომ მიუახლოვდნენ.

მალემსრბოლმა გაკვირვებით შეხედა მეფეს.

— რად გიკვირს? ვიცი, შედლუხს გამიმართავენ და თადარიკი დაიჭირონ.

— გასაგებია, მეფეო, — მოშვლეპული ქუდი სწრაფად დაიდო თავზე და ცხენს ქუსლი ამოჰკრა.

ასეთმა ცნობამ შეშფოთება გამოიწვია მასპინძლებშიც. ერთურთს ვერმიხვედრის ნიშნად მიაჩერდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ ერეკლეს შემონათვალზე. თუ თოფებით დახვედრა მტრობას მოასწავებდა, რადად იტყობინებოდა წინასწარ? ვითომ შედლუხი? ერეკლეს შედლუხი არიდეს მოუთხოვია დეიდაშვილებისგან. ალბათ შეიტყო, შეთქმულების მოსურნენი რომ მათთან იმყოფებოდნენ და აბაშიძეთაგან მათდამი მხარდაჭერას გულისხმობდა თოფებით დახვედრაში. მაინც რა მოხდება, რომ მართლა თო-

ფებით დაუხვდნენ? თეიმურაზი რუსეთშია თავისი ერთგული კაცებით და ერეკლე კი აქ მხოლოდ მცირეოდენი ამალით მოდისო. ხომ შეიძლება, ჯარი შეყარონ აბაშიძეებმა და... მაგრამ რომელმა რომელი გაუმხილოს? პაატამ— ნიკოლოზს თუ ნიკოლოზმა — პაატას? ან იქნებ სჯობია, ბატონიშვილთაგან მოსმენილი დაწვრილებით ჩაუკაკლონ, მაგრამ ახლა უკვე გვიანია, თუ უკვე გაიგო. ეტყვის, რატომ სასახლეში არ მომახსენეთო.

როგორც ღმერთს ნებავს, ისე მოხდება ყოველივე.

— შევხვდეთ დეიდაშვილს, — გაუღიმა პაატამ, მაგრამ მაშინდელმა სილამ ლოყა აუწვა და ჭმუნვის ღრუბელმა გადაუარა.

— შევხვდეთ! — გამხიარულდა ნიკოლოზი, — გიორგი უფლისწული თან მოჰყოლებია და, ხომ იცი, ზაქი უნდა დავუკლათ.

— ჩემი თავი ენაცვალოს გიორგის! — ღრუბელი გაფანტა პაატა აბაშიძემ და ბრძანა, მეფისთვის საკადრისი სუფრა გაემზადებინათ.

ამასობაში ქვიშხეთის სასახლეს მეფე ერეკლეს ამალა მოადგა და აბაშიძეთა ჭიშკარი ფართოდ გაიღო.

— რაც დეიდა მიიცვალა, აღარ ვყოფილვარ და ძალიან მომნატრებია აქაურობა, — თქვა ერეკლემ, როგორც კი მისალმება-მოკითხვა მოათავა და ნიკოლოზს გადაულაპარაკა: — ჭადრაკი დააწყე, ნიკოლა, დიდი ხანია, აღარ მითამაშია.

სანამ მსახური ხეივანში ჭადრაკს მიართმევდათ და ნიკოლოზი ფიგურებს დააწყობდა, პაატა აბაშიძე უფლისწულ გიორგის ესიყვარულებოდა და სილამაზე-ახოვანებას უქებ-უდიდებდა.

ერეკლე და ნიკოლოზი ხეივანში დასხდნენ ჭადრაკის სათამაშოდ, სხვები კი აქეთ-იქით მიეფარ-მოეფარნენ. ზოგნი საჩიხეებს ათვალიერებდნენ, სადაც აბაშიძეებს აუარებელი ნადირ-ფრინველი ჰყავდათ, ზოგნი ამწვანებულ ბაღში შევიდნენ, ძალიან შინაურებმა კი საკუჭნაოს მიაშურეს, ეგების სადილის მომზადებამდე პირი გაეისველოთო.

— რამდენი ხანია, რაც შენთან ჭადრაკი აღარ მითამაშია? — მარმარილოს მაგიდასთან დაჯდომისთანავე ჰკითხა ერეკლემ და სპილოს ძვლის ფიგურები ხელახლა დააწყო თავისთვის.

— შვიდი იქნება, — წარბი აჭიმა ნიკოლოზმა იმის ნიშნად, რომ ხომ არ მეშლებაო.

— მეტია.

— გიორგიმ შენი დეიდის ოთახში შესვლა ინება და ძველი ნიე

თების დათვალიერება. მეც ვეახლები, — მოახსენა პაატამ და, რო-
გორც კი ერეკლესკან თავის ქნევით დასტური მიიღო, მაშინვე გა-
ბრუნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბოლო თამაშიდან ის მახსოვს, სამჯერ რომ მაჯობე და გაგე-
ქეცი, — თქვა ნიკოლოზმა და ძირსდავარდნილ ლაზიერს დაეწო-
და: — ესეც იმის ნიშანია, რომ მალე დამაშამათებ.

რა მყუდროდ დარჩნენ ერეკლე და ნიკოლოზი. ხომ არ უთხრას, ალექსანდრე იესეს ძემა და მისმა ძმისშვილმა რაც ითათბირეს? მაგრამ, ვაი, თუ უთხრას, რატომ ეაშინვე არ მეახელიო და მკაცრად დასაჯოს?

— ქალაქში რა ამბავია, მეფეო? — ჰკითხა ნიკოლოზმა.

— როცა გამოვედი, მშვიდობა იყო, მაგრამ ახლა რა მოგახსე-
ნო, — ერეკლემ მეფის პაიკი დაძრა.

— ამბობენ სტამბა გააკეთესო, მაგრამ არ მინახავს. — საპასუხო
სვლა გააკეთა ნიკოლოზმა, — სემინარიაც გაგიხსნიათ...

— ეგ ძველი ამბებია. სემინარია უკვე თელავსაც გავხსენით... მაგ მხედარს ნუ ითამაშებ, თორემ ახლავე დაგაშამათებ.

— ოჰ, ეს რას ვთამაშობდი?! — შუბლზე ხელი იტაცა ნიკو-
ლოზმა, — აკი გითხარი, მალე დამაშამათებ-მეთქი.

— სპილენძის ქარხანა გახსნესო. თეატრსაც აშენებენო.

— ეგ კარგი სვლაა, — მოუწონა ერეკლემ, — თეატრის აშენება
დიადაც მენება, მაგრამ ათი ბევრი ფული უნდაო. იტალიაში მყავდ-
ნენ ხუროთმოძღვარნი გაგზავნილნი. უბრალო თეატრი კი, რა ხანია, მუშაობს სამეფო კარზე.

— ათი ბევრი? — გაიკვირვა ნიკოლოზმა და, რაკი ერეკლემ ისე-
თი სვლა გააკეთა, საწინააღმდეგო ვერაფერი მოუძებნა, ხელები
მუხლებზე დაიტყაპუნა, ეითომდა გაკვირვების ნიშნად.

— შეიძლება არც ეყოსო. ერთი ქალაქის ფული სჭირებია რი-
გიანი თეატრის აგებას. მომავალს დაველოდნეთ... მაგას ნუ თამა-
შობ! რა გემართება?!

— ფული და ფული! — ამოიხვნეშა ნიკოლოზმა უფრო იმიტომ,
რომ გონიერული სვლა გაუბნელდა.

— ფული რომ მქონდეს ჩემი ნიკოლა, პირველად რეგულ ჯარს
შევქმნიდი და საზღვრებს შემოვარტყამდი. მერმე მოვდგებოდი და,
რაც მენება, იმას ავაშენებდი ქვეყნის შიგნით.

— შენი ქვეყანა ააშენა, მეფეო, მაგრამ ჩემს მეფეს, მგონი, სხვა-
გან წასასვლელი აღარ გააჩნია.

— თქვენს ხელში ჩავარდნილი მეფე ნიადაგ საბრალისია, ჩემო ნიკოლა, — უპასუხა ერეკლემ და თავადვე აჩვენა გამოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მახვილად მოძებნით ხოლმე გამოსავალს, მეფეო.

— ერთხელაც იქნება, გაებმება შენი მეფე და ვეღარ მოძებნის.

— ყველაზე უკეთ ვინ თამაშობს ჭადრაკს, მეფეო?

— გივი ამილახვარი თამაშობდა და ანტონ კათალიკოსი. რევაზიც კარგად თამაშობს, მაგრამ ადვილადა ვძლევ.

— მუხრანბატონი იოანე?

— იოანეც ძლიერი იყო. დავით სარდალიც კარგად თამაშობს.

— უკვე სარდალია დავითი?

— ახლალა ვუწყალობე ეგ სახელი.

— სიძე ბატონს მეტიც ეკადრება. ხომ კარგადა მყავს ჩემი თამარი?

— გმადლობთ, მაგრამ ახლა კი უკვე ვეღარსად წამივა შენი მეფე, — დააშამათა ერეკლემ.

— კიდევ დავაწყოთ, მეფეო, თეთრებით მემარჯვება.

— დავაწყოთ, ნიკოლა!

— ამბობენ, მეფე თეიმურაზი ისევ ყიზლარში დგასო, — ნიკოლოზმა ივივე სვლა გააკეთა, რითაც პირველ პარტიაში ერეკლემ დაიწყო.

— ასეა, ჩემო ნიკოლა, — სხვა სვლით უპასუხა ერეკლემ.

— მაგას არ ველოდი, მეფეო, — ერეკლე მიხვდა, რომ ეს პასუხი სვლას შეეხებოდა, მაგრამ კაცს შეიძლება, მეფე თეიმურაზის შეჩერებაც ევულისხმა ამ „არ ველოდეში“ და ასეთივე ორჭოფული პასუხი მისცა:

— ერთი და ივივე სვლით ომს ვერ მოიგებ, ჩემო ნიკოლა.

— მაგას შენზე ამბობ თუ რუსთ ხელმწიფეზე?

— ორივეზე და საერთოდ ყველაზე. მეფე ვახტანგი პატივითა და შედეგებით მიუღიათ, თეიმურაზი კი — ცივად და გულგრილად.

— ძალიან მოულოდნელი სვლაა.

— მეც ამიტომ ვარჩევ მოულოდნელობას, — ნიკოლოზის სვლას კიდევ უფრო მოულოდნელი სვლა შეაგება და, რაკიდა ლეიდაშვილს სვლა გაუძნელდა, დაამატა, — ჩემთან თამაში არც ისე იოლია, როგორც ჰგონიათ.

— იოლი კი არა, შეუძლებელია, — ამოიხვნეშა ნიკოლოზმა.

— იფიქრებენ. დიდხანს იფიქრებენ და ბოლოს მაინც სვლას

გააკეთებენ. ამბობენ, აბაშიძენი მხარში უდგანანო აბდულა ბეგია და იესეს შვილებს?

— ტყუილია, მეფეო! — სწრაფად უპასუხა ნიკოლოზმა. — ... მაშინვე ინანა, პასუხის მიცემაზე რად აეჩქარდიო.

მოთამაშეებთან პაატას საყვარელი მეძებარი მივიდა და მუხლზე მიესუნსულა ერეკლეს. მეფემ ყავისფრად დაბწკინებულ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ძაღლების მოვლა კარგი იცის.

ნიკოლოზმა მორიგი სვლა გააკეთა და ეკონა, მეფემ ვერ შენიშნა:

— ეგეც მართალი ბრძანებაა. შენი თამაშის რიგია, მეფეო. — მერე იყუჩა და, — სანადიროდ წაბრძანებას ხომ არ ინებებთ? — ჰკითხა უფრო იმიტომ, რომ საუბარს სხვა ხასიათი მიეცა.

— ყარაიაზე ვაპირებ წასვლას, თბილისს რომ ჩავალთ.

— გვიახლე, თუ საჭირონი ვართ.

— საყვარელ დეიდაშვილებს მუდამაც ვიახლებ, მაგრამ... — მეფემ კიდევ ერთი მოულოდნელი სვლა გააკეთა და სიამოვნებით გაიტაცუნა თითები.

ნიკოლოზს თვალები გაუფართოვდა. ასე უყურა ერთხანს წინგასულ ლაზიერს დამცველი რომ არსაიდან უჩანდა და უთუო სიკვდილი მოელოდა. ბოლოს სიხარულმა სახე გაუბადრა, რაკი დაასკვნა, მეფე დაუცველი დარჩაო, და სწრაფად აიყვანა პაიკით.

— შამათი, დეიდაშვილო! — დააშამათა ერეკლემ.

— ერთხელ კიდევ დავაწყოთ!

— აღარ გინდა, ნიკოლა! — მუხლზე დაბჯენილ იდაყვს ნიკაპით ჩამოეყრდნო ერეკლე, — აი, შენ წელან მითხარი, ტყუილიაო, მაგრამ...

არ დავიწყებია ამ კაი კაცს! სიმართლით უთხრას ყოველივე თუ?.. მაგრამ ერთხელ ხომ უთხრა, ტუყილიაო, და ხომ არ გადათქვამს?

მაინც დაუწყო ნიკოლოზმა ფიგურებს დალაგება.

სასახლიდან გიორგი გამოვიდა.

— უმშვენიერესი მემკვიდრე გყავთ, მეფეო. ალბათ სროლაშიც მარჯვეა?

— ტყვიას ბეჭედში აძვრენს.

— აბაშიძეთა სისხლმა იცის, — თქვა ნიკოლოზმა და, რაკი

ერეკლეს გაეღიმა, დაამატა: — თუმცა მეფე ერეკლეს ნატყორცნს დღემდე ვერაფერი შეედრება.

— რაც სიქველე სჭირს, აბაშიძეთა სისხლის წყალობაა და რაც ნული გულღრძუობა, ბაგრატიონთაგან მოსდგამს, — თქვა ერეკლემ.

— არა, მეფეო.

— აბა, მაშ, პირუკუ ხომ არ არის?

— არც ეგა მჯერა. უფლისწულს ნაკლი არ გააჩნია და მაგაზ ვერ ვკადრებ.

— მამავ-ბატონო, როცა სათავადოები გაუქმდება, საქართველო გაერთიანდება და ყოველივე მეფის ხელთ გადავა... — დაიწყო გიორგიმ და ნიკოლოზს მეფეზე შეეყინა ხელი. გიორგიმ იგრძნო, რომ რაღაც დააშავა და გამოსწორებას შეეცადა, — აბაშიძეთა მამულს მაინც ხელს ვერავინ ახლებს, შენი დეიდაშვილები არიან და ჩემი ბიძები.

— მე არ შევეხები, შვილო, მაგრამ, ვინც საქართველოს გაერთიანებას შეეცდება, დეიდაშვილობა და მამიდაშვილობა უნდა დაივიწყოს. ეგ იმიტომ, რომ თავად ივიწყებენ ნათესაობას და მტრის ბანაკს რჩებენ... დააწყე ერთიც! — მიუბრუნდა ნიკოლოზს.

ნიკოლოზმა უხალისოდ განაგრძო ფიგურების დალაგება და უხალისოდვე დაილაპარაკა:

— ჩემთან არავინ ყოფილა, მეფეო, და პაატასთან — არ ვიცი.

— ის მაინც გეცოდინება, ვისი იმედი აქვთ? — წარბებქვემოდან ვახედა ერეკლემ და ხელი ლაზიერზე გაუჩერდა, — თუ მაგასაც არ მეტყვი...

— არ ვიცი... აზატ ხანს ახსენებენო.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — გულიანად გადაიხარხარა ერეკლემ, ფეხზე წამოდგა და მტკიცე ნაბიჯით გაიარა: — სიძე-ბატონი... ასეც ვიცოდი, რომც არ გეთქვა. გმადლობთ, ნიკოლა! აზატ ხანიაო? ხა, ხა, ხა, ხა, ხა!...

გულისტკივილი

შიო ტუსისშვილის პეტერბურგს გამგზავრების შემდეგ კიდევ დიდხანს დააბრკოლეს მეფე თეიმურაზის ამალა ყიზლარში. გაუსაძლისი სიცხე და ხვატი მძვინვარებდა ყიზლარის სანახებში.

ღამ-ღამობით თეიმურაზს გული ეფერებოდა ხოლმე და ბოყინი

დასჩემდა. თუ არ ამოაბოყინებდა, სულს ველარ ითქვამდა. ყელი თანდათან დაუჭკნა და პირ-სახეზე სიყვითლე მიეჭარბა, მაგრამ ხალისი არ წართმევია. ყოველ კვირას და ზოგჯერ დღეშიც ეახლებოდა ხოლმე გუბერნატორს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს და დაჟინებით არწმუნებდა რუსეთში მისი გამგზავრების აუცილებლობაზე. ბოლოს კი იმ პირობაზეც კი დაეთანხმა, ოღონდ გაგვიშვით და საკუთარი ხარჯით წავალთო. არადა, სირცხვილი იყო უკან გაბრუნება. რას იტყოდნენ მტრები? ხომ მაშინვე აიშლებოდნენ, რაკიღა რუსეთისგან უმწეოდ მიტოვებულს დაიგულებდნენ. ბოლოს და ბოლოს, თუნდაც მართლა მოწყალებისთვის მიდიოდეს, დიდსულოვან მართლმადიდებელს ხომ უფლება არ გააჩნია, კარი არ გაუღოს? ეს ხომ სახელს უტეხს არა თუ მეფეს, თვით ქრისტესაც.

თეიმურაზი თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი იქყოფნის ამბავი უკვე მოეხსენებოდა ხელმწიფე იმპერატორსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ისიც გულგრილად ექცეოდა ქართველი მეფის თხოვნას. მაშ, ვის მიმართოს, ხელს ვინ გაუმართავს, თუ არა რუსი ხალხი?

იმ სალამოს დაღლილი კი არა, გადაქანცული და ფერგამკრთალი დაბრუნდა მეფე. სიცხის მიუხედავად, ოთახში ჩაიკეტა და მარტყოფის მოურავ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილსა და სარდალ ალექსანდრე ციციშვილთან გამარტოვდა.

— დაისვენე, მეფეო! — ურჩია ქაიხოსრომ.

— არას გვარგებს სიმძიმილი... — დაუდასტურა ციციშვილმა.

— ოღონდაც, ჩემო სარდალო, მაგრამ... — მხრებჩამოყრით დაჯდა თეიმურაზი და სარკმელზე ანიშნა გააღეო. ღმერთსა მადლი, რომ წინა დღეს შეუცვალეს ოთახი და უკვე იატაკზე უხდებათ სიარული. ფანჯარაც უფრო მოზრდილი აქვს და სუნთქვა შეიძლება, — მე ამას ვდარდობ, რად არ შემიძლია, ჩემი მართალი ხმა რომ ხელმწიფე იმპერატორს მივაწვდინო. მეექვსე თვეა, აქ ვყურყუტებთ და ძაღლადაც არავინ გვაგდებს.

— თავს ზემოთ ძალა არა გვაქვს, — დაიხვნეშა ქაიხოსრომ.

ალექსანდრემ სარკმელი გააღო და მორყეულ სავარძელში ჩაჯდა, რომელიც ალბათ თვით ყიზლარის გუბერნატორის ნაქონი იყო და გუშინწინ მოეტანათ თეიმურაზისთვის.

თეიმურაზმა საყელო გაიღელა (ეტყობოდა, სული ეხუთებოდა) და კედელს მიჰყუდა ზურგი:

— მე მიმავალი ვარ და მცნებად დაგრჩეთ: საქართველო უმე-

ტესად ეჭირვება რუსეთს, ვიდრე რუსეთი — საქართველოს. ვინც ამას ვერ ხედავს, ბეცია და სხვა არაფერი.

ამ ნათქვამს არა უპასუხეს რა და თეიმურაზი მიხვდა, რომ ეს დაუჯერეს,

— მკითხავთ, რადაო? თუ რუსეთს ევროპასა და აზიაში ფართოდ გასვლა უნდა, ზღვები ეჭირვება და ზღვებს კი ისე იოლად ვერ ჩაიგდებს ხელთ, თუ საქართველოს მოციქულებს გულგრილად შეხვდება.

არც ამაზე უპასუხეს რამე.

— ეგების ფიქრობთ, კასპიაზე გავაო? თუ საქართველომ ხელი არ გაუმართა, ვერც ამას შესძლებს.

— ასე, რომ ვახტანგ მეფეს ყოველივე სწორად უფიქრია? — გაბედა ალექსანდრემ.

— ვინ თქვა, არაო? — მუთაქა მიითრია თეიმურაზმა და იდაყვით დაებჯინა, — რუსებს რომ ვახტანგისთვის მიენდოთ კავკასიის საქმის მოგვარება, სულ სხვარიგად წარიმართებოდა საქმე. პეტრე... პეტრე არა მხოლოდ რუსებს მოუკვდა... — თვალები დახუჭა თეიმურაზმა.

— მოისვენებდით, მეფეო!

— ასე მირჩევნია. თქვით რამე, თქვენმა მზემ!.. გონიერი მეფე დიდი განძია არა მხოლოდ თავისი ქვეყნისთვის, მეზობელი ქვეყნებისთვისაც.

— თქვენ რომ მოგანდონ კავკასიის საქმის მოგვარება, რას იტყვი, მეფეო? — ჰკითხა ქაიხოსრომ.

— მე რომ მომანდონ? — გამოცოცხლდა თეიმურაზი და იდაყვზე წამოიწია, — მაგაზე არას ვიტყვი. ირაკლის მიანდონ და ის მოუვლის. ო, რა დიდებულად ეხატება კავკასიის სვე-ბედი რუსთა მეგობრობითა და მხარდაჭერით. — თეიმურაზმა ისევ პატარა ბალიშებზე მიდო თავი და თვალები დახუჭა.

— მოისვენე, მეფეო, აღარ შეგაწუხებთ, — დაიჩურჩულა ციცოშვილმა.

— არ წახვიდეთ. მითხარით რამე! გველირსება თუ არა აქედან გასვლა?

— გასვლა გველირსება, მაგრამ... — აღარ დაამთავრა ქაიხოსრომ.

— ხელმწიფემდე მიმიშვებდნენ და იმისთანა ამბავს მოგახსენებ, გულზე მიმიკრას.

ქაიხოსრომ სიბრალულით გადახედა თვალდახუჭულ ფერწასულ მეფეს, რომელიც თითქოს მიცვალებულს წააგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ წამოიწია, თითქოს სულის მოთქმა გაუძნელდა, ერთხანს იწვალა, როგორც იყო, ამოაბოყინა და ისევ თავისუფლად ამოისუნთქა.

— აქიმი ხომ არ მოვიყვანოთ?

— ყოველივე გამივლის. კაი ხანია, რაც ეს სნეულება მჭირს.

— გადაღლის ბრალია, მეფევ... ზედმეტად დარდობთ, — შენიშნა ციციშვილმა.

ოთახის კარი ფრთხილად გაიღო და მსახურმა შემოიხედა, მეფე ერეკლეს წერილიაო.

— ახლავე შემომიტანეთ! — წამოჯდა თეიმურაზი და ერთბაშად გამოცოცხლდა შვილის სახელის ხსენებაზე.

„მერმე აქაურ ამბავს იმას მოგახსენებ, მოკითხვის შემდეგ იწერებოდა ერეკლე, რომ რაც თქვენ წაბრძანდით, ლეკი არსად გამოჩენილა. ჯარი შევყარე, განჯა-ყარაბახს ჩავუხდი და იქ გაქცეულა აქაური სომხები, ელნი და ბერძნები უკანვე გადმოვასახლე. ბეჯითად იყავი, როგორმე ჩააღწიე პეტერბურგს და ყოველივე დაწვრილებით მოახსენე სამეფო კარს. უთხარი, რომ მარტო ჯარი მოგცეს ან ფული გასესხოს და დანარჩენს მე ვიდებ თავს. სპარსეთს და თურქეთს მე თვითონ დავაჩოქებ რუსთა წინაშე და მაჰმადიანთა უდიერ ფარფაშს საბოლოოდ აღვკვეთ კავკასიაში“.

მოციქულები

აზატ ხანს ჩილდირში წერილი გაუგზავნა მეფე ერეკლემ და შეუთვალა, განჯა-ყარაბაღს ამობრძანებას თუ ინებებ, მზად ვარ, სამსახური გაგიწიო და ბედსა გწიოო. დაიჯერა აზატ ხანმა და მაშინვე საქართველოსკენ გამოემართა. იფიქრა თუკი ერეკლე მწედ მექმნება, სპარსეთს ხელთ ჩავიგდებ და შაჰის ტახტზე ავბრძანდებიო.

სანამ აზატ ხანი ჩილდირიდან ამოვიდოდა, ერეკლემ ჯარი შეყარა და განჯისკენ გაემართა, რათა ფანა ხანისგან ტახტიდან ჩამოგდებული შავერდი ხანი კვლავ აღედგინა განჯის ტახტზე.

ყაზახში დაბანაკდა ერეკლე. განჯაში კი რევაზ სარდალი და ახალგაზრდა დავით ორბელიანი გაგზავნა ორი ათასი კაცით, რომ თუ ვერ შესძლებდნენ შავერდი ხანის აღდგენას, აცნობებდნენ ... მყისვე მათთან გაჩნდებოდა ერეკლეცა და მისი ლაშქარიც.

საღამოვდებოდა. სამეფო კარავში მეფე ერეკლე და გიორგი ბატონიშვილი განმარტოებულიყვნენ და პატარა სოლომონის გონიერებაზე საუბრობდნენ. სოლომონი წამოსვლის წინ ინახულა მეფემ და ფრიად განცვიფრდა მისი სიტყვა-პასუხით და მოქმედებით. ზღაპრის მსგავსად, ვინც წლით იზრდებოდა, სოლომონი დღით იზრდებოდა გონებრივად. მისი ფიქრი და ნაქმნარი სწორედ სოლომონ ბრძენის საკადრისი იყო.

როცა სოლომონმა ერეკლე დაინახა, დინჯი, კაცური ნაბიჯით მიუახლოვდა, მუხლზე აკოცა და ამოიოხრა: წამიყვა მეფეო, ომში წამიყვანეო. ერეკლე უზომოდ გაახარა ამ ნათქვამმა, გულზე აიხუტა და შუბლზე აკოცა: გაიზრდები და მერმე წაგიყვანო. თუ არ წამიყვან, მე თვითონ შევაგროვებ ლაშქარს და უკან გამოგყვებიო — უპასუხა სოლომონმა. ლაშქრად ვინ გეყოლებაო? და — მეტეხის უბნის ბიჭებიო. დამაცადეთ, შვილო, დაიზარდენით და მე თვითონ გიახლებთო, მაგრამ სოლომონმა თავისი არ დაიშალა: სანამ დავიზრდებით, გავნებენ რაიმეს და ქვეყანას რა ეშველებაო.

ამ სიტყვებს ისეთი ჭმუნვითა და რიდით ამბობდა, ისეთი წუხილითა და დარბაისლობით, რომ ერეკლეს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ საუბარ-ფიქრში იყო, მსახურმა რომ მოახსენა, ორი ყმაწვილია და დაჟინებით მოითხოვენო თქვენს ნახვას.

— ახლავე გამოვალ, — მერე გიორგის მიუბრუნდა, — დაისვენებ. თუ შენც წამოხვალ?

— დასვენება არ მინდა, გეახლები, მამავ-ბატონო, — წამოდგა გიორგი და მამას ასცილდა სიმაღლეში.

— ესრეა, შვილო კაცისთვის ყველაზე დიდი განძი გონიერებაა. გონიერება კი სიყრმიდანვე საცნაურია.

ერეკლეს კარავთან მისი სხეულის მცველნი იდგნენ და, ჰოი, საკვირველებავ, მათ შორის მამუკა დაინახა.

— აქ საიდან? — გაუხარდა ერეკლეს.

მამუკამ მკერდზე აკოცა მეფეს, თვალებზე მომდგარი სიხარულის ცრემლები ხელისზურგით შეიმშრალა და მოახსენა:

— გამოვმჯობინდი, მეფეო, და გული აღარ დამიდგა... გუშინწან

ჩამოვედი ქალაქს, შევიტყე, აქეთ წამობრძანებულხართ და მაშინვე გამოვეშურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი კვნესამე! — მთურად მიესიყვარულა ერეკლე.

— არა, მეფეო, შენი კვნესაც ჩემი იყოს და შენი შვილებისაც! პატარები სასახლეში ვნახე და გიორგი კი... ჩემზე დიდი გამხდარა, თვალი თუ არ მატყუებს, — გიორგისაც მკერდზე ეამბორა და ისევ ერეკლეს მიუბრუნდა, — შენს მეტი საფიქრალი აღარა მქონდა. ვიჯექი კერასთან და ვუთხრობდი ჩემს ბიჭებს შენს გმირობაზე. მერე ის შევიტყეთ, ლიახვის სათავესთან რომ ლეკნი გიოტებიათ, მაგრამ თორღვა მოუკლავთ.

— მოგვიკლეს, მამუკავ, გმირი თორღვა.

— იქ რომ გხლებოდი, ეგებ ვერც მოეკლათ.

— ჭირი მოგჭამე! — მამუკას სიტყვებით უპასუხა ერეკლემ.

— ჭირიც მოგჭამე და მტლადაც დაგედე, მეფეო!.. აგერ, იქ გელოდებიან ის ყმაწვილები! — ანიშნა მესამე კარვისკენ.

ყველანი ყელყელაობდნენ მეფის დასანახავად. ყველას უზომო სიხარულით განათებოდა სახე, ყველა ცდილობდა, პირველი მისალმებოდა მეფეს.

მესამე კარავთან ორი ჭაბუკი ელოდა მეფეს. ერთს წყლისფერი ჩოხა ეცვა და მეორეს — ლეგა. ერთი გაცილებით მაღალი იყო მეორეზე და მხრებგაზიდული, უკვე წვერ-ულვაშიც ეტყობოდა, მეორე კი პირტიტველი იყო და საოცრად ლამაზი. სპილოსძვლისფერი სახის კანი ჰქონდა და ხახვისფურცლისფერი ტუჩები.

ლეგაჩოხიანი ახოვანი ყმაწვილი ერეკლეს დანახვაზე ძირს დაეცა და მიწას ეამბორა.

— ადექი, შვილო, ქართველებს ესრე არ სჩვევიათ!

თუმცა ცხელოდა და ერეკლეს კარავში შესვლა არ ნებავდა, მაინც შევიდა და მსახურსაც ანიშნა ყმაწვილებზე, შემოიყვანეო, რაკი შენიშნა, რომ რაღაც სათქმელი აწუხებდათ.

ყმაწვილებმა ძლივს შებედეს კარავში შესვლა. მეფე უკვე სკამზე იჯდა და მისი თვალები უხმოდ ამბობდნენ, გისმენთ თქვენი მეფეო.

— ფათერაკი შემემთხვა, მეფეო, — ნერწყვის ყლაპვით თქვა ლეგაჩოხიანმა.

მეფემ არა უპასუხა რა. თვალებმა კი ანიშნეს, განაგრძეო.

— კაცი შემომაკვდა... თანაც ერთი კი არა...

— არც ამჯერად უპასუხა რამე. თვალებმა კი კვლავ ანიშნა, განაგრძეო.

— მაპატიე, მეფეო! — ჩახლეჩილ ხმას ოდნავ აუწია ბიბლიოთეკა ხიანმა, რაკიღა იფიქრა, ჩემი ნათქვამი კარგად ვერ გაიგო მეფემ და იმიტომ არაფერი მიპასუხაო, — ბატონი მოვკალი.

— ბატონის სისხლი ძვირი ფასობს, შვილო, მაგრამ... მაინც განაგრძე!

— თავის ყმებს უდიერად ექცეოდა, მეფეო, ქალიშვილებს კი...

მეფის სახეს ჭმუნვა დაეტყო, მაგრამ თვალებმა ანიშნა, განაგრძეო.

— ჰოდა, შემომაკვდა, რაკიღა ჩემი საცოლეს შებილწვასაც ცდილობდა. შევსხედით და გამოვიქეცით. გზაში კი კიდევ ორი კაცი მოვკალი. ერთი ლეკი და ერთი ქართველი. ერთიც ცოცხლად დავიჭირე და პანტაზე მივაბი.

— საწანწალოდ დაედინებოდნენ?

— დიახ, მეფეო, ცხენსა მტაცებდნენ.

— გმირი ყოფილხარ. სადაური ხარ?

— ძუისელი, ილიას შვილიშვილი ვარ. ლეკებში ვიყავი გატაცებული და შენმა კაცებმა გამომისყიდეს ყარაბაღიდან.

— თუ ჩემმა კაცებმა გამოგისყიდეს, სამეფო ყმა ყოფილხარ და ბატონს შენთან რაღა ხელი ჰქონდა?

— არ ვიცი, მეფეო.

— ვახტანგ მეფის კანონის თანახმად, ბატონის სიცოცხლეზე ხელყოფისათვის სიკვდილი გეკუთვნის, მაგრამ, რაკი მეფეს მოეწონე გულწრფელობისთვის, მიპატიებია. მაგ ყმაწვილსაც ხომ არა სცხია სისხლი?

— არა, მეფეო, ცასავით სუფთაა.

— რა გქვია?

— გიგლა.

— ჰოდა, აი, რა გითხრა, ჩემო გიგლა, შენთან ერთად დღეიდან მეც დამნაშავე ვარ, რაკიღა არ გსჯი და კიდევ რას მოითხოვ ჩემგან?

— გვერდით მიახელი. მაინც სამეფო ყმა ვარ და...

— შინ ვინ დაგრჩა?

— ავადმყოფი დედა.

— ავად მოქცეულხარ, უმწეოდ რომ დაგირჩენია.

— სხვა გზა არ მქონდა.

— კარგი. წაიყვანონ და დაანაყრონ, დამშეულნი იქნებიან! — გიორგის გასაგონად თქვა ერეკლემ, — ეს მეორე ყმაწვილი ვინ ყოფილა?

— მეზობელია, მეფეო, ამასაც თქვენთან ყოფნა უნდა.

— რა გქვია, შვილო?

— ვარდო, — თქვა წყლისფერჩოხიანმა და მაშინვე ინანა.

— ქალსაც და კაცსაც ერთგვარად შვენის ეს სახელი. ვინძლო, მასახელოთ!

წერწეტი ტანის მკერდგაღვიძებული გოგონა უკვე კარგად ავსებდა გიგლასეულ ჩოხას და უზომოდ შვენოდა. ერეკლეს რომ შეხედა, ისე აილანძა და მისმა თეთრმა ყელმა კი ისე გამოანათა, უთუოდ დაეჭვდებოდა მეფე, მალემსრბოლს რომ არ შემოესწრო:

— გამარჯვებულნი ბრუნდებიან, მეფეო. ფანა ხანი ჩამოაგდეს და შენი ერთგული შავერდი ხანი აამაღლეს განჯის ტახტზე.

— დაუკარით დაფ-საყვირი და ჰკარით ებან-წინწილს! — აბრძანდა მეფე და კარს მიაშურა.

ვარდო და გიგლა ფრიად განაცვიფრა საზეიმო სანახაობამ. განზე გადგნენ და ბედნიერებით სავსე თვალებით ხან მეფეს უცქეროდნენ, ხან — უზომოდ მოხდენილ ბატონიშვილს, ხან მესაკრავეს და ხან იქით იყურებოდნენ, საიდანაც გამარჯვებულნი უნდა შემოსულიყვნენ.

შუაზეიმში მეორე მხედარი მოვარდა. დაიქვეითა, მეფეს საცოცხლე და ბედნიერება მოახსენა და სხაპასხუპით დაიწყო:

— აზატ ხანი გეახლათ, მეფეო, თქვენი დიდებულობის ნახვა სწადია.

— დაატყვევეთ და თბილისს წაიყვანეთ! — უბრძანა რევაზ ამილახვარს.

სანამ ყინული დაიძვრება

ზაფხული გავიდა და თითქმის შემოდგომაც განახევრდა. თეიმურაზის უიმედო ლოდინს საზღვარი არ უჩანდა. გულის ფრიალსა და უსიამო ბოყინს ძილისწინ გულშეღონებაც დაემატა და ერთგული კაცები ნიადაგ თავით ესხდნენ: ხელიდან არ გაგვეპაროსო. ძილის მაგივრად რაღაც კოშმარი წარიტაცებდა ხოლმე მის სულს ჯოჯოხეთში და, მეფეო, მეფეს ძახილით ძლივს უბრუნებდნენ

საგონებელს. ამასობაში ჯოჯოხეთის კარიც იხშობოდა და თეიმურაზიც ისევ მოკვდავთა ქვეყანას უბრუნდებოდა. ერთხელ კი ასეთი სიზმარ-ცხადიც ნახა: ეკლიანი ტყე იყო, ბარდნარი და ლეღვნარი. თეიმურაზმა ადარ იცოდა, გზა საით გაეკაფა და უმწეოდ ეხეთქებოდა აქეთ-იქით. ამ დროს მისი სიმამრი ვახტანგ მეექვსე გამოჩნდა საიდანღაც. მიუახლოვდა და გაღიმების ნაცვლად სასტიკად დატუქსა, აქ სად მოსულხარო. მერე მივიდა, ერთ ღიჭს ფეხი დაადგა, მეორე მაღლა ასწია და თეიმურაზს უბრძანა, გაძვერიო. ამაყი მეფისთვის უკადრი ხერხი იხმარა თეიმურაზმა: დაიკუზა და გაძვრა ღიჭიანში. გაიღვიძა და... ძლივსღა მოითქვა სული.

— გადავრჩი, სიკვდილს გადავრჩი! — წამოიძახა გაღვიძებისთანავე და დაინახა, რომ გათენებულიყო. მის ოთახში ალექსანდრე ციციშვილი, იასე მაჩაბელი, ენისელთ მოურავი ჯორჯაძე და ქალხოსრო ჩოლოყაშვილი შემოსულიყვნენ და ელოდნენ მის გაღვიძებას.

— ნუღარ შფოთავ, გამგზავრების ნება დაურთავთ, მეფეო! — მოახსენა ჩოლოყაშვილმა.

— მაშ, ისევ სულმნათი ვახტანგი დამეხმარა?! — იდაყვზე წამოიწია თეიმურაზი და განცვიფრებული მზერა მიიპყრო, მაგრამ, რაკი სიზმარი დაწვრილებით იამბო, ყველამ საკეთილოდ ინიშნა.

დღის თორმეტ საათზე პოლკოვნიკმა დე ბოგსბერგმა თეიმურაზი თავისთან მიიღო და ასტრახანისკენ გამგზავრების ნებართვა გადასცა. მგზავრობისთვის საჭირო თანხაც გამოუყო და გულთბილად დაემშვიდობა.

ეღირსათ ქართველებს ყიზლარიდან გასვლა. საჭირო ფორნები და ცხენები თავის დროზე ჩაიბარეს და დაიძრნენ.

მაინც როგორ დაეხმარა ვახტანგ მეფე? ალბათ, მართლა რუსეთის გზაა ერთადერთი სწორი და უტყუარი. მართალია, დიდხანს დააბრკოლეს, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთი უსულგულო მოხელის ბრალი იყო. თვითონ დე ბოგსბერგიც ერთხანს გულცივად იქცეოდა, ერთხელ ისიც კი გაუბედა, მითხარ, რა საქმეზე მიდიხარ, მე მოვახსენებ სამეფო კარს და პასუხს აქ დაელოდეო. თეიმურაზმა კი ამ შტერულ წინადადებაზე ასეთი მკვახე პასუხი ჰკადრა: „დაფიქრდით და გონს მოდით! უკეთუ აქედანვე უკან გავბრუნდებით, როგორ შეხვდებიან ჩვენი მეზობლები ამ ხელმოცარვას? ვითარი ფიქრი შეექმნებათ რუსეთსა და ჩვენს მეგობრობაზე?“

მიდიოდა ქართველთა საელჩო და ინტერესით ათვალიერებდა უცხო გარემოს. თეიმურაზი ჩალით დახურული ქოხების [illegible] ზე თავს სინანულით აქნევდა: არც ესენი ყოფილან [illegible] უკეთეს დღეში. ვაი, თუ რუსთა მეფეს ჩვენზე უმეტესად უჭირს და ჩვენც ვაწუხებთო? ასეც რომ იყოს, სხვა გზა არ არის და ერთობლივი ძალით უნდა შეებრძოლოთო ამ გაჭირვებას. რისი წამალიც მათ არ იციან, შესაძლოა, ჩვენ ვიცოდეთ, და, რაც ჩვენს შეძლებას აღემატება, ეგების მათთვის იოლი იყოსო. ერთურთს უნდა მივენდოთ, გული გადავუშალოთ და დახმარების ხელი არ დავიშუროთო. თუ უცხო რჯულის ხალხს ამის შეგნება გააჩნია, და ძაღლებივით ერთურთს ქომაგობენ, ჩვენ რადღა არ უნდა გაგვაჩნდესო ამისი ფიქრი.

თეიმურაზს თითქოს გულის ფრიალმაც გაუარა და ბოყინიც მოეშალა, მაგრამ, ასტრახანის მისადგომებთან მისულს, საგუბერნიო კანცლერის ბრძანება გააცნეს, რითაც ელჩობას ისევ უიმედო ლოდინი ეწერა.

— როგორ? — განრისხდა თეიმურაზი, — ვაჭრებსა და მაწანწალებს ყოველ წუთს გზას უხსნიან და გვირგვინოსან მეფეს არ უშვებენ ქრისტეანთა სატახტო ქალაქში?! კარანტინის მომიზეზებით ყიზლარშიც საკმაოდ გვალოდინეს და ისიც გვეყოფა.

როდესაც თეიმურაზის ეს ნათქვამი ასტრახანის გუბერნატორს მოახსენეს, თუმცა მეფის შეჩერების ბრძანება ზემოდან ჰქონდა მიღებული, ერთბაშად შეკრთა და რვა დღემდე შეუმცირა კარანტინის ვადა. თანაც საუკეთესო ბინებს შეჰპირდა ასტრახანში.

— წამიყვანეთ და ჩემი სიმამრის საფლავი მაჩვენეთ! — ითხოვა თეიმურაზმა, როგორც კი მართლა სასურველ ბინაში დაბინავდა.

— ჩვენც გვეწადა, მეფეო, მაგრამ ვერ გიბედავდით, რაკიღა დაღლილი ბრძანდებოდი, — უპასუხა ალექსანდრე ციციშვილმა.

თეიმურაზი წამოდგა, გვირგვინი დაიდგა, სამეფო პორფირი მოისხა და ახალგაზრდული ნაბიჯით გავიდა თავისი ოთახიდან. მიჰყვნენ დიდებულნიც, რომელთაც შემდეგ მხლებელნი შემოემატნენ და გუბერნატორისგან მიჩენილ გამყოლთან ერთად ცხენებზე შესხდნენ.

დიდხანს არ უვლიათ. თარჯიმანმა პეტრიაშვილმა, რომელიც რუსეთის მოხელე პეტროვად გააცნეს, მალევე თქვა, აი, მიძინების ტაძარიო. ისე, რომ თეიმურაზმა ინანა კიდეც, ცხენებზე რაღად შევსხედითო.

თეიმურაზმა დაიქვეითა და ფეხით გაემართა ტაძრის ეზოსკენ. ყველამ მას მიბაძა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა თეიმურაზი და ეკლესიის კარიბჭეს რომ მიუახლოვდა, ბუტბუტი დაიწყო. კარში შესვლისას კი პირჯვარი გადაიწერა და უსვეულო მოწიწება ჩაესახა თვალებში.

— ღმერთო, შენ გადაარჩინე ქართველთა ქვეყანა! — ჩაიბუტბუტა, როგორც კი ტაძარში შევიდა და მერედა მიმოავლო თვალი კედლებს და ფრესკებს. რაღაც თითქოს მოეწონა, მაგრამ რაღაც არ მოეწონა და გამყოლს მიუბრუნდა, დროზე მაჩვენეთო მეფის საფლავი.

— აი, მეფეო! — მიუთითა პეტრიაშვილმა და, რაკი თეიმურაზი საჭიროზე მეტად მიახლოებოდა, უკან დაიხია, ხელები ჩამოუშვა და თავი დახარა.

მდუმარედ იდგნენ მეფეც და მისი მხლებელნიც. არავინ ტოკავდა და თითქოს არც სუნთქავდნენ. ასეთ სიჩუმეში კი მოულოდნელად ვახტანგის ჩურჩული შემოესმა თეიმურაზს:

— ეს გზა გრძელია, შვილო... ამ გზით ბევრს უვლია და ხელმოცარული დაბრუნებულა. მაინც ამ გზით უნდა წარემართო, ერის გადარჩენა თუ გნებავს. უფროს ძმას ზოგჯერ უმცროსი აღვიძებს. თუ არ იღვიძებს, ხელით შენჯღრევასაც არ უნდა დაერიდო, როგორც იქ, ყიზლარში შეანჯღრიე პოლკოვნიკი და მისნი მოხელენი, როგორ აქ შეანჯღრიე დილას, გუბერნატორი...

თეიმურაზმა რაღაც უცნობი, მეშვიდე თუ მერვე გრძნობით გაიგო ეს სიტყვები და ისიც შეიგრძნო, რომ მის გარდა არავის ესმოდა. უფრო გარინდდა და ვახტანგის სიტყვებიც კიდევ უფრო ნათლად გაიგონა:

— ძმის აუგს ბიძაშვილს ნუ გაუმხელ, შვილო, ბიძაშვილისას მეზობელს ნუ ეტყვი, მეზობლისას კი — გადამთიელს. წადი, იარე, თამამად იყავი და ნუ დაიბუხები! — პირჯვარი გადასწერა ვახტანგ მეექვსემ და თეიმურაზის თვალწინ ნათლად გაიელვა მისმა ხატებამ.

დიდება შენდა, ღმერთო, ნუთუ მართლა ვახტანგი იხილა?! მისი სულის ნათელი ისე ცხადლივ შეიგრძნო, რომ გულშიც კი ჩააშუქა. დიახ, იხილა! ან რა არის გასაოცარი, ჩვენი თვალები ხომ ყოველივეს ვერ ხედავენ და ერთხელ ხილული, შემდგომში უხილავად იქცევა ხოლმე? ალბათ უხილავიც სახილველი გახდება, თუ ადამიანი ქვეყნის საკეთილო გზას დაადგება და ბოროტს განირიდებს.

— მითხარი, მეფეო, კიდევ მიბრძანე რამე! — დაიჩურჩულა თეიმურაზმა,

— ადაძიანი ქვეყნისთვის იბადება, შვილო, ხალხის სიკეთილოდ, — შემოესმა თეიმურაზს, — უკეთუ ერის წყლულზე მტლად დადებას განიზრახავ, ღმერთი შემწედ მოგვევლინება და ერს გადაგირჩენს.

შუბლი დაეცვარა თეიმურაზს მოძალებული ცივი ოფლით, მეტხანს დგომა ველარ შესძლო, ველარც ტაძრის გულდასმით დათვალიერება მოახერხა და დადუმებული უკანვე გამობრუნდა.

— წამიყვანეთ! — დაიჩურჩულა ალექსანდრეს თუ ქაიხოსროს გასაგონად და ტაძრის კარში რომ გამოდიოდა, გუმბათის მხრიდან მოესმა ვახტანგის ხმა:

— შენნი წინაპარნი ოდითგან ეძიებდნენ საქართველოს მხსნელს და ვერ პოულობდნენ. თქვენი ვალია, იპოვოთ იგი. ეძიებდე და ჰპოვებდე მასა!..

— შიოშ ტუსისშვილი დაბრუნდა, მეფეო! — ჩაესმა თეიმურაზს ნაზირი გიორგი ციციშვილის ხმა, როგორც კი ტაძრის ეზოში გამოვიდა.

— რა ამბავი ჩამოიტანა?

— გაგვიშვეს სატახტოში, ოღონდ ამ ზამთარსაც აქ დაგვამყოფებენ, სხვადასხვა ამბავთა მომიზეზებით.

— ვერ გამიგია.

— პეტერბურგიდან მზვერავები ჩამოვიდნენ, რომელთაც დაწვრილებით სურთ შეტყობა შენთა ზრახვათა.

— ჩემთა ზრახვათა?

— დაიხ, დიახ!

— სიცოცხლე და დიდება ქართველთა მეფეს! — მიესალმა ვიღაცა. დააკვირდა თეიმურაზი და ოთარ თუმანოვი შეიცნო.

— სიცოცხლე და მშვიდობა ნუ მოუშალოს ჩემი ქვეყნის ერიგულთა და ლახვარი — ორგულთა!

— მზად ვარ, გეახლო და გზა გაგიკაფო. მაცნობე, რა გწადს და მე მოვახსენებ სამეფო კარს. ვეახლები კანცლერს და შენს დიდებას შევევედრები.

— მე, შვილო, შვილისაგან ოტებული ვარ და თავშესაფარს მოვითხოვ რუსთ ხელმწიფისგან.

— მეფეო! — ჩაერია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და თეიმურაზი

ახლალა მიხვდა, რა უთხრა ოთარ თუმანოვს. გაწყრა და გაგულიხ-და, მაგრამ ეს წყრომა არ შეიმჩნია, გაიღიმა და, ცხენებიო, დაი-ძახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაიხოსრომ და ალექსანდრემ ოთარ თუმანოვი სწრაფად ჩამო-შორეს და, სანამ ცხენებს მოჰგვრიდნენ, გვერდით გაიხმეს მეფე.

— შიოშ ტუსისშვილი მართლა ჩამოსულა თუ მომეჩვენა? — იკითხა მეფემ, როცა ცხენებზე შესხდნენ და სადგომისკენ დაიძრ-ნენ.

— მაგის შესახებ არა შეგვიტყვია რა, — უპასუხა ალექსანდრემ.

— შენმა ბიძაშვილმა მითხრა — ნაზირმა გიორგიმ.

— გიორგი აქ არ ყოფილა და როგორ მოგახსენებდა, მეფეო?

თეიმურაზმა ველარა უპასუხა რა და ცხენი ააჩქარა. მის თვა-ლებში რაღაცანი რიალებდნენ და ეს არ მოსწონდა. ეჩვენებოდა, რომ თუმანოვი მოჰყვებოდა და რაღაცას ქირქილებდა. მივა, დაიძი-ნებს და ალბათ გაუვლის ეს ყოველივე.

— შიოშ ტუსისშვილი გეახლათ, მეფეო! — მოახსენა გიორგი ციციშვილმა, როგორც კი ცხენოსნები ეზოში შევიდნენ.

— აკი გითხარით! — დაიქვეითა თეიმურაზმა, — რაო, რა ამბავი ჩამოიტანა?

— სატახტო ქალაქში ჩასვლის ნება დაურთავთ. დანარჩენს თვითონ მოგახსენებთ.

თეიმურაზი ოთახში შევიდა, სამეფო პორფირი და გვირგვინი მოიხადა, სავარძელში ჩაეშვა და — ტუსისშვილი მომგვარეთო.

— გაუძელ, შვილო, ქვეყნის ბედი რაკი იტვირთე, ბოლომდე უნდა ზიდო! — შემოესმა ვახტანგ მეფის ხმა და თეიმურაზმა მაშინ-ვე თვალები დახუჭა. გაახსენდა, რომ ამ ბოლო დროს თავადაც „შვილოთი“ მიმართავს ყველას. არა მხოლოდ უმცროსებს, თავის ტოლებს და ხანდაზმულთაც კი. ალბათ იმიტომ, რომ ისიც უკვე ხანდაზმული შეიქმნა. სამოცი წლის შემდეგ კაცის სიცოცხლეში ძაღლური ცხოვრება იწყებაო, და თუ სამოცი წლის გრძელ მან-ძილზე ვერა შესძელ რა, იმის მერმე იმედი ნულარ გექნებაო.

— სიბერე სიბრძნეა, შვილო, და არა სიძაბუნე, — კვლავ შემო-ესმა ვახტანგ მეფის ხმა, — სიბრძნე კი ნიადაგ მოთმინებას ავალებს კაცსა, რა სიძნელეც უნდა გადაგეღობოს, ნუ შეშფოთდები! შენც მოთმინებით შეერკინე და მოყვასთაც შენთა ასწავე მოთმინება. ამ

ქალაქუწყალო გზაზე შენც თუ ჩემსავით შემოგაღამდა, შენს მაგიერად გიორგი ამოუდგება მხარში ლომ ერეკლეს, მალე ლევანიც წამოიზრდება, იულონი და პატარა ვახტანგიც და... ვახტანგი რომ არ მოგკდომოდა?.. რას იზამ?!.

ტუსისშვილის შემოსვლამ გამოაფხიზლა თეიმურაზი.

— მომენატრე, მეფეო, — ატირდა მოლარეთუხუცესი თეიმურაზის დანახვაზე, — უცხო ქვეყანამ გამტეხა და დღედაღამ უშენობას ვტიროდი.

— მეც ერთობ მომენატრე, — წამოდგა თეიმურაზი და მკერდზე მიიხუტა, — არ ვიცი, რითი დავაფასო თქვენი გვარის ამაგი. მამაშენი პაატა მე ვინაცვალე და შენც ჩემს სამსახურში გაბერებ.

მცირე ხნის შემდეგ კი შიოშ ტუსისშვილი დაწერილებით ჰყვებოდა თავისი მოგზაურობის ამბავს:

— როგორც კი პეტერბურგს ჩავაღწიე, მეფე ერეკლეს წერილები მაშინვე მივართვი ბაქარის შვილებს, მაგრამ დახმარებაზე არ შეწუხებულან. მარტოდ დავრბოდი კანცლერთან და სამეფო კართან. მხოლოდ აბაზაძე დამყვებოდა ყველგან. იმ აბაზაძემ მითხრა, აქ რამდენი ქართველიც არის, არც ერთს არ ნებავსო ქართველ მეფეთა გამარჯვება. რამდენიც მოყვარეა, ორი იმდენი მტერიაო. კარგი ქვა კედელს არ გამოსძვრებაო.

— თავად რად გამოსძრომია?

— ვახტანგ მეფეს უახლებიაო მამაჩემი და მეც ამათ სამსახურში მხდებაო სული. მხოლოდ ხორცით ვარ აქ, თორემ სული ჩემი საქართველოშიაო. ორივ თვალი და ხელი მისკენ გამირბისო. კახელ თავად მაყაშვილსაც მე ვემსახურე და შენი სამსახურისთვისაც თავს გავწირავო, ოღონდაც საქართველოს მშვიდობიანი დღე დაუდგეს, აქედან რომ ავიბარეო და ისევ ჩემს მამულში გადავსახლდეო. სწორედ მაგისი წყალობით მივიღე წასვლის ნებართვა.

თეიმურაზს უნდოდა, ეთქვა, გამოსადეგი კაცი ყოფილაო, მაგრამ თუმანოვი გაახსენდა და დუმილი ამჯობინა.

თოვლიან გზაზე

ერთგული ამალის ალყაში მიდიოდა ერეკლე თოვლიან გზაზე. წინ შიო უძღოდა, რაკიღა მეფემ ანანურისკენ ისურვა ავლა და მთიულეთი კი საკუთარ ხელისგულად მიაჩნდა შიოს.

ჯიმშერ ჩოლოყაშვილი ლეკებთან დევნაში მძიმედ დაჭრილიყო და სარეცელს მიჯაჭვოდა. ჯიმშერის ნახვაც ეწადა მეფეს და მფიუ-ლეთ-გუდამაყრის მონახულებაც. რაკი აზატ ხანი თბილისში ამწყვდია და განჯაშიც თავისი ერთგული შავერდი ხანი დაგულა, ერეკლეს ფიქრი და ზრახვა უფრო შორს წავიდა და თავისი ხვალინდელი ჯარის დაზვერვა აინტერესებდა. ხომ შეიძლება, რუსთა დაუხმარებლადაც დაიძრას სპარსეთისკენ, აზატ ხანიც თან იახლოს და უკეთუ ქერიმ ხანი საეჭვოდ შეხედავს, აზატ ხანი გაუწოდოს: აი, მოგგვარეო. მიინდოს, ერთგულებაში დაარწმუნოს და, რაკი პირისპირ აღმოჩნდებიან... მერე სხვაგვარად შეაბრუნებს საქმეს. მერმე ხორასნის მმართველ შაჰროხს გააშაჰებს და ამ სიკეთისთვის ყმად გაიხდის, არა თუ ბატონად. ხორასნის მმართველი უსინათლოა და ერეკლეს მიანდობს საქვეყნო საქმეებს. ერეკლე კი ყოველივეს ისე წარმართავს, როგორც ქრისტიანებს გულს მოუფონებთ.

— მამუკავ, რად არ მიდიხარ წინ, შიოსთან? — გაუღიმა ერეკლემ თითქმის იმ ქვეყნიდან მოსულ მეგობრებს.

— შიოს მლეთაში მიუხარია, მეფეო, რაკიღა ჟინვალი ჩამოვიტოვეთ და მე კი ფშავისკენ გადასახვევი აღარ მეგულება.

მამუკა და ძაღლიკაც დაწინაურდნენ.

— ივანე რად ჩამოსცილდა მეფეს? — ჰკითხა მამუკამ შიოს რომ წამოეწია.

— ძალიან დამძიმდა. ცხენი ველარ სძრავდა და შინ გაგზავნა: სახლ-კარს მიეხედეო.

მამუკამ უჩვეულო სიხარული იგრძნო, ოთხი წლის შემდეგ რომ კვლავ დაიჭირა ადგილი მეფის მცველთა შორის. არც ივანეს გაშვება გაჰკვირვებია, რაკიღა იცოდა, რომ მეფეს დიდხორციანი კაცი და ცხენი მაინცა და მაინც გულზე არ ეხატა. რადაო, რომ უკითხავთ, — მალე იღლებიანო. ცხენს დილიდან საღამომდე უნდა შეეძლოსო სირბილი და მეიმარს კი — ხმლის ქნევაო.

ცხენები ამაყად მიაპობდნენ თოვლს. დროდადრო რომელიმე თუ ქვას ფეხს წამოეკრავდა და წაიფორხილებდა, უმალვე ნაბიჯს ისწორებდა და უფრო მეტი სიამაყით მიუყვებოდა მიხვეულ-მოხვეულ და ქვაღორღიან თუ ტინიან ალმართებს.

თეიმურაზი ალბათ ისევ ასტრახანშია. ერეკლემ როგორც კი აზატ ხანი თბილისში გამოამწყვდია, მაშინვე წერილი აფრინა მასთან ხეთაგურის ხელით ალბათ ჯერ მისული არც იქნება მაგრამ,

რომც მისულიყო, ასე სწრაფად პასუხს ვერ დაუბრუნებდა. ნეტავი რომელს მეტი საზრუნავი აწევს ამჟამად: ერეკლეს თუ თეიმურაზს? ორივეს უზომო ტვირთი ჰკიდია და ვერ ჩამოიხსნიან. ან ამ ტვირთის ქვეშ უნდა დაეცნენ ანდა ბოლომდე მიიტანონ. ბოლომდე? მერედა, სად არის ბოლო? ეგებ არც თავად იციან ამ დალოცვილებმა და ქვეყანას არწმუნებენ, გადაგარჩენთო.? რუსეთის გზა კი სწორი გზაა, მაგრამ ამაზე მეტად თოვლყინულიანია. თუმცა... სწორი რომ იყოს, აქამდე თეიმურაზი პეტერბურგს მოივლიდა და უკან დაბრუნებასაც მოასწრებდა. ჩანს, ღმერთი ხელს არ უმართავს. ეგებ იმიტომ, რომ სწორი გზა არ არის და სხვა მხარეს უნდა ვეძიოთ საქართველოს გადარჩენის გზა? ანტონისა და სულხან-საბას გაფიქრებული გზა? მაგრამ ისინიც ხომ რუსეთში გადაიხვეწნენ გაჭირვების ჟამს? ჩანს, არ არსებობს, უკეთესი გამოსავალი.

— არაგვის სასახლისკენ გადაუხვიეთ! — უბრძანა მეფემ მეწინავეებს.

ცხენები დაიჭალყვნენ და აღმართს შეუდგნენ. შაშვების ერთი გუნდი ჭახჭახით წამოიშალა მხედრების გამოჩენაზე და აქეთ-იქით გაიფანტა. ციხიდან ძაღლებმა ატეხეს ყეფა. მეციხოვნენი სათვალთვალოზე ჩამწკრივდნენ და, რაკი მეფის ამალა შეიცნეს, უმალ გაიღო დიდი ჭიშკარი.

ჯიმშერ ჩოლოყაშვილს ლოგინში ახარეს, მეფე მოდიხო. დიდად გაიხარა, წამოდგომაც სცადა, მაგრამ ბეჭის ტკივილმა ნება არ მისცა და სარეცელს მინებდა.

ერეკლემ ქურქი და ყალმუხური ქუდი მსახურს გადუყარა და ოთახში შევიდა:

— ჩემო შევარდენო, ჩემო მიმინო, ნუთუ შენც დაგჯაბნეს?!

ჯიმშერმა გაღიმება და წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. მაინც ღონე მოიკრიბა და მისკენ დახრილ მეფეს ხელზე ეამბორა სიხარულის ნიშნად.

— სტეფანა აქიმი მოგიყვანე, ნუ გეშინია! — დააიმედა ერეკლემ და კარისკენ დაიძახა, აქიმი შემოვიდესო.

გამხდარი აქიმი სტეფანა, ცალი ყური რომ თითქოს დიდი ჰქონდა და წარბები კი შუბლზე ასჭიმოდა, მკვირცხლად შემოვიდა.

— უნდა მომირჩინო, აქიმო! — თითქმის შეემუდარა ერეკლე და ისევ ჯიმშერს მიუბრუნდა, — ისარგებლეს განა რჯულძაღლებმა ჩემი ყაზახში ყოფნით?! — მერე კოხტა ბელადისა და ჩონჩოლ მუ-

სას ლეკებთან შეხლა-შემოხლა გაახსენდა, თორღვა რომ გაფაციცებულ და გუნება მოეშხამა. ალბათ, ისევ მაგათი ძაღლები იყვნენ, — ვამომჯობინდი და ჯავრს ამოგყრი, თუ ერეკლე ვარ.

ჯიმშერმა მხცაშერეული, შეთხელებულ ხუჭუჭთმიანი ... ულინოდ გადააგდო და ექიმის სურვილს დაეთანხმა ჭრილობის გასინჯვაზე.

ექიმი მიეშველა, ჯიმშერი მარჯვენა მხარეს გადააბრუნა, მაგრამ რაკი ჭრილობა მტკიცედშეხვეული აღმოჩნდა, გახსნაზე არ ამჭარდა:

— ვინ შეგიხვია?

— ალექსა დასტაქარმა შაუხვია, — ჯიმშერის მაგივრად უპასუხა ახლადშემოსულმა თეთრთმაწვერიანმა ბერიკაცმა, რომელსაც აგრეთვე დასტაქრის ხელოვნება ეტყობოდა, — ჭრილობა კარგად არი ამოწმენდილი და წამლებიც ჩვენებური სცხია...

— რა სიღრმის ჭრილობაა? — იკითხა სტეფანამ.

— ოთხი თითის დადება იქნება. ალექსამა თქვა, თუ ვინმე გახსნის, ხელი ამიღიაო.

სტეფანამ შუბლზე ხელი დაადო ჯიმშერს, მერე პირი გააღებინა და ენა დაუნახა, მერე გულმკერდზე თითები მოუსვა და ხმისამოუღებლად გაშორდა ავადმყოფს.

— რას იტყვი, აქიმო? — სკამიანად უკან დაიწია ერეკლემ.

— თუ ხურვებას გაუძლო... ძლიერი კაცია, მაგრამ...

— ნუ იდარდებ, მეფეო, — იგრძნო ჯიმშერმა ექიმის ნათქვამი, — ვაი, რომ გაჭირვების ჟამს ველარ დაგეხმარები, თორემ სიკვდილი დიდად საშიში არ ყოფილა.

— მეც ეგ მაწუხებს, — ჭმუნვით უპასუხა ერეკლემ და ფიქრში ჩაიძირა. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, ისე წარმოთქვა, — ერისთვის დიდი დანაკლისია ყოველი კაცი... შენი თავი კი ერთ ლაშქრად მიღირს... არა, ჯიმშერ, შენს მეფეს არ უღალატებ და უიმედოდ არ დააგდებ ლეკ-სპარსთა გასახარად!

— გახსოვს, მეფეო, ისპაჰანს რომ მოვახსენე, ღმერთი რომ ვიყო, ადამის მოდგმის ნაცვლად ჯოჯოებს გავაჩენდი-მეთქი ედამიწაზე? — მწარედ გაიღიმა ჯიმშერმა, — ნეტავი იმ დროს!

— მახსოვს, ჩემო ჯიმშერ. ამაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ამ ფიქრში იქამდე მივსულვარ, რომ ყველა ადამის მოდგმისა

არ ვახლავს. ზოგი ქაჯის ჩამონავალია, ზოგი — მგლისა და ზოგი — ლომისა.

— მგელიამ რომ ავლანი წააქცია, ის ავლანი აქლემის ... და, — ვაღიმა ჯიმშერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორედ რომ აქლემის ჩამონავალი იყო. ჩემი ცხენის ლეშს რომ მიართმევდნენ, მგლის ნაშიერნი არ იყვნენ ისინი?

— საწყალი მგელია!

— ამდენი კაცის დანაკლისს ველარ ავიტანდ ჯიმშერ. შენც რომ მიღალატო, ვინღა დამრჩება საიმედოდ?

— გავიგე, პაატა ბატონიშვილი ჩამობრძანებულაო.

— მე დავიბარე. ზარბაზნები უნდა ჩამოვასხმევინო.

— რა ისმის მეფე თეიმურაზიდან? — დაუძლურებული ხმით ამოიკვნესა ჯიმშერმა და ტკივილისაგან სახე დაეპრანჭა.

— ვულგასახარი არაფერი.

— რისთვის წაბრძანდა, მეფეო, ახლა ბაინც მითხარი გარკვევით! — იკითხა, როცა თითქოს ტკივილმა გაუარა.

— მხოლოდ ჯარისთვის.

— თუ?.. — ეჭვი გამოკრთა ავადმყოფის თვალებში.

— ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ რუსთა შემწეობით საქართველო ვავაბლიერით. სამაგიეროს ჩვენც მიეუზღავთ და უმადური არ დავრჩებით, — დაამატა ერეკლემ.

— თუ საქართველო ალარ იქნება, მეფეო... ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა!..

— დიდად წუხდება, მეფეო, — გაბედა კუთხეში მდგარმა ბერიკაცმა, რომელმაც წელან თბილისელ აქიმს გააცნო ჯიმშერის ჭრილობა.

— ალარ შევაწუხებ... კარგად იყავი, ჩემო შევარდენო!

— არ წახვალ, მეფეო! — შეეკითხა ჯიმშერი, — კიშკზე აბრძანდი, თუ არ შეწუხდებით, და იქიდან ჩემს მაგივრად გადაჰხედე არაგვის ხეობას... ეგებ თბილისიც დაინახო როგორმე.

— არ წავალ, ჯიმშერ, შენთვის ყოველივეს მოვიმოქმედებ, — დაცარულ შუბლზე ეამბორა ერეკლე და კარში გავიდა.

* * *

კოშკის თავზე უჩვეულო სუსხი შეეფეთა მეფეს. არაგვის მარჯვენა ფერდობზე თოვლი თითქმის ჩამომდნარიყო და გალიცლიცებულიყო, მაგრამ მარცხენაზე ჯერ ისევ სქლად იდო გაბეგვილი თოვლი. ვიღაც ლედაკაცი ძროხებს მირეკავდა არაგვისკენ. უჭირდათ ძროხებსაც და ლედაკაცსაც. ერეკლეს რატომღაც ის დღე გაახსენდა, მამუკამა და ძაღლიკამ რომ ვაძოტოპეს არაგვი. მაშინ ჯომარდი ბიჭები იყვნენ და, აი, თითქმის დააბერა ორივენი. მაგათზე აღრე მგელია და ჯიმშერი ახლდნენ. მგელია აღარ არის და ჯიმშერი კი...

— თავადი ჯიმშერი მიიცვალა, მეფეო, — აუწყა კოშკის ბანზე ქოშინით ასულმა შიომ.

— წადი, მოვდივარ! — თქვა ერეკლემ და, როცა შიოს ზურგი კიბეს ჩაეფარა, ისევ არაგვის ხეობას გაჰხედა. სუსხი შეიგრძნო და თასავარცხელა მთების გასწვრივ თოვა დაიწყო. ერეკლეს ბოლმა მოებჯინა და უეცარი ქვითინი აუვარდა.

ᲐᲛᲢᲠᲐᲮᲘᲡ ᲕᲧᲐᲚᲝᲑᲐ

ასტრახანში მოსაბეზრებელი ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, საშველი დაადგა ქართველთა ელჩობის გამგზავრებას მოსკოვისაკენ.

უსაზღვრო იყო თეიმურაზის სიხარული. გამცილებლად დანიშნულ კაპიტოვსკის ხშირად სთხოვდა, რაც შეიძლებოდა, მოკლე გზითა და სწრაფად ევლოთ, თუნდაც ნახევარზე ეშიმშილათ და დამეები კი მიწურებში ეთიათ.

თეთრზე უთეთრესი ზამთარი იდგა რუსეთის ტრამალებზე, რომელსაც ფისის ღვენთებიეთ ალაქავებდნენ მოყრანტალე ყვავები და მჩხავანა ყორნები.

— დიდი ქვეყანა ყოფილა, უკიდეგანო, — ჰკვირობდა თეიმურაზი.

— მალე წელიწადი შეიქმნება, რაც საქართველოდან გამოვედით, — თქვა ქაიხოსრო ჩერქეზიშვილმა, როცა ასტრახანიდან მთელი თვე მგზავრობის შემდეგ უკვე მოსკოვის გარეუბნის სოფელ კარაჩარევოში დაისვენეს.

გამცილებელმა განუცხადათ, რომ მალე მოსკოვში დაბინავდე-

ბოდნენ, ხოლო აქ უკვე ეგორ ამილახვარი ითავებდა მად მეგზურობას და თვითონ კი ჩამოსცილდებოდა სამეფო ამალას.

ეგორ ამილახვარის საქმიანობაზე სვიმონ მაყაშვილს არ ჰქონდა კეთილი ცნობები და საეჭვო იყო მისი ერთგულება. ამას ზეციც ამძაფრებდა, რომ წინათ გაგზავნილი ელჩობიდან ათანასე ამილახვარი პეტერბურგს დატოვეს და სვიმონის აზრის თანახმად, მეფეთა წინააღმდეგ მოქმედება განაგრძეს, თუმცა ამის მიუხედავად, თეიმურაზს თავისიან ამილახვრებთან ურთიერთობა უფრო ახარებდა, ვიდრე უცხოელთა მეგზურობა.

ძლიერნიც იყვნენ და ცბიერნიც ამილახვარნი, მტრობაც შეეძლოთ და მოყვრობაც, სიკეთეც და ბოროტებაც, მაგრამ, რაკიღა თეიმურაზმა გაბაშვილის ხელით ალექსანდრე ბაქარის ძეს ქართლის მეფობა შესთავაზა, ეგორ ამილახვარი დამცხრალი და კმაყოფილი უნდა შეხვედროდა თეიმურაზის რუსეთში ჩაბრძანებას. ასეც რომ არ ყოფილიყო, მეფე დაუკვირდებოდა მის მოქმედებას და იმის საკადრისად მოიქცეოდა, რათა სამეფო კარზე ავად არ დაესმინა ქართველ ემიგრანტს.

ოცდახუთ თებერვალს მოსკოვის შესასვლელთან, ვაჭარ ზემსკოის სახლის წინ მეფეს შეეგება სასახლის ეტლი, ოთხი მარხილი და შეკაზმული ცხენები, თავად ამილახვრის წინამძღოლობით.

მეფემ ხელი ჩამოართვა ეგორ ამილახვარს, ვაუღიმა და ასე მოახსენა:

— უზომოდ ბედნიერი ვარ, ამ შორეულ, ცივ და უკარებელ ქვეყანაში რომ სახიერი მასპინძელი დამხვდა.

— მეც ბედნიერი ვარ, საქართველოს მეფის მეგზურობა რომ მერგო წილად! — ფეხი ფეხს მიატყუპა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა ეგორ ამილახვარმა.

მისი ეს მოძრაობა იმდენად მოეწონა თეიმურაზს, რომ ინატრა, კიდევ გაემეორებინა. აი, ასე წვრთნიან რუსები ჯარისკაცებს და ამიტომაც ეშინიათ გარეშე მტრებს მათი ჯარისა. ასე გაწვრთნილი ოთხიოდე პოლკი ჯარი რომ ჰყავდეს, ამგვარი ოფიცრებით, მეტს არ ინატრებდა. მერე დაინახავდა ოსმალო-სპარსი რასაც თეიმურაზ-ერეკლე იმ ოთხიოდე პოლკით იმოქმედებდა. მთავარი ჯარის რიცხვი კი არა, მთავარი მისი გაწვრთნილობა და გულოვნებაა. გულოვნება და სიმამაცე ქართველი კაცისთვის ოდითგან ბოძებული ღვთის წყალობაა და გაწვრთნილობა კი ადვილად მოხერხდება,

უკეთუ რუსეთი სასურველი თვალით ვადმოხედავს თეიმურაზის თხოვნას.

— რას შვრებით, თავს როგორ გრძნობთ ამ ცივს ქვეყანაში? — ჰკითხა თეიმურაზმა, რაკი სასურველ კაცად მიიჩნია ამილახვარი.

— მოგეხსენებათ, მეფეო, რომ კვამლიც კი ტკბილია მშობლიური, მაგრამ ამ ცივს ქვეყანაშიც მოიძებნება ჩვენებური სითბო.

შემდეგ ვაჭარ ზემსკოის სასახლეში მიიპატიჟა ამილახვარმა, აქ ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ მეფეს და დიდებულთ. ათ საათზე კი მეფე სახელმწიფო ეტლში ჩააბრძანეს, დიდებულები მარხილზე დასხეს, აზნაურიშვილებს ცხენები უბოძეს, თვით ამილახვარი ცვერდით მოთავსდა და მოსკოვისკენ დაიძრნენ.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — პირჯვარი გადაიწერა თეიმურაზმა, — მთარგმნელის შემწეობით ლაპარაკი ფრიად ძნელი იყო და მოსაბეზრებელი. თანაც არ ვიცი, მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასეა, ყოველ კაცში მზვერავს ვხედავდი.

— ჭეშარიტად შეგიტყვია, მეფეო. რუსეთს გამოქცეული სომეხთა და ქართველთა დიდი ნაწილი მზვერავია.

— კარგი ძვა კედელს არ გამოსძვრება, — სხვისი ნათქვამი გაიმეორა თეიმურაზმა და მერელა მიხვდა, რომ კარგად არ გამოუვიდა.

— ასეა, მეფეო, — არ იწყინა ეგორ ამილახვარმა, — ჩვენ რომ მამაბუდიანად ვახტანგ მეფეს არ ვხლებოდით, საქართველოს ვერ შეველეოდით...

— თუ ერის შვილი ხარ, ერთან უნდა იყო ჭირშიც და ლხინშიც... — თეიმურაზმა იგრძნო, რომ ამ სიტყვებმა ჩრდილი მიაყენა ვახტანგის საქმიანობას და ნათქვამი შეარბილა, — თუმცა არიან გარემოებანი, რომელთაც შეუძლიათ ერს მოსწყვიტონ დიდად მოსიყვარულე შვილიც.

— ბიძაჩემი გივი ხომ თქვენს ერთგულებაში მოკვდა? — ჰკითხა ეგორმა უფრო იმ მიზნით, რომ ათანასეზე არაფერი მკითხოსო.

— არ ვემდური. სამაგიეროდ ჩვენც დავუფასეთ. ერეკლემ თან იახლა მისი რევაზი და გივის სახელოც მას ვუწყალობეთ.

ეგორს არ ესიამოვნა ერეკლეს ხსენება, რომელიც ახლა უკვე არა მარტო კახეთის, ქართლის მეფედაც ითქმებოდა. მაინც დასძლია ეს უსიამოვნება და ღიმილით შეეკითხა:

— მართლა თუ შეუპყრია აზატ ხანი?

— მაგან უფრო ამაჩქარა იმპერატორის კარს. წერილი თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვეკარგა და ველარ წავუკითხავ, მოვახსენებ, რომ მარტოდენ ჯარი მოგვანდოს და სამხრეთის ამბავს ჩვენ მოვაგვარებთ.

— რუსეთსაც ფრიად აინტერესებს კახეთისა და შავი ზღვის საქმეები, მაგრამ აქედან პრუსია უჭირებს საქმეს და საამისოდ ველარ იცლის.

— ფულით ან ჯარით შეგვეწეოს და ჩვენ თვითონ ეილაშქრები სპარსეთზე. იქ რომ ჩვენი ნასურვები შაჰი დავსვათ, საფრთხე აღარ გვექნება. ხელმწიფე თუ გამიგებს ამას?

— ეგებ გაგიგოს... ვახტანგ მეფესაც ეგ აზრი ჰქონდა.

— მერმე ოსმალოც ველარას გაბედავს. სოლომონ იმერთა მეფე ჭკვიანი ჭაბუკია და ერთობლივად ვიმოქმედებთ. ახალციხესაც ადვილად ავიღებთ, ბათუმსაც და შავი ზღვის ქართულ ნაპირებსაც ჩვენად მივითვლით.

საქართველოს გაერთიანებაზე ოცნებობენ, გაიფიქრა ამილახვარმა, მაგრამ, საკითხავია, მეფედ ვინ იქნება? რა თქმა უნდა, თეიმურაზ-ერეკლე არვის დაუთმობენ. აქ კი ალექსანდრე ბაქარის ძე ემზადება დიდის ამბით. აკი მოსწერეს კიდეც: ქართლის ტახტზე გეპატიჟებითო. ჩანს, ატყუებენ. თუ ასეა, ამილახვარი არას მოახსენებს კანცლერს თეიმურაზისთვის სასარგებლოს. არც იმპერატორთან შუამდგომლობის ნებართვას მიაცემინებს ვორონცოვისგან. კიდევ კარგი, რომ ბესტიუჟევ-რიუმინი აღარ არის კანცლერად და ყოველივეს მათი ერთგული ვორონცოვი განაგებს.

გზის ორივე მხარეს საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი შეეგება თეიმურაზის ამალას. უმეტესობას თუ ქართველობა ეტყობოდა, დანარჩენი რუსი იყო, რომელთაც ქართველთაგან შეეტყოთ და ივერიის მეფის შესაგებებლად გამოსულიყვნენ.

ერთ შემაღლებულ ადგილზე მუქწითელ, ოქრომკედით ნაქარგ ჩოხაში გამოწყობილი ვაჟკაცი გამოირჩეოდა სხვა დიდებულთაგან.

— გიორგი ბატონიშვილია, — მიახლოებისთანავე გააცნო ეგორმა.

ეტლი გიორგის ამალის წინ შეჩერდა. თეიმურაზმა ჩასვლა დააპირა, მაგრამ, სანამ რიგიანად შეტოკდებოდა, გიორგი მიიჭრა საყვარელ სიძესთან და ქურქი დაუკოცნა. თეიმურაზმაც გულზე მიიხუტა მისი მხცამორეული თავი და დიდხახს აღარ გაუშვა. სწორედ ამგვარი და ამ ასაკისა იყო, როცა ვახტანგი რუსეთს წაბრძანდა და გიორგი კი მხოლოდ თერთმეტი წლისა სრულდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩამობრძანდით, მეფეო! — მიიპატიჟა გიორგიმ, როცა ალერსით გული ოჯერა და ცოცხლით დასველებული ღაწვები თეიმურაზისთვის უცხო ხელსახოცით შეიმშრალა.

— სხვანი სად არიან? — იკითხა თეიმურაზმა, როცა ძიაზე ფეხი დაადგა და გული გაიმაგრა.

— ანა დედოფალი და ალექსანდრე პეტერბურგს გაემგზავრნენ. ჩვენი ცოლშვილი კი შინ გელოდებიან. დიდად გაგვახარა თქვენმა მობრძანებამ.

— ქართული სახელები ძრავლად შევიცან და ნუთუ... — თეიმურაზი გიორგის მკლავს მიენდო და გვერდიგვერდ გაჰყვა. გული ეტკინა ცოლისძმას, უკვე მოტეხილი თეიმურაზი რომ ადვილად მიჰყვებოდა მის ხელს. ის ბუმბერაზი და მხნე თეიმურაზი, რისთვისაც ვაბტანგი პატივს სდებდა და ამაყობდა კიდეც, უკვე აღარ არის. რა ულმობელი ყოფილა ჟამთასვლა!

— ამ ადგილების სახელი პრესნიაა, მაგრამ „ქართველებს" ეპახიან რუსნი, — განუმარტავდა გიორგი, — მთლიანად ეს დაბა, ტბაცა, ტყეცა და მინდორიც ქართველებს გვეკუთვნის... დიდლილი იქნება, სასახლეში მოიხვევნეთ და მერმე გავაცნობ აქაურობას.

— დასვენება არ მინდა.

— გემშიება.

— ზომიერად დანაყრებული ვარ... დამათვალიერებინე! ნუთუ ეს ყოველივე მშვენიერება... — აღტაცებას ვეღარ ფარავდა თეიმურაზი.

— ეს ყოველივე... — ტბისკენ წაიყვანა გიორგიმ, — ძველთაგანვე დიდ მთავართა სამყოფელი ყოფილა. მეფე ალექსი მიხეილის ძეს ჰყვარებია აქ ნადირობა. ის ეკლესიაც მას განუახლებია...

ეგორ ამილახვარი ირიოდე ნაბიჯით უკან ჩამორჩა და თავადებს გამოელაპარაკა. თავის თანმხლებ აზნაურებს კი უფრო უკან დარჩენა უბრძანა, რათა ბრბისგან დაეცვათ მეფის ამალა.

— ამ ტყეებში აუარებელი ნადირ-ფრინველია, — განაგრძობდა გიორგი, — ტბა კი ათასნაირი თევზით არის სავსე. ალექსი მიხეილის ძის შემდეგ პატრიარქს დაუდია აქ ბინა და ის დაპატრონებია. ამ სახლებში დიდებულებს უცხოვრიათ, ის ქოხები კი მეთევზეებისა და მონადირეებისაა, რომელნიც დიდებულთა სამსახურში არიან.

— მშვენიერი ბაღებია! — აღტაცებას ვეღარ ფარავდა თეიმურაზი, — ახლა რომ ასეთია, ზაფხულში რა იქნება.

— წალკოტია, მეფეო, სამოთხის სადარი. პეტრე დიდს აქ გატარებია თავისი ბავშვობა. მასვე უბრძანებია, რომ ქართველებისთვის მიეცათ ეს ადგილები. ერთბაშად გაშენებულა ეს დასახლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ეკლესია?

— ეგეც ქართველთაა. მთავარმოწამე წმინდა გიორგისა. შევიდეთ შიგნით!

მეფე თეიმურაზი, გიორგი ბატონიშვილი, ეგორ ამილახვარი, ალექსანდრე ციციშვილი, იესე მაჩაბელი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი და დავით ჯორჯაძე შევიდნენ ეკლესიაში. სხვანი უკუდგნენ და გარეთ დაელოდნენ. ზოგმა გაყინული ტბის ნაპირებს მიაშურა და ყინულზე მსხდომ იხვებს ხელის აქნევა დაუწყეს.

მეფე განაცვიფრა ამ მცირე ეკლესიის დიდებულმა მორთულობამ. ძვირფასმა ხატებმა და ლგამ-კათედრათა შეაბიურმა გადასაფარებლებმა. აქვე, საგანგებო ადგილზე ელაგა ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნები: თბილისური „სახარება“ და მოსკოვური „დაბადება“.

— ყოველივე საკადრისად მოგიწყვიათ და ამიტომაც აღარ ღონობთ საქართველოში წაბრძანებაზე, — გაიღიმა თეიმურაზმა.

— საქართველოში წამოსვლაზე ლეედალამ ვოცნებობ, მეფეო, მაგრამ... — ამოიოხრა ბატონიშვილმა.

— მაგრამ ვინ გიშლით? — უკანგამობრუნებისას იკითხა თეიმურაზმა.

— ათასი გარემოება, — გვიან უპასუხა ბატონიშვილმა, როცა ეკლესიიდან გამოვიდნენ, ისევ მკლავში ხელი გაუყარა და გვზი იცვალა, — ახლა სასახლე დავათვალიეროთ, იქაურობა ქართული წესისამებრ დავლოცოთ და დანარჩენს ხვალ გაგაცნობთ.

— ყოველივე დიდებულია და ეს სასახლეც შესანიშნავი ჩანს.

ორმოცდაათი ოთახია და ოთხი სამზარეულო ემსახურება. ბაქარის სახლობას ეკუთვნის.

— სწორედ რომ სამეფო სასახლეა, — მოეწონა თეიმურაზს, — ბაღიც უჩანს.

— ეზო ორმოცდაათი საჟენია, წადმა-უკუღმა, ბაღი კი — ორას ორმოცდაათი.

— დიდი წყალობაა. მოსკოვ ქალაქს რომ ამოდენა მიწას გაკუთვნებენ... ეგ მხოლოდ ბაქარს, ახლა სხვათა?

— ყველა წოდების კაცს საკადრისად აქვს ნაწყალობევი. მსახურთაც კი. ეს ყოველივე პეტრე დიდის წყალობაა. მას უბოძებია ქართველთათვის. მერმე კი პეტრე მეორეს განუმტკიცებია სვეტიცხოველი.

— ეს რა სახლია? — შენიშნა თეიმურაზმა ბაქარის ეზოში მდგარი უცნაური კოშკი, რომელიც საცხოვრებელ სახლს სულაც არ წააგავდა.

— ეს ვარსკვლავთ სათვალთვალო კოშკია, მეფეო.

— რაო?

— აი, შეეიდეთ და ყოველივეს გაჩვენებთ. აქედან ვარსკვლავთ უყურებდა ბაქარი, თვალს ადევნებდა მათ მოძრაობას და მიმართულებას, კიდევ... ცვლილებას, რაც რამ ხდება ცაში.

— როგორ? — ფრიად განცვიფრდა თეიმურაზი, რაკი ამგვარი რამ არ სმენოდა.

გიორგიმ თეიმურაზი კოშკში შეიყვანა და საჭვრეტ იარაღებში გააცნო.

— როცა დაღამდება, მაშინ უკეთ ჩანს ყოველივე.

— ეს ვინ მოუწყო? — თეიმურაზს აღარ უნდოდა, საჭვრეტელს მოსცილებოდა.

— თავად გამართა. რუსთა ქვეყანაში ასეთი რამ პირველია. ევროპაში კი — რამდენიმე. აი, აქ ინიშნავდა ყოველივეს, — მიუთითა გადაშლილ წიგნებზე, რომელიც ათასნაირად იყო დახაზულ-ჩანიშნული. — ეს არც მე ვიცი, რას ნიშნავს. ვახტანგის ასტრახანს გამგზავრებამდე

ადგილობრივი ქართველები, რომლებიც ვახტანგ მეფის მემკვიდ-
რეებთან იყვნენ დაახლოებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის სასახლეში თეიმურაზს დიდად მოეწონა ბიბლიოთეკა
სადაც რუსულ და უცხოურ წიგნებთან ერთად „ვეფხისტყაოსანი“,
„ქართლის ცხოვრება“, „სიბრძნე-სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“,
„ამირან-დარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „დაბადება“ და სხვა მრავა-
ლი ქართულ ენაზე დაბეჭდილი თუ ხელნაწერი წიგნები ელაგა.
მათ შორის ყველაზე დიდი აღტაცება ვახუშტი ბატონიშვილის
წიგნმა გამოიწვია, რომელიც, გიორგის განმარტებით, საქართვე-
ლოს ისტორიასა და გეოგრაფიაზე მოგვითხრობდა დაწვრილებით.

— ეს წიგნი გადამიწერეთ, სანამ პეტერბურგიდან ჩამოვიელი, —
ისურვა თეიმურაზმა.

— აქ არის, მეფეო, სიბრძნის წიგნი „აპოთეგმატა“, რომელსაც
თვალი ველარ მოვწყვიტე, — წამოიძახა მეითარმა ზაალ ავალიშ-
ვილმა, — ნება მიბოძეთ, გადავწერო და თან გაახლოთ.

— დიდად დამავალებ, — მოუწონა თეიმურაზმა ლა გიორგის
მიუბრუნდა, — უზომოდ კმაყოფილი ვარ თქვენი საქმიანობით. სამ-
შობლოდან გარეთ ყოფნას უაზროდ არ ჩაუვლია და ეს მიხარია.
მარტო ხმლისა და ფარის ხმარება კი არ არის, ესეც საქვეყნო
საქმეა. საქვეყნო კი არა, სამთელქვეყნიო.

* * *

ათიოდე დღის შემდეგ მოსკოვიდან ტვერის გზით გაემართა
თეიმურაზის ამალა პეტერბურგისკენ. როგორც მობრძანებისას, ისე
წასვლისას, დიდის დიდებით გააცილეს იქაურმა ქართველებმა და
მათმა ერთგულმა რუსმა მეზობლებმა, რომლებიც თეიმურაზის იქ-
ყოფნისას ერთურთს ეჯიბრებოდნენ თევზაობასა და ნადირობაში,
რათა ეამებინათ, მორეული, მაგრამ მათთვის მახლობელი ივერიის
ქვეყნის მეფისთვის, რომლის გულოვნებაზეც ლეგენდებს თხზავდ-
ნენ. თეიმურაზ-ერეკლეს საქმიანობას ერთურთში ურევდნენ და
ერთი კაცისთვის ფრიად შეუძლებელ გმირობას აწერდნენ ამ ბერი-
კაცს. ახლა აქ აზატ ხანის დატყვევებაც შეიტყეს. აზატ ხანი კი
ირანის შაჰად მიიჩნიეს და განცვიფრებას ველარ ფარავდნენ, რაკი
ირანს თავად რუსეთიც ვერ უბედავდა გადამწყვეტი ბრძოლის გა-
მართვას. ისიც შეიტყეს, თეიმურაზს ოთხიოლე ბოლკი ჯარი სდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებია ირან-ოსამალეთის დასაჩოქებლადო ღა, რაკიღა ყველანი ქრისტიანები იყვნენ, ღიღად თანაუგრძნობდნენ: ხელმწიფე-ძმაკაცი ტირი თუ ბრძენია, უთუოდ ჯარს მიხცემსო.

ერთი საათის სიარულის შემდეგ გიორგი ბატონიშვილმა მეფის ამალას მთავარი გზიდან გადაახვევინა და სვეტიცხოვლისაკენ წაიყვანა.

— ეს ადგილები, მეფეო, პეტრე დიდს უჩუქებია ალექსანდრე არჩილის ძისთვის, — განუმარტავდა გიორგი, — მე და ჩემმა ძმა ბაქარმა კი ეს სოფელი მემკვიდრეობით მივიღეთ დარეჯან დედოფლისაგან. შუაზე გავიყავით და ეს მეორე სოფელი მე გავაშენე. „გიორგის“ ეძახიან აქაურები.

შუახოფელში ტბა დაინახა თეიმურაზმა და მოეწონა:

— ესეც ფრიად კეთილი სოფელი ჩანს.

— რუსეთის დიდებულნი აქ ისვენებენ. აი, ეს ყველაწმინდის ეკლესია კი დარეჯან დედოფალმა განაახლა. მობრძანდით, მეფეო!.. აქ განისვენებს სულხან-საბა ორბელიანი და თავადი გიორგი გარსევანიშვილი — ვახუშტის აღმზრდელი.

თეიმურაზი სულხან-საბას საფლავთან გარინდდა და ასტრახანში ნახული ვახტანგ მეფის საძვალე გაახსენდა. უზომო მწუხარება განიცადა ორივეს მიმართ. ობოლი ის კი არ არის, ვისაც მამა ან დედა უკვდება, ობოლი ის არის, ვისი ძვლებიც სამშობლოს მიწაში არ დაიფვლება.

— ჩემო ერთგულო ბატონიშვილო, — შეემუდარა თეიმურაზი გამომშვიდობებისას, — თუ რუსეთში სიკვდილი მიწერია, შეეცადენით, რომ საქართველოში წამასვენონ. არადა აქ დამმარხეთ ანდა ასტრახანში — მამათქვენის გვერდით.

შინდაბრუნება შვილისა

— გაღი, გაჰხედე, ქალავ!

ლოყებდაშრეტილი ქალი უყოყმანოდ წამოდგა და გარეთ გაიხედა.

— ხო არ მოდიან?

— არა.

— თოვლი გახვეტე, ეგებ მოვიდნენ.

— გავხვეტავ... თქვენ მანდ იყავით, შვილავ, შაგცივათ! — მიუბ-

რუნდა სამ პატარა მობუნგლავე ბიჭს, რომლებიც კარისგაღებისთა-
ნავე წამოცვივდნენ, — მიბრუნდით, შვილავ! — ხელახლა გაიფრინ-
ლა ახალგაზრდა ქალმა, როცა მხრებზე ტყაპუჭი მოიგდო და
გავიდა. იქვე კართან მიყუდებული საბზევე ნიჩაბი აიღო და გახვეტა
დაუწყო თოვლს. გუშინაც გახვეტა, მაგრამ წუხელ იმ დაწყეველილს
ყირანი აუგია. თუ არ გახვეტა, ძროხები არ გამოუშვა და არაგვზე
არ ჩარეკა, მწყურვალნი დაიხრჩობიან. კარგია, თივა მაინც ჩამოუ-
ტანეს დედიძმებმა, თორემ საქონელი მშიერი დაურჩებოდათ.

— რო წავიდნენ, გადაიკარგნენ და მე დამირჩინეს ე ბალღებ და
საქონელ, რომელ ერთს გავუძლო?! — წუწუნი განაგრძო დედაკაც-
მა, რომელსაც ნიკაპზე და საულვაშეზე რამდენიმე ბეწვი გამოზრ-
დოდა და მათ შორის თეთრებიც ერია, — მაისვენეთ, ბალღებო, ნუ
აიკელით აქაურობა!

სამი ბალღი კი — ერთურთის მომდევნეო, უმცროსი სამი წლი-
სა რომ იქნებოდა და უფროსი კი — ხუთი-ექვსისა, სამივეს ბაწრით
მოქსოვილი შარვალ-ხიფთანი რომ ეცვათ და ჭრელი პაჭიჭები, ყა-
რამალა გადადიოდნენ.

— გავიხედავთ, იქნებ მამილო მოვიდა! — გაბედა უფროსმა.

— არ მოსულა, ბალღო, დედაშენმა თქო.

— ხო მოვა?

— მოვა, მა სად წავა?!

სამნი წავიდნენ ერეკლეს ჯარში. ორ უმცროსს შვილები არ
ჰყავდათ, უფროსი კი ამ შვილების მამა იყო. ერეკლეს კანონის თა-
ნახმად, შეეძლო, შინ დარჩენილიყო, როგორც მოხუცი დედისა ღ
ბალღების შემნახველი, მაგრამ უმცროს ძმებს მხარი არ მოსტეხა:
ბალღები ხართ და გაიჭირდებათო. შემოდგომაზე წავიდნენ ღ
ჯერაც არ დაბრუნებულან.

— თქვენი მამა-პაპანიც თქვენსავით დაუდეგარნი იყვნენ, შვი-
ლავ... ყველა ომი და ჭიდილი იმათ თავს იყო.

ბალღები ჩაცუცქდნენ ღ პირში მიაჩერდნენ:

— ბაბო, ბაბო, პაპაზე იამბე რამე!

— ე, შვილო, რა გიამბო? იმისთანა ვოჟი აქეთობას არ იპოე-
ბოდა... მიწაზე ნუ სხდებით, გაცივდებით!

უფროსი ჯორკოზე ჩამოჯდა. უმცროსები მხრებზე მიეყუდნენ
უფროს ძმას.

— პაპათქვენმა როგორც გაიგო, ერეკლე მოიდაო... ერეკლე მაშინ ბიძათქვენების ხნისა იქნებოდა და კახეთიდან შამოვიდა: ოთ-მალი უნდა გადავრეკოო. ჰოდა, პაპათქვენმა რო ეს გაიგო, ბიძა-ხირიმი, აიყოლია უნცროსნი და წავიდნენ ბარად. ხუთი თათარი მარტო ჩემ ქმარს მეეკლა სამ-სამიც — ჩემ მაზლთ. მაზლნი იქ დარჩნენ, ქმარი ამოვიდა.

— ეხლაც იქ არიან?

— სადა?

— ბარში.

— სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრეს, შვილავ. იმქვეყნად არიან და თამარის ლაშქარს ამშვენებენ.

— თამარი ვინ არი?

— ჩვენი სულმნათი თამარი, შვილავ, რამდენჯერ გითხარით ვინც აქ ბრძოლაში იღუპვის, თამარის ლაშქარს ემატების, ქართველთა ღმერთის, პირიმზე თამარის... ღმერთო, გადმოხე ჩემს კომლსა! — პირჯვარი გადაიწერა დედაკაცმა, შუაცეცხლს ჯოხით შეუჩუჩხუნა, ამოიოხრა და ფიქრმა წაიღო.

— მერე, ბაბო, მერე?

— ღმერთო, ნუ გამიციებ კერას!.. ჩემი ქმარ-მაზლიც სამი იყო, ჩემი შვილებიც და შვილიშვილებიც სამნი მყავხართ. რად ვერ ავცილდით ამ დალოცვილ სამებობას?!

— მერე, ბაბო, როგო დახოცა პაპამ თათრები?

— დიდად იომესო ჩემ ძმებმა. რომელსაც დაჰკრეს, ფეხზე აღარ დაარჩინესო. ვიდექ და ვუყურებდიო იმათ გმირობას. ბატარაიმ რო აგელვა ხმალი, მტრის კარსამც ყოფილაო. დაკოდა ერთიო, დაკოდა მეორეო... მოკლა ერთიო, მოკლა მეორეო, მოკლა მესამეო და ვიღაცამ ზურგიდან უშხიელა ხმალიო. გავგიჟდი მაშინო, თვალთ დამიბნელდაო. გარდავხე შუათათარში და რომელსაც დავკარ, ცხენ-კაცი გავკვეთეო. ვხოცე და ვხოცეო... ვხოცე და ვხოცეო... ბოლოს მკლავში დამკოდნეს და ხმალი გამივარდაო. მაინც არ ჩავვარდი ძაღლთა ყბაშიო, ცხენს დეზი ვკარი და ჯიქურ გადავთელეო ორი-სამი კაცი. მაინც ვერ ვუშველე და მეორე ძმაც მამიკლესო. მე კი, რაკი ხმლის ქნევა აღარ შემეძლო, შემოვაბრუნე და გამოვაჭენეო. ხუთი წელი კიდე იცოცხლა...

— არ უნდა გამოქცეულიყო! — გაწყრა უფროსი.

— ეგ მეც ვუთხარი, შვილავ, მაგრამ, იცი, რა მითხრა? მაინც

მამკლამდნენი და სიკვდილის წინ კი ბალღების ნახვა მინდოდა და სიტყვა რამ მქონდა შენთან სათქმელიო.

— რა გითხრა, ბაბო?

— ჩემ შვილიშვილებს ჩემ ძმათ სახელი დაარქვიო. ბებერ ქვით კიდეც: შენ პაპის სახელი ნადირა, მეორეს — ჯულურა და მესამეს — ჯურხა... ე, შვილავ!.. აბა, გაიჭყიტე, ხომ არ მოდიან შენი მამა-ბიძანი?

ნადირა წამოდგა, ღრიჭოდ დარჩენილი მორყეული კარი ჭრიალით გააღო და გაიხედა:

— ჯერ არ მოდიან.

დედას არაგვის პირამდე გაეხვეტა თოვლი და წერტილივითლა მოჩანდა. ამ ბილიკით ამოიელიან, თუ მოვიდნენ.

ნადირა შემობრუნდა, ისევ თავის ადგილზე დაჯდა და ბაბოს შეხედა, რომელსაც ხელში საქსოვი აეღო და წინდის თვალებს აწყობდ.

— მე როცა შვილები მეყოლებიან...

— შენა? — გაუღიმა ბაბომ და წამით შეაჩერა ქსოვა.

— ჰო, ხო მეყოლებიან?

— რატომაც არა. ბევრი შვილი უნდა გეყოლოს, მტრის ჯიბრზე.

— ჰოდა, როცა მეყოლება, ერთს გაგა უნდა დავარქვა, ერთს თედო და ერთს ნიკო.

— შენს მამა-ბიძათა სახელები. აგრე უნდა, შვილავ, მაგრამ სამი კი არა, ბევრი უნდა გეყოლოს. ერეკლე მეფეს შვიდი ჰყოლია.

— მეც მეყოლება, — თქვა ჯულურამ.

— მეც, — მხარზე ჩამოეკონწიალა ჯურხა.

— ყველას უნდა გეყოლოთ, შვილო. ძრიან ბევრი მვილები გვინდა, თორემ მტერი დაგვჯალთავს. — გულთამზემ ძველი წინსაფრით ჯერ ჯურხას მოსწმინდა ცხვირი და მერე — ჯულურას. ნადირამ იფიქრა, მეც მოსაწმენდი მექნებაო, და მაჯა გაისვა ცხვირზე:

— ჩემი პაპა ხო ყველაზე ღონიერი იყო, ბაბო?

— ღონიერი იყო, შვილავ, უღვთოდ ღონიერი.

— მეც ხო ღონიერი გავიზრდები?

— ღონიერი, მაშა.

— მე, ბაბო?

— მე? — შეეცილნენ ჯურხა და ჯულურა.

— დედილავ, ცხენებით გამოჩნდნენ ვიღაცანი, — კართან ფეხები დააბრაგუნა ქალმა და ნიჩაბი თავის ადგილზე მიაყუდა.

— სანდუავ, შვილავ, აბა, კარგად გაჰხედე, ჩვენები თუ არიან?!

— შორს არიან და ჯერ აქეთ არ გადმოუხვევიათ.

— თოვლი ხო გახვეტე? — წამოდგა გულთამზე, საქსოვი ტახტ-ზე მიაგდო, ჯოხს დაებჯინა და კარისკენ წავიდა.

— აქეთ გადმოუხვიეს, დედილავ!..

— ღმერთო, შენი ძალისა და მადლის ჭირიმე!.. ღმერთო, შენ გვიშველე!. პირჯვარი გადაიწერა დედაბერმა და მაშინლა გააღო კარი, — აბა, სად არი?

კარში გასვლა ბალღებმა აღარ დააცადეს და ფეხებში გაებლანდნენ.

— აბა, სად მოდიან, მამილო მანდ არი?

— ვერა ვხედავ, შვილავ, საიდან მოდიან? — მოიჩივლა გულთამზემ.

— მაღლიდან ჩამოვიდნენ, დედილავ, აიქ ჩაეფარნენ და ეხლა ამოჩნდებიან. აი, ამოჩნდნენ კიდეც.

— სამნი არიან?

— ორნი ჩანან. ეგების სამნი არიან და კარგად ვერ ვხედავ.

— ავაიმე, შვილავ, თუ ორნი არიან?! — ამოიკვნესა გულთამზემ და რაკი თოვლზე აჭიატებული მზე სიბნელიდან გამოსულს თვალსა სჭრიდა, ხელი მოიჩრდილა და ისე გაიხედა, — კარგად დაინახე, სანდუავ!

— ორნი არიან, — ამოიოხრა სანდუამ, მაგრამ ჩვენებს არ ჰგვანან, უცხონი ჩანან.

— ლეკნი ან თათარნი ხომ არ არიან?

— არ ჰგვანან ლეკებს.

— ეგ მამაჩემი არ არი, არც თედი ძია! — თქვა ნადირამ.

— უცხონი არიან, — კვლავ ამოიკვნესა სანდუამ, — როდემდე უნდა დაიგვიანონ იმ ბელნიერებმა, გავწყდი მარტოკა. მეტსაც ვიშრომებ, მაგრამ, რომ არსად ჩანან, ეგა მკლავს.

ცხენოსნებმა არაგვი გამოიარეს და ბილიკს შეუყვნენ.

— ახლა მეც დავლანდე, სხვანი არიან, — ამოიოხრა გულთამზემ.

— მტერთ არ ჰგვანან, მაგრამ... ჩვენთან მოდიან, დედილავ.

— ჩვენთან მოდიან.

ხახლს რომ მიუახლოვდნენ, ცხენოსნებმა დაიქვეითეს, ცხენები ლაისალავეს და ისე გაემართნენ სახეხში გამოშლილი დედა-წულისაკენ.

წინა მხედარი უსაშველოდ მაღალი იყო, უკანა მომცრო ჩანდა. ეზოზე რომ მივიდნენ, მაღალმა ქუდი მოიხადა, გრძელი ყურები გამოუჩნდა და დამნაშავეს დაემგვანა:

— უსინათლო გიორგის შვილი ვარ, მლეთელი, შიოს მეხმობეს.

— გიორგის შვილი ხარ? მშვიდობა შენს სახლ-კარს და საქონს! — მიესალმა გულთამზე, — საით გიელია?

— მეფემ გამომგზავნა თქვენთან... კარგი საქმე ვერ არის, დედილავ, და ეს ფული გამომატანა, ხელს მოინაცვლებსო, — შიომ უბიდან ქისა ამოიღო და დედაბერს გაუწოდა.

— ფული რა თავში ვიხალო, შვილავ?! — ტუჩები აუცახცახდა დედაბერს, — ან მეფე საით მამცემს იმდენ ფულს რამდენიც შვილები მიღირდა?!.

შიოსაც და მის მომყოლ კაცსაც ცრემლი მოერიათ, მაგრამ გული გაიმაგრეს.

— მეფეს ნურაფერს დააყვედრი, დედილავ!.. ეწყინება, რომ არ აიღო, — დამნაშავესავით ამოღერღა შიომ და არაგვისკენ გაიხედა, რომ ცრემლი არავის შეენიშნა.

— არ ვაყვედრი, შვილავ... ქმარ-მაზლიც ქვეყნის საქმეს შეეწირა და შვილნიცა. ალალი იყოს მეფისთვისაცა და ქვეყნისთვისაცა... ფულს კი არ ავიღებ, — ნერწყვის ყლაპვით ძლივს თქვა დედაბერმა და თავში შემოიკრა, — ავაიმე, შვილებო, გაგავ და თედოვ და ნიკოლავ!.. ავაიმე, ნადირავ!.. ეხლა დაგექცა ოჯახი!.. ავაიმე, ჯურხავ და ჯულურავ!.. ჩემს მეტი დამტირებელი არც თქვენა გყავთ, თქვე საცოდავებო!.. ავაიმე, შვილებო, ავაიმე!..

— თქვენ მაინც აიღეთ ფული, ობლების გაზრდა გაგიჭირდებათ! — მიუბრუნდა შიო ცრემლგამშრალ სანდუას.

— როგორც დედილამ თქვა, ისე იქნების... ფული ხელმწიფეს უფრო ეჭირვება, ბევრი საქმე აქვს.. — მერე სახლისკენ დაცერავდა, — ავაიმე, გაგავ, მაგასა მპირდებოდი, ქალბატონებრ უნდა გაცხოვროო?!. ავაიმე, გაგავ!.

— ავაიმე, შვილებოო!.. — ავაიმეე!.. — სახლში შერაცრაცდა დედაბერი, სკივრიდან შვილების ტანსაცმელი ტახტზე ამოალაგა და მოთქმით განაგრძო ტირილი.

— ნუ გეშინია, ბაბო, ჩემ შვილებს დავარქმევ მამა-ბიძათ სახელებს, — ბურტყუნებდა ნადირა, მაგრამ მისი უკვე აღარავის ესმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ თეიმურაზ მეფე პეტერბურგს ჩავიდოდა, თუმანოვის ერთ-
დენიმე მოხსენებამ ჩაასწრო, რითაც კანცლერ ვორონცოვს ერთურ-
თის საპირისპიროს უმტკიცებდა. ერთში ამბობდა, რომ თეიმურაზი
გამოჩერჩეტებული ბებერია, რომელსაც ნაბიჯის გადადგმა არ შეუძ-
ლია კახელი თავადი ჩერქეზიშვილისა და ქართლელი ციციშვილის
გარეშეო, მეორეთი იუწყებოდა, რომ ერეკლესთან მოსვლია გან-
ხეთქილება და იმიტომ მოდის პეტერბურგისკენო. მესამეში კი რა-
ღაც განსაკუთრებული მიზანი მიაჩნდა მისი სატახტოში ჩასვლის
მიზეზად. მიზანი იმგვარი, რომელიც რუსეთის პოლიტიკაში თურ-
ქეთსა და ირანს დააეჭვებდა და, მოსალოდნელია, საბრძოლველად
წამოეშალა. თეიმურაზი კი გაღიმებული, თუმცა გულმტკივანი
უახლოვდებოდა პეტერბურგს, ფრიად დარბაისელი გამცილებლის
ეგორ ამილახვრისა და თავისი შვიდათეულიანი ამალის თანხლე-
ბით.

მოსკოვიდან ათიოდე დღეში ჩავიდა თეიმურაზის ელჩობა პე-
ტერბურგს. მეფეს ეგონა, აქ მაინც მოუწყობდნენ საზეიმო შეხვედ-
რას, მაგრამ მისთვის განკუთვნილ ბინაში რომ მშვიდად შეუძღვნენ
და ორიოდე მცველი მიუჩინეს, მაშინ უფრო იგრძნო გულისტკივი-
ლი. იგრძნო, რომ მისი ჩასვლა მეფის ჩაბრძანებას კი არა, სა-
ხელმწიფოს რომელიმე რიგითი მოხელის ჩასვლას უფრო ჰგავ-
და.

რიგითი მოხელეობა და პატივის შელახვა მაშინ უფრო ცხადად
შეიგრძნო, როცა იგი კანცლერს წარუდგა და თავდახრით მიესალმა.
კანცლერი ვორონცოვი კი მხოლოდ წამოდგა და, სკამს არც მოს-
ცილებია, ისე ჩამოართვა ხელი და შორიახლოს მდგარ სკამზე მიუ-
თითა, დაბრძანდიო. მერე თარჯიმანი მოიხმო და მეტად საეჭვო
საუბარი გაუმართა, რითაც მეფემ მაშინვე გაიგო, ვორონცოვს რომ
უხვი ცნობები მიუღია როგორც მის მგზავრობაზე, ისე მის მიერ
გამართულ თათბირებზე, რუსეთის სხვადასხვა მოხელეებთან რომ
მოუხდა. თეიმურაზმა იგრძნო, რომ მისი პეტერბურგს ჩასვლა სუ-
ლაც არ ახარებდა კანცლერს და მისთვის სულერთი იყო, რაც უნდა
ეთქვა.

— მხოლოდ იმპერატორს შემახვედრე, ამას გევედრები, — გა-
მოთხოვებისას სთხოვა თეიმურაზმა, — დაწვრილებით მას მოვახ-

სენებ ჩვენი ორი ქვეყნის საჭირო მეგობრობაზე და უთუოდ დიდად გავახარებ ჩემი წინადადებით.

— ისეთი არა სთქვა რა, რაც იმპერატორს განარისხებს — ბავშვივით დაარიგა თეიმურაზი.

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, — უპასუხა თეიმურაზმა და კიდევ უფრო დამცირებულად იგრძნო თავი. ნირწამხდარი გამოეთხოვა და წელმოწყვეტილი გამოვიდა მისი კაბინეტიდან.

სამი-ოთხი დღე ავ გუნებაზე იყო თეიმურაზი და ელოდა, როდის მიმიღებსო ხელმწიფე-იმპერატორი. მეოთხე დღეს კი ვორონცოვმა სადილზე მიიპატიჟა და ამან ერთგვარად გამოაცოცხლა. იფიქრა, ალბათ ნანობს, ცივად რომ შემხვდა და ამისი გამოსწორება სწადიაო. მართლაც თითქოს გულღიად შეხვდა კანცლერი, ღიმილი და ხალისი არ დაუშურებია და გამოთხოვებისას კი დააიმედა კიდეც: მალე შეგახვედრებო იმპერატორს და ყოველივეს სასურველად მოვაგვარებო.

იმ საღამოს თეიმურაზმა თავისი სახლის წინ ერთობ მოხდენილი ქალიშვილი შენიშნა, რომელმაც რამდენჯერმე ისე თბილად გაუღიმა, რომ კინაღამ სხეული დაეშალა.

— ვინ უნდა იყოს, ეს უმშვენიერესი ბანოვანი? — იკითხა თეიმურაზმა.

— ეგ ქალიშვილი, მეფეო, ფელდმარშალ ბუტურლინის შვილიყოფილა, — უპასუხა ჯორჯაძემ, — მეც დილას შევნიშნე.

— გუშინ არ დამინახავს.

— წუხელ ჩამობრძანებულან და აქ შეუსახლებიათ. მაგისი მამა პრუსიის ფრონტზე ყოფილა. მარტო დედა და შინამოსამსახურეები ახლავს.

— ულამაზესია იმ ქალთა შორის, ვინც კი დღემდე მინახავს. სახელიც ხომ არ იცი?

— ბარბალე ჰქვიაო. ყველანი მოხიბლულნი არიან მაგისი სილამაზით.

— დიაღაც მომხიბლავია თავისი აღნაგობით. ასეთი ახოვანი და ასე ჰაეროვანი... სწორედ, რომ დაუჯერებელი სილამაზეა.

უჩვეულოდ გახარებული იყო იმ დამეს თეიმურაზი. აღარც გული აწუხებდა და აღარც — ბოყინი. ცალკე კანცლერის იმედიანი შეპირება და ცალკე ბუტურლინას მომხიბლაობით აფორიაქებული გრძნობა ისეთ ნეტარებას განაცდევინებდა, რომლის მსგავსი არა-

ოდეს განუცდია. საამურად გაუკრთა ძილი. თვალი ეხილა და ნათლად ხედავდა ბარბარე ბუტურლინას მომხიბლავ ხატებას, რომლის სილამაზე მანამდე ნახულ ყველა ქალთა სილამაზეს აღემატებოდა. დიდი ხანია, ამგვარი თავბრუხვევა აღარ განუცდია თეიმურაზს. ეგონა, დავბერდიო, მშვენიერებით ტკბობაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული და ამ ლერწამივით მოქნილმა და თვალუუფუნა ასულმა ისე აუჩქროლა სისხლი, რომ ერთიანად გაახალისა და გააახალგაზრდავა. მაინც რაღა თეიმურაზს უღიმოდა ასე მომხიბლავად? მისი მხლებელნი ხომ უფრო ახალგაზრდანიც არიან და მომხიბლავნიცა?

გვიან ჩაეძინა თეიმურაზს და ბუტურლინა დაესიზმრა. ვითომ თან ბარბალე იყო და თანაც — ახალგაზრდა თამარი. მივიდა, ყელზე შემოეჭდო თეიმურაზს და საამო ხმით ჩასჩურჩულა:

— მე თამარი ვარ, ჩემო სიცოცხლევ. თფილისიდან რომ გამოხვედი, მეც გამოგყევი და იდუმალ მოგდევ. ახლა აქ, პეტერბურგში რომ თფილისური სიცხოვლით გიღიმი, ეს იმიტომ, რომ გაგახალისო და გაგამხნევო. თუ ყოველივეს კარგად მოახსენებ ხელმწიფე-იმპერატორს, მეც შთავაგონებ და შემწედ გექმნება.

— ირაკლისთან ვინღაა, მე რომ ამდევნებიხარ?

— მამაჩემია.

— როგორ თუ მამაშენი? ის თუ მე არ მახლავს, ვერას გავხდები იმპერატორთან.

— ბრძენი სულხან-საბა გაახლა მამაჩემმა. თავად კი ერეკლეს მიაშურა და განჯას წაიყვანა, სადაც ერთ დროს თვით ელოდა პეტრე დიდს.

— ნუთუ ეს შენ ხარ, დედოფალო? — ჰკოცნიდა თეიმურაზი.

— მე ვარ, მეფეო, მშვენიერი ბუტურლინას სხეულიდან გითვალთვალებ და გიალერსებ. იმპერატორთანაც შემოგყვები და მხნეობას შეგმატებ. გონი მოიცი, გულს ნუ გაიტეხ და ყოველივე სასურველად წარიმართება.

— ო, დედოფალო... ო, ბარბალე... ო, ბუტურლინა!..

— დედოფალი ვარ, შენი ბუტურლინა. შენ გენაცვალე, შენ შემოგევლე... შენი ვარ, ოღონდ ხელი არ მახლო. მხოლოდ მიცქერდე, მხოლოდ სტკბებოდე ჩემი სხეულის სურნელებით. მოიცა, მე თავად გეამბორები შუბლზე... როგორ მამას კი არა, როგორც უფროს ძმას.

— მამად ნუ მიმიჩნევ, მშვენიერო, ნურც ძმას მიწოდებ, ო, ბუ-
ტურლინა... ბუტურლინა!... — თეიმურაზი შიშველ მკლავზე წაეტა-
ნა საკოცნელად. აი, შეახო კიდეც ბაგეები და გაეღვიძა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულაღმა მწოლარე თეიმურაზმა საბანი მოიშორა ტუჩებიდან და
იმ სარკმლისკენ გაიხედა, საიდანაც ბუტურლინას სადგომი უნდა
ჩანებულიყო. ნუთუ ეს ყოველივე სიზმარი იყო და არა სიცხადე?
თამარის სული ჩავსახლდიო? მართლაც თამარივით გაულიმა გუ-
შინ. დროზე ადგება, ხელ-პირს დაიბანს, თმას საგანგებოდ დაივარ-
ცხნის, ჩაის მიირთმევს და აივანზე გავა. თუ დღესაც გამოეცხადა
და კვლავაც გაულიმა. ღმერთმა იცის, რას მოასწავებს ეგ ღიმილი.
მაგისი მამა ფელდმარშალი ყოფილა. პრუსიის ომს რომ მოათავებს,
ეგებ საქართველოში წამობრძანებაც მოისურვოს, თავის ქალიშ-
ვილთან ერთად. ო, ბუტურლინა, ბუტურლინა... თავად თემიურაზიც
გაულიმებს, დღეს თუ შეხვდა სადმე. უმსგავსად კი არა, პატივითა
და მოკრძალებით გაულიმებს. ისე გაულიმებს, როგორც მის ჰაე-
როვნებასა და კდემამოსილებას შეეფერება.

ნასაუზმევს თეიმურაზი კარში გამოვიდა და ბარბალე ბუტურ-
ლინა, თითქოს ჯიბრზეო, აივანზე გამოსულიყო შიშველი და მრგვა-
ლი მკლავებით. მკერდიც რარიგად უდგას ამ დალოცვილს.

ბუტურლინამ დანახვისთანავე გაულიმა თეიმურაზს და მიესალ-
მა კიდეც, დილამშვიდობისაო. თეიმურაზმაც მოწიწებითა და თა-
ვისდაკვრით უპასუხა ამ მისალმებას და იგივე სიტყვები გაიმეორა,
რაც ქალიშვილმა უთხრა. ამ ერთი წლის მანძილზე მან არა მარტო
მისალმება, სხვაც ბევრი რამ ისწავლა რუსულად, მაგრამ ლაპარაკს
ვერ ბედავდა, მახინჯად არა ვთქვა რაო, მაგრამ ამ ქალს ისე მოხ-
დენილად უპასუხა მისალმებაზე, რომ ვერვინ დაეჭვდებოდა, მან
თუ დიდებულად არ იცოდა რუსული ენა.

მართალია, მარტი ილეოდა, მაგრამ ჯერ ისევ ციოდა და, თეი-
მურაზს რომ რუსული კარგად სცოდნოდა, ეტყოდა, შეგცივა, თბი-
ლად ჩაიცვიო.

ეგების მართლა თამარია? არადა, რად უღიმის ეგრე კეთილად?
ნეტავი სხვაც თუ მოიძებნება ესოდენი სიკეთით სავსე?

ბუტურლინას ღვთიურმა ღიმილმა თეიმურაზის გული ლხენით
აავსო და იმდენად დაატყვევა, ვერც კი შეიტყო, მსახური როგორ
მიუახლოვდა და ერეკლეს წერილი როგორ მიართვა. ამ წერილის
გამოჩენამ კი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბუტურლინა მისი მფარ-

ველი კეთილი ანგელოზი იყო. აბა, მაშ, რაღა ახლა მოართვეს ერეკლეს წერილი?

თეიმურაზი ოთახში შევიდა, ჩამოჯდა, გრაგნილი ხელებს კაკალით გაშალა და სულმოუთქმელად ჩაიკითხა.

განჯა ისევ შემოურიგებია ერეკლეს, ერევანს ძმობა უთხოვია. აზატ ხანის დატყვევებასაც კვლავ იმეორებს. აი, თუ კეთილი სული არ არის ბუტურლინა?!

ერეკლეს წერილითა და ბუტურლინას ხატით აღტაცებულმა თეიმურაზმა იმავე დღეს თავის მდივან-მწიგნობართან და დიდებულებთან ერთად ხელმწიფისადმი წარსადგენი ბარათი ხელახლა შეადგინა:

„ყოვლად უგანათლებულესო მპყრობელო, დიდო ხელმწიფევ, იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულო, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისა...“

შემდეგ ყოველივე დააწერინა თეიმურაზმა, რაც კი ეწადა. დააწერინა, რომ მისი იმპერატორობის კარს წინაპართა მიბაძვითა და პატივისცემით ესტუმრა. რომ მათ წინაპრებს დიდი და ხანგრძლივი მეგობრობა ჰქონდათ, რომ მამამისი ნიკოლოზი რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის აღზრდილი იყო და ვალდებულია სამეფო კარის თაყვანისა. რომ უსარგებლოდ არ ჩამოვიდა შორეული საქართველოდან და თხოვნა აქვს ისეთი, რომელიც დიდად სასარგებლოა თვით რუსეთისთვისაც. უკეთუ რუსეთი მას ჯარს გამოუყოფს ან ფულს მისცემს, რათა საქართველოს ჯარი ყაბარდო-ჩერქეზებითა და სხვა დაქირავებული ხალხით შეავსოს. შემდეგ თავისი ირაკლით სპარსეთში შეიჭრას და წესრიგი აღადგინოს. ტახტზე კი შაჰროხი დაადგინოს, რომელიც თუმცა უსინათლოა, დიდად საჭიროა სასურველი პოლიტიკის მისაღწევად. არადა, მაჰმადიანურ გარემოცვაში ყოველდღიური ტაცებითა და წვრილ-წვრილი ომებით ინთქმება და იღუპება ქრისტიანული საქართველო. თეიმურაზმა ისიც კი დაწერა, რომ თუ ამ თხოვნას შეგვისრულებთ და ჩვენს განზრახვას სისრულეში მოვიყვანთ, ქართველები მონებრივად დაგემორჩილებითო. ცდუნება ისეთი დიდი იყო, თავშეკავება ალარ ჰყოფნიდა. უნდოდა, დაეწერა, აზატ ხანი უკვე თბილისში გვყავს და სპარსეთის დაპყრობის ნახევარი საქმე გაკეთებულიაო, მაგრამ დაწერას პირადი თქმა ამჯობინა და იფიქრა, თუ იმპერა-

ტორი ჩემს აზრებს შემოეკამათა, მაშინ მოვიშველიებო ამ დიდებულ ფაქტს.

როცა მეფე მარტოდ დარჩა, კიდევ ერთხელ გადაიკითხა შეფის მოწმა, ხომ არაფერს ვაჭარბებო, და, თუმცა სიტყვა „ბინადარი მორჩილება“ გულს უღრღნიდა, იფიქრა, გამარჯვებულს მონად ვერავინ გაიხდისო და ისევ დატოვა შეუცვლელად. დაე, ეწეროს ეს თავმდაბლური სიტყვები და ეგების სწორედ ამან მოულბოსო ხელმწიფეს გული.

კანცლერის უკანასკნელმა თბილმა განშორებამ ერთობ დაარწმუნა თეიმურაზი მის დიდსულოვნებაში და გადაწყვიტა, ეს წერილი მისთვის წარედგინა, ხელმწიფესთან მისართმევად. თუმცა დღე დღეს მისდევდა და ვერ ახერხებდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბარბარე ბუტურლინა სადღაც გადაიკარგა და აღარ გამოჩნდა. თეიმურაზს კი მიაჩნდა, რომ მას უაღრესად კეთილი თვალი ჰქონდა და საქმის კეთილად წარმართვას უთუოდ მისი ღიმილი სჭირდებოდა. და, აი, ერთ ღამეს ისევ დაესიზმრა თამარ-ბარბალე, რომელიც ცხოველმყოფელი ღიმილით უღიმოდა და ეუბნებოდა:

— წარუდეგ კანცლერს და ყოველივე კეთილად დასრულდება!

— შენც ხომ გვერდს მეყოლები, დედოფალო?

— გვერდს გეყოლები ხელმწიფეო, მხოლოდ შენთვის ვარ მოწოდებული.

მეორე დღეს კი ხელმწიფე-იმპერატორმა თეიმურაზის მიღება ისურვა.

ᲔᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ-ᲩᲐᲕᲐᲜᲘ

— ქერიმ ხან ზენდი მომდგარაო ყარაბაღთან.

— რაო? — ლევანთან ფარიკაობა განაგრძო ერეკლემ.

— მეფეს იწვევსო ქერიმ ხან ზენდი.

— ვინ მეფეს?

— თქვენზე უბრძანებია.

ერეკლემ ხმამაღლა გაიცინა, მარჯვნიდან წაპარებულ ლევანის დაშნას თავისი დაშნა მარცხნიდან დაუხვედრა, ამით დარტყმა აიცდინა, მაგრამ სიცილის ჭავლმა ერთბაშად გადაუარა და თითქოს ერთგვარი ჭმუნვის ღრუბელი შემოადგა შუბლთან, — რევაზ სარდალი მომიყვანეთ! — ბრძანა და ფარიკაობა განაგრძო.

მცირე ხნის შემდეგ რევაზ ორბელიანი ეახლა.

ერეკლემ ფარიკაობა შეაჩერა და რევაზს მიუბრუნდა:

— წარიმძღვარე შებოჭილი აზატ ხანი და ქერიმ ხანსაბრძანებელი. გადაეცი, მეფე ერეკლე თანახმაა, ერანის ტახტი დაიკავოს-თქო. ხლებით კი ვერაოდეს გეახლებით, რაკიღა ერთობ მოუცლელი ვარ-თქო. თუ რაიმე გაუგებრობა მოხდა, ჯარი თან იყოლიე და ჩემთან კი მალემსრბოლი აფრინე! — აბა, დავიწყოთ! — მიუბრუნდა ისევ ლევან ბატონიშვილს, რომელსაც ამასობაში დაღლილობისგან სული მოეთქვა და ხალისით ისმენდა მამის ბრძანებას, — ჰო, მართლა, რევაზ ამილახვარსაც გადაეცით, რომ მოემზადოს და პაატა ბატონიშვილსაც. მეც მალე გამოვალ.

ერეკლე და ლევანი ისევ მარტონი დარჩნენ ლევანის ოთახში და ფარიკაობა განაგრძეს.

— შენ რატომ არ მიდიხარ, მამა?

— ის რჯულძაღლი იფიქრებს, ჩემს ბრძანებაზე დამყავსო ერეკლე. წამოსვლა ხომ არ გინდა?

— დიაღაც მინდა.

— ჯერ პატარა ხარ, — გაუღიმა ერეკლემ, — ხმალი, აი, ესე უნდა ჩაბღუჯო და ესე მიეტევო. მაღლიდან დარტყმას შეეცადე და, თუ მოწინააღმდეგემ ხმალი აგიკრა, უკან სწრაფად დასხლტი და პირდაპირ ატაკე!.. ჰო, ასე!.. როცა გაიზრდები, ყველგან თან გატარებ.

— როგორც გიორგის?

— უფრო უმეტესად. გიორგი დედით ობოლია და ვერ ვიმეტებ. შენ კი...

— მინდორში დავიძინებ?

— ნიადაგ მინდორსა და ტყეში გეძინება.

— ბალიშად უნაგირი მექნება?

— ზოგჯერ არც ეგა. ცხენდაცხენ წაგთვლემს ან პირდაპირ მწვანეზე გაიშხლართები.

— მწვანეზე კარგია.

— ჭყანტობშიც მოგიწევს.

— კახეთიდან სტუმრები გეწვევნენ, მეფეო, — მოახსენეს ერეკლეს.

— შემოვიდნენ! — უპასუხა ერეკლემ და გაიფიქრა, ალბათ ლეკები შემოესივნენო.

— აქა მშვიდობა! — შემოესმა ძალზე ნაცნობი ხმა და ერეკლემ მაშინვე დაშნა შეაჩერა.

— ჩემო შერმაზან! — ერეკლემ დაშნა კედელზე მიაყუდა და შერმაზან აფხაზს გადაეხვია, — ეს კარგი ბიჭიც მოგიყვანია. ბოლოს რომ დიდად მასიამოვნე! — შენიშნა შერმაზანის ვაჟი კონსტანტინე, რომელთანაც უკვე ლევანს მიერბინა და თავის ენაზე ესაუბრებოდა. ერეკლემაც მიუალერსა პატარა კონსტანტინეს და ისევ შერმაზანს მიუბრუნდა: — ლეკები ხომ არ...

— არა, მეფეო, სიმშვიდეა.

ერეკლემ ხალათი ჩაიცვა და სტუმრებთან ერთად დერეფანში გავიდა.

— დიდად გამახარე. ალბათ დაიღალე და გემშიება კიდეც.

— თათარიანნი ვეახელით ავლაბარში.

— აბა, მაშ, ვერხვნარში გავიაროთ და მტკვარს გადავხედოთ.

— რა მშვენიერი გამხდარა, მეფეო! — უზომოდ მოეწონა შერმაზანს ჯაჭვ-მუზარადით მოსილი, მკვრივყვრიმალებიანი და მაღალშუბლიანი ლევანი.

— შენი კონსტანტინეც უზომოდ მშვენიერია! — გულწრფელად შეაქო ერეკლემ ლევანთან მიმავალი ყმაწვილი და შერმაზანის მხარდამხარ დერეფანში გაიარა.

ვერხვნარი ფრინველთა გალობით ივსებოდა. რიყიდან კი მტკვრის ხმაური მოისმოდა.

— ამ ბილიკზე უყვარდა სიარული ჩემს მამიდაშვილს, — ამოიოხრა ერეკლემ თავის უნებურად და შერმაზანი მაშინვე მიხვდა, ვისზეც დარდობდა მეფე.

— ამბობენ, იქაც დიდი კაციაო?

— გონიერ კაცს ყველგან დააფასებენ, — მტკვრიდან მონაბერი სიგრილე იგრძნო ერეკლემ და უზომოდ ესიამოვნა, — მთავარია, შენ არ უნდა დაჰკარგო ადვილად, თორემ იმ შენს გადაგდებულ მარგალიტს სხვა დაეპატრონება... გახსოვს, ნადირ-შაჰი რა დიდად აფასებდა გონიერებას?

— მახსოვს, მეფეო. რამდენჯერ შენი რჩევით გაუმარჯვია.

ამის თქმა არ ეწადა ერეკლეს და ამიტომაც არ ესიამოვნა.

— გონიერი კაცის რჩევა ხშირად ნახევარ საქმეს უდრის.

ისინი ვერხვნარის ბილიკს დაუყვნენ მტკვრის გასწვრივ. მათ წინ ლევანი და კონსტანტინე მიკუნტრუშობდნენ. ერეკლეს ეწადა,

წელანვე ეთქვა ლევანისთვის, ჯაჭვ-მუზარადი გაიხადეო, მაგრამ გადაიფიქრა: დაე, ეცვას და მიეჩვიოსო.

აი, ამ ლოდზე უყვარდა ჯდომა ანტონ კათალიკოსს.

ერეკლე ლოდთან მივიდა, მარჯვენა ფეხი შეაბოტა და ტკვარს გადაჰხედა, რომელიც საგრძნობლად დამშრალიყო. შერმაზანიც მიუახლოვდა და მისი ღრმა სუნთქვა შეიგრძნო მეფემ.

— რაო, ხომ არას უჩივი? — თვალებში შეხედვას შეეცადა ერეკლე, მაგრამ შერმაზანმა თითქოს საითღაც გაიხედა:

— მე არა, მეფეო, მაგრამ...

ერეკლემ ხუთიოდე ნაბიჯი გადადგა და წაქცეულ ცილამპალ ვერხვზე ჩამოჯდა.

— მაინც არ ისვენებენ, არა?

— ძაღლი რომ სახრავ ძვალს ჩაიგდებს, შიშობს არ წამართვანო და წინასწარ იღრინება, სწორედ იმგვარად იღრინებიან.

— გახსოვს, ისპაჰანს ლაშქრობისას რომ მითხარი?

— აღარ მახსოვს, მეფეო, — გაუკვირდა შერმაზანს, ოცზე მეტი წლის წინანდელი ნათქვამი რომ გაახსენა.

— მე გკითხე, საქართველოს რა გადაარჩენს, ბრძოლა თუ მეგობრობა-მეთქი, და შენ მიპასუხე, მეგობარი დიაღ კარგია, მაგრამ ისეთ მეგობარს ვერსად იპოვნი, ერთხელ მაინც რომ არ გიმტყუნოსო.

— დიდად განმაცვიფრა თქვენმა მეხსიერებამ.

— მაშინ სხვასაც გაგახსენებ... ასე მითხარი, ერთხელ ღალატი მუდმივ ღალატს უდრისო. იმიტომაო, რომ სიკვდილისა არ იყოს, არ იცი, როდის მოვადგებაო ეს ღალატი. ისიც მითხარი, ყოველი მეგობარი სათავისოდ გამოგელის და ცდილობს, ჩაგახიოს, არა თუ ჩაგაკეროსო. მე გითხარი, მაშ, მეგობრობაც შეუძლებელი ყოფილა-მეთქი, და შენ მიპასუხე, სამეგობრო კაცს გულდასმით ძებნა სჭირდება და, თუ იპოვნე, არაოდეს აწყენინოო, თორემ ერთხელ მაინც თუ წაგცდა რამე, გულს კელარ მოუგებო.

— ეგ ყოველივე ჩემი ნათქვამია, მეფეო? — მოეწონა შერმაზანს თავისი სიბრძნე.

— ეგებ აღარ მოგწონს?

— ახლაც რომ გეკითხათ, ამას ვიტყოდი, მაგრამ დიდად მიკვირს, როგორ დაიხსომეთ.

— ჭკვიანურად ნათქვამი თავისთავად ეჭდევა გულზე. დაჯექი

ჩემთან! — შერმაზანს დაჯდომაზე არ უფიქრია, — მას შემდეგ ვეძებ მეგობრებს, ჩემო შერმაზან, ვეძებ დაჟინებით და შენ რომ წელან ავ ძაღლს შეადარე, სწორედ იმის ასულზე უნდა დავწინდო ჩემი გიორგი.

— ვაჩნაძენი უზომოდ ლამაზნი არიან, მაგრამ სათქვენო ქალიშვილი არ მეგულება, მაგათ რომ ჰყავდეთ.

— ენდრონიკაშვილებს?

— მაგათ კი მშვენიერი ასული ჰყავთ.

— მაგათ მშვენიერი ასულნი ჰყავთ და ერთ-ერთ მათგანზე დავწინდავ გიორგის.

— მე ხომ არ მითქვამს, მეფეო, რომ ძაღლებს ეგენი შევადარე?

— არ გითქვამს, მაგრამ ყველანი ძაღლის ნაშიერნი არიან. კაცს რომ კაცის მტრობა გულს ჩაუძვრება, ჭიასავით ღრღნის. ან უნდა მოსპო, ანდა როგორმე შემოირიგო.

— მამა! — ქაქანით მოვარდა კონსტანტინე, — ლევანმა დიდი გველი მოკლა, აი, იქით, აი!

— გველი? — საუბარი გაუწყდა შერმაზან აფხაზს და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კონსტანტინეს გაშვერილი თითის მიმართულებით.

ერეკლე ადგილიდან არ დაძრულა და თითქოს არც გაუგია კონსტანტინეს შეშინებული, გამომწვევი და აღტაცებული ხმა.

ცოტა ხნის შემდეგ ლევანი გამოჩნდა. წინგამოწვდილი ჯოხით გველი მოჰქონდა და იღიმოდა.

— მართლა დიდია, — შენიშნა შერმაზანმა.

— კინაღამ კოსტას არ უკბინა, — თქვა ლევანმა, — ნახეთ, რა ჭრელია?

— მართლა ჭრელია ეგ წყეული, ეკლებზე მიაგდე! — შენიშნა ერეკლემ.

— გველი გარედან არის ჭრელი და ადამიანი — შიგნიდანო, — ამოიოხრა შერმაზანმა.

ლევანმა გველი ჯოხიანად გადააგდო:

— ორი იყო. მეორე გამექცა.

— არა უშავს, — ანუგეშა ერეკლემ, — რამდენი კაცი ვიცი, გველზე შხამიანია და მაინცა ცოცხლობს.

— ვიღაცა გვზრახავს, მეფეო, — თქვა შერმაზანმა.

— ჩვენს ქვეყანაში მზრახველი არ გამოილევა ჩემო შერმაზან, — ერეკლემ ბეჭებზე ხელი მოუთათუნა ახლომდგარ კონსტანტინეს და

კიდევ ერთხელ შეაქო, — კარგი ვაჟკაცი გყავს. აკი მაგათთვის გაეხსენი თელავის სემინარია. ცხოვრება იმ გზით მიემართება, რომ უსწავლელობა სიღარიბეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოსტამაც აქ უნდა ისწავლოს, — ჩაერია ლევანი, — ხომ დარჩები კოსტა?

— არ ვიცი, — დაირცხვინა კონსტანტინემ.

— მაგისი დედა შინ აღარ მიმიშვებს, შვილო. სჯობია, შენც ჩემთან წამოხვიდე და იქ ისწავლოთ.

— ვერც დარეჯანი შეელევა, — გაიღიმა ერეკლემ, — ცალკ-ცალკე ისწავლეთ და მაინც ძმები იყავით. ძმობა-მეგობრობისთვის აუცილებელი არ არის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება.

სიონის მხრიდან ზარების რეკვის ხმა შემოესმათ. მცირე ხნის შემდეგ კი ანჩისხატის ზარებიც შეეტყუპნენ. ზარები საზეიმო ხმას გამოსცემდნენ და ესიამოვნა შერმაზანს.

— ქარიმ ხანს შემოუთვლია, მეახლოსო, — გაიღიმა ერეკლემ, და ფეხზე წამოდგა, — თათბირს გავუმართავ ახლა სარდლებს და შენც დაესწარი.

ჩამწვარი სანთლები

როცა ვორონცოვმა იმპერატორთან მისართმევი თეიმურაზის წერილი წაიკითხა, სათვალე მოიხსნა, ფეხი ფეხზე შემოიდო, მოჩუქურთმებული სკამის მაღალ საზურგეს მიეყრდნო და უმისამართოდ იკითხა:

— შაჰ როხი სპარსეთის ტახტზე?!. დესპანებს ხომ არ გამოგვიგზავნიან?

თეიმურაზმა თარჯიმანს თარგმნა არ დააცადა, ისე უპასუხა:

— სპარსთა თავკაცი ამჟამად მე ვარ და დესპანებსაც გამოვაგზავნინებ.

ვორონცოვი სერიოზულად ჩააფიქრა თეიმურაზის პასუხმა.

— რუსებს დიდი ჯარის დაბანდება ხომ არ მოუხდებათ სპარსთა საზღვარზე?

— ფულით დაგვეხმარენით, თუ ჯარს ვერ მოგვცემთ, — სწრაფად უპასუხა თეიმურაზმა, რომ ვორონცოვს საყოყმანო არაფერი ჰქონოდა.

— ვის შეაგროვებთ?

— ქართველებს, სომხებს, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს.

— ყოველივეს მოვახსენებ იმპერატორს.

— მცირეოდენი ჯარითაც თუ დაგვეხმარებით...

— მაგასაც მოვახსენებ. დამთავრდება პრუსიასთან ომი და... ხვალ შეგახვედრებთ იმპერატორთან და იქ გადაწყდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თეიმურაზს თვალებმორღვეული ეჩვენა ელისაბედ დედოფალი, თუმცა თვითონაც თვალებმორღვეული იყო და მოტეხილი.

— სასურველია საქართველოს მპყრობელის სტუმრობა საიმპერატორო კარზე! — ოდნავი თავის დაკვრით, ფეხზეწამოუდგომლად მონოტონური ხმით თქვა დედოფალმა და მხოლოდ წამით შეხედა თეიმურაზს ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია.

თეიმურაზმა მრჩეველთაგან დაწერილ საუდენციო ტექსტს ყურადღება არ მიაქცია და სულ სხვაგვარი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იმპერატორის დიდებულება და ქრისტიანობისადმი მფარველობაც იხატებოდა და ქართველთა რუსეთის სამეფო კარისადმი ერთგულებაც. შემდეგ კი მოკლედ მოახსენა ჩასვლის მიზანი და კანცლერისათვის წარდგენილი მოხსენების შინაარსი გააცნო.

— მალე პრუსიის ომს მოვათავებთ და სამხრეთის საზღვრების მოსაწესრიგებლადაც მოვიცლით, — თვალდაუხამხამებლად უპასუხა დედოფალმა და მცირე დუმილის შემდეგ დაამატა: — ახლა სადილზე წაბრძანდებით. საღამოს კი მეჯლისზე გვეწვიეთ!

სასახლის ბრწყინვალებით განცვიფრებული თეიმურაზისთვის ეს ორიოდე სიტყვაც დიდებული და საპატიო იყო. პეტრეს სასახლის ჯერ გარეგნულმა ელვარებამ და შემდეგ კი შიგნით ევროპულმა მოწყობილობამ ისე მოხიბლა, რომ უკან გამოსვლა გაუძნელდა. სპარსეთშიც ყოფილა, მათი მშვენიერი ქარვასლები და შადრევნებიც მოსწონებია, მაგრამ პეტერბურგული მშვენიერება აღმატებულად მოეჩვენა.

— გმადლობთ, მოწყალეო, იმედი მაქვს, მწედ ექმნებით ქრისტეს მოსავ ქართველ ერს და დაღუპვისაგან გადაარჩენთ! — თავი დაუკრა თეიმურაზმა და რუსი დიდებულების ამალაში მოექცა,

რომელთა შორის სამეფო კარის მრჩეველის, ეგორის ძმა ევგენი ამილახვრის მუნდირიც ბრწყინავდა. იმჟამად უზომოდ მოეწონა თეიმურაზს ცოტა ხნის წინათ გაცნობილი ქართველი თავადაზნაური, თავის ერთგულ კაცად მიიჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სადილზე ევროპული ღვინოები მიართვეს თეიმურაზს და სუფრაც ევროპულ-რუსული საჭმელებით იყო გაწყობილი. თუმცა ყველაფერს სიფაქიზე და მუყაითი ხელი ეტყობოდა, მაინც დიდად არ განუცვიფრებია მათ გემოვნებას. ეგ კი არა, თითქოს ყველა საჭმელი ულულუგი იყო და ქართულ კერძებთან შედარებით არც მოეწონა. რაც შეეხება ღვინოებს, ფერისა და გემოს სიწმინდით გამოირჩეოდნენ, სურნელებითა და ყუათიანობით კი კახურ ღვინოს ვერც ერთი ვერ მიუსადაგა და გვერდით მჯდომ საგარეო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს გადაულაპარაკა:

— როცა დავბრუნდები, რამდენიმე ურემ კახურ ღვინოს გამოგიგზავნით და, მაშინ შეიტყობთ, როგორი ღვინოებიც გვაქვს საქართველოში. მართალია, ხანგრძლივი მგზავრობის დროს შეილახება, მაგრამ...

— აქ ყოველივე კარგად იციან, მეფეო, — ჩაერია ევგენი ამილახვარი, — კახურიცა და ქართლურიც დიდად ეამებათ.

— ეცოდინებათ, მაგრამ მგზავრობისას საერთოდ ილახება ღვინო და ზედამდგომ მოხელეთაგან კი ყველაფერია მოსალოდნელი...

— ეგ სიმართლეა, — გაეცინა ამილახვარს.

— ჰოდა, საგანგებოდ დაბეჭდილი ღვინოები ჩემს ერთგულ კაცებს უნდა ჩამოვატანინო პეტერბურგამდე.

როცა თეიმურაზის ნათქვამი ამილახვარმა რუსულად გადათარგმნა, კოლეგიის თავმჯდომარეს დიდად ესიამოვნა:

— კეთილი ღვინო სუფრის მშვენებაა.

— საქართველოშიც ასე ამბობენ, — დაუდასტურა ამილახვარმა.

— უმჯობესია, საქართველოშივე იგემებდეთ ქართულ ღვინოს, თქვენო ბრწყინვალებავ, — შესთავაზა თეიმურაზმა.

— რამდენი ვერსია საქართველომდე?

— სამი ათასი არ იქნება.

— ოო, ძალიან შორს ყოფილა. ჩიტიც ვერ გადაფრინდება იქამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმებაო.

როცა ამილახვარმა ეს ანდაზა სიტყვასიტყვით უთარგმნა, კოლეგიის თავმჯდომარემ დამცინავად ჩაიღიმა:

— მე, მაგალითად, სულაც არ მიყვარს ეგ რალაც ქადა.

თეიმურაზმა უთარგმნელად გაიგონა ეს სიტყვები და ამილახვრისთვის ჩაილაპარაკა:

— რას ვიზამთ. ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს — მღვდლის ცოლიო.

— რა თქვაო? — წარბებით ანიშნა კოლეგიის თავმჯდომარემ ევგენი ამილახვარს და, როცა ამილახვარმა გადაუთარგმნა, გაეცინა, — ასეა. არც მღვდლის მშვენიერი ცოლია ურიგო, უკეთუ მღვდელი მხოლოდ სულის საქმეზე ზრუნავს.

ყველას გულიანად გაეცინა.

კარგი, ადამიანური ხალხი ყოფილაო, უხაროდა თეიმურაზს და იმედი ეძლეოდა, ამათთან ყოველივე გარიგდებაო. რუსეთთან მეგობრობას არასოდეს დავთმობ და თუნდაც ამჯერად შემწეობა არ აღმომიჩინონ, ბოლოსდაბოლოს მიხვდებიან, რომ ქართველებზე ერთგული მეგობარი დედამიწაზე არ მოეძევებათო.

სადილის შემდეგ თავის სასახლეში დაისვენა თეიმურაზმა, საღამოთი კი სამეფო მეჯლისზე გამოცხადდა თავის ოთხ დიდებულთან ერთად. აქ მას საგანგებო ადგილი მიუჩინეს და ხელმწიფე-იმპერატორის სიახლოეს დააბრძანეს. გაიხედა და, ჰოი, საოცრებავ... მეჯლისის მშვენებად ბარბალე ბუტურლინა იყო. კარგა ხანი იყო, ეს ქალიშვილი აღარ დაენახა და ერთბაშად აუფორიაქდა სისხლი. კვლავ მოევლინა ეს მზეთუნახავი მისი სიბერის დასათრგუნავად თუ სიყმაწვილის გასაღვიძებლად. ღმერთო, ეს რაგვარი მშვენიერებაა?! სამოთხის ფერია თუ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი? არა, არაფერი შეედრება ამის სილამაზეს და კეთილშობილებას. აი, ხელმწიფე-იმპერატორისკენ გამოიხედა და გაუღიმა. ამანაც რა დედაშვილური სითბოთი უპასუხა?! ნუთუ ასეა გაშინაურებული სამეფო კართან? აბა, თეიმურაზისკენ თუ გამოიხედავს? თუნდაც გამოიხედოს, ალაბთ ვერც იცნობს. უკვე რამდენი ხანია, აღარ დაუნახავს და როგორ უნდა იცნოს? მაშინაც სულ ერთი-ორჯერ შეხედა, მეტჯერ ხომ არა. თუმცა იმ ორი შეხედვით იმდენი ხსოვნა და სით-

ბო დაუტოვა, სიკვდილამდე ველარ დაივიწყებს თეიმურაზი. თავად? თავად ალბათ, მაშინვე დაივიწყა. ახლაც ისეთი წარმოსადეგი ვაჟკაცის გვერდით ცეკვავს, თეიმურაზი სადღა გაახსენდება. რა ჭირია ყოთ, რომ მეფეა? ბებერი და გადამღრძვალი თუნდ მეფე ყოფილა და თუნდ — მხვნელ-მთესველი. თუმცა რუსეთში მეფობით არც უხმობენ და მაგ ქალსაც არ ეცოდინება თეიმურაზის წარმოშობა.

აი, გამოიხედა ქალიშვილმა და მისკენ სიყვარულით მიპყრობილ თეიმურაზის უჩვეულოდ გაცისკროვნებულ თვალებს წააწყდა. წააწყდა და გაუღიმა. შემდეგ ცეკვასთან ერთად საუბარი შეუწყო ამილახვარს და ვნებიანად შესციცინებდა ცეცხლოვანი თვალებით. ამილახვარს კი მისი მოქნილი წელისთვის ამილახვრიანთებური ღონიერი ხელი შემოეჭდო, გულზე მიეხუტებინა და დროდადრო თეიმურაზისკენ გაურბოდა თვალი.

თეიმურაზს კიდევ ერთხელ გაუღიმა ბარბარე ბუტურლინამ და სიახალგაზრდავით აუვსო გული, მხნეობა შემატა და კეთილი იმედი ჩაუსახა. შემდეგ მისკენ წავიდნენ ცეკვა-ცეკვით. მართლა თეიმურაზისკენ მიდიან თუ ბებერ თვალებს ეჩვენებათ ასე? ეგებ შორდებიან კიდეც და მას ჰგონია, რომ უახლოვდებიან? აი, მივიდნენ. მცირე მანძილიღა აშორებთ მეფესთან. და უცებ ამილახვარმა ცეკვა შეწყვიტა, ბუტურლინას შიშველ მკლავს ხელი წაავლო და თეიმურაზს მიეახლა:

— მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ რუსეთის არმიის ფელდმარშლის ალექსანდრე ივანეს ძე ბუტურლინის უბადლო სილამაზის ქალიშვილი ბარბარე ბუტურლინა.

— დიდად მოხარული ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ! — წამოდგა თეიმურაზი, ბუტურლინას ნაზად გაწვდილ ხელს თავისი ფართე, ლურჯი ძარღვებით დასერილი ხელი შეაგება და ქალიშვილის თითებს ისეთი ვნებით ეამბორა, რომ ძარღვებში მოწოლილი სისხლის ხმაური შემოესმა.

ნახევრადმოშიშვლებულ, ბამბაზე უთეთრეს გულ-მკერდსა და მხარ-მკლავებზე ბუტურლინას მოწითალო წვრილი ხალები ეყარა და ეს კიდევ უფრო ვნებისალმძვრელს ხდიდა მის დანაკვთულ ტანს. დახუჭოს თვალები თეიმურაზმა და სიზმრად წარმოიდგინოს თუ კიდევ უფრო გამოფხიზლდეს?

— თავს ბედნიერად ვთვლი ივერთა მეფის პირისპირ გაცნობით, — მისი სიმაღლისათვის შეუფერებელი ნაზი ხმით ჩაილაპარა-

კა ბუტურლინამ და წამით მოარიდა თვალი მამაკაცის ხარბსა და დაჟინებულ მზერას.

— ივერია საიდან გაუგონია, შვილო? — შეეკითხა ამილახვარს.

— ესე ამბობს, მამაჩემის მეგობარი ყოფილაო ალექსანდრე არჩილის ძე — პეტრე დიდის განუყრელი მხლებელი. მისი შვილები და შვილიშვილები ჩვენთან ხშირად დადიოდნენ და ივერიის თავისუფლებაზე ოცნებობდნენო.

— გადაეცით მშვენიერ ბუტურლინას, რომ ამგვარი სილამაზე რუსეთში არ შემხვედრია და, როგორც კი აქედან გავალ, ლექსს დავწერ მაგის სილამაზეზე.

ბუტურლინას უზომოდ გაუხარდა ამილახვრის ნათარგმნი და მადლობის გამოსახატავად ისეთი კდემით გაულიმა თეიმურაზს, კინაღამ იქვე ჩაიწვა და ჩაინავლა მოხუცი მეფე.

— იმ ლექსს შევინახავ და ჩემს შვილიშვილებს წავაკითხებ, — უთხრა ამილახვარს და თეიმურაზი კი უთარგმნელად მიხვდა ნათქვამის შინაარსს.

— აბა, ჰკითხე, საქართველოში ჩამოსვლას თუ ისურვებენ ეგა და მამამაგისი?

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა ბუტურლინამ, — მერე ისევ მხარზე ხელი დაადო ევგენი ამილახვარს და ცეკვა განაგრძო.

თავბრუდახვეული თეიმურაზი კარგა ხანს ველარ მოვიდა გონზე. მერე საოცნებო ფიქრებმა გაიტაცა და მშვენიერი რითმები აირივნენ მის გონებაში.

სიამოვნებით ჩამოვალთო საქართველოში? საქართველოს რომ ერთი ფელდმარშალი ჰყავდეს?.. თუმცა ვინ იცის, რევაზ ორბელიანი და რევაზ ამილახვრიშვილი ფელდმარშალზე უმჯობესნი არიან? მთავარი ჯარია, ჯარი კი...

* * *

მთელ ღამეს არ დაეძინა თეიმურაზს. თვალწინ ბარბალე ბუტურლინას ხატება ედგა და თავში კი მოზღვავებული რითმები უტრიალებდა. მოზღვავებული რითმებისა და სათქმელის სიუხვემ გადაწყვეტინა ისეთი ლექსი დაეწერა, თავაკროსტიხიც რომ ყოფილიყო და შიდაწერილობაც. სტრიქონთა პირველი ასოები იტყოდა:

„ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდად ევროპიასა შინა საყვარელო ჩემო...“ არა, „დასავით საყვარელო ჩემო.“ და შიდააკროსტიხი კი: „ვერა შესძლეს მშვენიერების შენისა ქებაი, ბრწყინვალება მიგიგავს შენ მზესა დაო საყვარელო ჩემო.“

უთენია წამოდგა თეიმურაზი, შანდლებს მოუკიდა და რითმების დალაგება-დაწყობას შეუდგა. კარგა ხანს იჯაფა და, როცა ლექსის წერა დაამთავრა და ერთგულ დიდებულთათვის წაკითხვა მოისურვა, უკვე შუადღე წამოსულიყო. სანთლები კი მთლიანად ჩამწვარიყო.

ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲑᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝ

— ტილმა შემჭამა, აღარ შემიძლია! — შესჩივლა ვარდომ, როდესაც მარტონი აღმოჩნდნენ ჭალის ნაპირზე.

— ტილის მეტი ამ ქვეყანაში არა არის რა და რისი იმედი გვქონდა, აქ რომ მოვდიოდით?

— ლაშქრობა სასიამოვნო მეგონა და აქ კი თავსხმა წვიმასა და სიცხე-პაპანაქებაში გარეთყრა და შიმშილ-სიტიტვლე გვიხდება.

— ასეა მოლაშქრეთა ამბავი. დაღესტანში უარესობა იყო. გაჯაშიც რამდენიმე ხანს დავყავი და არა მესწავლება რა.

— აი, აი!.. — ვარდომ თავი მოიფხანა და ფრჩხილებით მკბენარი ჩამოიყვანა.

— ეიცი, მაგრამ როგორ წავიდეთ? — შემოპარული კაცის ხმით დაიჩურჩულა გიგლამ, რადგან შეეშინდა, სხვასაც არ გაეგო მათი ტილიანობის ამბავი. თუმცა ტილი და ქეცი არავის უკვირდა, ისე, როგორც ტიფი და ქოლერა, ამას წინათ რომ მუსრი გაავლო განჯასა და ყარაბალს. ნახევარი ქვეყანა ძირს დასცა და მოლაშქრე ქვეყნები შიშისაგან ახლოს ველარ ეკარებოდნენ. ელოდნენ, ჭირი როდის გაივლის, რომ მაშინ შევესივნეთო. ღმერთმა ქოლერა და მუცლის ტიფი შეჰყაროს ხალხის მჩაგვრელებს! აქ, კუჭთან როგორღაც აუხურდებათ ხოლმე, აეწვებათ, აუუგემურდებათ და... ეგების უკვე ქოლერა აქვს გიგლას: კუჭთან როგორღაც ექავება და ეწვის კიდეც.

ვარდომ და გიგლამ მდინარეს მიაშურეს, კარავდაცემული ლაშქარი კი მარჯვნივ დატოვეს, მოფარებულში.

— ცარიელი წყალი ჭუჭყს არ გაგვაცლის, ნაცარწმინდა გვიბ-
და, — მოიწუწუნა ვარდომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლამ ცეცხლის ნანთებს დაუწყო ძებნა და მალე იპოვა, მა-
რამ ჩასაყრელ ჭურჭელს ვეღარ მიაგნო.

— ომი ხომ მაინც არ იყო და რად წამოგვიყვანეს?.. აი, ისევ
ამქავდა.

— ჩვენმა სარდალმა ქერიმ ხანს აზატ ხანი მიჰგვარა ლამაზი
გოგოების მაგივრად. ერეკლეს დაუბარებია. თუ გინდა წაიყვანე ეგ
თქვენი ტილიანი აზატ ხანი, — ესლა გაახსენდა ტილისაგან შეწუ-
ხებულ გიგლას, — თუ არადა, დედას ვიტირებო. ლაშქრით წამო-
ვალ და გაგანადგურებო... აი, რა ვიპოვე?

— კარგია! — მოუწონა ვარდომ თიხის მილის ნატეხი.

— აი, ეს უფრო კარგია! — დაანახვა უფრო მოზრდილი და ღრმა
ნატეხი, — წყალსადენი ყოფილა და დაუნგრევიათ იმ ძაღლიშვი-
ლებს! ვინ იცის, საით მიდიოდა ეს წყალი.

გიგლამ ნაცარი თიხის ნატეხარში ჩაყარა და მდინარისკენ წა-
რუძღვა. მტკვრის დანახვაზე ქავილი კიდევ უფრო აეშალათ და
მოუთმენლობამ დარიათ ხელი.

— შენ სხვაგან წადი, არ დამინახო, რომ გავიხდი, — ნატეხარი
გამოართვა ვარდომ და ქვემოთ მიუთითა.

— აქ ვიქნები და თვალებს დავხუჭავ.

— არა, შორს წადი!

— რომ იხრჩვებოდე, ვინ გადაგარჩენს?

— ნაპირზე ვიბანავებ.

უხალისოდ გაერიდა გიგლა. ბანაობა მასაც ეწადა, მაგრამ იფიქ-
რა, ჯერ ვარდომ იბანავოს და შემდეგ ჩავალო. ამასობაში კი ბიჭე-
ბის ხორხოცის ხმა შემოესმა და ბუჩქს ამოეფარა. გაიხედა და ბი-
ჭების ჯელგა მოდიოდა მდინარისაკენ. ერთი მათგანი კი ასეთ ლექსს
ღიღინებდა:

> წუხელის რწყილმა მიკბინა, გათენებისა ხანსაო
> ავდექ, ავანთე სანთელი, გამოვუღეფ კვალსაო...

— რწყილი კი არა, ტილი იქნებოდა, შეუსწორა ვიდაცამ, მაგ-
რამ მომღერალმა ყურადღება არ მიაქცია:

> გავიხედე და გასულა აზამბურის თავსაო,
> დავუნოქე და ვესროლე, მოვარტყი ბეჭის ფრთასაო...

— პაპაპაპა! — გაიკვირვა ვიდაცამ.

— გარეკახელები არიან, — შეიცნო გიგლამ ძუისელი მეხრე.

ახსა ურემსა დავუდებ, სამას ულლელა ხარსაო,
მიაქონდეს გაჭირვებითა, ამტვრევდეს ფერსო-ჭალსაო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭები სწორედ იქით მიდიოდნენ, საითაც ვარდო ბანაობდა.

იმას ქალაქში ჩავიტან, დიდი ვეზირის კარსაო,
ლიტრას აბაზად გავყიდი, უყურე მოგებასაო!..

ის იყო, ვიგლას უნდა დაეძახა, აქეთ წამოდითო, რომ ივიეე ნაცნობმა ხმამ დაასწრო:

— ბიჭებო, ქაჯი! — დაიძახა შეშინებულმა და საითღაც გაცვივდნენ.

გიგლა მდინარეს შეუყვა. ბუჩქებს ეფარებოდა და ისე მიდიოდა, რომ ტიტველა ვარდო არსად დაენახა, მაგრამ ბილიკის ზემოთ, მდინარის ტოტში, ნაცარწმინდით მოთხუპნული, თმაგაწეწილი, სიამოვნებითა თუ მწუხარებით დაკრეჭილი არსება დაინახა და კინალამ თვითონაც გაიქცა. მაშინვე მიხვდა, ვისიც შეეშინდათ იმ ჯელგა ბიჭებს, რწყილი რომ წაიღეს გასაყიდად.

ვარდია. კიდევ კარგი, რომ თავითფეხებამდე ნაცარწმინდით მოსვრილა და ვერ გაიგებდნენ, ქალია თუ კაცი. ჩაჯდება ახლა გიგლა ბუჩქებში, დაელოდება, სანამ დაიბანს და მერე თავადაც იბანავებს.

განაბული იჯდა გიგლა და გულისფანცქალით ელოდა ვარდოს ამოსვლას. ამახობაში ისევ ბიჭების ჩურჩული შემოესმა:

— მანდ ფონი არ იქნება!

— ზემოთ ავუყვეთ და მივაგნებთ სადმე წყალთხელს, — ესენი უკვე სხვები იყვნენ.

— როგორმე გაღმა გამიყვანეთ და დანარჩენი მე ვიცი, — თქვა მესამე ხმამ, — ყარაიას ავუყვები და მოკლეზე გაგიყვანთ.

— ხო არავინ დაგვინახა, რო წამოვედით?

— არა. მოდით თქვენ დროზე!..

გიგლა გაიტურნა, მაგრამ, რაკი ბიჭები პირდაპირ მისკენ მიდიოდნენ, იძულებული გახდა, განძრეულიყო და ხმაც ამოიღო:

— თქვენც მიიპარებით, ბიჭებო?

ამ შეკითხვაზე ყველანი შეცბუნდნენ. მეფის ერთგული მოლაშქრე უმალ შეიცნეს და აღარ იცოდნენ, რა ეპასუხათ.

— აქ რას აკეთებ? — შეეკითხა ხუთთა წინამძღოლი, გაბუტულ დონყაზს რომ წააგავდა.

— მეც თქვენსავით გამოპარული ვარ, — შესცინა [illegible] ვარაუდით, რომ ბიჭებს საუბარში შეიყოლიებდა და [illegible] ვარდოც ამოვიდოდა წყლიდან.

— ერეკლეს ჯარიდან მიიპარები? — მკაცრი ხმით შეეკითხა დონყაზა წინამძღოლი, რაკიღა ერეკლეს ერთგული მოლაშქრე შეაცნო, და იფიქრა, ჩვენი ნათქვამი ყოველივე შეიტყო და დაგვაბეზღებსო.

— რა ვქნა, ბიჭებო, გაჭირვებამ შემაწუხა და... — მოიბუზა გიგლა დამნაშავესავით.

— ეხლავე უკან გაგვიძეხი! — მიუშვირა თოფი დონყაზა კაცმა, — სწორედ შენ დასაჭერად გამოგვგზავნეს სარდლის კაცებმა.

გიგლა შეფიქრიანდა. თან ცალი თვალი მტკვრისკენ ეაურბოდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა. ეგებ მართლაც გაიგონეს წელან ვარდოს წუწუნი, ნებაზე მიუშვეს და გამოეკიდნენ? ეგებ ყასითად ჩურჩულებდნენ გაპარვაზე და იცოდნენ, რომ გიგილა აქ იყო განაბული? ეგებ მართლაც დამნაშავენი არიან და მართლა აპირებდნენ გაპარვას, როცა ვარდო წყლიდან ამოვიდოდა? ერეკლე მეფე ლაშქარს თან არ ახლავს და გაიპარებოდნენ კიდეც. მით უფრო, რომ საომარი არაფერი აქვთ და ტყუილად ტილიანდებიან ამ ტრიალ მინდორზე. გიგლას და ვარდოს კი გულით სწადიათ შეერთება და მყუდრო ცხოვრება. ფიქრობდნენ, მეფესთან თავს ვისახელებთ, დაგვასახლებს სადმე და კვამლს გავიჩენთო და ახლა კი... თურმე ქვეყნის მტრები და მოღალატენი ყოფილან და მდევარი დაუდევნებიათ.

— ადექი, შე ვირიშვილო! — უყვირა დონყაზა კაცმა.

— თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! — შეშინდა გიგლა და აღარ იცოდა, რა ექნა.

ამასობაში ვარდოც გამოჩნდა. ისე გალამაზებულიყო, ჩოხა რომ არ სცმოდა, მზეთუნახავად მონათლავდნენ. ამ სურათის დანახვაზე ღიმილი ტუჩებზე შეეყინა და მიხვდა, რომ დაიჭირეს.

* * *

იმ ღამეს პაატა ბატონიშვილის თანადგომითა და ქართული კანონ-კოდექსთა მოშველიებით განჩინება დაიწერა და მეორე დილას კი კუზიანმა და ნიკაპმოქცეულმა მდივანბეგმა საჯაროდ განაცხადა:

„სახელითა მეფისა ქართლისა და კახეთისა, მეფეთა მეფისა განჯისა, ყარაბაღისა, ერევნისა, ყაზახისა და სხვათა და სხვათა, ნასაღი ექმნეს ერისა და ქვეყნისა მტერთა, ბრძოლის ველიდან ოსტიბულთა სამეფო ყმათა...“

გიგლამ იცოდა, ნასაღი რასაც ნიშნავდა და მუხლებზე დაეცა: სიკვდილით დამსაჯეთ, ოღონდაც ჩემს ამხანაგს ნურას ერჩით, რადგან მაგისი ბრალი არაფერიაო.

— აღსრულდეს ვედრება! — მცირეოდენი ყოყმანისა და თათბირის შემდეგ განაჩენი შეასწორა მდივანბეგმა, — მთავარ დამნაშავეს ნასაღი ექმნეს ყურისა, მეორე კი მკერდზე დაიდაღოს!

ჯუჯა ჯალათი, რომლის ფეხებში ტახი გაძვრებოდა და, რომელსაც, დიდი ხანი იყო, არავინ დაესაჯა და სისხლი სწყუროდა, უმალ შეუდგა მოვალეობის აღსრულებას. ჯერ ცეცხლში შანთი ჩადო და შემდეგ კი მაშის მსგავსი იარაღით გიგლასკენ გაემართა.

ასეთი განაჩენი ყველას ეუპირულა, მაგრამ ხმა ვერავინ დასძრა. მხოლოდ ვილაცამ დაიჩურჩულა, ეგ ჭაბუკები მეფის ერთგულნი არიან და, ვაი თუ მეფეს ეწყინოსო.

ჯალათი არვის უყურებდა და არც ვის უსმენდა. გიგლას არხეინი ნაბიჯით მიუახლოვდა, ყურზე მაშის მსგავსი მარწუხი შემოაჭდო და ტკაცანიც კი გაიგონეს წინარიგებში მდგომთ. ყური დინჯადვე ცეცხლში ჩააგდო და რაღაც სითხე მოსცხო სისხლის შესაწყვეტად. მერე კოცონისკენ გაემართა აუჩქარებელი ნაბიჯით, შანთი გამოიღო და ძირსდაცემულ ვარდოს მიუახლოვდა. ცალი ხელით ახალუხის გულისპირი გაუხსნა, გადაუღელა, მაგრამ სწრაფად წამოხტა და უკუიქცა.

— ვარდო! — დაიძახა გიგლამ და ყურზეხელმიფარებული მიიჭრა, მაგრამ ვარდო არც მის ხმაზე და არც შეხებაზე არ განძრეულა. უკვე გულგახეთქილი იყო.

შეხვედრა და განშორება

მეფე თეიმურაზი და მისი ამალის წევრები სესხს სესხზე იღებდნენ. ამასობაში ათასობით და ათი ათასობით ვალი დაუგროვდათ. ვალების საქმეს გიორგი ციციშვილი განაგებდა, რომელიც ხან ანა დედოფლის კარზე იყო შემწეობისთვის და ხანაც — სომეხი ვაჭრებისა, რომლებიც დიდძალ ფულს ატრიალებდნენ, ოღონდ თავიანთ

ფულს კი არ აძლევდნენ ქართველებს სესხად, სესხულობდნენ და კაცებსაც იმოწმებდნენ, რათა ოდესმე უარი არ ეთქვათ. [illegible] დელი ვალები არ გამოჰყოლოდათ საქართველოში. სავალედ არ გაუხდებოდათ საქმე, მაშინვე რომ უკან გამობრუნებულიყვნენ, როგორც კი მიხვდნენ, რომ რუს ხელისუფალთაგან სასურველი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ თეიმურაზი გაჯიუტდა. იფიქრა, ყოველივეს მივახვედრებ და მაშინლა გავბრუნდებით საქართველოში, მაგრამ, რამდენიც არ ეცადა, ვერ მიახვედრა და ვერც შეასმინა რამე, ვისაც დახმარება შეეძლო. ეგ კი არა, ბოლოდროს ყველანი პირს არიდებდნენ და მის დანახვაზე უსიამოდ იშმუშნებოდნენ. მხოლოდ ძმები ამილახვრები ამშვიდებდნენ და თითქოს ვორონცოვის ნათქვამს უმეორებდნენ: პრუსიასთან ომის დამთავრებამდე მოიცადეთ და ორიოდე პოლკ ჯარს როგორ არ მოგცემსო ხელმწიფე-იმპერატორი?.

ამასობაში კი იმპერატორი ელისაბედი გარდაიცვალა და მოულოდნელმა ელდამ ლოგინად ჩააგდო თეიმურაზი.

წინადღეებში შესანიშნავ ხასიათზე იყო და მშვენიერი აკროსტიხი დაუწერა ბარბალე ბუტურლინას. ფერად ოცნებებში ჩაძირულს ათასი სანატრელი დღე ეჩვენებოდა მომავალში და უეცრად კი... ღმერთო, რა ყოფილა კაცის სიცოცხლე? იმ ლექსს როგორღაც თითქოს მთელი გული თან ამოაყოლა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მშრალი ჩვარი სდებოდეს გულის ნაცვლად. რა წამლები აღარ დალია, მაგრამ ვერაფერმა ვეღარ უშველა თეიმურაზს. მხოლოდ მას შემდეგღა გამოიხედა, როცა თამარი გამოეცხადა. გულამოღებული, მაზანდარანის შავი აბრეშუმის კაბა ეცვა თამარს და ოცი წლის ქალიშვილს დამსგავსებოდა. თამარი იყო თუ ბარბალე ბუტურლინა? ასე ძალიან როგორ დამგვანებიან ერთურთს? მართლა ბუტურლინაში ხომ არ ჩასახლდა თამარის სული? მერე იმ სულმა თავისი შარავანდედით შემოსა და ცისკარს დაამსგავსა. ეგეს თვით თამარია ბარბალე ბუტურლინა? მაშ, რად უცქერდა ამგვარი სიყვარულით და იმედს რად აძლევდა მომავლისას? მან ხომ იცოდა, თეიმურაზი რისთვისაც ირჯებოდა და რად უღიმოდა? თეიმურაზის სიყვარული ხომ საქართველოს არ გასცილებია და რად აცდუნებდა ამ ღიმილით? რად ანიშნებდა, თამარიც მე ვარ, ბუტურლინაც და საქართველოცო? მამაჩემი ფელდმარშალია, დამთავრდება ომი, საქართველოში გავიპატიჟებთ თავის ჯარიანად და

მტრის ჯავრს ამოვყრისო. მე კი უთუოდ შენი რძალი შევიქმნებიო, რძალი თუ ცოლიო? ღმერთო, იხსენი თეიმურაზი ამ ცთუნებისაგან!.. ასეთი ნორჩი და ასეთი ნუგბარი ბუტურლინა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, ბუტურლინა, ღმერთო, თამარი, ღმერთო, საქართველო, ღმერთო, ირაკლი!.. ეგების უკუღმა ითვლის თეიმურაზი და სხვა რიგით უნდა ითვლებოდეს.

ვიღაცამ თითქოს თვალებზე ხელი დააფარა თეიმურაზს. მერე ისევ განათდა იქაურობა და ვახტანგ მეფის ლანდი წარუდგა. იდგა და ცახცახებდა ვახტანგ მეექვსე. ვახტანგი ცახცახებდა თუ თეიმურაზი?

— არქიეპისკოპოსი ანტონი გეახლათ, მეფეო, — მოახსენა მსახურმა, როცა კარი ფრთხილად შეაღო და ორიოდე ნაბიჯი ვაიარა თეიმურაზის სარეცლისაკენ.

— მობრძანდეს! — თითქოს ამ მოხსენებას ელოდაო თეიმურაზი.

მსახურმა ფეხისწვერებით დატოვა იქაურობა და კარებში კი წელში მოხრილი და თითქმის ხანდაზმული ანტონი გამოჩნდა.

— რად დაიგვიანე, შვილო? — დაიჩურჩულა თეიმურაზმა.

ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა ანტონი თეიმურაზის საწოლს.

— დაიკუზე, უნდა გაკოცო! — დაიჩურჩულა თეიმურაზმა.

ანტონი ცივი ტუჩებით თვითონვე ეამბორა შუბლზე და როცა თეიმურაზმა მკერდზე მიიხუტა და ხელი აღარ გაუშვა, ორივეს ქვითინი აუვარდა.

კარგა ხანს იქვითინეს ერთურთს ჩახუტებულებმა და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხეს.

— ჰხედავ, სად ვკვდები? — ბლივს ამოღერღა თეიმურაზმა.

— სიკვდილს თქვენთან ხელი არა აქვს.

— ხომ კარგად სუფევ?

— ეცოცხლობ თქვენზე ლოცვასა და თქვენთან ყოფნის ოცნებაში, — წელში აიმართა ანტონი და ახალგაზრდას დაემგვანა.

— ღირსი არა ვარ, შვილო, შენი ლოცვისა, — ხელსახოცით ცრემლების შემშრალება დაიწყო თეიმურაზმა, — ვამხდარხარ... განა თიფლისში ეგრე გიფრთხილდებოდა ბიძაშენი.

— დავიმსახურე, მეფეო.

— არ დაიმსახურე. მე ვიყავი ბრმა... შენ რომ ყიზლარსა და ასტრახანში გენახე, მათხოვარი გეგონებოდი... ან აქ რა მქვია: მთელი

წელი მეფესა და მის მხლებელთ ვეაჯებოდი და პასუხი არ მაღირსეს... ეგებ კათოლიკობა სწორი გზაც არის?..

— თავადაც მივხვდი, რომ ცოდვა ჩავიდინე, — ცრემლები შეიმშრალა ანტონმა, მაგრამ ისევ მოეძალა, რაკიღა მისთვის საყვარელი თეიმურაზი ასე საშინლად მოტეხილი და დაძაბუნებული ეჩვენა.

— დაჯექი, შვილო!

— ასე მინდა გიყურო.

— ხომ აღარ გიყვარვარ და რად გინდა, რომ მიყურო?

— როცა საქართველოს მოვიძულებ, მაშინ შევიჯავრებ მეფე თეიმურაზსა და მეფე ირაკლის.

— ღღემდე რად არ შეგჯავრებია საქართველოცა და მისი მეფენიც?

— არც შემეჯავრება, ვიდრე პირში სული მიდგას.

— დაჯექი, შვილო, მაღლა ყურება არ შემიძლია. ახლოს მომაჯექ!

ანტონმა სკამი მიიმარჯვა და თავთან დაუჯდა თეიმურაზს.

— მითხარი რამე! ვინ იცის, რამდენი ტანჯვა გამოიარე ამ დაწყევლილ ქვეყანაში ჩემი სიბრმავით.

— დაწყევლილი არ არის, ბიძაჩემო, ბედნიერი ქვეყანაა და ჩვენგან აუგი არ ეკუთვნის.

— ჩვენ თუ გვტანჯავენ და არად გვაგდებენ?

— მეფეთა უგონობას ხალხს ნუ დავაბრალებთ. რუსი ხალხი კეთილია, მეფეო, ტკბილზე ტკბილი და საყვარელი.

— ეგ მეც შევნიშნე, შვილო, მაგრამ მეფენი?

— პეტრე დიდმა ბევრი რამ შეხძინა რუსეთს. ევროპის კარი ფართოდ გაუღო და უკვდავი სული შთაბერა გვამში.

— პეტრეს შემდეგ?

— ღმერთს ესრე უყვარს: გონიერ მეფეს უგუნურით სცვლის. ეგ იმიტომ, რომ ხალხი ღმერთამდე არ ამაღლდესო.

ამაზე თეიმურაზსაც უფიქრია. დაკვირვებულია, რომ გონიერ მეფეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მარტოდენ ხალხი ვერას გააწყობს, მეფე თუ უგუნურია. უგუნური მეფენი კი გაცილებით მეტნი არიან ქვეყნად, ვიდრე — გონიერნი. გონიერნი თითზე ჩამოსათვლელნი არიან და უგუნურთა სახელებს კი ნუსხაც ვერ დაიტევს. ეგ იმიტომ, რომ თვით ადამის ძეთა შორის გონიერი ცოტაა.

ანტონის ნათქვამი უზომოდ მოეწონა თეიმურაზს და კიდევ ერთხელ ინანა, საქართველოდან რად გამოვაძევეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოვტყუვდი, შვილო, დიდად მოვტყუვდი.

თუმცა არ უთქვამს, რაზე მოტყუვდა, მაინც მიხვდა კათალიკოსი.

— მოკვდავმა არ უწყის, როდის ტყუის და როდის მართალია.

— საქართველოს თუ სიცოცხლე უწერია... — ცრემლი მოეძალა თეიმურაზს.

— საქართველო მარად იცოცხლებს, რამეთუ მისი სული მზესავით უკვდავია.

— რუსეთი?

— რუსეთს პეტრე დიდმა შთაჰბერა უკვდავი სული.

— ეგების ხალხმა? ხალხი ხომ დიად კეთილი და ახოვანია?

— მარტოდენ ხალხი ვერას გააწყობს, გონიერი კაცი თუ წინ არ უძღვება. კაცი ისეთი, რომელიც ნახევრად ღმერთია.

— უგუნურ მეფეს გონიერი ხალხი სჯის.

— ხალხის სამსჯავრო ანგარიშგასაწევი არ არის. დასჯის ღირსს ღმერთი სჯის. — არგანი მოინაცვლა ანტონმა, ორივე ხელით ზედ ჩამოეყრდნო და ფიქრმა გაიტაცა, — კაცთაგან უმართებულოდ დასჯილს ღმერთი ნათელჰყოფს. — მაშ, თუნდ ტყუოდეს არ უნდა დაისაჯოს?

— ჩვენ ხომ არ ვიცით, ვინ ტყუის და ვინ არს მართალი? მპარავი თუ ის, ვისაც მოჰპარა?

არ უნდა დაესაჯა ანტონი, კაცი ჭკვიანი და დიდად გონიერი. ეგების ამიტომაც გატანჯა ღმერთმა თეიმურაზი ამ ორი წლის მანძილზე. სადაც მივიდა, ყველგან წინ გადაეღობნენ. ვისაც მიმართა, ზურგით უპასუხეს. ვინც კი გაიცნო, მზაკვარი, ავაზაკი და ჯაშუში გამოდგა. ანტონი კი ერთადერთი ანტონი იყო მისი სახლის ერთგული და ისიც მოსწყვიტა იქაურობას... ეგების ქრისტეს წინაშე ცოდვა არცაა კათოლიკობა? ანტონი სხვებზე გონიერია და, რაც მან იწამა, ის უნდა სწამდეს ყოველ ჭკვიან კაცს.

— აბა, თვალებში შემომხედე, შვილო!

ანტონმა მშვიდად მიაპყრო ზღვისფერი თვალები და მორჩილად გაყუჩდა თეიმურაზის წინაშე. თეიმურაზს კათალიკოსისა და არქიეპისკოპოსის ნაცვლად დაყუდებული ბერი დაუდგა თვალწინ: ნაშიმშილევი და გაწამებული.

— შენთან თათბირის ღირსი არა ვარ და ვცოდავ საშინლად.

— არა. ეს მე არა ვარ შენი თვალების დანახვის ღირსი. მაპატიე, თუ ოდესმე ჭმუნვა მოგგვარე! შენ ხომ მამაჩემი ხარ და ეჭვიანობ ბიძა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოში თუ ცოცხლად ჩავედი, კათოლიკობას ვარწმუნებ ერს.

— ნუთუ მართლმადიდებელთა იმედი აღარ გაგაჩნია?

— დიდად გამტანჯეს.

— ხალხი... ხალხი ბრძენი და ვონიერი.

— ხალხი ბრძენია. მაგრამ მეფენი და ვორონცოვები... — თითქოს წამოსადგომად წამოიწია თეიმურაზმა, მაგრამ ისევ დაეშვა, — მათ რომ ჩემი თხოვნისთვის ყური მიეპყრობ, რუსთა ქვეყანა ბევრს მოიგებდა. მცირეოდენი ფული რომ გაეღოთ ან ჯარი მოეცათ, ჩვენს მტრებს დავაჩოქებდი და რუსეთს ვაყმობდი.

— მათი დაპყრობა რუსეთსაც ენატრება, მაგრამ ჯარის მოცემა არ ნებავს.

— უგუნურება ეგ არის, შვილო. ვისაც თევზი სურს, ფეხის დასველებას არ უნდა შიშობდეს.

— უკეთუ ფეხის დაუსველებლად მოგერთმევა ნანატრი თევზი?

თეიმურაზს მოეწონა ანტონის ნათქვამი და ენიშნა კიდეც. ამ ორი წლის მანძილზე ბევრი რამ იფიქრა მეფისა და ვორონცოვის დუმილზე და მათ ყალბ სიტყვებზე, რითაც დღესხვალიობით აცდევინებდნენ და ბოლოს კი იმედიც გადაუწურეს.

— ალბათ, დაგღალე, ბიძაჩემო, ახლა წავალ და კელავაც გეახლები.

— ნუ წახვალ, დარჩი!

— სინოდში ვარ მისასვლელი... მალე გნახავ.

თეიმურაზმა ამოიოხრა. ანტონმა შუბლზე აკოცა და კარისკენ გაემართა.

ადამიანები იმდენს ტყუოდავენ, არც ერთი არ არის სამოთხის ღირსი... ეთქვა მაინც, ვლადიმირი მიატოვე და საქართველოში გაეშურეო. იქ ხომ ირაკლი მარტოდ არის და შემწე არვინ ჰყავს.

თეიმურაზს სულხან-საბას იგავი გაახსენდა, სადაც პატრონი თავის მიერ გაძევებულ ძაღლს უხმობს საშველად, მაგრამ ძაღლი უკვე დაუძლურებულია, კბილები შთამუსვრილი აქვს და რითიღა ავნებს მტერს? მაგრამ არა, ანტონი, მართალია მოტეხილია, სულში მზე უზის და მზე კი უკვდავია. ანტონი ბრძენია და ბრძენკაცის

ხლება დიდად სარგოა მეფეთათვის. რუსეთის კარს რომ ამჟამად ბრძენი ჰყავდეს, იმპერატორს შთააგონებდა, მოძმის შეწყალება რომ მოყვასის ვალია. ეს უნდა იცოდეს ყოველმა ქრისტიანმა, ისევ ის ჭეშმარიტად ღვთისმოსავია.

მსახურმა ალექსანდრე ციციშვილისა და იესე მაჩაბლის მობრძანება აუწყა.

თეიმურაზს გულზე მოეშვა, ერთგული თავადების მოსვლა რომ გაიგო, და, როგორც კი შემოვიდნენ, დასხდომა არ აცალათ:

— გაგზავნეთ კაცი და ანტონ კათალიკოსი დააბრუნონ!

— წავიდა, მეფეო... მეეტლე სწრაფად მიერეკებოდა.

— ღმერთო, გადმოგვხედე! — პირჯვარი გადაიწერა თეიმურაზმა და ბუტბუტი დაიწყო. თავადები მიხვდნენ, რომ ლოცვას ბუტბუტებდა და ერთურთს შეხედეს, მღვდელი მომგვარეთ!

ათიოდე წუთში სვიმონ დეკანოზი მოუყვანეს.

— როგორ ბრძანდებით, მეფეო? — ჰკითხა დეკანოზმა და გულზე დასვენებულ ხელზე ეამბორა.

— ხელმწიფის კურთხევაში ვიყავი და ვლოცულობდი. რად არ დამაცადეთ?! — წყენით მიიწია კედლისაკენ და ბუტბუტი განაგრძო.

დეკანოზმა იესო ტკბილი მისცა პირში და ჩასძახა:

— თუ ენით ვერ ამბობ, გულში იცოდე, მეფეო.

— მესმის და გულში მაქვს, — ნათლად ამოთქვა თეიმურაზმა და ისევ პირის ტოკება განაგრძო, თითქოს ლაპარაკობსო. კარგა ხანს აცმაცუნა ტუჩები და როგორც იყო, ამოთქვა: — კათოლიკეებს ხომ შეიწყნარებენ საიქიოს?

— დიალაც შეიწყნარებენ.

— მე ხომ... აღმოსავლეთის... კათოლიკე ვარ... — თქვა და მიაძინა.

საჩუქარი

საკუთარ კარს იჯდა ვეირგვინოსანი მეფე ერეკლე, ქალალდებში ჩაფლული. საჩივრის წიგნებს ათვალიერებდა. შემდეგ მდივნისა თუ მოურავის მინაწერს ეცნობოდა და ორიოდე სიტყვას ჩაილაპარაკებდა ხოლმე მდივნისა თუ მდივანბეგის გასაგონად.

მეთრიშვილი პაატა დავითა დალაქს უჩივის თურმე. მისი ყმა

ყოფილა დავითა და უკან დაბრუნებას ითხოვს. რამაზ ყორჩიბაშის-შვილი ბარამ კუსრაძეს ედავება ადგილ-მამულს. დავითა სუხიშვილი ვილის ცოლი თავის გამოხსნაზე ჩივის უკანონო ყმობისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდასმით კითხულობდა საჩივრებს მეფე ერეკლე. ზოგიერთს კი თავის მინაწერსაც უკეთებდა და ბეჭედსაც ასვამდა, რომელზეც ეწერა „ქნარს მიცემს, დავით მიხმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე."

კარი გაიღო და მსახური შემოვიდა. ერეკლეს ეწადა, ეთქვა, არ მცალიაო, მაგრამ სანამ სიტყვის თქმას მოახერხებდა, მსახურმა პატარა ოთხკუთხი ფუთა და მცირე გრაგნილი წინ დაუდო და თავდახრით წავიდა უკუსვლით.

ერეკლემ საჩივრებს თავი მიანება და გრაგნილი გახსნა. როცა გულდასმით ჩაათვალიერა, გვირგვინი მოიხადა, მაგიდაზე დაასვენა და ფეხზე წამოდგა:

— მარტოდ დამტოვეთ!

— რა მოხდა, მეფეო? — გაბედა მზეჭაბუკ ორბელიანმა.

— ხელმწიფე მამაჩემი აღარ არის. — ეს სიტყვები ისეთი ღრმა სევდით იყო ნათქვამი, არა თუ შეკითხვა, სამძიმრის თქმაც ველარ მოახერხეს, ისე მდუმარედ გავიდნენ კარში.

მარტოდ დარჩენილმა ერეკლემ ერთხელ კიდევ გაშალა გრაგნილი და ის სტრიქონები ხელახლა წაიკითხა, სადაც ეწერა: „მეფე ქართლისა ბატონი თეიმურაზ მიიცვალა პეტერბურგს, იანვრის რვასა... მეფე ერეკლეს ჭირი და კვნესა მოსცეს სარდალ ალექსანდრე ციციშვილს, იესე მაჩაბელს, ენისელთ მოურავს დავით ჯორჯაძესა და მარტყოფის მოურავს ქაიხოსრო ჩერქეზიშვილს."

— მე კი... ვინ იცის, რამდენ იმედს ვამყარებდი მამაჩემი, შენს გონიერებაზე, — დაიჩურჩულა ერეკლემ, — იწერებოდი, პრუსიასთან ომი დამთავრდება და რუსთა ჯარს ჩამოვიყვანო საქართველოში. — გრაგნილი თავის ადგილზე დააგდო და სარკმელს მიუახლოვდა, საიდანაც თავის უნებურად ჯერ ბაღნარს და მერე ვერხვნარს გაჰხედა. ხმლის ქნევაში გართულმა და ქაღალდებში თავჩარგულმა ახლალა შენიშნა, რომ გაზაფხული გაღვიძებულიყო მის გარშემო. ტიალი ბუნება არავის უწევს ანგარიშს და არაფერს ემორჩილება! — ვაი, შენს ერეკლეს მამაჩემო, უმწეოდ დარჩენილს!.. — წვერი მოისრისა ერეკლემ და ოდნავ დაბარბაცდა, — ჩემი ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ესოდენი ტკივილი აღარ მიგრძნია... ჰოი, რა დიდი იმედი მქონდა

შენის მეოხებით ქრისტიანეთა შემწეობისა! არადა, მოდგება მოხულ-
მანი ჩვენს ჩასანთქავად.. თუმცა არა... ვერას მიქმნიან, ნუ გეშინიან!..
მოვსრეს სათითაოდ!.. მაგრამ ყველა რომ გაერთიანდეს და ერთგუ-
ლივად მომმართონ, მაშინ რაღა ვქნა?.. თავისი რჯულის მეგობარი
ყველას ეპოვება და მარტოდენ საქართველოა უმეგობრო. მცირერი-
ცხოვან ერთა მეგობრობა ვერას მიშველის. ისინი ჩემგან მოითხო-
ვენ დახმარებას, მე კი ღმერთისგან. დღეს უკვე ღმერთიც გადამდ-
გომია და ვის მივმართო შემწეობისთვის? სიამაცე? მარტოდენ სი-
მამაცე ვერას მიშველის. საქართველო გავაერთიანო თურქეთს ავი-
მხედრებ და თურქეთს კი იმდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია, რამ-
დენიც მთლიანად საქართველოა, უფრო მეტისა. მერმე სპარსეთი?
დაღესტანი? დიდონი? ქისტნი?.. რომელ ერთს გაუმკლავდეს
მეფე ერეკლე?.. სხვა გზა არ არის, თვალს არ მოვხუჭავ, ზედ შეევ-

ლევი, არ გავტყდები და დიდხანსაც გავძლებ, მაგრამ საბოლოოდ
მაინც მეგობარი მჭირდება, მამაჩემო, და ამიტომაც გაგგზავნე შე-
სავედრებლად. ყოველი მხრიდან სხვა რჯულის ხალხი მეტევება
ფარულად თუ თვალხმიერად. დღეს თუ ვერაფერს მიბედავენ, ნათ-
ლად ვხედავ, რომ ძალებს იკრებენ და გამიბედავენ. მათ ყმად სწა-
დიათ საქართველო, საკრეჭ ცხვრის ფარად ეხატებათ და მის და-
კარგვას ვერ ურიგდებიან. — ერეკლემ მკერდი ჩაიმჯიდა და ბარბა-
ცით გაიარა ოთახში. მერე შეჩერდა და იმ ოთხკუთხედ ფუთას და-
აცქერდა, წელან რომ გრაგნილთან ერთად შემოუტანეს. ეგებ უა-
რესი რამ ძევს შიგ და ეგებ უმჯობესი, — არა, მთლად საქართველო
უნდა შეერთდეს, მაგრამ ვაგლახად დაცოტავებული ვართ და ეს
არის მთავარი უბედურება. ამას წინათ სერასკირს ორმოცი ათასი
მხედარი ჩამოუყვანია იმერეთში. თუ დასჭირდება, ოთხმოცსაც შე-
მოიყვანს.. სოლომონს წაეხმაროს? აქედან სპარსეთი აიშლება, იქე-
დან დაღესტანი და... სოლომონი კი შიდა ომებშია ჩათრეული და
მისთვის ვერ მოიცლის. მეც ხომ ამ დღეში ვარ. ერთ თავადს რომ
მოვიმხრობ და გულს მოვუგებ, მეორე მიმტერდება. ყოველი მტრის
დასჯა და სახელოს ჩამორთმევა შინამტრის მომრავლებაა. ერთი
შინამტერი კი ას გარემტერს უდრის. ეგებ ბუნებაა ქართველთა ეს-
რეთი: ყველას პირველკაცობა სურს და ძმა ძმას არ ინდობს. ეგებ
ყველგან ესრეა და ქვეყანას ვერ ვიცნობთ?.. შენ აღარ მყავხარ, მა-
მაჩემო და რომელს დავეყრდნო? ერთგული ვინღა იყოს ჩემი?.
ხალხიო, მეტყვი, მაგრამ ნათელი აზრის კაცი მინდა, გვერდით რომ

მყავდეს, ვინც იაზრებს და რჩევას მომცემს. იქნებ ჩემი გიორგი, შენი რჩეული ტახტის მემკვიდრე?.. იქნებ ლევანი?.. მაგრამ ლევანი ჯერ ყრმა არის და გიორგი კი... გიორგი... გიორგი... — ერეკლე მაგიდას მიუახლოვდა, ფუთა გახსნა, მერე ქაღალდი შემოახია და ხელში წიგნი შერჩა — კვინტოს კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“.

გულში ნათელი ჩაუდგა ერეკლეს. გადაშალა და პირველივე გვერდზე ამოიკითხა: „წინა-სიტყვაობა ირაკლის, ყოვლად ბრწყინვალეს მეფესა ქართველთა და კახთასა“.

ერეკლეს ანტონ კათალიკოსის ხმა შემოესმა ამ სტრიქონებიდან და ჭმუნვა შეუმცირდა.

„...რა ვსთქვა ღირსი აწინდელის გარემოებისა უპატიოსნესი წევრი შენისა და ჩემისა თანაშობილებისა ერთობისა, — განაგრძო კითხვა, — მომიცავს მაწყინებელსა მშვიდობისა მამისა კვამლი საზარელის მწუხარებისა, რომელ მიმეფარების შარავანდედი ყოვლად ბრწყინვალე მისისა მის მეფობისა სიმაღლისა, შენისა და ჩემისა საზოგადოსა მამისა. განვბრწყინდები შენითა წინათვე სულისა მიეო წმიდისა განგებითა საყდრის მიღებითა. ვეჰსტირ, რადგან თვალნი ველარ გეჭვრეტენ შენ, დავით მესამისა დიადიმითა გვირგვინოსანქმნილისა არა გეჭვრეტენ შენ. ვეხარობ, ვინაითგან უბედობა ჩემი განგეშორა, მით რომე რაცა გავნო მიდმომქცევამან და დაუდგრომელობამან კეთილდღეობისამან, ჩემისა შენთანა ყოფისა ძალით, ჩემისა მის უბედობისა შენდა დაახლებას ვაბრალებ...

ერეკლეს ღაწვებს ცრემლები დაეცა. იქიდან ულვაშის წვერებზე ჩამოუგორდა.

„მოგილოცავ ახალსა წინაპართა პაპათა ჩვენთა ადრით განჭრილსა საყდრის შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მხნესა მეფესა ვითა კვიროსსა და მემკვიდრესა, ვითა ქსერქსესა.

„იყავნ სახელი უფლისა შენზედა, ვითა მამასა შენსა ზედა დავითს. იყავნ მახვილი აღმოწვდილი შენგან ქარქაშით შენით მტერთა ზედა, ვითა მახვილი გედეონისი მადიამთა ზედა. შეიმუსრენ მსგავსად კეცის-ჭურთა ხელთაგან გედეონისათა ჟამსა ბრძოლისასა შემუსვრილთა შენ მიერ მტერნი შენნი. აღენთენ ლამპარნი ძლევისა შენისა დაუშრეტლად...“

წერილის კითხვისას ერეკლე თავის საყვარელ მამიდაშვილს ხედავდა და ეჩვენებოდა, რომ სადღაც ეაღახვეწილი, ყველასაგან მო-

ბულებული, გულდაკოდილი ანტონი ესაუბრებოდა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ერეკლესა და საქართველოს კეთილდღეობისთვის ლოცვა-კურთხევაში ათენ-აღამებდა. მათთვის წერდა და ფარულ მნიდა წიგნებს, ხელს უწყობდა და ამხნევებდა მეფობას მისას. აი, ახლაც რითი ამთავრებს თავის წერილს:

„მე უკვე სიმაღლისადმი შენისა ვსაჯე მირთმად დროსა ამას მოლოცვად წიგნნი კურციოსისი, რომელთა საქმენი ალექსანდრე დიდისანი, შრომითა ჩემითა ქართულსა ხმასა ზედა გარდმოღებულნი. მით რომე შეჰვავს ახალთა მპყრობელთა, ჭაბუკისა მის ხელმწიფისა დაწყებასა შინა მფლობელობისასა, წინა-დადებად დიდსულობა მისი, სიბრძნე, შრომისმოყვარეობა, წყალობა, არგანუსჯელად სჯა, განსჯასა შინა ყოველსავე. კეთილსინდისი, სიყვარული მხედართა, წყალობა ძლეულთა ზედა და სხვათა ყოველთა მისთა გარე-მოქცევა. და კვალად თუ რათამე მოიგებს მეფე გულებს ერთა თვისთასა, და რათამე წინა-აღდგომასა ამისსა, განალაცა უცვალებელსა ერთგულებასა შენსა ზედა ეჰგიე და სიყვარულსა შინა და ძმა შენი ანტონი არხიეპისკოპოსი ვლადიმირისა და იერიპოლისა. წელსა 1762, თებერვალს, 16 დღესა."

ერეკლემ განუზომელი სითბო შეიგრძნო ამ მაღალფარდოვანი ფრაზებით დაწერილი წერილიდან. ფიქრებს მიეცა და რატომღაც გიგლასი და მისი მეგობრის უსამართლოდ დასჯის ამბავი გაახსენდა, რომელიც ამას წინათ უამბეს მოლაშქრეებმა. ვინ უამბო, კარგად აღარ ახსოვს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ერეკლემ ველარ მოიცალა, გამოერკვია, რა და როგორ მოხდა. მთავარი ის არის, რომ ერეკლე მეფის კანონით დაუსჯიათ ერეკლეს დაუკითხავად. ის მეგობარი ვითომ გოგო ყოფილა და ძუძუებიც დაუნახავთ, რიცა მკერდი უნდა ამოედაღათ. დადაღვასა და ეურების დაჭრას დიალაც ბევრი იმსახურებს, მაგრამ არა გლეხი მეომარი, არამედ დიღებულნი და სახელის მქონენი, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე ორგულობენ მეფეს. ანტონს თითქოს ველარ მოუცდია, სანამ ერეკლე ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას წაიკითხავდა და წინასწარვე მიუნიშნებია, როგორ უნდა იღვწოდეს ერისთვის ჭეშმარიტი ხელმწიფე. ანტონი... ანტონს რუსეთში აღარ დასტოვებს. მისწერს წერილს და ახლავე ჩამოაბრძანებს კათალიკოს-პატრიარქად. თავის სამწყსოს ჩააბარებს და კვლავ გვერდში ამოიყენებს. მის ორგულებს კი ყველას განდევნის.

კარი გაიღო და გიორგი ბატონიშვილი შემოვიდა. მამას თავდახრით მიუახლოვდა და ნაღვლიანი თვალები შეანათა.

— ჰო, შვილო, პაპა აღარ გვყავს და თქვენს იმედად ... [illegible]

წიგნებზე შეყვარებულმა გიორგიმ ველარ მოითმინა — [illegible] გამოართვა მამას ხელიდან. დაჰხედა ნაწერს და მარტოდმარტო ეს ფრაზა ამოიკითხა:

„მოგილოცავ ახალსა წინაპართა პაპათა ჩვენთა ადრით განჭრილისა საყდრის შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მხნესა მეფესა, ვითა კვიროსს და მემკვიდრესა, ვითა ქსერქსეს...“

— ძია ანტონმა გამოგიგზავნა? — უხალისოდ შეატრიალა „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“.

ერეკლემ ძლივსშესამჩნევად დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად.

— ქართლ-კახეთს აერთიანებ?

— მეტი რა გზა მაქვს?

— არ ვიცი... ძალიან მეწყინა პაპას გარდაცვალება... — ატირდა გიორგი.

— რას ვიზამთ, შვილო, ყველა წარმავალი ვართ. შენ იყავ კარგად! შენი იმედი მქონდეს!..

ბზაბასაყართან

— ბატონიშვილი გვესტუმრა, მამა! — მოახსენა ტახტზე გულაღმა გაშხლართულ პაატა აბაშიძეს უმცროსმა ვაჟმა ქაიხოსრომ.

— რომელი ბატონიშვილი?

— გიორგი ბატონიშვილი, მამა. ისეთი მშვენიერია, ჩემს თვალებს მსგავსი არა უნახავს რა.

— შენზე მშვენიერია? — ღიმილით წამოიმართა პაატა აბაშიძე და ეზოს მიაშურა, სადაც, მისი ვარაუდით, გიორგი უნდა დახვედროდა, — აბა, სად არის?

— ჰეი, გახსენით ჭიშკარი! — მოწიფულივით ბრძანა ქაიხოსრომ, რომლის ხმამაც განსვენებული ვახუშტი გაახსენა პაატას.

საოცარი მსგავსებაა ადამიანთა შორის, განსხვავებაცა და მსგავსებაც. იქნებ სიკვდილის შემდეგ არსად არ მიდის ადამიანი და აქვე რჩება. მაშ, ვინღა არის ქაიხოსრო, თუ არა დაპატარავებული პაპამისი?

მუხის ჭიშკარი მძიმედ გაიღო და ქვევითად მავალი გვირგვინოსანი ტანაშოლტილი ყმაწვილი გამოჩნდა, მცირე ამალით. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ და თავით ფეხამდე იარაღით შეჭურვილნი. ალბათ ამიტომაც არ გაუღო ქაიხოსრომ მამის დაუკითხავად ჭიშკარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბატონიშვილს წითელი ჩოხა ეცვა და წითელი წაღები, სწორედ ისეთი, როგორიც ერეკლეს ემოსა, კახეთიდან რომ მობრძანდებოდა, მრავალრიცხოვანი ამალით, თეიმურაზის მეფედ კურთხევაზე დასასწრებლად და როგორიც თვით თეიმურაზს ემოსა ხელთუბანში გამგზავრებისას, საიდანაც შემდეგ დატყვევებული იხპაჰანს განამწესეს.

— მიხარია, ბატონიშვილო, შენი დანახვა! — მკლავები გაშალა პაატამ და დიდი ხნის უნახავი შვილივით გიორგი გულში ჩაიხუტა. და როცა წელში გასწორდნენ, შენიშნა, რომ გიორგი დიდად აჭარბებდა სიმაღლეში. სახიერებით კი მართლაც ისეთი მშვენიერი იყო, თვალი ვერ ინატრებდა უკეთეს სანახაველ, — საოცრად გაზრდილხარ, ბატონიშვილო, ალბათ ორ ადლსაც აღემატები.

გიორგიმ სიამოვნებით გაუღიმა, წელში გასწორდა და უნაკლოდ ნაზარდი, ნავარჯიშევი ტანი ერთიორად გაიმშვენიერა.

— ფეხით რად ინებეთ შემობრძანება, ცხენდაცხენ მეწვევოდი.

— ვათვალიერებდი მიდამოს, მშვენიერი სანახაობაა. ნუშის ყვავილებმა მომტაცეს თვალი.

— აბაშიძეთა დიდ მამულში ბევრი რამ არის მშვენიერი, ჩემო დისშვილო, და ნუშის ყვავილის გარდა სხვა რამეც მოგტაცებდა თვალს.

გიორგის გრძელი ხეივნის ბოლოში დანახული მეჯინიბის ტანკენარი ქალიშვილი გაახსენდა და სიამოვნების ღიმილი აენთო სახეზე.

პაატამ თავის ოთახში წაიყვანა გიორგი. ამალა ქაიხოსროს ჩაბარა და თან დაავალა, შენს ძმა გიორგის შეეხმიანე, ბიძაშენ ნიკოლასაც გადასძახე და კარგად მიმიხედეთო. კარგად მიხედვაში რომ ბევრ რამეს გულისხმობდა მამა, ეს ყოველივე კარგად იცოდა თორმეტიოდე წლის ქაიხოსრომ, რომელიც უკვე შურით განმსჭვალულიყო გიორგი ბატონიშვილის ახოვანების, სილამაზის და მშვენიერი ამალის გამო.

— მამათქვენს არ ვეჭაშნიკები, თორემ მე მუდამაც მისი მზის

მაფიცარი ვარ და მისი სტუმრობის მოლოდინში ვათენ-ვალამებ, — თითქოს უადგილოდ უთხრა პაატამ, სანამ ოთახში შევიდოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ არაფერი უპასუხა.

პაატამ სათავისოდ ინიშნა უფლისწულის დუმილი.

— უჩემოდ ხომ არ დაგაქორწილეს? — ჰკითხა პაატამ, როცა ორივენი სავარძლებში ჩასხდნენ და ერთურთს გაულიმეს. ერთი პირტიტველი, ქარქაშივით ჭაბუკი და მეორე დაჯოხებული კი არა, უკვე მხცაშეპარული, მაგრამ ფიზიკურად გაუტეხელი ვაჟკაცი, რომელსაც ბევრი ახალგაზრდა შენატრებდა სიძლიერეს.

— ქორწილი არ მქონია და ალბათ ჯერაც არ მექნება.

— მე კი მეგონა... იმერეთში ლევან ბატონთან ვიყავი სტუმრად და გამომაპარეს-მეთქი.

— რაო, ლევან ბატონმა? — დაბრძენებული კაცივით მრავალმნიშვნელოვნად იკითხა გიორგიმ და მისმა გამოხედვამ თეიმურაზ მეფე გაახსენა პაატას. ახლა მიხვდა, რომ გიორგი უფლისწული საოცრად ჰგვანებია თავის პაპას.

— ერეკლე მეფე რომ მხარს მომცემდეს, მთელ იმერეთს დავიპყრობდიო. დასავლეთს გავაერთიანებდი და შემდგომ კი კახელ ბაგრატიონთა პირველობას ვიწამებდიო.

ასეთი რამ ლევანს არ უთქვამს და ახლაღა შეთხზა პაატა აბაშიძემ.

გიორგის ხმა არ ამოუღია, მაგრამ პაატას რატომღაც ერეკლეს შეძახილი შემოესმა, სცრუობო, და ლოყაც აეწვა იმ ადგილას, სადაც ერთხელ სილა გაარტყა ღვიძლმა დეიდაშვილმა.

— როგორი საქმეა? — ჰკითხა პაატამ, რაკი უკვე თავადაც აღარ სჯეროდა საკუთარი სიტყვებისა.

— არ ვიცი, ძია ბატონო, მე მხოლოდ იმის საუწყებლად მოვედი, დღეს რომ ათხუთმეტი მარტია, რვა იანვარს პაპაჩემი გარდაცვლილა პეტერბურღს.

— ნუთუ? — სავარძლის საიდაყვეებზე ხელებდაბჯენით წამოიწია პაატა აბაშიძე, მაგრამ მეტის თქმა ველარ მოახერხა და ისევ დაეშვა. კარგა ხანს იყუჩა და მერედა ამოიოხრა, — ქართლის სამეფო ვის უნდა დარჩეს?

— ამად გეახელი. — გვირგვინიანი თავი დახარა გიორგიმ, — პაპა ბატონი სანამ ვაემგზავრებოდა, სამეფო ხმალიც მე შემომარტყა და

გვირგვინიც დამადგა, მამაჩემი კი ქართლ-კახეთის გაერთიანებას შეუდგა.

— შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, — მცირეოდენი დუმილის შემდეგ სიტყვების დამარცვლით განაცხადა პაატა აბაშიძემ, ხახუნ მრისხანებაც აისახა, მაგრამ გულმა უყივლა, ბატონიშვილი საცდელად არ იყოს მოგზავნილიო, და მწარე ღიმილი გაურია ერთბაშად გაჩენილ მრისხანებას.

— დამცინავად იღიმი, ძია ბატონო, და მე კი დანა კბილს აღარ მიხსნის, — წამოდგა გიორგი და სარკმლისაკენ გაემართა მამამისავით.

უზომოდ მოეწონა პაატას მისი წვრილი წელი და განიერი ბეჭები. არც ერთს არა ჰგავს: არც თეიმურაზსა და არც — ერეკლეს. ორივეს დიდად აღემატება ახოვანებითაც და მშვენიერებითაც. ალბათ ღმერთს დღემდე არსად შეუქმნია ესოდენი მშვენიერება. არც რუსთაველის ტარიელი იქნებოდა უფრო მომხიბლავი. ჭკუით? ჭკუით ვერას ვიტყვით. ვნახოთ, რას გამოავლენს.

— ძალიან დამენანა, შვილო, პაპათქვენი, — წამოდგა პაატა უფრო იმიტომ, რომ ფეხზე მდგარს უფლისწულისთვის თვალი გაესწორებინა და მისი სიმაღლე სარკმელის სიმაღლესთან შედარებით გაეზომა.

— მეც დიდად დამენანა, მაგრამ ვიცი, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. დარდით და ურვით ვერას ვუშველით. — შემობრუნდა ბატონიშვილი და ბრიალა თვალები შეანათა პაატას. აბაშიძეს თავისი ბიძაშვილის ანას თვალები გაახსენა ამ შემოხედვამ და ერთბაშად დარწმუნდა, რომ ის სილამაზეც ანას ნაბოძარი იყო, გიორგის რომ ესოდენ უხვად მომადლებოდა. რალა გიორგის და რალა თამარს. გიორგის დაი თამარიც ხომ უღვთოდ ლამაზია. — მთავარია, რაც პაპამ მიბოძა, არვინ წამართვას!

— ჭკვიანი ხარ, შვილო! — ნათქვამი მოუწონა აბაშიძემ, მოკლედშეკრეჭილი ულვაში მოიწიწკნა და თვალების წკურვით დაამატა, — არც ბიძაჩემ ლევანს უფიქრია ურიგოდ. ახლა კი, შენი საქმე რომ იცოდეს, სულ სხვაგვარად იმოქმედებდა.

— ლევანს პირადად არ ვიცნობ, ბიძაჩემო, პაპა ზაალის იმედი კი არ გამაჩნია. შენს მეტი არვინ მეგულება დამხმარე. — გიორგიმ თითქოს ამით დაამთავრა სათქმელი, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ხმამაღლა გაამჟღავნა თავისი ფიქრი, — ჩემი დედისძმა იოვანე აბა-

შიძეც დიდი გმირია, მაგრამ ქართლში ხელი არ მოუწვდება და არც არავინ დაუჯერებს. აქ მხოლოდ შენ ხარ.

პაატამ თვალებში შეჰხედა, ხომ არას მატყუებსო, დაეჭვებულ ხედა, ყოველივე გულწრფელად იყო ნათქვამი, გულწრფელადვე განუცხადა:

— შენი ჭირის სანაცვლო გავხდები, შვილო, რაკი ასეა. ჩვენში დარჩეს და... კიდევ რაღაცა უნდა დაემატებინა, მაგრამ ლოყა ხელახლა აეწვა და ნერწყვის ჩაყლაპვა გაუძნელდა, — ერთი სიტყვით, როგორც მიბრძანებ, ისე ვიმოქმედებ.

— მაგისი იმედი მქონდა.

— ოღონდ ბიძაშენ ნიკოლას ნურას გაუმხელ, თორემ ჭადრაკის თამაშისას დასცდება რამე მამაშენთან.

— ვიცი.

— ალბათ შენც ხედავ, მხარში არ ვუდგევარ მამაშენს?

— ვხედავ.

— ხან ავადმყოფობას ვიმიზეზებ და ხან იმერეთში სტუმრობას, რათა თავი ავარიდო მის დანახვას. ზოგჯერ თუ მცირეოდენ ჯარს ვაახლებ, ვინმე აზნაურს მივანდობ ხოლმე სარდლობას ანდა ჩემს ბიძაშვილებს.

— ვიცი.

მაშინ ისიც გეცოდინება, მამათქვენი რომ გულღრძო კაცია და შინაურ-გარეულს ერთგვარად ჩაგრავს.

გიორგიმ ვერმიხვედრის ნიშნად თვალებში შეჰხედა და ერთბაშად ეწყინა მამაზე ნათქვამი აუგი.

— გეწყინა, შვილო, მაგრამ ის თუ იცი, რატომ აერთიანებს ქართლ-კახეთს?

— გაერთიანებული ქართლ-კახეთი ნებავს.

— მერედა, თუკი შენ ქართლის მეფედ ხარ ნაკურთხი? შენ გართმევს სამეფო ტახტს, საკუთარ პირმშოს?

— მეც სწორედ ეგ მწყინს.

— მერედა, იცი, რად არ გაძლევს ქართლის სამეფოს?

— არ ვიცი. — ისევ სარკმლისკენ გაექცა მზერა გიორგი ბატონიშვილს. პაატაც სარკმელს მიუახლოვდა და სანამ ხმას ამოიღებდა, შიში გაუჩნდა, ერეკლე მეფე არ გაჩნდესო საიდანმე და თითქმის ჩურჩულზე გადავიდა: — გეტყოდი, მაგრამ გეწყინება.

— მითხარი, ძია ბატონო! — ერთბაშად შემობრუნდა ბატონიშვილი. მკლავზე ხელი წაატანა და მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცადე! — დაიჩურჩულა პაატამ და გაშლილი ხელიით ანიშნა, გაჩუმდიო. მერე ფეხაკრეფით გავიდა კარში. ეჭვი გაუჩნდა, საადამე ნიკოლა ხომ არ გვზვერავსო და იქაურობა მოათვალიერა. შემდეგ დარბაზშიც შეიხედა, რაკი გაახსენდა, რომ გაუქმებულ კართან დგომა და მიყურადება სჩვევია ნიკოლას. რაღა ნიკოლას და რაღა პაატას არა. ამიტომაც სანამ ღრმად არ დარწმუნდა, რომ მათ საუბარს არავინ უსმენდა, მანამ არ დაბრუნებულა თავის ოთახში. და როცა დაბრუნდა, გადაჭრით განუცხადა უფლისწულს: — ლევანი ნებავს ქართლ-კახეთის მემკვიდრედ და ამიტომ არ გაძლევს ქართლის სამეფოს.

— ჩემი ძმა ლევანი?

— დიახ, ასეა!

— მოვკლავ! — წამოენთო გიორგი.

— ასეა, შვილო. ბავშვს როცა დედა უკვდება და დედინაცვალი უჩნდება, მამაც მამინაცვლად იქცევა ხოლმე. ბავშვი აღარა ხარ და ეს უნდა იცოდე.

— მაშ, ლევანი უნდა ჩემს მაგივრად? — იკითხა გამტკნარებულმა, — ეგებ იულონიც ჩემზე წინ დააყენოს და ვახტანგ-ალმასხანიც?.. დავხოცავ ყველას, თუ გავგიჟდი.

— სამეფოდ გამზადებული კაცისთვის გაგიჟებას დაფიქრება სჯობს. — ხელზე ხელი წაავლო პაატა აბაშიძემ და ისევ სარკმლისაკენ წაიყვანა, — ლევან ბატონს კარგი აზრი აქვს. მამაშენი სოლომონის მხარეზეა და ეხმარება კიდეც ცხადად თუ ფარულად. ეს ამბავი ფაშას მეოხებით ხონთქარმაც იცის, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოთმენას ამჯობინებს. იმერეთი თურქეთის ხელდებულია და მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს.

— მაშ, თურქეთმა იცის, ჩვენ რომ დასავლეთ საქართველოს ვეხმარებით? — გვირგვინი მოიხადა გიორგიმ მოუთმენლობის გამოსახატავად.

— გვირგვინს ადვილად ნუ მოიხდი, შვილო! — გამხნევდა პაატა და მეტი ხალისით გააგრძელა სათქმელი, — იცის, მაგრამ სარწმუნო წყაროებს ელოდება. და თუ დარწმუნდა ერეკლეს მცდელობაში, ისე გაანადგურებს დიდსა და მცირე საქართველოს, რომ ბურდღლს არ დატოვებს. — გიორგის სახეს ჭმუნვა შენიშნა აბაშიძემ და ამან

უფრო გაამხნევა, — მარტოდენ შენ შეგიძლია იხსნა საქართველო.

— მე როგორ ვიხსნი? — ოდნავ გამხნევდა გიორგი და [illegible] მხედველობიდან არ გამოპარვოდა აბაშიძის თვალებისა [illegible] ყოველი მოძრაობა. პაატა ამ დროს ისევ მხარ-ბეჭს უთვალიერებდა უფლისწულს და ფიქრობდა, რომ ეს მშვენივრად ნაქანდაკევი ტანი მხოლოდ დაუცხრომელი ვარჯიშის შედეგი იყო და წუხდა, ვარჯიში ხომ არ დამიკლიაო ჩემი შვილებისთვის, თუმცა არც მათ ჰქონდათ მოსაყივნებელი თვალ-ტანადობა.

— მამათქვენისა და სოლომონის გადაბმა კარგს ვერას მოუტანს საქართველოს. ისიც ვიცი, რომ მათი ურთიერთმეგობრობა მოჩვენებითია და ერთურთს ატყუებენ.

— მამაჩემი, ვიცი რომ არ ატყუებს და იმერთა მეფისას ვერას მოგახსენებ.

— ვიცი ყოველივე. მამაშენს პირველობა ნებავს საქართველოში და სოლომონსაც ეგ აწუხებს.

— მაგაზე ვერას მოგახსენებთ.

— ჰოდა, ამ პირველობისთვის ბრძოლაში ქვეყანას დალუპავენ.

— მერმედა, მე როგორ ვიხსნი ქვეყანას? — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ჰკითხა გიორგიმ.

ჩვენ თუ ლევან აბაშიძეს მხარს დავუჭერთ, სოლომონს დაამარცხებს და მთელ დასავლეთს გააერთიანებს... ლევანი, მოგეხსენება, ბაგრატიონი არ გახლავს და... შენ კი აბაშიძეთა სისხლიც გირევია და ბაგრატიონიც ხარ. — თვალებში შეჰხედა პაატამ და შეეცადა, პასუხი წინდაწინვე ამოეკითხა.

— მერმე, ქართლი? მე ხომ ქართლის მეფედ მაკურთხა პაპაჩემმა?

— ჯერ ქართლში უნდა გამეფდე და მერე დავუჭიროთ მხარი.. კახეთი კი... კახეთი მარტოდ ვერას გახდება. რას იტყვი ჩემო დისშვილო? — სათქმელი დაამთავრა პაატა აბაშიძემ და თავისმა სიტყვებმა გივი ამილახვარი გაახსენა გორის ციხეში. განსხვავება ის იყო, რომ გივი ამილახვარს უფრო სჯეროდა თავისი სიტყვებისა, ვიდრე — პაატას. მართალია, გივიმაც უღალატა ბოლოს თავის განზრახვას და არა ერთი დიდი საქმე გააკეთა ერეკლეს აღზევებისათვის, მაგრამ პაატა ასე არ მოიქცევა, რაკიღა წამდაუწუმ აეწვება ხოლმე მარცხენა ლოყა.

— ვიფიქრებ, ძია ბატონო, ოღონდ მამაჩემს არაფერი არ უნდა ევნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისწულის ამ ნათქვამს არაფრით უპასუხა პაატამ, ბოლოს კი ამოიოხრა და:

— პაპაშენი ზაალი შეუძლოდ ყოფილა. ეგებ მოინახულო, რაკი აქვე ხარ. ისიც გირჩევს რამეს... ახლა კი წავიდეთ! ალბათ უკვე ზაქის მწვადები გველოდება.

პაატამ იცოდა, გიორგის რომ სიგიჟემდე უყვარდა ზაქის მწვადები და ერთბაშად დაუწმინდავა გუნება. გაახარა და გაახალისა.

* * *

უკანდაბრუნებისას ქვიშხეთის გზასაყართან დიდხანს გაჩერდა გიორგი უფლისწული. ვერ გადაეწყვიტა, პაპასთან წასულიყო იმერეთში თუ თბილისში დაბრუნებულიყო. ბოლოს არც ერთი არ ისურვა და საცხენე ბილიკებით ბორჯომ-წალვერის, გვერდისუბნისა და გუჯარეთის გავლით მანგლისისაკენ აიღო გეზი, რათა შემდეგ საორბელიანოს სწვევოდა. გულში ერთი ფიქრი უტრიალებდა: მამაჩემს არას ვერჩი, მაგრამ ჩემს ძმებს და დედინაცვალს კი დედას ვუტირებ, რაკიღა მემკვიდრეობის წართმევა ნებავთო.

ყოველმა ქვეყანამ

— მუხის კუბო გავაკეთებინეთ, ყოვლად უმშვენიერესი და მოჩუქურთმებული, ჩვენი დიდებული მეფის საკადრისი. შემდეგ ფიჭვის ფიცრის კიდობანში შევაკვრევინეთ და კუბო შიგ ჩავდეთ, შიშვლად რომ არ დაგვედო მარხილზე. მოსკოვში უნდა შევჩერებულიყავით, ანა დედოფლის სასახლეში, მაგრამ დედოფალი თურმე იმაზეც წყრებოდა, აქეთობას რომ შეგვაჩერეს და ახლა როგორღა შეგვიშვებდა მიცვალებულთან ერთად. ისე, რომ ბევრი ჭაპანწყვეტა გადაგვხვდა, სანამ ყაზანს მოვაღწევდით...

— ფული? ფული ვინ მოგცათ? — იკითხა ფიქრში წასულმა ერეკლემ.

— ამასაც მოგახსენებთ, — განაგრძო ალექსანდრე ციციშვილმა

და ჯერ თავის ბიძაშვილ გიორგის გადახედა, შინაურულად რომ ხათა გოგიას ეძახდნენ, შემდეგ მდუმარედ მსხდარ იასე მაჩაბელსა და მარტყოფის მოურავ ქაიხოსროს, და ბოლოს მეითარ გიორგიზე შეაჩერა თვალი, — ჩვენი მეითარი დიდად გაისარჯა. ვიღას არ დაესესხა: ამასობაში ათას ხუთასი თუმანი ვალი დაგვიგროვდა... — ციციშვილმა ულვაში შეისწორა და ერეკლემ შენიშნა, თმაშიც და ულვაშშიც რომ მხცა მოხშირებოდა სარდალს. ერთადერთი მხცა კი მარჯვენა წარბის შუაშიც გამოსჩროდა, — არ ვისესხებდით, მაგრამ, რაკი გაგვიჭირდა და ხელმწიფის კაცები კი ჩვენთვის ფულს აღარ იმეტებდნენ, მეტი რა გზა გვქონდა?!. ჰოდა, მერმე ის მოვალეები კარზე მოგვიცვივდნენ, როცა შეიტყეს, უიმედონი ბრუნდებიანი საქართველოში. კოლეგიაშიც დაგვასმინეს: ჩვენი ვალი აქვთ, მიიპარებიან და პასპორტები არ მისცეთო...

— მერმე? — ეწყინა ერეკლეს.

— ჩვენ მოგვცეს პასპორტები, მაგრამ მეითარს აღარ მისცეს: სანამ ვალს არ გადაიხდით, ვერ მიიღებთო.

— მოვალენი ვინ იყვნენ? — ამოიოხრა ერეკლემ და ფეხი ფეხზე მოინაცვლა.

— აკი მოგახსენეთ, მრავალნი იყვნენ-მეთქი: სომხებიც და რუსი ვაჭრებიც. თომა ბარათაშვილის ხვთისნიერი მეუღლე შეგვეწია ყველაზე მეტად. უმადურნი ვერ ვიქნებით, ხელი გაგვიმართეს, მაგრამ ვალი რომ ველარ გადავუხადეთ, სხვა რა უნდა ექნათ? გვიჩივლეს. კანცლერს შევთხოვეთ, საგარეო კოლეგიასაც, მეფემდეც მივიტანეთ ჩვენი გაჭირვების ამბავი, მაგრამ გული არ შესტკივდათ და ესა მწყინს. მარტოდენ ოთხი ათასი მანეთი გვიწყალობეს სამგზავროდ. თან დაგვაყვედრეს, მაგდენი არ დაგჭირდებათო. ყიზლარს რომ ჩააღწევთ, შეუთვალეთ მეფე ერეკლეს და შემწეობას ის აღმოგიჩენთო. ერთი სიტყვით, ისე მოგვექცნენ, როგორც გადამთიელებს მოექცევიან. თან ვიღაც მანღოვი გამოგვაყოლეს მოთვალთვალედ: ჩვენს უნებურს ხომ არას ამბობენო.

— მეითარს რომ პასპორტი არ უბოძეს, როგორღა წამოვიდა? — იკითხა ერეკლემ.

— მეითარი გიორგი იქ დარჩა, მეფეო, — მეითარს გადახედა ალექსანდრემ, — და ჩვენ წამოვედით.

— მაშ, ეს ვინ არის? — გაკვირვებული ღიმილით ანიშნა მეითარზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ყაზანს რომ მოვაღწიეთ, იქ დავბრკოლდით და მაშინლა წამოგვეწია.

— ვალები? — შეეკითხა ერეკლე მეითარ გიორგის.

— ზოგმა დიდსულოვნად მაპატია, ზოგს ვუსესხე და ისე მივეცი. აღვუთქვი, საქართველოდან ღვინოს გამოგიგზავნით-მეთქი.

— კარგად გიქნია! — მოუწონა ერეკლემ და ისევ ალექსანდრეს მიუბრუნდა, — მერმე?

— ყაზანში უკვე შუა ზაფხულში მოგვისწრო. სიცხეზე... — სათქმელი ემძიმა, — სითხის ღენა დაეტყო და დიდად დავმწუხრდით, მაგრამ დარჩენა მაინც არ ეგებოდა და გემზე გადავასვენეთ. აშთარხანამდე როგორც იყო, მოვაბრძანეთ და აქეთ კი უკვე შეუძლებელი გახდა წამოსვენება... ძალიან დაცხა და... ძნელია, მეფეო, სურათის აღწერა... ჰოდა, სხვა გზა არ იყო: იქ უნდა დაგვესვენებინა. თანაც ნაანდერძევი ჰქონდა ნეტარხსენებულს, თუ რუსეთში სიკვდილმა მიწიოს და საქართელოს მიწას ვერ ველირსო, ჩემი სიმამრის გვერდით დამასაფლავეთო. ჰოდა, მაშინვე ანდერძი გავიხსენეთ და, რაკი წამოსვენება ფრიად დაგვიმძიმდა და შეუძლებელიც გახდა, შევთხოვეთ გუბერნატორს, რომ ვახტანგ მეფის გვერდით დასაფლავების ნება ებოძებინა. გუბერნატორმა გვიბრძანა, არქიეპისკოპოსმა მეთოდემ იცისო ყოველივე და მეთოდეც დიდად შეგვეწია. გულისწადილი ავუსრულეთ ნეტარხსენებულ მამათქვენს და ვახტანგ მეფის გვერდით დავასაფლავეთ. გვაპატიეთ, თუ ყოველივე ისე ვერ შევძელით, როგორც თქვენ გასიამოვნებდათ!

ერეკლე ფიქრებმა გაიტაცა. თავისი ბავშვობა გაახსენდა, პაპა ვახტანგის საფლავი რომ წარმოიდგინა დათოვლილ ტრიალ მინდორზე. მაშინ ვახტანგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო და მოსკოვში იმყოფებოდა, მაგრამ რატომღაც ასე წარმოიდგინა. როცა მამას აცილებდა რუსეთის კარს, მაშინაც გაახსენდა ეს სურათი და იქვე, იმ დათოვლილ მინდორზე, თეიმურაზ მეორის საფლავიც წარმოიდგინა. ახლა კი ნათლად წარმოიდგინა მიძინების უმშვენიერესი ტაძარი და იმ ტაძრის საპატიო ადგილას საქართველოს ორი ღირსეული მეფის საფლავი გვერდიგვერდ.

— საკადრის ადგილზე თუ დაასვენეთ დასაფლავებამდე?

— უკეთესს ვერ ვინატრებდით. მონასტრის ქვედა ტაძარში შეგვიშვეს ოცდარვა მაისს და ზუსტად ერთი კვირის შემდეგ კი, რაკიღა თქვენი დასტურიც მივიღეთ, იქვე დავასაფლავეთ. ოღონდ...

— რა?

— ქელეხი ვერ გადავუხადეთ უფულობით.

— ღმერთი გვაპატიებს... — ერეკლე ფიქრმა წაიღო. მერე [illegible] მოისრისა და შეცვლილი ტონით იკითხა, — სხვა როგორ არის ხალხი რუსეთის კარს რას ფიქრობენ ჩვენზე?

— ხელმწიფესა და მის კანცელარიას ისევე აინტერესებს ჩვენი ბედი, როგორც მაწანწალა ბოშებისა, ასე ხშირად რომ დაეხეტებიან რუსთა მიწაზე.

ეწყინა ერეკლეს სარდლის მოუზომავი ნათქვამი. ისე ეწყინა, რომ ჯდომა ველარ შესძლო და ფეხზე წამოდგა. მკერდთან გახსნილი ხალათის ღილი შეიბნია და პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ისევ გაიხსნა. შემდეგ წინდაუკან გაიარა და ოთახის შუაში გაჩერდა:

— მაშ, ბოშები ვართ და მათხოვრებივით დავწანწალებთ, არა?! — ჩერქეზეთში ენახა ერეკლეს ბოშათა ბანაკები და იქვე სმენოდა მათი ბოლომოულებელი წანწალისა და მათხოვრობის ამბები.

— არა ტყუიან, მეფეო, თავად უჭირთ ცხოვრება და ჩვენ როგორღა გამოგვიწვდიან დახმარების ხელს? — შეეცადა სარდალი მეფის დამშვიდებას, — იქიდან პრუსიას უფრთხიან და რეჩპოსპოლიტას, აქედან ავსტრიასა და ოსმანთა იმპერიას. გიჟები ხომ არ არიან, რომ ჩვენი გულისთვის სპარსთა ქვეყანა და დაღესტანიც გადაიკიდონ. ყოველმა ქვეყანამ თავად უნდა მოუაროს თავს. სხვას ტყუილად შესთხოვს დახმარებას.

ერეკლეს რაღაც ენიშნა და შეკამათების ნაცვლად, როგორც იდგა, იქვე გახევდა. გაახსენდა, დასავლეთ საქართველოს შემოერთება რომ გაიფიქრა და ოსმანთა გადამტერებას მოერიდა. რუსეთი კი... ისიც ხომ ბოლოს და ბოლოს ჩეულებრივი ქვეყანაა და იქაც ხომ უბრალო ხალხია? იქაც ხომ მობეზრდათ გაუთავებელი ომები და მოსვენება სურთ? ყოველმა ქვეყანამ თავად უნდა მოუაროსო თავს.

ციციშვილმა უმალ შეიგრძნო, მისმა ნათქვამმა რომ მეფე მწარედ ჩააფიქრა და აწეული ტონით განაგრძო სათქმელი.

— მსტოვრებად გვთვლიან. ფეხდაფეხ გვდევენ და ნიადაგ მსტოვრებს გვადევნებენ. თუმანოვები, მანოვები, ამილახვარნი... დიახ, დიახ, ამილახვარნიც ჩვენი დევნის მეტს არას აკეთებენ. არც რუსნი ენდობიან მთლიანად და ვერც ჩვენ ვენდობით. კაცი რომელიც თავის ერს განუდგება, სხვა ერს უფრო ადვილად ულალატებს. რუსთა ქვეყანაში ბევრი მტერი გვყავს, მეფეო, ორპირნი და ორგულნი. სული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კბილით გვიჭირავს, რომ არა დაგვცდეს რა. მეორე წუთში ყოველ-ვე წვრილად იციან რუსთა მოხელეებმა.

— მანლოვი სად გააჩერეთ? — მოულოდნელად იკითხა ერეკლემ.

— ვაჭრისეულ სასახლეში.

— სარდაფში გადაიყვანეთ. დაე, შეიტყოს მსტოვრებს როგორ ექცევიან საქართველოში.

— წასვლას მოითხოვს, მეფეო, და საპასუხო წერილი ნებავს სამეფო კარისთვის.

— ჭარს მივეშურები. ჭარელები ხელახლა აშლილან და ჯერ ვერ მოვიცლი სამაგისო წერილის დასაწერად. ჩემი განრისხების მიზეზი თუ შეიტყო, — ჩვენ გვაბრალებს-თქო მეფე თეიმურაზის სიკვდილს.

— გახსოვდეს, მეფეო, თუ დარიალის კარს გავაღებთ, ციგნებით აივსება ჩვენი ქვეყანა და დახმარება კი მაინც არ გველირსება.

— ახლა მტაცებლებით არის სავსე და ციგანი კი მხოლოდ მათხოვრობს.

— მათხოვარს თუ წყალობას დაუგვიანებ, ისიც მტაცებლად გადაიქცევა. სხვისი არაფერი გვინდა... ყოველმა ქვეყანამ...

— კარგი, გეყოფა!.. ჭარს ვეშურები-მეთქი!

მეორე წიგნის დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ღვთისმგმობელი 3
ქალის ტან-ფეხი 9
ლილეი 12
ბერმონაზონი გაბრიელი 17
კათალიკოსის პირველი მისია 20
შეხვედრა 23
არბაბობა 28
აბდულა ბეგი 31
აბდულა ბეგის შემწეობა 37
ტახტიც ბრძოლის ველია 38
საამშას ამბავი 42
ძეძვას ამბავი 46
შეხვედრა შუამთაში 49
ორი მხედარი 56
საკადრისი ნობათი 63
ბეჟიტა და დათუნა 65
ქართლის სადღეგრძელო 70
თათბირი კათალიკოსთან 77
სიზმარ-ცხადი და გუშინდელ-შარშანდელი 81
ალი ხანის ზრახვები 84
რამ გადაარჩინა საქართველო? 93
სასწაული იორთან 97
დალაობა 102
ჭირი და ლხინი 109
რადღა ვიცოცხლო უნეტარესო?! 114
ბებერი ცხენი 119
სამხრეთის საზღვართან 125
დადიანები და სიზმრის ამხსნელი 135
გიგას თავგადასავალი 140
მზის ჩასვლა 145
ქსნის ხეობაში 150
ლანდი ხორციელი 155
გულით მხედველი 159
დანღისის წვიმა 161
აჯი ჩელების მუსაიფი 177
იძულებითი სტუმრები 180
სიმღერის ძალა 185

წყალს გატანებული იმედი . . . 190
კათალიკოსის სიზმარ-ცხადი . . . 198
გულშიდაჭრილები . . . 201
ლაშქრიანი სტუმარი . . . 206
რკალი და სოლი . . . 210
განაწყენებული მიჯნური . . . 219
კრაზანები . . . 224
მამაშვილობა . . . 229
შუამთის ბზარი . . . 233
ქორწილში მოპატიჟე . . . 235
ნათელი სხივი . . . 241
მოხევე-მთიულებთან . . . 246
წინამეხრე . . . 253
ქვრივის სათხოვარი . . . 258
ძაღლებში ჩავარდნილი ნადირი . . . 262
წერილები . . . 267
თეიმურაზის ლოდთან . . . 271
ჩამატებული ელჩი . . . 275
ამბავი აღა ქიშის მამაცობისა . . . 278
დადევნებული წერილები . . . 283
ყვარლის ციხესთან . . . 288
ლევანი . . . 293
ორსახიანი იანუსი . . . 297
ბერიკაცი სილოვანი . . . 304
ამაო ვედრებანი . . . 308
გიორგის გაცილება . . . 312
ნინოწმინდელი და ხუნძახის ბატონი . . . 314
წაბორძიკება . . . 320
ცოდვანი მიუტევებელი . . . 324
ლაშქრულის ძალა . . . 329
მსჯავრი უფლისა . . . 334
ბატონიშვილის საწუხარი . . . 342
იულონი და ქართელი ბიჭები . . . 345
ჩამქრალი სხივი . . . 349
გაუგზავნელი ბარათი . . . 352
ამბავი ჯაშარატისა . . . 358
შეხვედრა თუ განშორება . . . 361
ეპვის ჭიები . . . 364
კაცი კაცითა . . . 368
გადაბმული და გაწყვეტილი საქმენი . . . 371
რუსულ ზამთარში . . . 375
ლიახვის სათავესთან . . . 378
დაცდა . . . 383

ნერგი კეთილი 387
უკეთუ გახვიდე ბრძოლად... 392
რბილ თათებზე მოსიარულენი 398
ყურმიდებით მოსმენილი ამბავი 404
შიში 404
პირველი სიცივე 407
მოულოდნელი სვლები 412
გულისტკივილი 417
მოციქულები 420
სანამ ყინული დაიძვრება 424
თოვლიან გზაზე 430
პეტრეს წყალობა 435
შინდაბრუნება შვილისა 443
იმედის სხივი 449
მეგობრობის ავან-ჩავანი 454
ჩამწვარი სანთლები 459
მღივანბეგის სამსჯავრო 465
შეხვედრა და განშორება 469
საჩუქარი 475
გზაგასაყართან 480
ყოველმა ქვეყანამ 487

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი რ. ჯალაღანია
მხატვარი დ. ბერძენიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: ნ. ლომაძე. რ. გოცირიძე
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. 3914

ჩაბარდა წარმოებას 17.10.87. ხელმოწერილია საბეჭდად 23.06.88 წ. უე 06778 ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 2. გარნიტურა ლიტერატურული. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 28,83. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 25. პირობითი საღებავ-გატარება 29,06. ტირაჟი 20.000. შეკვეთა № 2796.

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42.
თბილისი 1988.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПАПУАШВИЛИ ГЕОРГИЙ КИТЕСОВИЧ

ДАЛЕКОЕ СИЯНИЕ

РОМАН

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели 42
Тбилиси
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა